ი. სტალინი

თხზულებანი

8

იბეჭდება
საკავშირო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва • 1948

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი . 1949

ი. ბ. სტალინი

ტომი

8

1926

იანვარი – ნოემბერი

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მერვე ტომი შეიცავს 1926 წლის იანვრიდან ნოემბრამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

1926 წელი იყო პირველი წელი ბოლშევიკური პარტიის გაშლილი ბრძოლისა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული გენერალური გეზის განხორციელებისათვის.

ნაშრომებში «ლენინიზმის საკითხებისათვის» და «საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ» ი. ბ. სტალინი ამხილებს ლენინიზმის საფუძვლების მტრულ დამახინჯებას ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის მიერ, იცავს საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ააშკარავებს «ახალი ოპოზიციის» ცდებს — დაეავადებინა პარტია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობით.

მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე «სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში» და მოხსენების გამო წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში ი. ბ. სტალინი იცავს ბოლშევიკური პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას და ამხილებს

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის კაპიტულანტურ იდეოლოგიასა და ძირგამომთხრელ, გამთიშველ მუშაობას.

ი. ბ. სტალინის ამ ნაწარმოებებში განვითარებულია ლენინური მოძღვრება ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, დასაბუთებულია სსრ კავშირში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა, აუცილებლობა და საერთაშორისო მნიშვნელობა; დასახულია პარტიის პრაქტიკული ამოცანები სოციალისტური მშენებლობის დარგში, განსაზღვრულია პარტიის მიერ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე აღებული გენერალური გეზის გატარების კონკრეტული გზები და მეთოდები.

ნაწარმოებებში: «ინგლისში მომხდარი გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ», «ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტის შესახებ», «მემარჯვენე და «ულტრამემარცხენე» გადახრებთან ბრძოლის შესახებ», «სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გერმანიის კომისიაში» და სხვა ნაშრომებში ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს მტკიცე და თანმიმდევრული ბრძოლის აუცილებლობას მუშათა კლასის ერთიანობისათვის, იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხის წინააღმდეგ; ამხილებს დრომოუჭმელ მოძრაობაზე გადახტომის ტროცკისტულ ავანტიურისტულ თეორიას, აღნიშნავს უცხოეთის კომუნისტურ პარტიებში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იდეური და ორგანიზაციული ბრძოლის გზებსა და მეთოდებს.

სიტყვაში «ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ» ი. ბ. სტალინი აშუქებს ჩინეთის რევოლუციის თავისებურებებს, მის ხასიათსა და მიმართულებას.

მერვე ტომში შედის პირველად გამოქვეყნებული დოკუმენტები: «გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ», «ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ», «სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის საფრანგეთის კომისიაში», სიტყვა «ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ», «წერილი სლეპკოვს», «შინაპარტიული ბრძოლის შენელების ღონისძიებათა შესახებ», ი. ბ. სტალინის წერილი «ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს — «დეილი უორკერის» რედაქციისადმი». მთლიანად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილი «ამხ. კაგანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს».

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1926

იანვარი–ნოემბერი

მემარჯვენე და «ულტრამემარცხენე» გადახრებთან ბრძოლის შესახებ

ორი სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე

1926 წ. 22 იანვარი

I

მე ვფიქრობ, რომ ჰანსენი და რუთ ფიშერი არასწორ თვალსაზრისზე დგანან. ისინი მოითხოვენ, რომ მემარჯვენეთა და «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებდეს ყოველთვის და ყველგან, ყოველგვარ პირობებში, თანაბარი დარტყმითი ძალით, ასე ვთქვათ, სამართლიანობის მიხედვით. ყოველგვარ პირობებში და ყოველგვარ ვითარებაში მემარჯვენეთა და «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ დარტყმის სამართლიანობისა და თანაბრობის ეს თვალსაზრისი ბავშვური თვალსაზრისია. პოლიტიკოსი ასე ვერ დააყენებს საკითხს. მემარჯვენეებთან და «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლის საკითხი უნდა განვიხილოთ არა სამართლიანობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური მომენტის მოთხოვნათა თვალსაზრისით, ყოველ მოცემულ მომენტში პარტიის პოლიტიკურ საჭიროებათა თვალსაზრისით. რატომ არის, რომ საფრანგეთის პარტიაში მემარჯვენეებთან ბრძოლა **მორიგი** დაკვრითი ამოცანაა ამჟამად, ხოლო გერმანიის კომპარტიაში **მორიგი** ამოცანაა «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლა? იმი-

ტომ, რომ საფრანგეთისა და გერმანიის კომპარტიებში მდგომარეობა ერთნაირი არ არის. იმიტომ, რომ ამ ორი პარტიის პოლიტიკური საჭიროებანი ამჟამად სხვადასხვაა.

გერმანია მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ღრმა რევოლუციური კრიზისიდან [1], როცა პარტია ბრძოლას აწარმოებდა პირდაპირი შეტევის მეთოდით. ამჟამად გერმანიის კომპარტია ძალების მოკრებისა და მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მასების მომზადების პერიოდში იმყოფება. ახალ ვითარებაში ძველი მიზნების მისაღწევად პირდაპირი შეტევის მეთოდი დღეს უკვე გამოუსადეგარია. დღეს გერმანიის კომპარტიისათვის საჭიროა გადასვლა შემოვლითი ბრძოლის მეთოდზე, რომლის მიზანიც არის გერმანიაში მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში გერმანიაში აღმოჩნდა «ულტრამემარცხენეთა» ჯგუფი, რომელიც ბალღურად იმეორებს ძველ ლოზუნგებს და ვერ შესძლო ან არ სურს შეეგუოს ბრძოლის ახალ პირობებს, რომელნიც მუშაობის ახალ ხერხებს მოითხოვენ. აქედან წარმოსდგებიან «ულტრამემარცხენენი», რომელნიც თავიანთი პოლიტიკით ხელს უშლიან პარტიას შეეგუოს ბრძოლის ახალ პირობებს და გზა გაიკაფოს გერმანიის პროლეტარიატის ფართო მასებისაკენ. გერმანიის კომპარტია ან დასძლევს «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგობას, და მაშინ იგი გამოვა მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობის ფართო გზაზე, ან ამას არ იზამს, და მაშინ ახლანდელ კრიზისს იგი ქრონიკულ და პარტიისათვის დამღუპველ კრიზისად გადააქცევს. აქედან გამომდინარეობს «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლა გერმანიის კომპარტიაში, როგორც მისი მორიგი ამოცანა.

საფრანგეთში სხვა მდგომარეობა გვაქვს. იქ ღრმა რევოლუციური კრიზისი ჯერ არ ყოფილა. იქ ბრძოლა მიმ-

დინარეობდა ლეგალობის ფარგლებში, ბრძოლის მარტოოდენ ან თითქმის მარტოოდენ ლეგალური მეთოდებით. მაგრამ ახლა საფრანგეთში კრიზისი დაისახა. მხედველობაში მაქვს მაროკოს და სირიის ომები და საფრანგეთის საფინანსო სიძნელენი [2]. თუ რამდენად ღრმაა ეს კრიზისი, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს მაინც კრიზისია, რომელიც პარტიისაგან მოითხოვს ბრძოლის ლეგალური და არალეგალური პირობების შეხამებას, პარტიისაგან მოითხოვს ბოლშევიზაციის მაქსიმუმს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში საფრანგეთის პარტიაში აღმოჩნდა ჯგუფი, — მხედველობაში მაქვს მემარჯვენეთა ჯგუფი, — რომელმაც ვერ შესძლო შეგუებოდა ან არ სურს შეეგუოს ბრძოლის ახალ პირობებს და რომელიც, ინერციით, კვლავ იცავს ბრძოლის ძველ მეთოდებს, როგორც ერთადერთ სწორ მეთოდებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ აფერხებდეს საფრანგეთის კომპარტიის ბოლშევიზაციას. აქედან წარმოსდგება მემარჯვენე საფრთხე საფრანგეთის კომპარტიაში, როგორც **მორიგი** საფრთხე. აქედან გამომდინარეობს მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ამოცანა, როგორც საფრანგეთის კომპარტიის დაკვრითი ამოცანა.

რამდენიმე მაგალითი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჩვენს პარტიაშიც შეიქმნა «ულტრამემარცხენე» ჯგუფი «ოტზოვისტების» სახელწოდებით, რომელმაც ვერ შესძლო ან არ სურდა შეგუებოდა ბრძოლის ახალ პირობებს და არ ცნობდა ლეგალურ შესაძლებლობათა (სათათბირო, მუშათა კლუბები, დამზღვევი სალაროები და სხვ.) გამოყენების მეთოდს. ცნობილია, რომ ლენინი გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ამ ჯგუფთან, და პარტიამ შესძლო სწორ გზაზე გამოსულიყო მას შემდეგ, რაც მოახერხა ამ ჯგუფის დაძლევა. იგივე

მოხდა ჩვენში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, როცა «ულტრამემარცხენე» ჯგუფი [3] ბრესტის ზავის წინააღმდეგ გამოდიოდა. ცნობილია, რომ ეს ჯგუფიც დაამარცხა ჩვენმა პარტიამ ლენინის მეთაურობით.

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი? იმას, რომ მემარჯვენეებთან და «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლის საკითხი უნდა დავაყენოთ არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, პოლიტიკური ვითარების მიხედვით.

შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ფრანგებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შეაქვთ რეზოლუცია თავიანთი პარტიის მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ, გერმანელებს კი რეზოლუცია «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ვისაც რა აწუხებს, იმაზე ლაპარაკობს.

ამიტომ მემარჯვენეთა და «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ დარტყმის სამართლიანობისა და თანაბრობის თვალსაზრისი უსუსური თვალსაზრისია.

სწორედ ამიტომ მე წინადადება შემომაქვს, რომ გერმანიის «ულტრამემარცხენეთა» შესახებ რეზოლუციის პროექტში ამოიშალოს ფრაზა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გერმანიის კომპარტიაში ბრძოლა გამახვილებული უნდა იქნას თანაბრად როგორც მემარჯვენეთა, ისე «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ. წინადადება შემომაქვს ამოიშალოს ეს ფრაზა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც რეზოლუციიდან საფრანგეთის კომპარტიაში მემარჯვენეთა შესახებ ამოიშალა ფრაზა «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მემარჯვენეებთან და «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლა რომ საჭიროა ყოველთვის და ყველგან — ეს აბსოლუტურად სწორია. მაგრამ ახლა საკითხი ეხება არა ამას, არამედ იმას, თუ სა-

ხელდობრ რაზე უნდა გავამახვილოთ ამჟამად საკითხი, ერთი მხრივ, საფრანგეთში და, მეორე მხრივ, გერმანიაში. მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთის კომპარტიაში საკითხი უნდა გავამახვილოთ მემარჯვენეებთან ბრძოლაზე, ვინაიდან ამას მოითხოვს ამჟამად პოლიტიკური აუცილებლობა; გერმანიის კომპარტიაში კი საკითხი უნდა გავამახვილოთ «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლაზე, რადგან ამას მოითხოვენ ამჟამად გერმანიის კომპარტიის პოლიტიკური საჭიროებანი.

როგორია გერმანიის კომპარტიაში შუალედი ჯგუფის, რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფის მდგომარეობა, თუ ამ საკითხს განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვაყალიბეთ? ეს ჯგუფი, ჩემი აზრით, დიპლომატიურად ფარავს შოლემის «ულტრამემარცხენე» ჯგუფს. რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფი აშკარად არ უცხადებს სოლიდარობას შოლემის ჯგუფს, მაგრამ ყველაფერს აკეთებს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ შეასუსტოს პარტიის დარტყმა შოლემის ჯგუფის წინააღმდეგ. ამრიგად, რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფი ხელს უშლის გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გერმანიის კომპარტიის «ულტრამემარცხენე» ცრურწმენათა დაძლევასა და აღმოფხვრაში. ამიტომ გერმანიის კომპარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გააჩაღოს ამ ჯგუფთან, რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფთან. ან რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფი დამარცხდება, და მაშინ პარტიას საშუალება მიეცემა დასძლიოს ახლანდელი კრიზისი შოლემის ჯგუფთან ბრძოლაში, ან გერმანიის კომპარტია დაჰყვება რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფის დიპლომატიურ ფანდებს, და მაშინ ბრძოლა საბოლოოდ წაგებული იქნება შოლემის სასარგებლოდ.

II

მე მგონია, ჰანსენი რაღაც ხუცურ მორალს ქადაგებს შინაპარტიული იდეური ბრძოლის საქმეში, რაც სრულებით არ შეჰშვენის კომუნისტურ პარტიას. იგი, ეტყობა, იდეური ბრძოლის წინააღმდეგი არ არის. მაგრამ მას სურს ისე აწარმოოს ეს ბრძოლა, რომ აქედან ოპოზიციის ბელადების არავითარი დისკრედიტაცია არ გამოვიდეს. მე უნდა ვთქვა, რომ ასეთი ბრძოლა ბუნებაში არ არსებობს. უნდა ვთქვა, რომ ვისაც ბრძოლა დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ ისე, რომ ბელადების არავითარი კომპრომეტაცია არ მოხდეს, იგი ფაქტიურად უარყოფს პარტიის შიგნით რაიმე იდეური ბრძოლის შესაძლებლობას. უნდა ვამჟღავნებდეთ თუ არა პარტიის ამა თუ იმ ხელმძღვანელთა შეცდომებს? უნდა გამოგვქონდეს თუ არა ეს შეცდომები მზის სინათლეზე იმ მიზნით, რომ შეიძლებოდეს აღვზარდოთ პარტიული მასები ხელმძღვანელთა შეცდომებზე მითითებით? მე ვფიქრობ, უნდა ვამჟღავნებდეთ. მე ვფიქრობ, რომ შეცდომების გასწორებისათვის სხვა გზა არ არსებობს. მე ვფიქრობ, რომ შეცდომების მიჩქმალვის მეთოდი არ არის ჩვენი მეთოდი. მაგრამ აქედან ის გამოდის, რომ შინაპარტიული ბრძოლა და შეცდომების გასწორება ისე არ შეიძლება, რომ ასე თუ ისე არ ხდებოდეს ამა თუ იმ ბელადების კომპრომეტაცია. ეს, შესაძლოა, სამწუხაროც იყოს, მაგრამ აქ ვერაფერს გააწყობ, ვინაიდან ჩვენ არ ძალგვიძს გარდუვალობას ვებრძოლოთ.

საერთოდ უნდა ვიბრძოდეთ თუ არა ჩვენ «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგაც და მემარჯვენეთა წინააღმდეგაც, — კითხულობს ჰანსენი. რასაკვირველია, უნდა ვიბრძოდეთ. ეს საკითხი ჩვენ დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს. ამაზე როდია დავა. დავა იმაზეა, თუ რა საფრთხესთან ბრძოლაზე უნდა გავამახვილოთ ახლა საკითხი ორ სხვა-

დასხვა პარტიაში, საფრანგეთისა და გერმანიის პარტიებში, რომლებიც ახლა თანაბარ მდგომარეობაში როდი იმყოფებიან. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ფრანგებმა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმში შეიტანეს რეზოლუცია მემარჯვენეთა წინააღმდეგ, გერმანელებმა კი — რეზოლუცია «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ? იქნებ ფრანგები შეცდნენ, მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე რომ ამახვილებენ საკითხს? მაშ რატომ არ სცადა ჰანსენმა შეეტანა პრეზიდიუმში კონტრრეზოლუცია საფრანგეთში «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლის შესახებ? იქნებ გერმანელები შეცდნენ, «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლაზე რომ ამახვილებენ საკითხს? მაშ რატომ არ სცადეს ჰანსენმა და რუთ ფიშერმა შეეტანათ პრეზიდიუმში კონტრრეზოლუცია საკითხის მემარჯვენეებთან ბრძოლაზე გამახვილების შესახებ? რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩვენს წინაშე დგას არა აბსტრაქტული საკითხი საერთოდ მემარჯვენეებთან და «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლისა, არამედ კონკრეტული საკითხი გერმანიის პარტიის ახლანდელი მორიგი ამოცანების შესახებ. ხოლო გერმანიის კომპარტიის მორიგი ამოცანა ის არის, რომ დასძლიოს «ულტრამემარცხენე» საფრთხე, ისევე, როგორც საფრანგეთის კომპარტიის მორიგი ამოცანაა დასძლიოს მემარჯვენე საფრთხე.

რით აიხსნება, მაგალითად, ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიებმა უკვე სერიოზულად მოიკიდეს ფეხი თავიანთი ქვეყნების პროფესიულ მოძრაობაში, უკვე გაიკაფეს გზა მუშათა კლასის ფართო მასებისაკენ და უკვე თანდათან იხვეჭენ ნდობას მუშათა კლასის უმრავლესობაში თუ არა, მნიშვნელოვან მასებში მაინც, მაშინ როცა გერმანიაში ამ მხრივ საქმის ვითარება ჯერ კიდევ ვერ

არის დამაკმაყოფილებელი? ეს გარემოება აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ გერმანიის კომპარტიაში ჯერ კიდევ ძლიერი არიან «ულტრამემარცხენენი», რომლებიც ჯერ კიდევ სკეპტიკურად უყურებენ პროფკავშირებს, ერთიანი ფრონტის ლოზუნგს, პროფკავშირების მიმხრობის ლოზუნგს. ყველასათვის ცნობილია, რომ «ულტრამემარცხენენი» ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ იცავდნენ ლოზუნგს «გავიდეთ პროფკავშირებიდანო». ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ანტიპროლეტარული ლოზუნგის გადმონაშთები დღემდე კიდევ მთლიანად არ არის დაძლეული «ულტრამემარცხენეთა» შორის. ორში ერთი: ან გერმანიის კომპარტია შესძლებს სწრაფად და გადაჭრით დასძლიოს «ულტრამემარცხენეთა» ცრურწმენა მასებში მუშაობის მეთოდების საკითხში და სასტიკად დაამარცხებს, იდეურად დაამარცხებს შოლემის ჯგუფს, ან იგი ამას ვერ შესძლებს, და მაშინ კრიზისმა გერმანიის კომპარტიაში შეიძლება უაღრესად საშიში მიმართულება მიიღოს.

ამბობენ, «ულტრამემარცხენეებს» პატიოსანი რევოლუციონერი მუშები ჰყავთ, რომლებისთვისაც ხელის კვრა არ შეიძლება და საჭირო არ არისო. ეს სავსებით სწორია. ჩვენ არც ვაყენებთ წინადადებას, რომ ხელი ჰკრან მათ. ამის გამო ჩვენს რეზოლუციის პროექტში ჩვენ არ ვაყენებთ რაიმე წინადადებას, რომ ხელი ჰკრან ან პარტიიდან გარიცხონ რომელიმე «ულტრამემარცხენე», მით უმეტეს მუშა. მაგრამ როგორ ავამაღლოთ ეს მუშები ლენინური პარტიის შეგნების დონემდე? როგორ ვიხსნათ ისინი იმ გზააბნეულობისაგან, რომელშიც ამჟამად იმყოფებიან თავიანთი «ულტრამემარცხენე» ბელადების შეცდომებისა და ცრურწმენის წყალობით? ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი წესი: ეს არის «ულტრამემარცხენე» ბელადე-

ბის პოლიტიკური დეზავუირების წესი, იმ «ულტრამემარცხენე» შეცდომების გამომჟღავნების წესი, რომლებიც თავგზას უბნევენ პატიოსან რევოლუციონერ მუშებს და რომლებიც ხელს უშლიან მათ ფართო გზაზე გამოსვლაში. შეგვიძლია თუ არა დავუშვათ პარტიაში იდეური ბრძოლისა და მასების პოლიტიკური აღზრდის საკითხებში დამპალი დიპლომატიური თამაში, შეცდომების მიჩქმალვა? არა, არ შეგვიძლია. ეს მუშების მოტყუება იქნებოდა. მაშ რა გამოსავალია ასეთ შემთხვევაში? გამოსავალი ერთია: გამოვამჟღავნოთ «ულტრამემარცხენე» ბელადების შეცდომები და, ამრიგად, დავეხმაროთ პატიოსან რევოლუციონერ მუშებს სწორ გზაზე გამოსვლაში.

ამბობენ, «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდება იმაში, რომ გერმანიის კომპარტია გამემარჯვენდაო. ეს სულ ფუჭი ლათაიებია, ამხანაგებო. 1908 წელს სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე [4], როცა ლენინი ბრძოლას ეწეოდა რუსეთის «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა ისინი, ჩვენშიც აღმოჩნდნენ მაშინ ადამიანები, რომლებიც ლენინს ბრალს სდებდნენ მემარჯვენეობაში, გამემარჯვენებაში. მაგრამ ახლა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ლენინი მაშინ მართალი იყო, რომ მისი თვალსაზრისი ერთადერთი რევოლუციური თვალსაზრისი იყო, ხოლო რუსეთის «ულტრამემარცხენენი», რომლებსაც მაშინ «რევოლუციური» ფრაზებით მოჰქონდათ თავი, ნამდვილად ოპორტუნისტები იყვნენ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მემარჯვენენი და «ულტრამემარცხენენი» ნამდვილად ტყუპები არიან, მაშასადამე, ოპორტუნისტულ პოზიციაზე დგანან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მემარჯვენენი ყოველთვის როდი მალავენ თავიანთ ოპორტუნიზმს, მემარცხენენი კი თავიანთ ოპორტუნიზმს ყოველთვის ფარავენ «რევოლუციური» ფრაზით.

ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი პოლიტიკა იმის საფუძველზე, თუ რა შეიძლება თქვან **ჩვენზე ამა თუ იმ** ჭორიკანებმა ან ობივატელებმა. ჩვენ მტკიცედ და რწმენით უნდა მივდიოდეთ ჩვენი გზით და ყურადღებას **არ** ვაქცევდეთ იმას, თუ რა ჭორი **შეიძლება** შეთხზან ჩვენს შესახებ მოცლილმა ადამიანებმა. რუსებს კარგი ანდაზა აქვთ: «ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის». საჭიროა გვახსოვდეს ეს ანდაზა: შეიძლება ერთხელ კიდევ გამოგვადგეს.

რუთ ფიშერი ამბობს, გერმანიის კომპარტიაში შემდეგ შეიძლება წამოიჭრას მემარჯვენე საფრთხე, როგორც პარტიის მორიგი საკითხიო. ეს სავსებით შესაძლებელია და მოსალოდნელიც კი არის. მაგრამ რა გამოდის აქედან? რუთ ფიშერს აქედან ის უცნაური დასკვნა გამოჰყავს, რომ დარტყმა გერმანიაში «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ, რომელნიც ახლა **უკვე** შეადგენენ რეალურ საფრთხეს, უნდა შესუსტდეს, ხოლო დარტყმა მემარჯვენეთა წინააღმდეგ, რომლებმაც **შეიძლება** სერიოზული საფრთხე შექმნან **მომავალში,** ახლავე უნდა გაძლიერდესო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საკითხის ასეთი დაყენება რამდენადმე სასაცილოა და ძირფესვიანად არასწორია. ამ სასაცილო **პოზიციამდე** მისვლა შეეძლო მხოლოდ შუალედ დიპლომატიურ ჯგუფს, რუთ ფიშერ — მასლოვის ჯგუფს, რომელიც ცდილობს შეასუსტოს პარტიის ბრძოლა «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ და ამით **იხსნას** შოლემის ჯგუფი, დარტყმა ააცდინოს მას. ეს არის რუთ ფიშერის წინადადების ერთადერთი აზრი. მე ვფიქრობ, საფრანგეთშიც უნდა არსებობდეს ასეთი შუალედი დიპლომატიური ჯგუფი, რომელიც ცდილობს ალერსიანი სიტყვებით დაიფაროს საფრანგეთის კომპარტიის მემარჯვენე ელემენტები. ამიტომ შუალედ დიპლომატიურ ჯგუფებთან ბრძოლა როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის პარტიებში, მორიგ სადღეისო ამოცანას შეადგენს.

რუთ ფიშერი გვარწმუნებს, რომ გერმანიაში «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებამ შეიძლება მხოლოდ გაამწვავოს მდგომარეობა პარტიაში. მე ვფიქრობ, რომ რუთ ფიშერს სურს გააჭიანუროს კრიზისი გერმანიის კომპარტიაში, გაახანგრძლივოს იგი და გადააქციოს ქრონიკულ კრიზისად. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დავადგეთ რუთ ფიშერის გზას, მიუხედავად მთელი მისი დიპლომატიისა და ტკბილი სიტყვებისა პარტიაში მშვიდობის შესახებ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ გერმანიის პარტიაში უკვე ჩამოყალიბდნენ სერიოზული მარქსისტული ელემენტები. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის კომპარტიის ახლანდელი მუშური ბირთვი შეადგენს სწორედ იმ მარქსისტულ ბირთვს, რომელიც აუცილებლად საჭიროა გერმანიის კომპარტიისათვის. მხარი დაუჭიროს ამ ბირთვს და დაეხმაროს მას ყოველგვარ გადახრასთან, უწინარეს ყოვლისა «ულტრამემარცხენე» გადახრასთან ბრძოლაში, — ასეთია კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის ამოცანა. ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ რეზოლუცია გერმანიის «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ.

«პრავდა» № 40,
1926 წ. 18 თებერვალი.

კრებულ «ლენინიზმის საკითხების» [5] პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ამ კრებულის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად უნდა ჩაითვალოს ბროშურა «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» [6]. ეს ბროშურა პირველად გამოშვებულ იქნა თითქმის ორი წლის წინათ, 1924 წლის მაისში. ახლა იგი ამ კრებულში მეორე გამოცემად გამოდის. ამ ორ წელიწადში ბევრმა წყალმა ჩაიარა: პარტიამ განვლო ორი დისკუსია, გამოშვებულია მთელი რიგი ბროშურები და სახელმძღვანელოები ლენინიზმზე, დღის წესრიგში დადგა სოციალისტური მშენებლობის ახალი პრაქტიკული საკითხები. გასაგებია, რომ ამ ორ წელიწადში წამოჭრილი ახალი საკითხები, ისევე როგორც იმ დისკუსიათა შედეგები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბროშურის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ამ ბროშურაში. აგრეთვე გასაგებია, რომ ჩვენი მშენებლობის კონკრეტული საკითხები (ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სახელმწიფო კაპიტალიზმი, საშუალო გლეხობის საკითხი და სხვ.) არ შეიძლებოდა მთლიანად ყოფილიყო გაშუქებული პატარა ბროშურაში, რომელიც «ლენინიზმის საფუძვლების კონსპექტურ გადმოცემას» წარმოადგენს. ეს და ამის მსგავსი საკითხები შეიძლებოდა გაშუქებულიყო ავტორის

მხოლოდ მომდევნო ბროშურებში («ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა» [7], «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის» [8], «კითხვა-პასუხი» [9] და სხვ.), რომლებიც ამ კრებულში შევიდნენ და ორგანულად დაკავშირებული არიან თავდაპირველ ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებთან. ეს გარემოება სავსებით ამართლებს ამ კრებულის გამოსვლას, რომელიც, ამრიგად, წარმოადგენს ერთიან და მთლიან შრომას ლენინიზმის საკითხებზე.

უკანასკნელმა დისკუსიამ XIV პარტიულ ყრილობაზე შეაჯამა უკანასკნელ პერიოდში — XIII-დან XIV ყრილობამდე — პარტიის იდეოლოგიური და აღმშენებლობითი მუშაობის შედეგი. ამასთან ერთად მან მოგვცა «ახალი ოპოზიციის» მიერ თავის დროზე წამოყენებულ დებულებათა ერთგვარი შემოწმება. საკითხავია: როგორია ამ შემოწმების შედეგები?

ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის
საკითხებისათვის. მ. — ლ., 1926.

ლენინიზმის საკითხებისათვის

საკავშირო კ. პ. (ბ)
ლენინგრადის ორგანიზაციას
ვ უ ძ ღ ვ ნ ი

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

I

ლენინიზმის განსაზღვრა

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» მოცემულია ლენინიზმის ცნობილი განსაზღვრა, რომელმაც, როგორც ჩანს, მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. ეს განსაზღვრა ასეთია:

«ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით» [10].

სწორია თუ არა ეს განსაზღვრა?

მე ვფიქრობ, რომ სწორია. იგი სწორია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ სწორად მიუთითებს ლენინიზმის ისტორიულ ფესვებზე, ახასიათებს მას როგორც **იმპერიალიზმის ეპოქის** მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინის ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომელნიც უმართებულოდ ფიქრობენ, რომ ლენინიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ წარმოიშვა.

მეორეც, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათს, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, რომელსაც მიაჩნია, რომ ლენინიზმის გამოყენება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ნაციონალურ ვითარებაში. მესამეც, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის ორგანულ კავშირს მარქსის მოძღვრებასთან, ახასიათებს რა მას როგორც იმპერიალიზმის ეპოქის **მარქსიზმს,** წინააღმდეგ ლენინიზმის ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომელნიც თვლიან მას მარქსიზმის არა შემდგომ განვითარებად, არამედ მარქსიზმის მხოლოდ აღდგენად და რუსეთის სინამდვილეში მის გამოყენებად.

ყოველივე ეს თითქოს არ საჭიროებს განსაკუთრებულ კომენტარებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენს პარტიაში თურმე მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც საჭიროდ მიაჩნიათ რამდენადმე სხვანაირად განსაზღვრონ ლენინიზმი. აი, მაგალითად, ზინოვიევი ფიქრობს, რომ:

«ლენინიზმი არის იმპერიალისტური ომებისა და მსოფლიო რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი, მსოფლიო რევოლუციისა, რომელიც უშუალოდ დაიწყო იმ ქვეყანაში, სადაც ჭარბობს გლეხობა».

რას შეიძლება ნიშნავდეს ზინოვიევის მიერ ხაზგასმული სიტყვები? რას ნიშნავს ლენინიზმის განსაზღვრაში რუსეთის ჩამორჩენილობის, მისი გლეხური ხასიათის შეტანა?

ეს ნიშნავს გადააქციო ლენინიზმი ინტერნაციონალური პროლეტარული მოძღვრებიდან რუსეთის თავისებურების პროდუქტად.

ეს ნიშნავს ხელი შეუწყო ბაუერსა და კაუცკის, რომელნიც უარყოფენ ლენინიზმის გამოსადეგობას სხვა, კაპიტალისტურად უფრო განვითარებული, ქვეყნებისათვის.

თქმა არ უნდა, რომ რუსეთისათვის გლეხობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი ქვეყანა გლეხურია. მაგრამ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ფაქტს ლენინიზმის საფუძვლების დახასიათებისათვის? განა ლენინიზმი შემუშავდა მხოლოდ რუსეთის ნიადაგზე და რუსეთისათვის, და არა იმპერიალიზმის ნიადაგზე და საერთოდ იმპერიალისტური ქვეყნებისათვის? განა ლენინის ისეთ შრომებს, როგორიც არის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია»[11], «სახელმწიფო და რევოლუცია»[12], «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი»[13], ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში»[14] და სხვ., მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ რუსეთისათვის, და არა საერთოდ ყველა იმპერიალისტური ქვეყნისათვის? განა ლენინიზმი **ყველა** ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების განზოგადება არ არის? განა ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლები გამოსადეგი არ არის, სავალდებულო არ არის **ყველა** ქვეყნის პროლეტარული პარტიებისათვის? განა ლენინი მართალი არ იყო, როდესაც ამბობდა, «ბოლშევიზმი **ყველასათვის გამოსადეგია, როგორც ტაქტიკის ნიმუშიო»?** (იხ. ტ. XXIII, გვ. 386). განა ლენინი მართალი არ იყო, როდესაც ლაპარაკობდა «საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლების **საერთაშორისო მნიშვნელობაზე» *?** (იხ. ტ. XXV, გვ. 171—172). განა სწორი არ არის, მაგალითად, ლენინის შემდეგი სიტყვები:

«რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ზოგიერთი თავისებურებით მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მეტად დიდი ჩამორჩენილობისა და წვრილბურჟუაზიულობის გამო. მაგრამ ძირითადი ძალები — და საზოგადოებ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რივი მეურნეობის ძირითადი ფორმები — რუსეთში იგივეა, რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ასე რომ **ეს თავისებურებანი შეიძლება ეხებოდნენ მხოლოდ არა უმთავრესს»** * (იხ. ტ. XXIV, გვ. 508).

მაგრამ თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის განსაზღვრა, რომელსაც ზინოვიევი იძლევა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს?

როგორ შეიძლება ლენინიზმის ამ ნაციონალურ-შეზღუდული განსაზღვრის შეთავსება ინტერნაციონალიზმთან?

II

მთავარი ლენინიზმში

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ნათქვამია:

«ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმში ძირითადია გლეხობის საკითხი, რომ ლენინიზმის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს გლეხობის, მისი როლის, მისი ხვედრითი წონის საკითხი. ეს სრულებით არ არის სწორი. ძირითად საკითხს ლენინიზმში, მის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა გლეხობის საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის, მისი ბრძოლით მოპოვების პირობების, მისი განმტკიცების პირობების საკითხი. გლეხობის საკითხი, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, წარმოებული საკითხია» [15].

სწორია თუ არა ეს დებულება?

მე ვფიქრობ, რომ სწორია. ეს დებულება მთლიანად გამომდინარეობს ლენინიზმის განსაზღვრიდან. მართლაც, თუ ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, ხოლო პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს, — მაშინ ცხადია, რომ ლენინიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, ამ საკითხის

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დამუშავება, ამ საკითხის დასაბუთება და კონკრეტიზაცია.

მიუხედავად ამისა, ზინოვიევი, როგორც ჩანს, არ ეთანხმება ამ დებულებას. თავის სტატიაში «ლენინის ხსოვნას» ის ამბობს:

«გლეხობის როლის საკითხი, როგორც უკვე ვთქვი, წარმოადგენს ბოლშევიზმის, ლენინიზმის **ძირითად საკითხს**» *.

ზინოვიევის ეს დებულება, როგორც ხედავთ, მთლიანად გამომდინარეობს ლენინიზმის არასწორი განსაზღვრიდან, რომელსაც იძლევა ზინოვიევი. ამიტომ იგი ისევე არ არის სწორი, როგორც არ არის სწორი მის მიერ ლენინიზმის განსაზღვრა.

სწორია თუ არა ლენინის თეზისი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს «პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს»? (იხ. ტ. XXIII, გვ. 337). უთუოდ სწორია. სწორია თუ არა თეზისი იმის შესახებ, რომ ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა? მე ვფიქრობ, რომ სწორია. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის ძირითად საკითხს, მის გამოსავალ პუნქტს, მის საძირკველს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი.

განა სწორი არ არის, რომ იმპერიალიზმის საკითხი, იმპერიალიზმის განვითარების ნახტომისებური ხასიათის საკითხი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკითხი, ამ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის როლის საკითხი, სოციალიზმის მშენებლობის გზების საკითხი, — რომ ყველა ეს საკითხი სწორედ ლენინის მიერ არის დამუშავებული?

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

განა სწორი არ არის, რომ სახელდობრ ეს საკითხები შეადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის საფუძველს, საძირკველს? განა სწორი არ არის, რომ ამ ძირითადი საკითხების დაუმუშავებლად წარმოუდგენელი იქნებოდა გლეხობის საკითხის დამუშავება პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით?

თქმა არ უნდა, რომ ლენინი გლეხობის საკითხის მცოდნე იყო. თქმა არ უნდა, რომ გლეხობის საკითხს, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის საკითხს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატისათვის და რომ იგი წარმოადგენს ძირითადი საკითხის — პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შემადგენელ ნაწილს. მაგრამ განა ცხადი არ არის, ლენინიზმის წინაშე რომ არ მდგარიყო ძირითადი საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მაშინ აღარ იქნებოდა წარმოებული საკითხიც — პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, გლეხობის საკითხი? განა ცხადი არ არის, ლენინიზმის წინაშე რომ არ მდგარიყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პრაქტიკული საკითხი, მაშინ აღარ იქნებოდა გლეხობასთან კავშირის საკითხიც?

ლენინი არ იქნებოდა უდიდესი პროლეტარული იდეოლოგი, როგორიც ის, უეჭველად, არის, ის იქნებოდა უბრალო «გლეხური ფილოსოფოსი», როგორადაც მას ხშირად სახავენ საზღვარგარეთელი ლიტერატურული ობივატელები, მას რომ გლეხობის საკითხის დამუშავება ეწარმოებინა არა პროლეტარიატის დიქტატურის თეორიისა და ტაქტიკის ბაზაზე, არამედ ამ ბაზისაგან დამოუკიდებლად, ამ ბაზის გარეშე.

ორში ერთი:

ან ლენინიზმში მთავარია გლეხობის საკითხი, და მაშინ ლენინიზმი გამოუსადეგარია, სავალდებულო არ არის კა-

პიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვის, იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც გლეხური ქვეყნები არ არიან;

ან ლენინიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურა, და მაშინ ლენინიზმი წარმოადგენს ყველა ქვეყნის პროლეტარების ინტერნაციონალურ მოძღვრებას, რომელიც გამოსადეგი და სავალდებულოა უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისთვისაც.

აქ არჩევანია საჭირო.

III

«პერმანენტული» რევოლუციის საკითხი

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» «პერმანენტული რევოლუციის თეორია» შეფასებულია, როგორც გლეხობის როლის არასაკმაოდ შეფასების «თეორია». იქ ნათქვამია:

«მაშასადამე, ლენინი ებრძოდა «პერმანენტული» რევოლუციის მომხრეებს არა განუწყვეტლობის საკითხის გამო, ვინაიდან ლენინი თვითონ იდგა განუწყვეტელი რევოლუციის თვალსაზრისზე, არამედ იმიტომ, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის როლს, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის უდიდეს რეზერვს» [16].

რუსი «პერმანენტელების» ეს დახასიათება ბოლო დრომდე საყოველთაოდ მიღებულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, იგი, თუმცა საერთოდ სწორია, მაგრამ არ შეიძლება ამომწურავად იქნას მიჩნეული. 1924 წლის დისკუსიამ, ერთი მხრით, და ლენინის შრომების ზედმიწევნითმა ანალიზმა, მეორე მხრით, დაგვანახა, რომ რუსი «პერმანენტელების» შეცდომას შეადგენდა არა მარტო გლეხობის როლის შეუფასებლობა, არამედ გლეხობის გაძღოლის საქმეში პროლეტარიატის ძალებისა და უნარის

შეუფასებლობაც, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისადმი ურწმენობა.

ამიტომ ჩემს ბროშურაში «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა» (1924 წ. დეკემბერი) მე გავაფართოვე ეს დახასიათება და შევცვალე სხვა, უფრო სრული დახასიათებით. აი რა არის ნათქვამი ამ ბროშურაში:

«დღემდე ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის **ერთ** მხარეს — გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათადმი რწმენის უქონლობას. ახლა სამართლიანობა მოითხოვს ამ მხარეს მივუმატოთ **მეორე** მხარე — რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა» [17].

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ლენინიზმი წინააღმდეგი იყო ან წინააღმდეგია პერმანენტული რევოლუციის იდეისა, უბრჭყალებოდ, იდეისა, რომელიც მარქსმა წარსული საუკუნის ორმოციან წლებში წამოაყენა [18]. პირიქით. ლენინი იყო ერთადერთი მარქსისტი, რომელმაც სწორად გაიგო და განავითარა პერმანენტული რევოლუციის იდეა. ლენინის განსხვავება «პერმანენტელებისაგან» ამ საკითხში ის არის, რომ «პერმანენტელები» ამახინჯებდნენ მარქსის პერმანენტული რევოლუციის იდეას და გადააქციეს იგი უსიცოცხლო, მწიგნობრულ სიბრძნედ, მაშინ როდესაც ლენინმა ეს იდეა აიღო მისი წმინდა სახით და გახადა ერთ-ერთ საფუძვლად თავისი თეორიისა რევოლუციის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეა, რომელიც ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს წამოაყენა, არის მარქსის პერმანენტული რევოლუციის თეორიის განსახიერების ერთ-ერთი ფორმა. აი რას წერდა ამის შესახებ ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს:

«დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას, და სწორედ ჩვენი ძალის მიხედვით, შეგნებული და ორგა-

ნიზებული პროლეტარიატის ძალის მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. **ჩვენ მხარს ვუჭერთ განუწყვეტელ რევოლუციას** *. ჩვენ არ შევჩერდებით შუა გზაზე...

ისე, რომ არ გადავვარდეთ ავანტიურიზმში, არ ვუღალატოთ ჩვენს მეცნიერულ სინდისს, არ გამოვუდგეთ იაფფასიან პოპულარობას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ და ვამბობთ **მხოლოდ ერთს:** მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმარებით მთელ გლეხობას, რომ მან მოახდინოს დემოკრატიული რევოლუცია, **რათა მით უფრო გაგვიადვილდეს** ჩვენ, პროლეტარიატის პარტიას, გადასვლა რაც შეიძლება დაჩქარებით ახალ და უმაღლეს ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე» (იხ. ტ. VIII, გვ. 186 — 187).

ხოლო აი რას წერს ლენინი ამ თემაზე თექვსმეტი წლის შემდეგ, როდესაც პროლეტარიატმა უკვე დაიპყრო ძალაუფლება:

«კაუცკებმა, ჰილფერდინგებმა, მარტოვებმა, ჩერნოვებმა, ჰილკვიტებმა, ლონგეებმა, მაკდონალდებმა, ტურატებმა და «II½» მარქსიზმის დაბარჩენმა გმირებმა ვერ გაიგეს... თანაფარდობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციას შორის. **პირველი გადაიზრდება მეორეში** *. მეორე, გზადაგზა, წყვეტს პირველის საკითხებს. მეორე განამტკიცებს პირველის საქმეს. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა წყვეტს, თუ რამდენად ახერხებს მეორე გასცილდეს პირველს» (იხ. ტ. XXVII, გვ. 26).

მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ პირველ ციტატას, აღებულს ლენინის სტატიიდან «სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი», რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის 1 სექტემბერს. ამას ხაზს ვუსვამ იმათ საყურადღებოდ, ვინც კვლავ ამტკიცებს, ვითომც ლენინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეამდე, ესე იგი პერმანენტული რევოლუციის იდეამდე მისულიყოს იმპერიალისტური ომის შემდეგ. ეს ციტატა ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს ადამიანები ღრმად ცდებიან.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

IV

პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა

რაში მდგომარეობს პროლეტარული რევოლუციის დამახასიათებელი ნიშნები ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით?

პროლეტარულ რევოლუციასა და ბურჟუაზიულ რევოლუციას შორის განსხვავება შეიძლება განვსაზღვროთ ხუთი ძირითადი პუნქტით.

1) ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვეულებრივ იწყება მაშინ, როცა უკვე არსებობს კაპიტალისტური წყობის ცოტად თუ ბევრად მზა ფორმები, აღმოცენებული და მომწიფებული ჯერ კიდევ აშკარა რევოლუციამდე ფეოდალური საზოგადოების წიაღში, პროლეტარული რევოლუცია კი იწყება მაშინ, როცა არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს სოციალისტური წყობის მზა ფორმები.

2) ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითად ამოცანას შეადგენს ძალაუფლების დაპყრობა და მისი შეფარდება არსებულ ბურჟუაზიულ ეკონომიკასთან, პროლეტარული რევოლუციის ძირითად ამოცანას კი შეადგენს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ახალი, სოციალისტური ეკონომიკის აშენება.

3) ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვეულებრივ **მთავრდება** ძალაუფლების დაპყრობით, პროლეტარული რევოლუციისათვის კი ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს მხოლოდ **მის დასაწყისს**, ამასთან ძალაუფლება გამოიყენება როგორც ბერკეტი ძველი ეკონომიკის გარდაქმნისა და ახალი ეკონომიკის ორგანიზაციისათვის.

4) ბურჟუაზიული რევოლუცია სჯერდება იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომ ერთ ექსპლოატატორულ ჯგუფს ცვლის მეორე ექსპლოატატორული ჯგუფით, რის

გამო მას არ სჭირდება ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა, პროლეტარული რევოლუცია კი აძევებს ხელისუფლებიდან ყველა და ყოველგვარ ექსპლოატატორულ ჯგუფს და ხელისუფლების სათავეში აყენებს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბელადს, პროლეტარების კლასს, რის გამო მას არ შეუძლია არ დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფო მანქანა და არ შეცვალოს იგი ახლით.

5) ბურჟუაზიულ რევოლუციას არ შეუძლია რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდით შეამჭიდროოს ბურჟუაზიის გარშემო მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მილიონიანი მასები სწორედ იმიტომ, რომ ისინი მშრომელები და ექსპლოატირებულები არიან, პროლეტარულ რევოლუციას კი შეუძლია გააერთიანოს და კიდევაც უნდა გააერთიანოს ისინი პროლეტარიატთან ხანგრძლივ კავშირში სწორედ როგორც მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, თუ სურს შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა — პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებისა და ახალი, სოციალისტური ეკონომიკის აშენების ამოცანა.

აი ლენინის ზოგიერთი ძირითადი დებულება ამის შესახებ:

«ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის, — ამბობს ლენინი, — იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, რომელიც ფეოდალიზმიდან წარმოიშობა, ძველი წყობილების წიაღში თანდათან იქმნებიან ახალი ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებიც თანდათანობით ცვლიან ფეოდალური საზოგადოების ყველა მხარეს. ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა იყო — წინანდელი საზოგადოების ყველა ბორკილის დამსხვრევა, უკუგდება, განადგურება. ამ ამოცანის შესრულებით ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია ასრულებს ყველაფერს, რაც მას მოეთხოვება: იგი აძლიერებს კაპიტალიზმის ზრდას.

სულ სხვა მდგომარეობაშია სოციალისტური რევოლუცია. რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, რომელსაც, ისტორიის ზიგზაგების

გამო, მოუხდა სოციალისტური რევოლუციის დაწყება, მით უფრო ძნელია მისთვის ძველი კაპიტალისტური ურთიერთობიდან სოციალისტურ ურთიერთობაზე გადასვლა. აქ დანგრევის ამოცანებს ემატება ახალი, გაუგონარი სიძნელის ამოცანები — ორგანიზაციული ამოცანები» (იხ. ტ. XXII, გვ. 315).

«რუსეთის რევოლუციის ხალხურ შემოქმედებას, — განაგრძობს ლენინი, — რომელმაც გაიარა 1905 წლის დიადი გამოცდილება, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალში რომ არ შეექმნა საბჭოები, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდნენ ძალაუფლების აღებას ოქტომბერში, ვინაიდან წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ მოძრაობის უკვე მზა ორგანიზაციული ფორმების არსებობაზე, მოძრაობისა, რომელიც მილიონებს მოედო. ასეთი მზა ფორმა საბჭოები აღმოჩნდნენ, და ამიტომ პოლიტიკურ დარგში ჩვენ გველოდა ის ბრწყინვალე წარმატებანი, ის განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ვინაიდან პოლიტიკური ძალაუფლების ახალი ფორმა მზად იყო, და ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენოდა რამდენიმე დეკრეტით გადაგვექცია საბჭოების ძალაუფლება იმ ემბრიონალური მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფებოდა რევოლუციის პირველ თვეებში, კანონიერად აღიარებულ, რუსეთის სახელმწიფოში დამკვიდრებულ ფორმად — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკად» (იხ. ტ. XXII, გვ. 315).

«რჩებოდა კიდევ, — ამბობს ლენინი, — ორი, გიგანტური სიძნელის ამოცანა, რომელთა გადაჭრაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ტრიუმფალური მსვლელობა, როგორითაც მიდიოდა ჩვენი რევოლუცია პირველ თვეებში» (იხ. იქვე, გვ. 315).

«ჯერ-ერთი, ეს იყო შინაგანი ორგანიზაციის ამოცანები, რომელნიც ყოველი სოციალისტური რევოლუციის წინაშე დგანან. სოციალისტური რევოლუციის განსხვავება ბურჟუაზიულისაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეორე შემთხვევაში არის კაპიტალისტური ურთიერთობის მზა ფორმები, ხოლო საბჭოთა — პროლეტარული — ხელისუფლება ამ მზა ურთიერთობას არ იღებს, თუ არ ვიგულისხმებთ კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ფორმებს, რომელნიც, არსებითად, შოიცავენ მრეწველობის მხოლოდ მცირე ზედა ნაწილს და ჯერ კიდევ სულ ოდნავ შეეხნენ მიწათმოქმედებას. აღრიცხვის ორგანიზაცია, კონტროლი უდიდესი საწარმოებისადმი, მთელი სახელმწიფო ეკონომიური მექანიზმის გადაქცევა ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად, რომელიც ისე იმუშავებს, რომ ასეული მილიონი ადამიანი ხელმძღვანელობდეს ერთი გეგმით, — აი ის გიგანტური ორგანიზაციული

ამოცანა, რომელიც ჩვენ მხრებზე დაგვაწვა. შრომის ახლანდელი პირობების მიხედვით იგი არავითარ შემთხვევაში არ იწყნარებდა «ჯიქურად» გადაჭრას, მსგავსად იმისა, როგორც ვახერხებდით სამოქალაქო ომის ამოცანათა გადაჭრას» (იხ. იქვე, გვ. 316).

«მეორე გიგანტური სიძნელე... საერთაშორისო საკითხია. თუ ჩვენ ასე ადვილად გავუსწორდით კერენსკის ბანდებს, თუ ასე ადვილად შევქმენით ჩვენში ხელისუფლება, თუ ჩვენ სულ იოლად მივიღეთ დეკრეტი მიწის სოციალიზაციის, მუშათა კონტროლის შესახებ, — თუ ჩვენ ყოველივე ეს ასე ადვილად მივიღეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენდა საბედნიეროდ შექმნილმა პირობებმა მოკლე ხნით დაგვიფარეს საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან. საერთაშორისო იმპერიალიზმს, მისი კაპიტალის მთელი ძლიერებით, მისი უაღრესად ორგანიზებული სამხედრო ტექნიკით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალის ნამდვილ ძალას, ნამდვილ სიმაგრეს, არავითარ შემთხვევაში, არავითარ პირობებში არ შეეძლო შერიგებოდა საბჭოთა რესპუბლიკას, არც თავისი ობიექტური მდგომარეობით და არც იმ კაპიტალისტური კლასის ეკონომიური ინტერესების მიხედვით, რომელიც მასში იყო განსახიერებული, — არ შეეძლო სავაჭრო კავშირის, საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობის გამო. აქ კონფლიქტი გარდუვალია. აქ არის რუსეთის რევოლუციის უდიდესი სიძნელე, მისი უდიდესი ისტორიული პრობლემა: საერთაშორისო ამოცანების გადაჭრის აუცილებლობა, საერთაშორისო რევოლუციის გამოწვევის აუცილებლობა» (იხ. ტ. XXII, გვ. 317).

ასეთია პროლეტარული რევოლუციის შინაგანი ხასიათი და მისი დედააზრი.

განა შეიძლება ძველი, ბურჟუაზიული წესების ასე ძირფესვიანად გარდაქმნა ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე?

ცხადია, არ შეიძლება. ფიქრი, რომ ასეთი რევოლუციის მოხდენა შესაძლებელია მშვიდობიანად, ბურჟუაზიის ბატონობასთან შეგუებული ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებში, — ნიშნავს ან ჭკუაზე შეშლას და ნორმალური ადამიანური ცნებების დაკარგვას, ან პროლეტარულ რევოლუციაზე უხეშად და აშკარად უარის თქმას.

ამ დებულებას ხაზი უნდა გაესვას მით უფრო ძლიერად და მით უფრო მეტი კატეგორიულობით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პროლეტარულ რევოლუციასთან, რომელმაც ჯერჯერობით გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია მტრული კაპიტალისტური ქვეყნებით და რომლის ბურჟუაზიასაც არ შეიძლება არ დაეხმაროს საერთაშორისო კაპიტალი.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«დაჩაგრული კლასის განთავისუფლება შეუძლებელია არა მარტო ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე, **არამედ** სახელმწიფო ძალაუფლების იმ აპარატის **მოსპობის გარეშეც**, რომელიც შექმნილია გაბატონებული კლასის მიერ» (იხ. ტ. XXI, გვ. 373).

««დაე ჯერ, კერძო საკუთრების შენარჩუნების, ე. ი. კაპიტალის ძალაუფლებისა და მისგან ჩაგვრის შენარჩუნების, პირობებში მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის პარტიას, — მხოლოდ მაშინ შეუძლია მას აიღოს ძალაუფლება და კიდეც უნდა აიღოს», — **ასე ამბობენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, ბურჟუაზიის ფაქტიური მსახურნი, რომელნიც თავის თავს «სოციალისტებს» უწოდებენ»** * (იხ. ტ. XXIV, გვ. 647).

««დაე ჯერ რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაამხოს ბურჟუაზია, მოსპოს კაპიტალის უღელი, დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, — მაშინ შესძლებს გამარჯვებული პროლეტარიატი მშრომელი არაპროლეტარული მასების უმრავლესობის თანაგრძნობისა და დახმარების სწრაფად მოპოვებას, დააკმაყოფილებს რა მათ ექსპლოატატორთა ხარჯზე», — **ვამბობთ ჩვენ»** * (იხ. იქვე).

«მოსახლეობის უმრავლესობა რომ მიიმხროს, — განაგრძობს ლენინი, — ამისათვის პროლეტარიატმა, ჯერ-ერთი, უნდა დაამხოს ბურჟუაზია და ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ძალაუფლება; მეორეც, მან უნდა დაამყაროს საბჭოთა ხელისუფლება, ნამსხვრევებად უნდა აქციოს ძველი სახელმწიფო აპარატი, რითაც იგი ერთბაშად ძირს უთხრის არაპროლეტარულ მშრომელ მასებში ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებელთა ბატონობას, ავტორიტეტსა და გავლენას. მესამეც, მან **საბოლოოდ** უნდა **მოსპოს** ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებელთა გავლენა არაპროლეტარული

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

მშრომელი მასების **უმრავლესობაში მათი** ეკონომიური საჭიროებების **რევოლუციური** დაკმაყოფილებით **ექსპლოატატორთა ხარჯზე»** (იხ. იქვე, გვ. 641).

ასეთია პროლეტარული რევოლუციის დამახასიათებელი ნიშნები.

როგორია, ამასთან დაკავშირებით, პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ნიშნები, თუ აღიარებულია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს წარმოადგენს?

აი პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე ზოგადი განმარტება, რომელიც ლენინმა მოგვცა:

«პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის დასრულება როდია, არამედ მისი გაგრძელებაა ახალ ფორმებში. პროლეტარიატის დიქტატურა არის გამარჯვებული და პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხებულია, მაგრამ მოსპობილი, გამქრალი არ არის, რომელმაც არა თუ არ შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა, არამედ უფრო გააძლიერა იგი» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

ილაშქრებს რა პროლეტარიატის დიქტატურისა და «საერთო-სახალხო», «საერთო-არჩევითი» ხელისუფლების, «არაკლასობრივი» ხელისუფლების ერთმანეთში არევის წინააღმდეგ, ლენინი ამბობს:

«იმ კლასმა, რომელმაც თავის ხელში აიღო პოლიტიკური ბატონობა, აიღო ის იმის შეგნებით, რომ მას **მარტო*** იგი იღებს. ეს შედის პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაში. ამ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთმა კლასმა იცის, რომ იგი მარტო იღებს თავის ხელში პოლიტიკურ ძალაუფლებას და არ ატყუებს არც თავის თავს და არც სხვებს ლათაიებით «საერთო-სახალხო, საერთო-არჩევითი, მთელი ხალხის მიერ ნაკურთხი» ხელისუფლების შესახებ» (იხ. ტ. XXVI, გვ. 286).

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი კლასის, პროლეტართა კლასის ძალაუფლებას, რომელსაც იგი არ უნაწილებს

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

და ვერც გაუნაწილებს სხვა კლასებს, არ ესაჭიროება თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვა კლასთა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების დახმარება, კავშირი. პირიქით. ეს ძალაუფლება, ერთი კლასის ძალაუფლება, შეიძლება განმტკიცდეს და ბოლომდე გატარდეს პროლეტართა კლასსა და წვრილბურჟუაზიული კლასების მშრომელ მასებს, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის მშრომელ მასებს შორის კავშირის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმის გზით.

კავშირის რა განსაკუთრებული ფორმაა ეს, რაში მდგომარეობს იგი? ეს კავშირი სხვა, არაპროლეტარული კლასების მშრომელ მასებთან საერთოდ ხომ არ ეწინააღმდეგება ერთი კლასის დიქტატურის იდეას?

იგი, კავშირის ეს განსაკუთრებული ფორმა, იმაში მდგომარეობს, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენს. იგი, კავშირის ეს განსაკუთრებული ფორმა, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელს, ხელმძღვანელს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში წარმოადგენს **ერთი** პარტია, პროლეტარიატის პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც **არ უნაწილებს და ვერც გაუნაწილებს** ხელმძღვანელობას სხვა პარტიებს.

როგორც ხედავთ, წინააღმდეგობა აქ მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითია.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის **განსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა*** პროლეტარიატსა — მშრომელთა ავანგარდსა — და მშრომელთა მრავალრიცხოვან არაპროლეტარულ ფენებს (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათს უმრავლესობას შორის, კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრული დამხობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მის მხრივ რესტავრაციის ცდების სრული დათრგუნვის მიზნით, კავშირისა სოციალიზმის საბო-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ლოდ შექმნის და განმტკიცების მიზნით. ეს განსაკუთრებული სახის კავშირია, რომელიც იქმნება განსაკუთრებულ ვითარებაში, სახელდობრ, გააფთრებული სამოქალაქო ომის ვითარებაში, ეს არის სოციალიზმის მტკიცე მომხრეების კავშირი მის მერყევ მოკავშირეებთან, ზოგჯერ «ნეიტრალურ» მოკავშირეებთან (მაშინ შეთანხმებიდან ბრძოლის შესახებ კავშირი ხდება შეთანხმებად ნეიტრალიტეტის შესახებ), ეს არის **კავშირი ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად, ხულიერად სხვადასხვაგვარ კლასებს შორის»** * (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

ერთ-ერთ თავის საინსტრუქციო მოხსენებაში კამენევი, ილაშქრებს რა პროლეტარიატის დიქტატურის ასეთი გაგების წინააღმდეგ, ამბობს:

«დიქტატურა **არ არის** * ერთი კლასის კავშირი მეორესთან».

მე ვფიქრობ, რომ აქ კამენევს მხედველობაში აქვს, უწინარეს ყოვლისა, ერთი ადგილი ჩემი ბროშურიდან «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა», სადაც ნათქვამია:

«პროლეტარიატის დიქტატურა არ არის უბრალო მმართველი ზედაფენა, «გამოცდილი სტრატეგის» მზრუნველი ხელით «მოხერხებულად» «შერჩეული» და მოსახლეობის ამა თუ იმ ფენაზე «გონივრულად დაყრდნობილი». პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირი კაპიტალის დასამხობად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, იმ პირობით, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი» [19].

მე სავსებით ვუჭერ მხარს პროლეტარიატის დიქტატურის ასეთ ფორმულირებას, ვინაიდან ვფიქრობ, რომ იგი მთლიანად და სავსებით ეთანხმება ლენინის ზემომოყვანილ ფორმულირებას.

მე ვამტკიცებ, რომ კამენევის ასეთი კატეგორიული ფორმით მოცემულ განცხადებას იმის შესახებ, რომ «დიქტატურა **არ არის** ერთი კლასის კავშირი მეორესთან»,

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს ტ.

არაფერი აქვს საერთო პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ თეორიასთან.

მე ვამტკიცებ, რომ ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ კავშირის იდეის, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის იდეის აზრი, ამ კავშირში პროლეტარიატის **ჰეგემონიის** იდეის აზრი.

ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ:

«მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას * შეუძლია იხსნას სოციალისტური რევოლუცია რუსეთში, სანამ რევოლუცია სხვა ქვეყნებში არ დაწყებულა» (იხ. ტ. XXVI, გვ. 238).

ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ:

«დიქტატურის უმაღლესი პრინციპი * არის გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შენარჩუნება, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება» (იხ. იქვე, გვ. 460).

ლენინი, აღნიშნავს რა დიქტატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, ექსპლოატატორთა დათრგუნვის მიზანს, ამბობს:

«დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არას ნიშნავს, თუ არა ისეთ ხელისუფლებას, რომელიც არ არის შეზღუდული არაფრით, არავითარი კანონით, აბსოლუტურად არავითარი წესით, და უშუალოდ ემყარება ძალდატანებას» (იხ. ტ. XXV, გვ. 441).

«დიქტატურა ნიშნავს — მიიღეთ ეს ცნობად ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო კადეტებო, — ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ შეუზღუდველ ძალაუფლებას. სამოქალაქო ომის დროს ყოველი გამარჯვებული ძალაუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა» (იხ. ტ. XXV, გვ. 436).

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ძალდატანებით, თუმცა დიქტატურა ძალდატანების გარეშე შეუძლებელია.

«დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — ნიშნავს არა მარტო ძალდატანებას, თუმცა ძალდატანების გარეშე იგი შეუძლებელია, იგი ნიშნავს აგრეთვე შრომის უფრო მაღალ ორგანიზაციას, ვიდრე წინათ იყო» (იხ. ტ. XXIV, გვ. 305).

«პროლეტარიატის დიქტატურა... არ არის მხოლოდ ძალდატანება ექსპლოატატორების მიმართ და არც უმთავრესად ძალდატანებაა. ამ რევოლუციური ძალდატანების ეკონომიურ საფუძველს, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და წარმატების საწინდარს წარმოადგენს ის, რომ პროლეტარიატი განასახიერებს და ახორციელებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს, კაპიტალიზმთან შედარებით. ამაშია დედაარსი. ამაშია კომუნიზმის ძლიერების წყარო და მისი აუცილებელი სრული გამარჯვების საწინდარი» (იხ. ტ. XXIV, გვ. 335 — 336).

«მისი (ე. ი. დიქტატურის. ი. სტ.) მთავარი დედაარსი მდგომარეობს მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის — პროლეტარიატის ორგანიზებულობასა და დისციპლინიანობაში. მისი მიზანია სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისათვის ნიადაგის გამოცლა. ამ მიზნის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია, იგი მოითხოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, — იმიტომაც, რომ წარმოების გარდაქმნა ძნელი საქმეა, იმიტომაც, რომ ცხოვრების ყველა დარგში ძირეულ ცვლილებათა მოსახდენად საჭიროა დრო, იმიტომაც, რომ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული სამეურნეო საქმიანობისადმი შეჩვევის უდიდესი ძალის დაძლევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლით. ამიტომაც ლაპარაკობს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის მთელი პერიოდის, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდის, შესახებ» (იხ. იქვე, გვ. 314).

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ნიშნები.

აქედან წარმოსდგება პროლეტარიატის დიქტატურის სამი ძირითადი მხარე.

1) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ექსპლოატატორთა დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის.

2) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საბოლოო ჩამოშორებისათვის ბურჟუაზიისაგან, ამ მასებთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის საქმეში ამ მასების ჩაბმისათვის, პროლეტარიატის მხრივ ამ მასების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისათვის.

3) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში, სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლისათვის.

პროლეტარული დიქტატურა სამივე ამ მხარის შეერთებაა. არც ერთი ეს მხარე არ შეიძლება წამოყენებულ იქნას როგორც პროლეტარიატის დიქტატურის **ერთადერთი** დამახასიათებელი ნიშანი, და, პირიქით, საკმარისია ამ ნიშანთაგან თუნდაც ერთი დააკლდეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა უკვე აღარ იყოს დიქტატურა კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. ამიტომ ამ სამი მხარიდან არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება, თუ არ გვინდა დავამახინჯოთ პროლეტარიატის დიქტატურის ცნება. მხოლოდ სამივე ეს მხარე, ერთად აღებული, გვაძლევს პროლეტარიატის დიქტატურის სრულ და დამთავრებულ ცნებას.

პროლეტარიატის დიქტატურას აქვს თავისი პერიოდები, თავისი განსაკუთრებული ფორმები, მუშაობის სხვა-

დასხვაგვარი მეთოდები. სამოქალაქო ომის პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევია დიქტატურის ძალდატანებითი მხარე. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში არავითარი აღმშენებლობითი მუშაობა არ წარმოებს. აღმშენებლობითი მუშაობის გარეშე სამოქალაქო ომის წარმოება შეუძლებელია. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კი, პირიქით, განსაკუთრებით შესამჩნევია დიქტატურის მშვიდობიანი, ორგანიზატორული, კულტურული მუშაობა, რევოლუციური კანონიერება და სხვ. მაგრამ აქედანაც სრულიად არ გამომდინარეობს, რომ დიქტატურის ძალდატანებითი მხარე მოიხსნა ან შეიძლება მოიხსნას მშენებლობის პერიოდში. დათრგუნვის ორგანოები, არმია და სხვა ორგანიზაციები, ისევე აუცილებელია ახლა, მშენებლობის მომენტში, როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში. ამ ორგანოების არსებობის გარეშე შეუძლებელია დიქტატურის ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი აღმშენებლობითი მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუციამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იქნება ინტერვენციის საფრთხეც, ამ საფრთხიდან გამომდინარე ყველა შედეგით.

V

პარტია და მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში

ზემოთ მე ვლაპარაკობდი პროლეტარიატის დიქტატურაზე მისი ისტორიული აუცილებლობის თვალსაზრისით, მისი კლასობრივი შინაარსის თვალსაზრისით, მისი სახელმწიფოებრივი ბუნების თვალსაზრისით, ბოლოს, მისი იმ

ნგრევითი და შემოქმედებითი ამოცანების თვალსაზრისით, რომლებსაც იგი ასრულებს მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, რასაც ეწოდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი.

ახლა უნდა ვილაპარაკოთ პროლეტარიატის დიქტატურაზე მისი აგებულების თვალსაზრისით, მისი «მექანიზმის» თვალსაზრისით, იმ «ამძრავი ღვედების», «ბერკეტებისა» და «წარმმართავი ძალის» როლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელთა ერთობლიობა შეადგენს «პროლეტარიატის დიქტატურის სისტემას» **(ლენინი)** და რომელთა დახმარებითაც ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის ყოველდღიური მუშაობა.

ეს რა «ამძრავი ღვედები» და «ბერკეტებია» პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში? ეს რა «წარმმართავი ძალაა»? რისთვის გახდნენ ისინი საჭირო?

ბერკეტები ან ამძრავი ღვედები პროლეტარიატის ის მასობრივი ორგანიზაციები არიან, რომელთა დაუხმარებლადაც შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება.

წარმმართავი ძალა პროლეტარიატის მოწინავე რაზმია, მისი ავანგარდია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს.

ეს ამძრავი ღვედები, ბერკეტები და წარმმართავი ძალა პროლეტარიატს ესაჭიროება იმიტომ, რომ უიმათოდ იგი გამარჯვებისათვის ბრძოლაში დაემსგავსებოდა უიარაღო არმიას ორგანიზებული და შეიარაღებული კაპიტალის წინაშე. ეს ორგანიზაციები პროლეტარიატს ესაჭიროება იმიტომ, რომ უიმათოდ იგი აუცილებლად დამარცხდებოდა ბურჟუაზიის დამხობისათვის ბრძოლაში, თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ამ ორგანიზაციების სისტემატური დახმარება და ავანგარდის წარმმართავი ძალა საჭიროა იმიტომ, რომ ამ პირობების გარეშე შეუძლებე-

ლია პროლეტარიატის რამდენადმე ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა.

რა ორგანიზაციებია ეს?

ეს არის, ჯერ-ერთი, მუშათა **პროფკავშირები,** თავიანთი განშტოებებით ცენტრში და ადგილებზე მთელი რიგი საწარმოო, კულტურული, აღმზრდელობითი და სხვა ორგანიზაციების სახით. ისინი აერთიანებენ ყველა პროფესიის მუშებს. ეს არაპარტიული ორგანიზაციაა. პროფკავშირებს შეიძლება ეწოდოს ჩვენში გაბატონებული მუშათა კლასის საყოველთაო ორგანიზაცია. ისინი წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას. ისინი თავისი წრიდან გამოყოფენ საუკეთესო ადამიანებს ხელმძღვანელი მუშაობისათვის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ისინი ახორციელებენ კავშირს მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს შორის მუშათა კლასის შემადგენლობაში. ისინი აკავშირებენ მუშათა მასებს მუშათა კლასის ავანგარდთან.

მეორეც, ეს არის **საბჭოები,** თავიანთი მრავალრიცხოვანი განშტოებებით ცენტრში და ადგილებზე ადმინისტრაციული, სამეურნეო, სამხედრო, კულტურული და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების სახით, პლუს მშრომელთა ურიცხვი მასობრივი ნებაყოფლობითი გაერთიანებანი, რომელნიც გარს არტყიან ამ ორგანიზაციებს და აკავშირებენ მათ მოსახლეობასთან. საბჭოები ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციაა. ეს არაპარტიული ორგანიზაციაა. საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის პირდაპირი გამოხატულებაა. საბჭოების მეშვეობით ტარდება დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობის ყველა და ყოველგვარი ღონისძიება. საბჭოების მეშვეობით ხორციელდება პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა გლეხობის მიმართ. საბჭოები აკავშირებენ

მშრომელთა მილიონიან მასებს პროლეტარიატის ავანგარდთან.

მესამეც, ეს არის ყველა სახის **კოოპერაცია** მთელი თავისი განშტოებებით. ეს არის მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, ორგანიზაცია არაპარტიული, რომელიც აერთიანებს მათ, უწინარეს ყოვლისა, როგორც მომხმარებლებს, და აგრეთვე, დროთა მსვლელობაში, როგორც მწარმოებლებსაც (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია). მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, ფართო მშენებლობის პერიოდში. იგი აადვილებს პროლეტარიატის ავანგარდის კავშირს გლეხობის მასებთან და ქმნის სოციალისტური მშენებლობის ფერხულში უკანასკნელთა ჩაბმის შესაძლებლობას.

მეოთხეც, ეს არის **ახალგაზრდობის კავშირი**. ეს არის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია, ორგანიზაცია არაპარტიული, მაგრამ პარტიასთან შეკავშირებული. მისი ამოცანაა დაეხმაროს პარტიას სოციალიზმის სულისკვეთებით ახალი თაობის აღზრდის საქმეში. იგი იძლევა ახალგაზრდა რეზერვებს პროლეტარიატის ყველა დანარჩენი მასობრივი ორგანიზაციისათვის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ახალგაზრდობის კავშირმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, პროლეტარიატის ფართო კულტურული და აღმშრდელობითი მუშაობის პერიოდში.

ეს არის, ბოლოს, პროლეტარიატის **პარტია**, მისი ავანგარდი. პარტიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის რიგებში იკრებს პროლეტარიატის ყველა საუკეთესო ადამიანს ყველა მისი მასობრივი ორგანიზაციიდან. მისი დანიშნულება ისაა, რომ **გააერთიანოს** პროლეტარიატის უკლებლივ ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობა და

წარმართოს მათი მოქმედება ერთი მიზნისაკენ, პროლეტარიატის განთავისუფლების მიზნისაკენ. ხოლო მათი გაერთიანება და ერთი მიზნის ხაზით წარმართვა აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია პროლეტარიატის ბრძოლის ერთიანობა, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია პროლეტარული მასების ხელმძღვანელობა მათს ბრძოლაში ძალაუფლებისათვის, მათს ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის. მაგრამ პროლეტარიატის მასობრივ ორგანიზაციათა მუშაობის გაერთიანება და წარმართვა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის ავანგარდს, მის პარტიას. მხოლოდ პროლეტარიატის პარტიას, მხოლოდ კომუნისტების პარტიას შესწევს უნარი შეასრულოს ეს როლი ძირითადი ხელმძღვანელისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

რატომ?

«ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პარტია არის მუშათა კლასის იმ საუკეთესო ელემენტების შესაკრები პუნქტი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ პროლეტარიატის უპარტიო ორგანიზაციებთან და რომელნიც ძალიან ხშირად ხელმძღვანელობას უწევენ მათ; მეორეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების შესაკრები პუნქტი, არის საუკეთესო სკოლა მუშათა კლასის ისეთი ლიდერების მოსამზადებლად, რომლებიც შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ თავიანთი კლასის ორგანიზაციის ყველა ფორმას; მესამეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის ლიდერების საუკეთესო სკოლა, თავისი გამოცდილებით და ავტორიტეტით არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და, ამრიგად, მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარი უპარტიო ორგანიზაციის გადაქცევა მომსახურე ორგანოებად და ამძრავ ღვედებად, რომლებიც აკავშირებენ მას კლასთან» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» [20]).

პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

«პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი გაერთიანების უმაღლესი ფორმა» **(ლენინი).**

ამრიგად: **პროფკავშირები,** როგორც პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს კლასთან, უწინარეს ყოვლისა საწარმოო ხაზით; **საბჭოები,** როგორც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს პარტიას ამ მშრომელებთან, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი ხაზით; **კოოპერაცია,** როგორც მასობრივი ორგანიზაცია, უმთავრესად გლეხობის ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს გლეხთა მასებთან, უწინარეს ყოვლისა სამეურნეო ხაზით, სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის ხაზით; **ახალგაზრდობის კავშირი,** როგორც მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გაუადვილოს პროლეტარიატის ავანგარდს ახალი თაობის სოციალისტურად აღზრდა და ახალგაზრდა რეზერვების გამომუშავება; და, ბოლოს, **პარტია,** როგორც ძირითადი წარმმართავი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ყველა ამ მასობრივ ორგანიზაციას, — ასეთია ზოგადად დიქტატურის «მექანიზმის» სურათი, «პროლეტარიატის დიქტატურის სისტემის» სურათი.

პარტიის, როგორც ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა.

ამრიგად, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, «გამოდის, საერთოდ და მთლიანად, ფორმალურად არა კომუნისტური, მოქნილი და შედარებით ფართო, მეტად მძლავრი, პროლეტარული, აპარატი, რომლის საშუალებითაც პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული **კლასთან** და **მასასთან** და რომლის საშუალებითაც, პარტიის ხელმძღვანელობით,

ხორციელდება **კლასის დიქტატურა»** (იხ. ტ. XXV, გვ. 192).

ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ პარტიას შეუძლია ან ვალდებულია შეცვალოს პროფკავშირები, საბჭოები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი ახორციელებს მას არა უშუალოდ, არამედ პროფკავშირების დახმარებით, საბჭოებისა და მათი განშტოებების მეშვეობით. ამ «ამძრავი ღვედების» გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ცოტად თუ ბევრად მტკიცე დიქტატურა.

«შეუძლებელია, — ამბობს ლენინი, — დიქტატურის განხორციელება, თუ არ იქნა რამდენიმე «ამძრავი ღვედი» ავანგარდიდან მოწინავე კლასის მასისაკენ, მისგან მშრომელთა მასისაკენ» (იხ. ტ. XXVI, გვ. 65).

«პარტია, ასე ვთქვათ, იკრებს თავის რიგებში პროლეტარიატის ავანგარდს, და ეს ავანგარდი ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. და თუ არ იქნა ისეთი საძირკველი, როგორიც არიან პროფკავშირები, შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება, შეუძლებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება. მათი განხორციელება კი გვიხდება ისევ და ისევ რაღაც ახალი ტიპის მთელი რიგი განსაკუთრებული დაწესებულებების **მეშვეობით** *, სახელდობრ: საბჭოთა აპარატის **მეშვეობით»** * (იხ. ტ. XXVI, გვ. 64).

პარტიის ხელმძღვანელი როლის უმაღლეს გამოხატულებად, მაგალითად, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი საბჭოთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციები არ წყვეტენ არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს პარტიისაგან სახელმძღვანელო მითითებათა მიუღებლად. **ამ აზრით** შეიძლებოდა გვეთქვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, **არსებითად**, არის მისი ავანგარდის «დიქტატურა», მისი პარტიის, როგორც პროლეტარიატის ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, «დიქ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ტატურა». აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი კომინტერნის II კონგრესზე [21]:

«ტენერი ამბობს, რომ იგი პროლეტარიატის დიქტატურის მოხრეა, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა მას ცოტა სხვანაირად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე ის გვაქვს წარმოდგენილი ჩვენ. იგი ამბობს, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა **არსებითად** * გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა.

და მართლაც, კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც მუშათა მასები განუწყვეტელ ექსპლოატაციას განიცდიან და მოკლებული არიან თავისი ადამიანური ნიჭის განვითარების საშუალებას, მუშათა პოლიტიკური პარტიების ყველაზე დამახასიათებელია სწორედ ის, რომ მათ შეუძლიათ მოიცვან თავისი კლასის მხოლოდ უმცირესობა. პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გააერთიანოს კლასის მხოლოდ უმცირესობა, ისევე, როგორც ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნამდვილად შეგნებული მუშები ყველა მუშების მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამ შეგნებულ უმცირესობას შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა ფართო მასებს და თან გაიყოლიოს ისინი. და თუ ამხ. ტენერი ამბობს, რომ ის პარტიის მტერია, მაგრამ ამავე დროს იმის მომხრეა, რომ ყველაზე უკეთ ორგანიზებული და ყველაზე რევოლუციური მუშების უმცირესობა უჩვენებდეს გზას მთელ პროლეტარიატს, მე ვამბობ, რომ ჩვენს შორის ნამდვილად არ არის განსხვავება» (იხ. ტ. XXV, გვ. 347).

მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურასა და პარტიის ხელმძღვანელ როლს (პარტიის «დიქტატურას») შორის შეიძლება **ტოლობის ნიშნის** გაესვას, რომ შეიძლება პირველის **გაიგივება** მეორესთან, რომ შეიძლება პირველის **შეცვლა** მეორით. აი, მაგალითად, სორინი ამბობს, რომ **«პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენი პარტიის დიქტატურაა»**. ეს დებულება, როგორც ხედავთ, აიგივებს «პარტიის დიქტატურას» პროლეტარიატის დიქტატურასთან. შეიძლება თუ არა, თუ ლენინიზმის ნიადაგზე დავრჩებით, მართებულად ვცნოთ ეს გაიგივება? არა, არ შეიძლება. და აი რატომ.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ჯერ-ერთი. ლენინის მიერ კომინტერნის II კონგრესზე წარმოთქმული სიტყვიდან ზემომოყვანილ ციტატაში ლენინი სრულიადაც არ აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან. იგი მარტო იმას ამბობს, რომ «მხოლოდ შეგნებულ უმცირესობას (ე. ი. პარტიას. **ი. სტ.**) შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა ფართო მასებს და თან გაიყოლიოს ისინი», რომ **სწორედ ამ აზრით** «ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა, **არსებითად** *, გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა».

სთქვა — «არსებითად» კიდევ არ ნიშნავს სთქვა — «სავსებით». ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი, არსებითად, გლეხობის საკითხია. და ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გლეხობის საკითხი ფარავს ნაციონალურ საკითხს, რომ გლეხობის საკითხი თავისი მოცულობით უდრის ნაციონალურ საკითხს, რომ გლეხობის საკითხი გაიგივებულია ნაციონალურ საკითხთან. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ნაციონალური საკითხი თავისი მოცულობით გლეხობის საკითხზე უფრო ფართო და მდიდარია. ამის ანალოგიით, იგივე უნდა ითქვას პარტიის ხელმძღვანელი როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. თუ პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, და ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა, **არსებითად**, წარმოადგენს მისი პარტიის «დიქტატურას», ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ «პარტიის დიქტატურა» (ხელმძღვანელი როლი) **იგივეა**, რაც პროლეტარიატის დიქტატურა, რომ თავისი მოცულობით პირველი **უდრის** მეორეს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატის დიქტატურა თავისი მოცულობით პარტიის ხელმძღვანელ როლზე უფრო ფართო და მდიდარია.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ იგი ახორციელებს **პროლეტარიატის** დიქტატურას და არა სხვა რაიმე დიქტატურას. ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის პროლეტარიატის დიქტატურას ცვლის პარტიის «დიქტატურით».

მეორეც. პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ ხორციელდება პარტიის მხრივ სახელმძღვანელო მითითებათა გარეშე. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა პარტიის სახელმძღვანელო მითითებებით **ამოიწურება**? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, ამის გამო, შეიძლება პარტიის სახელმძღვანელო მითითებათა გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. პროლეტარიატის დიქტატურა შესდგება პარტიის სახელმძღვანელო მითითებათაგან, პლუს ამ მითითებათა განხორციელება პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების მიერ, პლუს მათი განხორციელება მოსახლეობის მიერ. აქ, როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს მთელ რიგ გადასვლებთან და შუალედ საფეხურებთან, რომელნიც შეადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის სრულიადაც არა მცირემნიშვნელოვან მომენტს. მაშასადამე, პარტიის სახელმძღვანელო მითითებებსა და მათ განხორციელებას შორის მოქცეულია იმათი ნება და მოქმედება, რომელთაც ხელმძღვანელობენ, კლასის ნება და მოქმედება, მისი მზადყოფნა (ან არნდომა) მხარი დაუჭიროს ამ მითითებებს, მისი უნარი (ან უუნარობა) განახორციელოს ეს მითითებანი, მისი უნარი (ან უუნარობა) განახორციელოს ისინი სწორედ ისე, როგორც ამას ვითარება მოითხოვს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტიას, რომელმაც იკისრა ხელმძღვანელობა, არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს

იმათ ნებას, მდგომარეობას და შეგნების დონეს, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს, არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს თავისი კლასის ნება, მდგომარეობა და შეგნების დონე. ამიტომ, ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის ცვლის კლასის ნებისყოფას და მოქმედებას პარტიის მითითებებით.

მესამეც. «პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის გამარჯვებული და პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311). რით შეიძლება გამოიხატოს ეს **კლასობრივი** ბრძოლა? იგი შეიძლება გამოიხატოს პროლეტარიატის მთელი რიგი შეიარაღებული გამოსვლებით დამხობილი ბურჟუაზიის გამოხდომათა წინააღმდეგ ან უცხოეთის ბურჟუაზიის ინტერვენციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება გამოიხატოს სამოქალაქო ომით, თუ პროლეტარიატის ხელისუფლება ჯერ კიდევ განმტკიცებული არ არის. იგი შეიძლება გამოიხატოს პროლეტარიატის ფართო ორგანიზატორული და აღმშენებლობითი მუშაობით, საქმეში ფართო მასების ჩაბმით, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება უკვე განმტკიცდა. ყველა ამ შემთხვევაში მოქმედ პირს წარმოადგენს პროლეტარიატი როგორც **კლასი**. არ მომხდარა, რომ პარტიას, მარტო პარტიას, მოეწყო ყველა ეს გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებით, კლასის დაუხმარებლად. ჩვეულებრივ პარტია მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევს ამ გამოსვლებს, და ხელმძღვანელობას უწევს იმდენად, რამდენადაც მას მხარს უჭერს კლასი. ვინაიდან პარტიას არ შეუძლია დაფაროს, არ შეუძლია შეცვალოს კლასი. ვინაიდან პარტია, მიუხედავად მთელი მისი მნიშვნელოვანი, ხელმძღვანელი როლისა, მაინც რჩება კლასის **ნაწილად**. ამიტომ, ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს

პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის კლასს ცვლის პარტიით.

მეოთხეც. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. «პარტია პროლეტარიატის უშუალო მმართველი ავანგარდია, იგი ხელმძღვანელია» (**ლენინი**) [22]. ამ აზრით, პარტია **ხელთ იღებს** ძალაუფლებას, პარტია **მართავს ქვეყანას**. მაგრამ ეს ისე როდი უნდა გვესმოდეს, რომ პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას სახელმწიფო ხელისუფლების გვერდის ავლით, სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე, რომ პარტია მართავს ქვეყანას საბჭოების გვერდის ავლით, არა საბჭოების მეშვეობით. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შეიძლება პარტიის გაიგივება საბჭოებთან, სახელმწიფო ხელისუფლებასთან. პარტია არის ძალაუფლების ბირთვი. მაგრამ იგი არ არის სახელმწიფო ხელისუფლება და არც შეიძლება გაიგივებულ იქნას მასთან.

«როგორც მმართველ პარტიას, — ამბობს ლენინი, — ჩვენ არ შეგვეძლო საბჭოთა «ზედაფენები» არ შეგვედუღებინა პარტიულ «ზედაფენებთან», — ისინი ჩვენში შედუღებული არიან და ასეთივე დარჩებიან» (იხ. ტ. XXVI, გვ. 208). ეს სავსებით სწორია. მაგრამ ამით ლენინს სრულიადაც არ სურს თქვას, რომ მთლიანად ჩვენი საბჭოთა დაწესებულებანი, მაგალითად, ჩვენი არმია, ჩვენი ტრანსპორტი, ჩვენი სამეურნეო დაწესებულებანი და სხვ., წარმოადგენენ ჩვენი პარტიის დაწესებულებებს, რომ პარტიას შეუძლია საბჭოებისა და მათი განშტოებების შეცვლა, რომ შეიძლება პარტიის გაიგივება სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ «საბჭოების სისტემა არის პროლეტარიატის დიქტატურა», რომ «საბჭოთა ხელისუფლება არის პროლეტარიატის დიქტატურა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 15 და 14), მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ პარტია არის სახელმწი-

ფო ხელისუფლება, რომ საბჭოები და პარტია ერთი და იგივეა. პარტია, რომელსაც რამდენიმე ასეული ათასი წევრი ჰყავს, ხელმძღვანელობას უწევს საბჭოებს და მათს განწყობებს ცენტრში და ადგილებზე, რომლებიც აერთიანებენ ათეულმილიონობით ადამიანს, პარტიულსა და უპარტიოს, მაგრამ პარტიას არ შეუძლია და არც უნდა გასწიოს მათი მაგიერობა. აი რატომ ამბობს ლენინი, რომ «დიქტატურას ახორციელებს საბჭოებში ორგანიზებული პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა», რომ «პარტიის მთელი მუშაობა ხორციელდება საბჭოების **მეშვეობით** *, რომლებიც აერთიანებენ მშრომელთა მასებს განურჩევლად პროფესიისა» (იხ. ტ. XXV, გვ. 192 და 193), რომ დიქტატურის «განხორციელება გვიხდება... საბჭოთა აპარატის **მეშვეობით**» * (იხ. ტ. XXVI, გვ. 64). ამიტომ, ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, იგი საბჭოებს, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლებას, ცვლის პარტიით.

მეხუთეც. პროლეტარიატის დიქტატურის ცნება სახელმწიფოებრივი ცნებაა. პროლეტარიატის დიქტატურა უთუოდ შეიცავს ძალდატანების ცნებას. ძალდატანების გარეშე არ არსებობს დიქტატურა, თუ დიქტატურას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გავიგებთ. ლენინი განსაზღვრავს პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც «ხელისუფლებას, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა **ძალდატანებას**» (იხ. ტ. XIX, გვ. 315). ამის გამო ლაპარაკი პარტიის დიქტატურაზე **პროლეტარების კლასის მიმართ** და მისი გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან — ნიშნავს ლაპარაკს იმის შესახებ, რომ პარტია უნდა იყოს თავისი კლასის მიმართ არა მარტო ხელმძღვანელი, არა მარტო ბელადი და მასწავლებელი, არამედ ერთგვარი დიქტატო-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რიც, რომელიც მის მიმართ იყენებს ძალდატანებას, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ არის სწორი. ამიტომ, ვინც აიგივებს «პარტიის დიქტატურას» პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის მდუმარედ გამოდის იქიდან, რომ პარტიის ავტორიტეტის აგება შეიძლება ძალდატანებაზე მუშათა კლასის მიმართ, რაც აბსურდია და რაც სრულიად შეუთავსებელია ლენინიზმთან. პარტიის ავტორიტეტი ემყარება მუშათა კლასის ნდობას. ხოლო მუშათა კლასის ნდობის მოპოვება შეიძლება არა ძალდატანებით, — ძალდატანება მხოლოდ კლავს ნდობას, — არამედ პარტიის სწორი თეორიით, პარტიის სწორი პოლიტიკით, პარტიის ერთგულებით მუშათა კლასისადმი, მისი კავშირით მუშათა კლასის მასებთან, მისი მზადყოფნით და მისი უნარით — **დაარწმუნოს** მასები თავისი ლოზუნგების სისწორეში.

რა გამოდის აქედან?

აქედან ის **გამოდის, რომ:**

1) ლენინი ხმარობს სიტყვას პარტიის **დიქტატურა** ამ სიტყვის არა ზუსტი მნიშვნელობით («ძალდატანებაზე დამყარებული ხელისუფლება»), არამედ გადატანითი აზრით, მისი განუყოფელი ხელმძღვანელობის აზრით;

2) ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელობას პროლეტარიატის **დიქტატურასთან,** ის ამახინჯებს ლენინს, უმართებულოდ აკუთვნებს რა პარტიას ძალდატანების ფუნქციებს მთლიანად მუშათა კლასის მიმართ;

3) ვინც პარტიას აკუთვნებს მისთვის შეუფერებელ ძალდატანების ფუნქციებს მთლიანად მუშათა კლასის მიმართ, ის არღვევს ავანგარდისა და კლასის, პარტიისა და პროლეტარიატის სწორი ურთიერთობის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ამრიგად, ჩვენ პირისპირ მივადექით პარტიისა და კლასის, მუშათა კლასში პარტიულებისა და უპარტიოების ურთიერთობის საკითხს.

ლენინი ამ ურთიერთობას განსაზღვრავს, როგორც «**ურთიერთნდობას** * მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის» (იხ. ტ. XXVI, გვ. 235).

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ პარტია გულისხმიერად უნდა უყდებდეს ყურს მასების ხმას, რომ იგი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს მასების რევოლუციურ ინსტინქტს, რომ იგი უნდა სწავლობდეს მასების ბრძოლის პრაქტიკას და ამით ამოწმებდეს თავისი პოლიტიკის სისწორეს, რომ იგი, მაშასადამე, არა მარტო უნდა ასწავლიდეს მასებს, არამედ კიდევაც სწავლობდეს მათგან.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტია დღითი-დღე უნდა იმსახურებდეს პროლეტარული მასების ნდობას, რომ იგი თავისი პოლიტიკით და თავისი მუშაობით უნდა ჰქედდეს თავისთვის მასების მხარდაჭერას, რომ იგი კი არ უნდა მბრძანებლობდეს, არამედ უწინარეს ყოვლისა არწმუნებდეს და უადვილებდეს მასებს პარტიის პოლიტიკის სისწორის შეცნობას საკუთარი გამოცდილებით, რომ იგი, მაშასადამე, უნდა იყოს თავისი კლასის ხელმძღვანელი, ბელადი, მასწავლებელი.

ამ პირობების დარღვევა ნიშნავს ავანგარდსა და კლასს შორის სწორი ურთიერთობის დარღვევას, «ურთიერთნდობისათვის» ძირის გამოთხრას, როგორც კლასობრივი, ისე პარტიული დისციპლინის დაშლას.

«ღმერთო, — ამბობს ლენინი, — ახლა უკვე თითქმის ყველა ხედავს, რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას არა თუ $2\frac{1}{2}$ წლის განმავლობაში, არამედ $2^1/_2$ თვესაც, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო უმკაცრესი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინა, **შინაგის რომ სავსებით და თავდადებით მხარი არ დაეჭირა მუშათა კლასის მთელ მასას,** * ე. ი. ყოველივე იმას, რაც ამ კლასში მოაზროვნე,

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

პატიოსანი, თავდადებული და გავლენიანია და რასაც შეუძლია გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს შემდეგ ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე, ისეთი პარტიის გარეშე, **რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსან ელემენტთა ნდობით** *, ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

მაგრამ როგორ იძენს პარტია კლასის ამ ნდობას და დახმარებას? როგორ იქმნება პროლეტარიატის დიქტატურისათვის აუცილებელი რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში, რა ნიადაგზე აღმოცენდება იგი?

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«რას ემყარება პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის დისციპლინა? რით მოწმდება იგი? რით მაგრდება? ჯერ-ერთი, პროლეტარული ავანგარდის შეგნებულობით და რევოლუციისადმი მისი ერთგულებით, მისი სიმტკიცით, თავდადებით, გმირობით. მეორეც, მისი უნარით — დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს, თუ გნებავთ, რამდენადმე **შეუდუღდეს მშრომელთა უფართოეს მასას** *, პირველ რიგში პროლეტარულს, **მაგრამ აგრეთვე არაპროლეტარულ** მშრომელ მასასაც. მესამეც, იმ პოლიტიკური ხელმძღვანელობის სისწორით, რომელსაც ეს ავანგარდი ახორციელებს, მისი პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორით, იმ პირობით, რომ უფართოესი მასები **საკუთარი გამოცდილებით** დარწმუნდნენ ამ სისწორეში. **ამ პირობების** გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს დისციპლინა რევოლუციურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილად აქვს უნარი იყოს მოწინავე კლასის პარტია, იმ კლასისა, რომელმაც უნდა დაამხოს ბურჟუაზია და გარდაქმნას მთელი საზოგადოება. ამ პირობების გარეშე დისციპლინის შექმნის ცდა აუცილებლად იქცევა ამაო ცდად, ფრაზად, მანჭვა-გრეხად. მაგრამ ეს პირობები, მეორე მხრივ, ერთბაშად ვერ გაჩნდებიან.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ისინი გამომუშავდებიან მხოლოდ ხანგრძლივი შრომით, მძიმე გამოცდილებით; მათს გამომუშავებას აადვილებს მხოლოდ სწორი რევოლუციური თეორია, რომელიც, თავის მხრივ, დოგმა კი არ არის, არამედ საბოლოოდ იქმნება მხოლოდ ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში» (იხ. ტ. XXV, გვ. 174).

და შემდეგ:

«კაპიტალიზმზე გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა სწორი ურთიერთობა ხელმძღვანელ, კომუნისტურ პარტიასა, რევოლუციურ კლასსა, პროლეტარიატსა — და მასას, ე. ი. მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ ერთობლიობას შორის. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, თუ იგი ნამდვილად წარმოადგენს რევოლუციური კლასის ავანგარდს, თუ იგი შეიცავს ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენელს, თუ იგი შესდგება მედგარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით განათლებული და გამობრძმედილი, სავსებით შეგნებული და ერთგული კომუნისტებისაგან, თუ ამ პარტიამ შესძლო განუყრელად დაკავშირებოდა თავისი კლასის მთელ ცხოვრებას, ხოლო მისი მეშვეობით ექსპლოატირებულთა მთელ მასას, და შთაეგონებინა ამ კლასისა და **ამ მასისათვის სრული ნდობა** *, — მხოლოდ ასეთ პარტიას აქვს უნარი — ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატს უაღრესად ულმობელ, გადამწყვეტ, უკანასკნელ ბრძოლაში კაპიტალიზმის მთელი ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მხოლოდ ასეთი პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია პროლეტარიატს გაშალოს თავისი რევოლუციური შეტევის მთელი ძლიერება, არარად აქციოს უმნიშვნელო უმცირესობის — კაპიტალიზმის მიერ გარყვნილი მუშათა არისტოკრატიის, ტრედ-უნიონებისა და კოოპერაციის ძველი ბელადების და სხვ. აუცილებელი აპათია და ნაწილობრივ წინააღმდეგობაც, — შეუძლია გაშალოს მთელი თავისი ძალა, რომელიც, თვით კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური წყობილების გამო, განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობაში» (იხ. ტ. XXV, გვ. 315).

ამ ციტატებიდან გამოდის, რომ:

1) პარტიის ავტორიტეტი და რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში, რაც აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურისათვის, შენდება არა შიშზე ან პარტიის

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«შეუზღუდველ» უფლებებზე, არამედ პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობაზე, მუშათა კლასის მიერ პარტიისათვის მხარდაჭერაზე;

2) პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობა მოიპოვება არა ერთბაშად და არა ძალდატანებით მუშათა კლასის მიმართ, არამედ პარტიის ხანგრძლივი მუშაობით მასებში, პარტიის სწორი პოლიტიკით, პარტიის უნარით — დაარწმუნოს მასები თავისი პოლიტიკის სისწორეში მასების საკუთარი გამოცდილების ნიადაგზე, პარტიის უნარით — უზრუნველყოს თავისთვის მუშათა კლასის მხარდაჭერა, უნარით — გაიყოლიოს მუშათა კლასის მასები;

3) პარტიის სწორი პოლიტიკის გარეშე, რაც მასების ბრძოლის გამოცდილებით უნდა იყოს განმტკიცებული, და მუშათა კლასის ნდობის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელობა;

4) პარტია და მისი ხელმძღვანელობა, თუ პარტია სარგებლობს კლასის ნდობით, და თუ ეს ხელმძღვანელობა ნამდვილი ხელმძღვანელობაა, არ შეიძლება დაუპირისპირდეს პროლეტარიატის დიქტატურას, ვინაიდან მუშათა კლასის ნდობით აღჭურვილი პარტიის ხელმძღვანელობის (პარტიის «დიქტატურის») გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის რამდენადმე მტკიცე დიქტატურა.

ამ პირობების გარეშე პარტიის ავტორიტეტი და რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში არის ან უშინაარსო ფრაზა, ანდა ყოყოჩობა და ავანტიურა.

არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის დაპირისპირება პარტიის ხელმძღვანელობისათვის («დიქტატურისათვის»). არ შეიძლება, ვინაიდან პარტიის ხელმძღვანელობა მთავარია პროლეტარიატის დიქტატურაში, თუ ვიგულისხმებთ რამდენადმე მტკიცე და სრულ დიქტატურას, და არა ისეთს, როგორიც იყო, მაგალითად, პარიზის

კომუნა, რომელიც წარმოადგენდა არასრულ და არამტკიცე დიქტატურას. არ შეიძლება, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა და პარტიის ხელმძღვანელობა მოქცეული არიან, ასე ვთქვათ, მუშაობის ერთ ხაზზე, მოქმედებენ ერთი მიმართულებით.

«საკითხის უკვე მარტო დაყენება, — ამბობს ლენინი, — «პარტიის დიქტატურა თუ კლასის დიქტატურა? ბელადების დიქტატურა (პარტია) თუ მასების დიქტატურა (პარტია)?» მოწმობს აზრის ყოვლად წარმოუდგენელ და გამოუვალ არევდარევას... ყველამ იცის, რომ მასები იყოფიან კლასებად.., რომ კლასებს ჩვეულებრივ და მეტწილად ხელმძღვანელობენ, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიები; — რომ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც საერთო წესი, მართავენ ცოტად თუ ბევრად მტკიცე ჯგუფები ყველაზე ავტორიტეტული, გავლენიანი, გამოცდილი პირებისა, რომელთაც ირჩევენ ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე და რომელთაც ბელადები ეწოდებათ... მიხვიდე... საერთოდ ბელადების დიქტატურისადმი მასების დიქტატურის დაპირისპირებამდე — სასაცილო უაზრობა და სისულელეა» (იხ. ტ. XXV, გვ. 187 და 188).

ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს სწორი დებულება გამომდინარეობს იმ წანამძღვრიდან, რომ უკვე არსებობს სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და მუშათა მასებს შორის, პარტიასა და კლასს შორის. იგი გამომდინარეობს იმ ვარაუდიდან, რომ ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის რჩება, ასე ვთქვათ, ნორმალური, რჩება «ურთიერთნდობის» ფარგლებში.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის, თუ «ურთიერთნდობა» პარტიასა და კლასს შორის დარღვეულია?

როგორ მოვიქცეთ, თუ თვით პარტია ასე თუ ისე იწყებს თავის დაპირისპირებას კლასისადმი, არღვევს კლასთან სწორი ურთიერთობის საფუძვლებს, არღვევს «ურთიერთნდობის» საფუძვლებს?

შესაძლებელია თუ არა საერთოდ ასეთი შემთხვევები? დიახ, შესაძლებელია.

ეს შემთხვევები შესაძლებელია:

1) **თუ** პარტია იწყებს მასებში თავისი ავტორიტეტის აგებას არა თავის მუშაობაზე და მასების ნდობაზე, არამედ თავის «შეუზღუდველ» უფლებებზე;

2) **თუ** პარტიის პოლიტიკა აშკარად არასწორია, ხოლო მას არა სურს გადასინჯოს და გამოასწოროს თავისი შეცდომა;

3) **თუ** პარტიის პოლიტიკა, საერთოდ, სწორია, მაგრამ მასები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულნი მის შესათვისებლად, ხოლო პარტიას არა სურს ან არა აქვს უნარი დაელოდოს, რომ მასებს საშუალება მიეცეთ საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ პარტიის პოლიტიკის სისწორეში, და ცდილობს თავს მოახვიოს მასებს თავისი პოლიტიკა.

ჩვენი პარტიის ისტორია მთელ რიგ ასეთ შემთხვევებს იძლევა. ჩვენი პარტიის სხვადასხვა დაჯგუფებანი და ფრაქციები ეცემოდნენ და იფანტებოდნენ იმიტომ, რომ ისინი არღვევდნენ ერთ ამ სამ პირობათაგანს, ხოლო ზოგჯერ ერთად აღებულ ყველა ამ პირობასაც.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დაპირისპირება პარტიის «დიქტატურისადმი» (ხელმძღვანელობისადმი) არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში:

1) **თუ** პარტიის დიქტატურად მუშათა კლასის მიმართ ვიგულისხმებთ არა დიქტატურას ამ სიტყვის საკუთარი აზრით («ძალდატანებაზე დამყარებული ძალაუფლება»), არამედ პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც გამორიცხავს ძალდატანებას მთლიანად მუშათა კლასის მიმართ, მისი უმრავლესობის მიმართ, სწორედ ისე, როგორც ეს ლენინს ესმის;

2) თუ პარტიას შესწევს ძალა იყოს კლასის ნამდვილი ხელმძღვანელი, ე. ი. თუ პარტიის პოლიტიკა სწორია, თუ ეს პოლიტიკა შეესაბამება კლასის ინტერესებს;

3) თუ კლასი, თუ კლასის უმრავლესობა იზიარებს ამ პოლიტიკას, ითვისებს მას, რწმუნდება, პარტიის მუშაობის მეოხებით, ამ პოლიტიკის სისწორეში, ენდობა პარტიას და მხარს უჭერს მას.

ამ პირობების დარღვევა აუცილებლად იწვევს კონფლიქტს პარტიასა და კლასს შორის, განხეთქილებას მათ შორის, მათ დაპირისპირებას ერთიმეორისადმი.

შეიძლება თუ არა ძალით მოვახვიოთ კლასს პარტიის ხელმძღვანელობა? არა, არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხელმძღვანელობა არ შეიძლება რამდენადმე ხანგრძლივი იქნეს. პარტიამ, თუ მას სურს დარჩეს პროლეტარიატის პარტიად, უნდა იცოდეს, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, არის მუშათა კლასის **ხელმძღვანელი**, **ბელადი**, **მასწავლებელი**. არ შეიძლება დავიწყოთ ლენინის სიტყვები, რომლებიც ამის შესახებ მან თქვა ბროშურაში «სახელმწიფო და რევოლუცია»:

«მარქსიზმი, ზრდის რა მუშათა პარტიას, ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც უნარი შესწევს აიღოს ძალაუფლება და **წაიყვანოს მთელი ხალხი** სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა **მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი** * თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოწყობის საქმეში» (იხ. ტ. XXI, გვ. 386).

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პარტია კლასის ნამდვილ ხელმძღვანელად, თუ მისი პოლიტიკა არასწორია, თუ მისი პოლიტიკა ეწინააღმდეგება კლასის ინტერესებს? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ასეთ შემთხვევებში პარტიამ, თუ მას სურს დარჩეს ხელმძღვანელად, უნდა გადა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

სინჯოს თავისი პოლიტიკა, უნდა გამოასწოროს თავისი პოლიტიკა, უნდა აღიაროს თავისი შეცდომა და გამოასწოროს იგი. ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლებოდა მიგვეთითებინა ჩვენი პარტიის ისტორიის თუნდაც ისეთ ფაქტზე, როგორიც არის სასურსათო გაწერის გაუქმების პერიოდი, როდესაც მუშათა და გლეხთა მასები აშკარად უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ ჩვენი პოლიტიკით და როდესაც პარტია შეუდგა, — გულახდილად და პატიოსნად შეუდგა ამ პოლიტიკის გადასინჯვას. აი რას ამბობდა მაშინ ლენინი X ყრილობაზე სასურსათო გაწერის გაუქმებისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების საკითხის შესახებ:

«ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ დავმალოთ რამე, არამედ პირდაპირ უნდა ვამბობდეთ, რომ გლეხობა უკმაყოფილოა ურთიერთობის იმ ფორმით, რომელიც დამყარდა ჩვენსა და გლეხობას შორის, რომ მას არ სურს ურთიერთობის ეს ფორმა და შემდეგში ასე არ იცხოვრებს. ეს უდავოა. ეს მისი ნება გარკვეულად გამოიხატა. ეს არის მშრომელი მოსახლეობის უდიდესი მასების ნება. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, და ჩვენ საკმაოდ ფხიზელი პოლიტიკოსები ვართ, რომ პირდაპირ ვთქვათ: **მოდი გადავსინჯოთ ჩვენი პოლიტიკა გლეხობის მიმართ**» * (იხ. ტ. XXVI, გვ. 238).

შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ პარტიამ უნდა იკისროს ინიციატივა და ხელმძღვანელობა მასების გადამწყვეტი გამოსვლების მოწყობაში მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მისი პოლიტიკა საერთოდ სწორია, **თუ** ამ პოლიტიკას ჯერ კიდევ ნდობით არ ეკიდება და მხარს არ უჭერს კლასი, ვთქვათ, თავისი პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო, **თუ** პარტიას ჯერ კიდევ ვერ დაურწმუნებია კლასი თავისი პოლიტიკის სისწორეში, ვთქვათ, იმის გამო, რომ მოვლენები ჯერ კიდევ არ მომწიფებულან? არა, არ შეიძლება. ასეთ შემთხვევებში პარტიას, თუ მას სურს

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

იყოს ნამდვილი ხელმძღვანელი, უნდა შეეძლოს დაცდა, იგი უნდა არწმუნებდეს მასებს თავისი პოლიტიკის სისწორეში, უნდა დაეხმაროს მასებს თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ პოლიტიკის სისწორეში.

«თუ რევოლუციურ პარტიას, — ამბობს ლენინი, — არა ჰყავს უმრავლესობა რევოლუციური კლასების მოწინავე რაზმებში და ქვეყანაში, მაშინ აჯანყებაზე ლაპარაკიც ზედმეტია» (იხ. ტ. XXI, გვ. 282).

«რევოლუცია შეუძლებელია, თუ მუშათა კლასის უმრავლესობის შეხედულებები არ გამოიცვალა, ხოლო ეს გამოცვლა იქმნება მასების პოლიტიკური გამოცდილებით» (იხ. ტ. XXV, გვ. 221).

«პროლეტარული ავანგარდი იდეურად დაპყრობილია. ეს მთავარია. უამისოდ გამარჯვებისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია. მაგრამ აქედან გამარჯვებამდე კიდევ საკმაოდ დიდი მანძილია. მარტო ავანგარდით გამარჯვება შეუძლებელია. გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო ავანგარდის ჩაბმა, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ავანგარდისათვის ან პირდაპირი დახმარების პოზიცია, ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის და მისი მოწინააღმდეგისათვის მხარდაჭერის სრული უუნარობის პოზიცია, — ეს იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც. ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, მშრომელთა და კაპიტალის მიერ დაჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ასეთ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება» (იხ. იქვე, გვ. 228).

ცნობილია, რომ ჩვენი პარტია სწორედ ასე იქცეოდა ლენინის აპრილის თეზისების გამოქვეყნებიდან 1917 წლის ოქტომბრის აჯანყებამდე განვლილ პერიოდში. და სწორედ იმიტომ, რომ იგი ლენინის ამ მითითებათა თანახმად მოქმედებდა, მოიგო მან აჯანყება.

ასეთია ძირითადად ავანგარდსა და კლასს შორის სწორი ურთიერთობის პირობები.

რას ნიშნავს **ხელმძღვანელობის გაწევა**, თუ პარტიის პოლიტიკა სწორია, ხოლო სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის არ ირღვევა?

ასეთ პირობებში ხელმძღვანელობის გაწევა ნიშნავს უნარს — დაარწმუნო მასები პარტიის პოლიტიკის სისწორეში, წამოაყენო და გაატარო ისეთი ლოზუნგები, რომლებსაც მასები პარტიის პოზიციებამდე მიჰყავთ და რომლებიც უადვილებენ მათ საკუთარი გამოცდილებით შეიცნონ პარტიის პოლიტიკის სისწორე, აამაღლო მასები პარტიის შეგნების დონემდე და, ამრიგად, უზრუნველყო მასების მიერ მხარდაჭერა, მათი მზადყოფნა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ამიტომ დარწმუნების მეთოდი წარმოადგენს პარტიის მიერ მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდს.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — ახლა რუსეთში, რუსეთისა და ანტანტის ბურჟუაზიაზე 21/2 წლის უმაგალითო გამარჯვებათა შემდეგ, პროფკავშირებში შესვლის პირობად «დიქტატურის აღიარება» რომ წამოგვეყენებინა, სისულელეს ჩავიდენდით, წავახდენდით ჩვენს გავლენას მასებზე, დავეხმარებოდით მენშევიკებს. ვინაიდან კომუნისტების მთელი ამოცანაა — შეეძლოთ **დაარწმუნონ** ჩამორჩენილები, შეეძლოთ იმუშაონ მათ **შორის**, და არა ის, რომ **გაემიჯნონ** მათ გამოგონილი ბავშვურ-«მემარცხენე» ლოზუნგებით» (იხ. ტ. XXV, გვ. 197).

ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პარტიამ უნდა დაარწმუნოს უკლებლივ ყველა მუშა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედებაზე გადასვლა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედების დაწყება. სრულიადაც არა! ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პარტიამ, სანამ იგი გადამწყვეტ პოლიტიკურ მოქმედებას შეუდგებოდეს, ხანგრძლივი რევოლუციური მუშაობით უნდა უზრუნველყოს მის მიმართ მუშათა მასების უმრავლესობის მხარდაჭერა, ყოველ შემთხვევაში კლასის უმრავლესობის კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ პარტიის მიერ მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობა ძლევამოსილი

რევოლუციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, — ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა.

მაგრამ რა ვუყოთ უმცირესობას, თუ მას არ სურს, თუ იგი თანახმა არ არის ნებაყოფლობით დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას? შეუძლია თუ არა პარტიას, ვალდებულია თუ არა პარტია, როდესაც იგი აღჭურვილია უმრავლესობის ნდობით, აიძულოს უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას? დიახ, შეუძლია და ვალდებულიც არის. ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს მასების დარწმუნების მეთოდი, როგორც მასებზე პარტიის ზეგავლენის ძირითადი მეთოდი. მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს იძულებას, თუ ეს იძულება ემყარება პარტიის მიმართ მუშათა კლასის უმრავლესობის ნდობასა და მხარდაჭერას, თუ მას იყენებენ უმცირესობის მიმართ მას შემდეგ, რაც შესძლეს დაერწმუნებინათ უმრავლესობა.

საჭიროა გავიხსენოთ ამის შესახებ დავა ჩვენს პარტიაში, რაც პროფკავშირული დისკუსიის პერიოდში წარმოებდა. რა იყო მაშინ ოპოზიციის შეცდომა, «ცეკტრანის»[23] შეცდომა? ის ხომ არა, რომ ოპოზიცია მაშინ შესაძლებლად თვლიდა იძულებას? არა, ეს როდი იყო. ოპოზიციის შეცდომა მაშინ ის იყო, რომ მან ვერ მოახერხა უმრავლესობის დარწმუნება თავისი პოზიციის სისწორეში, დაკარგა უმრავლესობის ნდობა, მაგრამ მაინც მიმართა იძულებას, მოითხოვდა უმრავლესობის ნდობით აღჭურვილი ადამიანების «შებერტყვას».

აი რას ამბობდა მაშინ ლენინი პარტიის X ყრილობაზე თავის სიტყვაში პროფესიული კავშირების შესახებ:

«იმისათვის, რომ მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის დამყარებული იყო ურთიერთობა, ურთიერთნდობა, საჭირო იყო, თუ «ცეკტრანმა» შეცდომა დაუშვა... საჭირო იყო მისი გასწორება. მაგრამ როდესაც ამ შეცდომის დაცვას იწყებენ, ეს უკვე პოლიტი-

კური საფრთხის წყარო ხდება. ჩვენ რომ დემოკრატიის აზრით მაქსიმალურად შესაძლებელი არ გაგვეკეთებინა იმ განწყობილებიდან, რომლის გამომხატველიც აქ კუტუზოვია, პოლიტიკურ კრახამდე მივიდოდით. **ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჯერ უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ** *. ჩვენ ვერ შევძელით ფართო მასების დარწმუნება და დავარღვიეთ სწორი თანაფარდობა ავანგარდსა და მასებს შორის» (იხ. ტ. XXVI, გვ. 235).

ამასვე ამბობს ლენინი თავის ბროშურაში «პროფკავშირების შესახებ» [24]:

«ჩვენ იძულებას მართებულად და წარმატებით მაშინ ვიყენებდით, როდესაც ვახერხებდით მისთვის ჯერ დარწმუნების ბაზის შექმნას» (იხ. იქვე, გვ. 74).

და ეს სავსებით სწორია. ვინაიდან ამ პირობების გარეშე არავითარი ხელმძღვანელობა არ შეიძლება. ვინაიდან მხოლოდ ამგვარად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მოქმედების ერთიანობა პარტიაში, თუ საქმე ეხება პარტიას, კლასის მოქმედების ერთიანობა, თუ საქმე ეხება კლასს მთლიანად. უამისოდ მუშათა კლასის რიგებში მოხდება გათიშვა, დაქსაქსვა, რღვევა.

ასეთია ზოგადად პარტიის მიერ მუშათა კლასის სწორი ხელმძღვანელობის საფუძვლები.

ხელმძღვანელობის ყოველი სხვაგვარი გაგება არის სინდიკალიზმი, ანარქიზმი, ბიუროკრატიზმი, ყველაფერი რაც გნებავთ, — მხოლოდ არა ბოლშევიზმი, მხოლოდ არა ლენინიზმი.

არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურა დავუპირისპიროთ პარტიის ხელმძღვანელობას («დიქტატურას»), თუ არსებობს სწორი ურთიერთობა პარტიასა და მუშათა კლასს შორის, ავანგარდსა და მუშათა მასებს შორის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მით უფრო არ შეიძ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლება გავაიგივეოთ პარტია მუშათა კლასთან, პარტიის ხელმძღვანელობა («დიქტატურა») მუშათა კლასის დიქტატურასთან. **იმ საფუძველზე,** რომ არ შეიძლება პარტიის **«დიქტატურა»** დავუპირისპიროთ პროლეტარიატის დიქტატურას, სორინი მივიდა იმ არასწორ დასკვნამდე, რომ **«პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი პარტიის დიქტატურა».**

მაგრამ ლენინი ლაპარაკობს არა მარტო ასეთი დაპირისპირების შეუწყნარებლობაზე. იგი ამასთან ამბობს, რომ შეუწყნარებელია **«ბელადების დიქტატურისათვის მასების დიქტატურის»** დაპირისპირება. ხომ არ გნებავთ **ამ საფუძველზე** გააიგივეოთ ბელადების დიქტატურა პროლეტარიატის დიქტატურასთან? თუ ამ გზით წავიდოდით, უნდა გვეთქვა, რომ **«პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი ბელადების დიქტატურა».** კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ სისულელემდე მივყავართ პარტიის «დიქტატურისა» და პროლეტარიატის დიქტატურის გაიგივების პოლიტიკას...

რა აზრს ადგას ამის შესახებ ზინოვიევი?

ზინოვიევი, არსებითად, ადგას იმავე თვალსაზრისს — პროლეტარიატის დიქტატურასთან პარტიის «დიქტატურის» გაიგივების თვალსაზრისს, — რომელსაც ადგას სორინი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სორინი თავის აზრს უფრო პირდაპირ და უფრო გარკვეულად გამოთქვამს, ზინოვიევი კი «თავს იძვრენს». საკმარისია ავიღოთ თუნდაც შემდეგი ადგილი ზინოვიევის წიგნიდან «ლენინიზმი», რომ დავრწმუნდეთ ამაში:

«რა არის, — ამბობს ზინოვიევი, — სსრ კავშირში არსებული წყობილება მისი კლასობრივი შინაარსის თვალსაზრისით? ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. რა არის ძალაუფლების უშუალო ძარღვი სსრ კავშირში? ვინ ახორციელებს მუშათა კლასის ძალაუფლებას? კომუ-

ნისტური პარტია! ამ აზრით **ჩვენში * პარტიის დიქტატურაა.** როგორია ხელისუფლების იურიდიული ფორმა სსრ კავშირში? როგორია სახელმწიფო წყობილების ახალი ტიპი, შექმნილი ოქტომბრის რევოლუციის მიერ? ეს არის საბჭოთა სისტემა. ერთი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მეორეს».

ერთი რომ მეორეს არ ეწინააღმდეგება, ეს, რა თქმა უნდა, მართალია, თუ პარტიის დიქტატურად მთლიანად მუშათა კლასის მიმართ პარტიის ხელმძღვანელობას ვიგულისხმებთ. მაგრამ როგორ შეიძლება **ამ საფუძველზე** ტოლობის ნიშნის გავლება პროლეტარიატის დიქტატურასა და პარტიის «დიქტატურას» შორის, საბჭოთა სისტემასა და პარტიის «დიქტატურას» შორის? ლენინი აიგივებდა საბჭოების სისტემას პროლეტარიატის დიქტატურასთან, და ის მართალი იყო, ვინაიდან საბჭოები, **ჩვენი** საბჭოები, წარმოადგენენ პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის გარშემო მშრომელი მასების შეკავშირების ორგანიზაციას. მაგრამ როდის, სად, თავის რომელ შრომაში სვამდა ლენინი ტოლობის ნიშანს პარტიის «დიქტატურასა» და პროლეტარიატის დიქტატურას შორის, პარტიის «დიქტატურასა» და საბჭოების სისტემას შორის, როგორც ამას ახლა ზინოვიევი სჩადის? პროლეტარიატის დიქტატურას არ ეწინააღმდეგება არა მარტო პარტიის ხელმძღვანელობა («დიქტატურა»), არამედ ბელადების ხელმძღვანელობაც («დიქტატურა»). ხომ არ გნებავთ **ამის საფუძველზე** გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას, **ესე იგი** პარტიის დიქტატურის ქვეყანას, **ესე იგი** ბელადების დიქტატურის ქვეყანას? და აკი სწორედ ამ სისულელემდე მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურასთან პარტიის «დიქტატურის» გაიგივების «პრინციპს», რომელსაც ზინოვიევი შეპარვით და გაუბედავად ატარებს.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლენინის მრავალრიცხოვან შრომებში შევძელი მხოლოდ ხუთი შემთხვევის აღნიშვნა, სადაც ლენინი გაკვრით ეხება პარტიის დიქტატურის საკითხს.

პირველი შემთხვევა — ეს არის კამათი ესერებთან და მენშევიკებთან, სადაც ლენინი ამბობს:

«როდესაც ჩვენ გვისაყვედურებენ ერთი პარტიის დიქტატურას და გვთავაზობენ, როგორც თქვენ გაგეგონებათ, ერთიან სოციალისტურ ფრონტს, ჩვენ ვამბობთ: «დიახ, ერთი პარტიის დიქტატურა! ჩვენ ამას ვადგევართ და ამ ნიადაგს ვერ მოუშორდებით, ვინაიდან ეს ის პარტიაა, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში მოიპოვა მთელი საფაბრიკო-საქარხნო და სამრეწველო პროლეტარიატის ავანგარდის მდგომარეობა»» (იხ. ტ. XXIV, გვ. 423).

მეორე შემთხვევა — ეს არის «წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო», სადაც ლენინი ამბობს:

«გლეხებს აშინებენ (განსაკუთრებით მენშევიკები და ესერები, ყველანი, მათგან თვით «მემარცხენეებიც») «ერთი პარტიის დიქტატურის»; ბოლშევიკ-კომუნისტების პარტიის დიქტატურის საფრთხობელათი.

კოლჩაკის მაგალითზე გლეხებმა ისწავლეს არ შეუშინდნენ საფრთხობელას.

ან მემამულეებისა და კაპიტალისტების დიქტატურა (ე. ი. რკინისებური ძალაუფლება), ან მუშათა კლასის დიქტატურა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 436).

მესამე შემთხვევა — ეს არის ლენინის სიტყვა კომინტერნის II კონგრესზე ტენერთან კამათის დროს. ციტატა ამ სიტყვიდან ზემოთ მოვიყვანე *.

მეოთხე შემთხვევა — ეს არის რამდენიმე სტრიქონი ბროშურაში «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში». სათანადო ციტატები უკვე მოყვანილია ზემოთ **.

* იხ. ეს ტომი, გვ. 41. რედ.

** იქვე, გვ. 48, 49, 50, 52, 56, 57. რედ.

და მეხუთე შემთხვევა — ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის სქემის მონახაზი, გამოქვეყნებული III «ლენინის კრებულში», სადაც არის ქვესათაური სახელწოდებით: «ერთი პარტიის დიქტატურა» (იხ. «ლენინის კრებული» III, გვ. 497).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხუთიდან ორ შემთხვევაში, უკანასკნელ და მეორე შემთხვევაში, სიტყვებს «ერთი პარტიის დიქტატურა» ლენინი ბრჭყალებში სვამს, რითაც აშკარად ხაზს უსვამს ამ ფორმულის არაზუსტ, გადატანითს აზრს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ყველა ამ შემთხვევაში ლენინი «პარტიის დიქტატურად» გულისხმობდა დიქტატურას («რკინისებური ძალაუფლება») «მემამულეებისა და კაპიტალისტების» მიმართ და არა მუშათა კლასის მიმართ, წინააღმდეგ კაუცკისა და კომპანიის ცილისმწამებლური მონაჭორებისა.

დამახასიათებელია, რომ ლენინის **არც ერთ** შრომაში, როგორც ძირითადში, ისე მეორეხარისხოვანში, სადაც იგი განმარტავს ან მხოლოდ იხსენიებს პროლეტარიატის დიქტატურას და პარტიის როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, გაკვრითაც არ არის ნათქვამი, რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი პარტიის დიქტატურა». პირიქით, ამ შრომების ყოველი გვერდი, ყოველი სტრიქონი ასეთი ფორმულის წინააღმდეგ ღაღადებს (იხ. «სახელმწიფო და რევოლუცია», «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» და სხვ.).

უფრო მეტად დამახასიათებელია, რომ კომინტერნის II კონგრესის თეზისებში [25] პოლიტიკური პარტიის როლის შესახებ, რომლებიც გამომუშავებულია უშუალოდ ლენინის ხელმძღვანელობით და რომლებზეც ლენინი

არა ერთხელ მიუთითებდა თავის სიტყვებში, როგორც პარტიის როლისა და ამოცანების სწორი ფორმულირების ნიმუშზე, — ჩვენ **ერთ სიტყვასაც**, პირდაპირ **ერთ სიტყვასაც კი** ვერ ვპოულობთ პარტიის დიქტატურის შესახებ.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ:

ა) ლენინს ფორმულა «პარტიის დიქტატურა» არ მიაჩნდა უნაკლო, ზუსტ ფორმულად, რის გამო ლენინი მას მეტად იშვიათად ხმარობს თავის შრომებში და ზოგჯერ ბრჭყალებში სვამს;

ბ) იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ლენინი, მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს, იძულებული იყო ელაპარაკნა პარტიის დიქტატურის შესახებ, ის ჩვეულებრივ ლაპარაკობდა **«ერთი** პარტიის დიქტატურაზე», ე. ი. იმაზე, რომ ჩვენი პარტია **ერთი** დგას ხელისუფლების სათავეში, რომ იგი ძალაუფლებას **არ უნაწილებს სხვა** პარტიებს, ამასთან იგი ყოველთვის განმარტავდა, რომ პარტიის დიქტატურად **მუშათა კლასის მიმართ** უნდა ვიგულისხმოთ პარტიის ხელმძღვანელობა, მისი ხელმძღვანელი როლი;

გ) ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ლენინს საჭიროდ მიაჩნდა მეცნიერულად განესაზღვრა პარტიის როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, იგი ლაპარაკობდა პარტიის **მხოლოდ და მხოლოდ** ხელმძღვანელ როლზე (ასეთი შემთხვევა კი ათასობითაა) მუშათა კლასის მიმართ;

დ) სწორედ ამიტომ ლენინმა ვერ «მოისაზრა» შეეტანა ძირითად რეზოლუციაში პარტიის როლის შესახებ — მხედველობაში მაქვს კომინტერნის II კონგრესის რეზოლუცია — «პარტიის დიქტატურის» ფორმულა;

ე) ლენინიზმის თვალსაზრისით მართალი არ არიან და პოლიტიკურად ბეცები არიან ის ამხანაგები, რომლებიც

აიგივებენ ან ცდილობენ გააიგივეონ პარტიის «დიქტატურა», და, მაშასადამე, «ბელადების დიქტატურაც», პროლეტარიატის დიქტატურასთან, ვინაიდან ამით ისინი არღვევენ ავანგარდისა და კლასის სწორი ურთიერთობის პირობებს.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ ფორმულას «პარტიის დიქტატურა», აღებულს ზემოხსენებული შენიშვნების გარეშე, შეუძლია შექმნას მთელი რიგი საშიშროებანი და პოლიტიკური მინუსები ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ამ ფორმულით, თუ იგი უშენიშვნოდ იქნება აღებული, თითქოს უკარნახებენ:

ა) **უპარტიო მასებს:** არ გაბედოთ შედავება, არ გაბედოთ მსჯელობა, ვინაიდან პარტიას ყველაფერი შეუძლია, ვინაიდან ჩვენში პარტიის დიქტატურაა;

ბ) **პარტიულ კადრებს:** იმოქმედეთ უფრო გაბედულად, შეუტიეთ უფრო მაგრად, შეგიძლიათ ყურიც არ ათხოვოთ უპარტიო მასების ხმას, — ჩვენში პარტიის დიქტატურაა;

გ) **პარტიულ ზედაფენებს:** შეგიძლიათ ერთგვარი თვითკმაყოფილების ნება მისცეთ თავს, შეგიძლიათ კიდეევაც გაამპარტავნდეთ, ვინაიდან ჩვენში პარტიის დიქტატურაა და, «მაშასადამე», ბელადების დიქტატურაც.

მართებულია გავიხსენოთ ეს საშიშროებანი სწორედ ახლა, მასების პოლიტიკური აქტივობის აღმავლობის პერიოდში, როცა ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია პარტიის მზადყოფნა — გულდასმით დაუგდოს ყური მასების ხმას, როცა ჩვენი პარტიის ძირითად მცნებას წარმოადგენს მასების მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერება, როცა პარტიას მოეთხოვება გამოიჩინოს განსაკუთრებული წინდახედულობა და განსაკუთრებული მოქნილობა პოლიტიკაში, როცა გაამპარტავნების საშიშროება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა, რომელიც კი დგას პარტიის წინაშე მასების სწორი ხელმძღვანელობის საქმეში.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ლენინის ოქრო-სიტყვები, რომლებიც მან თქვა ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე:

«ხალხის მასაში ჩვენ (კომუნისტები. ი. სტ.) მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ შეგვიძლია მართვა მხოლოდ მაშინ, როცა სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეუგნია. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაიყოლიებს მასებს, და მთელი მანქანა დაიშლება» (იხ. ტ. XXVII, გვ. 256).

«სწორად გამოხატოს ის, რაც ხალხს შეუგნია» — სწორედ ეს არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს პარტიისათვის პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ძირითადი ხელმძღვანელი ძალის საპატიო როლს.

VI

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» (1924 წ. მაისი, პირველი გამოცემა) მოცემულია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის ორი ფორმულირება. პირველ ფორმულირებაში ნათქვამია:

«წინათ ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას შეუძლებლად თვლიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის აუცილებელია ყველა მოწინავე ქვეყნის ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეყნების უმრავლესობის პროლეტართა ერთად გამოსვლა. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე აღარ შეეფერება სინამდვილეს. ახლა უნდა გამოვდიოდეთ ასეთი გამარჯვების შესაძლებლობიდან, ვინაიდან იმპერიალიზმის ვითარებაში სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების არათანაბარი და ნახტომისებური ხასიათი, იმპერიალიზმის შიგნით კატასტროფულ წინააღმდეგობათა განვითარება, რომლებიც იწვევენ გარდუვალ ომებს, რევოლუციური მოძრაობის ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, — ყოველივე ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში პროლე-

ტარიატის გამარჯვების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» [26]).

ეს დებულება სავსებით სწორია, და მას კომენტარები არ ესაჭიროება. იგი მიმართულია სოციალ-დემოკრატების თეორიის წინააღმდეგ, რომლებსაც პროლეტარიატის მიერ ერთ ქვეყანაში ძალაუფლების აღება, თუ ამავე დროს რევოლუციამ სხვა ქვეყნებშიც არ გაიმარჯვა, — უტოპიად მიაჩნიათ.

მაგრამ ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» არის კიდევ მეორე ფორმულირება. იქ ნათქვამია:

«მაგრამ ერთ ქვეყანაში ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის სრული გამარჯვების უზრუნველყოფას. სოციალიზმის მთავარი ამოცანა — სოციალისტური წარმოების ორგანიზაცია — ჯერ კიდევ წინ არის. შეიძლება თუ არა ამ ამოცანის გადაჭრა, შეიძლება თუ არა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მიღწევა ერთ ქვეყანაში, რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტარების შეერთებულ ღონისძიებათა გარეშე? არა, არ შეიძლება. ბურჟუაზიის დასამხობად საკმაოა ერთი ქვეყნის ღონისძიებანი, — ამას მოწმობს ჩვენი რევოლუციის ისტორია. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის, სოციალისტური წარმოების ორგანიზაციისათვის ერთი ქვეყნის ღონისძიებანი, განსაკუთრებით ისეთი გლეხური ქვეყნისა, როგორიც რუსეთია, უკვე საკმაო არ არის, — ამისათვის აუცილებელია რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტართა ღონისძიებანი» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ», პირველი გამოცემა [27]).

ეს მეორე ფორმულირება მიმართული იყო ლენინიზმის კრიტიკოსების მტკიცების წინააღმდეგ, ტროცკისტების წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა, სხვა ქვეყნებში გაუმარჯვებლად, ვერ «გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას».

ამდენად, — მაგრამ მხოლოდ ამდენად, — ეს ფორმულირება მაშინ (1924 წ. მაისი) საკმარისი იყო, და მარ, უეჭველია, ერთგვარი სარგებლობა მოიტანა.

მაგრამ შემდეგ, როდესაც ლენინიზმის კრიტიკა ამ დარგში უკვე დაძლეული იყო პარტიაში და როდესაც დღის წესრიგში დადგა ახალი საკითხი, გარედან დაუხმარებლად, ჩვენი ქვეყნის ძალებით, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის საკითხი, — მეორე ფორმულირება აღმოჩნდა უკვე აშკარად არასაკმარისი და, ამიტომ, არასწორი.

რაში მდგომარეობს ამ ფორმულირების ნაკლი?

მისი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთ საკითხად აკავშირებს ორ სხვადასხვა საკითხს: ერთი ქვეყნის ძალებით სოციალიზმის აშენების **შესაძლებლობის** საკითხს, რაზედაც დადებითი პასუხი უნდა იქნას გაცემული, და საკითხს იმის შესახებ, შეუძლია თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას ჩათვალოს თავი **სავსებით უზრუნველყოფილად** ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, ძველი წესების რესტავრაციისაგან, მთელ რიგ სხვა ქვეყნებში რევოლუციის გაუმარჯვებლად, რაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა იქნას გაცემული. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამ ფორმულირებამ შეიძლება საბაბი მოგვცეს ვიფიქროთ, რომ სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია შეუძლებელია ერთი ქვეყნის ძალებით, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ამის გამო მე სახე შევუცვალე ამ ფორმულირებას, შევასწორე იგი ჩემს ბროშურაში «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა» (1924 წ. დეკემბერი) და ეს საკითხი გავყავი ორ საკითხად: **ბურჟუაზიული წესების რესტავრაციისაგან სრული გარანტიის** საკითხად და ერთ ქვეყანაში **სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის** საკითხად. ეს მიღწეულ იქნა, ჯერ-ერთი, იმ გზით, რომ «სოციალიზმის სრული გამარჯვება» გაგებულია როგორც «ძველი წესების აღდგენისაგან

სრული გარანტია», რაც შესაძლებელია მხოლოდ «რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ძალღონით», და, მეორეც, იმ გზით, რომ, თანახმად ლენინის ბროშურისა «კოოპერაციის შესახებ» [28], გამოცხადებულია ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც კი აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად (იხ. «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა») *.

საკითხის სწორედ ეს ახალი ფორმულირება დაედო საფუძვლად XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლუციას «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ» [29], რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს განიხილავს კაპიტალიზმის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით (1925 წ. აპრილი) და რომელსაც სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის ძალებით შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნია.

იგივე დაედო საფუძვლად ჩემს ბროშურას «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის», რომელიც გამოიცა უშუალოდ XIV პარტკონფერენციის შემდეგ, 1925 წლის მაისში.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის დასმის შესახებ ამ ბროშურაში ნათქვამია:

«ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს. წინააღმდეგობათა ერთი ჯგუფია შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობენ (აქ ლაპარაკია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაზე. ი. სტ.). წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფია საგარეო წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობენ ჩვენს ქვეყანასა, როგორც სოციალიზმის ქვეყანასა, და ყველა

* საკითხის ამ ახალმა ფორმულირებამ შეცვალა შემდეგ მისი ძველი ფორმულირება ბროშურის «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» შემდგომ გამოცემებში.

დანარჩენ ქვეყნებს, როგორც კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის (აქ ლაპარაკია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე. **ი. სტ.**)»... «ვინც ერთმანეთში ურევს პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევაც სავსებით შესაძლებელია ერთი ქვეყნის ძალღონით, და მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა გადასაჭრელადაც საჭიროა რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების ძალღონე, — ის ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის ლენინიზმის წინააღმდეგ, ის ან გზააბნეულია, ან გამოუსწორებელი ოპორტუნისტი» (იხ. «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის» [30]).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის **გამარჯვების** საკითხის შესახებ ბროშურაში ნათქვამია:

«ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი, და ჩვენ მას ავაშენებთ გლეხობასთან ერთად, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით»... ვინაიდან «პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ... გვაქვს ყველა მონაცემი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, დავძლიოთ ყველა და ყოველგვარი შინაგანი სიძნელენი, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ და კიდევაც უნდა დავძლიოთ ისინი ჩვენი საკუთარი ძალებით» (იხ. იქვე [31]).

სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვების საკითხის შესახებ იქ ნათქვამია:

«სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციის და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ვინაიდან რესტავრაციის რამდენადმე მაინც სერიოზული ცდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარებით, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარებით. ამიტომ ჩვენი რევოლუციისადმი ყველა ქვეყნის მუშების დახმარება, და მით უმეტეს ამ მუშების გამარჯვება თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს იმის აუცილებელ პირობას, რომ პირველი გამარჯვებული ქვეყანა სავსებით გარანტირებული იყოს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან, წარმოადგენს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას» (იხ. იქვე [32]).

ვგონებ, ნათელია.

ცნობილია, რომ ამნაირადვეა განმარტებული ეს საკითხი ჩემს ბროშურაში «კითხვა-პასუხი» (1925 წ. ივნისი) და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე[33] (1925 წ. დეკემბერი).

ასეთია ფაქტები.

მე ვფიქრობ, რომ ამ ფაქტებს იცნობს ყველა ამხანაგი, მათ შორის ზინოვიევიც.

თუ ახლა, როცა თითქმის ორი წელიწადი გავიდა პარტიაში იდეური ბრძოლისა და XIV პარტკონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის შემდეგ (1925 წ. აპრილი), ზინოვიევს შესაძლებლად მიაჩნია თავის საბოლოო სიტყვაში XIV პარტყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) გამოქექოს, როგორც ბაზა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების უკვე გადაწყვეტილი საკითხის გადასაწყვეტად, ძველი, სრულიად არასაკმარისი ფორმულა სტალინის ბროშურიდან, რომელიც დაიწერა 1924 წლის აპრილში, — ზინოვიევის ეს თავისებური მანერა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ის საბოლოოდ დაიბნა ამ საკითხში. უკან ეწეოდე პარტიას, მას შემდეგ რაც ის წინ წავიდა, გვერდს უვლიდე XIV პარტკონფერენციის რეზოლუციას, მას შემდეგ რაც ის დაადასტურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა[34], — ეს ნიშნავს უიმედოდ ჩაეფლო წინააღმდეგობებში, არ გწამდეს სოციალიზმის მშენებლობის საქმე, გადაუხვიო ლენინის გზას და აღიარო საკუთარი დამარცხება.

რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შესაძლებლობა?**

ეს არის ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალებით პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობა, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების და ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ამ ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა, სხვა ქვეყნების პროლეტარების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, მაგრამ სხვა

ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის წინასწარ გაუმარჯვებლად.

ასეთი შესაძლებლობის გარეშე სოციალიზმის მშენებლობა არის მშენებლობა უპერსპექტივოდ, მშენებლობა სოციალიზმის აშენების რწმენის უქონლად. არ შეიძლება სოციალიზმის შენება, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მისი აშენება შესაძლებელია, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა არ წარმოადგენს **დაუძლეველ** დაბრკოლებას სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. ასეთი შესაძლებლობის უარყოფა არის სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობა, ლენინიზმისაგან ჩამოშორება.

რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის **სრული**, საბოლოო გამარჯვების **შეუძლებლობა** სხვა ქვეყნებში რევოლუციის გაუმარჯვებლად?

ეს არის ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, ბურჟუაზიული წესების რესტავრაციისაგან სრული გარანტიის შეუძლებლობა, თუ რევოლუციამ რამდენიმე ქვეყანაში მაინც არ გაიმარჯვა. ამ უდავო დებულების უარყოფა **არის** ინტერნაციონალიზმისაგან ჩამოშორება, ლენინიზმისაგან ჩამოშორება.

«ჩვენ ვცხოვრობთ, — ამბობს ლენინი, — არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც**, და საბჭოთა რესპუბლიკის ხანგრძლივად არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, აუცილებელია მთელი რიგი უსაშინელესი შეტაკებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს იბატონოს და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც» (იხ. ტ. XXIV, გვ. 122).

«ჩვენს წინაშე არის, — ამბობს ლენინი მეორე ადგილას, — უალრესად მერყევი, მაგრამ მაინც უეჭველი, უდავო ერთგვარი წონასწო-

რობა. დიდი ხნით არის ეს თუ არა — არ ვიცი, და ვფიქრობ, რომ ამის ცოდნა არ შეიძლება. ამიტომ ჩვენი მხრით უდიდესი სიფრთხილეა საჭირო. და ჩვენი პოლიტიკის პირველი მცნება, პირველი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ერთი წლის სამთავრობო მოღვაწეობიდან, გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისოს ყველა მუშამ და გლეხმა, არის — ვიყოთ ფხიზლად, გვახსოვდეს, რომ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ შემოსევას ჩვენ მუდამ ბეწვზე ვართ დაშორებული» (იხ. ტ. XXVII, გვ. 117).

ვგონებ, ნათელია.

რას ფიქრობს ზინოვიევი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე?

მოუსმინეთ:

«სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად უნდა ვგულისხმობდეთ, ყოველ შემთხვევაში: 1) კლასების მოსპობას და, მაშასადამე, 2) ერთი კლასის დიქტატურის, ამ შემთხვევაში პროლეტარიატის დიქტატურის გაუქმებას»... «კიდევ უფრო ზუსტად რომ გავერკვეთ იმაში, — ამბობს შემდეგ ზინოვიევი, — თუ როგორ დგას საკითხი ჩვენში, სსრ კავშირში, 1925 წელს, უნდა განვასხვაოთ ორი რამ: 1) სოციალიზმის შენების უზრუნველყოფილი **შესაძლებლობა,** — სოციალიზმის შენების ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, სავსებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი ქვეყნის ფარგლებშიც, და 2) სოციალიზმის საბოლოო აშენება და განმტკიცება, ე. ი. სოციალისტური წყობილების, სოციალისტური საზოგადოების განხორციელება».

რას შეიძლება ნიშნავდეს ყოველივე ეს?

იმას, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ზინოვიევს ესმის არა როგორც გარანტია ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, არამედ როგორც სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება კი ზინოვიევს ესმის როგორც სოციალიზმის ისეთი მშენებლობა, რომელიც ვერ მიგვიყვანს და ვერც უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმის აშენებამდე. მშენებლობა ალალბედზე, უპერსპექ-

ტივოდ, სოციალიზმის მშენებლობა, როდესაც სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, — ასეთია ზინოვიევის პოზიცია.

სოციალიზმის შენება მისი აშენების **შესაძლებლობის გარეშე**, შენება, **როცა იცი, რომ ვერ ააშენებ**, — აი რა შეუსაბამობამდე მივიდა ზინოვიევი.

მაგრამ ეს ხომ საკითხის აბუჩად აგდებაა, და არა საკითხის გადაჭრა!

აი კიდევ ერთი ადგილი ზინოვიევის საბოლოო სიტყვიდან XIV პარტყრილობაზე:

«დახეთ ერთი, სადამდე მივიდა, მაგალითად, ამხ. იაკოვლევი თავის სიტყვაში კურსკის უკანასკნელ საგუბერნიო პარტკონფერენციაზე. «შეგვიძლია თუ არა ერთ ქვეყანაში, — აყენებს იგი კითხვას, — როდესაც ყოველმხრივ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტი მტრებით, შეგვიძლია თუ არა ასეთ პირობებში ავაშენოთ სოციალიზმი ერთ ქვეყანაში?». და უპასუხებს: «ყოველივე ნათქვამის საფუძველზე უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენ არა მარტო ვაშენებთ სოციალიზმს, არამედ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მარტონი ვართ, რომ ჩვენ ჯერჯერობით მსოფლიოში ერთადერთი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა სახელმწიფო ვართ, — ჩვენ ამ სოციალიზმს ავაშენებთ» (1925 წ. 8 დეკემბრის «კურსკაია პრავდა» № 279). **განა ეს საკითხის ლენინური დაყენებაა**, კითხულობს ზინოვიევი, **განა ამას ნაციონალური შეზღუდულობის სუნი არ უდის?**» *

ამრიგად, ზინოვიევის აზრით გამოდის, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის აღიარება ნიშნავს ნაციონალური შეზღუდულობის თვალსაზრისზე დადგომას, ხოლო ასეთი შესაძლებლობის უარყოფა ნიშნავს ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დადგომას.

მაგრამ თუ ეს სწორია, — განა ღირს საერთოდ ბრძოლა ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე გასამარჯვებლად? განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ასეთი გამარჯვება შეუძლებელია?

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

კაპიტულაცია ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე — აი სადამდე მივყავართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას.

და ამ შეუსაბამობას, რომელსაც ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა, ზინოვიევი გვაწვდის როგორც «ინტერნაციონალიზმს», როგორც «ასპროცენტიან ლენინიზმს»!

მე ვამტკიცებ, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ზინოვიევი შორდება ლენინიზმს და მენშევიკ სუხანოვის თვალსაზრისზე დგება.

მივმართოთ ლენინს. აი რას ამბობს ის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, 1915 წლის აგვისტოში:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის ფცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და **თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ** *, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

რას ნიშნავს ლენინის ხაზგასმული ფრაზა: «თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ»? ეს ნიშნავს, რომ გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატს **შეუძლია** და იგი **მოვალეცაა** მოაწყოს თავის ქვეყანაში, ძალაუფლების აღების შემდეგ, სოციალისტური წარმოება. ხოლო რას ნიშნავს «სოციალისტური წარმოების მოწყობა»? ეს ნიშნავს სოციალისტური საზოგადოების აშენებას. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ლენინის ამ ნათელ

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

და გარკვეულ დებულებას შემდგომი კომენტარები არა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ლენინის მოწოდება, რომ პროლეტარიატს ძალაუფლება აეღო 1917 წლის ოქტომბერში.

თქვენ ხედავთ, რომ ლენინის ეს ნათელი დებულება, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განსხვავდება ზინოვიევის აბნეული და ანტილენინური «დებულებისაგან» იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი «ერთი ქვეყნის ფარგლებში», როცა მისი აშენება **შეუძლებელია**.

ლენინმა ეს თქვა 1915 წელს, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებამდე. მაგრამ იქნებ მას შეეცვალა შეხედულებანი ძალაუფლების აღების გამოცდილების შემდეგ, 1917 წლის შემდეგ? მივმართოთ ლენინის ბროშურას «კოოპერაციის შესახებ», რომელიც დაწერილია 1923 წელს.

«მართლაც, — ამბობს ლენინი, — სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, **განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის?** * ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ **ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის»** * (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩვენ შეგვიძლია და უნდა ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაშია ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმარისია ამ აშენებისათვის.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ვფიქრობ, რომ ძნელია აზრის უფრო ნათლად გამოთქმა.

შეადარეთ ლენინის ეს კლასიკური დებულება ზინოვიევის ანტილენინურ გალაშქრებას იაკოვლევის წინააღმდეგ და გაიგებთ, რომ იაკოვლევმა მხოლოდ გაიმეორა ლენინის სიტყვები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, ზინოვიევი კი, რომელიც გამოდის ამ დებულების წინააღმდეგ და ამათრახებს იაკოვლევს, ჩამოშორდა ლენინს და დადგა მენშევიკ სუხანოვის თვალსაზრისზე, ჩვენს ქვეყანაში, მისი ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო, სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის თვალსაზრისზე.

ოღონდ გაუგებარია, რისთვის ვიღებდით ძალაუფლებას 1917 წლის ოქტომბერში, თუ სოციალიზმის აშენების იმედი არა გვქონდა?

არ უნდა აგვეღო ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერში — აი რა დასკვნამდე მივყავართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას.

შემდეგ, მე ვამტკიცებ, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ზინოვიევი წავიდა ჩვენი პარტიის გარკვეულ გადაწყვეტილებათა **წინააღმდეგ,** რომლებიც აღბეჭდილია XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლუციაში «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანებზე კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით».

მივმართოთ ამ რეზოლუციას. აი რა არის იქ ნათქვამი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ:

«ერთიმეორის პირდაპირ საწინააღმდეგო ორი საზოგადოებრივი სისტემის არსებობა იწვევს კაპიტალისტური ბლოკადის, ეკონომიური ზეგავლენის სხვა ფორმების, შეიარაღებული ინტერვენციის, რესტავრაციის მუდმივ საფრთხეს. მაშასადამე, **სოციალიზმის საბოლოო გამარჯ-**

ვების ერთადერთ გარანტიას, ე. ი. **გარანტიას რესტავრაციისაგან ***, წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში...» «ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვება, ბურჟუაზიული ურთიერთობის **რესტავრაციისაგან სრული გარანტიის აზრით ***, შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით...» «აქედან სრულიადაც **არ გამომდინარეობს ***, რომ შეუძლებელია **სრული სოციალისტური საზოგადოების *** აშენება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, გარეშე «სახელმწიფოებრივი დახმარებისა» (ტროცკი) ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყნების მხრივ» (იხ. რეზოლუცია [35]).

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუცია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას განმარტავს, როგორც გარანტიას ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, — რაც **სავსებით ეწინააღმდეგება** ზინოვიევის მიერ მის წიგნში — «ლენინიზმში» მოცემულ განმარტებას.

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუცია აღიარებს სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობას ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყნების «სახელმწიფოებრივი დახმარების» გარეშე, — რაც **სავსებით ეწინააღმდეგება** ზინოვიევის სულ სხვა მტკიცებას მის საბოლოო სიტყვაში XIV პარტყრილობაზე, სადაც მან გაილაშქრა იაკოვლევის წინააღმდეგ.

რა უნდა ვუწოდოთ ამას, თუ არ ზინოვიევის ბრძოლა XIV პარტკონფერენციის რეზოლუციის **წინააღმდეგ?**

რა თქმა უნდა, პარტიული რეზოლუციები ზოგჯერ უცოდველი არ არის. ხდება ხოლმე, რომ პარტიული რეზოლუციები შეიცავენ შეცდომებს. საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლება დავუშვათ, რომ XIV პარტკონფერენციის რეზოლუციაც შეიცავს ზოგიერთ შეცდომას. შესაძლოა, ზინოვიევი ამ რეზოლუციას შემცდარად თვლის. მაგრამ მაშინ ეს უნდა ითქვას გარკვევით და აშკარად,

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

როგორც ბოლშევიკს შეჰშვენის. ზინოვიევი კი რატომღაც გაურბის ამას. მან ამჯობინა აერჩია სხვა გზა: ზურგიდან მიეტანა იერიშები XIV პარტკონფერენციის რეზოლუციაზე, ამავე დროს არაფერი ეთქვა ამ რეზოლუციის შესახებ და სრულიად არ გამოსულიყო ამ რეზოლუციის რაიმე აშკარა კრიტიკით. როგორც ჩანს, ზინოვიევი ფიქრობს, რომ ეს გზა ყველაზე უკეთ აღწევს მიზანს. მიზანი კი მას ერთი აქვს — «გააუმჯობესოს» რეზოლუცია და «ცოტაოდნად» შეასწოროს ლენინი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ზინოვიევი ანგარიშში მოტყუვდა.

საიდან მომდინარეობს ზინოვიევის შეცდომა? სად არის ამ შეცდომის ფესვი?

ჩემი აზრით, ამ შეცდომის ფესვს შეადგენს ზინოვიევის რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა წარმოადგენს სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების **დაუძლეველ** დაბრკოლებას, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო. ზინოვიევმა და კამენევმა ერთ დროს სცადეს ამ არგუმენტით გამოსვლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე აპრილის პარტკონფერენციის წინ [36]. მაგრამ მათ შესაფერი პასუხი მიიღეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, **ფორმალურად** დაემორჩილნენ საწინააღმდეგო თვალსაზრისს, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის თვალსაზრისს. მაგრამ ზინოვიევი, ფორმალურად დაემორჩილა რა ამ თვალსაზრისს, მუდამ განაგრძობდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. აი რას ამბობს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მომხდარი ამ «ინციდენტის» შესახებ ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტი თავის «პასუხში» ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის წერილზე [37]:

«არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც კამენევი და ზინოვიევი პოლიტბიუროში იცავდნენ იმ თვალსაზრისს, თითქოს ჩვენ თავს ვერ ვაცართმევთ შინაგან სიძნელეებს ჩვენი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, თუ საერთაშორისო რევოლუციამ არ გვიხსნა. ჩვენ კი, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი, ვაშენებთ მას და ვაშენებთ კიდეც, მიუხედავად და წინააღმდეგ ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მშენებლობა იწარმოებს, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე მსოფლიო გამარჯვების პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ წინ მივდივართ და ვივლით. სწორედ ასევე ვფიქრობთ, რომ კამენევისა და ზინოვიევის თვალსაზრისი გამოხატავს ურწმენობას ჩვენი მუშათა კლასისა და მისი წინამძოლობით მიმავალი გლეხთა მასების შინაგანი ძალებისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თვალსაზრისი ლენინური პოზიციისაგან ჩამოშორებაა» (იხ. «პასუხი»).

ეს დოკუმენტი პრესაში გამოქვეყნდა XIV პარტყრილობის პირველი სხდომების დროს. ზინოვიევს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ჰქონდა ჯერ კიდევ ყრილობაზე გამოსულიყო ამ დოკუმენტის წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ ზინოვიევმა და კამენევმა ვერ იპოვეს არგუმენტები ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტის მიერ მათ მიმართ წაყენებული ამ მძიმე ბრალდების წინააღმდეგ. შემთხვევითია თუ არა ეს? მე ვფიქრობ, რომ არ არის შემთხვევითი. ბრალდება, როგორც ჩანს, მიზანში მოხვდა. ზინოვიევმა და კამენევმა ამ ბრალდებას დუმილით «უპასუხეს» იმიტომ, რომ არაფრით შეეძლოთ მისი «გაბათილება».

«ახალ ოპოზიციას» სწყინს, რომ ზინოვიევს ბრალს სდებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობაში. მაგრამ თუ ზინოვიევი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის მთელი წლის მანძილზე განხილვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ზინოვიევის თვალსაზრისი უკუგდებულ იქნა «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ (1925 წ.

აპრილი), მას შემდეგ, რაც ამ საკითხის შესახებ უკვე ჩამოყალიბდა პარტიის გარკვეული აზრი, რაც აღბეჭდილია XIV პარტკონფერენციის (1925 წ. აპრილი) ცნობილ რეზოლუციაში, თუ ყოველივე ამის შემდეგ ზინოვიევი ბედავს გამოვიდეს თავის წიგნში «ლენინიზმი» (1925 წ. სექტემბერი) პარტიის თვალსაზრისის წინააღმდეგ, თუ იგი შემდეგ იმეორებს ამ გამოსვლას XIV ყრილობაზე, — მაშინ რით უნდა აიხსნას ყოველივე ეს, ეს ჯიუტობა, ეს დაჟინება თავისი შეცდომის დაცვაში, თუ არა იმით, რომ ზინოვიევი დაავადებულია, უიმედოდ დაავადებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობით?

ზინოვიევს ნებავს ეს თავისი ურწმენობა ინტერნაციონალიზმად გაასაღოს. მაგრამ როდის აქეთ არის, რომ ლენინიზმის კარდინალურ საკითხში ლენინიზმისაგან ჩამოშორება ინტერნაციონალიზმად სალდება ჩვენში?

განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ პარტია კი არა, არამედ ზინოვიევი ცოდავს აქ ინტერნაციონალიზმისა და საერთაშორისო რევოლუციის წინააღმდეგ? ვინაიდან რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა, «სოციალიზმის მშენებლობის» ქვეყანა, თუ არა მსოფლიო რევოლუციის ბაზას? მაგრამ შეუძლია თუ არა მას იყოს მსოფლიო რევოლუციის ნამდვილი ბაზა, თუ მას არ ძალუძს სოციალისტური საზოგადოების აშენება? შეუძლია თუ არა მას დარჩეს იმ უდიდეს მიმზიდველ ცენტრად ყველა ქვეყნის მუშებისათვის, როგორიც ის ახლა უეჭველად არის, თუ მას არა აქვს უნარი მიაღწიოს თავის ქვეყანაში გამარჯვებას ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, მიაღწიოს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას? მე ვფიქრობ, რომ არ შეუძლია. მაგრამ განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა და ამ ურწმენობის ქადაგება იწვევს ჩვენი

ქვეყნის როგორც მსოფლიო რევოლუციის ბაზის სახელის გატეხას, ხოლო ჩვენი ქვეყნის სახელის გატეხა იწვევს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შესუსტებას? რითი აფრთხობდნენ ჩვენგან მუშებს ბ-ნი სოციალ-დემოკრატები? იმის ქადაგებით, რომ «რუსებს არაფერი გამოუვათო». რითი ვამარცხებთ ახლა სოციალ-დემოკრატებს და ვიზიდავთ მუშათა დელეგაციების მთელ წყებებს და ამით ვამაგრებთ კომუნიზმის პოზიციებს მთელ მსოფლიოში? ჩვენი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში. მაგრამ ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, რომ, ვინც ქადაგებს ურწმენობას ჩვენი წარმატებებისადმი სოციალიზმის მშენებლობაში, ის არაპირდაპირ ეხმარება სოციალ-დემოკრატებს, ის ასუსტებს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გაჭანებას, ის აუცილებლად შორდება ინტერნაციონალიზმს?..

თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევის «ინტერნაციონალიზმი» არაფრით არ არის უკეთესი მის «ასპროცენტიან ლენინიზმზე» ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხში.

ამიტომ XIV პარტყრილობა სწორად მოიქცა, როდესაც მან «ახალი ოპოზიციის» შეხედულებანი განსაზღვრა როგორც «სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობა» და «ლენინიზმის დამახინჯება» [38].

VII

ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის

მე ვფიქრობ, რომ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა წარმოადგენს «ახალი ოპოზიციის» ძირითად შეცდომას. ეს შეცდომა, ჩემი აზრით, იმიტომ არის ძირითადი, რომ აქედან წარმოსდგება «ახა-

ლი ოპოზიციის» ყველა დანარჩენი შეცდომა. «ახალი ოპოზიციის» შეცდომები ახალი ეკონომიური პოლიტიკის, სახელმწიფო კაპიტალიზმის, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ბუნების, პროლეტარიატის დიქტატურის დროს კოოპერაციის როლის, კულაკობასთან ბრძოლის მეთოდების, საშუალო გლეხობის როლისა და ხვედრითი წონის საკითხებში, — ყველა ეს შეცდომა წარმოსდგება ოპოზიციის ძირითადი შეცდომიდან, ჩვენი ქვეყნის ძალებით სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობისადმი ურწმენობიდან.

რა არის ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა?

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, იმის რწმენის უქონლობა, რომ გლეხობის ძირითად მასებს, ჩვენი ქვეყნის განვითარების განსაზღვრული პირობების გამო, **შეუძლიათ ჩაებან** სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

მეორეც, ეს არის იმის რწმენის უქონლობა, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს, რომლის განკარგულებაშიც არის სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალები, **შესწევს უნარი** ჩააბას გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამ დებულებებიდან მდუმარედ გამოდის ოპოზიცია ჩვენი განვითარების გზების შესახებ მსჯელობის დროს, — სულ ერთია, შეგნებულად სჩადის ამას იგი თუ შეუგნებლად.

შეიძლება თუ არა საბჭოთა გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში?

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ამ საკითხზე ორი ძირითადი დებულებაა მოყვანილი:

1) «არ შეიძლება ერთმანეთში აკრიოთ საბჭოთა კავშირის გლეხობა და დასავლეთის გლეხობა. გლეხობა, რომელსაც გაუვლია სამი რევოლუციის სკოლა, რომელიც იბრძოდა მეფისა და ბურჟუაზიული

ხელისუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატთან ერთად და პროლეტარიატის მეთაურობით, გლეხობა, რომელმაც პროლეტარული რევოლუციის ხელით მიიღო მიწა და ზავი და ამის გამო პროლეტარიატის რეზერვი გახდა, — ეს გლეხობა არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს იმ გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით იბრძოდა, რომელმაც ამ ბურჟუაზიის ხელით მიიღო მიწა და ამის გამო ბურჟუაზიის რეზერვი გახდა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ საბჭოთა გლეხობა, რომელიც მიჩვეულია პროლეტარიატთან პოლიტიკური მეგობრობისა და **პოლიტიკური** თანამშრომლობის დაფასებას და რომელმაც თავისუფლება მიიღო ამ მეგობრობისა და ამ თანამშრომლობის მეოხებით, — არ შეიძლება არ შეადგენდეს განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას პროლეტარიატთან **ეკონომიური** თანამშრომლობისათვის».

2) «არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ რუსეთის სოფლის მეურნეობა და დასავლეთის სოფლის მეურნეობა. იქ სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს კაპიტალიზმის ჩვეულებრივი ხაზით, გლეხობის ღრმა დიფერენციაციის პირობებში, მსხვილი მამულებით და კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებით ერთ პოლუსზე, ხოლო პაუპერიზმით, სიღატაკით და დაქირავებული მონობით — მეორეზე. ამის გამო იქ სავსებით ბუნებრივია რღვევა და დაშლა. სულ სხვაა რუსეთში. ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარება ამ გზით ვერ წავა თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და წარმოების ძირითად იარაღთა და საშუალებათა ნაციონალიზაცია გამორიცხავენ ასეთ განვითარებას. რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა წავიდეს სხვა გზით, მილიონობით წვრილი და საშუალო გლეხების კოოპერირების გზით, სოფლად მასობრივი კოოპერაციის განვითარების გზით, რასაც სახელმწიფო ხელს უწყობს შეღავათიანი კრედიტის მიწოდებით. ლენინმა მართებულად აღნიშნა სტატიებში კოოპერაციის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში უნდა წავიდეს ახალი გზით, კოოპერაციის მეოხებით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა უმრავლესობის ჩაბმის გზით, სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საფუძველთა თანდათანობითი დანერგვის გზით, ჯერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ — მათი წარმოების დარგში...

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, **რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ხალისით** დაადგება განვითარების ამ ახალ გზას და

უკუაგდებს კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და დაქირავებული მონობის გზას, სიღატაკისა და გაჩანაგების გზას» [38].

სწორია თუ არა ეს დებულებანი?

მე ვფიქრობ, რომ ორივე ეს დებულება სწორი და უდავოა მთელი ჩვენი აღმშენებლობითი პერიოდისათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

ეს დებულებანი მხოლოდ გამოხატულებაა ლენინის ცნობილი თეზისებისა პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის შესახებ, ქვეყნის სოციალისტური განვითარების სისტემაში გლეხურ მეურნეობათა მოქცევის შესახებ, იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი უნდა მიდიოდეს სოციალიზმისაკენ გლეხობის ძირითად მასებთან ერთად, იმის შესახებ, რომ გლეხობის მილიონიანი მასების კოოპერირება წარმოადგენს სოფლად სოციალისტური მშენებლობის მთავარ გზას, რომ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის დროს «კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის იგივეა... რაც სოციალიზმის ზრდა» (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

მართლაც, რა გზით შეიძლება წავიდეს და უნდა წავიდეს გლეხური მეურნეობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში?

გლეხური მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობა არ არის. გლეხური მეურნეობა, თუ გლეხურ მეურნეობათა უდიდეს უმრავლესობას ავიღებთ, არის წვრილსასაქონლო მეურნეობა. ხოლო რა არის წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობა? ეს ისეთი მეურნეობაა, რომელიც დგას გზაჯვარედინზე კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შუა. მას შეუძლია განვითარდეს კაპიტალიზმის მიმართულებითაც, როგორც ეს ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება, და სოციალიზმის მიმართულებითაც, როგორც ეს უნდა მოხდეს ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

საიდან წარმოსდგება გლეხური მეურნეობის ასეთი მერყეობა, ასეთი არადამოუკიდებლობა? რით აიხსნება ეს?

ეს აიხსნება გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობით, მათი არაორგანიზებულობით, იმით, რომ ისინი დამოკიდებული არიან ქალაქზე, ინდუსტრიაზე, საკრედიტო სისტემაზე, ქვეყანაში არსებული ძალაუფლების ხასიათზე, ბოლოს, იმ საყოველთაოდ ცნობილი დებულებით, რომ სოფელი მიჰყვება და უნდა მიჰყვებოდეს ქალაქს როგორც მატერიალურად, ისე კულტურულად.

გლეხური მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური გზა ნიშნავს განვითარებას გლეხობის უღრმესი დიფერენციაციის მეშვეობით, როდესაც ერთ პოლუსზე ვხედავთ დიდ ლატიფუნდიებს და მეორეზე — მასობრივ გაღატაკებას. განვითარების ასეთი გზა აუცილებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, იმიტომ რომ სოფელი, გლეხური მეურნეობა დამოკიდებულია ქალაქზე, ინდუსტრიაზე, ქალაქში კონცენტრირებულ კრედიტზე, ძალაუფლების ხასიათზე, ქალაქში კი გამეფებულია ბურჟუაზია, კაპიტალისტური მრეწველობა, კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა, კაპიტალისტური სახელმწიფო ძალაუფლება.

სავალდებულოა თუ არა გლეხურ მეურნეობათა განვითარების ეს გზა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალაქს სულ სხვა სახე აქვს, სადაც ინდუსტრია პროლეტარიატის ხელშია, სადაც ტრანსპორტი, საკრედიტო სისტემა, სახელმწიფო ძალაუფლება და სხვ. თავმოყრილია პროლეტარიატის ხელში, სადაც მიწის ნაციონალიზაცია საყოველთაო კანონს წარმოადგენს? რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო. პირიქით. სწორედ იმიტომ, რომ ქალაქი სოფლის ხელმძღვანელია, ჩვენში კი ქალაქში ბატონობს პროლეტარიატი, რომელსაც ხელთ უპყრია სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებელი მწვერვალი, სწორედ ამიტომ გლე-

ხური მეურნეობანი თავის განვითარებაში უნდა წავიდნენ სულ სხვა გზით, სოციალისტური მშენებლობის გზით.

რა გზაა ეს გზა?

ეს არის გზა მილიონობით გლეხურ მეურნეობათა მასობრივი კოოპერირებისა კოოპერაციის ყველა ხაზით, გზა დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისა სოციალისტური ინდუსტრიის გარშემო, გზა გლეხობაში კოლექტივიზმის საფუძვლების დანერგვისა ჯერ მიწათმოქმედების პროდუქტების **გასაღების** და ქალაქის ნაწარმით გლეხურ მეურნეობათა **მომარაგების** ხაზით, ხოლო შემდეგ სასოფლო-სამეურნეო **წარმოების** ხაზით.

და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო აუცილებელი ხდება ეს გზა პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში, ვინაიდან კოოპერირება გასაღების ხაზით, კოოპერირება მომარაგების ხაზით, ბოლოს, კოოპერირება კრედიტისა და წარმოების ხაზით (სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი) წარმოადგენს სოფლის კეთილდღეობის აღმავლობის ერთადერთ გზას, სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან გლეხობის ფართო მასების ხსნის ერთადერთ საშუალებას.

ამბობენ, გლეხობა ჩვენში თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია და ამის გამო მას სოციალისტური განვითარების უნარი არ შესწევსო. გლეხობა რომ თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ეს არ არის არგუმენტი გლეხურ მეურნეობათა სოციალიზმის გზით განვითარების წინააღმდეგ, თუ დამტკიცებულია, რომ სოფელი მისდევს ქალაქს, ხოლო ქალაქში სოციალისტური მრეწველობა მბრძანებლობს. გლეხობა ოქტომბრის რევოლუციის დროსაც არ იყო სოციალისტური თავისი მდგომარეობით და მას სრულებითაც არ სურდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება. იგი მაშინ ესწრაფოდა, უმთავრესად, მემამულეთა ძალაუფლების ლიკვიდაციას და ომის დამთავრებას, ზავის დამ-

ყარებას. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაჰყვა მაშინ სოციალისტურ პროლეტარიატს. რატომ? იმიტომ, რომ ბურჟუაზიის დამხობა და სოციალისტური პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღება მაშინ იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის ერთადერთი გზა, ზავის დამყარების ერთადერთი გზა. იმიტომ, რომ მაშინ სხვა გზა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ მოახერხა მაშინ გამოეძებნა, გამოენახა გლეხობის სპეციფიკური ინტერესების (მემამულის დამხობა, ზავი) ქვეყნის საერთო ინტერესებთან (პროლეტარიატის დიქტატურა) გაერთიანებისა და დაქვემდებარების ის ხარისხი, რომელიც გლეხობისათვის მისაღები და ხელსაყრელი გამოდგა. და გლეხობა, მიუხედავად თავისი არასოციალისტურობისა, გაჰყვა მაშინ სოციალისტურ პროლეტარიატს.

იგივე უნდა ითქვას სოციალისტურ მშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში, გლეხობის ჩაბმაზე ამ მშენებლობის ფერხულში. გლეხობა თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია. მაგრამ იგი უნდა დაადგეს, და აუცილებლად დაადგება, სოციალისტური განვითარების გზას, ვინაიდან არ არის და არც შეიძლება იყოს სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან გლეხობის ხსნის სხვა გზა, გარდა პროლეტარიატთან კავშირისა, გარდა სოციალისტურ მრეწველობასთან კავშირისა, გარდა გლეხური მეურნეობის მოქცევისა სოციალისტური განვითარების საერთო ფერხულში გლეხობის მასობრივი კოოპერირების საშუალებით.

რატომ სწორედ გლეხობის მასობრივი კოოპერირების საშუალებით?

იმიტომ, რომ მასობრივ კოოპერირებაში «ჩვენ ვიპოვეთ კერძო ინტერესის, კერძო ვაჭრული ინტერესის შეერთების, სახელმწიფოს მიერ მისი შემოწმებისა და კონტროლის ის ხარისხი, საერთო ინტერესებისადმი მისი და-

ქვემდებარების ის ხარისხი» **(ლენინი)** [40], რომელიც მისაღები და ხელსაყრელია გლეხობისათვის და რომელიც პროლეტარიატისათვის უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმის შესაძლებლობას. სწორედ იმიტომ, რომ გლეხობისათვის ხელსაყრელია კოოპერაციის საშუალებით თავისი საქონლის გასაღებისა და მანქანებით თავისი მეურნეობის მომარაგების ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ უნდა წავიდეს იგი და კიდევაც წავა მასობრივი კოოპერირების გზით.

ხოლო რას ნიშნავს გლეხურ მეურნეობათა მასობრივი კოოპერირება სოციალისტური მრეწველობის ბატონობის დროს?

ეს ნიშნავს წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის **ჩამოშორებას** ძველი, კაპიტალისტური გზიდან, რომელსაც მოსდევს გლეხობის მასობრივი გაღატაკება, და განვითარების ახალ გზაზე, სოციალისტური მშენებლობის გზაზე **გადასვლას.**

აი რატომ არის, რომ ბრძოლა გლეხური მეურნეობის განვითარების ახალი გზისათვის, ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმისათვის ჩვენი პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა სწორად მოიქცა, როდესაც დაადგინა, რომ:

«სოფლად სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი გზა მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატის ხელში მყოფი სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობის, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა მბრძანებელი სიმაღლეების მხრით მზარდი ეკონომიური ხელმძღვანელობის დროს, ჩავაბათ კოოპერაციულ ორგანიზაციაში გლეხობის ძირითადი მასა და უზრუნველვყოთ ამ ორგანიზაციისათვის სოციალისტური განვითარება, რისთვისაც გამოყენებული, დაძლეული და განდევნილი უნდა იქნან მისი კაპიტალისტური ელემენტები» (იხ. ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [41]).

«ახალი ოპოზიციის» უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა სწამს გლეხობის განვითარების ეს ახალი გზა, ვერ ხედავს ან არ ესმის ამ გზის მთელი აუცილებლობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ხოლო ეს არ ესმის იმიტომ, რომ არა სწამს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება, არა სწამს, რომ ჩვენს პროლეტარიატს შესწევს უნარი თან გაიყოლიოს გლეხობა სოციალიზმის გზით.

აქედან — ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორმაგი ხასიათის გაუგებლობა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი მხარეების გაზვიადება და ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმარტება როგორც უმთავრესად უკანდახევისა.

აქედან — ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების როლის გაზვიადება და ჩვენი სოციალისტური განვითარების ბერკეტების (სოციალისტური მრეწველობა, საკრედიტო სისტემა, კოოპერაცია, პროლეტარიატის ძალაუფლება და სხვ.) როლის დამცირება.

აქედან — ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნების გაუგებლობა და ლენინის კოოპერაციული გეგმის სისწორეში ეჭვის შეტანა.

აქედან — სოფლად დიფერენციაციის გაზვიადება, პანიკა კულაკის წინაშე, საშუალო გლეხის როლის დამცირება, ცდა — ჩაშალონ პარტიის პოლიტიკა, მიმართული საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფისაკენ, და, საერთოდ, აქეთ-იქით წყვეტება სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხში.

აქედან — იმ უდიდესი მუშაობის გაუგებლობა, რომელსაც პარტია აწარმოებს მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ჩასაბმელად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობაში, კოოპერაციისა და საბჭოების გამოცოცხლებაში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში,

ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში, რომელიც მოასწავებს განვითარების ახალ ხანას და ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე სოციალისტური მშენებლობა.

აქედან — უიმედობა და დაბნეულობა ჩვენი მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, დაეჭვება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობაში, პესიმისტური ლაყბობა პარტიის გადაგვარებაზე და სხვ.

მათ, ბურჟუებს, ყველაფერი ცოტად თუ ბევრად კარგად აქვთ, ჩვენ კი, პროლეტარებს, — ცოტად თუ ბევრად ცუდად; თუ დასავლეთიდან რევოლუციამ არ მოგვისწრო — ჩვენი საქმე წასულია, — ასეთია «ახალი ოპოზიციის» საერთო ტონი, რომელიც, ჩემი აზრით, ლიკვიდატორული ტონია, მაგრამ რატომღაც (ალბათ გასართობად) ოპოზიცია მას «ინტერნაციონალიზმად» ასაღებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმიაო, ამბობს ოპოზიცია. ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევააო, ამბობს ზინოვიევი. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ნამდვილად ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პარტიის პოლიტიკა, რომლითაც დაშვებულია სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა და რომელიც ნავარაუდევია სოციალისტური ელემენტების გამარჯვებისათვის კაპიტალისტურ ელემენტებზე. ნამდვილად ახალი ეკონომიური პოლიტიკა მხოლოდ დაიწყო უკანდახევით, მაგრამ იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ უკანდახევის მსვლელობაში მოხდეს ძალთა გადაჯგუფება და დაიწყოს შეტევა. ნამდვილად ჩვენ შეტევას უკვე რამდენიმე წელიწადია ვაწარმოებთ, და ვაწარმოებთ წარმატებით, ვაკეთარებთ ჩვენს ინდუსტრიას, ვავითარებთ საბჭოთა ვაჭრობას, ვავიწროებთ კერძო კაპიტალს.

მაგრამ რა აზრი აქვს თეზისს — ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმია, ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევაა? რისგან გამოდის ეს თეზისი?

იგი გამოდის იმ არასწორი მოსაზრებიდან, რომ ჩვენში ახლა წარმოებს კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა, კაპიტალიზმის უბრალო «დაბრუნება». მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის დაეჭვება ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ბუნებაში. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის პანიკა კულაკის წინაშე. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის აჩქარება, რომლითაც ოპოზიციამ ჩასჭიდა ხელი არასწორ ციფრებს გლეხობის დიფერენციაციის შესახებ. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის განსაკუთრებული გულმავიწყობა იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხი ჩვენში მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას საშუალო გლეხის ხვედრითი წონის შეუფასებლობა და ლენინის კოოპერაციულ გეგმაში დაეჭვება. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება იმის «დასაბუთება», თუ რატომ არა სწამს «ახალ ოპოზიციას» სოფლის განვითარების ახალი გზა, სოციალისტურ მშენებლობაში სოფლის ჩაბმის გზა.

ნამდვილად ჩვენში ახლა ხდება არა კაპიტალიზმის აღდგენის ერთმხრივი პროცესი, არამედ კაპიტალიზმის განვითარების და სოციალიზმის განვითარების ორმხრივი პროცესი, კაპიტალისტურ ელემენტებთან სოციალისტური ელემენტების ბრძოლის წინააღმდეგობრივი პროცესი, სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის პროცესი. ეს ერთნაირად უდავოა როგორც ქალაქისათვის, სადაც სოციალიზმის ბაზას წარმოადგენს სახელმწიფო მრეწველობა, ისე სოფლისათვის, სადაც სოციალისტური განვითარების ძირითად ხელჩასა-

ჰიდს წარმოადგენს მასობრივი კოოპერაცია, დაკავშირებული სოციალისტურ მრეწველობასთან.

კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლება ჩვენში პროლეტარულია, მსხვილი მრეწველობა პროლეტარიატის ხელშია, ტრანსპორტი და კრედიტი პროლეტარული სახელმწიფოს განკარგულებაშია.

დიფერენციაცია სოფლად ვერ მიაღწევს წინანდელ ფარგლებს, საშუალო გლეხი რჩება გლეხობის ძირითად მასად, ხოლო კულაკი ვეღარ მოიკრებს წინანდელ ძალას თუნდაც იმიტომ, რომ მიწა ჩვენში ნაციონალიზებულია, ის აღარ არის მიმოქცევის საგანი, ხოლო ჩვენი სავაჭრო, საკრედიტო, საგადასახადო და კოოპერაციული პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ შეზღუდოს კულაკობის ექსპლოატატორული მისწრაფებანი, აამაღლოს გლეხობის უფართოესი მასების კეთილდღეობა და გამოასწოროს უკიდურესობანი სოფლად. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ახლა კულაკობასთან ბრძოლა წარმოებს ჩვენში არა მარტო ძველი ხაზით, კულაკობის წინააღმდეგ ღარიბი გლეხობის დარაზმვის ხაზით, არამედ ახალი ხაზითაც, კულაკის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის მასებთან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცების ხაზით. ის ფაქტი, რომ ოპოზიციას არ ესმის კულაკობასთან ამ მეორე ხაზით ბრძოლის აზრი და მნიშვნელობა, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ოპოზიცია ადგება სოფლის განვითარების ძველ გზას, მისი კაპიტალისტური განვითარების გზას, როდესაც კულაკი და ღარიბი გლეხობა შეადგენდნენ სოფლის ძირითად ძალებს, ხოლო საშუალო გლეხი «ქრებოდა».

კოოპერაცია სახელმწიფო კაპიტალიზმის სახესხვაობააო, ამბობს ოპოზიცია, იმოწმებს რა ამასთან ლენინის

«სასურსათო გადასახადს»[42], რის გამო მას არა სწამს კოოპერაციის, როგორც სოციალისტური განვითარების ძირითადი ხელჩასაჭიდის გამოყენების შესაძლებლობა. ოპოზიცია აქაც ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის. კოოპერაციის ასეთი განმარტება საკმარისი და დამაკმაყოფილებელი იყო 1921 წელს, როდესაც «სასურსათო გადასახადი» დაიწერა, როდესაც ჩვენ არ გვქონდა განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, როდესაც ლენინს სახელმწიფო კაპიტალიზმი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ჩვენი სამეურნეო საქმიანობის შესაძლო ძირითადი ფორმა, ხოლო კოოპერაციას განიხილავდა სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით. მაგრამ ახლა ეს განმარტება საკმარისი აღარ არის და ისტორიის მიერ უკან მოტოვებულია, ვინაიდან მას შემდეგ დრონი იცვალნენ, ჩვენში სოციალისტური მრეწველობა განვითარდა, სახელმწიფო კაპიტალიზმმა ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც სასურველი იყო, ხოლო კოოპერაციამ, რომელშიც ახლა ათ მილიონზე მეტი წევრია, სოციალისტურ ინდუსტრიასთან დაკავშირება იწყო.

მაშ რითღა უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ «სასურსათო გადასახადის» გამოსვლის უკვე ორი წლის შემდეგ, 1923 წელს, ლენინი უკვე სხვანაირად განიხილავდა კოოპერაციას და ფიქრობდა, რომ «ჩვენს პირობებში კოოპერაცია ხშირად სავსებით ემთხვევა სოციალიზმს»? (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

მაშ რითღა უნდა აიხსნას ეს, თუ არა იმით, რომ ამ ორი წლის განმავლობაში სოციალისტური მრეწველობა უკვე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო კაპიტალიზმმა სათანადოდ ვერ მოიკიდა ფეხი, რის გამო ლენინი განიხილავდა კოოპერაციას უკვე არა სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით, არამედ სოციალისტურ მრეწველობასთან შეხამებით?

შეიცვალა კოოპერაციის განვითარების პირობები. უნდა შეცვლილიყო კოოპერაციის საკითხისადმი მიდგომაც.

აი, მაგალითად, ერთი შესანიშნავი ადგილი ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ» (1923 წ.), რომელიც შუქს ჰფენს ამ საკითხს:

«**სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს** * კოოპერაციული საწარმონი განსხვავდებიან სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, ჯერ-ერთი, როგორც კერძო საწარმონი და, მეორეც, როგორც კოლექტიური საწარმონი. **ჩვენი არსებული წყობილების დროს** * კოოპერაციული საწარმონი განსხვავდებიან კერძო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ **არ განსხვავდებიან** * სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ მიწა, რომელზეც ისინი მოწყობილი არიან, და წარმოების საშუალებანი ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს» (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

ამ პატარა ციტატაში გადაჭრილია ორი დიდი საკითხი. ჯერ-ერთი, საკითხი იმის შესახებ, რომ «ჩვენი არსებული წყობილება» არ არის სახელმწიფო კაპიტალიზმი. მეორეც, საკითხი იმის შესახებ, რომ კოოპერაციული საწარმონი, აღებულნი «ჩვენს წყობილებასთან» შეხამებით, «არ განსხვავდებიან» სოციალისტურ საწარმოთაგან.

მე ვფიქრობ, რომ აზრის უფრო ნათლად გამოხატვა ძნელია.

აი კიდევ ერთი ადგილი ლენინის იმავე ბროშურიდან:

«კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის იგივეა (ზემოთ აღნიშნული «მცირე» გამონაკლისით), რაც სოციალიზმის ზრდა, და ამასთან ერთად ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ სოციალიზმის მიმართ მთელი ჩვენი თვალსაზრისის ძირიანად შეცვლა» (იხ. იქვე).

ცხადია, რომ ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» ჩვენ საქმე გვაქვს კოოპერაციის ახალ შეფასებასთან, რის აღიარებაც არა სურს «ახალ ოპოზიციას» და რასაც იგი

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გულმოდგინედ ჩქმალავს, წინააღმდეგ ფაქტებისა, წინააღმდეგ აშკარა ჭეშმარიტებისა, წინააღმდეგ ლენინიზმისა.

ერთი საქმეა კოოპერაცია, აღებული სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით, და სხვა საქმეა კოოპერაცია, აღებული სოციალისტურ მრეწველობასთან შეხამებით.

მაგრამ აქედან არ შეიძლება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ «სასურსათო გადასახადსა» და ბროშურას «კოოპერაციის შესახებ» შორის უფსკრული იყოს. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. საკმარისია მოვიყვანოთ, მაგალითად, შემდეგი ადგილი «სასურსათო გადასახადიდან», რომ ერთბაშად შევამჩნიოთ განუყრელი კავშირი «სასურსათო გადასახადსა» და ბროშურას «კოოპერაციის შესახებ» შორის კოოპერაციის შეფასების საკითხში. აი ეს ადგილი:

«კონცესიებიდან სოციალიზმზე გადასვლა არის მსხვილი წარმოების ერთი ფორმიდან მსხვილი წარმოების მეორე ფორმაზე გადასვლა. წვრილ მეურნეთა კოოპერაციიდან სოციალიზმზე გადასვლა არის წვრილი წარმოებიდან მსხვილ წარმოებაზე გადასვლა, ე. ი. გადასვლა უფრო რთული, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი, რომელსაც ძალუძს, წარმატების შემთხვევაში, მოიცვას მოსახლეობის უფრო ფართო მასები, ძალუძს ამოგლიჯოს უფრო ღრმა და უფრო გამძლე ფესვები ძველი, **წინასოციალისტური** * და თვით წინაკაპიტალისტური ურთიერთობისა, რომელიც ყველაზე გამძლეა ყოველი «სიახლისათვის» წინააღმდეგობის გაწევის აზრით» (იხ. ტ. XXVI, გვ. 337).

ამ ციტატიდან ჩანს, რომ ლენინს ჯერ კიდევ «სასურსათო გადასახადის» დროს, როდესაც ჩვენ ჯერ არ გვქონდა განვითარებული სოციალისტური ინდუსტრია, შესაძლებლად მიაჩნდა, **წარმატების შემთხვევაში**, კოოპერაციის გადაქცევა «წინასოციალისტურ» და, მაშასადამე, **კაპიტალისტური ურთიერთობის** წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ საშუალებად. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს აზრი

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გახდა შემდეგში გამოსავალი პუნქტი მისი ბროშურისათვის «კოოპერაციის შესახებ».

მაგრამ რა გამომდინარეობს ყოველივე აქედან?

აქედან გამომდინარეობს ის, რომ «ახალი ოპოზიცია» კოოპერაციის საკითხს უდგება არა მარქსისტულად, არამედ მეტაფიზიკურად. იგი განიხილავს კოოპერაციას არა როგორც ისტორიულ მოვლენას, აღებულს სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, ვთქვათ. სახელმწიფო კაპიტალიზმთან (1921 წ.) ან სოციალისტურ მრეწველობასთან (1923 წ.) დაკავშირებით, არამედ როგორც რაღაც მუდმივს და ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, როგორც «საგანს თავისთავად».

აქედან — ოპოზიციის შეცდომები კოოპერაციის საკითხში, აქედან — იმის რწმენის უქონლობა, რომ სოფელი კოოპერაციის გზით სოციალიზმისაკენ ვითარდება, აქედან — ოპოზიციის გადახვევა ძველ გზაზე, სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზაზე.

ასეთია საერთოდ «ახალი ოპოზიციის» პოზიცია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებში.

დასკვნა ერთია: ოპოზიციის ხაზს, რამდენადაც მას ხაზი აქვს, ოპოზიციის მერყეობასა და ქანაობას, ჩვენი საქმისადმი მის ურწმენობას და სიძნელეთა წინაშე დაბნეულობას — მივყავართ კაპიტულაციისაკენ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე.

ვინაიდან, თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევაა, თუ სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნება საეჭვოდ არის მიჩნეული, თუ კულაკი თითქმის ყოვლისშემძლეა, კოოპერაცია ნაკლებ საიმედოა, საშუალო გლეხის როლი პროგრესიულად ეცემა, სოფლის განვითარების ახალი გზა საეჭვოა, პარტია თითქმის გადაგვარებას განიცდის, ხოლო რევოლუცია დასავ-

ლეთში ჯერ კიდევ არც თუ ისე ახლოა, — რაღა რჩება ყოველივე ამის შემდეგ ოპოზიციის არსენალში, რის იმედი აქვს მას ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში? მარტო «ეპოქის ფილოსოფიით» [43] ხომ ვერ იბრძოლებ!

ცხადია, «ახალი ოპოზიციის» არსენალი ვერაფერი სახარბიელოა, თუ მას საერთოდ შეიძლება არსენალი ეწოდოს. ეს არსენალი ბრძოლისათვის უვარგისია. მით უმეტეს უვარგისია იგი გამარჯვებისათვის.

ცხადია, პარტია ასეთი არსენალით «მყისვე» დაიღუპავდა თავს, ჩხუბში რომ ჩარეულიყო, — მას მოუხდებოდა პირდაპირ კაპიტულაცია ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე.

ამიტომ პარტიის XIV ყრილობა სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც დაადგინა, რომ «ბრძოლა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს»; რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა «ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობასთან და იმ ცდებთან, რომ ჩვენი საწარმონი, რომელნიც «თანმიმდევრულ-სოციალისტური ტიპის» **(ლენინი)** საწარმოებს წარმოადგენენ, განიხილონ როგორც სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმონი»; რომ «ასეთ იდეურ მიმდინარეობებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მასების შეგნებულ დამოკიდებულებას საერთოდ სოციალიზმის და კერძოდ სოციალისტური მრეწველობის მშენებლობისადმი, შეუძლიათ მხოლოდ შეაფერხონ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდა და გააადვილონ მათთან ბრძოლა კერძო კაპიტალის მხრივ»; რომ «ყრილობას ამიტომ აუცილებლად მიაჩნია ფართო აღმზრდელობითი მუშაობა ლენინიზმის ამ დამა-

ხინჯებათა დასაძლევად» (იხ. რეზოლუცია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [44]).

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო ძირფესვიანად გამოეაშკარავებინა «ახალი ოპოზიციის» შეცდომები, უკუაგდო მისი ურწმენობა და წუწუნი, ნათლად და მკაფიოდ დასახა სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გზა, მისცა პარტიას გამარჯვების პერსპექტივა და მით პროლეტარიატი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების შეურყეველი რწმენით.

1926 წ. 25 იანვარი.

ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხებისათვის. მ. — ლ., 1926.

გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ

პასუხი ამხ. პ. ფ. ბოლტნევს, ვ. ი. ეფრემოვს, ვ. ი. ივლევს

ბოდიშს ვიხდი, რომ დაგვიანებით მიხდება პასუხის გაცემა.

ჩემს სიტყვაში [45] სრულებითაც არ არის ნათქვამი, რომ გლეხობა, როგორც მუშათა კლასის მოკავშირე, მხოლოდ ამჟამად არის საჭირო მუშათა კლასისათვის.

იქ ნათქვამი არ არის, რომ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი რუსეთში ზედმეტი იქნება. მე ვფიქრობ, თქვენ ცუდად წაგიკითხავთ ჩემს მიერ მოსკოვის კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა.

იქ ნათქვამია მხოლოდ ის, რომ: «გლეხობა ერთადერთი მოკავშირეა, რომელსაც შეუძლია **ახლავე** გაუწიოს ჩვენს რევოლუციას პირდაპირი დახმარება». გამოდის თუ არა აქედან, რომ ევროპაში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გლეხობა შეიძლება ზედმეტი გახდეს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისათვის? რა თქმა უნდა, არ გამოდის.

თქვენ მეკითხებით: «რაღა იქნება, როცა მსოფლიო რევოლუცია მოხდება, როცა საჭირო აღარ იქნება მეოთხე

მოკავშირე, — გლეხობა? მაშინ როგორი იქნება შეხედულებანი მასზე?»

ჯერ-ერთი, მართალი არ არის, რომ «მსოფლიო რევოლუციის შემდეგ» გლეხობა საჭირო აღარ იქნება. არ არის მართალი, ვინაიდან «მსოფლიო რევოლუციის შემდეგ», ჩვენი სამეურნეო-აღმშენებლობითი მუშაობა ბუმბერაზული ნაბიჯით უნდა წავიდეს წინ, ხოლო სოციალიზმის შენება უგლეხობოდ არ შეიძლება, ისევე როგორც გლეხობა უპროლეტარიატოდ თავს ვერ დააღწევს სიღატაკეს. მაშასადამე, მუშათა და გლეხთა კავშირი დასავლეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი არ შესუსტდება, არამედ პირიქით, უნდა განმტკიცდეს.

მეორეც, «მსოფლიო რევოლუციის შემდეგ», როცა ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა ასგზის გაძლიერდება, საქმე ისე წარიმართება, რომ მუშები და გლეხები, როგორც სრულიად სხვადასხვა ეკონომიური ჯგუფები, თანდათანობით გაქრებიან, გადაიქცევიან მიწისა და ფაბრიკის მშრომელებად, ე. ი. თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით გათანაბრდებიან. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებისა და გლეხების კავშირი თანდათან გადაიქცევა შეერთებად, სრულ ერთიანობად, ყოფილ მუშათა და ყოფილ გლეხთა, შემდეგ კი პირდაპირ სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა ერთიან სოციალისტურ საზოგადოებად.

აი როგორია ჩვენი შეხედულება გლეხობაზე «მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ».

ჩემს სიტყვაში საქმე ეხება არა იმას, თუ რა შეხედულებისა იქნება ჩვენი პარტია გლეხობაზე მომავალში, არამედ იმას, თუ ოთხ მოკავშირეში რომელია მუშათა კლასის ყველაზე უშუალო მოკავშირე და უშუალო თანა-

შემწე ახლა, ამჟამად, როცა კაპიტალისტები დასავლეთში რამდენადმე წელში იმართებიან.

რატომ დავაყენე ჩემს სიტყვაში საკითხი სწორედ ამგვარად? იმიტომ, რომ ჩვენს პარტიაში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სისულელისა და უგუნურების გამო ჰგონიათ, რომ გლეხობა ჩვენი მოკავშირე არ არის. ავია თუ კარგი, ჩვენს პარტიაში ასეთი ადამიანები რომ მოიპოვებიან, — ეს სხვა საქმეა, მაგრამ ასეთი ადამიანები მოიპოვებიან. ამიტომ მე სწორედ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ვლაპარაკობდი და ვამტკიცებდი, რომ ამჟამად გლეხობა მუშათა კლასის ყველაზე უმუალო მოკავშირეა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც გლეხობისადმი უნდობლობას თესავენ, შეიძლება, თავისდა უნებურად, დაღუპონ ჩვენი რევოლუციის საქმე, ე. ი. შეიძლება დაღუპონ მუშების საქმეც და გლეხების საქმეც.

აი რაზეა ლაპარაკი.

მე ვფიქრობ, თქვენ ცოტა ნაწყენი ხართ იმის გამო, რომ მე გლეხობას ვუწოდებ არც თუ ძალიან მტკიცე მოკავშირეს და არა ისეთ საიმედო მოკავშირეს, როგორიც არის კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატი. მე ვხედავ, რომ თქვენ ამით ნაწყენი ხართ. მაგრამ განა მე მართალი არა ვარ? განა მე მოვალე არა ვარ პირდაპირ ვთქვა სიმართლე? განა მართალი არ არის, რომ გლეხობა კოლჩაკისა და დენიკინის შემოსევის დროს ძალიან ხშირად მერყეობდა ხან მუშებისაკენ და ხან გენერლებისაკენ? და განა ცოტა გლეხი, მოხალისე გლეხი, იყო დენიკინისა და კოლჩაკის არმიებში?

მე არ ვამტყუნებ გლეხებს, იმიტომ რომ მათი მერყეობა არასაკმაო შეგნებულობით აიხსნება. მაგრამ მე მოვალე ვარ პირდაპირ ვთქვა სიმართლე, თუ კომუნისტი ვარ. ასე გვასწავლიდა ლენინი. სიმართლე კი ის არის, რომ მძიმე ჟამს, როცა კოლჩაკი და დენიკინი მუშებს უტევდნენ,

გლეხობა, როგორც მუშათა კლასის მოკავშირე, ყოველთვის როდი იჩენდა საკმაო შეუდრეკლობასა და სიმტკიცეს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შეიძლება ხელი ჩავიქნიოთ გლეხობაზე, როგორც ახლა იქცევა ზოგიერთი წინდაუხედავი ამხანაგი, რომლებსაც საერთოდ არ მიაჩნიათ გლეხობა პროლეტარიატის მოკავშირედ? არა, არ ნიშნავს. გლეხობაზე ხელის ჩაქნევა ნიშნავს დანაშაულის ჩადენას მუშების წინააღმდეგაც და გლეხების წინააღმდეგაც. ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ ავამაღლოთ გლეხების შეგნება, გავანათლოთ ისინი, დავუახლოოთ მუშათა კლასს, როგორც ჩვენი რევოლუციის ბელადს, — და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გლეხობა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის სულ უფრო და უფრო მტკიცე და საიმედო მოკავშირე გახდება.

ხოლო როცა დასავლეთში რევოლუცია დაიქუხებს, გლეხობა უკვე მთლად მომაგრდება და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთ-ერთი უერთგულესი მოკავშირე გახდება.

ასე უნდა გვესმოდეს კომუნისტების დამოკიდებულება გლეხობისადმი, როგორც მუშათა კლასის მოკავშირისადმი.

ამხანაგური სალამით

ი. სტალინი

1926 წ. 9 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ

პასუხი ამხ. პოკოევს

ამხ. პოკოევ!

გწერთ დაგვიანებით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი თქვენს და თქვენი ამხანაგების წინაშე.

სამწუხაროდ, თქვენ ვერ გაგიგიათ ჩვენი უთანხმოება XIV ყრილობაზე. საქმე სრულებითაც ის როდია, თითქოს ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია სოციალიზმამდე, ხოლო ყრილობა თითქოს ამბობდა, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ სოციალიზმამდე. ეს სწორი არ არის. ჩვენს პარტიაში არ მოიძებნება არც ერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს თქვას, რომ ჩვენ უკვე განვახორციელეთ სოციალიზმი.

ყრილობაზე დავა იყო სრულიადაც არა ამის შესახებ. დავა იყო აი რის თაობაზე. ყრილობა ამბობდა, რომ მუშათა კლასს მშრომელ გლეხობასთან კავშირში შეუძლია გაანადგუროს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტები და ააშენოს სოციალისტური საზოგადოება, კიდევაც რომ ვერ მოგვეშველოს ძლევამოსილი რევოლუცია დასავლეთში. ოპოზიცია კი ამბობდა, ჩვენი კაპიტალისტების განადგურებას და სოციალისტური საზოგადოების აშენებას ვერ შევძლებთ, სანამ დასავლეთში მუშებს არ გაუმარჯვნიათო.

ხოლო რაკი დასავლეთში რევოლუციის გამარჯვების საქმე რამდენადმე გვიანდება, ჩვენ, ეტყობა, ისღა დაგვრჩენია, რომ ტყუილ-უბრალოდ ვიფუსფუსოთო. ყრილობა ამბობდა, და მან ეს თქვა თავის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [46], რომ ოპოზიციის ასეთი შეხედულებანი ნიშნავენ ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტებზე გამარჯვების საქმისადმი რწმენის უქონლობას.

აი რაზე იყო ლაპარაკი, ძვირფასო ამხანაგებო.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვესაჭიროება დასავლეთ ევროპის მუშების დახმარება. ვთქვათ, დასავლეთ ევროპის მუშები არ თანაგვიგრძნობდნენ და მორალურ დახმარებას არ გვიწევდნენ. ვთქვათ, დასავლეთ ევროპის მუშები ხელს არ უშლიდნენ თავიანთ კაპიტალისტებს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრებაში. რა გამოვიდოდა აქედან? აქედან ის გამოვიდოდა, რომ კაპიტალისტები გამოილაშქრებდნენ ჩვენს წინააღმდეგ და ძირფესვიანად დაარღვევდნენ ჩვენს აღმშენებლობითს მუშაობას, ანდა სავსებითაც დაგვამარცხებდნენ. თუ კაპიტალისტები ასეთ ცდას არ მიმართავენ, ეს იმიტომ ხდება, რომ ეშინიათ, რომ მუშები ზურგში დაარტყამენ მათ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრების შემთხვევაში. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ დასავლეთ-ევროპელი მუშების მხარდაჭერას ჩვენი რევოლუციისადმი.

მაგრამ დასავლეთის მუშების მიერ მხარდაჭერიდან რევოლუციის გამარჯვებამდე დასავლეთში ძალიან დიდი და დიდი მანძილია. დასავლეთის მუშები მხარს რომ არ გვიჭერდნენ, საეჭვოა რომ ჩვენ გავმკლავებოდით მტრებს, რომლებიც გარს გვარტყიან. კარგი იქნება, თუ ეს მხარდაჭერა შემდეგ გადაიქცევა ძლევამოსილ რევოლუციად დასავლეთში. მაშინ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება

საბოლოო იქნება. მაგრამ ეს მხარდაჭერა რომ არ იქცეს დასავლეთში რევოლუციის გამარჯვებად? შეგვიძლია თუ არა ჩვენ დასავლეთში ამ გამარჯვების მიუღწევლად ვაშენოთ და ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება? ყრილობამ უპასუხა, რომ შეგვიძლია. თორემ რა საჭირო იყო აგვეღო ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერში. ჩვენ რომ იმედი არ გვქონოდა, რომ გავანადგურებდით ჩვენს კაპიტალისტებს, ყოველი ადამიანი იტყვის, ამაოდ აგვიღია ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერშიო. ოპოზიცია კი ამბობს, რომ ჩვენი კაპიტალისტების განადგურება ჩვენი საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია.

აი რა განსხვავებაა ჩვენს შორის.

ყრილობაზე ლაპარაკი იყო კიდევ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების შესახებ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს სრულ გარანტიას უცხოელი კაპიტალისტების ინტერვენციისაგან და ჩვენს ქვეყანაში ძველი წესწყობილების აღდგენისაგან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ამ კაპიტალისტების შეიარაღებული ბრძოლის გზით. შეგვიძლია თუ არა ჩვენი საკუთარი ძალებით უზრუნველვყოთ ეს გარანტია, ე. ი. შეუძლებელი გავხადოთ სამხედრო ინტერვენცია საერთაშორისო კაპიტალის მხრივ? არა, არ შეგვიძლია. ეს ჩვენი და მთელი დასავლეთის პროლეტარების საერთო საქმეა. საერთაშორისო კაპიტალის საბოლოოდ ალაგმვა შეიძლება მხოლოდ ევროპის ყველა ქვეყნის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ევროპის ძირითადი ქვეყნების მუშათა კლასის ძალებით. აქ უკვე თავს ვერ გავართმევთ ისე, თუ რევოლუციამ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში არ გაიმარჯვა, — უამისოდ შეუძლებელია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება.

რა გამოდის ბოლოს და ბოლოს?

გამოდის ის, რომ ჩვენი საკუთარი ძალებით სოციალისტური საზოგადოების აშენება შეგვიძლია, დასავლეთში

რევოლუციამ კიდევაც რომ ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გარანტირება საერთაშორისო კაპიტალის მხრივ ხელყოფისაგან მარტო ჩვენს ქვეყანას არ ძალუძს, — ამისათვის საჭიროა რევოლუციის გამარჯვება დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში. ერთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა და სულ სხვაა იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო კაპიტალის მხრივ ხელყოფისაგან.

თქვენი შეცდომა და თქვენი ამხანაგების შეცდომა, ჩემი აზრით, ის არის, რომ თქვენ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულხართ ამ საქმეში და აგირევიათ ეს ორი საკითხი.

ამხანაგური სალამით

ი. სტალინი

P. S. აგეღოთ «ბოლშევიკი»[47] (მოსკოვისა) № 3 და წაგეკითხათ იქ ჩემი სტატია. ეს საქმეს გაგიადვილებდათ.

ი. სტალინი

1926 წ. 10 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

ამხ. კოტოვსკის შესახებ

მე ვიცნობდი ამხ. კოტოვსკის, როგორც სანიმუშო პარტიელს, გამოცდილ სამხედრო ორგანიზატორსა და დახელოვნებულ მეთაურს.

განსაკუთრებით კარგად მახსოვს იგი პოლონეთის ფრონტზე 1920 წელს, როცა ამხ. ბუდიონი ჟიტომირისაკენ მიიწევდა პოლონეთის არმიის ზურგში, კოტოვსკის კი თავისი ცხენოსანი ბრიგადა მიჰყავდა წარმოუდგენლად გაბედულ თავდასხმებზე პოლონელთა კიევის არმიის წინააღმდეგ. იგი რისხვა იყო თეთრპოლონელებისათვის, ვინაიდან ყველაზე უკეთ იცოდა მათი «აკეპვა», როგორც მაშინ წითელარმიელები ამბობდნენ.

ყველაზე მამაცი ჩვენს თავმდაბალ მეთაურთა შორის და ყველაზე თავმდაბალი მამაცთა შორის — ასეთი მახსოვს ამხ. კოტოვსკი.

საუკუნო ხსენება და დიდება მას.

ი. სტალინი

«კომმუნისტ» (ხარკოვი)
№ 43 (1828), 1926 წ.
23 თებერვალი.

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის საფრანგეთის კომისიაში[48]

1926 წ. 6 მარტი

ამხანაგებო! სამწუხაროდ, საფრანგეთის საქმეებს ნაკლებად ვიცნობ. ამიტომ არ შემიძლია იმდენად ამოვწურო ეს საკითხი, როგორც ეს აქ არის საჭირო. მიუხედავად ამისა, მე გარკვეული აზრი შემომუშავდა საფრანგეთის საქმეებზე იმ სიტყვების მიხედვით, რომლებიც აქ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე მოვისმინე, და ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ამის საფუძველზე ზოგიერთი შენიშვნა გავაკეთო კომისიაში.

ჩვენ აქ რამდენიმე საკითხი გვაქვს.

პირველი საკითხი — საფრანგეთში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მე ცოტა არ იყოს მაწუხებს იხ უდარდელობა, რომელიც გამოსჭვივის ამხანაგების სიტყვებიდან საფრანგეთში ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საფრანგეთში მეტად თუ ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, საქმე საერთოდ გვარიანად მიდის; მართალია, არის ზოგიერთი სიძნელე, მაგრამ ეს სიძნელენი, შეიძლება ითქვას, რაიმე კრიზისს არ გამოიწვევენო და

ა. შ. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ვერ ვიტყვი, რომ საფრანგეთი თავისი 1923 წლის [49] წინაშე იდგეს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ იგი კრიზისისაკენ მიდის. ამ მხრივ კომისიის თეზისებიც და ცნობილი ამხანაგების შენიშვნებიც სწორად მიმაჩნია.

ეს განსაკუთრებული კრიზისია, ვინაიდან საფრანგეთში უმუშევრობა არ არის. კრიზისი იმით ნელდება, რომ საფრანგეთი ამჟამად გერმანიიდან მიღებული ოქროთი იკვებება. მაგრამ ეს დროებითი მოვლენებია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ გერმანიის ოქრო არ ეყოფა საფრანგეთს თავისი შინაური ხვრელების ამოსავსებად და ინგლისისა და ამერიკისათვის ვალების გადასახდელად, მეორეც, იმიტომ, რომ საფრანგეთი უმუშევრობას ვერ ასცდება. სანამ არსებობს ინფლაცია, რომელიც სტიმულს აძლევს ექსპორტს, შესაძლოა უმუშევრობა არ იქნეს, შემდეგ კი, როცა ვალუტა განმტკიცდება და ვალების მიხედვით საერთაშორისო ანგარიშსწორება ძალაში შევა, საფრანგეთი მრეწველობის კონცენტრაციასა და უმუშევრობას ვერ ასცდება. იმის ყველაზე უტყუარ სიმპტომს, რომ საფრანგეთი კრიზისისაკენ მიდის, წარმოადგენს ის აურზაური, რომელიც გამეფებულია საფრანგეთის მმართველ წრეებში, სამინისტროთა ის ოთურმა, რაც გაჩაღებულია საფრანგეთში.

არასოდეს არ შეიძლება დახატო კრიზისის განვითარება როგორც თანდათან მზარდ მარცხთა აღმავალი ხაზი. ასეთი კრიზისი არასოდეს არ ხდება. რევოლუციური კრიზისი ჩვეულებრივად ზიგზაგების სახით ვითარდება: მცირე მარცხი, შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესება, შემდეგ უფრო სერიოზული მარცხი, მერე ერთგვარი აღმავლობა და ა. შ. ზიგზაგის არსებობა საფუძველს არ უნდა

გვაძლევდეს ვიფიქროთ, რომ ბურჟუაზიის საქმეები გამოსწორების გზაზეა.

ამიტომ უდარდელობა აქ საშიშია. საშიშია, ვინაიდან კრიზისი შეიძლება უფრო სწრაფად მოახლოვდეს, ვიდრე ჰგონიათ, და მაშინ ფრანგ ამხანაგებს შეიძლება ამ კრიზისმა მოუმზადებელთ მოუსწროს. ხოლო პარტია, რომელსაც მოვლენები მოუმზადებელს მოუსწრებენ, ვერ უხელმძღვანელებს ამ მოვლენებს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას აღებული უნდა ჰქონდეს კურსი რევოლუციური კრიზისის თანდათან მოახლოებაზე. და საფრანგეთის პარტიამ ისე უნდა დააყენოს აგიტაციისა და პროპაგანდის საქმე, რომ მუშების გონება და გული მოამზადოს ამ კრიზისისათვის.

მეორე საკითხია პარტიის შიგნით მემარჯვენე საფრთხის ზრდა. მე ვფიქრობ, რომ როგორც საფრანგეთის კომპარტიის გარშემო, ისე პარტიის შიგნით უკვე არის მემარჯვენეთა საკმაოდ ძლიერი მებრძოლი ჯგუფი, პარტიიდან გარიცხულთა და გაურიცხავთა მეთაურობით, და ეს ჯგუფი მუდამ ეცდება სიცოცხლე გაუმწაროს კომუნისტურ პარტიას. მე ეს-არის ველაპარაკე კრემეს. მან შემატყობინა ახალი ფაქტი, რომ არა მარტო პარტიის ხაზით, არამედ პროფორგანიზაციების ხაზითაც არსებობენ მემარჯვენეთა დაჯგუფებანი, რომელნიც ჩუმ-ჩუმად ეწევიან მუშაობას, ხოლო ადგილ-ადგილ პირდაპირი იერიში მიაქვთ კომპარტიის რევოლუციურ ფრთაზე. ამ მხრივ ანგლერის დღევანდელი გამოსვლაც კი სიმპტომატურია, და ამას საჭიროა მივაპყროთ ამხანაგების სერიოზული ყურადღება.

მოახლოებული კრიზისის პერიოდში ყოველთვის მემარჯვენეები წამოყოფენ ხოლმე თავს. ეს საერთო კანონია რევოლუციური კრიზისისათვის. მემარჯვენენი თავს წამოყოფენ, ვინაიდან მათ რევოლუციური კრიზისისა ეშინიათ და ამიტომ მზად არიან ყველაფერი გააკეთონ, რომ

პარტია უკან დასწიონ და განვითარება არ დაანებონ მოახლოებულ კრიზისს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ კომპარტიის მორიგი ამოცანა, რამდენადაც იგი, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ახალ რევოლუციურ კადრებს უნდა ჰედავდეს და მასებს კრიზისისათვის ამზადებდეს, ის არის, რომ უკუაგდოს მემარჯვენეები, მოახდინოს მათი **იზოლაცია**.

მზად არის თუ არა ამ უკუგდებისათვის საფრანგეთის კომუნისტური პარტია?

გადავდივარ **მესამე საკითხზე**, საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელ ჯგუფში არსებულ ვითარებაზე. გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ მემარჯვენეების იზოლაციისათვის საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს ორი ამხანაგისაგან, რომლებიც მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ, მაგრამ რომლებიც დიდ შეცდომებს უშვებდნენ. მხედველობაში მყავს ტრენი და სუზანა ჟირო. პირდაპირ ვიტყვი, ვინაიდან ყველაფერს სჯობია, როცა საგნებს ნამდვილ სახელს უწოდებენ.

არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება, თუ მემარჯვენეთა წინააღმდეგ იერიში იმით დაიწყება, რომ ხელმძღვანელ ჯგუფს ჩამოაშორონ ის ადამიანები, რომლებიც მემარჯვენეებს ებრძვიან. მე ვფიქრობდი, რომ, პირიქით, წამოყენებული იქნებოდა სხვა წინადადება, თუნდაც ამგვარი: ვინაიდან მემარჯვენენი გათავხედდნენ, ვინაიდან მათ, თავიანთი ორგანო «ბიულეტენ კომიუნისტ» [50] რომ დახურეს, გამოუშვეს დეკლარაცია, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს პარტიას, ხომ არ შეიძლება ისე დავაყენოთ საქმე, რომ ზოგიერთი მემარჯვენე პოლიტიკურად ვამხილოთ, თუ სულ არ გავრიცხავთ პარტიიდან. მე ვფიქრობდი, რომ ასე იქნებოდა დაყენებული საკითხი

მემარჯვენე საფრთხის გამო. მე ვფიქრობდი, რომ აქ სწორედ ასეთ განცხადებას მოვისმენდი. ნაცვლად ამისა ჩვენ წინადადებას გვაძლევენ იმით დავიწყოთ მემარჯვენეთა იზოლაცია, რომ მოვახდინოთ ორი არა მემარჯვენის იზოლაცია. ამაში მე ლოგიკას ვერ ვხედავ, ამხანაგებო!

მაგრამ აქ ამ საკითხს, მემარჯვენეებთან ბრძოლის საკითხს, ერთვის მეორე საკითხი — ეს არის ის, რომ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს შიგნით უმრავლესობის დარაზმული ჯგუფი არ არსებობს. სავსებით სწორია, რომ პარტიას არ შეუძლია აწარმოოს ბრძოლა არც მემარჯვენე ჯგუფის წინააღმდეგ და არც «ულტრამემარცხენე» ჯგუფის წინააღმდეგ, თუ პარტიას ხელმძღვანელ ჯგუფში არა ჰყავს კომპაქტური უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია ერთი მიზნისათვის იბრძოდეს. ეს სავსებით სწორია. მე მიმაჩნია, რომ ასეთი ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს, და იგი, მე ვფიქრობ, უკვე ჩამოყალიბდა, ან ახლო ხანში ჩამოყალიბდება ისეთი ამხანაგების გარშემო, როგორიც არიან სემარი, კრემე, ტორეზი, მონმუსო. ასეთი ჯგუფის შექმნა ან ერთ ხელმძღვანელ ჯგუფში ამ ამხანაგების, ასე ვთქვათ, შეწყობილი მუშაობის მოგვარება, რომლებზეც მე ვილაპარაკე, ნიშნავს იმას, რომ მოახდინო ძალების კონცენტრაცია მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენ ვერ დაამარცხებთ მემარჯვენეებს, ვინაიდან მემარჯვენენი იზრდებიან და, ეტყობა, ერთგვარი ფესვები აქვთ საფრანგეთის მუშათა კლასში, თქვენ ვერ დაამარცხებთ-მეთქი მემარჯვენეებს, თუ ხელმძღვანელ ჯგუფში არ გააერთიანეთ ყველა რევოლუციური კომუნისტი, რომელნიც მზად არიან ბოლომდე იბრძოლონ მემარჯვენეთა წინააღმდეგ. მემარჯვენეებთან ბრძოლის იმით დაწყება, რომ საკუთარი ძალები დაქსაქსო, ეს გონივრული, ჭკვიანური ვერ არის. თქვენ შეიძლება თავიც დაისუსტოთ და

მემარჯვენეებთან ბრძოლაც წააგოთ, თუ ძალთა კონცენტრაცია არ მოახდინეთ.

რა თქმა უნდა, შესაძლოა ფრანგ ამხანაგებს შესაძლებლად არ მიაჩნდეთ მთელი ძალების კონცენტრაცია, ტრენისა და სუზანა ჟიროს ჩათვლით, შესაძლოა ეს მათ შეუძლებლად მიაჩნდეთ. მაშინ დაე ფრანგმა ამხანაგებმა თავიანთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ან თავიანთ კონგრესზე მოახდინონ სათანადო ცვლილებანი თავიანთი პოლიტბიუროს შემადგენლობაში. ეს გააკეთონ თვითონ, კომინტერნის აღმასკომის ჩაურევლად. ამის უფლება მათ აქვთ.

ჩვენ, რუსმა ამხანაგებმა, სულ ამ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ პარტიის XIV ყრილობაზე ცნობილი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შესაძლებლობა მიეცეთ სექციებს უფრო მეტად უხელმძღვანელონ თავიანთ თავს. ჩვენ ეს ისე გვესმის, რომ საჭიროა, რამდენადაც შესაძლებელია, მოვერიდოთ კომინტერნის აღმასკომის პირდაპირ ჩარევას სექციების საქმეებში, კერძოდ — ჩვენი კომინტერნის სექციების ხელმძღვანელი ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში. მაშ ნუ დაგვარღვევინებთ, ამხანაგებო, ჩვენს პარტიულ ყრილობაზე ეს-ეს არის მიღებულ გადაწყვეტილებებს. რა თქმა უნდა, არის ხოლმე შემთხვევები, როცა რეპრესიები ცალკეული ამხანაგების მიმართ აუცილებელია, მაგრამ ამჟამად მე ასეთ აუცილებლობას ვერ ვხედავ.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენს კომისიას მოეთხოვება შემდეგი:

პირველი — მიიღოს მკაფიო პოლიტიკური რეზოლუცია საფრანგეთის საკითხზე მემარჯვენეებთან გადამწყვეტი ბრძოლის ლოზუნგით და იმ ამხანაგების შეცდომათა აღნიშვნით, რომლებმაც ეს შეცდომები დაუშვეს.

მეორე — რჩევა მისცეს ფრანგ ამხანაგებს, რომ მათ ამ რეზოლუციის გარშემო, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია მემარჯვენეთა წინააღმდეგ, მჭიდროდ შეაკავშირონ ხელმძღვანელი ჯგუფი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, ე. ი. დაავალოს ამ ჯგუფის წევრებს სინდისიერად გაატარონ ეს რეზოლუცია ერთობლივი ღონისძიებებით.

მესამე — რჩევა მისცეს ფრანგ ამხანაგებს, რომ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ისინი არ გაიტაცოს მოკვეთის მეთოდმა, რეპრესიების მეთოდმა.

მეოთხე საკითხი — ეს არის საფრანგეთში მუშათა პროფკავშირების საკითხი. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ზოგიერთი ფრანგი ამხანაგი მეტად იოლად უყურებს ამ საქმეს. მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ პროფკავშირული კონფედერაციის წარმომადგენლებს შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ ისიც შესაძლებლად მიმაჩნია, რომ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც დაუშვა შეცდომები კონფედერაციის მიმართ. სავსებით ბუნებრივია, ამხ. მონმუსოს სურს, რომ პარტიის მხრივ რაც შეიძლება ნაკლები მეურვეობა იყოს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან არსებობს ორი პარალელური ორგანიზაცია: პარტია და პროფკავშირთა კონფედერაცია, და მათ შორის არ შეიძლება ზოგჯერ ერთგვარი უთანხმოება არ იყოს. ეს ჩვენთან, რუსებთანაც, ხდება, და ყველა კომპარტიაშიც, — უამისობა არ შეიძლება. მაგრამ უთანხმოება მით უფრო ნაკლები იქნება, რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირთა ყველა წვრილმანში. პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობა საჭიროა იმ კომუნისტების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ მუშაობას ეწევიან პროფკავშირებში, და არა მათთვის გვერდის ავლით. ჩვენში, რუსე-

თის პარტიაში, იყო შემთხვევები, როცა პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობის ჰიპერტროფია გამოდიოდა. ჩვენი პარტიის არქივში შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი პარტიული ყრილობების მიერ მიღებული მთელი რიგი რეზოლუციები იმის შესახებ, რომ პარტია მეურვეობას არ უწევდეს პროფკავშირებს, რომ იგი მეურვეობას კი არ უწევდეს, არამედ ხელმძღვანელობდეს მათ. ვშიშობ, რომ ამ მხრივ საფრანგეთის პარტიასაც აქვს, მომიტევონ ამხანაგებმა, ერთგვარი ცოდვები პროფკავშირების მიმართ. მე მიმაჩნია, რომ პარტია მუშათა კლასის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა და სწორედ ამიტომ მისგან მეტს უნდა მოვითხოვდეთ. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის შეცდომები ლიკვიდირებული უნდა იქნას პირველ რიგში, რათა პროფკავშირებისადმი დამოკიდებულება გაუმჯობესდეს და განმტკიცდეს და რათა ამხ. მონმუსოს და სხვა პროფკავშირელებს შეეძლოთ იმუშაონ იმ მიმართულებით, როგორიც აუცილებელია კომუნისტური პარტიის თვალსაზრისით.

პარტია შემდგომ ვერ განვითარდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როგორიც დასავლეთშია, პარტია ვერ განმტკიცდება, თუ მას უაღრესად სერიოზული დასაყრდენი არა აქვს პროფკავშირებისა და მათი ხელმძღვანელების სახით. მხოლოდ იმ პარტიას, რომელსაც უნარი შესწევს ფართო კავშირი იქონიოს პროფკავშირებთან და მათს ხელმძღვანელებთან და უნარი შესწევს ნამდვილი პროლეტარული კონტაქტი დაამყაროს მათთან, მხოლოდ ასეთ პარტიას შეუძლია მიიმხროს მუშათა კლასის უმრავლესობა დასავლეთში. თქვენ თვითონ იცით, რომ მუშათა კლასის უმრავლესობის მიუმხრობლად შეუძლებელია გამარჯვების იმედი გქონდეს.

მაშ რა გამოდის?

გამოდის, რომ:

ა) საფრანგეთი კრიზისისაკენ მიდის;

ბ) გრძნობენ რა ამ კრიზისს და ეშინიათ რა მისი, მემარჯვენე ელემენტებმა თავი წამოყვეს და ცდილობენ უკან დასწიონ პარტია;

გ) პარტიის მორიგი ამოცანაა მემარჯვენე საფრთხის ლიკვიდაცია, მემარჯვენეთა იზოლაცია;

დ) მემარჯვენეთა იზოლაციისათვის საჭიროა პარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში თავმოყრილ იქნას ყველა ნამდვილად კომუნისტი ლიდერი, რომლებსაც უნარი შესწევთ ბოლომდე აწარმოონ ბრძოლა მემარჯვენეების წინააღმდეგ;

ე) იმისათვის, რომ ძალთა კონცენტრაციამ სასურველი შედეგები მოგვცეს მემარჯვენეებთან ბრძოლაში და რევოლუციური კრიზისისათვის მუშების მომზადებაში, საჭიროა, რომ ხელმძღვანელი ჯგუფი პროფკავშირებს ეყრდნობოდეს და უნარი ჰქონდეს პროლეტარული კონტაქტი დაამყაროს პროფკავშირებთან და მათს მუშაკებთან;

ვ) თავის პრაქტიკულ მუშაობაში პარტია არ უნდა გაიტაცოს მოკვეთის მეთოდმა, ცალკეული ამხანაგების მიმართ რეპრესიების მეთოდმა, არამედ გამოიყენოს უმთავრესად დაჯერების მეთოდი.

იბეჭდება პირველად.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღისათვის

მხურვალე სალამი მთელი მსოფლიოს მუშა და მშრომელ ქალებს, რომლებიც ერთიან შრომით ოჯახად ირაზმებიან სოციალისტური პროლეტარიატის გარშემო.

ვუსურვებ მათ სრულ წარმატებას:

1) ყველა ქვეყნის მუშათა საერთაშორისო კავშირის განმტკიცებისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში;

2) ბურჟუაზიის სულიერი და ეკონომიური კაბალისაგან მშრომელ ქალთა ჩამორჩენილი ფენების განთავისუფლების საქმეში;

3) რევოლუციის ბელადისა და სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის — პროლეტარიატის გარშემო გლეხი ქალების დარაზმვის საქმეში;

4) იმ საქმეში, რომ ჩაგრული მასების თავისი მდგომარეობით ჯერ კიდევ არათანასწორი ორი ნაწილი გადაიქცეს ყოველგვარი არათანასწორუფლებიანობის მოსპობისათვის, ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობისათვის, პროლეტარიატის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის მებრძოლთა ერთიან არმიად.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს!

ი. სტალინი

«პრავდა» № 55,
1926 წ. 7 მარტი.

სიტყვა კომინტერნის ალმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გერმანიის კომისიაში

1926 წ. 8 მარტი

ამხანაგებო! მე სულ რამდენიმე შენიშვნა მაქვს.

1. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, სსრ კავშირის ინტერესებმა რომ მოითხოვოს, კომპარტიებმა დასავლეთში მემარჯვენე პოლიტიკა უნდა შეითვისონო. მე ამას არ ვეთანხმები, ამხანაგებო. უნდა ვთქვა, რომ ეს ვარაუდი სრულიად შეუთავსებელია იმ პრინციპებთან, რომლებითაც ჩვენ, რუსი ამხანაგები, ვხელმძღვანელობთ ჩვენს მუშაობაში. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესებმა ჩვენი მოძმე პარტიებისაგან როდისმე მოითხოვოს მარჯვნივ გადახრა. ვინაიდან რას ნიშნავს მემარჯვენე პოლიტიკის გატარება? ეს იმას ნიშნავს, რომ ასე თუ ისე უღალატო მუშათა კლასის ინტერესებს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ სსრ კავშირის ინტერესებმა ჩვენი მოძმე პარტიებისაგან მოითხოვოს მუშათა კლასის ინტერესებისადმი ღალატი, თუნდაც ერთი წამით. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენი რესპუბლიკის — მთელ მსოფლიოში

რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის ამ ბაზის ინტერესები დასავლეთის მუშების რევოლუციურობისა და პოლიტიკური აქტივობის მაქსიმუმს კი არ მოითხოვდეს, არამედ ამ აქტივობის შემცირებას, რევოლუციურობის შენელებას. ასეთი ვარაუდი შეურაცხმყოფელია ჩვენთვის, რუსი ამხანაგებისათვის. ამიტომ ჩემ მოვალეობად მიმაჩნია მთლიანად და სავსებით გავემიჯნო ასეთ უაზრო და სრულიად შეუწყნარებელ ვარაუდს.

2. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესახებ. ზოგიერთი ინტელიგენტის მხრივ ხმები გაისმის, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სუსტია, იგი სუსტად ხელმძღვანელობს, ცენტრალურ კომიტეტში ინტელიგენტური ძალები რომ არ არიან, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობაზე, ცენტრალური კომიტეტი არ არსებობსო და ა. შ. ყოველივე ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ასეთი ლაპარაკი მე მიმაჩნია ინტელიგენტების ისეთ საქციელად, რაც კომუნისტებს არ შეჰშვენით. გერმანიის კომპარტიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი შემთხვევით როდი ჩამოყალიბებულა. იგი მემარჯვენე შეცდომებთან ბრძოლაში იშვა. იგი «ულტრამემარცხენე» შეცდომებთან ბრძოლაში განმტკიცდა. ამიტომ იგი არც მემარჯვენეა და არც «ულტრამემარცხენე». ეს ლენინური ცენტრალური კომიტეტია. ეს სწორედ ის ხელმძღვანელი მუშური ჯგუფია, რომელიც ესაჭიროება ახლა გერმანიის კომპარტიას.

ამბობენ, ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი თეორიულ ცოდნას ვერ დაიკვეხნისო. მერე რა, — ოღონდ სწორი პოლიტიკა იყოს, და თეორიული ცოდნაც იქნება. ცოდნა შესაძენი საქმეა, თუ იგი დღეს არა გაქვს, ხვალ გექნება, სწორი პოლიტიკა კი, რომელსაც გერმანიის პარტიის ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი პრაქტი-

კულად ახორციელებს, არც თუ ისე იოლი შესათვისებელია ზოგიერთი ყოყოჩა ინტელიგენტისათვის. ხოლო ახლანდელი ცენტრალური კომიტეტის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სწორ ლენინურ პოლიტიკას ახორციელებს, რის გაგებაც არ სურთ იმ ინტელიგენტუნებს, რომლებიც თავიანთი «ცოდნით» ყოყოჩობენ. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, საკმარისია რომელიმე ინტელიგენტმა ორი-სამი წიგნი წაიკითხოს ან ორიოდე ბროშურა დაწეროს, რომ პარტიისადმი ხელმძღვანელობა დაიჩემოსო. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს იმდენად არასწორია, რომ პირდაპირ სასაცილოა. თქვენ შეგიძლიათ მთელი წიგნები დაწეროთ ფილოსოფიაზე, მაგრამ, თუ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სწორი პოლიტიკა არ შეგითვისებიათ, პარტიის საჭესთან თქვენი მიშვება არ შეიძლება.

ამხ. ტელმან! აიყვანეთ ეს ინტელიგენტები სამსახურში, თუ მათ ნამდვილად სურთ ემსახურონ მუშათა საქმეს, ანდა შეგიძლიათ კინწისკვრით გარეკოთ ისინი, თუ სურთ მაინცდამაინც მბრძანებლობდნენ... ის ფაქტი, რომ ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტში მუშები ჭარბობენ, გერმანიის კომპარტიის დიდ უპირატესობას წარმოადგენს.

რა არის გერმანიის კომპარტიის ამოცანა?

ის, რომ გზა გაიკაფოს სოციალ-დემოკრატიულად განწყობილი მუშათა მასებისაკენ, რომლებსაც თავგზა აებნათ სოციალ-დემოკრატიულ დომხალში, და ამრიგად კომპარტიის მხარეზე მიიზიდოს მუშათა კლასის უმრავლესობა. ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს თავის გზააბნეულ ძმებს გაიკვლიონ გზა და დაუკავშირდნენ კომპარტიას. აქ შესაძლებელია მუშათა მასებისადმი მიდგომის ორი მეთოდი. ერთი მეთოდია სპეციფიკურად ინტელიგენტური, მუშების მორეკვის მეთოდი, მუშების, ასე

ვთქვათ, მათრახით «დაპყრობის» მეთოდი. მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ ამ მეთოდს კომუნიზმის მეთოდთან საერთო არა აქვს რა, ვინაიდან იგი კი არ იზიდავს, არამედ მხოლოდ აფრთხობს მუშებს. მეორე მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ საერთო ენა მონახოთ გზააბნეულ ძმებთან, რომლებიც სოციალ-დემოკრატების ბანაკში აღმოჩნდნენ, **დაეხმაროთ** მათ სოციალ-დემოკრატიზმის ჩიხიდან თავის დაღწევაში, **გაუადვილოთ** მათ კომუნიზმის მხარეზე გადასვლა. ეს მეთოდი მუშაობის ერთადერთი კომუნისტური მეთოდია. ის ფაქტი, რომ ახლანდელი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა პროლეტარულია, ეს ფაქტი მნიშვნელოვნად აადვილებს გერმანიაში ამ მეორე მეთოდის გამოყენებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის წარმატებანი ერთიანი ფრონტის გატარების საქმეში, რომლებიც უეჭველად აქვს გერმანიის კომპარტიის ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტს.

3. მეიერის შესახებ. მე ყურადღებით ვისმენდი მეიერის ჭკვიანურ სიტყვას. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მისი სიტყვის ერთ-ერთ პუნქტს არ შემიძლია დავეთანხმო. მეიერის მიხედვით გამოდის, რომ იგი კი არ მისულა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, არამედ, პირიქით, ცენტრალური კომიტეტი მივიდა მასთან. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. მას პირდაპირ არ უთქვამს ეს, მაგრამ ეს აზრი მთელ მის სიტყვაში გამოსჭვივის. ეს სწორი არ არის, ეს დიდი შეცდომაა. ახლანდელი ცენტრალური კომიტეტი იშვა მემარჯვენეებთან ბრძოლაში, რომელთა რიგებშიც ამ ცოტა ხნის წინათ მეიერი იღვწოდა. ცენტრალური კომიტეტი მემარჯვენე ვერ გახდება, თუ არ სურს უღალატოს თავის ბუნებას, თუ არ სურს უკუღმა დაატრიალოს გერმანიის კომპარტიის ისტორიის ჩარხი. თუ, მიუხედავად ამისა, მეიერი დაუახლოვდა ამ ცენ-

ტრალურ კომიტეტს, აქედან ის გამოდის, რომ მეიერმა დაიწყო გამემარცხენება, დაიწყო მემარჯვენეთა შეცდომების აღიარება, დაიწყო მემარჯვენეთაგან ჩამოშორება. მაშასადამე, ცენტრალური კომიტეტი კი არ მიდის მეიერთან, არამედ, პირიქით, მეიერი მიდის ცენტრალურ კომიტეტთან. იგი მიდის ცენტრალურ კომიტეტთან, მაგრამ ჯერ კიდევ არ მისულა. მან ორი-სამი ნაბიჯი კიდევ უნდა გადადგას მემარჯვენეებიდან ცენტრალური კომიტეტისაკენ იმისათვის, რომ სავსებით მივიდეს გერმანიის კომპარტიის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან. მე აზრადაც არ მომსვლია, რომ მეიერი ჭირიანად ჩავთვალო, მე არ გირჩევთ ხელი ჰკრათ მეიერს, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ მან კიდევ ორი-სამი ნაბიჯი უნდა გადადგას წინ, რათა საბოლოოდ დაუახლოვდეს გერმანიის კომპარტიის ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტს.

4. შოლემის შესახებ. სიტყვას არ გავაგრძელებ «ულტრამემარცხენეებზე» გერმანიაში და შოლემის პოლიტიკაზე. ამის შესახებ აქ საკმაოდ ბევრი ითქვა. მინდა მხოლოდ მოვიყვანო ერთი ადგილი შოლემის სიტყვიდან და გავაკრიტიკო იგი. შოლემი ახლა მხარს უჭერს შინაპარტიულ დემოკრატიას. ამიტომ იგი წინადადებას იძლევა დაიწყონ საყოველთაო დისკუსია, მიიწვიონ ბრანდლერი და რადეკი, მიიწვიონ ყველანი, მემარჯვენეებიდან «ულტრამემარცხენეებამდე», გამოაცხადონ საყოველთაო ამნისტია და დაიწყონ საყოველთაო დისკუსია. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს ჩვენ არ გვჭირდება. წინათ შოლემი შინაპარტიული დემოკრატიის წინააღმდეგი იყო. ახლა იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება, მხარს უჭერს უსაზღვრო და სრულიად შეუზღუდავ დემოკრატიას. ღმერთმა გვაშოროს ასეთი დემოკრატია. ტყუილად კი არ ამბობენ რუსები: «რეგვენს ლოცვა ათქმევინე და შუბლს

გაიტეხსო». (სიცილი). არა, ჩვენ ასეთი დემოკრატია არ გვინდა. გერმანიის კომპარტიამ უკვე მოიხადა მემარჯვენეთა სენი. ახლა საჭირო არ არის ხელოვნურად შევყაროთ მას ეს სენი. გერმანიის კომპარტია ახლა დაავადებულია «ულტრამემარცხენეთა» სენით. ახლა საჭირო არ არის გავაძლიეროთ ეს სენი, — იგი კი არ უნდა გავაძლიეროთ, არამედ უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველნაირი დისკუსია და არა ყოველნაირი დემოკრატია, არამედ ისეთი დისკუსია და ისეთი დემოკრატია, რომლებიც სარგებლობას მოუტანენ კომუნისტურ მოძრაობას გერმანიაში. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ შოლემის მიერ გამოცხადებული საყოველთაო ამნისტიისა.

5. რუთ ფიშერის ჯგუფის შესახებ. ამ ჯგუფის შესახებ აქ იმდენი ითქვა, რომ მე დამრჩენია რამდენიმე სიტყვა-ღა ვთქვა. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის კომპარტიის არასასურველ და უარყოფით ჯგუფებს შორის ეს ჯგუფი ყველაზე არასასურველი და ყველაზე უარყოფითია. ერთერთმა «ულტრამემარცხენე» პროლეტარმა აქ შენიშნა, მუშები ბელადებისადმი რწმენას კარგავენო. თუ ეს მართალია, ძალიან სამწუხაროა. ვინაიდან არ შეიძლება ნამდვილი პარტია იყოს იქ, სადაც ბელადებისადმი რწმენა არ არის. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? ამაში დამნაშავეა რუთ ფიშერის ჯგუფი, მისი ორმაგი ბუხჰალტერია პოლიტიკაში, მისი პრაქტიკა — ერთს ამბობდეს და სხვას აკეთებდეს, მუდმივი უთანხმოება საქმესა და სიტყვას შორის ამ დიპლომატიური ჯგუფის პრაქტიკაში. არ შეიძლება მუშებს ბელადებისადმი რწმენა ჰქონდეთ იქ, სადაც ბელადები დიპლომატიურ თამაშში გაიხრწნენ, სადაც სიტყვა საქმით არ არის განმტკიცებული, სადაც ბელადები ერთს ამბობენ და სხვას აკეთებენ.

რატომ იყო, რომ რუსეთის მუშებს უსაზღვროდ სჯეროდათ ლენინისა? განა მარტო იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა სწორი იყო? არა, არა მარტო იმიტომ. მათ სჯეროდათ მისი კიდევ იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ ლენინის სიტყვა საქმეს არ სცილდებოდა, რომ ლენინი «არ მოგატყუებს». აი რაზე იყო დაფუძნებული, სხვათა შორის, ლენინის ავტორიტეტი. აი რა მეთოდით ზრდიდა ლენინი მუშებს, აი როგორ უნერგავდა მათ ბელადებისადმი რწმენას. რუთ ფიშერის ჯგუფის მეთოდი, გახრწნილი დიპლომატიის მეთოდი, პირდაპირ ეწინააღმდეგება ლენინის მეთოდს. მე შემიძლია პატივს ვცემდე და მჯეროდეს ბორდიგასი, რომელიც ლენინელად და მარქსისტად არ მიმაჩნია, შემიძლია მჯეროდეს მისი იმიტომ, რომ იგი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. მე შემიძლია შოლემისაც კი მჯეროდეს, რომელიც ყოველთვის როდი ამბობს იმას, რასაც ფიქრობს (ს ი ც ი ლ ი), მაგრამ რომელსაც ხანდახან ზოგი რამ წამოსცდება ხოლმე. (ს ი ც ი ლ ი). მაგრამ რაც უნდა მინდოდეს, არ შემიძლია თუნდაც ერთი წამით დავუჯერო რუთ ფიშერს, რომელიც არასოდეს არ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ რუთ ფიშერის ჯგუფი გერმანიის კომპარტიის უარყოფით ჯგუფებში ყველაზე უარყოფითია.

6. ურბანსის შესახებ. მე პატივს ვცემ ურბანსს, როგორც რევოლუციონერს. დიდად ვცემ პატივს მას იმისათვის, რომ ასე კარგად ეჭირა თავი სასამართლო პროცესზე. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ურბანსის მარტო ამ თვისებებით ფონს ვერ გახვალ. რევოლუციონერობა კარგი საქმეა. სიმტკიცე — კიდევ უკეთესი. მაგრამ თუ არსენალში ამ თვისებების მეტი არაფერი გაგაჩნია, ეს ცოტაა, ამხანაგებო, ერთობ ცოტაა. ერთ-ორ თვეს გეყოფა ასეთი ავლადიდება, მაგრამ შემდეგ გამო-

გელევა, დანამდვილებით გამოგელევა, თუ იგი სწორი პოლიტიკით არ განამტკიცე. ამჟამად გერმანიის კომპარტიაში გაჩაღებულია შეურიგებელი ბრძოლა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და კაცის ბანდას შორის. ვის ემხრობა ურბანსი? კაცის ბანდას თუ ცენტრალურ კომიტეტს? მეშჩანურ ფილოსოფოს კორშს თუ ცენტრალურ კომიტეტს? აქ საჭიროა არჩევანის გაკეთება. არ შეიძლება ამ ორ მებრძოლ ძალას შუა გაეხირო. აქ ურბანსს გამბედაობა უნდა ჰქონდეს აშკარად და პატიოსნად თქვას, ვის ემხრობა იგი, ცენტრალურ კომიტეტს თუ მის აღვირახსნილ მოწინააღმდეგეებს. აქ საჭიროა სრული გარკვეულობა. ურბანსის უბედურება ის არის, რომ, ეტყობა, მას ჯერ კიდევ არა აქვს ეს გარკვეულობა, რომ იგი დაავადებულია პოლიტიკური სიბეცით. შეიძლება აპატიო პოლიტიკური სიბეცე ერთხელ, შეიძლება აპატიო მეორედ, მაგრამ თუ სიბეცე პოლიტიკად იქცა, მაშინ იგი დანაშაულს უდრის. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ურბანსმა აშკარად და პატიოსნად უნდა გაარკვიოს თავისი პოზიცია, თუ არა სურს დაკარგოს პარტიაში თავისი გავლენის ნაშთი. მუშათა მასებს არ შეუძლიათ იცხოვრონ იმის მოგონებებით, თუ რა კარგად ეჭირა თავი ურბანსს სასამართლო პროცესზე. მუშათა მასებს სწორი პოლიტიკა სჭირდებათ. თუ ურბანსს ნათელი და გარკვეული პოლიტიკა არ აღმოაჩნდა, საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ სთქვა — ურბანსის ავტორიტეტისა მოგონებაც ალარ დარჩება.

ჟურნალი «კომმუნისტიჩესკი
ინტერნაციონალ» № 3 (52),
1926 წ. მარტი.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ

მოხსენება ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ [51]

1926 წ. 13 აპრილი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ შევუდგე მოხსენებას.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დღის წესრიგი ოთხი პუნქტისაგან შესდგებოდა.

პირველი პუნქტი — ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისა და ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ.

მეორე პუნქტი — ჩვენი პურის დამამზადებელი აპარატების რეორგანიზაციის შესახებ მათი გამარტივებისა და გაიაფების მიმართულებით.

მესამე პუნქტი — ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის გეგმა 1926 წლისათვის ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ძირითად საკვანძო საკითხთა დამუშავების თვალსაზრისით.

მეოთხე პუნქტი — ცენტრალური კომიტეტის მდივნის ევდოკიმოვის შეცვლა მეორე კანდიდატით — ამხ. შვერნიკით.

თუ არ ჩავთვლით უკანასკნელ საკითხს — ერთი მდივნის მეორე მდივნით შეცვლის შესახებ, ყველა დანარჩენი საკითხი, რომელნიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კამათის მთავარ ღერძს წარმოადგენდნენ, შეიძლებოდა დაგვეყვანა ერთ ძირითად საკითხზე — ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის საკითხზე. ამიტომ ჩემს მოხსენებაში შევეხები ერთს ძირითად საკითხს — ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

I

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძარი პერიოდი

ჩვენი პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი სამეურნეო განვითარებისას ჩვენი ქვეყანა შევიდა ნეპის ახალ პერიოდში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალ პერიოდში, პირდაპირი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვლადიმირ ილიას-ძემ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოაცხადა. ძირითადი ამოცანა, რომელიც მაშინ ჩვენს წინაშე, პარტიის წინაშე იდგა, ის იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, გაშლილი საქონელბრუნვის პირობებში აგვეშენებინა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველი. ეს სტრატეგიული ამოცანა ახლაც დგას ჩვენს წინაშე, როგორც ჩვენი ძირითადი ამოცანა. ამ ძირითად ამოცანას ჩვენ მაშინ, ნეპის პირველ პერიოდში, 1921 წლიდან დაწყებული, ვუდგებოდით უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. ამხ. ლენინი ამბობდა: ჩვენი ამოცანაა ავაშენოთ სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველი, მაგრამ

ასეთი საძირკველი რომ **ავაშენოთ**, ამისათვის აუცილებელია გვქონდეს განვითარებული ინდუსტრია, ვინაიდან ინდუსტრია არის სოციალიზმის, სოციალისტური მშენებლობის საფუძველი, მისი თავი და ბოლო, ინდუსტრიის განვითარებისათვის კი აუცილებელია საქმე სოფლის მეურნეობით **დავიწყოთ.**

რატომ?

იმიტომ, რომ ინდუსტრიის, მრეწველობის გასაშლელად იმ ეკონომიური ნგრევის პირობებში, რომელსაც ჩვენ მაშინ განვიცდიდით, აუცილებელი იყო შეგვექმნა, უწინარეს ყოვლისა, ზოგიერთი საბაზრო, სანედლეულო და სასურსათო წინაპირობა ინდუსტრიისათვის, მრეწველობისათვის. არ შეიძლება მრეწველობის განვითარება ცარიელ ადგილზე, არ შეიძლება ინდუსტრიის განვითარება, თუ ქვეყანაში არ არის ნედლეული, თუ არ არის სურსათი მუშებისათვის და თუ არ არის რამდენადმე მაინც განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც ძირითად ბაზარს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიისათვის. მაშასადამე, ინდუსტრიის განსავითარებლად საჭირო იყო გვქონოდა სამი წინაპირობა მაინც: ჯერ-ერთი, — საშინაო ბაზარი, ჩვენში კი იგი ჯერჯერობით უპირატესად გლეხურია; მეორეც, — საჭირო იყო გვქონოდა ნედლეულის ცოტად თუ ბევრად განვითარებული წარმოება სოფლის მეურნეობაში (ბარხალი, სელი, ბამბა და სხვ.); და მესამეც, — აუცილებელი იყო, რომ სოფელს შესძლებოდა გამოეყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განსაზღვრული მინიმუმი მრეწველობის მოსამარაგებლად, მუშების მოსამარაგებლად. აი რატომ ამბობდა ლენინი — ჩვენი მეურნეობის სოციალისტური საძირკვლის აშენება, ინდუსტრიის **შენება** სოფლის მეურნეობიდან **უნდა დავიწყოთო.**

მაშინ ბევრს არა სწამდა ეს საქმე. განსაკუთრებით გვეწინააღმდეგებოდა მაშინ ამ საკითხში ეგრეთწოდე-

ბული «მუშათა ოპოზიცია». ეს როგორ შეიძლებაო: პარტიას ჩვენში მუშათა პარტია ეწოდება, მეურნეობის განვითარების საქმეს კი სოფლის მეურნეობიდან იწყებსო. ეს როგორ გავიგოთო? გვეწინააღმდეგებოდნენ მაშინ სხვა ოპოზიციონერებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ინდუსტრიის შენება შეიძლება ყოველგვარ პირობებში, ცარიელ ადგილსაც კი, რეალური შესაძლებლობებისათვის ანგარიშის გაუწევლად. მაგრამ ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ისტორიამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ პარტია მართალი იყო, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური საძირკვლის ასაშენებლად, ინდუსტრიის გასაშლელად საქმე სოფლის მეურნეობიდან უნდა დაგვეწყო.

ასეთი იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდი.

ახლა ჩვენ ნეპის მეორე პერიოდში შევედით. ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დამახასიათებელი ახლა ის არის, რომ სიმძიმის ცენტრმა დღეს ინდუსტრიისაკენ გადაინაცვლა. თუ მაშინ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, ჩვენ საქმე სოფლის მეურნეობიდან უნდა დაგვეწყო, ვინაიდან მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება სოფლის მეურნეობას ებჯინებოდა, ახლა იმისათვის, რომ განვაგრძოთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური საძირკვლის მშენებლობა, რომ წავწიოთ წინ მთელი მეურნეობა, საჭიროა მთავარი ყურადღება სწორედ ინდუსტრიას მივაპყროთ. ახლა თვით სოფლის მეურნეობა წინ ვერ წაიწევს, თუ თავის დროზე არ მიაწოდე სახოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, მრეწველობის ნაწარმი და სხვ. ამიტომ, თუ მაშინ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების

საქმე სოფლის მეურნეობას ებჯინებოდა, ახლა იგი ებჯინება და უკვე მიებჯინა კიდევაც ინდუსტრიის პირდაპირ გაშლას.

II

კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ

აი რა არის დედაარსი და ძირითადი აზრი იმ ლოზუნგისა, იმ კურსისა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, რომელიც XIV პარტყრილობამ გამოაცხადა და რომელიც ამჟამად ცხოვრებაში ტარდება. ამ ძირითად ლოზუნგს ეყრდნობოდა თავის მუშაობაში ამა წლის აპრილში ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მაშასადამე, მორიგი და ძირითადი ამოცანა ახლა ის არის, რომ დავაჩქაროთ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი, მთელი ძალღონით წავწიოთ წინ ჩვენი ინდუსტრია, გამოვიყენოთ არსებული რესურსები და ამით დავაჩქაროთ მთლიანად მეურნეობის განვითარება.

ეს ამოცანა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს სწორედ ახლა, დღევანდელ მომენტში, სხვათა შორის იმიტომ, რომ ჩვენში, მეურნეობის გარკვეული განვითარების გამო, ერთგვარი შეუფარდებლობა შეიქმნა ქალაქად და სოფლად მრეწველობის ნაწარმის მოთხოვნილებასა და მრეწველობის მხრივ ამ ნაწარმის მიწოდებას შორის, რომ მრეწველობის პროდუქტების მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თვით მრეწველობა, რომ ჩვენში არსებული საქონლის სიმცირე, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით, ამ შეუფარდებლობის გამოხატულებასა და შედეგს წარმოადგენს. არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ჩვენი ინდუსტრიის სწრაფი განვითარება ყველაზე საიმედო საშუალებაა ამ შეუფარდებლობის ლიკვიდაციისა და საქონლის სიმცირის აღმოფხვრისათვის.

ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს საერთოდ ყოველგვარი მრეწველობის განვითარებას. ისეთი ახირებული ადამიანებიც კი არიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ ჯერ კიდევ ივანე მრისხანე, რომელიც ოდესღაც მრეწველობის ერთგვარ ჩანასახს ქმნიდა, ინდუსტრიალისტი იყო. ამ გზას რომ გავყვეთ, მაშინ პეტრე დიდს პირველი ინდუსტრიალისტი უნდა ვუწოდოთ. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მრეწველობის ყოველი განვითარება როდი წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციას. ინდუსტრიალიზაციის ცენტრს, მის საფუძველს შეადგენს მძიმე მრეწველობის (სათბობი, ლითონი და სხვ.) განვითარება, ბოლოს და ბოლოს, წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება, საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარება. ინდუსტრიალიზაცია ამოცანად ისახავს არა მარტო იმას, რომ წარმართოს მთლიანად ჩვენი სახალხო მეურნეობა მასში მრეწველობის წილის გადიდებისაკენ, არამედ იგი იმ ამოცანასაც ისახავს, რომ ამ განვითარების დროს უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც გარს არტყიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, სამეურნეო დამოუკიდებლობა, დაიცვას იგი მსოფლიო კაპიტალიზმის დანამატად გადაქცევისაგან. პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, მეურნეობრივად დამოუკიდებელი ვერ დარჩება, თუ იგი შინ თვითონ არ ამზადებს წარმოების იარაღებსა და საშუალებებს, თუ იგი იყინება განვითარების იმ საფეხურზე, სადაც იძულებულია ამყოფოს სახალხო მეურნეობა კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნების მორჩილებაში, იმ ქვეყნებისა, რომელნიც წარმოების იარაღებსა და საშუალებებს ამზადებენ და მათს ექსპორტს ეწევიან. ამ საფეხურზე გაყინვა მსოფლიო კაპიტალისადმი დამორჩილებას ნიშნავს.

აიღეთ ინდოეთი. ყველასათვის ცნობილია, რომ ინდოეთი არის კოლონია. არის თუ არა ინდოეთში მრეწველობა? უეჭველად, არის. ვითარდება თუ არა იგი? დიახ, ვითარდება. მაგრამ იქ ისეთი მრეწველობა ვითარდება, რომელიც არ ამზადებს წარმოების იარაღებსა და საშუალებებს. წარმოების იარაღები იქ ინგლისიდან შეაქვთ. ამიტომ (თუმცა, რა თქმა უნდა, არა მარტო ამიტომ) იქაური მრეწველობა მთლიანად ინგლისის ინდუსტრიას ემორჩილება. ეს არის იმპერიალიზმის განსაკუთრებული მეთოდი — იმგვარად განავითაროს კოლონიებში მრეწველობა, რომ იგი მეტროპოლიის, იმპერიალიზმის მორჩილებაში იმყოფებოდეს.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ შეიძლება ამოიწურებოდეს ყოველგვარი მრეწველობის განვითარებით, ვთქვათ, მსუბუქი მრეწველობის განვითარებით, თუმცა მსუბუქი მრეწველობა და მისი განვითარება ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ ინდუსტრიალიზაცია უწინარეს ყოვლისა უნდა გვესმოდეს როგორც ჩვენში მძიმე მრეწველობის განვითარება და, განსაკუთრებით, როგორც ჩვენი საკუთარი მანქანათმშენებლობის — საერთოდ ინდუსტრიის ამ ძირითადი ნერვის — განვითარება. უამისოდ ლაპარაკიც არ შეიძლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე.

III

სოციალისტური დაგროვების საკითხები

მაგრამ, ამხანაგებო, ინდუსტრიალიზაცია რომ წინ წავწიოთ, ამისათვის საჭიროა ჩვენი ქარხნების ძველი მოწყობილობის განახლება და ახალი ქარხნების აშენება. ჩვენი მრეწველობის განვითარების იმ პერიოდს, რომელშიც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, ის ახასიათებს, რომ ჩვენ უკვე

დავტვირთეთ ძველი ქარხნები და ფაბრიკები, რაც მეფის პერიოდის კაპიტალისტებმა დაგვიტოვეს, დავტვირთეთ მთლიანად, და ახლა წინსვლისათვის საჭიროა ტექნიკის გაუმჯობესება, საჭიროა ძველი ქარხნების ხელახლა მოწყობა, ახალი ქარხნების აშენება. უამისოდ ახლა შეუძლებელია წინსვლა.

მაგრამ ჩვენი მრეწველობა ახალი ტექნიკის საფუძველზე რომ განვაახლოთ, ამისათვის, ამხანაგებო, დიდი და ძალიან დიდი კაპიტალებია საჭირო. კაპიტალი კი ჩვენ ცოტა გვაქვს, როგორც ეს ყველას მოგეხსენებათ. წელს ჩვენ მოვახერხებთ მრეწველობის კაპიტალური ხარჯების ძირითად საქმეში რვაას მილიონზე მეტის დაბანდებას. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა. მაგრამ ეს მაინც არის რაღაც. ეს პირველი ჩვენი სერიოზული დაბანდებაა ჩვენს მრეწველობაში. მე ვამბობ, რომ ეს ცოტაა, იმიტომ რომ ჩვენს მრეწველობას ადვილად შეუძლია ამაზე რამდენჯერმე მეტი თანხის ათვისება. ჩვენ წინ უნდა წავწიოთ ჩვენი მრეწველობა. რაც შეიძლება სწრაფი ტემპით უნდა გავაფართოოთ ჩვენი ინდუსტრია, ერთიორად, ერთისამად გავზარდოთ მუშების რაოდენობა. ჩვენი ქვეყანა აგრარული ქვეყნიდან უნდა გადავაქციოთ ინდუსტრიულ ქვეყნად, და რაც უფრო მალე იქნება ეს — მით უკეთესი. მაგრამ ყოველივე ამისათვის დიდი კაპიტალებია საჭირო.

ამიტომ მრეწველობის განვითარებისათვის სახსრების დაგროვების საკითხს, სოციალისტური დაგროვების საკითხს ახლა ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ძალგვიძს თუ არა ჩვენ, საკუთარი ძალების იმედით, გარედან სესხის მიუღებლად, ჩვენი ქვეყნის შინაგან ძალთა საფუძველზე უზრუნველვყოთ ჩვენი ინდუსტრიისათვის ისეთი დაგროვება და ისეთი რეზერვები, რაც აუცილებელია ინდუსტრიალიზაციის

კურსის გასატარებლად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გასამარჯვებლად?

ეს სერიოზული საკითხია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ისტორია იცნობს ინდუსტრიალიზაციის სხვადასხვა წესს.

ინგლისის ინდუსტრიალიზაცია იმის მეოხებით მოხდა, რომ იგი ათეული და ასეული წლების განმავლობაში ძარცვავდა კოლონიებს, აგროვებდა იქ «დამატებით» კაპიტალებს, თავის მრეწველობაში აბანდებდა მათ და აჩქარებდა თავისი ინდუსტრიალიზაციის ტემპს. ეს ინდუსტრიალიზაციის ერთი წესია.

გერმანიამ თავისი ინდუსტრიალიზაცია დააჩქარა გასული საუკუნის 70-იან წლებში საფრანგეთთან ძლევამოსილი ომის შედეგად, როდესაც ხუთი მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია აიღო ფრანგებისაგან და ეს თანხა თავის მრეწველობაში დააბანდა. ეს ინდუსტრიალიზაციის მეორე წესია.

ორივე ეს გზა ჩვენთვის დაკეტილია, ვინაიდან ჩვენ საბჭოების ქვეყანა ვართ, ვინაიდან კოლონიური ძარცვა და ძარცვის მიზნით სამხედრო დაპყრობა შეუთავსებელია საბჭოთა ხელისუფლების ბუნებასთან.

რუსეთი, ძველი რუსეთი, კაბალურ კონცესიებს გასცემდა ხოლმე და კაბალურ სესხებს იღებდა, ცდილობდა ამრიგად თანდათან გამოსულიყო ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ეს არის მესამე წესი. მაგრამ ესაა კაბალის ან ნახევრად-კაბალის გზა, გზა რუსეთის გადაქცევისა ნახევრად-კოლონიად. ეს გზაც დაკეტილია ჩვენთვის, ვინაიდან იმისათვის კი არ ვაწარმოებდით ჩვენ სამი წლის სამოქალაქო ომს, ვიგერიებდით რა ყველა და ყოველგვარ ინტერვენციონისტებს, რომ მერე, ინტერვენციონისტებზე

გამარჯვების შემდეგ, ნებაყოფლობით დავმონებოდით იმპერიალისტებს.

რჩება ინდუსტრიალიზაციის მეოთხე გზა, გზა საკუთარი დანაზოგისა მრეწველობის საქმისათვის, სოციალისტური დაგროვების გზა, რომელზედაც არა ერთხელ მიგვითითებდა ამხ. ლენინი, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთადერთ გზაზე.

ამრიგად, შესაძლებელია თუ არა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია სოციალისტური დაგროვების საფუძველზე?

გვაქვს თუ არა ჩვენ ისეთი დაგროვების წყაროები, რაც საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ინდუსტრიალიზაცია?

დიახ, შესაძლებელია. დიახ, გვაქვს ჩვენ ასეთი წყაროები.

მე შემეძლო დამემოწმებინა ისეთი ფაქტი, როგორიცაა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპროპრიაცია, მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვ. კერძო საკუთრების მოსპობა და მათი საერთო-სახალხო საკუთრებად გადაცემა. არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ეს ფაქტი დაგროვების საკმაოდ საფუძვლიან წყაროს წარმოადგენს.

მე შემეძლო მიმეთითებინა, შემდეგ, ისეთ ფაქტზე, როგორიცაა მეფის ვალების გაუქმება, რამაც ჩვენს სახალხო მეურნეობას მილიარდობით მანეთი ვალი მოაშორა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ვალების დატოვების შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდებოდა მარტოოდენ პროცენტების სახით ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მილიონის გადახდა, მრეწველობის საზიანოდ, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის საზიანოდ. რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებამ დიდად შეამსუბუქა ჩვენში სახსრების დაგროვების საქმე.

მე შემეძლო მიმეთითებინა ჩვენს ნაციონალიზებულ მრეწველობაზე, რომელიც აღდგენილია, რომელიც ვითარდება და ერთგვარ მოგებას იძლევა, რაც საჭიროა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ესეც დაგროვების წყაროა.

მე შემეძლო მიმეთითებინა ჩვენს ნაციონალიზებულ საგარეო ვაჭრობაზე, რომელიც ერთგვარ მოგებას იძლევა და, მაშასადამე, დაგროვების ერთგვარ წყაროს წარმოადგენს.

შეიძლებოდა დაგვესახელებინა ჩვენი ცოტად თუ ბევრად ორგანიზებული სახელმწიფო საშინაო ვაჭრობა, რომელიც აგრეთვე იძლევა ერთგვარ მოგებას და ამრიგად დაგროვების ერთგვარ წყაროს წარმოადგენს.

შეიძლებოდა მიგვეთითებინა დაგროვების ისეთ ბერკეტზე, როგორიცაა ჩვენი ნაციონალიზებული საბანკო სისტემა, რომელიც განსაზღვრულ მოგებას იძლევა და შეძლებისდაგვარად ასაზრდოებს ჩვენს მრეწველობას.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს ისეთი იარაღი, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც განაგებს სახელმწიფო ბიუჯეტს და რომელიც აგროვებს რაოდენსამე ფულს საერთოდ სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით კი ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის.

ასეთია ძირითადად ჩვენში სახსრების შინაგანი დაგროვების მთავარი წყაროები.

ეს წყაროები იმ მხრივაა საინტერესო, რომ შესაძლებლობას გვაძლევენ შევქმნათ ის აუცილებელი რეზერვები, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის რეალობა, ამხანაგებო. საქმის უხეიროდ გაძღოლისას დაგროვების შესაძლებლობასა და ნამდვილ დაგროვებას შორის შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი მანძილი აღმოჩნდეს. ამი-

ტომ ჩვენ არ შეგვიძლია მარტოოდენ შესაძლებლობებით დავიმშვიდოთ თავი. სოციალისტური დაგროვების შესაძლებლობა ჩვენ უნდა გადავაქციოთ ნამდვილ დაგროვებად, თუ მართლაც განზრახული გვაქვს ჩვენი ინდუსტრიისათვის აუცილებლად საჭირო რეზერვების შექმნა.

აქედან — კითხვა: როგორ უნდა წარიმართოს დაგროვების საქმე, რომ ამან სარგებლობა მოუტანოს მრეწველობას, სამეურნეო ცხოვრების რომელ კვანძებს უნდა მივაპყროთ უწინარეს ყოვლისა მთავარი ყურადღება, რომ დაგროვების შესაძლებლობა ნამდვილ სოციალისტურ დაგროვებად ვაქციოთ?

არსებობს დაგროვების მთელი რიგი არხები, რომელთაგან უმთავრესნი მაინც უნდა აღინიშნოს.

პირველი. აუცილებელია, რომ დაგროვებული სახსრების ნაჭარბი ქვეყანაში კი არ იქსაქსებოდეს, არამედ თავს იყრიდეს ჩვენს საკრედიტო — კოოპერაციულ და სახელმწიფო — დაწესებულებებში, აგრეთვე შინაგან სესხთა სახით, მათ გამოსაყენებლად უწინარეს ყოვლისა მრეწველობის საჭიროებებისათვის. გასაგებია, რომ მეანაბრენი ამისათვის განსაზღვრულ პროცენტს უნდა იღებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ საქმე ჩვენში რამდენადმე დამაკმაყოფილებლად იყოს დაყენებული. მაგრამ ჩვენი საკრედიტო ქსელის გაუმჯობესების ამოცანა, მოსახლეობის თვალში საკრედიტო დაწესებულებათა ავტორიტეტის ამაღლების ამოცანა, შინაგან სესხთა საქმის ორგანიზაციის ამოცანა უეჭველად დგას ჩვენს წინაშე, როგორც მრიგი ამოცანა, და ჩვენ აუცილებლად უნდა გადავჭრათ იგი.

მეორე. აუცილებელია გულდასმით დახშულ იქნას ყველა ის ბილიკი და ხვრელი, რომლითაც ჩვენს ქვეყანაში დაგროვებული სახსრების ნაჭარბის ნაწილი კერძო კაპიტალის ჯიბეებში მიედინება სოციალისტური დაგროვების

საზიანოდ. ამისათვის საჭიროა განვახორციელოთ ფასების ისეთი პოლიტიკა, რომელიც არ შექმნიდა უფსკრულს საბითუმო ფასებსა და საცალო ფასებს შორის. ყოველივე ზომა უნდა მივიღოთ მრეწველობის პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების საცალო ფასების შესამცირებლად, რათა შევაჩეროთ ან მინიმუმამდე მაინც დავიყვანოთ დაგროვებული სახსრების ნაჭარბის გადასვლა კერძო ვაჭრის ჯიბეში. ეს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. აქედან მომდინარეობს ერთი სერიოზული საფრთხეთაგანი როგორც ჩვენი სახსრების დაგროვების საქმისათვის, ისე ჩერვონეცისთვისაც.

მესამე. აუცილებელია, რომ თვით მრეწველობის შიგნით, თვითეულ მის დარგში გადაიდოს განსაზღვრული მარაგი საწარმოთა ამორტიზაციისათვის, მათი გაფართოებისათვის, მათი შემდგომი განვითარებისათვის. ეს აუცილებელი, აბსოლუტურად საჭირო საქმეა, იგი წინ უნდა წავწიოთ რაც უნდა დაგვიჯდეს.

მეოთხე. საჭიროა, რომ სახელმწიფოს ხელში გროვდებოდეს განსაზღვრული რეზერვები, რაც აუცილებელია ქვეყნის დასაზღვევად ყოველგვარი შემთხვევითობისაგან (მოუსავლობა), მრეწველობისათვის მისაწოდებლად, სოფლის მეურნეობისათვის ხელის შესაწყობად, კულტურის განსავითარებლად და სხვ. ურეზერვოდ ცხოვრება და მუშაობა ახლა შეუძლებელია. გლეხიც კი, თავისი პატარა მეურნეობით, თავს ვერ გაართმევს ახლა საქმეს განსაზღვრული მარაგის უქონლად. მით უმეტეს ვერ გაიტანს თავს ურეზერვოდ დიდი ქვეყნის სახელმწიფო.

ჩვენ უნდა გვქონდეს უწინარეს ყოვლისა რეზერვი საგარეო ვაჭრობისათვის. ჩვენი ექსპორტი და იმპორტი იმგვარად უნდა ავაგოთ, რომ სახელმწიფოს ხელში რჩებოდეს განსაზღვრული რეზერვი, განსაზღვრული აქტივი სა-

გარეო ვაჭრობის ხაზით. ეს აუცილებლად საჭიროა არა მარტო როგორც დაზღვევა მოულოდნელობათაგან საგარეო ბაზრებზე, არამედ როგორც საშუალებაც ჩვენი ჩერვონეცის განსამტკიცებლად, რომელიც ჯერჯერობით მყარია, მაგრამ რომელმაც შეიძლება რყევა იწყოს, თუ ვერ მივაღწიეთ აქტიურ ბალანსს საგარეო ვაჭრობის ხაზით. ჩვენი ექსპორტის გაძლიერება, ჩვენი იმპორტის შეგუება საექსპორტო შესაძლებლობებისადმი, — ასეთია ამოცანა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორც ამას ძველად ამბობდნენ: «საჭმელს მოვიკლებთ, გაზიდვით კი გავზიდავთო». ჩვენ არ შეგვიძლია ამის თქმა, რადგან მუშებსა და გლეხებს ადამიანურად საზრდოობა სურთ, და ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მათ მხარს ამაში. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია სახალხო მოხმარებისათვის ზიანის მიუყენებლად ყოველივე ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ ჩვენი ექსპორტი გადიდდეს და რომ სახელმწიფოს ხელში ვალუტის განსაზღვრული რეზერვი რჩებოდეს. თუ ჩვენ 1923 წელს საბჭოთა ფულის ნიშნიდან მტკიცე ვალუტაზე გადასვლა შევძელით, ეს, სხვათა შორის, იმიტომაც მოხდა, რომ მაშინ, ჩვენი საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის შედეგად, ვალუტის განსაზღვრული მარაგი გვქონდა. თუ ჩვენი ჩერვონეცის განმტკიცება გვინდა, მაშინ კვლავაც ისე უნდა დავაყენოთ საგარეო ვაჭრობის საქმე, რომ ხელში გვრჩებოდეს ვალუტის რეზერვი, როგორც ჩვენი ჩერვონეცის ერთ-ერთი ბაზა.

შემდეგ, ჩვენ უნდა გვქონდეს ერთგვარი რეზერვები საშინაო ვაჭრობის ხაზით. მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, სახელმწიფოს ხელში პურის რეზერვების დაგროვება პურის ბაზრის საქმეებში ჩასარევად, რათა ვებრძოლოთ კულაკობას და პურის სხვა სპეკულანტებს, რომელნიც უზომოდ ადიდებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს. ეს საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ თავიდან

ავიცილოთ სამრეწველო ცენტრებში ცხოვრების ხელოვნურად გაძვირებისა და მუშების ხელფასის ჩაშლის საფრთხე.

დასასრულ, ჩვენ გვესაჭიროება ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც შეძლებულ ფენებს დააკისრებდა გადასახადთა ტვირთს და ამასთანავე განსაზღვრულ რეზერვს შექმნიდა სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით. ჩვენი 4-მილიარდიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ გასავალზე შემოსავლის გადამეტებას ასი მილიონით ან მეტით. ზოგიერთ ამხანაგს ეს ციფრი კოლოსალურად ეჩვენება. მაგრამ ამ ამხანაგებს, როგორც ეტყობა, სუსტი მხედველობა ჰქონიათ, თორემ შეამჩნევდნენ, რომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, ასმილიონიანი რეზერვი წვეთია ზღვაში. ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ჩვენ საზოგადოდ არ გვესაჭიროება ეს რეზერვი. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, წელს რომ ჩვენში მოუსავლობა იქნეს ან სხვა რაიმე უბედურება მოხდეს? ვისი სახსრებით გავიტანთ თავს? ჩვენ ხომ მუქთად დახმარებას არ გვიწევენ და არც გაგვიწევენ. მაშასადამე, უნდა გქონდეს ჩვენი საკუთარი მარაგი. ხოლო წელს თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, მაშინ ამ რეზერვს ჩვენ მოვახმართ სახალხო მეურნეობის საქმეს და, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის საქმეს. ფიქრი ნუ გაქვთ, — ეს რეზერვები არ დაიკარგება.

ასეთია, საერთოდ, ამხანაგებო, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ის საკვანძო პუნქტები, რომლებსაც უნდა მივაპყროთ უწინარეს ყოვლისა მთავარი ყურადღება, რათა ჩვენს ქვეყანაში მისი ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის შინაგანი დაგროვების შესაძლებლობა ნამდვილ სოციალისტურ დაგროვებად ვაქციოთ.

IV

დაგროვებული სახსრების სწორად გამოყენება. მოშხირნეობის რეჟიმი

მაგრამ საქმე არ ამოიწურება და არც შეიძლება ამოიწურებოდეს მარტოოდენ დაგროვებით. საჭიროა კიდევ გქონდეს უნარი — გონივრულად, ანგარიშიანად ხარჯო დაგროვებული რეზერვები, ისე, რომ სახალხო დოვლათის ერთი კაპიკიც ფუჭად არ იკარგებოდეს, რომ დაგროვებული სახსრების გამოყენება მიმდინარეობდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ძირითადი ხაზით. თუ ეს პირობები არ იქნა, ჩვენ მოგველის იმის საფრთხე, რომ მოხდება დაგროვებული სახსრების დატაცება, მათი დაქსაქსვა ყოველგვარი ისეთი წვრილმანი და დიდი ხარჯების არხებით, რომელთაც არც ინდუსტრიის განვითარებასთან და არც მთელი სახალხო მეურნეობის წინსვლასთან საერთო არა აქვთ რა. სახსრების გონივრულად, ანგარიშიანად ხარჯვის უნარი, — ეს არის უდიდესი ხელოვნება, რომელსაც ერთბაშად ვერ მოიპოვებ. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენი საბჭოთა და კოოპერაციული ორგანოები, ამ მხრივ დიდი უნარიანობით განვირჩეოდეთ. პირიქით, ყველა მონაცემი იმას მოწმობს, რომ ამ მხრივ საქმე ჩვენში სრულიადაც ვერ არის კარგად. ამის აღიარება სამძიმოა, ამხანაგებო, მაგრამ ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერავითარი რეზოლუციით ვერ დაფარავ. არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ჩვენი მმართველი ორგანოები იმ გლეხის მდგომარეობაში ვარდებიან, რომელსაც ცოტაოდენი ფული დაუგროვებია და იმის ნაცვლად, რომ ამ ფულით გუთანი შეეკეთებინა და თავისი მეურნეობა გადაეხალისებინა, უზარმაზარი გრამოფონი უყიდია და... გაკოტრებულა. აღარას ვამბობ დაგროვებული რეზერვების პირდაპირი დატაცების ფაქტებზე,

ჩვენი სახელმწიფო აპარატის მთელი რიგი ორგანოების გაუმაძღრობის ფაქტებზე, ქურდობის ფაქტებზე და სხვ.

ამიტომ საჭიროა მივიღოთ მთელი რიგი ისეთი ზომები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ჩვენი დაგროვებული სახსრების დაცვა დაქსაქსვისა, დატაცებისა და უსარგებლო არხებით გაფანტვისაგან, იმისაგან, რომ ეს დაგროვებული სახსრები არ ასცდეს ჩვენი ინდუსტრიის მშენებლობის ძირითად ხაზს.

ჯერ-ერთი, აუცილებელია, რომ ჩვენი სამრეწველო გეგმები სდგებოდეს არა ბიუროკრატიული შეთხზვის გზით, არამედ ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობასთან მჭიდროდ დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის რესურსების, რეზერვების აღრიცხვასთან დაკავშირებით. არ შეიძლება სამრეწველო მშენებლობის დაგეგმვისას მრეწველობის განვითარებას ჩამორჩე. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ წინ გარბოდე, მოსწყდე სოფლის მეურნეობას და უგულებელყო ჩვენს ქვეყანაში სახსრების დაგროვების ტემპი.

ჩვენი საშინაო ბაზრის მოთხოვნილებანი და ჩვენი რესურსების ოდენობა — აი ჩვენი მრეწველობის გაშლის ბაზა. ჩვენი ინდუსტრია საშინაო ბაზარს ეყრდნობა. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარება მოგვაგონებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებას, რომელთა ინდუსტრია საშინაო ბაზრის ბაზაზე გაიზარდა, ინგლისისაგან განსხვავებით, რომლის ინდუსტრიაც უწინარეს ყოვლისა საგარეო ბაზრებს ეყრდნობა. ინგლისში მოიპოვება მრეწველობის მთელი რიგი დარგები, რომელნიც 40 — 50 პროცენტით საგარეო ბაზრებისათვის მუშაობენ. ამერიკა, პირიქით, ჯერ ისევ თავის საშინაო ბაზარს ეყრდნობა და საგარეო ბაზრებზე გააქვს თავისი წარმოების არა უმეტეს 10 — 12%-ისა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია უფრო მეტად, ვიდრე ამერიკის ინდუსტრია, დამყარებული იქნება საშინაო ბაზარზე, უწინარეს ყოვლისა

გლეხურ ბაზარზე. ამაშია საფუძველი ინდუსტრიის კავშირისა გლეხურ მეურნეობასთან.

იგივე უნდა ითქვას ჩვენში სახსრების დაგროვების ტემპზე, იმ რეზერვებზე, რაც ჩვენს განკარგულებაში მოგვეპოვება ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად. ჩვენში ზოგჯერ უყვართ ფანტასტიკური სამრეწველო გეგმების აგება, ისე, რომ ანგარიშს არ უწევენ ჩვენს რესურსებს. ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება არც სამრეწველო გეგმების, არც ამა თუ იმ «ფართო» და «ყოვლისმომცველ» საწარმოთა აგება სახსრების განსაზღვრული მინიმუმის უქონლად, რეზერვების განსაზღვრული მინიმუმის უქონლად. ავიწყდებათ ეს და წინ გარბიან. ხოლო რას ნიშნავს სამრეწველო დაგეგმვის საქმეში წინ გარბენა? ეს ნიშნავს — აშენო საკმაო სახსრების უქონლად. ეს ნიშნავს — ქვეყანას მოსდო ფართო გეგმები, ჩააბა წარმოებაში ათასობით და ათიათასობით ახალი მუშები, ატეხო აურზაური, ხოლო შემდეგ, როცა სახსრების ნაკლებობა იჩენს თავს, დაითხოვო მუშები, ანგარიში გაუსწორო მათ, კოლოსალური ზარალი განიცადო ამით, იმედის გაცრუება შეიტანო მშენებლობის საქმეში და შექმნა პოლიტიკური სკანდალი. გვესაჭიროება თუ არა ჩვენ ეს? არა, ამხანაგებო, ეს ჩვენ არ გვესაჭიროება. ჩვენ არც უნდა ჩამოვრჩეთ ინდუსტრიის განვითარების მსვლელობას და არც წინ უნდა ვუსწრებდეთ. ჩვენ მხარდამხარ უნდა მივყვებოდეთ განვითარებას, წინ უნდა ვწევდეთ ინდუსტრიას, მაგრამ ისე, რომ თავის ბაზას არ მოვწყვიტოთ იგი.

ჩვენი მრეწველობა წარმოადგენს ხელმძღვანელ საწყისს სახალხო მეურნეობის მთელ სისტემაში, იგი წინ ეწევა, მას წინ მიჰყავს ჩვენი სახალხო მეურნეობა, სოფლის მეურნეობის ჩათვლით. იგი ახდენს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეორგანიზაციას სახედ და მსგავსად თვისად, იგი წინ მიუძღვის სოფლის მეურნეობას, აბამს

გლეხობას კოოპერაციის გზით სოციალისტური მშენებლობის ფერხულში. მაგრამ ამ ხელმძღვანელი და გარდამქმნელი როლის ღირსეულად შესრულება ჩვენს მრეწველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი არ მოსწყდება სოფლის მეურნეობას, თუ იგი არ უგულებელყოფს ჩვენში სახსრების დაგროვების ტემპს, ჩვენს განკარგულებაში არსებულ რესურსებსა და რეზერვებს. არმიის მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც სწყდება თავის არმიას და კარგავს მასთან კავშირს, მეთაურთა შემადგენლობა არ არის. ასევე ინდუსტრიაც, რომელიც სწყდება მთლიანად სახალხო მეურნეობას და კარგავს კავშირს მასთან, არ შეიძლება სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი საწყისი იყოს.

აი რატომ არის, რომ სწორი და გონივრული სამრეწველო დაგეგმვა დაგროვებული სახსრების მიზანშეწონილად გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მეორეც, აუცილებელია შევამციროთ და გავამარტივოთ, გავაიაფოთ და გავაჯანსაღოთ ჩვენი სახელმწიფო და კოოპერაციული აპარატი, ჩვენი სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დაწესებულებანი, თავიდან ბოლომდე. ჩვენი მმართველი ორგანოების გაბერილი შტატები და უმაგალითო გაუმაძღრობა ყბადაღებული გახდა. ტყუილად კი არ გვიმეორებდა ლენინი ათგზის და ასგზის, რომ მუშები და გლეხები ვერ გაუძლებენ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაბერვასა და სიძვირეს, რომ საჭიროა აუცილებლად, ყველა გზით, ყოველი საშუალებით შევამციროთ და გავაიაფოთ იგი. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, ჯეროვნად, ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და დავამყაროთ მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმი. (ტ ა შ ი). საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს, თუ არ გვინდა მომავალშიც დავუშვათ

ჩვენი დაგროვებული სახსრების დაქსაქსვა მრეწველობის საზიანოდ.

აი ცოცხალი მაგალითიც. ამბობენ, ჩვენი პურის ექსპორტი ხელსაყრელი არ არის, არარენტაბელურიაო. მერე რატომ არ არის ხელსაყრელი? იმიტომ, რომ დამამზადებელი აპარატი მეტს ხარჯავს პურის დამზადებაზე, ვიდრე საჭიროა. ყველა ჩვენი მგეგმავი ორგანოს მიერ გამორკვეულია, რომ ერთი ფუთი პურის დასამზადებლად საკმარისია 8 კაპიკი. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ 8 კაპიკის ნაცვლად ფუთზე დახარჯეს 13 კაპიკი, 5 კაპიკით მეტი. ხოლო როგორ მოხდა ეს? ეს იმნაირად მოხდა, რომ თვითეულ ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელ მუშაკს დამზადების ხაზით, კომუნისტს თუ უპარტიოს, — ეს სულ ერთია, — ვიდრე პურის დამზადებას შეუდგებოდეს, საჭიროდ მიაჩნია გაბეროს თავისი მუშაკების შტატი, აგროვებს სტენოგრაფისტ და მემანქანე ქალთა ლაშქარს, უთუოდ იძენს ავტომობილს, ეწევა უამრავ უნაყოფო ხარჯს, და მერე, გამოანგარიშების შემდეგ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ექსპორტი არარენტაბელურია. თუ ვიანგარიშებთ, რომ პურს ჩვენ ასეულმილიონობით ფუთს ვამზადებთ, თვითეულ ფუთში კი ზედმეტ ხუთ კაპიკს ვიხდით, გამოვა ათეულმილიონობით მანეთი ფუჭად დახარჯული ფული. აი სად მიდის და კვლავაც წავა ჩვენს მიერ დაგროვებული სახსრები, თუ უსასტიკესი ზომები არ მივიღეთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმაძღრობის წინააღმდეგ.

აქ მე მხოლოდ ერთადერთი მაგალითი მოვიყვანე. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასეთი მაგალითები ჩვენში ასობით და ათასობითაა?

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა გაამარტივოს და გააიაფოს ჩვენი დამამზადებელი აპარატი. პლენუმის სათანადო რეზოლუცია [52] თქვენ ალბათ უკვე წაკითხული გექნებათ, — იგი გამოქვეყნებუ-

ლია პრესაში. ამ რეზოლუციას ჩვენ მთელი სიმკაცრით გავატარებთ. მაგრამ ეს, ამხანაგებო, არ კმარა. ეს მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენი სახელმწიფო აპარატის მოუწყობლობისა და ნაკლოვანებებისა. ჩვენ უფრო შორს უნდა წავიდეთ და მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ შემცირებულ და გაიაფებულ იქნას მთელი სახელმწიფო აპარატი ერთიანად, სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი, მთელი კოოპერაციული აპარატი და მთელი საქონელგამტარი ქსელი, თავიდან ბოლომდე.

მესამეც, ჩვენთვის აუცილებელია გავაჩაღოთ გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარ ზედმეტ ხარჯებთან ჩვენს მმართველ ორგანოებსა და ჩვენს ყოფაცხოვრებაში, სახალხო დოვლათისა და სახელმწიფო რეზერვებისადმი იმ დანაშაულებრივ მოპყრობასთან, რასაც ჩვენში ამ უკანასკნელ ხანს ვამჩნევთ. ჩვენში ახლა გამეფებულია თავაშვებულობა, ყოველგვარი დღესასწაულების, საზეიმო კრებების, იუბილეების, ძეგლების გახსნისა და სხვ. ვაკხანალია. ათეულ და ასეულათასობით მანეთი იყრება ამ «საქმეში». ყოველგვარი იუბილარები და ზეიმთა მოყვარულები ჩვენში იმდენად ბევრია, ექვსი თვის, ერთი წლის, ორი წლის და სხვ. იუბილეს გადახდის მზადყოფნა იმდენად უზომოა, რომ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჭეშმარიტად ათეულმილიონობით მანეთია საჭირო. ამხანაგებო, ბოლო უნდა მოვუღოთ კომუნისტებისათვის არასაკადრის ამ თავაშვებულობას. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, იმის გაგება, რომ, როდესაც ზურგს უკან ჩვენი მრეწველობის საჭიროებანი გვაქვს, როდესაც ჩვენს თვალწინ ისეთი ფაქტები გვაქვს, როგორიცაა უამრავი უმუშევარი და უპატრონო, — ჩვენ არ შეგვიძლია და არც უფლება გვაქვს დავუშვათ ეს თავაშვებულობა და მფლანგველობის ეს ვაკხანალია.

ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ უპარტიონი ზოგჯერ უფრო დაზოგვით ეპყრობიან ჩვენი სახელმწიფოს სახსრებს, ვიდრე პარტიულები. კომუნისტი ასეთ შემთხვევაში უფრო გაბედულად და გადაჭრით მოქმედებს. მას არაფრად უღირს დაურიგოს დახმარება მთელ რიგ მოსამსახურეებს, უწოდოს მას ტანტიემა, თუმცა ტანტიემისა ამას არა სცხია რა. მას არაფრად უღირს გადააბიჯოს კანონს, გვერდი აუაროს მას, დაარღვიოს იგი. უპარტიო აქ უფრო ფრთხილი და თავშეკავებულია. შესაძლოა, ეს იმით აიხსნებოდეს, რომ კომუნისტს ზოგჯერ კანონები, სახელმწიფო და სხვა ასეთები ოჯახურ საქმედ მიაჩნია. (ს ი ც ი ლ ი). სწორედ ამიტომ ზოგი კომუნისტისათვის არც თუ ისე ძნელია ხანდახან ღორივით გადააბიჯოს (ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, გამოთქმისათვის) სახელმწიფოს ბოსტანში და ცოტა რამ წაჰგლიჯოს იქ ანდა ხელგაშლილობა გამოიჩინოს სახელმწიფოს ხარჯზე. (ს ი ც ი ლ ი). ბოლო უნდა მოვუღოთ, ამხანაგებო, ამ უმსგავსობას. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ჩვენს მმართველ ორგანოებსა და ჩვენს ყოფაცხოვრებაში არსებული თავაშვებულობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, თუ მართლა გვსურს შემოვინახოთ ჩვენი დაგროვებული სახსრები ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის.

მეოთხეც, ჩვენთვის აუცილებელია სისტემატური ბრძოლა ვაწარმოოთ ქურდობასთან, ეგრეთწოდებულ «მხიარულ» ქურდობასთან ჩვენი სახელმწიფოს ორგანოებში, კოოპერაციაში, პროფკავშირებში და სხვ. არის ქურდობა მორიდებული, მალული, და არის ქურდობა გაბედული, «მხიარული», როგორც ამას პრესაში ამბობენ. ამას წინათ «კომსომოლსკაია პრავდაში» წავიკითხე ოკუნევის შენიშვნა «მხიარული» ქურდობის შესახებ. ყოფილა, თურმე, ვინმე კოპწია, ულვაში ახალგაზრდა, რომელიც მხიარულად ქურდობდა ერთ-ერთ ჩვენს დაწესებუ-

ლებაში, ქურდობდა სისტემატურად, დაუცხრომლად, და მუდამაც წარმატებით ქურდობდა. აქ ყურადღების ღირსია იმდენად არა თვით ქურდი, რამდენადაც ის ფაქტი, რომ გარშემო მყოფი საზოგადოება, რომელმაც ამ ქურდის ამბავი იცოდა, არა თუ არ ებრძოდა მას, არამედ, პირიქით, ხალისით უკრავდა კვერს და აქებდა ხელმარჯვეობისათვის, რის გამოც საზოგადოების თვალში ქურდი ერთგვარი გმირიც გახდა. აი რა არის ყურადღების ღირსი და აი რა არის ყველაზე საშიში, ამხანაგებო. როდესაც ჯაშუშს ან მოღალატეს იჭერენ, საზოგადოების აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, იგი დახვრეტას მოითხოვს. ხოლო როდესაც ქურდი ყველას თვალწინ მოქმედებს და სახელმწიფო დოვლათს იტაცებს, გარშემო მყოფი საზოგადოება გულკეთილი ხითხითით და კვერის დაკვრით კმაყოფილდება. ამავე დროს კი ცხადია, რომ ქურდი, რომელიც სახალხო დოვლათს იტაცებს და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემელია, თუ უარესი არა. ბოლოს და ბოლოს, ეს ულვაშა კოპწია ყმაწვილი, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს. მაგრამ რას ნიშნავს ერთი «მხიარული» ქურდის დაპატიმრება? ასეთი ქურდები ჩვენში ასობით და ათასობით არიან. ყველას ვერ გადაუშენებ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საშუალებით. აქ საჭიროა სხვა ღონისძიება, უფრო საიმედო და უფრო სერიოზული. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ასეთი ქურდ-ბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლე-

ბისა და ქურდების — «მხიარულთა» და «არამხიარულთა» — ცხოვრებასა და არსებობას. ქურდობასთან ბრძოლა, როგორც ერთ-ერთი საშუალება ჩვენი დაგროვებული სახსრების დაცვისა დატაცებისაგან, — ასეთია ამოცანა.

დასასრულ, საჭიროა გავაჩაღოთ კამპანია ქარხნებსა და ფაბრიკებში გაცდენათა მოსასპობად, ჩვენს საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ათიათასობით და ასიათასობით სამუშაო დღე ეკარგება მრეწველობას გაცდენების გამო. ასიათასობით და მილიონობით მანეთი იკარგება ამის გამო ჩვენი მრეწველობის საზიანოდ, ინდუსტრიის საზიანოდ. ჩვენ წინ ვერ წავწევთ ჩვენს ინდუსტრიას, ვერ გავადიდებთ ხელფასს, თუ გაცდენები არ შეწყდა, თუ შრომის ნაყოფიერება ერთ წერტილზე გაიყინა. უნდა განვუმარტოთ მუშებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ახლახან შესულა ფაბრიკებსა და ქარხნებში, უნდა განვუმარტოთ, რომ, როდესაც სამუშაო დღეებს აცდენენ და შრომის ნაყოფიერებას წინ არ სწევენ, ისინი მოქმედებენ საერთო საქმის საზიანოდ, მთელი მუშათა კლასის საზიანოდ, ჩვენი მრეწველობის საზიანოდ. ბრძოლა გაცდენებთან, ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად ჩვენი მრეწველობის ინტერესებისათვის, მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, — ასეთია ამოცანა.

ასეთია ის გზები და საშუალებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი დაგროვებული სახსრები და ჩვენი რეზერვები დაქსაქსვასა და დატაცებას გადავარჩინოთ, რომ ეს სახსრები და ეს რეზერვები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საჭიროებას მოვახმაროთ.

V.

უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა კადრები

მე ვილაპარაკე ინდუსტრიალიზაციის კურსზე. ვილაპარაკე ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის საჭირო რეზერვების დაგროვების გზებზე. ბოლოს, ვილაპარაკე ინდუსტრიის საჭიროებისათვის დაგროვებული სახსრების რაციონალურად გამოყენების საშუალებებზე. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ კმარა, ამხანაგებო. რომ გავატაროთ პარტიის დირექტივა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ამისათვის, გარდა ყოველივე დანარჩენისა, საჭიროა შევქმნათ ახალ ადამიანთა კადრები, ინდუსტრიის ახალ მშენებელთა კადრები.

ვერავითარი ამოცანა, განსაკუთრებით კი ისეთი დიდი ამოცანა, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ვერ გატარდება ცოცხალი ადამიანების გარეშე, ახალი ადამიანების გარეშე, ახალ მშენებელთა კადრების გარეშე. წინათ, სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდებოდა მეთაურთა კადრები არმიის მშენებლობისა და ომის წარმოების დარგში, პოლკებისა და ბრიგადების მეთაურები, დივიზიების უფროსები და კორპუსების მეთაურები. რომ არ გვყოლოდა მეთაურთა ეს ახალი კადრები, რომელნიც ქვედაფენებიდან გამოვიდნენ და თავიანთი ნიჭის მეოხებით დაწინაურდნენ, ჩვენ ვერ შევქმნიდით არმიას, ვერ დავამარცხებდით ჩვენს მრავალრიცხოვან მტრებს. ისინი, მეთაურთა ეს ახალი კადრები იყვნენ, მაშინ ჩვენი არმია და ჩვენი ქვეყანა რომ იხსნეს, — რა თქმა უნდა, მუშებისა და გლეხების საერთო მხარდაჭერით. მაგრამ ახლა ჩვენში ინდუსტრიის მშენებლობის პერიოდია. ახლა ჩვენ სამოქალაქო ომის ფრონტებიდან ინდუსტრიის ფრონტზე გადავედით. ამის შესაბამისად ახლა ჩვენ გვჭირ-

დება ახალი მეთაურთა კადრები ინდუსტრიის ხაზით, ფაბრიკებისა და ქარხნების კარგი დირექტორები, ტრესტების კარგი მუშაკები, საქმიანი მოვაჭრენი, მრეწველობის მშენებლობის გონიერი მგეგმავები. ახლა ჩვენ უნდა გამოვჭედოთ პოლკებისა და ბრიგადების ახალი მეთაურები, დივიზიების ახალი უფროსები და კორპუსების ახალი მეთაურები მეურნეობის ხაზით, მრეწველობის ხაზით. ასეთი ადამიანების გარეშე ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევთ წინ.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა მრავალრიცხოვანი კადრები მუშებისა და საბჭოთა ინტელიგენციის რიგებიდან, სწორედ იმ საბჭოთა ინტელიგენციის რიგებიდან, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა მუშათა კლასის ბედს და რომელიც ჩვენთან ერთად აშენებს ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საძირკველს.

ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ ასეთი კადრები და პირველ რიგში წამოვაყენოთ ისინი, ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ მათ.

ამ ბოლო დროს ჩვენში დასჩემდათ სამეურნეო მუშაკთა გაკიცხვა, როგორც გადაგვარებულებისა, ამასთან უარყოფითი ხასიათის ცალკეულ მოვლენებს ხშირად სამეურნეო მუშაკთა მთელ კადრებზე ავრცელებენ. ყველას, ვისაც კი ამის ხალისი აქვს, არა იშვიათად საჭიროდ მიაჩნია დაწიხლოს სამეურნეო მუშაკები, ბრალი დასდოს მათ ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი ამ საძაგელ ჩვეულებაზე, ამხანაგებო. უნდა შევიგნოთ, რომ თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევა. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობის მშენებელთა ახალი კადრების დაწინაურების ამოცანა სამეურნეო მუშაკთა გამათრახებას კი არ მოითხოვს, არამედ პირიქით, — ჩვენი მრეწველობის მშენებლობის საქმეში მათთვის ყოველმხრივი დახმა-

რების გაწევას. შევუქმნათ სამეურნეო მუშაკებს ნდობისა და ხელშეწყობის ატმოსფერო, დავეხმაროთ მათ ახალ ადამიანთა, ინდუსტრიის მშენებელთა ჩამოყალიბების საქმეში, გავხადოთ ინდუსტრიის მშენებლის პოსტი სოციალისტური მშენებლობის საპატიო პოსტად, — აი რა მიმართულებით უნდა იმუშაონ ახლა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

VI

უნდა გავაძლიეროთ მუშათა კლასის აქტივობა

ასეთია უახლოესი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსთან დაკავშირებით.

შეიძლება თუ არა ამ ამოცანების განხორციელება მუშათა კლასის პირდაპირი დახმარების, პირდაპირი მხარდაჭერის გარეშე? არა, არ შეიძლება. ჩვენი მრეწველობის წინ წაწევა, მისი ნაყოფიერების ამაღლება, ინდუსტრიის მშენებელთა ახალი კადრების შექმნა, სოციალისტური დაგროვების წესიერად წარმართვა, დაგროვებული სახსრების გონივრულად გამოყენება მრეწველობის საჭიროებისათვის, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის დამყარება, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება, მისი გაიაფება და ღირსეულ დონეზე დაყენება, მისი გაწმენდა სიბილწისა და ჭუჭყისაგან, რაც მას ჩვენი მშენებლობის პერიოდში მოედო, სისტემატური ბრძოლა სახელმწიფო დოვლათის დამტაცებელთა და გამფლანგველთა წინააღმდეგ, — ყოველივე ეს ისეთი ამოცანებია, რომელთა დაძლევა არ ძალუძს არავითარ პარტიას, თუ მას პირდაპირი და სისტემატური დახმარება არ გაუწიეს მუშათა კლასის მილიონიანმა მასებმა. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ მთელ

ჩვენს აღმშენებლობითს მუშაობაში ჩავაბათ უპარტიო მუშათა მილიონიანი მასები. საჭიროა, რომ თვითეული მუშა, თვითეული პატიოსანი გლეხი ეხმარებოდეს პარტიასა და მთავრობას მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში, სახელმწიფო რეზერვების დატაცებასთან და დაქსაქსვასთან ბრძოლაში, ჭურდებისა და თაღლითების გაძევებაში, რა ნიღბსაც უნდა იფარებდნენ ისინი, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებასა და გაიაფებაში. ამ მხრივ საწარმოო თათბირები ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევდნენ. საწარმოო თათბირებს ჩვენში ერთ დროს დიდი გასავალი ჰქონდათ. ახლა რატომღაც არაფერი ისმის მათზე. ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. საჭიროა აუცილებლივ გამოვაცოცხლოთ საწარმოო თათბირები. საჭიროა საწარმოო თათბირების წინაშე დავაყენოთ არა მარტო წვრილმანი, ვთქვათ, სანიტარიის საკითხები. საწარმოო თათბირების პროგრამა უნდა გავაფართოოთ და შინაარსით უფრო მდიდარი გავხადოთ. საწარმოო თათბირებზე უნდა დაისვას მრეწველობის მშენებლობის ძირითადი საკითხები. მხოლოდ ამ გზით შეგვეძლება გავაძლიეროთ მუშათა კლასის მილიონიანი მასების აქტივობა და მრეწველობის მშენებლობის შეგნებულ მონაწილეებად გავხადოთ ისინი.

VII

უნდა განვამტკიცოთ მუშებისა და გლეხების კავშირი

მაგრამ მუშათა კლასის აქტივობის გაძლიერებაზე რომ ვლაპარაკობთ, გლეხობაც არ უნდა დავივიწყოთ. ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპია. ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. მრეწველობის განვითარება, სოციალისტური დაგროვება, მომჭირნეობის რეჟიმი, —

ყოველივე ეს ისეთი ამოცანებია, რომელთა გადაუჭრელადაც ჩვენ ვერ დავძლევთ კერძო კაპიტალს და ვერ აღმოვფხვრით ჩვენი სამეურნეო ცხოვრების სიძნელეებს. მაგრამ ვერც ერთი ამ ამოცანათაგანი ვერ გადაიჭრება, თუ არ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, თუ არ იქნა პროლეტარიატის დიქტატურა. პროლეტარიატის დიქტატურა კი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს ეყრდნობა. ამიტომ ყველა ჩვენი ამოცანა შეიძლება ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდეს, თუ ჩვენ ძირს გამოვუთხრით ანდა შევასუსტებთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს.

პარტიაში ჩვენ გვყვანან ადამიანები, რომელნიც გლეხობის მშრომელ მასებს ისე უყურებენ, როგორც უცხო სხეულს, როგორც ექსპლოატაციის ობიექტს მრეწველობისათვის, როგორც ერთგვარ კოლონიას ჩვენი ინდუსტრიისათვის. ეს ადამიანები საშიში ადამიანები არიან, ამხანაგებო. გლეხობა არ შეიძლება იყოს მუშათა კლასისათვის არც ექსპლოატაციის ობიექტი და არც კოლონია. გლეხური მეურნეობა ბაზარია მრეწველობისათვის, ისევე როგორც თვით მრეწველობა ბაზარს წარმოადგენს გლეხური მეურნეობისათვის. მაგრამ გლეხობა ჩვენთვის მარტო ბაზარი როდია. იგი მუშათა კლასის მოკავშირეც არის. სწორედ ამიტომ გლეხური მეურნეობის ამაღლება, გლეხობის მასობრივი კოოპერირება, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს იმ წინაპირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი მრეწველობის რამდენადმე მაინც სერიოზული განვითარება. და პირიქით, — მრეწველობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების წარმოება, გლეხობისათვის მრეწველობის პროდუქტების მასობრივად მიწოდება წარმოადგენს იმ წინაპირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობინ წინ წაწევა. ეს არის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის

ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საფუძველი. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ამხანაგებს, რომელნიც წამდაუწუმ მოითხოვენ გლეხობის მიმართ ზეგავლენის გაძლიერებას გადასახადთა მეტისმეტად გადიდებით, სამრეწველო ნაწარმის ფასების აწევით და ა. შ. ჩვენ მათ ვერ დავეთანხმებით, რადგან ისინი, თავისდა შეუმჩნევლად, ძირს უთხრიან მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, არყევენ პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენ კი, ჩვენ გვინდა განვამტკიცოთ, და არა დავარღვიოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი.

მაგრამ ჩვენ მუშათა კლასისა და გლეხობის ყოველგვარ კავშირს როდი ვიცავთ. ჩვენ ისეთ კავშირს ვემხრობით, სადაც ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. რატომ? იმიტომ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის სისტემაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გარეშე შეუძლებელია მშრომელი და ექსპლოატირებული მასების გამარჯვება მემამულეებსა და კაპიტალისტებზე. მე ვიცი, ზოგიერთი ამხანაგი არ ეთანხმება ამას. ისინი ამბობენ: კავშირი კარგი საქმეა, მაგრამ რაღა საჭიროა კიდევ მუშათა კლასის ხელმძღვანელობაო? ეს ამხანაგები დიდად ცდებიან. ისინი ცდებიან, რადგან არ ესმით, რომ მუშათა და გლეხთა მხოლოდ ისეთ კავშირს შეუძლია გაიმარჯვოს, რომელსაც ხელმძღვანელობს ყველაზე გამობრძმედილი და ყველაზე რევოლუციური კლასი, მუშათა კლასი.

რატომ დაიღუპა გლეხთა აჯანყება პუგაჩოვის დროს ანდა სტეფანე რაზინის დროს? რატომ ვერ შესძლეს მაშინ გლეხებმა მემამულეთა გარეკვა? იმიტომ, რომ მათ არა ჰყავდათ, და არც შეიძლებოდა მაშინ ჰყოლოდათ ისეთი რევოლუციური ხელმძღვანელი, როგორიც მუშათა კლასია. რატომ დამთავრდა საფრანგეთის რევოლუცია ბურჟუაზიის გამარჯვებით და წინათ განდევნილი მემამულეების დაბრუნებით? იმიტომ, რომ საფრანგეთის გლე-

ხებს მაშინ არა ჰყავდათ, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდათ ისეთი რევოლუციური ხელმძღვანელი, როგორიც მუშათა კლასია, — გლეხობას მაშინ ბურჟუაზიული ლიბერალები ხელმძღვანელობდნენ. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მუშათა და გლეხთა კავშირმა გამარჯვება მოიპოვა მემამულეებსა და კაპიტალისტებზე. მერე რით აიხსნება ეს? იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის სათავეში იდგა და ახლაც დგას ბრძოლებში გამობრძმედილი მუშათა კლასი. საკმარისია ძირი გამოეთხაროს ჩვენში მუშათა კლასის ხელმძღვანელობის იდეას, რომ მუშათა და გლეხთა კავშირისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩეს და რომ კაპიტალისტები და მემამულეები კვლავ თავიანთ ძველ ბუდეებს დაუბრუნდნენ.

აი რატომ უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ჩვენს ქვეყანაში.

აი რატომ უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამ კავშირის სისტემაში.

VIII

უნდა გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია

მე ვილაპარაკე მუშათა კლასის აქტივობის გაძლიერებაზე, იმაზე, რომ ჩავაბათ მუშათა კლასის მილიონიანი მასები ჩვენი მეურნეობის მშენებლობის საქმეში, ინდუსტრიის მშენებლობის საქმეში. მაგრამ მუშათა კლასის აქტივობის გაძლიერება სერიოზული და დიდი საქმეა. მუშათა კლასის აქტივობის გასაძლიერებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა თვით პარტიის აქტივიზაცია. საჭიროა, რომ თვით პარტია მტკიცედ და გადაჭრით დაადგეს შინაპარტიული დემოკრატიის გზას, რომ ჩვენი ორგანიზაციები ჩვენი მშენებლობის საკითხთა განხილვის საქმეში აბამდნენ პარტიის ფართო მასებს, რომელნიც ჩვენი პარტიის

ბედს ჰედავენ. უამისოდ მუშათა კლასის აქტივიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამას მე განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს იმიტომ, რომ ჩვენმა ლენინგრადის ორგანიზაციამ ამას წინათ ისეთი პერიოდი განიცადა, როდესაც ზოგიერთი ხელმძღვანელი შინაპარტიულ დემოკრატიაზე მხოლოდ დაცინვით თუ ლაპარაკობდა. მხედველობაში მაქვს ის პერიოდი პარტიის ყრილობამდე, ყრილობის დროს და უშუალოდ ყრილობის შემდეგ, როდესაც ლენინგრადში პარტიულ კოლექტივებს შეკრების ნებას არ აძლევდნენ, როდესაც კოლექტივების ზოგიერთი ორგანიზატორნი, — მაპატიეთ პირდაპირობა, — ბოქაულის როლს ასრულებდნენ კოლექტივების მიმართ, როდესაც კოლექტივებს შეკრებას უკრძალავდნენ. სწორედ ამით ჩაიჭრა თავი ეგრეთწოდებულმა «ახალმა რპოზიციამ» ზინოვიევის მეთაურობით.

თუ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ლენინგრადის აქტივის დახმარებით ორ კვირაში მოახერხეს უკუეგდოთ და გაერიყათ ოპოზიცია, რომელიც თქვენთან XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ებრძოდა, ეს იმიტომ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ გაჩაღებული ახსნა-განმარტებითი კამპანია დაემთხვა იმ მისწრაფებას დემოკრატიზმისაკენ, რომელიც იყო, რომელიც ამოხეთქვას ლამობდა და რომელმაც ამოხეთქა კიდეც ლენინგრადის ორგანიზაციაში. ვისურვებ, ამხანაგებო, რომ თქვენ გაითვალისწინოთ ახლო წარსულის ეს გაკვეთილი. ვისურვებ, რომ, ამ გაკვეთილის გათვალისწინებით, თქვენ პატიოსნად და გადაჭრით გაატაროთ შინაპარტიული დემოკრატია, გააძლიეროთ პარტიული მასების აქტივობა, ჩააბათ ისინი სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საკითხების განხილვის საქმეში და დაარწმუნოთ ისინი იმ გადაწყვეტილებათა სისწორეში, რომლებიც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა გამოიტანა.

ვისურვებ, რომ თქვენ სწორედ არწმუნებდეთ პარტიულ მასებს, რადგან დარწმუნების მეთოდი მუშათა კლასის რიგებში ჩვენი მუშაობის ძირითადი მეთოდია.

IX

უნდა დავიცვათ პარტიის ერთიანობა

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ შინაპარტიული დემოკრატია ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლებას ნიშნავს. ამაზე კი ნურას უკაცრავად, ამხანაგებო! შინაპარტიული დემოკრატია ჩვენ ასე არ გვესმის. არაფერი საერთო არ არის და არც შეიძლება იყოს შინაპარტიულ დემოკრატიასა და ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლებას შორის.

რა არის შინაპარტიული დემოკრატია? შინაპარტიული დემოკრატია არის პარტიული მასების აქტივობის გაძლიერება და პარტიის ერთიანობის განმტკიცება, პარტიაში შეგნებული პროლეტარული დისციპლინის განმტკიცება.

რა არის ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლება? ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლება არის პარტიული რიგების დაშლა, პარტიის დანაწილება ცალკეულ ცენტრებად, პარტიის დასუსტება, პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება.

რა შეიძლება აქ საერთო იყოს მათ შორის?

ჩვენს პარტიაში არიან ადამიანები, რომელთაც სძინავთ და ესიზმრებათ, რომ საერთო-პარტიული დისკუსია გაიხსნა. ჩვენ გვყვანან ადამიანები, რომელთაც პარტია უდისკუსიოდ ვერ წარმოუდგენიათ, რომელნიც პროფესიონალ დისკუსანტთა სახელწოდებას იჩემებენ. შორს ჩვენგან ასეთი პროფესიონალი დისკუსანტები! ახლა ჩვენ ფუჭი დისკუსია და ჩვენი პარტიის სადისკუსიო კლუბად გადაქცევა კი არ გვესაჭიროება, არამედ გვესაჭიროება

საერთოდ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერება, განსაკუთრებით ინდუსტრიული მშენებლობის გაძლიერება, განმტკიცება მებრძოლი და მჭიდროდ შეკავშირებული, ერთიანი და განუყოფელი პარტიისა, რომელიც მტკიცედ და საიმედოდ ხელმძღვანელობს ჩვენს აღმშენებლობითს მუშაობას. ის, ვინც დაუსრულებელ დისკუსიებს ესწრაფის, ის, ვინც ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლებას ესწრაფის, — ის არღვევს პარტიის ერთიანობას, ის ძირს უთხრის ჩვენი პარტიის ძლიერებას.

რით ვიყავით ჩვენ ძლიერნი წარსულში და რითა ვართ ძლიერნი ახლა? სწორი პოლიტიკით და ჩვენი რიგების ერთიანობით. სწორი პოლიტიკა ჩვენ მოგვცა ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ. ახლა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი რიგების ერთიანობა, ერთიანობა ჩვენი პარტიისა, რომელიც მზად არის გაატაროს პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი, მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა.

ასეთია ძირითადად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა დედააზრი.

X

დასკვნები

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე დასკვნებზე.

ჯერ-ერთი, წინ უნდა წავწიოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრია, როგორც სოციალიზმის საფუძველი და როგორც ხელმძღვანელი ძალა, რომელსაც წინ მიჰყავს სახალხო მეურნეობა მთლიანად.

მეორეც, უნდა შევქმნათ ახალი კადრები ინდუსტრიის მშენებლებისა, როგორც ინდუსტრიალიზაციის კურსის პირდაპირი და უშუალო გამტარებლებისა.

მესამეც, უნდა დავაჩქაროთ ჩვენი სოციალისტური დაგროვების ტემპი და დავაგროვოთ რეზერვები ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის.

მეოთხეც, საჭიროა წესიერად დავაყენოთ დაგროვებული რეზერვების გამოყენება და დავამყაროთ მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმი.

მეხუთეც, საჭიროა გავაძლიეროთ მუშათა კლასის აქტივობა და ჩავაბათ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მუშათა მილიონიანი მასები.

მეექვსეც, საჭიროა განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ამ კავშირის შიგნით.

მეშვიდეც, საჭიროა გავაძლიეროთ პარტიული მასების აქტივობა და გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია.

მერვეც, უნდა დავიცვათ და განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის ერთიანობა, ჩვენი რიგების შემჭიდროებულობა.

შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ ამოცანების შესრულებას? დიახ, შევძლებთ, თუ ამას მოვინდომებთ. ეს კი ჩვენ გვინდა, ამას ყველანი ხედავენ. დიახ, შევძლებთ, ვინაიდან ჩვენ ბოლშევიკები ვართ, ვინაიდან ჩვენ არ გვეშინია სიძნელეებისა, ვინაიდან სიძნელენი იმისათვის არსებობენ, რომ ვებრძოლოთ მათ და დავძლიოთ ისინი. დიახ, შევძლებთ, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა სწორია, და ჩვენ ვიცით, საით მივდივართ. და ჩვენ წავალთ წინ მტკიცედ და იმედიანად მიზნისაკენ სავალი გზით, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების გზით.

ამხანაგებო! პატარა ჯგუფს წარმოვადგენდით ჩვენ ლენინგრადში 1917 წლის თებერვალში, 9 წლის წინათ. ძველ პარტიელებს ახსოვთ, რომ მაშინ ჩვენ, ბოლშევიკები, ლენინგრადის საბჭოს უმნიშვნელო უმცირესობას შევადგენდით. ძველ ბოლშევიკებს უნდა ახსოვდეთ, რომ მაშინ ჩვენ აბუჩად გვიგდებდნენ ბოლშევიზმის მრავალ-

რიცხოვანი მტრები. მაგრამ ჩვენ წინ მივდიოდით და ზედიზედ ვიღებდით პოზიციებს, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა სწორი იყო, და ბრძოლას ჩვენ შემჭიდროებული რიგებით ვაწარმოებდით. შემდეგ ეს პატარა ძალა დიად ძალად გაიზარდა. ჩვენ დავამარცხეთ ბურჟუაზია და ჩამოვაგდეთ კერენსკი. ჩვენ შევქმენით საბჭოების ძალაუფლება. ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკი და დენიკინი. ჩვენ გავრეკეთ ჩვენი ქვეყნიდან ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი მოძალადენი. ჩვენ დავძლიეთ სამეურნეო ნგრევა. ბოლოს, ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი მრეწველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობა. ახლა ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანა — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. ყველაზე სერიოზული სიძნელეები გადალახულია. განა შეიძლება საეჭვო იყოს, რომ ჩვენ გადავჭრით ამ ახალ ამოცანასაც — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანას? რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს საეჭვო იყოს. პირიქით, ახლა ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება იმისათვის, რომ დავძლიოთ სიძნელენი და ცხოვრებაში გავატაროთ ის ახალი ამოცანები, რაც ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ დაგვისახა.

აი რატომ ვფიქრობ მე, ამხანაგებო, რომ ინდუსტრიის ახალ ფრონტზე ჩვენ უეჭველად უნდა გავიმარჯვოთ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«ლენინგრადსკაია პრავდა»
№ 89, 1926 წ. 18 აპრილი.

ამხ. კაგანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს [53]

ვესაუბრე შუმსკის. საუბარი ხანგრძლივი იყო, ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. თქვენ იცით, რომ იგი კმაყოფილი არ არის უკრაინაში არსებული მდგომარეობით. მისი უკმაყოფილების მოტივები შეიძლება განისაზღვროს ორი ძირითადი პუნქტით.

1. ვას მიაჩნია, რომ უკრაინიზაცია ნელა მიმდინარეობს, უკრაინიზაციას უყურებენ, როგორც ბეგარას, რომელსაც ასრულებენ უხალისოდ, ასრულებენ დიდი გაჭიანურებით. მას მიაჩნია, რომ უკრაინული კულტურისა და უკრაინელი ინტელიგენციის ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ თუ ჩვენ ხელში არ ავიღეთ ეს მოძრაობა, იგი შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ჩვენ გვერდი აგვიაროს. მას მიაჩნია, რომ ამ მოძრაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სწამთ უკრაინული კულტურის საქმე, რომლებიც იცნობენ და სურთ იცნობდნენ ამ კულტურას, რომლებიც მხარს უჭერენ და შეუძლიათ მხარი დაუჭირონ უკრაინული კულტურისათვის მზარდ მოძრაობას. იგი განსაკუთრებით უკმაყოფილოა

იმით, თუ როგორ იქცევა უკრაინაში პარტიული და პროფკავშირული ზედაფენა, რომელიც, მისი აზრით, აფერხებს უკრაინიზაციას. იგი ფიქრობს, რომ პარტიულ-პროფკავშირული ზედაფენის ერთ-ერთი ძირითადი ცოდვა ის არის, რომ იგი პარტიული და პროფკავშირული მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში არ აბამს უკრაინულ კულტურასთან უშუალოდ დაკავშირებულ კომუნისტებს. იგი ფიქრობს, რომ უკრაინიზაცია უნდა ჩატარდეს უწინარეს ყოვლისა პარტიის რიგებში და პროლეტარიატში.

2. იგი ფიქრობს, რომ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა უკრაინიზაციის თვალსაზრისით შეიცვალოს პარტიული და საბჭოთა ზედაფენის შემადგენლობა, რომ მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი მოვახდინოთ უკრაინაში ჩვენი მუშაკების კადრებში გარდატეხა უკრაინიზაციის მიმართულებით. იგი წინადადებას იძლევა წამოყენებულ იქნას სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გრინკო, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მდივნის პოსტზე — ჩუბარი, გაუმჯობესდეს სამდივნოს და პოლიტბიუროს შემადგენლობა და ა. შ. იგი ფიქრობს, რომ თუ ასეთი ან ამის მსგავსი ცვლილებები არ მოხდა, მისთვის, შუმსკისათვის, შეუძლებელი იქნება უკრაინაში მუშაობა. იგი ამბობს, რომ თუ ცენტრალური კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს, ის მზად არის უკრაინაში დაბრუნდეს, მუშაობის ახლანდელი პირობები უცვლელიც რომ დარჩეს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ აქედან არაფერი გამოვა. იგი განსაკუთრებით უკმაყოფილოა კაგანოვიჩის მუშაობით. მას მიაჩნია, რომ კაგანოვიჩმა შესძლო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დაყენება, მაგრამ ფიქრობს, რომ ამხ. კაგანოვიჩის მუშაობაში ორგანიზაციული მეთოდების სიჭარბე შეუძლებელს ხდის ნორმალურ მუშაობას. იგი გვარწმუნებს, რომ ამხ. კაგანოვიჩის მუშაობაში ორგანიზა-

ციული ზემოქმედების შედეგები, უმაღლესი საბჭოთა დაწესებულებებისა და ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელების გარიყვის მეთოდის შედეგები — თავს იჩენენ უახლოეს მომავალში, ამასთან მას შესაძლოდ მიაჩნია, რომ ამ შედეგებმა სერიოზული კონფლიქტის ფორმა მიიღოს.

ჩემი აზრი ამის თაობაზე.

1. შუმსკის განცხადებანი პირველი პუნქტის შესახებ ზოგიერთ სწორ აზრს შეიცავენ. მართალია, რომ უკრაინაში დაიწყო და იზრდება ფართო მოძრაობა უკრაინული კულტურისა და უკრაინული საზოგადოებრიობისათვის. მართალია, რომ არამცდაარამც არ შეიძლება ხელში ჩავუგდოთ ეს მოძრაობა ჩვენთვის უცხო ელემენტებს. მართალია, რომ უკრაინაში მთელ რიგ კომუნისტებს არ ესმით ამ მოძრაობის აზრი და მნიშვნელობა და ამიტომ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ დაეუფლონ მას. მართალია, რომ გარდატეხა უნდა მოვახდინოთ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაკების კადრებში, რომლებიც ჯერ კიდევ ირონიისა და სკეპტიციზმის სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი უკრაინული კულტურისა და უკრაინული საზოგადოებრიობის საკითხში. მართალია, რომ გულდასმით უნდა შევარჩიოთ და შევქმნათ ისეთ ადამიანთა კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაეუფლონ ახალ მოძრაობას უკრაინაში. ყოველივე ეს მართალია. მაგრამ ამასთან შუმსკი ორ სერიოზულ შეცდომას მაინც უშვებს.

ჯერ-ერთი. იგი ერთმანეთში ურევს ჩვენი პარტიული და სხვა აპარატების უკრაინიზაციასა და პროლეტარიატის უკრაინიზაციას. შეიძლება და საჭიროცაა გავაუკრაინულოთ, ამასთან ერთგვარი ტემპის დაცვით, ჩვენი პარტიული, სახელმწიფო და სხვა აპარატები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას. მაგრამ არ შეიძლება ზევიდან გავაუკრაინელოთ პროლეტარიატი. არ შეიძლება **ვაიძულოთ** რუს მუშათა მასები ხელი აიღონ რუსულ ენასა და

რუსულ კულტურაზე და თავიანთ კულტურად და თავიანთ ენად უკრაინული აღიარონ. ეს ეწინააღმდეგება ეროვნებათა თავისუფალი განვითარების პრინციპს. ეს იქნებოდა არა ნაციონალური თავისუფლება, არამედ ნაციონალური ჩაგვრის თავისებური ფორმა. უეჭველია, რომ უკრაინის პროლეტარიატის შემადგენლობა შეიცვლება უკრაინის სამრეწველო განვითარების მიხედვით, იმის მიხედვით, რაც მრეწველობას ახლომახლო სოფლებიდან უკრაინელი მუშები შეემატებიან. უეჭველია, რომ უკრაინის პროლეტარიატის შემადგენლობა გაუკრაინულდება, ისევე როგორც, ვთქვათ, ლატვიასა და უნგრეთში პროლეტარიატის შემადგენლობამ, რომელსაც ერთ ხანს გერმანული ხასიათი ჰქონდა, შემდეგ გალატვიურება და გამადიარულება იწყო. მაგრამ ეს ხანგრძლივი, სტიქიური, ბუნებრივი პროცესია. შეეცადო შეცვალო ეს სტიქიური პროცესი პროლეტარიატის ზევიდან ძალდატანებითი უკრაინიზაციით — ეს იმას ნიშნავს, რომ გაატარო უტოპიური და მავნე პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს უკრაინის პროლეტარიატის არაუკრაინელ ფენებში ანტიუკრაინული შოვინიზმი. მე მგონია, შუმსკის არასწორად ესმის უკრაინიზაცია და ანგარიშს არ უწევს ამ უკანასკნელ საფრთხეს.

მეორეც. შუმსკი სავსებით სწორად აღნიშნავს უკრაინული კულტურისა და საზოგადოებრიობისათვის უკრაინაში დაწყებული ახალი მოძრაობის დადებით ხასიათს, მაგრამ იგი ვერ ხედავს ამ მოძრაობის ჩრდილოვან მხარეებს. შუმსკი ვერ ხედავს, რომ უკრაინაში ძირითადი კომუნისტური კადრების სისუსტის გამო ამ მოძრაობამ, რომელსაც ძალიან ხშირად სათავეში უდგას არაკომუნისტური ინტელიგენცია, შეიძლება ადგილ-ადგილ მიიღოს საერთოსაბჭოთა კულტურისა და საზოგადოებრიობისაგან უკრაინული კულტურისა და უკრაინული საზოგადოებრიობის განკერძოებულობისათვის ბრძოლის ხასიათი, საერთოდ

«მოსკოვის» წინააღმდეგ, საერთოდ რუსების წინააღმდეგ, რუსული კულტურისა და მისი უმაღლესი მიღწევის — ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი. მე არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ ასეთი საფრთხე სულ უფრო და უფრო რეალური ხდება უკრაინაში. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ასეთი დეფექტებისაგან ზოგიერთი უკრაინელი კომუნისტიც კი არ არის თავისუფალი. მხედველობაში მაქვს ისეთი, ყველასათვის ცნობილი ფაქტი, როგორც ცნობილი კომუნისტის ხვილევოის სტატია უკრაინულ პრესაში. ხვილევოის მოთხოვნები უკრაინაში «პროლეტარიატის **დაუყოვნებლივი** დერუსიფიკაციის» შესახებ, მისი აზრი იმის შესახებ, რომ «რუსულ ლიტერატურას, მის სტილს უკრაინული პოეზია რაც შეიძლება მალე უნდა გაენერიდოსო», მისი განცხადება იმის შესახებ, რომ «პროლეტარიატის იდეებს ჩვენ მოსკოვური ხელოვნების გარეშეც ვიცნობთო», მისი გატაცება უკრაინელი «ახალგაზრდა» ინტელიგენციის რაღაც მესიანური როლით, მისი სასაცილო და არამარქსისტული ცდა — ჩამოაშოროს კულტურა პოლიტიკას, — ყოველივე ეს და ბევრი ასეთი რამ, როცა ამას უკრაინელი კომუნისტი ამბობს, ახლა მეტად უცნაურად გაისმის (არ შეიძლება ასე არ გაისმოდეს!). მაშინ როცა დასავლეთ ევროპის პროლეტარები და მათი კომუნისტური პარტიები გამსჭვალული არიან სიმპათიით «მოსკოვისადმი», საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისა და ლენინიზმის ამ ციხე-სიმაგრისადმი, მაშინ როცა დასავლეთ ევროპის პროლეტარები მოსკოვში აფრიალებულ დროშას აღტაცებით შეჰყურებენ, უკრაინელ კომუნისტ ხვილევოის «მოსკოვის» სასარგებლოდ სათქმელი იმის მეტი ვერაფერი მოუნახავს, რომ უკრაინელ მოღვაწეებს მოუწოდოს «რაც შეიძლება მალე» განერიდონ «მოსკოვს». და ამას ინტერნაციონალიზმი ეწოდება! არაკომუნისტური ბანაკის სხვა უკრაინელ ინტელიგენტებზე რაღა ვთქვათ,

თუ კომუნისტები ხვილევოის ენით იწყებენ ლაპარაკს, და არა მარტო ლაპარაკს, არამედ ჩვენს საბჭოთა პრესაში წერასაც? შუმსკის არ ესმის, რომ უკრაინული კულტურისათვის უკრაინაში დაწყებული ახალი მოძრაობის დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტთა რიგებში ხვილევოის უკიდურესობებთან ბრძოლით. შუმსკის არ ესმის, რომ მხოლოდ ასეთ უკიდურესობებთან ბრძოლით შეიძლება გადავაქციოთ აღორძინების გზაზე დამდგარი უკრაინული კულტურა და უკრაინული საზოგადოებრიობა **საბჭოთა** კულტურად და საზოგადოებრიობად.

2. შუმსკი მართალია, როცა ამტკიცებს, ხელმძღვანელი ზედაფენა უკრაინაში (პარტიული და სხვა) უკრაინული უნდა გახდესო. მაგრამ იგი ტემპში ცდება. ეს კი ახლა მთავარია. მას ავიწყდება, რომ წმინდა უკრაინული მარქსისტული კადრები ჯერჯერობით არ გვყოფნის ამ საქმისათვის. მას ავიწყდება, რომ ასეთი კადრები არ შეიძლება ხელოვნურად შეიქმნას. მას ავიწყდება, რომ ასეთი კადრები შეიძლება მხოლოდ მუშაობის მიმდინარეობაში აღიზარდოს, რომ ამისათვის საჭიროა დრო... რას ნიშნავს ახლა გრინკოს წამოყენება სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე? როგორ შეაფასებენ ამ საქმეს საერთოდ პარტია და განსაკუთრებით პარტიული კადრები? ისე ხომ არ გაიგებენ ამას, რომ ჩვენ აღებული გვაქვს კურსი სახკომსაბჭოს ხვედრითი წონის შემცირებისაკენ? ვინაიდან ხომ არ შეიძლება დავუმალოთ პარტიას, რომ გრინკოს პარტიული და რევოლუციური სტაჟი ბევრად ნაკლებია ჩუბარის პარტიულ და რევოლუციურ სტაჟზე. განა შეგვიძლია ჩვენ ახლა, საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოთა ორგანოების ხვედრითი წონის გადიდების ხანაში, ასეთი ნაბიჯი გადავდგათ? განა უმჯობესი არ იქნება, საქმის ინტერესებისთვისაც და გრინკოს ინტერესებისთვისაც, ჯერჯეროჭით ხელი ავიღოთ ასეთ გეგმებზე? მე იმის მომხრე ვარ, რომ

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და პოლიტბიუროს შემადგენლობა, აგრეთვე ხელმძღვანელი საბჭოთა ზედაფენა უკრაინული ელემენტებით გავაძლიეროთ. მაგრამ ხომ არ შეიძლება ისე სახავდე საქმეს, თითქოს პარტიისა და საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოებში უკრაინელები არ არიან. როგორ, სკრიპნიკი და ზატონსკი, ჩუბარი და პეტროვსკი, გრინკო და შუმსკი, განა ისინი უკრაინელები არ არიან? შუმსკის შეცდომა აქ ის არის, რომ, თუმცა მას სწორი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ანგარიშს არ უწევს ტემპს. ხოლო ტემპი ახლა მთავარია.

კომ. სალამით

ი. სტალინი

26. IV. 1926 წ.

პირველად იბეჭდება პირველად.

ინგლისში მომხდარი გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ

მოხსენება რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების კრებაზე თბილისში

1926 წ. 8 ივნისი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ გამოვიდე ცნობით ინგლისში გაფიცვასთან დაკავშირებით[54] შექმნილი ვითარებისა და პოლონეთის უკანასკნელი ამბების[55] შესახებ, — ცნობით, რომელსაც ჩვენი კრების თავმჯდომარემ ამხ. ჩხეიძემ კეთილ ინება და მოხსენება უწოდა, მაგრამ რომელსაც შეიძლება მხოლოდ ცნობა ეწოდოს, მისი სიმოკლის გამო.

რატომ წარმოიშვა გაფიცვა ინგლისში?

პირველი საკითხია ინგლისში მომხდარი გაფიცვის მიზეზთა საკითხი. როგორ მოხდა, რომ ინგლისი, ეს კაპიტალისტური ძლიერებისა და უმაგალითო კომპრომისების ქვეყანა, ამ ბოლო დროს უდიდესი სოციალური კონფლიქტების ასპარეზად იქცა? როგორ მოხდა, რომ «დიდი ინგლისი», «ზღვათა მპყრობელი», საყოველთაო გაფიცვის ქვეყნად იქცა?

მე მინდა აღვნიშნო მთელი რიგი გარემოებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ინგლისში საერთო გაფიცვის გარდუვალობა. ჯერ კიდევ დრო არ დამდგარა იმისათვის, რომ ამომწურავი პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე. მაგრამ შეგვიძლია

აღვნიშნოთ და ვალდებულიც ვართ აღვნიშნოთ ზოგიერთი გადამწყვეტი მოვლენა, რომლებმაც გაფიცვის აუცილებლობა გამოიწვიეს. ამ გარემოებათაგან შეიძლება აღინიშნოს, როგორც მთავარი, ოთხი გარემოება.

პირველი. წინათ ინგლისს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა. იგი მთელ რიგ უზარმაზარ კოლონიებს ფლობდა და იმ დროისათვის სანიმუშო მრეწველობა ჰქონდა, რითაც შესაძლებლობა ჰქონდა «მსოფლიო ფაბრიკად» ჩაეთვალა თავი და უდიდესი ზემოგება მიეღო. ეს იყო ინგლისში «მშვიდობისა და კეთილდღეობის» პერიოდი. კაპიტალი ზემოგებას იღებდა, ზემოგების ნამცეცები ინგლისის მუშათა მოძრაობის ზედაფენების წილადაც მოდიოდა, ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერებს კაპიტალი თანდათან იშინაურებდა, ხოლო კონფლიქტები შრომასა და კაპიტალს შორის ჩვეულებრივად კომპრომისების გზით წყდებოდა.

მაგრამ მსოფლიო კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ, განსაკუთრებით კი გერმანიის, ამერიკისა და ნაწილობრივ იაპონიის განვითარებამ, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე ინგლისის კონკურენტებად გამოვიდნენ, ძირი გამოუთხარა ინგლისის ყოფილ მონოპოლიურ მდგომარეობას. ომმა და ომისშემდგომმა კრიზისმა კიდევ ერთი გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა ინგლისის მონოპოლიურ მდგომარეობას. ზემოგებამ იკლო, ნამცეცები, რომლებიც ინგლისის მუშათა ლიდერების წილად მოდიოდა, ილეოდა. სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმა ხმები, რომ ინგლისში მუშათა კლასის საარსებო დონემ დაბლა დაიწია. «მშვიდობისა და კეთილდღეობის» ხანა კონფლიქტების, ლოკაუტებისა და გაფიცვების ხანამ შეცვალა. ინგლისელი მუშა გამემარცხენების გზას დაადგა და სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავდა კაპიტალთან პირდაპირი ბრძოლის მეთოდს.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ინგლისის შახტების მფლობელთა მიერ უხეშ დატუქსვას, რაც ლოკაუტის მუქარით გამოიხატა, ქვანახშირის მთხრელები უპასუხოდ ვერ დატოვებდნენ.

მეორე. მეორე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ აღდგა საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობა და ამასთან დაკავშირებით გამწვავდა კაპიტალისტური ჯგუფების ბრძოლა ბაზრებისათვის. ომისშემდგომი კრიზისი იმით ხასიათდება, რომ მან გაწყვიტა საერთაშორისო ბაზრის თითქმის ყოველი კავშირი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და ეს კავშირი შეცვალა ერთგვარი ქაოსით ურთიერთობებში. ახლა ეს ქაოსი, კაპიტალის დროებით სტაბილიზაციასთან დაკავშირებით, უკანა რიგში გადადის, და ხდება საერთაშორისო ბაზრის ძველი ურთიერთობის თანდათანობით აღდგენა. თუ რამდენიმე წლის წინათ საქმე ეხებოდა იმას, რომ ფაბრიკა-ქარხნები აღედგინათ და მუშები კაპიტალის სასარგებლოდ მუშაობაში ჩაებათ, ახლა ის საკითხი დგას, რომ ბაზრები და ნედლეული უზრუნველყონ აღდგენილი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. ამასთან დაკავშირებით ბაზრებისათვის ბრძოლა ახალი ძალით გამწვავდა, ხოლო ამ ბრძოლაში კაპიტალისტების ის ჯგუფი და ის კაპიტალისტური სახელმწიფო იმარჯვებს, რომელსაც უფრო იაფი საქონელი და უფრო მაღალი ტექნიკა აქვს. ბაზარზე კი ახლა გამოდიან ახალი ძალები: ამერიკა, საფრანგეთი, იაპონია, გერმანია, ინგლისის დომინიონები, ინგლისის კოლონიები, რომლებმაც ომის დროს თავიანთი მრეწველობის განვითარება მოახერხეს და ახლა ბაზრებისათვის იბრძვიან. ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ საზღვარგარეთის ბაზრებიდან მოგების იოლად მიღება, რასაც ინგლისი ძველთაგანვე მიმართავდა, ახლა შეუძლებელი გახდა. ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების მონოპოლიურად ძარცვის ძველ კოლონიურ მეთოდს ად-

გილი უნდა დაეთმო ახალი მეთოდისათვის — იაფი საქონლის საშუალებით ბაზრების დაპყრობის მეთოდისათვის. აქედან წარმოსდგება ინგლისის კაპიტალის მისწრაფება შეამციროს წარმოება და ხელაღებით მაინც არ გააფართოოს იგი. აქედან წარმოსდგება უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმია ინგლისში, როგორც უკანასკნელი წლების მუდმივი მოვლენა. აქედან წარმოსდგება უმუშევრობის საფრთხე, რასაც ნერვიულობა შეაქვს ინგლისის მუშებში და საბრძოლო განწყობილებას უქმნის მათ. აქედან წარმოსდგება ის ელვისებური მოქმედება, რაც საერთოდ მუშებზე და განსაკუთრებით ქვანახშირის მთხრელებზე მოახდინა ლოკაუტის მუქარამ.

მესამე. მესამე გარემოება მდგომარეობს ინგლისის კაპიტალის მისწრაფებაში — მიაღწიოს ინგლისის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და საქონლის გაიაფებას ინგლისის მუშათა კლასის ინტერესების ხარჯზე. ის ფაქტი, რომ ძირითადი დარტყმის ობიექტი ამ შემთხვევაში ქვანახშირის მთხრელები გახდნენ, ეს ფაქტი არ შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ. ინგლისის კაპიტალი თავს დაესხა ქვანახშირის მთხრელებს არა მარტო იმიტომ, რომ ქვანახშირის მრეწველობა ტექნიკურად ცუდად არის მოწყობილი და «რაციონალიზაციას» საჭიროებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ქვანახშირის მთხრელები ყოველთვის იყვნენ და დღემდე რჩებიან ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე რაზმად. ელაგმა ეს მოწინავე რაზმი, შეემცირებინა ხელფასი და გაედიდებინა სამუშაო დღე იმისათვის, რომ, რაკი ამ ძირითად რაზმს გაუსწორდებოდა, შემდეგ მუშათა კლასის სხვა რაზმებიც მოეთოკა, — აი როგორი იყო ინგლისის კაპიტალის სტრატეგია. აქედან წარმოსდგება ის გმირობა, რომელსაც იჩენენ თავიანთ გაფიცვაში ინგლისელი ქვანახშირის მთხრელები. აქედან წარმოსდგება ის უმაგალითო

მზადყოფნა, რაც ინგლისელმა მუშებმა გამოიჩინეს ქვანახშირის მთხრელებისათვის საყოველთაო გაფიცვის გზით მხარდაჭერის საქმეში.

მეოთხე. მეოთხე გარემოებაა ინგლისში კონსერვატიული პარტიის ბატონობა, იმ პარტიისა, რომელიც მუშათა კლასის უბოროტესი მტერია. თქმა არ უნდა, ყოველი სხვა ბურჟუაზიული მთავრობა ძირითადად იმასვე ჩაიდენდა მუშათა კლასის ჩახშობის საქმეში, რაც კონსერვატორების მთავრობამ ჩაიდინა. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მუშათა კლასის მხოლოდ ისეთ დაუძინებელ მტრებს, როგორიც კონსერვატორები არიან, შეეძლოთ ასე იოლად და ცინიკურად გადაედგათ ინგლისის მთელი მუშათა კლასის გამომწვევი უმაგალითო ნაბიჯი, როგორიც გადადგეს კონსერვატორებმა, ლოკაუტით რომ დაემუქრნენ. ახლა სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ინგლისის კონსერვატიულ პარტიას არა მარტო სურდა ლოკაუტი და გაფიცვა, არამედ თითქმის მთელი წლის განმავლობაშიც ემზადებოდა ამისთვის. გასული წლის ივლისში მან გადადო ქვანახშირის მთხრელებზე თავდასხმა, რადგან მომენტს «არახელსაყრელად» თვლიდა. მაგრამ იგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ემზადებოდა, ქვანახშირის მარაგს აგროვებდა, შტრეიკბრეხერებს რაზმავდა, სათანადოდ ამუშავებდა საზოგადოებრივ აზრს იმისათვის, რომ იერიში მიეტანა ქვანახშირის მთხრელებზე ამა წლის აპრილში. მხოლოდ კონსერვატორთა პარტიას შეეძლო გადაედგა ასეთი ვერაგული ნაბიჯი.

კონსერვატორთა პარტია მთავრობაში გაძვრა ყალბი დოკუმენტებისა და პროვოკაციების საშუალებით. იგი ხელისუფლების სათავეში ჩადგომის პირველსავე დღეს თავს დაესხა ეგვიპტეს, რისთვისაც გამოიყენა პროვოკაციის ყველა საშუალება. იგი უკვე წელიწადია ნამდვილ ომს აწარმოებს ჩინელ ხალხთან, რისთვისაც მიმართავს ძარცვისა

და ჩაგვრის კოლონიური მეთოდების ნაცად საშუალებებს. იგი საშუალებას არ ზოგავს იმისათვის, რომ შეუძლებელი გახადოს საბჭოთა კავშირის ხალხების დაახლოება დიდი ბრიტანეთის ხალხებთან, და თანდათანობით ამზადებს შესაძლო ინტერვენციის ელემენტებს. ახლა იგი თავს ესხმის თავისი საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასს და ამ თავდასხმას მთელი წლის განმავლობაში ამზადებს ისეთი გულმოდგინებით, რომელიც უკეთესი გამოყენების ღირსია. კონსერვატორთა პარტია ისე ვერ იარსებებს, თუ კონფლიქტები არ იქნა ინგლისში და ინგლისს გარეთ. განა შეიძლება ამის შემდეგ გაგვიკვირდეს, რომ ინგლისელმა მუშებმა დარტყმას დარტყმით უპასუხეს?

ასეთია ძირითადად ის გარემოებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ინგლისში გაფიცვის გარდუვალობა.

რატომ ჩაიშალა საერთო გაფიცვა ინგლისში?

ინგლისში საერთო გაფიცვა ჩაიშალა მთელ რიგ გარემოებათა გამო, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი მაინც:

პირველი. ინგლისელი კაპიტალისტები და კონსერვატორთა პარტია, როგორც გაფიცვის მიმდინარეობამ დაგვანახა, საერთოდ უფრო გამოცდილნი, ორგანიზებულნი და გაბედულნი და ამიტომ უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ინგლისელი მუშები და მათი ხელმძღვანელები გენერალური საბჭოს და ეგრეთწოდებული მუშათა პარტიის სახით. მუშათა კლასის ხელმძღვანელნი მუშათა კლასის ამოცანების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ.

მეორე. ინგლისელი კაპიტალისტები და კონსერვატორთა პარტია გრანდიოზულ სოციალურ კონფლიქტს სავსებით და უეჭველად მომზადებულნი შეხვდნენ, მაშინ როცა

ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერებს შახტების მფლობელთა ლოკაუტი მოულოდნელად დაატყდათ თავს, ისინი არავითარ მოსამზადებელ მუშაობას არ ეწეოდნენ ან თითქმის არ ეწეოდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის სულ რაღაც ერთი კვირის წინ მუშათა კლასის ლიდერები რწმენას გამოთქვამდნენ, კონფლიქტი არ მოხდებაო.

მესამე. კაპიტალისტების შტაბი, კონსერვატორთა პარტია, ბრძოლას ეწეოდა შეკავშირებულად და ორგანიზებულად, იერიშები მიჰქონდა ბრძოლის გადამწყვეტ პუნქტებზე, მაშინ როცა მუშათა მოძრაობის შტაბი, პროფკავშირთა გენერალური საბჭო, და მისი «პოლიტიკური კომისია» — მუშათა პარტია — შინაგანად დემორალიზებული და გახრწნილი აღმოჩნდნენ. როგორც ცნობილია, ამ შტაბის მთავარი ადამიანები აღმოჩნდნენ ან ქვანახშირის მთხრელთა და საერთოდ ინგლისის მუშათა კლასის პირდაპირი გამცემლები (ტომასი, ჰენდერსონი, მაკდონალდი და კომპ.), ან უხერხემლო თანამგზავრები ამ გამცემლებისა, რომლებსაც ბრძოლისა და კიდევ უფრო მეტად მუშათა კლასის გამარჯვებისა ეშინოდათ (პერსელი, ჰიქსი და სხვები).

შეიძლება იკითხონ: როგორ მოხდა, რომ ინგლისის მძლავრ პროლეტარიატს, რომელიც ბრძოლას უმაგალითო გმირობით აწარმოებდა, აღმოაჩნდა ან გამყიდველი, ან ლაჩარი, ან პირდაპირ უხერხემლო ბელადები. ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია. ასეთი ბელადები ერთბაშად როდი წარმოშობილან. ისინი მუშათა მოძრაობიდან იზრდებოდნენ, მათ გაიარეს ინგლისში მუშათა ლიდერების აღზრდის გარკვეული სკოლა, იმ პერიოდის სკოლა, როცა ინგლისის კაპიტალს, რომელიც ზემოგებას იღებდა, შეეძლო დაესაჩუქრებინა და გამოეყენებინა მუშათა ლიდერები ინგლისის მუშათა კლასთან კომპრომისებისათვის, თანაც მუშათა კლასის ეს ლიდერები,

თავიანთი ყოფაცხოვრებითა და მდგომარეობით ბურჟუაზიას რომ უახლოვდებოდნენ, ამით სწყდებოდნენ მუშათა მასებს, ზურგს აქცევდნენ მათ, კარგავდნენ მათი გაგების უნარს. ეს მუშათა კლასის ისეთი ლიდერები არიან, რომლებიც კაპიტალიზმის ბრწყინვამ დააბრმავა, კაპიტალის ძლიერებამ დაიმორჩილა და რომლებიც იმაზე ოცნებობდნენ, რომ «ჩვენც ქვეყანაში გამოვიდეთ» და «შეძლებულ ხალხს» დავუკავშირდეთო. უეჭველია, რომ ეს, უკაცრავად პასუხია, ლიდერები წარმოადგენენ წარსულის ნაშთს, რომელიც ახალ ვითარებას აღარ შეეფერება. უეჭველია, რომ დროთა ვითარებაში ისინი იძულებული იქნებიან ადგილი დაუთმონ ახალ ლიდერებს, რომლებიც ინგლისის პროლეტარიატის მებრძოლი სულისკვეთებისა და გმირობის შესაფერი იქნებიან. ენგელსი მართალი იყო, ასეთ ლიდერებს მუშათა კლასის გაბურჟუებულ ბელადებს რომ უწოდებდა [56].

მეოთხე. ინგლისის კაპიტალიზმის შტაბს, კონსერვატორთა პარტიას, ესმოდა, რომ ინგლისელი მუშების გრანდიოზული გაფიცვა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია, რომ ასეთი გაფიცვის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა შეიძლება აწარმოო მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის საშუალებებით, რომ გაფიცვის ჩასახშობად საჭიროა მოიშველიო მეფის ავტორიტეტიც, თემთა პალატისა და კონსტიტუციის ავტორიტეტიც, რომ ჯარების მობილიზაციის მოუხდენლად და საგანგებო წესების გამოუცხადებლად გაფიცვის ლიკვიდაცია არ შეიძლება. ხოლო ამავე დროს ინგლისის მუშათა მოძრაობის შტაბს, გენერალურ საბჭოს, ეს უბრალო რამ არ ესმოდა ან არ სურდა გაეგო, ანდა ეშინოდა ეღიარებინა იგი, და ყველას და ყოველს არწმუნებდა, რომ საერთო გაფიცვა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ხასიათის საშუალებაა, რომ მას არ სურს და განზრახული არა აქვს გადაიყვანოს ბრძოლა პო-

ლიტიკური ბრძოლის რელსებზე, რომ იგი არ აპირებს იერიში მიიტანოს ინგლისის კაპიტალის გენერალურ შტაბზე, კონსერვატორთა პარტიაზე, რომ მას — გენერალურ საბჭოს — განზრახული არა აქვს დღის წესრიგში დააყენოს ძალაუფლების საკითხი.

ამით გენერალურმა საბჭომ გაფიცვას გარდუვალი ჩაშლა განუმზადა. ვინაიდან, როგორც ისტორია გვიჩვენებს, საერთო გაფიცვა, თუ იგი პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე არ იქნა გადაყვანილი, აუცილებლად უნდა ჩაიშალოს.

მეხუთე. ინგლისელი კაპიტალისტების შტაბს ესმოდა, რომ ინგლისის გაფიცვისადმი ინტერნაციონალური დახმარება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს ბურჟუაზიისათვის, მაშინ როცა გენერალურ საბჭოს არ ესმოდა ან ისე აჩვენებდა თავს, თითქოს არ ესმოდა, რომ ინგლისელი მუშების გაფიცვის გამარჯვება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის შემწეობით შეიძლება. აქედან წარმოსდგა გენერალური საბჭოს უარი იმაზე, რომ მიეღო საბჭოთა კავშირის და სხვა საბელმწიფოების მუშების ფინანსური დახმარება [57].

ისეთ გრანდიოზულ გაფიცვას, როგორიც იყო საერთო გაფიცვა ინგლისში, შეეძლო საგრძნობი შედეგები მოეცა ორი ძირითადი პირობით მაინც: თუ გაფიცვა პოლიტიკურ რელსებზე იქნებოდა გადაყვანილი და თუ გაფიცვა კაპიტალის წინააღმდეგ ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტართა ბრძოლის აქტად გადაიქცეოდა. მაგრამ ინგლისის გენერალურმა საბჭომ, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი «სიბრძნით», უარი თქვა ორივე ამ პირობაზე, რითაც წინასწარ განსაზღვრა საერთო გაფიცვის ჩაშლა.

მეექვსე. უეჭველია, რომ არამცირედი როლი შეასრულა ინგლისის საერთო გაფიცვისადმი დახმარების საქმეში

II ინტერნაციონალისა და პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანების მეტად ორჭოფულმა ქცევამ. სოციალ-დემოკრატთა ამ ორგანიზაციების პლატონური გადაწყვეტილებანი გაფიცვისადმი დახმარების შესახებ არსებითად იმით განისაზღვრა, რომ მათ ფაქტიურად უარი თქვეს ყოველგვარი ფინანსური დახმარების გაწევაზე, ვინაიდან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ორჭოფული ქცევით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ევროპისა და ამერიკის პროფკავშირებმა, ყველამ ერთად, იმ ფინანსური დახმარების ერთ მერვედ ნაწილზე მეტი ვერ გაუწიეს, რომლის გაწევაც თავიანთი ინგლისელი ძმებისათვის შესაძლებლად მიიჩნიეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა. აღარას ვამბობ სხვა ხასიათის დახმარებაზე, დახმარებაზე ქვანახშირის შეზიდვის შეწყვეტის სახით, სადაც პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანება პირდაპირ შტრეიკბრეხერულად იქცევა.

მეშვიდე. უეჭველია აგრეთვე, რომ საერთო გაფიცვის ჩაშლის საქმეში არამცირედი როლი შეასრულა ინგლისის კომუნისტური პარტიის სისუსტემ. უნდა ითქვას, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთ საუკეთესო სექციას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მისი პოზიცია ინგლისში გაფიცვის მთელი ხნის განმავლობაში სავსებით სწორი იყო. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ავტორიტეტი ინგლისელ მუშებში ჯერ კიდევ სუსტია. და ამ გარემოებას არ შეიძლებოდა საბედისწერო როლი არ შეესრულებინა საყოველთაო გაფიცვის მიმდინარეობაში.

ასეთია ის გარემოებანი, მათგან მთავარნი მაინც, რომელთა გარკვევა ამჟამად შესაძლებელია ჩვენი დაკვირვების მიხედვით და რომლებმაც გამოიწვიეს ინგლისში საერთო გაფიცვის არასასურველი შედეგი.

საერთო გაფიცვის გაკვეთილები

როგორია ინგლისში მომხდარი საერთო გაფიცვის გაკვეთილები, მათგან უმნიშვნელოვანესი მაინც? ეს გაკვეთილები შემდეგია.

პირველი. ინგლისში ქვანახშირის მრეწველობაში დამდგარი კრიზისი და მასთან დაკავშირებული საერთო გაფიცვა პირდაპირ აყენებს ქვანახშირის მრეწველობაში წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალიზაციისა და მუშათა კონტროლის დაწესების საკითხს. ეს სოციალიზმის ბრძოლით მოპოვების საკითხია. არა მგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ქვანახშირის მრეწველობაში კრიზისის რადიკალურად გადაჭრის არავითარი სხვა გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, გარდა ინგლისის კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული გზისა. ქვანახშირის მრეწველობაში დამდგარი კრიზისი და საერთო გაფიცვა უშუალოდ აყენებს ინგლისის მუშათა კლასის წინაშე სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების საკითხს.

მეორე. ინგლისის მუშათა კლასს არ შეიძლებოდა თავის საკუთარ ზურგზე არ განეცადა, რომ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს კაპიტალისტთა პოლიტიკური ხელისუფლება, ამ შემთხვევაში კონსერვატორთა პარტია და მისი მთავრობა. თუ პროფკავშირთა გენერალური საბჭო ჭირივით გაურბოდა იმის აღიარებას, რომ ეკონომიური ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია პოლიტიკურ ბრძოლასთან, ინგლისელ მუშებს ახლა არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ორგანიზებულ კაპიტალთან მათს ძნელ ბრძოლაში ხელისუფლების საკითხი ახლა ძირითადი საკითხია, რომ ხელისუფლების საკითხის გადაუჭრელად არ შეიძლება გადაიჭრას არც კრიზისი ქვანახშირის მრეწველობაში და არც საერთოდ ინგლისის მთელ მრეწველობაში დამდგარი კრიზისი.

მესამე. საერთო გაფიცვის მსვლელობამ და შედეგმა არ შეიძლება არ დაარწმუნოს ინგლისის მუშათა კლასი იმაში, რომ პარლამენტი, კონსტიტუცია, მეფე და ბურჟუაზიული ძალაუფლების სხვა ატრიბუტები წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტთა კლასის ფარს, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ. გაფიცვამ ფეტიშისა და ხელუხლებელი წმიდათა-წმიდის საფარველი ჩამოაცალა პარლამენტსაც და კონსტიტუციასაც. მუშები შეიგნებენ, რომ ახლანდელი კონსტიტუცია ბურჟუაზიისათვის იარაღია, რომელიც მიმართულია მუშების წინააღმდეგ. მუშებმა არ შეიძლება არ შეიგნონ, რომ მათაც ესაჭიროებათ თავიანთი მუშური კონსტიტუცია, როგორც იარაღი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ამ ჭეშმარიტების შეთვისება ყველაზე დიდი მონაპოვარი იქნება ინგლისის მუშათა კლასისათვის.

მეოთხე. გაფიცვის მსვლელობამ და შედეგმა არ შეიძლება არ დაარწმუნოს ინგლისის მუშათა მასები ძველ ხელმძღვანელთა უვარგისობაში, იმ ძველი ბელადების უვარგისობაში, რომელნიც ძველი ინგლისური კომპრომისული პოლიტიკის სკოლაში აღიზარდნენ. მუშათა მასებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ საჭიროა ძველი ბელადების შეცვლა ახალი, რევოლუციური ბელადებით.

მეხუთე. ინგლისელ მუშებს ახლა არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ინგლისელი ქვანახშირის მთხრელები ინგლისის მუშათა კლასის მოწინავე რაზმს წარმოადგენენ, რომ ქვანახშირის მრეწველობაში გაფიცვისათვის მხარდაჭერა და მისი გამარჯვების უზრუნველყოფა, ამრიგად, ინგლისის მთელი მუშათა კლასის საქმეს წარმოადგენს. გაფიცვის მთელი მსვლელობა უკარნახებს ინგლისის მუშათა კლასს ამ გაკვეთილის აბსოლუტურ უცილობლობას.

მეექვსე. ინგლისელი მუშები საერთო გაფიცვის ძნელ ჟამს, როცა სხვადასხვა პარტიების პლატფორმები და

პროგრამები საქმით მოწმდებოდა, არ შეიძლებოდა არ დარწმუნებულიყვნენ, რომ ერთადერთ პარტიას, რომელსაც შეუძლია ბოლომდე, გაბედულად და გადაჭრით დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები, კომუნისტების პარტია წარმოადგენს.

ასეთია ზოგადად ინგლისში მომხდარი საერთო გაფიცვის ძირითადი გაკვეთილები.

ზოგიერთი დასკვნა

გადავდივარ პრაქტიკული მნიშვნელობის ზოგიერთ დასკვნაზე.

პირველი საკითხია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი. ინგლისში მომხდარმა გაფიცვამ ცხადყო, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილება სტაბილიზაციის დროებითი და მერყევი ხასიათის შესახებ სავსებით სწორია[55]. ინგლისელ ქვანახშირის მთხრელებზე ინგლისის კაპიტალის თავდასხმა იმის ცდას წარმოადგენს, რომ დროებითი, არამყარი სტაბილიზაცია მტკიცე და მუდმივ სტაბილიზაციად გადაექცია. ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ინგლისელმა მუშებმა, რომლებმაც ამ ცდას გრანდიოზული გაფიცვით უპასუხეს, მთელ კაპიტალისტურ სამყაროს დაანახეს, რომ კაპიტალიზმის მტკიცე სტაბილიზაციის დამყარება ომისშემდგომი პერიოდის პირობებში შეუძლებელია, რომ ინგლისის ექსპერიმენტის მსგავსი ექსპერიმენტები კაპიტალიზმის საფუძვლების განადგურების საფრთხეს შეიცავენ. მაგრამ თუ არასწორია დებულება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის სიმტკიცის შესახებ, ამდენადვე არასწორია საწინააღმდეგო დებულება იმის შესახებ, რომ სტაბილიზაცია დამთავრდა, რომ იგი ლიკვიდირებულია და რომ ჩვენ

ახლა თითქოს რევოლუციური ქარიშხლების უმაღლესი აღმავლობის პერიოდში შევედით. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია, დროებითი, მერყევი, მაგრამ მაინც სტაბილიზაცია, ჯერჯერობით მაინც რჩება.

შემდეგ. სწორედ იმიტომ, რომ ახლანდელი დროებითი და მერყევი სტაბილიზაცია ჯერჯერობით მაინც რჩება, სწორედ ამიტომ კაპიტალი შეეცდება კვლავაც თავს დაესხას მუშათა კლასს. რა თქმა უნდა, ინგლისში მომხდარი გაფიცვის გაკვეთილმა მთელ კაპიტალისტურ სამყაროს უნდა დაანახოს, თუ რამდენად სახიფათოა კაპიტალის სიცოცხლისა და არსებობისათვის იმგვარი ექსპერიმენტი, როგორსაც ინგლისში კონსერვატიულმა პარტიამ მიმართა. ეს ექსპერიმენტი კონსერვატიულ პარტიას რომ არ შერჩება, ამაში დაეჭვების საფუძველი არა გვაქვს. არც იმაში შეიძლება დაეჭვება, რომ ამ გაკვეთილს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები გაითვალისწინებენ. მიუხედავად ამისა, კაპიტალი მაინც ეცდება ახალი თავდასხმა მოახდინოს მუშათა კლასზე, ვინაიდან თავს მტკიცედ ვერა გრძნობს და არ შეიძლება არა ჰქონდეს იმის მოთხოვნილება, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს. მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიების ამოცანა ის არის, რომ ამზადონ ძალები მუშათა კლასზე ასეთი თავდასხმების მოსაგერიებლად. კომუნისტური პარტიების ამოცანა ის არის, რომ კვლავაც განაგრძონ მუშათა ერთიანი ფრონტის მოწყობა და ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ კაპიტალისტთა იერიშები გადააქციონ მუშათა კლასის კონტრიერიშად, მუშათა კლასის რევოლუციურ შეტევად, მუშათა კლასის ბრძოლად პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და კაპიტალიზმის ლიკვიდაციისათვის.

დასასრულ, ეს მორიგი ამოცანები რომ შეასრულოს, ინგლისის მუშათა კლასი უწინარეს ყოვლისა უნდა განთავისუფლდეს თავისი ახლანდელი ხელმძღვანელებისაგან.

არ შეიძლება ომი დაიწყო კაპიტალისტების წინააღმდეგ, როცა ისეთი ბელადები გყავს, როგორიც ტომასები და მაკდონალდები არიან. არ შეიძლება გამარჯვების იმედი გქონდეს, როცა ზურგში ისეთი გამცემლები გყავს, როგორიც არიან ჰენდერსონი და კლაინსი. ინგლისის მუშათა კლასმა უნდა ისწავლოს ასეთი ლიდერების უკეთესებით შეცვლა, ვინაიდან ორში ერთი: ან ინგლისის მუშათა კლასი ისწავლის ტომასებისა და მაკდონალდების მოხსნას პოსტებიდან, ან იგი გამარჯვებას ვერ ეღირსება.

ასეთია, ამხანაგებო, ზოგიერთი თავისთავად ცხადი დასკვნა.

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე პოლონეთის ამბების საკითხზე.

პოლონეთის უკანასკნელი ამბების შესახებ

არსებობს აზრი, რომ მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას პილსუდსკი, რევოლუციური მოძრაობაა. ამბობენ, პილსუდსკი პოლონეთში მხარს უჭერს რევოლუციის საქმეს, მხარს უჭერს გლეხობას მემამულეთა წინააღმდეგ, მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ, პოლონეთის ჩაგრულ ეროვნებათა თავისუფლებას პოლონური შოვინიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგო. ამბობენ, ამის გამო პილსუდსკი იმის ღირსია, რომ მას კომუნისტებმა მხარი დაუჭირონო.

ეს სრულებითაც არ არის მართალი, ამხანაგებო!

ნამდვილად პოლონეთში ახლა ერთმანეთს ებრძვის ბურჟუაზიის ორი ფრაქცია: მსხვილბურჟუაზიული ფრაქცია პოზნანელების მეთაურობით და წვრილბურჟუაზიული ფრაქცია პილსუდსკის მეთაურობით. ამ ბრძოლის მიზანია ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცება, სტაბილიზაცია, და არა მუშათა და გლეხთა ინტერესების, ჩაგრულ ეროვნებათა ინტერესების დაცვა. ბრძოლა წარმოებს

ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცების მეთოდების სხვადასხვაობის გამო.

საქმე ის არის, რომ პოლონეთის სახელმწიფო სრული რღვევის ფაზაში შევიდა. ფინანსები იფუშება. ზლოტი ეცემა. მრეწველობა დამბლადაცემულია. არაპოლონელი ეროვნებანი იჩაგრებიან. ზევით კი, ხელმძღვანელ ფენებთან ახლო მდგომ წრეებში, გამეფებულია მტაცებლობის ვაკხანალია, როგორც ამას სრულიად მოურიდებლად ამბობენ სეიმის ყველა და ყოველგვარი ფრაქციის წარმომადგენლები[*]. ამასთან დაკავშირებით ბურჟუაზიული კლასების წინაშე დგას დილემა: **ან** სახელმწიფოს რღვევა იქამდე მივა, რომ თვალს აუხელს მუშებსა და გლეხებს და დაარწმუნებს მათ, რომ აუცილებელია ხელისუფლების რევოლუციური გარდაქმნა მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, **ან** ბურჟუაზიამ უნდა იჩქაროს შეწყვიტოს რღვევა, მოსპოს მტაცებლობის ვაკხანალია და, ამრიგად, სანამ გვიან არ არის, თავიდან აიცილოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მოსალოდნელი აფეთქება.

ახლა საქმე ის არის, თუ ბურჟუაზიის რომელმა ფრაქციამ მოჰკიდოს ხელი პოლონეთის სახელმწიფოს სტაბილიზაციას — პილსუდსკის ფრაქციამ თუ პოზნანელთა ფრაქციამ?

უეჭველია, რომ მუშები და გლეხები პილსუდსკის ბრძოლას უკავშირებენ ოცნებას თავიანთი მდგომარეობის ძირითად გაუმჯობესებაზე. უეჭველია, რომ სწორედ ამიტომ მუშათა კლასისა და გლეხობის ზედაფენა ასე თუ ისე მხარს უჭერს პილსუდსკის როგორც წვრილბურჟუაზიული და წვრილაზნაურული ფენების წარმომადგენლის ბრძოლას პოზნანელების წინააღმდეგ, რომლებიც მსხვილ კაპიტალისტთა და მემამულეთა წარმომადგენლები არიან. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ პოლონეთის მშრომელი კლასების ზოგიერთი ფენის მისწრაფებებს ამჟამად იყენებენ

არა რევოლუციისათვის, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოს და ბურჟუაზიული წესწყობილების განსამტკიცებლად.

აქ როლს ასრულებს, რასაკვირველია, ზოგიერთი გარეშე ფაქტორიც. პოლონეთი დიდი სახელმწიფო არ არის, ფინანსების მხრივ იგი დაკავშირებულია ანტანტის გარკვეულ წრეებთან. იგი, ბურჟუაზიული პოლონეთი, თავისი ფინანსების დღევანდელი სავალალო მდგომარეობის პირობებში, რა თქმა უნდა, თავს ვერ გაიტანს გარედან სესხის მიუღებლად. მაგრამ ეგრეთწოდებული დიდი სახელმწიფოები ვერ დააფინანსებენ იმ სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელი წრეებიც ერთხმად აღნიშნავენ მტაცებლობის ვაკხანალიას სახელმწიფო მმართველობის მთელი ხაზით. სესხის მისაღებად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო მმართველობის «გაუმჯობესება», მტაცებლობის ვაკხანალიის შეწყვეტა, იმის ერთგვარი გარანტიის შექმნა, რომ სესხთა პროცენტები გადახდილი იქნება და სხვ. აქედან წარმოსდგება პოლონეთის სახელმწიფოს «რაციონალიზაციის» აუცილებლობა.

ასეთია ძირითადად საშინაო და საგარეო წინაპირობები, რომლებმაც განსაზღვრეს პოლონეთის ორი ძირითადი ბურჟუაზიული ფრაქციის ახლანდელი ბრძოლა.

პოლონეთი ამჟამად წარმოადგენს მთელ რიგ ძირითად წინააღმდეგობებს, რომლებმაც, თუ შემდგომ განვითარდნენ, გარდუვალად უნდა შექმნან პოლონეთში უშუალო რევოლუციური სიტუაცია. ეს წინააღმდეგობანი მიმდინარეობენ სამი ძირითადი ხაზით: მუშათა საკითხის ხაზით, გლეხთა საკითხის ხაზით, ნაციონალური საკითხის ხაზით. ყველა ამ წინააღმდეგობამ შეიძლება დაუყოვნებლივ იჩინოს თავი და აფეთქება გამოიწვიოს, თუ პოლონეთი ომის ავანტიურის გზას დაადგა, თუ მან კეთილმეზობლური ურთიერთობა ვერ დაამყარა მის გარშემო მდებარე სახელ-

მწიფოებთან. შეუძლია თუ არა პილსუდსკის, შეუძლია თუ არა პილსუდსკის ჭრელ ჯგუფს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა? შეუძლია თუ არა ამ წვრილბურჟუაზიულ ჯგუფს მუშათა საკითხის გადაჭრა? არა, არ შეუძლია, ვინაიდან მაშინ მან ძირითადი კონფლიქტი უნდა მოახდინოს კაპიტალისტთა კლასთან, რაც მას არ შეუძლია და რასაც ის არავითარ შემთხვევაში არ იზამს, თუ არ სურს დაკარგოს დიდ სახელმწიფოთა ფინანსური დახმარება. შეუძლია თუ არა მას, ამ ჯგუფს, გლეხთა საკითხის გადაჭრა, მაგალითად, მემამულეთა მიწის კონფისკაციის მიმართულებით? არა, არ შეუძლია — და იგი ამას არც იზამს, თუ არ სურს სრული რღვევა შეიტანოს პილსუდსკის არმიის მეთაურთა შემადგენლობაში, რომელიც თითქმის მთლიანად წვრილ და საშუალო მემამულეთაგან შესდგება. შეუძლია თუ არა მას, ამ ჯგუფს, პოლონეთში ნაციონალური საკითხის გადაჭრა იმ მიმართულებით, რომ ნაციონალური თვითგამორკვევის უფლება მიენიჭოს ჩაგრულ ეროვნებებს: უკრაინელებს, ლიტველებს, ბელორუსებს და სხვ.? არა, არ შეუძლია — და არც იზამს ამას, თუ არ სურს დაკარგოს ყოველგვარი ნდობა იმ დიდპოლონელ შოვინისტთა და ფაშისტთა თვალში, რომლებიც პილსუდსკის ჯგუფის მორალური არსებობის ძირითად წყაროს შეადგენენ.

რაღა დარჩენია მას ამ შემთხვევაში?

ერთიღა დარჩენია: დაამარცხა რა მსხვილი ბურჟუაზიის ფრაქცია **სამხედრო** მხრივ, **პოლიტიკურად** დაემორჩილოს ამავე ფრაქციას და კუდში მისდიოს მას, **თუ**, რასაკვირველია, პოლონეთის მუშათა კლასმა და პოლონელი გლეხობის რევოლუციურმა ნაწილმა უახლოეს ხანში ხელი არ მოჰკიდეს პოლონეთის სახელმწიფოს რევოლუციური გარდაქმნის საქმეს და არ გარეკეს პოლო-

ნეთის ბურჟუაზიის ორივე ფრაქცია — პილსუდსკის ფრაქციაც და პოზნანელთა ფრაქციაც.

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი პოლონეთის კომუნისტური პარტიის შესახებ. როგორ მოხდა, რომ პოლონეთში მუშათა და გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის რევოლუციურმა უკმაყოფილებამ პილსუდსკის შეუწყო ხელი და არა პოლონეთის კომუნისტურ პარტიას? ეს, სხვათა შორის, იმიტომ მოხდა, რომ პოლონეთის კომუნისტური პარტია სუსტია, მეტისმეტად სუსტია, რომ მან კიდევ უფრო დაისუსტა თავი ახლანდელ ბრძოლაში თავისი არასწორი პოზიციით პილსუდსკის ჯარების მიმართ, რის გამო სათავეში ვერ ჩაუდგა რევოლუციურად განწყობილ მასებს.

ამას წინათ ჩვენს საბჭოთა პრესაში წავიკითხე გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. ტელმანის სტატია პოლონეთის საქმეებზე [ლ]. ამხ. ტელმანი ამ სტატიაში ეხება პოლონეთის კომუნისტების პოზიციას, რომლებმაც წამოაყენეს პილსუდსკის ჯარებისათვის მხარდაჭერის ლოზუნგი, და აკრიტიკებს ამ პოზიციას, როგორც არარევოლუციურს. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ამხ. ტელმანის მიერ მოცემული კრიტიკა აბსოლუტურად სწორია. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენმა პოლონელმა ამხანაგებმა ამ შემთხვევაში ყოვლად უხეში შეცდომა დაუშვეს.

ეს არის ყველაფერი, რაც მინდოდა მეცნობებინა თქვენთვის, ამხანაგებო, საერთო გაფიცვასთან დაკავშირებით ინგლისში შექმნილი ვითარებისა და პოლონეთის უკანასკნელი ამბების შესახებ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«ზარია ვოსტოკა» (თბილისი)
№ 1197, 1926 წ. 10 ივნისი.

პასუხი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების მისალმებებზე

1926 წ. 8 ივნისი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ამხანაგური მადლობა გიძღვნათ იმ მისალმებებისათვის, რაც აქ მუშების წარმომადგენლებმა წარმოთქვეს.

გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ იმ ქების ნახევარიც არ დამიმსახურებია, რაც აქ ჩემზე ითქვა. მე, თურმე, ოქტომბრის გმირიც ვყოფილვარ, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელიც, კომინტერნის ხელმძღვანელიც, დევგმირიც და ყველაფერი, რაც გნებავთ. ყოველივე ეს, ამხანაგებო, სრულიად ზედმეტი და გადაჭარბებულია. ჩვეულებრივად ასეთი ტონით გარდაცვალებული რევოლუციონერის კუბოსთან ლაპარაკობენ. მაგრამ მე ჯერ არ ვაპირებ სიკვდილს.

ამიტომ იძულებული ვარ აღვადგინო იმის ნამდვილი სურათი, თუ რა ვიყავი წინათ და ვის უნდა ვუმადლოდე ჩემს ახლანდელ მდგომარეობას ჩვენს პარტიაში.

აქ ამხ. არაქელამ * თქვა, რომ წარსულში ის თავის თავს ერთ-ერთ ჩემ მასწავლებლად თვლიდა, მე კი თავის შეგირდად მივაჩნდი. ეს სრული სიმართლეა, ამხანაგებო. მე მართლაც ვიყავი და ახლაც ვარ თბილისის რკინიგზის სახელოსნოთა მოწინავე მუშების ერთ-ერთი შეგირდი.

* ა. ოქუაშვილი.

ნება მიბოძეთ მივმართო წარსულს.

მაგონდება 1898 წელი, როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე. ეს იყო 28 წლის წინათ. მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე ჯიბლაძის (მაშინ ისიც ერთ-ერთი ჩემი მასწავლებელი იყო), ჩოდრიშვილის, ჩხეიძის, ბოჭორიშვილის, ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით. ამ ამხანაგებთან შედარებით მაშინ მე ყმაწვილი კაცი ვიყავი. შესაძლოა მაშინ მე ცოტა უფრო ნაკითხი ვიყავი, ვიდრე ბევრი ამ ამხანაგთაგანი. მაგრამ, როგორც პრაქტიკული მუშაკი, მაშინ მე უთუოდ დამწყები ვიყავი. აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. აქ, ამ ამხანაგების წრეში, გავხდი მაშინ რევოლუციის მეგობრდი. როგორც ხედავთ, ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ.

ნება მიბოძეთ ვუძღვნა მათ გულწრფელი, ამხანაგური მადლობა. (ტ ა შ ი).

მაგონდება, შემდეგ, 1907 — 1909 წლები, როცა პარტიის ნებით სამუშაოდ გაგზავნილი ვიყავი ბაქოში. ნავთის მრეწველობის მუშებს შორის სამი წლის რევოლუციურმა მუშაობამ გამომაწრთო, როგორც პრაქტიკული მებრძოლი და ერთ-ერთი პრაქტიკული ადგილობრივი ხელმძღვანელი. ერთი მხრივ ბაქოს ისეთ მოწინავე მუშებთან ურთიერთობით, როგორიც ვაცეკი, სარატოვეცი, ფიოლეტოვი და სხვები იყვნენ, ხოლო მეორე მხრივ მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის უღრმესი კონფლიქტების ჭარიშხალში — მე პირველად გავიგე, თუ რას ნიშნავს მუშათა დიდი მასებისადმი ხელმძღვანელობა. ამრიგად იქ, ბაქოში, მივიღე მე ჩემი მეორე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. იქ გავხდი მე რევოლუციის ქარგალი.

ნება მიბოძეთ გულწრფელი, ამხანაგური მადლობა ვუძღვნა ჩემს ბაქოელ მასწავლებლებს. (ტ ა შ ი).

დასასრულ, მაგონდება 1917 წელი, როცა მე, საპყრობილეებსა და გადასახლებაში ყოფნის შემდეგ, პარტიის ნებით გავიგზავნე ლენინგრადში. იქ, რუსი მუშების წრეში, ყველა ქვეყნის პროლეტართა დიდ მასწავლებელთან — ამხ. ლენინთან უშუალოდ ახლო მყოფმა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის უდიდეს შეჯახებათა ქარიშხალში, იმპერიალისტური ომის ვითარებაში, მე პირველად ვისწავლე იმის გაგება, თუ რას ნიშნავს იყო მუშათა კლასის დიადი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იქ, რუსეთის მუშათა — ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელთა და ყველა ქვეყნისა და ხალხის პროლეტარული ბრძოლის მოთავეთა წრეში, მივიღე მე ჩემი მესამე საბრძოლო რევოლუციური ნათლობა. იქ, რუსეთში, ლენინის ხელმძღვანელობით, გავხდი მე რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი.

ნება მიბოძეთ გულწრფელი, ამხანაგური მადლობა ვუძღვნა ჩემს რუს მასწავლებლებს და თავი დავხარო ჩემი დიდი მასწავლებლის — ლენინის ხსოვნის წინაშე. (ტ ა შ ი).

ჯერ შეგირდი (თბილისი), შემდეგ ქარგალი (ბაქო) და, ბოლოს, ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი (ლენინგრადი) — აი როგორია, ამხანაგებო, ჩემი რევოლუციური შეგირდობის სკოლა.

ასეთია, ამხანაგებო, გადაუჭარბებლად, გულახდილად რომ ვთქვათ, იმის ნამდვილი სურათი, თუ რა ვიყავი და რა გავხდი. (ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა ^დ ი ქ ც ე ვ ა).

«ზარია ვოსტოკა» (თბილისი)
№ 1197, 1926 წ. 10 ივნისი.

ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტის შესახებ[61] *

ხიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე[62]

1926 წ. 15 ივლისი

ამხანაგებო! ჩვენ ვიმყოფებით ძალთა შეკრების პერიოდში, მასების მომხრობისა და ახალი ბრძოლებისათვის პროლეტარიატის მომზადების პერიოდში. მაგრამ მასები არიან პროფკავშირებში. ხოლო პროფკავშირები დასავლეთში, მათი უმრავლესობა, ახლა მეტად თუ ნაკლებად რეაქციული არიან. მაშ როგორ მოვიქცეთ პროფკავშირების მიმართ? უნდა ვიმუშაოთ თუ არა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კომუნისტებს, ვიმუშაოთ რეაქციულ პროფკავშირებში? არსებითად სწორედ ეს კითხვა დააყენა ჩვენს წინაშე ტროცკიმ თავის წერილში, რომელიც ამას წინათ «პრავდაში» დაიბეჭდა. ამ კითხვაში, რა თქმა უნდა, ახალი არაფერია. იგი ტროცკიზე უფრო ადრე, ხუთი წლის წინათ, დააყენეს «ულტრამემარცხენეებმა» გერმანიაში. მაგრამ ტროცკიმ საჭიროდ ჩათვალა მისი ხელახლა დაყენება. როგორ უპასუხებს იგი ამ კითხვაზე? ნება მიბოძეთ მოვიყვანო ციტატა ტროცკის წერილიდან.

---

* იბეჭდება შემოკლებულად.

«ბრიტანეთის მუშათა კლასის მთელი ახლანდელი «ზედნაშენი» — უკლებლივ ყველა ელფერისა და დაჯგუფებისა — რევოლუციის შეფერხების აპარატს წარმოადგენს. ეს მოასწავებს ხანგრძლივი პერიოდით სტიქიური და ნახევრად-სტიქიური მოძრაობის მოწოლას **ძველი ორგანიზაციების ჩარჩოებზე** და ამ მოწოლის საფუძველზე **ახალი რევოლუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას**» (იხ. «პრავდა» № 119, 1926 წ. 26 მაისი).

გამოდის, რომ ჩვენ არ უნდა ვიმუშაოთ «ძველ» ორგანიზაციებში, თუ არ გვსურს «შევაფერხოთ» რევოლუცია. აქ ან იმაზეა ლაპარაკი, რომ ჩვენ უკვე ვიმყოფებით უშუალო რევოლუციური სიტუაციის პერიოდში და ახლავე უნდა შევქმნათ პროლეტარიატის თვითნებური ორგანიზაციები «ძველების» **ნაცვლად**, პროფკავშირების **ნაცვლად**, რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის და სისულელეა. ან აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ ძველი პროფკავშირები «ხანგრძლივი» პერიოდის განმავლობაში უნდა შევცვალოთ **«ახალი** რევოლუციური ორგანიზაციებით».

ეს სიგნალია იმისათვის, რომ, **ნაცვლად** არსებული პროფკავშირებისა, მოეწყოს სწორედ ის «რევოლუციური მუშათა კავშირი», რომელზეც ლაპარაკობდნენ «ულტრამემარცხენე» კომუნისტები გერმანიაში ხუთი წლის წინათ და რომელთა წინააღმდეგ გადაჭრით გამოდიოდა ამხ. ლენინი თავის ბროშურაში ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში». არსებითად ეს სიგნალია იმისათვის, რომ ახლანდელი პროფკავშირები შევცვალოთ «ახალი» ვითომც «რევოლუციური» ორგანიზაციებით, მაშასადამე, სიგნალია პროფკავშირებიდან **გამოსვლისათვის**.

სწორია თუ არა ეს პოლიტიკა? იგი სრულიად არასწორია. იგი სრულიად არასწორია იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება მასებისადმი ლენინურ ხელმძღვანელობას. იგი არასწორია, ვინაიდან დასავლეთის პროფესიული კავშირები, მთელი მათი რეაქციულობის მიუხედავად, წარმოადგენენ პროლეტარიატის ყველაზე ელემენტარულ ორგანიზა-

ციებს, რომლებიც ყველაზე გასაგები არიან ყველაზე ჩამორჩენილი მუშებისათვის და, ამიტომ, ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები არიან. ჩვენ ვერ მივალთ მასებთან, ჩვენ ვერ მივიმხრობთ მათ, თუ გვერდი ავუარეთ ამ კავშირებს. ტროცკის თვალსაზრისზე დადგომა ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებს გზა დავუხშოთ მილიონიანი მასებისაკენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა მასები ხელში ჩავუგდოთ ამსტერდამს [63], ხელში ჩავუგდოთ ზასენბახებსა და უდეგესტებს [64].

აქ ოპოზიციონერები იმოწმებდნენ ამხ. ლენინს. ნება მიბოძეთ მეც მოვიყვანო ლენინის მითითებანი.

«არ შეიძლება სასაცილო ბალღურ აბდაუბდად არ გვეჩვენებოდეს გერმანელ მემარცხენეთა მაღალფარდოვანი, მთლად მეცნიერული და საშინლად რევოლუციური ლათაიებიც იმ თემაზე, რომ კომუნისტებს არ შეუძლიათ იმუშაონ და არც უნდა იმუშაონ რეაქციულ პროფკავშირებში, რომ დასაშვებია უარი ვთქვათ ამ მუშაობაზე, რომ უნდა გამოვიდეთ პროფკავშირებიდან და შევქმნათ მთლად ახალთახალი, მთლად სუფთა «მუშათა კავშირი», მეტად კარგი (და ალბათ მეტწილად ფრიად ახალგაზრდა) კომუნისტების მიერ გამოგონილი» (იხ. ტ. XXV, გვ. 193 — 194).

და შემდეგ:

«**«მუშათა არისტოკრატიასთან»** ბრძოლას ჩვენ ვეწევით მუშათა მასის სახელით და იმისათვის, რომ ეს მასა მოვიმხროთ; ოპორტუნისტ და სოციალ-შოვინისტ ბელადებთან ბრძოლას ჩვენ ვეწევით იმისათვის, რომ მუშათა კლასი მოვიმხროთ. ამ სრულიად ელემენტარული და სრულიად თვალსაჩინო ჭეშმარიტების დავიწყება სისულელე იქნებოდა. და სწორედ ასეთ სისულელეს სჩადიან «მემარცხენე» გერმანელი კომუნისტები, რომლებსაც პროფკავშირების **ზედაფენის** რეაქციულობისა და კონტრრევოლუციურობის **გამო** ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ... პროფკავშირებიდან გამოვიდეთ!! იქ მუშაობაზე ხელი ავიღოთ!! მუშათა ორგანიზაციის ახალი, **გამოგონილი** ფორმები შევქმნათ!! ეს ისეთი შიუტევებელი სისულელეა, რომელიც კომუნისტების მიერ ბურჟუაზიისათვის უდიდესი სამსახურის გაწევას უდრის» (იხ. იქვე, გვ. 196).

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ახსნა-განმარტება აქ ზედმეტია.

აქ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ გადავახტეთ დასავლეთში პროფკავშირების ჯერ კიდევ დრომოუჭმელ რეაქციულობას. ეს საკითხი აქ ტრიბუნაზე ზინოვიევმა გამოათრია. იგი იმოწმებდა მარტოვს და გვარწმუნებდა, რომ გადაუხტომლობის თვალსაზრისი, ის თვალსაზრისი, რომ მარქსისტებისათვის დაუშვებელია გადაახტნენ მასების ჩამორჩენილობას, მათი ხელმძღვანელების ჩამორჩენილობასა და რეაქციულობას, ეს თვალსაზრისი თითქოს მენშევიკურია.

მე ვამტკიცებ, ამხანაგებო, რომ ზინოვიევის ეს ბინძური მანევრი მარტოვზე დაყრდნობით, მოწმობს მხოლოდ ერთ რამეს, — იმას, რომ ზინოვიევი **სავსებით ჩამოშორდა** ლენინიზმის ხაზს.

მე შევეცდები ქვემოთ დავამტკიცო ეს.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ საერთოდ, როგორც ლენინელებს, როგორც მარქსისტებს, გადავახტეთ ჯერ კიდევ დრომოუჭმელ მოძრაობას, მასების ჩამორჩენილობას, შეგვიძლია თუ არა ზურგი შევაქციოთ მათ, გვერდი ავუაროთ მათ, თუ ჩვენ **უნდა დავძლიოთ** ასეთი მოვლენები მასებში ამ მოვლენათა წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლის გზით? ეს არის კომუნისტური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, მასებისადმი ლენინური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. ოპოზიციონერები აქ ლენინიზმზე ლაპარაკობდნენ. ნება მიბოძეთ დავიმოწმო პირველწყარო, ლენინი.

საქმე 1917 წლის აპრილში ხდება. ლენინი ეკამათება კამენევს. ლენინი არ ეთანხმება კამენევს, რომელიც გადაჭარბებულად აფასებდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის როლს. მაგრამ ლენინი არ ეთანხმება აგრეთვე ტროცკის, რომელიც ჯეროვნად არ აფასებდა გლეხური

მოძრაობის როლს და ცდილობდა რუსეთის გლეხურ მოძრაობაზე «გადახტომას». აი ლენინის სიტყვები.

«ტროცკიზმი — «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». ეს სწორი არ არის. წვრილი ბურჟუაზია არსებობს, მისი გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ მას ორი ნაწილი აქვს. მისი უღარიბესი ნაწილი მუშათა კლასს მიჰყვება» (იხ. ლენინის სიტყვა, პეტროგრადის 1917 წ. აპრილის კონფერენციის ოქმები, გვ. 17 [65]).

«აი ჩვენ რომ გვეთქვა: «უმეფოდ, ხოლო დიქტატურა პროლეტარიატისაო» — ეს კი წვრილ ბურჟუაზიაზე **გადახტომა** * იქნებოდა» (იხ. ლენინის სიტყვა, სრულიად რუსეთის 1917 წ. აპრილის კონფერენციის ოქმები, გვ. 76 [66]).

და შემდეგ:

«მაგრამ ხომ არ გვემუქრება იმის საფრთხე, რომ გადავვარდეთ სუბიექტივიზმში, მოვისურვოთ **«გადავახტეთ»** ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის დაუმთავრებელ რევოლუციას, — რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია გლეხური მოძრაობა, — და გადავიდეთ სოციალისტურ რევოლუციაზე? მე რომ მეთქვა: «უმეფოდ, ხოლო მთავრობა **მუშური**», — მაშინ ამ საფრთხეში ვიქნებოდი. მაგრამ მე ვთქვი **არა** ეს, მე ვთქვი სხვა რამ... ჩემს თეზისებში მე აბსოლუტურად დავიზღვიე თავი **დრომოუჭმელ გლეხურ ან საერთოდ წვრილბურჟუაზიულ მოძრაობაზე** ყოველგვარი **გადახტომისაგან**, მუშური მთავრობის მიერ «ძალაუფლების ხელში ჩაგდების» ყოველგვარი **თამაშისაგან**, რაიმე ბლანკისტური **ავანტიურისაგან**, ვინაიდან მე პირდაპირ მივუთითე პარიზის კომუნის გამოცდილებაზე» * (იხ. ტ. XX, გვ. 104).

ვგონებ, ნათელია. დრომოუჭმელ მოძრაობაზე **გადახტომის** თეორია ტროცკიზმის თეორიაა. ლენინი არ ეთანხმება ამ თეორიას. მას ეს თეორია ავანტიურისტულ თეორიად მიაჩნია.

აი კიდევ რამდენიმე ციტატა, უკვე სხვა თხზულებებიდან, რაც ეკუთვნის ერთ «მეტად ცნობილ» ბოლშევიკს,

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რომლის სახელი და გვარი ჯერჯერობით არ მსურს მოვიხსენიო, მაგრამ რომელიც აგრეთვე იბრძვის გადახტომის თეორიის წინააღმდეგ.

«გლეხობის საკითხში, რომელსაც მუდამ «ახტება» ტროცკი, ჩვენ უდიდეს შეცდომებს ჩავიდენდით. მუშებისა და გლეხების კავშირის ჩანასახთა ნაცვლად, ჩვენ ახლა ამ კავშირის სრული გაწყვეტა გვექნებოდა».

შემდეგ.

«ასეთია პარვუსიზმისა და ტროცკიზმის «თეორიული» საფუძველი. სწორედ ეს «თეორიული» საფუძველი გადააკეთეს შემდეგში პოლიტიკურ ლოზუნგებად, როგორიცაა, მაგალითად, ლოზუნგი: «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». ეს ლოზუნგი ახლა — მას აქვს, რაც გლეხობასთან კავშირში ჩვენ 15 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მოვიპოვეთ, — ფრიად კეთილხმოვნად ისმის. უმეფოდ! — კარგია. მთავრობა მუშური — კიდევ უკეთესი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეს ლოზუნგი წამოყენებული იყო 1905 წელს, ყოველი ბოლშევიკი დაგვეთანხმება, რომ მაშინ ეს ლოზუნგი მოასწავებდა სავსებით «გადახტომას» გლეხობაზე».

შემდეგ.

«ხოლო «მენერმანენტეებს» 1905 წელს სურდათ თავს მოეხვიათ ჩვენთვის ლოზუნგი «ძირს მეფე, ხოლო მთავრობა მუშური». სადღაა გლეხობა? განა აქ თვალში არ გეცემა ფაქტი გლეხობის სრული გაუგებლობისა და უგულებელყოფისა ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი? თუ ეს გლეხობაზე «გადახტომა» არ არის, მაშ რაღაა?»

შემდეგ.

«ვერ გაეგო რა გლეხობის როლი რუსეთში, «თავს ახტებოდა» რა გლეხობას გლეხურ ქვეყანაში, ტროცკიზმს მით უმეტეს არ შეეძლო გაეგო გლეხობის როლი საერთაშორისო რევოლუციაში».

თქვენ იკითხავთ: ვინ არის ტროცკიზმის წინააღმდეგ და გადახტომის ტროცკისტული თეორიის წინააღმდეგ მიმართული ამ მრისხანე ციტატების ავტორი? ამ მრისხანე ციტატების ავტორი სწორედ ზინოვიევი გახლავთ. ეს ცი-

ტატები ამოღებულია მისი წიგნიდან «ლენინიზმი» და ზინოვიევის სტატიიდან «ბოლშევიზმი თუ ტროცკიზმი».

როგორ მოხდა, რომ ერთი წლის წინათ ზინოვიევს ესმოდა გადახტომის თეორიის ანტილენინური ხასიათი, ახლა კი, ერთი წლის შემდეგ, აღარ ესმის? ეს იმიტომ დაემართა მას, რომ მაშინ იგი, ასე ვთქვათ, ლენინელი იყო, ახლა კი უიმედოდ ჩაეფლო ცალი ფეხით ტროცკიზმში, მეორე ფეხით კი შლიაპნიკოველობაში, «მუშათა ოპოზიციაში» [67]. და აი იგი ფართხალებს ამ ორ ოპოზიციას შორის და იძულებულია ახლა მარტოვით ხელში გამოვიდეს აქ, ამ ტრიბუნაზე. და ვის წინააღმდეგ გამოდის? ლენინის წინააღმდეგ. ვის მომხრედ? ტროცკისტების მომხრედ.

აი რამდენად დაეცა ზინოვიევი.

შეიძლება თქვან, რომ ყოველივე ეს გლეხობის საკითხს ეხება, რომ ამას კავშირი არა აქვს პროფკავშირებთან ინგლისში. მაგრამ ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. იმას, რაც ითქვა გადახტომის თეორიის უვარგისობაზე პოლიტიკაში, პირდაპირი კავშირი აქვს პროფკავშირებთან ინგლისში და, საერთოდ, ევროპაში, პირდაპირი კავშირი აქვს მასებისადმი ხელმძღვანელობის საკითხთან, რეაქციული, რეფორმისტი ლიდერების გავლენისაგან მასების განთავისუფლების გზების საკითხთან. ტროცკი და ზინოვიევი, გადახტომის თეორიას რომ მისდევენ, ცდილობენ გადაახტნენ ინგლისის პროფკავშირების ჩამორჩენილობას, მათს რეაქციულობას, ცდილობენ, რომ **ჩვენ** დავამხოთ გენერალური საბჭო მოსკოვიდან, ინგლისის პროფკავშირული მასებისათვის **გვერდის ავლით.** ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ასეთი პოლიტიკა სისულელეა, ავანტიურიზმია, რომ ინგლისის პროფმოძრაობის რეაქციული ბელადები **თვით** ინგლისის პროფკავშირულმა მასებმა უნდა დაამხონ **ჩვენი დახმარებით,** რომ ჩვენ კი არ უნდა გადავახტეთ პროფკავში-

რული ბელადების რეაქციულობას, არამედ უნდა **დავეხმაროთ** ინგლისის პროფკავშირულ მასებს მის **დაძლევაში.**

თქვენ ხედავთ, რომ კავშირი საერთოდ პოლიტიკასა და პროფკავშირული მასების მიმართ პოლიტიკას შორის უთუოდ არსებობს.

ხომ არა აქვს ამის თაობაზე მითითება ლენინს? ყური დაუგდეთ:

«პროფკავშირები მუშათა კლასის გიგანტურ პროგრესს წარმოადგენდნენ კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში, როგორც მუშების დაქსაქსულობიდან და უმწეობიდან კლასობრივი გაერთიანების **ჩანასახებზე** გადასვლა. როცა აღმოცენება იწყო პროლეტართა კლასობრივი გაერთიანების **უმაღლესმა** ფორმამ, **პროლეტარიატის რევოლუციურმა პარტიამ** (რომელიც თავისი სახელწოდების ღირსი არ იქნება, სანამ არ ისწავლის ბელადების ერთ მთლიანობად, განუყრელად დაკავშირებას კლასთან და მასებთან), მაშინ პროფკავშირებმა აუცილებლივ გამოამჟღავნეს **ერთგვარი** რეაქციული ნიშნები, ერთგვარი ამჭრული შეზღუდულობა, ერთგვარი მიდრეკილება აპოლიტიციზმისადმი, ერთგვარი უძრაობა და სხვ. მაგრამ არსად მსოფლიოში პროლეტარიატის განვითარება სხვანაირად არ წარმართულა და არც შეიძლებოდა წარმართულიყო, თუ არა პროფკავშირების მეშვეობით, თუ არა მუშათა კლასის პარტიასთან მათი თანამოქმედების მეშვეობით» (იხ. ტ. XXV, გვ. 194).

და შემდეგ:

«ამ «რეაქციულობის» შიში, მისთვის **გვერდის ავლის,** მასზე **გადახტომის** * ცდა უდიდესი სისულელეა, ვინაიდან ეს ნიშნავს გეშინოდეს პროლეტარული ავანგარდის იმ როლისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს, გაანათლოს, აღზარდოს, ახალ ცხოვრებაში ჩააბას მუშათა კლასისა და გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილი ფენები და მასები» (იხ. იქვე, გვ. 195).

აი როგორია საქმის ვითარება პროფმოძრაობის დარგში გადახტომის თეორიის მხრივ.

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ზინოვიევს ერჩია არ გამოსულიყო აქ მარტოვით ხელში. ერჩია ჩუმად ყოფილიყო გადახტომის თეორიის თაობაზე. ასე გაცილებით უკეთესი იქნებოდა მისთვის. ზინოვიევს არ ესაჭიროებოდა დაეფიცნა ტროცკის სახელი: ჩვენ ისედაც ვიცით, რომ იგი ლენინიზმს ჩამოშორდა და ტროცკიზმს მიემხრო.

აი როგორია, ამხანაგებო, საქმის ვითარება პროფკავშირთა ჩამორჩენილობაზე, პროფმოძრაობის ჩამორჩენილობაზე, საერთოდ მასობრივი მოძრაობის ჩამორჩენილობაზე გადახტომის ტროცკისტული თეორიის მხრივ.

ერთია ლენინიზმი და სულ სხვაა ტროცკიზმი.

ამრიგად, ჩვენ მივადექით საკითხს ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ. აქ ამბობდნენ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი არის ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების შეთანხმება, ბლოკი ინგლისის პროფკავშირებთან. ეს სრული სიმართლეა. ინგლის-რუსეთის კომიტეტი ინგლისის კავშირებთან ჩვენი კავშირების ბლოკის გამოხატულებაა, შეთანხმების გამოხატულებაა, და ეს ბლოკი პოლიტიკურ ხასიათს მოკლებული როდია.

ეს ბლოკი ორ ამოცანას ისახავს. პირველი ამოცანა ის არის, რომ დამყარდეს ჩვენი პროფკავშირების ურთიერთობა ინგლისის პროფკავშირებთან, მოეწყოს ერთიანობის მოძრაობა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, გაფართოვდეს ის ბზარი ამსტერდამსა და ინგლისის პროფმოძრაობას შორის, რომელიც არსებობს და რომელსაც ყოველნაირად გავაფართოებთ, დასასრულ, მომზადებულ იქნას ისეთი პირობები, რომლებიც აუცილებელია პროფკავშირებიდან რეფორმისტების თანდათანობით განსადევნად და კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირების გადმოსაყვანად კომუნიზმის მხარეზე.

ამ ბლოკის მეორე ამოცანაა მოეწყოს მუშათა კლასის ფართო მოძრაობა საერთოდ ახალი იმპერიალისტური

ომების წინააღმდეგ და კერძოდ (განსაკუთრებით) ევროპის ყველაზე ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ, ინგლისის მიერ ჩვენს ქვეყანაში ინტერვენციის მოხდენის წინააღმდეგ.

პირველ ამოცანაზე აქ საკმაოდ ვრცლად ილაპარაკეს. ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. მე მინდა აქ რამდენიმე სიტყვა ვთქვა მეორე ამოცანაზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება ჩვენს ქვეყანაში ინგლისელი იმპერიალისტების ინტერვენციას. ზოგიერთი ოპოზიციონერი ამბობს, რომ ჩვენი და ინგლისის პროფკავშირების ბლოკის ამ უკანასკნელ ამოცანაზე ლაპარაკი არ ღირს, რომ ეს ამოცანა მნიშვნელოვანი ამოცანა არ არის. იბადება კითხვა, რატომ? რატომ არ ღირს ლაპარაკი? განა ის ამოცანა, რომ დავიცვათ უშიშროება მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკისა, რომელიც ამასთანავე საერთაშორისო რევოლუციის ბურჯსა და ბაზას წარმოადგენს, — რევოლუციური ამოცანა არ არის? განა ჩვენი კავშირები პარტიისაგან დამოუკიდებელი არიან? განა ჩვენ ჩვენი პროფკავშირების დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგავართ: სახელმწიფო ერთია და კავშირები — სხვა? არა, ჩვენ ასეთ თვალსაზრისზე არ ვდგავართ და არც შეიძლება ვიდგეთ, როგორც ლენინელები. თვითეული მუშა, პროფკავშირებში გაერთიანებული თვითეული მუშა უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ინტერვენციისაგან დაიცვას მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკა. თუ ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებს ამ საქმეში მხარს უჭერენ ინგლისის პროფკავშირები, თუნდაც რეფორმისტული პროფკავშირები, განა ცხადი არ არის, რომ ამას უნდა მივესალმოთ?

მენშევიზმის თვალსაზრისზე დგება ის, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს კავშირებს არ შეუძლიათ სახელმწიფოებრივ ამოცანებს ისახავდნენ. ეს «სოციალისტიჩესკი ვესტნიკის» [**] თვალსაზრისია. ჩვენ ამ თვალსაზრისს ვერ დავად-

გებით. და თუ ინგლისის რეაქციული პროფკავშირები მზად არიან ბლოკი ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ კავშირებთან თავიანთი ქვეყნის კონტრრევოლუციური იმპერიალისტების წინააღმდეგ, — რატომ არ უნდა მივესალმოთ ამ ბლოკს? მე ხაზგასმით აღვნიშნავ საქმის ამ მხარეს იმისათვის, რომ ჩვენმა ოპოზიციამ, რომელიც ცდილობს ჩაშალოს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, — ბოლოს და ბოლოს შეიგნოს, რომ ის ინტერვენციონისტების წისქვილს უშვებს წყალს.

ამრიგად, ინგლის-რუსეთის კომიტეტი არის ჩვენი პროფკავშირების ბლოკი ინგლისის რეაქციულ პროფკავშირებთან, ჯერ-ერთი, დასავლეთის პროფმოძრაობასთან ჩვენი პროფკავშირების ურთიერთობის განმტკიცებისა და მისი გარევოლუციურების მიზნით და, მეორეც, საერთოდ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ და კერძოდ ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა საერთოდ, — ეს პრინციპული საკითხია, — შესაძლებელია თუ არა საერთოდ პოლიტიკური ბლოკები რეაქციულ პროფკავშირებთან? დასაშვებია თუ არა საერთოდ კომუნისტებისათვის ასეთი ბლოკები?

ეს საკითხი პირდაპირ წამოჭრილია ჩვენს წინაშე, და ის აქ უნდა გადავწყვიტოთ. ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი ბლოკები შეუძლებელია, — ეს ჩვენი ოპოზიციონერები არიან. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი კი ფიქრობს, რომ ასეთი ბლოკები დასაშვებია.

აქ ოპოზიციონერები ლენინის სახელს ახსენებდნენ. მივმართოთ ლენინს.

«კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, «წმინდა წყლის» პროლეტარიატს გარს რომ არ ეხვიოს უამრავი უაღრესად ჭრელი გარდამავალი ტიპები პროლეტარიდან ნახევრად-პროლეტარისაკენ (იმისაკენ, ვინც საარსებო საშუალებებს სანახევროდ შოულობს სამუშაო ძალის

გაყიდვით), ნახევრად-პროლეტარიდან წვრილი გლეხისაკენ (და წვრილი ხელოსნისა, შინამრეწველისა და საერთოდ წვრილი მეპატრონისაკენ), წვრილი გლეხიდან საშუალო გლეხისაკენ და ა. შ.; — თვით პროლეტარიატის შიგნით რომ არ იყოს დაყოფა მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ფენებად, დაყოფა თვისტომობის, პროფესიის, ზოგჯერ რელიგიის მიხედვით და სხვ. ყოველივე აქედან კი აბსოლუტური აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის ავანგარდისათვის, მისი შეგნებული ნაწილისათვის, კომუნისტური პარტიისათვის საჭიროა, აუცილებლად საჭიროა მიმართავდეს მანევრირებას, შემთანხმებლობას, კომპრომისებს პროლეტართა სხვადასხვა ჯგუფებთან, მუშათა და წვრილ მეპატრონეთა სხვადასხვა პარტიებთან. ოღონდ საქმე ის არის, რომ **შეგეძლოს** გამოიყენო ეს ტაქტიკა პროლეტარული შეგნებულობის, რევოლუციურობის, ბრძოლისა და გამარჯვების უნარის **საერთო** დონის **ასამაღლებლად** და არა დასაწევად» (იხ. ტ. XXV, გვ. 213).

და შემდეგ:

«ჰენდერსონები, კლაინსები, მაკდონალდები, სნოუდენები რომ გამოუსწორებელი რეაქციონერები არიან, ეს მართალია. ისიც მართალია, რომ მათ სურთ ხელში აიღონ ძალაუფლება (თუმცაღა, ბურჟუაზიასთან კოალიციას ამჯობინებენ), რომ მათ სურთ იმავე ძველისძველი ბურჟუაზიული წესებით «მართონ», რომ ისინი, როცა ხელისუფლების სათავეში იქნებიან, აუცილებლად ისევე მოიქცევიან, როგორც შეიდემანები და ნოსკეები. ყოველივე ეს ასეა. მაგრამ აქედან გამომდინარეობს სრულიადაც არა ის, რომ მათთვის მხარდაჭერა რევოლუციის ღალატია, არამედ ის, რომ რევოლუციის ინტერესებისათვის მუშათა კლასის რევოლუციონერებმა ამ ვაჟბატონებს ერთგვარი საპარლამენტო დახმარება უნდა გაუწიონ» (იხ. იქვე, გვ. 218 — 219).

ამრიგად, ლენინის მიხედვით გამოდის, რომ კომუნისტების პოლიტიკური შეთანხმებანი, პოლიტიკური ბლოკები მუშათა კლასის რეაქციულ ლიდერებთან სავსებით შესაძლო და დასაშვებია.

დაიხსომონ ეს ტროცკიმ და ზინოვიევმა.

მაგრამ მაინც რისთვის გვესაჭიროება ჩვენ ასეთი შეთანხმებანი?

იმისათვის, რომ მოვნახოთ გზა მუშათა მასებთან მისასვლელად, იმისათვის, რომ გავანათლოთ ეს მასები, შე-

ვაგნებინოთ მათი პოლიტიკური და პროფკავშირული ლიდერების რეაქციულობა, იმისათვის, რომ ჩამოვაშოროთ რეაქციულ ლიდერებს მუშათა კლასის გამემარცხენებისა და გარევოლუციონერების გზაზე დამდგარი ნაწილები, მაშასადამე, იმისათვის, რომ გავაძლიეროთ მთლიანად მუშათა კლასის ბრძოლისუნარიანობა.

ამიტომ ასეთი ბლოკები შეიძლება დაიდოს მხოლოდ ორი ძირითადი პირობით: თუ უზრუნველყოფილი იქნება რეფორმისტი ბელადების მიმართ ჩვენი კრიტიკის თავისუფლება და თუ უზრუნველყოფილი იქნება პირობები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მასები ჩამოვაშოროთ რეაქციულ ლიდერებს.

აი რას ამბობს ამის თაობაზე ლენინი:

«კომუნისტური პარტია ჰენდერსონებსა და სნოუდენებს სთავაზობს «კომპრომისს», საარჩევნო შეთანხმებას: ერთად გავილაშქროთ ლოიდ-ჯორჯისა და კონსერვატორების კავშირის წინააღმდეგ, პარლამენტში ადგილები გავიყოთ მუშების მიერ მუშათა პარტიისა ან კომუნისტებისათვის (არა არჩევნებში, არამედ განსაკუთრებული კენჭისყრით) მიცემული ხმების რიცხვის მიხედვით, შევინარჩუნოთ აგიტაციის, პროპაგანდის, პოლიტიკური მოღვაწეობის **ყველაზე სრული თავისუფლება**. ამ უკანასკნელი პირობის გარეშე, რასაკვირველია, ბლოკზე დათანხმება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ღალატი იქნება: ჰენდერსონებისა და სნოუდენების მხილების სრული თავისუფლება ინგლისელმა კომუნისტებმა ისევე აბსოლუტურად უნდა მოითხოვონ და დაიცვან, როგორც იცავდნენ მას **(თხუთმეტი წლის განმავლობაში,** 1903 — 1917) და დაიცვეს რუსეთის ბოლშევიკებმა რუსეთის ჰენდერსონებისა და სნოუდენების, ე. ი. მენშევიკების მიმართ» (იხ. ტ. XXV, გვ. 223).

და შემდეგ:

«წვრილბურჟუაზიული დემოკრატები (მათ შორის მენშევიკებიც) აუცილებლად მერყეობენ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და საბჭოთა წყობილებას შორის, რეფორმიზმსა და რევოლუციურობას შორის, მუშებისადმი სიყვარულსა და პროლეტარული დიქტატურის წინაშე შიშს შორის და ა. შ. კომუნისტების სწორი ტაქტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ **გამო-**

იყენონ ეს მერყეობა, და სრულებითაც არ უგულებელყონ იგი; გამოყენება მოითხოვს დათმობებს იმ ელემენტების მიმართ, მაშინ და იმდენად, რა ელემენტებიც, როცა და რამდენადაც პროლეტარიატისაკენ გადმოიხრებიან — იმათ წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, ვინც ბურჟუაზიისაკენ იხრება. იმის შედეგად, რომ სწორ ტაქტიკას ვიყენებდით, მენშევიზმი **ჩვენში უფრო და უფრო ირღვეოდა და ირღვევა, ხდება ჯიუტი ოპორტუნისტი ბელადების იზოლაცია და ჩვენს ბანაკში გადმოდიან საუკეთესო მუშები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საუკეთესო ელემენტები»** * (იხ. ტ. XXV, გვ. 213 — 214).

აი ბლოკის პირობები, რომელთა დაუცავად პროფკავშირთა რეაქციულ ბელადებთან რაიმე ბლოკი, რაიმე შეთანხმება დაუშვებელია.

ესეც დაიხსომოს ოპოზიციამ.

იბადება კითხვა, შეესაბამება თუ არა ჩვენი პროფკავშირების პოლიტიკა იმ პირობებს, რომლებზეც ამბ. ლენინი ლაპარაკობს?

მე ვფიქრობ, რომ სავსებით შეესაბამება. ჯერ-ერთი, ჩვენ მთლიანად შევინარჩუნეთ ინგლისის მუშათა კლასის რეფორმისტი ბელადების კრიტიკის სრული თავისუფლება და ისეთი სისრულით გამოვიყენეთ ეს თავისუფლება, როგორითაც მსოფლიოში არც ერთ კომპარტიას არ გამოუყენებია. მეორეც, ჩვენ საშუალება მოგვეცა მივსულიყავით ინგლისის მუშათა მასებთან და განვამტკიცეთ ჩვენი ურთიერთობა მათთან. მესამეც, ჩვენ წარმატებით ვაშორებთ და უკვე ჩამოვაშორეთ რეაქციულ ბელადებს ინგლისის მუშათა კლასის მთელი რაზმები. მხედველობაში მაქვს ქვანახშირის მთხრელების ჩამოშორება გენერალური საბჭოს ბელადებისაგან.

ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი აქ გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს ბერლინში რუს და ინგლისელ მაღაროელთა კონფერენციისა და მათი დეკლარაციის

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

საკითხს [68]. და ეს ხომ ამ ბოლო დროის უმნიშვნელოვანესი ფაქტია. ვინ არიან რიჩარდსონი, კუკი, სმიტი, რიჩარდსი? ოპორტუნისტები, რეფორმისტები. ზოგ მათგანს მემარცხენე ეწოდება, ზოგს — მემარჯვენე. დაე ასე იყოს! ისტორია გამოარკვევს, რომელი მათგანია უფრო მემარცხენე. ახლა ჩვენთვის ძალიან ძნელია ამის გარკვევა, ეს ბუნდოვანებით მოცული საქმეა. მაგრამ ერთი რამ ცხადია, — ეს მერყევი რეფორმისტი ლიდერები, რომლებსაც მილიონ ორახი ათასი გაფიცული მაღაროელი მიჰყვება, ჩვენ ჩამოვაშორეთ გენერალურ საბჭოს და ჩვენს კავშირებთან დავაკავშირეთ ისინი. განა ეს ფაქტი არ არის? რატომ დუმს ამაზე ოპოზიცია? ნუთუ მას არ ახარებს ჩვენი პოლიტიკის წარმატებები? და ის გარემოება, რომ სიტრინი ახლა წერს, რომ იგი და გენერალური საბჭო ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის თანახმა არიან, განა იმის შედეგი არ არის, რომ შვარცმა და აკულოვმა შესძლეს მიემხროთ კუკი და რიჩარდსონი, ხოლო გენერალური საბჭო, რომელსაც ქვანახშირის მთხრელებთან **აშკარა** ბრძოლისა შეეშინდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევაზე? ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ყველა ეს ფაქტი ჩვენი პოლიტიკის წარმატებებს მოწმობს, რომ ყოველივე ეს ოპოზიციის პოლიტიკის სრულ ჩაშლას მოწმობს?

ამრიგად, პროფკავშირთა რეაქციულ ლიდერებთან ბლოკები დასაშვებია. ეს ბლოკები აუცილებელია განსაზღვრულ პირობებში. კრიტიკის თავისუფლება პირველი პირობაა. ჩვენი პარტია ამ პირობას ასრულებს. მეორე პირობაა რეაქციული ლიდერებისაგან მუშათა მასების ჩამოშორება. ჩვენი პარტია ამ პირობასაც ასრულებს. ჩვენი პარტია მართალია. ოპოზიცია მართალი არ არის.

იბადება კითხვა, რაღა სურთ ჩვენგან ზინოვიევსა და ტროცკის?

მათ სურთ, რომ ჩვენმა საბჭოთა პროფკავშირებმა ან ურთიერთობა გაწყვიტონ ინგლის-რუსეთის კომიტეტთან, ან აქედან, მოსკოვიდან, დაამხონ გენერალური საბჭო. მაგრამ ეს ხომ სისულელეა, ამხანაგებო. ჩვენგან იმის მოთხოვნა, რომ მოსკოვიდან, ინგლისელი მუშების პროფკავშირებისათვის **გვერდის ავლით,** ინგლისის პროფკავშირული მასებისათვის **გვერდის ავლით,** ინგლისის პროფკავშირული კადრებისათვის **გვერდის ავლით,** მათზე გადახტომით, აქედან, მოსკოვიდან, დავამხოთ გენერალური საბჭო, — განა ეს სისულელე არ არის, ამხანაგებო?

ისინი მოითხოვენ კავშირის დემონსტრაციულად გაწყვეტას. მაგრამ განა ძნელი გასაგებია, რომ აქედან სირცხვილის მეტი არაფერი გამოვა? განა ძნელი გასაგებია, რომ ურთიერთობის გაწყვეტისას ჩვენ ვკარგავთ კავშირს ინგლისის პროფმოძრაობასთან, ხელში ვუგდებთ ინგლისის პროფკავშირებს ზასენბახებსა და უდეგესტებს, საფუძველს ვურყევთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, გულს ვუხარებთ ჩერჩილებსა და ტომასებს, ხოლო სამაგიეროდ სირცხვილის მეტს ვერაფერს ვიღებთ?

ტროცკი ეფექტიანი ჟესტების თავისი პოლიტიკის გამოსავალ პუნქტად იღებს არა კონკრეტულ ადამიანებს, არა კონკრეტულ და ცოცხალ მუშებს, რომლებიც ინგლისში ცხოვრობენ და იბრძვიან, არამედ რაღაც იდეალურ, უსხეულო, თავით-ფეხამდე რევოლუციურ ადამიანებს. მაგრამ განა ძნელია იმის გაგება, რომ მხოლოდ უგუნურ ადამიანებს შეუძლიათ პოლიტიკაში გამოსავალ პუნქტად აიღონ იდეალური, უსხეულო ადამიანები?

აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ეფექტიანი ჟესტების პოლიტიკა, მოსკოვიდან, მარტო მოსკოვის ძალებით, გენერალური საბჭოს დამხობის პოლიტიკა სასაცილო ავანტიურისტული პოლიტიკაა.

ჟესტების პოლიტიკა ტროცკის მთელი პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანია იმ დროიდან, რაც იგი ჩვენს პარტიაშია. ამ პოლიტიკის პირველი გამოყენება გვქონდა ბრესტის ზავის დროს, როცა ტროცკიმ ხელი არ მოაწერა გერმანია-რუსეთის საზავო შეთანხმებას და ეფექტიანი ჟესტი გააკეთა შეთანხმების წინააღმდეგ, — ალბათ, ეგონა, რომ ჟესტით შეიძლება ყველა ქვეყნის პროლეტართა ამხედრება იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ჟესტების პოლიტიკა იყო. თუ რა ძვირად დაგვიჯდა ჩვენ ეს ჟესტი, თქვენ, ამხანაგებო, კარგად იცით. ვისთვის იყო ხელსაყრელი ეს ეფექტიანი ჟესტი? იმპერიალისტებისათვის, მენშევიკებისათვის, ესერებისათვის და ყველა იმათთვის, ვინც ცდილობდა ჩაეხრჩო მაშინ ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საბჭოთა ხელისუფლება.

ახლა ეფექტიანი ჟესტების იმავე პოლიტიკას გვთავაზობენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიმართ. მოითხოვენ ურთიერთობის დემონსტრაციულ და ეფექტიან გაწყვეტას. მაგრამ ვისთვის იქნება სასარგებლო ეს ეფექტიანი ჟესტი? ჩერჩილისა და ჩემბერლენისათვის, ზასენბახისა და უდეგესტისათვის. მათ სურთ ეს. ისინი მოელიან ამას. მათ, ზასენბახებსა და უდეგესტებს, სურთ, რომ ჩვენ დემონსტრაციულად გავწყვიტოთ ურთიერთობა ინგლისის მუშათა მოძრაობასთან და ამით ამსტერდამს გავუადვილოთ საქმე. მათ, ჩერჩილებსა და ჩემბერლენებს, სურთ, რომ ჩვენ ურთიერთობა გავწყვიტოთ, რათა ამით გავუადვილოთ მათ ინტერვენცია, მივცეთ მათ მორალური არგუმენტი ინტერვენციონისტთა სასარგებლოდ.

აი ვის წისქვილს უშვებენ წყალს ჩვენი ოპოზიციონერები.

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია დავადგეთ ამ ავანტიურისტულ გზას.

მაგრამ რას იზამ, ასეთია «ულტრამემარცხენე» ფრაზიორების ბედი. ფრაზები კი მემარცხენე აქვთ, მაგრამ საქმით მუშათა კლასის მტრებისადმი დახმარება გამოუდით. მარცხნისაკენ წახვალ, — მარჯვნივ მიხვალ.

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ დავადგებით ამ ეფექტიანი ჟესტების პოლიტიკას, არ დავადგებით **დღეს** ისევე, როგორც არ დავადექით ბრესტის ზავის დროს. არ დავადგებით, იმიტომ რომ არ გვსურს, რომ ჩვენი პარტია ჩვენი მტრების სათამაშოდ იქცეს.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
ი. სტალინი. ოპოზიციის შესახებ.
სტატიები და სიტყვები 1921 — 1927 წწ.
მ. — ლ., 1928.

Ф. ДЗЕРЖИНСКИЙ

(Ф. ДЗЕРЖИНСКОГО ГАРДАЦВАЛЕБИС ГАМО)

ფრუნზეს შემდეგ — ძერჟინსკი.

ძველმა ლენინურმა გვარდიამ კიდევ ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი და მებრძოლი დაკარგა. პარტიამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

როცა ახლა, ახდილ კუბოსთან, იგონებ ამხ. ძერჟინსკის მიერ განვლილ მთელ გზას — საპყრობილეებს, კატორღას, გადასახლებას, კონტრრევოლუციასთან მებრძოლ საგანგებო კომისიას, დანგრეული ტრანსპორტის აღდგენას, ახალგაზრდა სოციალისტური მრეწველობის შენებას, — გინდა დაახასიათო ეს მჩქეფარე ცხოვრება ერთი სიტყვით: **წვა**.

ოქტომბრის რევოლუციამ იგი დააყენა მძიმე პოსტზე, — კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე. ბურჟუაზიას არავინ არ სძულდა ისე, როგორც ძერჟინსკი, რომელიც ფოლადის ხელით იგერიებდა პროლეტარული რევოლუციის მტრების დარტყმებს. «რისხვა ბურჟუაზიისათვის» — ასე უწოდებდნენ მაშინ ამხ. ფელიქს ძერჟინსკის.

მას შემდეგ, რაც «მშვიდობიანი პერიოდი» დადგა, ამხ. ძერჟინსკი განაგრძობს თავის მჩქეფარე მუშაობას. ამხ. ძერჟინსკი პირდაპირ იწვის მოშლილი ტრანსპორტის მოწყობაზე, ხოლო შემდეგ, როგორც სახალხო მეურნეო-

ბის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, იწვის ჩვენი მრეწველობის მშენებლობის სამუშაოზე. მან არ იცოდა, რა იყო დასვენება, არ ერიდებოდა არავითარ შავ სამუშაოს, მამაცურად ებრძოდა სიძნელეებს და სძლევდა მათ, მთელ თავის ძალღონეს, მთელ თავის ენერგიას ახმარდა იმ საქმეს, რომელიც მას პარტიამ მიანდო, — და იგი დაიფერფლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მუშაობაში.

მშვიდობით, ოქტომბრის გმირო! მშვიდობით, პარტიის ერთგულო შვილო!

მშვიდობით, ჩვენი პარტიის ერთიანობისა და ძლიერების მშენებელო!

ი. სტალინი

1926 წ. 22 ივლისი.

«პრავდა» № 166,
1926 წ. 22 ივლისი.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე

1926 წ. 7 აგვისტო

ამხანაგებო! ჯერ კიდევ მერფის გამოსვლამდე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც შეიცავს პროტესტს ინგლისში მომხდარი საერთო გაფიცვის საკითხზე პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ცნობილი დეკლარაციის [70] წინააღმდეგ. მე მგონია, რომ მერფი აქ ამ წერილის საბუთებს იმეორებს. მერფი აყენებს უმთავრესად ფორმალურ მოსაზრებებს, მათ შორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო საკითხები წინასწარი წესით არ იქნა განხილული ბრიტანეთის კომპარტიასთან ერთად. მე ვაღიარებ, რომ მერფის ამ უკანასკნელ მოსაზრებას საფუძველი მოეპოვება. კომინტერნს მართლაც უხდებოდა ზოგჯერ მიეღო გადაწყვეტილებანი ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან წინასწარ შეუთანხმებლად. მაგრამ აქ საპატიო გარემოებებია: ზოგიერთი საკითხის სასწრაფო ხასიათი, ბრიტანეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან საჩქაროდ დაკავშირების შეუძლებლობა და სხვ.

ხოლო მერფის დანარჩენი მოსაზრებანი და საბუთები, რომლებიც საკავშირო პროფსაბჭოსა და მის დეკლარაციას შეეხება, სრულიად არასწორად უნდა ჩაითვალოს.

არასწორია მტკიცება იმის შესახებ, რომ საკავშირო პროფსაბჭომ ფორმალური შეცდომა ჩაიდინა, დეკლარაცია რომ გამოუშვა, ვინაიდან ამით მან თითქოს პროფინტერნის ან კომინტერნის ფუნქცია იკისრა. საკავშირო პროფსაბჭოს უფლება აქვს თავისი დეკლარაცია გამოუშვას ისევე, როგორც თავისი დეკლარაციის გამოცემის ასეთი უფლება აქვს ყოველ პროფესიულ თუ სხვა გაერთიანებას. როგორ შეიძლება საკავშირო პროფსაბჭოს ამ ელემენტარული უფლების უარყოფა?

კიდევ უფრო არასწორია მტკიცება, რომ საკავშირო პროფსაბჭომ თავისი დეკლარაციით დაარღვია პროფინტერნის ან კომინტერნის უფლებები, რომ პროფინტერნი და კომინტერნი აქ წარმოადგენენ დაზარალებულ მხარეს, რომელსაც ზიანი მოუვიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაცია პროფინტერნისა და კომინტერნის დასტურითა და მოწონებით გამოიცა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არც პროფინტერნი და არც კომინტერნი არ ფიქრობენ ბრალი დასდონ საკავშირო პროფსაბჭოს მათი კუთვნილი უფლებების დარღვევაში. ამ შემთხვევაში საკავშირო პროფსაბჭოს წინააღმდეგ რომ გამოდის, მერფი, ამრიგად, არსებითად გამოდის კომინტერნის აღმასკომისა და პროფინტერნის წინააღმდეგ.

დასასრულ, სრულიად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს მერფის განცხადება იმის შესახებ, რომ საკავშირო პროფსაბჭოს გამოსვლა გენერალური საბჭოს წინააღმდეგ მიმართული კრიტიკით და საერთოდ საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაცია თითქოს ბრიტანეთის კომპარტიის საშინაო საქმეებში **«ჩარევას»** წარმოადგენს, რომ საკავშირო პროფსაბჭომ, როგორც «ნაციონალურმა ორგანიზაციამ», არ უნდა დაუშვას ასეთი «ჩარევა». მეტად სამწუხაროა, რომ მერფი აქ იმეორებს პიუსა და პერსელის მიერ ინგ-

ლის-რუსეთის კომიტეტის პარიზის თათბირზე მოყვანილ «საბუთებს». სწორედ ასეთი «საბუთებით» გამოდიოდნენ ამ დღეებში პიუ, პერსელი და სიტრინი საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის წინააღმდეგ. უკვე მარტო ეს მოწმობს იმას, რომ მერფი მართალი არ არის. არ შეიძლება ფორმალური მოტივებით დაივიწყო საქმის შინაარსი, საქმის არსი. კომუნისტი ასე ვერ მოიქცევა. ინგლისელ მაღაროელთა საქმე გაცილებით უკეთ წავიდოდა, ხოლო გენერალური საბჭოს არასწორი მოქმედება მხილებული იქნებოდა, გენერალური საბჭოს კრიტიკით საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად სხვა ქვეყნების, ვთქვათ, საფრანგეთის, გერმანიის და სხვ. პროფკავშირთა «ნაციონალური» გაერთიანებანი რომ გამოსულიყვნენ. საკავშირო პროფსაბჭოს შეცდომად კი არა, არამედ ინგლისელი მუშების წინაშე საკავშირო პროფსაბჭოს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან გამოაქვეყნა დეკლარაცია გენერალური საბჭოს კრიტიკით.

ეს არის ყველაფერი, რაც მინდოდა მეთქვა მერფის მოხსენებასთან დაკავშირებით, მხედველობაში მქონდა რა, უმთავრესად, საქმის ფორმალური მხარე.

მე შემეძლო მეტი არაფერი მეთქვა, რამდენადაც აქ საქმის ფორმალურ მხარეზეა ლაპარაკი. მაგრამ საქმე ის არის, რომ მერფი საქმის მარტო ფორმალურ მხარეს როდი სჯერდება. ფორმალური მხარე მას იმისათვის სჭირდება, რომ არაფორმალური ხასიათის ზოგიერთ არსებით შედეგს მიაღწიოს. მერფის ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქმის არსზე მიგვაღებინოს გარკვეული გადაწყვეტილებანი, ამისთვის კი ამოეფაროს ფორმალურ მოტივებს და გამოიყენოს ზოგიერთი ფორმალური მოუგვარებლობა კომინტერნის აღმასკომის პრაქტიკაში. ამიტომ მოგვიხდება რამდენიმე სიტყვით არსებითად შევეხოთ მერფის საბუთებს.

მაინც რას ცდილობს მერფი?

იგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, იმას ცდილობს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს შეაწყვეტინოს გენერალური საბჭოს **აშკარა** კრიტიკა, აიძულოს საკავშირო პროფსაბჭო გაჩუმდეს და «არ ჩაერიოს» «გენერალური საბჭოს საქმეებში».

შეუძლია თუ არა ამაზე დათანხმება საკავშირო პროფსაბჭოს, ან ჩვენს პარტიას, ან კომინტერნს?

არა, არ შეუძლია. ვინაიდან, რას ნიშნავს გააჩუმო საკავშირო პროფსაბჭო, როგორ იქნება გაგებული საკავშირო პროფსაბჭოს დუმილი იმ მომენტში, როცა გენერალური საბჭო გაფიცულ ინგლისელ მაღაროელთა იზოლაციას აწყობს და მათს დამარცხებას ამზადებს? ასეთ პირობებში დუმილი იმას ნიშნავს, რომ მიჩქმალო გენერალური საბჭოს ცოდვები, მიჩქმალო მისი გამცემლობა. ხოლო გენერალური საბჭოს გამცემლობის მიჩქმალვა იმ პირობებში, როცა გენერალურ საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ერთმანეთთან ბლოკი აქვთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის სახით, — ეს იმას ნიშნავს, რომ მდუმარედ მოიწონო ეს გამცემლობა, მაშასადამე — გენერალურ საბჭოსთან გაიზიარო მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის წინაშე პასუხისმგებლობა გენერალური საბჭოს გამცემლობისათვის. განა კიდევ მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ საკავშირო პროფსაბჭო პოლიტიკურ და მორალურ თვითშკვლელობას ჩაიდენდა, ამ გზას რომ დასდგომოდა, თუნდაც ერთ წუთს რომ აეღო ხელი გენერალური საბჭოს გამცემლობის აშკარა კრიტიკაზე?

თვითონ განსაჯეთ. მაისში გენერალურმა საბჭომ საერთო გაფიცვა შეწყვიტა, უღალატა საერთოდ ინგლისის მუშათა კლასს და განსაკუთრებით ინგლისელ მაღაროელებს. ივნისსა და ივლისში გენერალურ საბჭოს ხელი არ გაუნძრევია, რომ გაფიცულ მაღაროელებს დახმარებოდა.

უფრო მეტიც, გენერალური საბჭო ყველაფერს აკეთებდა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ მაღაროელთა დამარცხება მოემზადებინა და, ამრიგად, დაესაჯა ინგლისელ ქვანახშირის მთხრელთა «ურჩი» ფედერაცია. აგვისტოში გენერალური საბჭოს ლიდერები ინგლის-რუსეთის კომიტეტის პარიზის თათბირზე უარს ამბობენ განიხილონ საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლების წინადადება ინგლისელ მაღაროელთათვის დახმარების გაწევის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ თათბირის დღის წესრიგის წინააღმდეგ, რომელიც საკავშირო პროფსაბჭომ წამოაყენა, გენერალურ საბჭოს პროტესტი არ განუცხადებია. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ მთელ წყება გამცემლობას გახრწნილ დიპლომატიაში გახლართული გენერალური საბჭოს მხრივ. მერფი კი მოითხოვს, რომ საკავშირო პროფსაბჭომ თვალი აარიდოს მთელ ამ უმსგავსობას და ენა დაიდუმოს! არა, ამხანაგებო, საკავშირო პროფსაბჭო ამ გზას ვერ დაადგება, ვინაიდან არ სურს თვითმკვლელობა ჩაიდინოს.

მერფი ფიქრობს, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დეკლარაცია გენერალური საბჭოს წინააღმდეგ გამოეშვა პროფინტერნს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას, ხოლო საკავშირო პროფსაბჭო, როგორც «ნაციონალური» ორგანიზაცია, გამოსულიყო მოკლე რეზოლუციით, რომ უერთდება პროფინტერნის დეკლარაციას. მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით მერფის გეგმას ერთგვარი უწყებრივი არქიტექტურული მწყობრი სახე აქვს. ამ თვალსაზრისით მას ერთგვარი საფუძველი მოეპოვება. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მერფის გეგმა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მტკიცება არ უნდა, რომ მერფის გეგმა გენერალური საბჭოს მხილებისა და ინგლისის მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდის მხრივ იმ პოლიტიკური ეფექტის მეასედსაც ვერ

მოგვცემდა, რაც უეჭველად მოგვცა საკავშირო პროფსაბ-ჭოს დეკლარაციამ. საქმე ის არის, რომ პროფინტერნი უფრო ნაკლებად ცნობილია ინგლისის მუშათა კლასის რიგებში, ვიდრე საკავშირო პროფსაბჭო, პირველი უფრო ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე მეორე, და ამის გამო პირველის ხვედრითი წონა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეორის ხვედ-რითი წონა. მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ გენე-რალური საბჭოს კრიტიკით უნდა გამოსულიყო სწორედ საკავშირო პროფსაბჭო, როგორც ინგლისის მუშათა კლა-სის თვალში ყველაზე ავტორიტეტიანი ორგანო. სხვანაი-რად მოქცევა არც შეიძლებოდა, ვინაიდან გენერალური საბჭოს გამცემლობის მხილებისას საჭირო იყო მიზანში მოხვედრება. იმ ღრიანცელის მიხედვით თუ განვსჯით, რაც საკავშირო პროფსაბჭოს დეკლარაციასთან დაკავშირებით ინგლისის მუშათა მოძრაობის რეფორმისტ ლიდერებს შო-რის ატყდა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო პროფსაბჭომ მიზანში მოახვედრა.

მერფის აზრით, საკავშირო პროფსაბჭოს მხრივ გენე-რალური საბჭოს აშკარა კრიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს გენერალურ საბჭოსთან ბლოკის გაწყვეტა, ინგლის-რუსე-თის კომიტეტის ჩაშლა. მე ვფიქრობ, რომ მერფი მართა-ლი არ არის. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლა, **მაშინ როცა საკავშირო პროფსაბჭო უაღრესად აქტიურად ეხმა-რება ქვანახშირის მთხრელებს**, გამორიცხულად, ან თით-ქმის გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამით აიხსნება, რომ არავის ისე არ ეშინია ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისა, როგორც გენერალური საბჭოს უმ-რავლესობის წარმომადგენლებს, პერსელსა და ჰიქსს. რა თქმა უნდა, პერსელიც და ჰიქსიც შანტაჟს გაგვიწევენ კავ-შირის გაწყვეტის საფრთხით. მაგრამ უნდა შეგვეძლოს გავარჩიოთ შანტაჟი და კავშირის გაწყვეტის ნამდვილი საფრთხე.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი ჩვენთვის თვითმიზანი როდია. ჩვენ შევედით და დავრჩებით ინგლის-რუსეთის კომიტეტში არა უპირობოდ, არამედ გარკვეული პირობებით, რომლებსაც უნდა მიეკუთვნოს საკავშირო პროფსაბჭოს მხრივ გენერალური საბჭოს თავისუფალი კრიტიკის უფლება, ისევე როგორც გენერალური საბჭოს მხრივ საკავშირო პროფსაბჭოს თავისუფალი კრიტიკის უფლება. ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ კრიტიკის თავისუფლებაზე რესპექტაბელობისათვის და ბლოკის მაინცდამაინც შენარჩუნებისათვის.

რა არის ბლოკის არსებობის აზრი? ის, რომ მოაწყოს ბლოკის წევრთა ერთობლივი მოქმედება კაპიტალის წინააღმდეგ, მუშათა კლასის სასარგებლოდ, ბლოკის წევრთა ერთობლივი მოქმედება იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ხალხთა შორის მშვიდობისათვის. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ბლოკის ერთ-ერთი წევრი ან ერთ-ერთი მხარის ზოგიერთი ლიდერი არღვევს მუშათა კლასის ინტერესებს, ღალატობს მათ და ამით შეუძლებელს ხდის ერთობლივ მოქმედებას? ნუთუ უნდა შევაჩოთ ისინი ასეთი შეცდომებისათვის? მაშასადამე, საჭიროა ერთმანეთის კრიტიკა, შეცდომების ლიკვიდაცია კრიტიკის გზით, რათა აღვადგინოთ მუშათა კლასის სასარგებლოდ ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობა. ამიტომ ინგლის-რუსეთის კომიტეტს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კრიტიკის თავისუფლების გარანტია.

ამბობენ, კრიტიკამ შეიძლება პროფკავშირთა ზოგიერთი რეაქციული ბელადის დისკრედიტაცია გამოიწვიოსო. მერე რა? მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მუშათა კლასი მხოლოდ მოიგებს, თუ ძველ ლიდერებს, რომლებიც მის ინტერესებს ღალატობენ, სახელი გაუტყდებათ და შეცვლილი იქნებიან ახალი, მუშათა კლასის საქმის ერთ-

გული ლიდერებით. და რაც უფრო მალე მოხსნიან პოსტებიდან ასეთ რეაქციულ და არასაიმედო ლიდერებს და ახალი, უკეთესი, ძველ ლიდერთა რეაქციული ჩვევებისაგან თავისუფალი ლიდერებით შეცვლიან მათ, — მით უკეთესი.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს შეიძლებოდეს ერთი დარტყმით გატეხო რეაქციულ ლიდერთა ძლიერება და მოკლე ხანში მოახდინო მათი იზოლაცია, შეცვალო ისინი ახალი, რევოლუციური ბელადებით.

ზოგიერთ ცრუმარქსისტს ჰგონია, რომ საკმარისია ერთი «რევოლუციური» ჟესტი, საკმარისია ერთი მყვირალა გამოსვლა, რეაქციულ ლიდერთა ძალა რომ გატეხო. ნამდვილ მარქსისტებს ასეთ ადამიანებთან საერთო არა აქვთ რა და არც შეიძლება ჰქონდეთ.

სხვებს ჰგონიათ, რომ საკმარისია კომუნისტებმა სწორი ხაზი შეიმუშაონ, და მუშათა ფართო მასები მყისვე შეაქცევენ ზურგს რეაქციონერ-რეფორმისტებს და მყისვე მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო. ეს სრულებით არ არის სწორი. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ არამარქსისტებს. სინამდვილეში პარტიის სწორ ხაზსა და იმას შორის, რომ მასებმა ეს ხაზი შეითვისონ და მიიღონ, როგორც სწორი, — დიდი მანძილია. პარტიამ მილიონიანი მასები რომ გაიყოლიოს, ამისათვის მარტო სწორი ხაზი კიდევ არ კმარა, — ამისათვის კიდევ საჭიროა, რომ მასები თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ ხაზის სისწორეში, რომ მასებმა პარტიის პოლიტიკა და მისი ლოზუნგები მიიღონ, როგორც თავიანთი პოლიტიკა და თავიანთი საკუთარი ლოზუნგები, და შეუდგნენ მათს განხორციელებას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება, რომ სწორი პოლიტიკის მქონე პარტია გადაიქცეს კლასის ნამდვილად ხელმძღვანელ ძალად.

სწორი იყო თუ არა ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკა ინგლისში მომხდარი საერთო გაფიცვის დროს? დიახ, სწორი იყო. მაშ რატომ ვერ მოახერხა მან გაეყოლიებინა მილიონობით გაფიცული მუშები? იმიტომ, რომ ეს მასები ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდნენ კომპარტიის პოლიტიკის სისწორეში. ხოლო პარტიული პოლიტიკის სისწორეში მასების დარწმუნება მოკლე ხანში შეუძლებელია. მით უმეტეს შეუძლებელია ეს «რევოლუციური» ჟესტების საშუალებით. ამისათვის საჭიროა დრო და დაუცხრომელი, ენერგიული მუშაობა რეაქციული ბელადების მხილებისათვის, მუშათა კლასის ჩამორჩენილი მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის, მოწინავე პოსტებზე მუშათა კლასის ახალი კადრების დაწინაურებისათვის.

აქედან ძნელი გასაგები არ არის, რატომ არ შეიძლება თვალის დახამხამებაში მოსპო მუშათა კლასის რეაქციული ბელადების ძლიერება, რატომ არის ამისათვის საჭირო დრო და დაუცხრომელი მუშაობა მუშათა კლასის მილიონიანი მასების გასანათლებლად.

მაგრამ აქედან, მით უმეტეს, არ გამომდინარეობს, რომ რეაქციული ბელადების მხილების საქმე ათეულწლობით უნდა გავაჭიანუროთ, რომ მხილება თითქოს შეიძლება მოხდეს თავისთავად, თვითდინებით, ისე, რომ რეაქციულ ბელადებს სრულიად არაფერი აწყენინო და რესპექტაბელობის «წმიდათა-წმიდა წესები» არ დაარღვიო. არა, ამხანაგებო, «თავისთავად» არასოდეს არაფერი არ მოდის. რეაქციული ბელადები უნდა ამხილოთ და მასები პოლიტიკურად უნდა გაანათლოთ თვითონ თქვენ, კომუნისტებმა, და სხვა მემარცხენე პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მასებში დაუცხრომელი მუშაობით მათი პოლიტიკური განათლებისათვის. მხოლოდ ამნაირად იქნება შესაძლებელი დაჩქარდეს მუშათა ფართო მასების გარევოლუციურების საქმე.

დასასრულ, კიდევ ერთი შენიშვნა მერფის მოხსენების გამო. მერფი დაჟინებით აღნიშნავდა მუშათა მოძრაობის სპეციფიკურ თავისებურებებს ინგლისში, ტრადიციების როლსა და მნიშვნელობას ინგლისში, და, მე მგონია, გადაკვრით შეიგვითითებდა, რომ ხელმძღვანელობის ჩვეულებრივი მარქსისტული მეთოდები ამ სპეციფიკურ თავისებურებათა გამო ინგლისში შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდესო. მე მგონია, მერფი მოლიპულ გზაზე დგება. რა თქმა უნდა, ინგლისის მუშათა მოძრაობის სპეციფიკური თავისებურებანი არსებობენ და ისინი უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. მაგრამ ეს თავისებურებანი პრინციპად რომ აქციო და მუშაობას საფუძვლად დაუდო — ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ადამიანთა თვალსაზრისს დაადგე, რომლებიც აცხადებენ, ინგლისის პირობებისათვის მარქსიზმის გამოყენება არ შეიძლებაო. მე არ ვფიქრობ, რომ მერფის ასეთ ადამიანებთან საერთო ჰქონდეს რამე. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ იგი იმ ზღვარის ახლოს დგას, რომლის იქითაც იწყება ინგლისის თავისებურებების პრინციპად გადაქცევა.

ორი სიტყვა ჰუმბოლდტის სიტყვის შესახებ. ჰუმბოლდტი თავის პასუხში ამბობს, კრიტიკა შიშველი, უსაგნო არ უნდა იყოსო. ეს სწორია. მაგრამ რა შუაში არიან აქ საკავშირო პროფსაბჭო და კომინტერნის აღმასკომი, რომელთა კრიტიკა სავსებით კონკრეტულია. განა შიშველი იყო «შავი პარასკევის» [71] გმირების კრიტიკა? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან ამ კრიტიკას ახლა იმეორებს ყველა, ვისაც კი არ ეზარება, მას შემდეგ, რაც «შავი პარასკევი» უკვე ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, საერთო გაფიცვის დროს და მას შემდეგ, რაც გრძელდება ქვანახშირის მთხრელთა გაფიცვა, გენერალური საბჭოს ლიდერთა გამცემლობის კრიტიკას რატომ უნდა ეწოდოს შიშველი? სად არის აქ ლოგიკა? განა საერთო გაფიცვის

დროს გამცემლობა ნაკლებად დამღუპველია, ვიდრე გამცემლობა «შავი პარასკევის» პერიოდში?

მე წინააღმდეგი ვარ ჰუმბოლდტის მიერ წამოყენებული ინდივიდუალური კრიტიკის მეთოდისა, თუ ეს მეთოდი წამოყენებულია როგორც ძირითადი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი კრიტიკა რეაქციული ბელადების მიმართ უნდა იყოს კრიტიკა ხელმძღვანელობის საერთო ხაზის თვალსაზრისით და არა ამ ბელადების ინდივიდუალურ თავისებურებათა თვალსაზრისით. მე იმის წინააღმდეგი არა ვარ, რომ ინდივიდუალური კრიტიკა გამოყენებულ იქნას, როგორც დამატებითი, როგორც დამხმარე საშუალება. მაგრამ მე იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენს კრიტიკას საფუძვლად ედოს პრინციპული ხაზი. წინააღმდეგ შემთხვევაში პრინციპული კრიტიკის ნაცვლად შეიძლება გამოვიდეს ჩხირკედელაობა და პირადი კინკლაობა, რამაც არ შეიძლება დაბლა არ დასწიოს ჩვენი კრიტიკის დონე საქმის ინტერესების საზიანოდ.

იბეჭდება პირველად.

ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «დეილი უორკერის»[72] რედაქციას

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი ცნობა.

14 აგვისტოს ნიუ-იორკის კვაზისოციალისტურ ყოველკვირეულ გაზეთ «ნიუ ლიდერში»[73] მოთავსებული იყო რაიმე წყაროს უჩვენებლად ყალბი დასკვნითი შენიშვნები ვითომც ჩემი, აგრეთვე გაყალბებული, სიტყვიდან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

მე არც შესაძლებლობა მაქვს და არც ხალისი — წავიკითხო ბურჟუაზიული და ნახევრად-ბურჟუაზიული გაზეთების ყველა მონაჭორი საბჭოთა მოღვაწეებზე და ყურადღებას არ მივაქცევდი კაპიტალისტებისა და მათი დამქაშების პრესის ამ მორიგ სიცრუეს.

მაგრამ ამ ყალბი შენიშვნების დაბეჭდვის ერთი თვის შემდეგ «ნიუ ლიდერმა» გამომიგზავნა დეპეშა, რომელშიც მთხოვს: «დაადასტურეთ ზინოვიევის მიმართ ივლისის მთელი მკაცრი კრიტიკა, რომელსაც თქვენ მოგაწერენ ამერიკული გაზეთების ანგარიშებში რკპ ცენტრალური კომიტეტის სხდომების შესახებ».

რადგან შესაძლებლად არ მიმაჩნია მიწერ-მოწერა გავმართო პრესის იმ ორგანოსთან, რომელმაც თვითონვე თაღლითურად შეადგინა «შენიშვნები» ჩემი სიტყვიდან და ახლა კი ბედავს უმანკო სახე მიიღოს და «შენიშვნების» სინამდვილის თაობაზე შემეკითხოს, გთხოვთ ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ «ნიუ ლიდერში» 1926 წლის 14 აგვისტოს მოთავსებულ ანგარიშს «სტალინის შენიშვნების» შესახებ აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო ჩემს სიტყვასთან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არც შინაარსით, არც ფორმით, არც კილოთი, რომ ეს ანგარიში, ამრიგად, თავიდან ბოლომდე უმეცრულ სიყალბეს წარმოადგენს.

კომუნისტური სალამით

ი. სტალინი

21. IX. 26.

«დეილი უორკერ» (ჩიკაგო, ამერიკის შეერთ. შტატები)
№ 220, 1926 წ. 30 სექტემბერი.
რუსულ ენაზე იბეჭდება პირველად.

წერილი სლეპკოვს

წავიკითხე დღეს თქვენი სტატია «პრავდაში» (№ 232, 1926 წ. 8 ოქტომბერი). სტატია, ჩემი აზრით, კარგია. მაგრამ იქ არის ერთი არასწორი ადგილი, რომელიც სურათს აფუჭებს.

თქვენ სწერთ, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინათ ტროცკი «ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატს არავითარი ეჭვი არ უნდა ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ ჩვენს, ტექნიკურად ჩამორჩენილ, ქვეყანაში ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შინაგანი ძალებით უზრუნველვყოთ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების **ძლევამოსილი შეტევა** ნეპის რელსებზე დაყრდნობით». შემდეგ, თქვენ ამ დებულებას უპირდაპირებთ სმილგას თეზისს იმის შესახებ, რომ «ჩვენს, ტექნიკურად ჩამორჩენილ, ქვეყანაში სოციალიზმის **აშენება** შეუძლებელია», და ამტკიცებთ, რომ სმილგასა და ტროცკის შორის ამ საკითხში წინააღმდეგობა არსებობს.

ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, ვინაიდან აქ წინააღმდეგობა არ არსებობს.

ჯერ-ერთი, ტროცკის ჯერ კიდევ არასოდეს არ უთქვამს, არც ბროშურაში «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?», არც შემდგომ ნაწერებში, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენს, ტექნიკურად ჩამორჩენილ, ქვეყანაში **ავა-**

შენოთ სოციალიზმი. სოციალიზმის **შენება** და სოციალიზმის **აშენება** სხვადასხვა რამეა. არც ზინოვიევი და არც კამენევი არ უარყოფენ, და არც უარყოფდნენ როდისმე, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ სოციალიზმის **შენება** ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტის უარყოფა იდიოტობა იქნებოდა. მაგრამ ისინი გადაჭრით უარყოფენ თეზისს იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია **ავაშენოთ** სოციალიზმი. ზინოვიევს, კამენევს, ტროცკის, სმილგას და სხვებს ამ საკითხში აერთიანებს მათი უარყოფითი დამოკიდებულება ლენინის თეზისისადმი იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია **ავაშენოთ** სოციალიზმი, რომ ჩვენ გვაქვს «ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების **აშენებისათვის**»[74]. მათ აერთიანებს ის, რომ ისინი «სრული სოციალისტური საზოგადოების **აშენებას**» შესაძლებლად თვლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებს ევროპის ძირითად ქვეყნებში. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის **აშენების** საკითხში სმილგასადმი ტროცკის დაპირდაპირება სრულიად არასწორია.

მეორეც. სიზუსტეს თუ დავიცავთ, უნდა ვთქვათ, რომ ტროცკის არასოდეს არ უთქვამს, რომ «ჩვენს, ტექნიკურად ჩამორჩენილ, ქვეყანაში... ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შინაგანი ძალებით უზრუნველვყოთ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების **ძლევამოსილი შეტევა** ნეპის რელსებზე დაყრდნობით». ტროცკის ფრაზა «მზარდი სოციალიზმის ისტორიული მუსიკის» შესახებ მხოლოდ ის არის, რომ იგი ფუჭი დიპლომატიური ფრაზით არიდებს თავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის **ძლევამოსილი** მშენებლობის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ტროცკი აქ თავს არიდებს საკითხს, თქვენ კი ეს ფუჭი ფრაზა ნაღდად მიგიჩნევიათ. ტროცკის სხვა ფრაზა

იმის შესახებ, რომ «არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება გვეშინოდეს რაიმე მოულოდნელობისა, რამდენადაც საქმე ჩვენი მეურნეობის შინაგან ფაქტორებს ეხება», — საკითხის გადაწყვეტა კი არ არის, არამედ მისი ლაჩრული მიფუჩეჩებაა. ტროცკის შეუძლია თქვას, რომ ჩვენ სოციალიზმისაკენ **მივდივართ**. მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს და არც იტყვის, თუ თავის ახლანდელ პოზიციაზე დარჩება, რომ ჩვენ **«შეგვიძლია** ჩვენი შინაგანი ძალებით უზრუნველვყოთ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ძლევამოსილი შეტევა ნეპის რელსებზე დაყრდნობით», რომ ჩვენ, ამრიგად, **შეგვიძლია** სოციალიზმამდე **მივიდეთ** ევროპის მოწინავე ქვეყნებში სოციალიზმის წინასწარ გაუმარჯვებლად. მაგრამ სამაგიეროდ ტროცკის არა ერთხელ უთქვამს იმის საწინააღმდეგო, რასაც თქვენ მას მიაწერთ. გაიხსენეთ თუნდაც ტროცკის სიტყვა ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე (1926 წ.), სადაც ტროცკი უარყოფდა ჩვენს ქვეყანაში ისეთი სამეურნეო შეტევის შესაძლებლობას, როგორიც აუცილებელია სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის.

გამოდის, რომ თქვენ უნებლიეთ შეაფერადეთ ტროცკი, ასე ვთქვათ, — ცილი დასწამეთ მ.ს.

ი. სტალინი

1926 წ. 8 ოქტომბერი.

იბეჭდება პირველად.

შინაპარტიული ბრძოლის შენელების ღონისძიებათა შეხახებ

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე

1926 წ. 11 ოქტომბერი

თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვრილმანებს, შეგვიძლია პირდაპირ გადავიდეთ საქმეზე.

რაზეა დავა? იმ შინაპარტიული ბრძოლის შედეგზე, რომელშიც ოპოზიცია დამარცხდა. ბრძოლა ჩვენ, ცენტრალურ კომიტეტს კი არ დაგვიწყია, არამედ ოპოზიციამ დაიწყო. ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე ურჩია ოპოზიციას არ დაეწყო დისკუსია, ცენტრალურმა კომიტეტმა აპრილის პლენუმზე, ივლისის პლენუმზე ურჩია მას არ დაეწყო საკავშირო მასშტაბის დისკუსია, იმიტომ რომ ასეთი დისკუსია მოასწავებს ბრძოლის გამწვავებას, განხეთქილების საფრთხეს და პარტიისა და მთავრობის ორგანოების დადებითი მუშაობის შესუსტებას ორი თვით მაინც.

ერთი სიტყვით, საქმე იმას ეხება, რომ შევაჯამოთ ოპოზიციის მიერ დაწყებული ბრძოლის შედეგი და გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები.

ეჭვს გარეშეა, რომ ოპოზიცია სასტიკად დამარცხდა. ისიც ცხადია, რომ პარტიის რიგებში იზრდება აღშფოთება ოპოზიციის წინააღმდეგ. ახლა საკითხი ის არის, შეგვიძლია თუ არა შევინარჩუნოთ ოპოზიციის ლიდერები,

როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრები? ეს არის ახლა მთავარი საკითხი. ძნელია დავეთანხმოთ იმას, რომ ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ შლიაპნიკოვსა და მედვედევს, ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში იმყოფებოდნენ. ძნელია დავეთანხმოთ იმას, რომ ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ყოველნაირი რუთ ფიშერებისა და ურბანსების ბრძოლას კომინტერნის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში რჩებოდნენ.

გვსურს თუ არა შევინარჩუნოთ ოპოზიციის ლიდერები ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში? მე ვფიქრობ, გვსურს. მაგრამ ისინი რომ შევინარჩუნოთ, მათ უნდა დაშალონ თავიანთი ფრაქცია, აღიარონ თავიანთი შეცდომები და გაემიჯნონ გათავხედებულ ოპორტუნისტებს ჩვენს პარტიაში და მის გარეთ. ოპოზიცია ამ პირობებზე უნდა დათანხმდეს, თუ პარტიაში მშვიდობა სურს.

როგორია ჩვენი პირობები?

პირველი პუნქტი — აშკარად განაცხადონ, რომ უთუოდ ემორჩილებიან პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს. ეტყობა, ოპოზიციას ამ პუნქტის საწინააღმდეგო მაინცდამაინც არაფერი აქვს. ძველად ჩვენ, ბოლშევიკებმა, ასე ვიცოდით: თუ პარტიის ერთი ნაწილი უმცირესობაში დარჩა, იგი არა მარტო ემორჩილება უმრავლესობის გადაწყვეტილებებს, არა მარტო ახორციელებს მათ, არამედ აშკარადაც გამოდის მოხსენებებით პარტიის გადაწყვეტილებათა დასაცავად. ჩვენ ამჟამად ამას არ მოვითხოვთ თქვენგან, ჩვენ არ მოვითხოვთ თქვენგან მოხსენებებს იმ პოზიციის დასაცავად, რომელსაც თქვენ პრინციპულად არ იზიარებთ. არ მოვითხოვთ, რადგან გვსურს გაგიადვილოთ ძნელი მდგომარეობა.

მეორე პუნქტი — აშკარად აღიარონ, რომ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა მცდარი და პარტიისათვის მავნე

იყო. განა ეს მართალი არ არის? მაშ რატომ იღებენ ოპოზიციონერები ხელს ფრაქციულ მუშაობაზე, თუ იგი მავნე არ არის? მათ წინადადება შემოაქვთ დაშალონ ფრაქცია, ხელს იღებენ ფრაქციულ მუშაობაზე, გვპირდებიან მოუწოდონ თავიანთ თანამოაზრეებს, თავიანთ მომხრეებს, თავიანთი ფრაქციების წევრებს, იარაღი დაყარონ. რატომ? აშკარაა, იმიტომ, რომ მდუმარედ აღიარებენ ფრაქციული მუშაობის მცდარობასა და შეუწყნარებლობას. რატომ არ უნდა თქვან ეს აშკარად? აი რატომ მოვითხოვთ ჩვენ, რომ ოპოზიციამ აშკარად აღიაროს უკანასკნელ პერიოდში თავისი ფრაქციული მუშაობის შეუწყნარებლობა, მცდარობა.

მესამე პუნქტი — იმის შესახებ, რომ გაემიჯნონ ოსოვსკებს, მედვედევებს და სხვ. ეს მოთხოვნა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად აუცილებელია. პირადად მე ვერ წარმომიდგენია ახლა ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებსაც ბლოკი ჰქონდეთ ოსოვსკისთან, რომლის გარიცხვის წინააღმდეგაც ხმა მისცა ოპოზიციამ, ან მედვედევთან, ან შლიაპნიკოვთან. ჩვენ გვსურს, რომ ოპოზიცია გაემიჯნოს მათ. ეს მხოლოდ გააადვილებს ჩვენს პარტიაში მშვიდობის საქმეს.

მეოთხე პუნქტი — გაემიჯნონ კორშს, მასლოვს, რუთ ფიშერს, ურბანსს, ვებერსა და სხვებს. რატომ? ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ხულიგნურ აგიტაციას ეწევიან კომინტერნისა და საკავშირო კ. პ. (ბ) წინააღმდეგ, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მეორეც, იმიტომ, რომ ამ ეგრეთწოდებული «ულტრამემარცხენე» ფრაქციის, ნამდვილად კი ოპორტუნისტული ფრაქციის ლიდერები, მასლოვი და რუთ ფიშერი, გარიცხული არიან პარტიიდან და კომინტერნიდან. მესამეც, იმიტომ, რომ ისინი ყველანი ებღაუჭებიან ოპოზიციას საკავშირო კ. პ. (ბ) შიგნით და სოლიდარობას უცხადებენ მას. რაც

უფრო მალე გაემიჯნება ოპოზიცია ამ ნაგავს, მით უკეთესი იქნება ოპოზიციისთვისაც და კომინტერნისთვისაც.

უკანასკნელი პუნქტი — მხარი არ დაუჭირონ იმ ფრაქციულ ბრძოლას კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ეწევიან სხვადასხვა ოპორტუნისტული ჯგუფები კომინტერნის სექციებში.

ასეთია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირობები.

ახლა იმ პირობების შესახებ, რომლებსაც ოპოზიცია აყენებს.

ოპოზიცია ცენტრალური კომიტეტისაგან მოითხოვს ოთხი პუნქტის შესრულებას.

პირველი პუნქტი. «XIV ყრილობის დადგენილებათა და პარტიის შემდგომ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნდა წარმოებდეს დადებითი ფორმით, ისე, რომ სხვანაირად მოაზროვნეთ ბრალი არ დასდონ მენშევიზმში და სხვ.». როგორ უნდა გავიგოთ ეს პუნქტი? თუ ოპოზიცია წინადადებას იძლევა — ისე შევკვეცოთ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდა ოპოზიციის წინააღმდეგ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უარი თქვას თავისი პრინციპული ხაზის გამოვლინებაზე ოპოზიციის შეცდომების წინააღმდეგ, ვთქვათ, საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალ XV კონფერენციაზე, ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით. მაგრამ თუ საქმე ეხება კრიტიკის ტონს, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლება ასე თუ ისე შევარბილოთ ტონი. რაც შეეხება თვით ოპოზიციის პრინციპული შეცდომების კრიტიკას, იგი უთუოდ კვლავაც ძალაში უნდა დარჩეს, ვინაიდან ოპოზიციას არ სურს ხელი აიღოს თავის პრინციპულ შეცდომებზე.

მეორე პუნქტი — თავის პარტიულ უჯრედში თავის შეხედულებათა დაცვის უფლების შესახებ. ეს მოთხოვნა ზედმეტია, რადგან ეს უფლება პარტიის წევრებს მუდამ

ჰქონდათ და ახლაც აქვთ. შეიძლება და საჭიროც არის დაიცვა თავისი შეხედულებანი უჯრედში, მაგრამ უნდა დაიცვა ისე, რომ საქმიანი კრიტიკა საკავშირო დისკუსიად არ გადააქციო.

მესამე პუნქტი — იმის შესახებ, რომ გადაისინჯოს პარტიიდან გარიცხულთა საქმეები. ცენტრალურ კომიტეტს სურვილი როდი აქვს გარიცხოს ადამიანები პარტიიდან. გარიცხვა იმიტომ ხდება, რომ სხვა გამოსავალი არ არის. აიღეთ სმირნოვი, იგი გარიცხეს, იგი რამდენჯერმე გააფრთხილეს, შემდეგ გარიცხეს. მას რომ ეთქვა, რომ აღიარებს თავის შეცდომებს, მას რომ ლოიალურად დაეჭირა თავი, შეიძლებოდა ცენტრალური საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებათა შერბილება. მაგრამ იგი არა თუ ლოიალური არ არის, არა თუ არ აღიარებს თავის შეცდომებს, არამედ, პირიქით, თავის განცხადებაში ლაფში სვრის პარტიას. ცხადია, რაკი სმირნოვი ასე იქცევა, მისი საქმის გადასინჯვა არ შეიძლება.

საერთოდ პარტიას არ შეუძლია გადასინჯოს გადაწყვეტილებანი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც გაირიცხნენ, მაგრამ რომლებიც თავიანთ შეცდომებს არ აღიარებენ.

მეოთხე პუნქტი — იმის შესახებ, რომ «ყრილობის წინ ოპოზიციას შესაძლებლობა უნდა მიეცეს პარტიის წინაშე გამოთქვას თავისი შეხედულებანი». ოპოზიციის ეს უფლება თავისთავად იგულისხმება. ოპოზიციამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ წესდების მიხედვით პარტიის ყრილობის წინ ცენტრალურმა კომიტეტმა სადისკუსიო ფურცელი უნდა გამოსცეს. ამიტომ ოპოზიციის მოთხოვნას ამ ნაწილში არ შეიძლება მოთხოვნა ეწოდოს, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტი არ უარყოფს პარტიის ყრილობის წინ სადისკუსიო ფურცლის გამოცემის საჭიროებას.

იბეჭდება პირველად.

ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)

თეზისები საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის, მიღებული კონფერენციის მიერ და დამტკიცებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ [75]

ახლანდელი პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და ჩვენს ქვეყანას შორის და, მეორე მხრივ, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ ელემენტებსა და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის ბრძოლის გართულება.

თუ მსოფლიო კაპიტალის ცდები, მიმართულნი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური გარემოცვისაკენ, მისი პოლიტიკური იზოლაციისაკენ, შენიღბული ბლოკადისაკენ და, დასასრულ, დასავლეთის მებრძოლი მუშებისა და აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხებისადმი სსრ კავშირის მუშების დახმარებისათვის პირდაპირი შურისძიებისაკენ, ქმნიან საგარეო ხასიათის სიძნელეებს, ჩვენი ქვეყნის გადასვლა აღდგენის პერიოდიდან ახალი ტექნიკის გამოყენებით მრეწველობის გარდაქმნის პერიოდზე და ამასთან დაკავშირებით ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის გართულებული ბრძოლა — ქმნის შინაგანი ხასიათის სიძნელეებს.

პარტია ხედავს ამ სიძნელეებს და შესაძლებლობა აქვს დასძლიოს ისინი. პარტია, პროლეტარიატის მილიონიანი მასების მხარდაჭერით, უკვე სძლევს ამ სიძნელეებს და მტკიცედ მიჰყავს ქვეყანა სოციალიზმის გზით. მაგრამ ჩვენი პარტიის ყველა რაზმს როდი სჯერა შემდგომი წინსვლითი მოძრაობის შესაძლებლობა. ჩვენი პარტიის ზოგიერთი ნაწილი, მართალია, მცირერიცხოვანი, სიძნელეებს შეუშინდა, დაღლილობასა და მერყეობას გრძნობს, სასოწარკვეთილებაში ვარდება და დაცემულობის განწყობილებებს ნერგავს, შეპყრობილია პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებისადმი ურწმენობით და კაპიტულანტობის იდეოლოგიამდე მიდის.

ამ აზრით ახლანდელი გარდატეხის პერიოდი რამდენადმე მოგვაგონებს 1917 წლის ოქტომბრის გარდატეხის პერიოდს. როგორც მაშინ, 1917 წლის ოქტომბერში, რთულმა ვითარებამ და ბურჟუაზიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის სიძნელეებმა წარმოშვეს პარტიის ერთი ნაწილის მერყეობა, დამარცხებითი განწყობილება და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებისა და მისი შენარჩუნების შესაძლებლობისადმი ურწმენობა (კამენევი, ზინოვიევი), ისე ახლაც, ახლანდელ გარდატეხის პერიოდში, სოციალისტური მშენებლობის ახალ ფაზაზე გადასვლის სიძნელენი წარმოშობენ მერყეობას ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეში, ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვების შესაძლებლობისადმი ურწმენობას, სსრ კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობისადმი ურწმენობას.

ოპოზიციური ბლოკი წარმოადგენს ჩვენი პარტიის ერთი ნაწილის რიგებში ამ დაცემულობისა და დამარცხებითი განწყობილების გამოხატულებას.

პარტია ხედავს სიძნელეებს და შესაძლებლობა აქვს დასძლიოს ისინი. მაგრამ ამ სიძნელეთა დასაძლევად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დაძლეულ იქნას დაცემულობის განწყობილება და დამარცხებითი იდეოლოგია პარტიის ერთი ნაწილის რიგებში.

ოპოზიციური ბლოკი თავის 1926 წლის 16 ოქტომბრის დოკუმენტში, თუმცა უარყოფს ფრაქციულობას და ემიჯნება აშკარა მენშევიკურ დაჯგუფებებს საკავშირო კომპარტიაში (ბ) და მის გარეთ, მაგრამ ამასთან ერთად აცხადებს, რომ თავის ძველ პრინციპულ პოზიციებზე რჩება, ხელს არ იღებს თავის პრინციპულ შეცდომებზე და დაიცავს ამ მცდარ შეხედულებებს პარტიის წესდების ფარგლებში.

აქედან გამომდინარეობს, რომ ოპოზიციური ბლოკი ფიქრობს კვლავაც დანერგოს პარტიაში დაცემულობის განწყობილება და კაპიტულანტობა, რომ იგი ფიქრობს კვლავაც გასწიოს პარტიაში თავის მცდარ შეხედულებათა პროპაგანდა.

ამიტომ პარტიის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გამოააშკარაოს ოპოზიციური ბლოკის ძირითად შეხედულებათა პრინციპული უსაფუძვლობა, განმარტოს ლენინიზმის საფუძვლებთან მათი შეუთავსებლობა და გააჩაღოს გადამწყვეტი იდეური ბრძოლა ოპოზიციური ბლოკის პრინციპულ შეცდომებთან მათი სრული დაძლევის მიზნით.

I

«ახალი ოპოზიციის» გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე ძირითად საკითხში — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ

პარტია ემყარება იმას, რომ ჩვენი რევოლუცია სოციალისტური რევოლუციაა, რომ ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს არა მარტო სიგნალს, ბიძგსა და გამო-

სავალ პუნქტს სოციალისტური რევოლუციისათვის დასავლეთში, არამედ იგი ამასთან ერთად არის, ჯერ-ერთი, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაჩაღების ბაზა და, მეორეც, დასაბამს აძლევს სსრ კავშირში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს (პროლეტარიატის დიქტატურა), რომლის განმავლობაშიც პროლეტარიატს, გლეხობის მიმართ სწორი პოლიტიკის პირობით, შეუძლია წარმატებით აშენოს და ააშენებს სრულ სოციალისტურ საზოგადოებას, თუ, რასაკვირველია, ერთი მხრივ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ძლიერება და მეორე მხრივ სსრ კავშირის პროლეტარიატის ძლიერება საკმაოდ დიდი იქნება იმისათვის, რომ დაიფაროს სსრ კავშირი იმპერიალიზმის სამხედრო ინტერვენციისაგან.

ტროცკიზმი სულ სხვა შეხედულებისაა ჩვენი რევოლუციის ხასიათსა და პერსპექტივებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკიზმი 1917 წლის ოქტომბერში პარტიასთან ერთად მიდიოდა, იგი ემყარებოდა და კვლავაც ემყარება იმას, რომ ჩვენი რევოლუცია **თავისთავად** არ არის, **არსებითად**, სოციალისტური, რომ ოქტომბრის რევოლუცია **მხოლოდ** სიგნალი, ბიძგი და გამოსავალი პუნქტია სოციალისტური რევოლუციისათვის დასავლეთში, რომ თუ მსოფლიო რევოლუციამ დაიგვიანა და ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში სულ უახლოეს პერიოდში არ მოხდა, მაშინ პროლეტარული ხელისუფლება რუსეთში უნდა დაემხოს ან გადაგვარდეს (რაც ერთი და იგივეა) პროლეტარიატსა და გლეხობას შორის გარდუვალ შეჯახებათა გამო.

მაშინ როცა პარტია, აწყობდა რა ოქტომბრის რევოლუციას, ემყარებოდა იმას, რომ «სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანა-

ში», რომ «ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ», შეიძლება და კიდევაც უნდა «**დაუპირისპირდეს** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხროს სხვა ქვეყნების ჩაგრული კლასები, ააჯანყოს ისინი კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდეს ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» **(ლენინი,** ტ. XVIII, გვ. 232 — 233), — ტროცკიზმი, პირიქით, თანამშრომლობდა რა ბოლშევიკებთან ოქტომბრის პერიოდში, ემყარებოდა იმას, რომ «უიმედოა იმის ფიქრი... რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას» (ტროცკი, ტ. III, ნაწილი 1, გვ. 90, «ზავის პროგრამა», რომელიც პირველად გამოვიდა 1917 წ. აგვისტოში).

მაშინ როცა პარტია ემყარება იმას, რომ საბჭოთა კავშირში მოიპოვება «ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა» «სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის» **(ლენინი,** «კოოპერაციის შესახებ»), ტროცკიზმი, პირიქით, ემყარება იმას, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (ტროცკი, ტ. III, ნაწილი 1, გვ. 93, «ზავის პროგრამის» «ბოლოსიტყვაობა», დაწერილი 1922 წელს).

მაშინ როცა პარტია ემყარება იმას, რომ «10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით» **(ლენინი,** გეგმა ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ» [78]), ტროცკიზმი, პირიქით, ემყარება იმას, რომ გლეხობასთან სწორი ურთიერთობა პროლეტარიატს არ

შეიძლება ჰქონდეს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებამდე, რომ პროლეტარიატს, რომელიც ძალაუფლებას აიღებს, «მტრული შეტაკებანი მოუხდება არა მარტო ბურჟუაზიის ყველა დაჯგუფებასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მას რევოლუციური ბრძოლის პირველ ხანებში, არამედ გლეხობის ფართო მასებთანაც, რომელთა დახმარებითაც მან დაიპყრო ძალაუფლება», რომ «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე» (ტროცკი, 1922 წელს დაწერილი «წინასიტყვაობა» წიგნისა «1905»).

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა ასეთ შეხედულებებს ძირითად საკითხში ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ საერთო არა აქვთ რა ჩვენი პარტიის შეხედულებებთან, ლენინიზმთან.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულებანი, ამცირებენ რა ჩვენი რევოლუციის, როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების ბაზის, ისტორიულ როლსა და ხვედრით წონას, ასუსტებენ რა საბჭოთა პროლეტარიატის ნებისყოფას სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისათვის და აბრკოლებენ რა ამრიგად საერთაშორისო რევოლუციის ძალების გაშლას, ამით ეწინააღმდეგებიან ნამდვილი ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითად ხაზს.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა ეს შეხედულებანი პირდაპირ უახლოვდებიან სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს მისი ახლანდელი ლიდერის, ოტო ბაუერის სახით, რომელიც ამტკიცებს,

რომ «რუსეთში, სადაც პროლეტარიატი ერის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს, მას შეუძლია დაამკვიდროს თავისი ბატონობა მხოლოდ დროებით», რომ «მან გარდუვალად კვლავ უნდა დაკარგოს ეს ბატონობა, როგორც კი ერის გლეხური მასა კულტურულად საკმაოდ მომწიფდება იმისათვის, რომ თვითონ აიღოს თავის ხელში ძალაუფლება», რომ «აგრარულ რუსეთში ინდუსტრიული სოციალიზმის დროებითი ბატონობა მხოლოდ ცეცხლის ალია, რომელიც ბრძოლისაკენ მოუწოდებს ინდუსტრიული დასავლეთის პროლეტარიატს», რომ «მხოლოდ ინდუსტრიული დასავლეთის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიული სოციალიზმის ხანგრძლივი ბატონობა» რუსეთში (იხ. ო. ბაუერი, «ბოლშევიზმი თუ სოციალ-დემოკრატია», გერმანულ ენაზე).

ამიტომ კონფერენციის ტროცკისა და მის თანამოაზრეთა ასეთი შეხედულებანი მიაჩნია **სოციალ-დემოკრატიულ გადახრად** ჩვენს პარტიაში ძირითად საკითხში ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

ძირითად ფაქტს საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული ურთიერთობის განვითარებაში XIV ყრილობის შემდეგ (რომელმაც დაგმო «ახალი ოპოზიციის» პრინციპული შეხედულებანი) წარმოადგენს ის გარემოება, რომ «ახალი ოპოზიცია» (ზინოვიევი, კამენევი), რომელიც წინათ ტროცკიზმის წინააღმდეგ, ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის წინააღმდეგ იბრძოდა, გადავიდა ტროცკიზმის იდეური პოზიციების მხარეზე, რომ მან მთლიანად და სავსებით დაუთმო ტროცკიზმს თავისი წინანდელი საერთო-პარტიული პოზიციები და ახლა ისევე გულმოდგინედ გამოდის ტროცკიზმის **დასაცავად**, როგორც წინათ ტროცკიზმის **წინააღმდეგ** გამოდიოდა.

«ახალი ოპოზიციის» გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე განსაზღვრა ორმა მთავარმა გარემოებამ:

ა) დაღლილობამ, მერყეობამ, პროლეტარიატისათვის უცხო დაცემულობისა და დამარცხებითმა განწყობილებამ «ახალი ოპოზიციის» მომხრეთა შორის — დღევანდელ გარდატეხის პერიოდში წამოჭრილ ახალ სიძნელეთა წინაშე, ამასთან კამენევისა და ზინოვიევის ახლანდელი მერყეობა და დამარცხებითი განწყობილება წარმოიშვა არა შემთხვევით, არამედ როგორც განმეორება, რეციდივი იმ მერყეობისა და დაცემულობის განწყობილებისა, რაც მათ გამოიჩინეს ცხრა წლის წინათ, 1917 წლის ოქტომბერში, მაშინდელი გარდატეხის პერიოდის სიძნელეთა წინაშე;

ბ) «ახალი ოპოზიციის» სრულმა დამარცხებამ XIV ყრილობაზე და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილმა მისწრაფებამ — რადაც უნდა დასჯდომოდათ მიეღწიათ ტროცკისტებთან გაერთიანებისათვის, რათა ორი ჯგუფის, ტროცკისტებისა და «ახალი ოპოზიციის», გაერთიანებით აენაზღაურებინათ ამ ჯგუფების სისუსტე და პროლეტარული მასებისაგან მოწყვეტა, მით უმეტეს, რომ ტროცკიზმის იდეური პოზიციები სავსებით შეესაბამებოდა «ახალი ოპოზიციის» ახლანდელ დაცემულობის განწყობილებას.

ამითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოპოზიციური ბლოკი გადაიქცა შესაკრებ პუნქტად პარტიისა და კომინტერნის მიერ დაგმობილ ყველა და ყოველგვარ გაკოტრებულ მიმდინარეობათათვის საკავშირო კომპარტიაში (ბ) და მის გარეთ, «დემოკრატიული ცენტრალისტებიდან» [77] და «მუშათა ოპოზიციიდან» საკავშირო კომპარტიაში (ბ) «ულტრამემარცხენე» ოპორტუნისტებამდე გერმანიაში და სუვარინის ჯგუფის [78] ლიკვიდატორებამდე საფრანგეთში.

აქედანვე გამომდინარეობს ის განურჩევლობა საშუალებებში და უპრინციპობა პოლიტიკაში, რაც საფუძვლად დაედო ტროცკისტებისა და «ახალი ოპოზიციის» ბლოკის არსებობას და რის გარეშეც ისინი ერთად ვერ მოუყრიდნენ თავს სხვადასხვა ანტიპარტიულ მიმდინარეობებს.

ამრიგად, ერთი მხრივ ტროცკისტები და მეორე მხრივ «ახალი ოპოზიცია» სავსებით კანონზომიერად შეიყარნენ სოციალ-დემოკრატიული გადახრისა და სხვადასხვა ანტიპარტიული ელემენტების უპრინციპო გაერთიანების **საერთო** პლატფორმაზე პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამგვარად შექმნეს ოპოზიციური ბლოკი, რომელიც წარმოადგენს — ახალი ფორმით — აგვისტოს ბლოკის (1912 — 1914 წწ.) რეციდივის რაღაც მსგავსებას.

II

ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა

ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა პირდაპირი განგრძობაა ამ ბლოკის ძირითადი შეცდომისა ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხში.

ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმის უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი შემდეგი ძირითადი პუნქტებით განისაზღვრებიან:

ა) **საერთაშორისო მოძრაობის საკითხები.** პარტია ემყარება იმას, რომ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები იმყოფებიან, საერთოდ და მთლიანად, ნაწილობრივი, დროებითი სტაბილიზაციის მდგომარეობაში, რომ ახლანდელი პერიოდი რევოლუციათაშორისი პერიოდია, რომელიც კომუნისტურ პარტიებს ავალებს მოამზადონ პროლეტარიატი მომავალი რევოლუციისათვის, რომ შეტევა კა-

პიტალისა, რომელიც ამაოდ ცდილობს განამტკიცოს სტაბილიზაცია, არ შეიძლება არ იწვევდეს მუშათა კლასის მხრივ საპასუხო ბრძოლას და მისი ძალების გაერთიანებას კაპიტალის წინააღმდეგ, რომ კომპარტიები უნდა ჩაერიონ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში და გადაჰქციონ კაპიტალის იერიშები პროლეტარიატის კონტრიერიშებად პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების მიზნით, რომ ამ მიზნების მისაღწევად კომუნისტურმა პარტიებმა უნდა მიიმხრონ მუშათა კლასის მილიონიანი მასები, რომლებიც ჯერ კიდევ ემხრობიან რეფორმისტულ პროფკავშირებსა და II ინტერნაციონალს, რომ, ამრიგად, ერთიანი ფრონტის ტაქტიკა აუცილებელი და სავალდებულოა კომუნისტური პარტიებისათვის.

ოპოზიციური ბლოკი ემყარება სულ სხვა წანამძღვრებს. რაკი არა სწამს ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალები და სასოწარკვეთილებას ეძლევა მსოფლიო რევოლუციის დაგვიანების გამო, ოპოზიციური ბლოკი რევოლუციის კლასობრივი ძალების მარქსისტული ანალიზის ნიადაგიდან ეშვება «ულტრამემარცხენე» თავისმოტყუებისა და «რევოლუციური» ავანტიურიზმის ნიადაგზე, უარყოფს ნაწილობრივი კაპიტალისტური სტაბილიზაციის არსებობას და ამრიგად დგება პუტჩიზმის გზაზე.

აქედან გამომდინარეობს ოპოზიციის მოთხოვნა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გადასინჯვისა და ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისა, პროფკავშირთა როლის გაუგებლობა და იმის ლოზუნგი, რომ პროფკავშირები შეიცვალონ პროლეტარიატის ახალი, გამოგონილი «რევოლუციური» ორგანიზაციებით.

აქედან გამომდინარეობს, რომ ოპოზიციური ბლოკი მხარს უჭერს «ულტრამემარცხენე» ყბედებსა და ოპორტუნისტებს კომუნისტურ ინტერნაციონალში (მაგალითად, გერმანიის პარტიაში).

კონფერენციას მიაჩნია, რომ ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკა საერთაშორისო დარგში არ შეესაბამება ინტერნაციონალური რევოლუციური მოძრაობის ინტერესებს.

ბ) **პროლეტარიატი და გლეხობა სსრ კავშირში.** პარტია ემყარება იმას, რომ «დიქტატურის უმაღლესი პრინციპი არის გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შენარჩუნება, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება» **(ლენინი,** ტ. XXVI, გვ. 460), რომ პროლეტარიატს შეუძლია იყოს და უნდა იყოს ჰეგემონი გლეხობის ძირითადი მასის მიმართ ეკონომიურ დარგში, სოციალიზმის მშენებლობის დარგში, ისევე, როგორც 1917 წლის ოქტომბერში იგი გლეხობის ჰეგემონი იყო პოლიტიკურ დარგში, ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების საქმეში; რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეყრდნობა იმას, რომ თანდათანობით გაუმჯობესდეს მატერიალური მდგომარეობა გლეხობის უმრავლესობისა (ღარიბი, საშუალო გლეხობა), რომელიც ძირითად ბაზარს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიისათვის, რომ ამის გამო უნდა ტარდებოდეს ისეთი ეკონომიური პოლიტიკა (ფასების პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და სხვ.), რომელიც განამტკიცებს ინდუსტრიის კავშირს გლეხურ მეურნეობასთან და იცავს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასის კავშირს.

ოპოზიციური ბლოკი ემყარება სულ სხვა წანამძღვრებს. რაკი შორდება ლენინიზმის ძირითად ხაზს გლეხობის საკითხში, არა სწამს გლეხობის მიმართ პროლეტარიატის ჰეგემონია სოციალისტური მშენებლობის საქმეში და გლეხობა უმთავრესად მიაჩნია მტრულ ძალად, ოპოზიციური ბლოკი აყენებს ისეთ ეკონომიურ და საფინანსო

ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ ჩაშალონ ქალაქის კავშირი სოფელთან, დაარღვიონ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ამით ძირი გამოუთხარონ ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. ასეთია, მაგალითად: ა) ოპოზიციის წინადადება სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების გადიდების შესახებ, რა გადიდებამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს საცალო ფასების გადიდება, ღარიბი გლეხობისა და საშუალო გლეხთა მნიშვნელოვანი ფენების გაღატაკება, საშინაო ბაზრის ტევადობის შემცირება, უთანხმოება პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ჩერვონეცის კურსის დაცემა და, ბოლოს, რეალური ხელფასის შემცირება; ბ) ოპოზიციის წინადადება გლეხობის მაქსიმალური საგადასახადო შევიწროების შესახებ, რა შევიწროებამაც არ შეიძლება არ შექმნას ბზარი მუშათა და გლეხთა კავშირის საქმეში.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკა გლეხობის მიმართ არ შეესაბამება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესებს.

გ) **პარტიული აპარატის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ალმით.** პარტია ემყარება იმას, რომ პარტიული აპარატი და პარტიული მასები ერთ მთელს შეადგენენ, რომ პარტიული აპარატი (ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური საკონტროლო კომისია, პარტიის საოლქო ორგანიზაციები, საგუბერნიო, საოკრუგო, სამაზრო კომიტეტები, უჯრედების ბიუროები, და ა. შ.) განასახიერებს მთლიანად პარტიის ხელმძღვანელ ელემენტს, რომ პარტიული აპარატი შესდგება პროლეტარიატის საუკეთესო ადამიანებისაგან, რომლებიც შეიძლება და საჭიროა გააკრიტიკო შეცდომებისათვის, რომლებიც შეიძლება და საჭიროა «გადაახალისო», მაგრამ

რომლებიც არ შეიძლება გააბიაბრუო, რომ ამით რღვევის საფრთხე არ შეუქმნა პარტიას და უიარაღო არ დატოვო იგი.

ოპოზიციური ბლოკი, პირიქით, ემყარება იმას, რომ პარტიულ მასებს უპირდაპირებს პარტიულ აპარატს, ცდილობს დაამციროს პარტიული აპარატის ხელმძღვანელი როლი, შეზღუდოს იგი რეგისტრატორისა და პროპაგანდისტის ფუნქციებით, უსისიანებს პარტიულ მასებს პარტიულ აპარატს და, ამრიგად, სახელს უტეხს პარტიულ აპარატს, ასუსტებს მის პოზიციებს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის საქმეში.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ოპოზიციური ბლოკის ასეთ პოლიტიკას, რომელსაც ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა, შეუძლია მხოლოდ განაიარაღოს პარტია სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ აპარატის ნამდვილი გარდაქმნისა და ამით პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დ) **პარტიაში არსებული «რეჟიმის» წინააღმდეგ ბრძოლა შინაპარტიული დემოკრატიისათვის ბრძოლის ალმით.** პარტია ემყარება იმას, რომ «ვინც ოდნავადაც კი ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ» **(ლენინი, ტ. XXV, გვ. 190)**, რომ შინაპარტიული დემოკრატია საჭიროა არა პარტიაში პროლეტარული დისციპლინის შესუსტებისა და დაშლისათვის, არამედ მისი განმტკიცებისა და გამაგრებისათვის, რომ თუ პარტიაში არ არის რკინისებური დისციპლინა, თუ პარტიაში არ არის მტკიცე რეჟიმი, რომელსაც პროლეტარიატის მილიონიანი მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერა განამტკიცებს, ისე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა.

ოპოზიციური ბლოკი, პირიქით, ემყარება იმას, რომ შინაპარტიულ დემოკრატიას უპირდაპირებს პარტიულ დისციპლინას, ერთმანეთში ურევს ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლებასა და შინაპარტიულ დემოკრატიას და ცდილობს გამოიყენოს ამგვარი დემოკრატია პარტიული დისციპლინის დაშლისა და პარტიის ერთიანობის დარღვევისათვის. ბუნებრივია, რომ ოპოზიციური ბლოკის მოწოდება პარტიაში არსებული «რეჟიმის» წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მოწოდება, რომელიც სინამდვილეში მიმართულია პარტიაში ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლების დაცვისაკენ, ამრიგად არის მოწოდება, რომელსაც აღტაცებით იმეორებენ ჩვენი ქვეყნის ანტიპროლეტარული ელემენტები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმისაგან ხსნის იმედს.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ოპოზიციური ბლოკის ბრძოლას პარტიაში არსებული «რეჟიმის» წინააღმდეგ, ბრძოლას, რომელსაც ლენინიზმის ორგანიზაციულ პრინციპებთან საერთო არა აქვს რა, შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრა, პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება და ხელ-ფეხი გაუხსნას ჩვენს ქვეყანაში ანტიპროლეტარულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ შეასუსტონ და დაანგრიონ ეს დიქტატურა.

პარტიული დისციპლინის დაშლისა და პარტიის შიგნით ბრძოლის გამწვავების ერთ-ერთ საშუალებად ოპოზიციურმა ბლოკმა აირჩია სრულიად საკავშირო დისკუსიის მეთოდი, რომლის (დისკუსიის) პარტიისათვის თავს მოხვევა სცადა მან ამა წლის ოქტომბერში. აუცილებლად თვლის რა უთანხმოების საკითხების თავისუფალ განხილვას ჩვენი პარტიის თეორიულ ჟურნალებში და აღიარებს რა პარტიის თვითეული წევრის უფლებას — თავისუფლად გააკრიტიკოს ჩვენი პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი, კონფერენცია ამასთან ერთად მოაგონებს ყვე-

ლას ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტია სადისკუსიო კლუბი კი არ არის, არამედ პროლეტარიატის საბრძოლო ორგანიზაციაა. კონფერენციას მიაჩნია, რომ სრულიად საკავშირო დისკუსია შეიძლება საჭიროდ იქნას ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) ამ საჭიროებას საგუბერნიო ან საოლქო მასშტაბის რამდენიმე ადგილობრივი პარტორგანიზაცია მაინც ცნობს; ბ) თუ ცენტრალურ კომიტეტში საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა არ არის პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში; გ) თუ, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ კომიტეტში არის გარკვეულ თვალსაზრისზე მდგომი მტკიცე უმრავლესობა, ცენტრალურ კომიტეტს მაინც საჭიროდ მიაჩნია შეამოწმოს თავისი პოლიტიკის სისწორე პარტიაში დისკუსიის წესით განხილვის გზით. ამასთან ყველა ამ შემთხვევაში სრულიად საკავშირო დისკუსია შეიძლება დაიწყოს და ჩატარდეს მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის სათანადო გადაწყვეტილების შემდეგ.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ იმ მომენტში, როცა ოპოზიციური ბლოკი სრულიად საკავშირო დისკუსიის გახსნას მოითხოვდა, არც ერთი ეს პირობა არ არსებობდა.

ამიტომ კონფერენციას მიაჩნია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად მოიქცა, მიზანშეწონილად რომ არ სცნო დისკუსია და დაგმო ოპოზიციური ბლოკი მისი ცდების გამო — თავს მოეხვია პარტიისათვის სრულიად საკავშირო დისკუსია პარტიის მიერ უკვე გადაწყვეტილ საკითხებზე.

აჯამებს რა ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმის ანალიზის შედეგებს, კონფერენცია აღნიშნავს, რომ ეს პლატფორმა მოასწავებს ოპოზიციური ბლოკის ჩამოშორებას პროლეტარული რევოლუციის კლასობრივი ხაზისაგან საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

III

ოპოზიციური ბლოკის «რევოლუციური» სიტყვები და ოპორტუნისტული საქმეები

ოპოზიციური ბლოკის დამახასიათებელი თავისებურებაა ის ფაქტი, რომ იგი, თუმცა სინამდვილეში წარმოადგენს ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის გამოხატულებას და სინამდვილეში იცავს ოპორტუნისტულ პოლიტიკას, მიუხედავად ამისა, ცდილობს რევოლუციურ ფრაზეოლოგიაში გახვიოს თავისი გამოსვლები, ცდილობს «მარცხნიდან» გააკრიტიკოს პარტია, ცდილობს «მემარცხენე» სამოსელში გაეხვიოს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ კომუნისტი პროლეტარები, რომლებსაც უმთავრესად მიმართავს ოპოზიციური ბლოკი, მსოფლიოს პროლეტართა შორის ყველაზე რევოლუციური არიან, რომ ისინი, რევოლუციური ტრადიციების სულისკვეთებით აღზრდილნი, არც კი მოუსმენენ იმათ, ვინც აშკარად მარჯვნიდან ეწევა კრიტიკას, რის გამო ოპოზიციური ბლოკი, იმისათვის, რომ თავისი ოპორტუნისტული საქონელი გაასაღოს, იძულებულია რევოლუციურობის იარლიკი მიაკრას მას, რადგან კარგად იცის, რომ მხოლოდ ასეთი ფანდით შეიძლება მიიპყროს რევოლუციურ პროლეტართა ყურადღება.

მაგრამ ვინაიდან ოპოზიციური ბლოკი მაინც სოციალ-დემოკრატიული გადახრის გამტარებელია, ვინაიდან იგი სინამდვილეში ოპორტუნისტულ პოლიტიკას იცავს, ამიტომ ოპოზიციური ბლოკის სიტყვებსა და საქმეებს შორის მუდამ კონფლიქტია. აქედან წარმოსდგება შინაგანი წინააღმდეგობა ოპოზიციური ბლოკის მუშაობაში. აქედან წარმოსდგება შეუთანხმებლობა სიტყვასა და საქმეს შო-

რის, რევოლუციურ ფრაზასა და ოპორტუნისტულ საქმეს შორის.

ოპოზიცია დიდი ხმაურით აკრიტიკებს პარტიას და კომინტერნს «მარცხნიდან» და ამასთან ერთად წინადადებას იძლევა გადავსინჯოთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, ჩავშალოთ ინგლის-რუსეთის კომიტეტი, ჩამოვშორდეთ პროფკავშირებს, შევცვალოთ ისინი ახალი «რევოლუციური» ორგანიზაციებით, ფიქრობს რა ყოველივე ამით წინ წასწიოს რევოლუცია, ნამდვილად კი აქედან გამოდის ტომასისა და უდეგესტისადმი დახმარება, კომპარტიების მოწყვეტა პროფკავშირებისაგან, მსოფლიო კომუნიზმის პოზიციების შესუსტება, — მაშასადამე, რევოლუციური მოძრაობის შენელება. სიტყვით — «რევოლუციონერები», საქმით კი — ტომასებისა და უდეგესტების ხელშემწყობნი.

ოპოზიცია დიდი ხმაურით «აცამტვერებს» პარტიას «მარცხნიდან» და ამავე დროს მოითხოვს სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების გადიდებას, რითაც ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებას ფიქრობს, ნამდვილად კი აქედან უნდა გამოვიდეს საშინაო ბაზრის დეზორგანიზაცია, გლეხურ მეურნეობასთან ინდუსტრიის კავშირის ჩაშლა, ჩერვონეცის კურსის დაცემა, რეალური ხელფასის შემცირება და, მაშასადამე, — ყოველგვარი ინდუსტრიალიზაციისათვის ძირის გამოთხრა. სიტყვით — ინდუსტრიალისტები, საქმით კი — ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგეთა ხელშემწყობნი.

ოპოზიცია ბრალს სდებს პარტიას, თითქოს მას არა სურს ებრძოლოს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმს, და ამავე დროს წინადადებას იძლევა გავადიდოთ გასაცემი ფასები, — ალბათ ფიქრობს, რომ გასაცემი ფასების გადიდებას კავშირი არა აქვს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმის საკითხთან, ნამდვილად კი გამოდის, რომ აქედან უნდა მივიღოთ სახელმწიფო სამეურ-

ნეო აპარატის სრული ბიუროკრატიზაცია, ვინაიდან მაღალი გასაცემი ფასები მრეწველობის დაუძლურების, მისი სათუთ მცენარედ გადაქცევისა და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზაციის უებარ საშუალებას წარმოადგენენ. სიტყვით — ბიუროკრატიზმის მოწინააღმდეგენი, საქმით კი — სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაციის დამცველნი და გამტარებელნი.

ოპოზიცია ხმაურობს და გაჰყვირის კერძო კაპიტალის წინააღმდეგ და ამავე დროს წინადადებას იძლევა მრეწველობის სასარგებლოდ ბრუნვის სფეროდან ამოვიღოთ სახელმწიფო კაპიტალები, ფიქრობს რა ამით ძირი გამოუთხაროს კერძო კაპიტალს, ნამდვილად კი აქედან გამოდის კერძო კაპიტალის ყოველმხრივი გაძლიერება, ვინაიდან ბრუნვიდან, რომელიც კერძო კაპიტალის მუშაობის ძირითად სფეროს წარმოადგენს, სახელმწიფო კაპიტალების ამოღებამ არ შეიძლება სავსებით ხელში არ ჩაუგდოს ვაჭრობა კერძო კაპიტალს. სიტყვით — კერძო კაპიტალთან ბრძოლა, საქმით კი — კერძო კაპიტალისადმი დახმარება.

ოპოზიცია გაჰყვირის პარტიული აპარატის გადაგვარებაზე, ნამდვილად კი გამოდის, რომ, როცა ცენტრალური კომიტეტი აყენებს ერთ-ერთი მართლაც გადაგვარებული კომუნისტის, ბ-ნ ოსოვსკის გარიცხვის საკითხს, ოპოზიცია ამ ვაჟბატონისადმი ლოიალობის მაქსიმუმს იჩენს და ხმას აძლევს მისი გარიცხვის წინააღმდეგ. სიტყვით — გადაგვარების მოწინააღმდეგენი, საქმით კი — გადაგვარების ხელშემწყობნი და დამცველნი.

ოპოზიცია შინაპარტიულ დემოკრატიაზე გაჰყვიროდა და ამავე დროს მოითხოვდა სრულიად საკავშირო დისკუსიას, რითაც ფიქრობდა შინაპარტიული დემოკრატიის რეალიზაციას, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ, თავს ახვევდა რა პარტიის უდიდეს უმრავლესობას დისკუსიას პარ-

ტიის უმნიშვნელო უმცირესობის სახელით, ოპოზიციამ ყოველგვარი დემოკრატიის დარღვევის ყოვლად უხეში აქტი ჩაიდინა. სიტყვით — შინაპარტიული დემოკრატიის მომხრეობა, საქმით კი — ყოველგვარი დემოკრატიის ძირითადი პრინციპების დარღვევა.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ახლანდელ პერიოდში მუშათა მოძრაობაში შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ ორში ერთი პოლიტიკა: ან მენშევიზმის პოლიტიკა, ან ლენინიზმის პოლიტიკა. ოპოზიციური ბლოკის ცდებს — «მემარცხენე», «რევოლუციური» ფრაზეოლოგიის საფარქვეშ და საკავშირო კ. პ. (ბ) წინააღმდეგ კრიტიკის გამახვილებით, დაეკავებინა შუალედი მდგომარეობა ორ ურთიერთდაპირდაპირებულ ხაზს შორის, უნდა გამოეწვია, და გამოიწვია კიდეც, ოპოზიციური ბლოკის დაქანება ლენინიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, მენშევიზმის ბანაკში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის მტრებმა იციან, რა ფასი აქვს ოპოზიციური ბლოკის «რევოლუციურ» ფრაზეოლოგიას. ამიტომ ისინი გვერდს უვლიან ამ ფრაზეოლოგიას, როგორც ისეთს, რომელსაც არავითარი ღირებულება არა აქვს, და ერთსულოვნად ასხამენ ხოტბას ოპოზიციურ ბლოკს მისი არარევოლუციური საქმეებისათვის, იმეორებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ძირითადი ხაზის წინააღმდეგ ბრძოლის ოპოზიციურ ლოზუნგს, როგორც თავიანთ საკუთარ ლოზუნგს. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ესერებმა და კადეტებმა, რუსმა მენშევიკებმა და გერმანელმა «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატებმა, — ყველამ შესაძლებლად ჩათვალა აშკარად გამოეთქვა თანაგრძნობა ოპოზიციური ბლოკის ბრძოლისათვის ჩვენი პარტის წინააღმდეგ, იმ იმედით, რომ ოპოზიციური ბლოკის ბრძოლა განხეთქილებას გამოიწვევს, განხეთქილება კი

ხელ-ფეხს გაუხსნის ჩვენი ქვეყნის ანტიპროლეტარულ ძალებს, რევოლუციის მტრების სასიხარულოდ.

კონფერენციას მიაჩნია, რომ პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ოპოზიციური ბლოკის «რევოლუციური» შენიღბვის მხილებას და მისი ოპორტუნისტული არსის გამოაშკარავებას.

კონფერენციას მიაჩნია, რომ პარტიამ თვალის ჩინივით უნდა დაიცვას თავისი რიგების ერთიანობა, ვინაიდან ჩვენი პარტიის ერთიანობა ძირითადი საშუალებაა რევოლუციის მტრების ყველა და ყოველგვარი კონტრრევოლუციური ცდის წინააღმდეგ.

IV

დასკვნები

აჯამებს რა შინაპარტიული ბრძოლის განვლილი სტადიის შედეგებს, საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენცია აღნიშნავს, რომ პარტიამ ამ ბრძოლაში გამოავლინა თავისი უდიდესი იდეური ზრდა, უყოყმანოდ უარყო ოპოზიციის პრინციპული შეხედულებანი და მიაღწია სწრაფ და გადამწყვეტ გამარჯვებას ოპოზიციურ ბლოკზე, აიძულა იგი აშკარად აეღო ხელი ფრაქციულობაზე და გამიჯვნოდა აშკარა ოპორტუნისტულ დაჯგუფებებს საკავშირო კომპარტიაში (ბ) და მის გარეთ.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ოპოზიციური ბლოკის იმ ცდების შედეგად, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ თავს მოეხვია პარტიისათვის დისკუსია და ძირი გამოეთხარა მისი ერთიანობისათვის, პარტიული მასები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რითაც მოახდინეს ოპოზიციის იზოლაცია და, ამრიგად, უზრუნველყვეს ჩვენი პარტიის რიგების ნამდვილი ერთიანობა.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მხოლოდ ფართო პარტიული მასების აქტიური მხარდაჭერით შესძლო მიეღწია ასეთი წარმატებებისათვის, რომ აქტივობა და შეგნებულობა, რაც პარტიულმა მასებმა ოპოზიციური ბლოკის დეზორგანიზატორულ მუშაობასთან ბრძოლაში გამოიჩინეს, იმის საუკეთესო მაჩვენებლებია, რომ პარტია ცხოვრობს და ვითარდება ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატიის საფუძვლებზე.

მთლიანად და სავსებით იწონებს რა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას მის ბრძოლაში ერთიანობის უზრუნველყოფისათვის, კონფერენციას მიაჩნია, რომ პარტიის ამოცანები შემდეგში ასეთი უნდა იყოს:

1) თვალყური ადევნოს იმას, რომ მიღწეული მინიმუმი, რაც აუცილებელია პარტიის ერთიანობისათვის, ნამდვილად გატარდეს ცხოვრებაში.

2) აწარმოოს გადამწყვეტი იდეური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ გადახრასთან ჩვენს პარტიაში, განუმარტოს მასებს ოპოზიციური ბლოკის პრინციპულ შეხედულებათა მცდარობა და დღის სინათლეზე გამოიტანოს ამ შეხედულებათა ოპორტუნისტული შინაარსი, რა «რევოლუციური» ფრაზებითაც არ უნდა იყოს ისინი დაფარული.

3) მიაღწიოს იმას, რომ ოპოზიციურმა ბლოკმა აღიაროს თავის შეხედულებათა მცდარობა.

4) ყოველმხრივ დაიცვას პარტიის ერთიანობა, აღკვეთოს ფრაქციულობის განახლებისა და დისციპლინის დარღვევის ყველა და ყოველგვარი ცდა.

«პრავდა» № 247,
1926 წ. 26 ოქტომბერი.

სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში

მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციაზე [79]

1926 წ. 1 ნოემბერი

I

ოპოზიციური ბლოკის განვითარების ეტაპები

ამხანაგებო! პირველი საკითხი, რომელსაც მოხსენებაში უნდა შევეხო, ეს არის საკითხი ოპოზიციური ბლოკის შექმნის, მისი განვითარების ეტაპებისა და, ბოლოს, მისი უკვე დაწყებული დაშლის შესახებ. ეს თემა, ჩემი აზრით, აუცილებელი თემაა, როგორც ოპოზიციური ბლოკის შესახებ თეზისების საკითხის არსის შესავალი.

ჯერ კიდევ პარტიის XIV ყრილობაზე ზინოვიევმა სიგნალი მისცა ყველა ოპოზიციურ მიმდინარეობათა თავმოყრისა და ერთ ძალად გაერთიანებისათვის. ამხანაგებს, კონფერენციის დელეგატებს, ალბათ ახსოვთ ზინოვიევის ეს სიტყვა. სავსებით უეჭველია, რომ ასეთ მოწოდებას არ შეიძლებოდა გამოძახილი არ ეპოვა ტროცკისტთა რიგებში, რომლებიც თავიდანვე იმ აზრს იცავდნენ, რომ დაჯგუფებანი მეტად თუ ნაკლებად თავისუფალი უნდა იყვნენ და მეტად თუ ნაკლებად უნდა ერთიანდებოდნენ იმისათვის, რომ აწარმოონ ბრძოლა პარტიის იმ ძირითადი ხა-

ზის წინააღმდეგ, რომელიც ტროცკის დიდი ხანია აღარ აკმაყოფილებს.

ეს იყო, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი მუშაობა ბლოკის ჩამოსაყალიბებლად.

1. პირველი ეტაპი

პირველი სერიოზული ნაბიჯი ბლოკის ჩამოსაყალიბებლად ოპოზიციამ გადადგა ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის[80] დროს, სამეურნეო მდგომარეობის შესახებ რიკოვის თეზისებთან დაკავშირებით. სრული შეთანხმება «ახალ ოპოზიციასა» და ტროცკისტებს შორის მაშინ კიდევ არ ყოფილა, მაგრამ ბლოკი ძირითადად რომ უკვე მზად იყო — ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა. ამხანაგები, რომლებსაც აპრილის პლენუმის სტენოგრამა წაუკითხავთ, მიხვდებიან, რომ ეს სავსებით სწორია. ძირითადად ორივე ჯგუფმა უკვე მოასწრო შეთანხმებულიყო, მაგრამ იყო შენიშვნები, რომელთა გამო მათ მოუხდათ შეეტანათ რიკოვის თეზისებისათვის არა მთელი ოპოზიციის საერთო შესწორებანი, არამედ შესწორებათა ორი პარალელური წყება. ერთი წყება შესწორებანი მომდინარეობდნენ «ახალი ოპოზიციისაგან», კამენევის მეთაურობით, ხოლო მეორე წყება შესწორებანი მომდინარეობდნენ ტროცკისტთა ჯგუფისაგან. მაგრამ ძირითადად ისინი ერთ მიზანს რომ ისახავდნენ, და პლენუმი უკვე მაშინ რომ ამბობდა, ისინი ახალი ფორმით აგვისტოს ბლოკის რესტავრირებას ახდენენო, — ეს უეჭველი ფაქტია.

რაში მდგომარეობდნენ მაშინ ეს შენიშვნები?

აი რას ამბობდა მაშინ ტროცკი:

«ამხ. კამენევის შესწორებათა ნაკლად მე ის მიმაჩნია, რომ ამ შესწორებებში სოფლის დიფერენციაცია დაყენებულია თითქოს რამდენადმე დამოუკიდებლად ინდუსტრიალიზაციისაგან. ამავე დროს კი, გლეხობის დიფერენციაციისა და მისი ტემპის მნიშვნელობა და სოცია-

ლური წონა განისაზღვრება მთლიანად სოფლის მიმართ ინდუსტრიალიზაციის ზრდითა და ტემპით».

ეს შენიშვნა მცირემნიშვნელოვანი როდია.

ამის პასუხად კამენევი თავის მხრივ აკეთებს შენიშვნას ტროცკისტების შესახებ:

«არ შემიძლია, — ამბობს იგი, — შევუერთდე მათს იმ ნაწილს (ე. ი. რიკოვის რეზოლუციის პროექტისათვის ტროცკის შესწორებათა ნაწილს), რომელიც შეფასებას აძლევს პარტიის წარსულ სამეურნეო პოლიტიკას, რასაც მე 100 პროცენტით ვიცავდი».

«ახალ ოპოზიციას» არ მოსწონდა, რომ ტროცკი აკრიტიკებდა სამეურნეო პოლიტიკას, რომელსაც წინა პერიოდში კამენევი ხელმძღვანელობდა. ხოლო ტროცკის თავის მხრივ არ მოსწონდა, რომ «ახალი ოპოზიცია» გლეხობის დიფერენციაციის საკითხებს ინდუსტრიალიზაციის საკითხისაგან სწყვეტდა.

2. მეორე ეტაპი

მეორე ეტაპია ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი[81]. ამ პლენუმზე ჩვენ ვხედავთ უკვე ფორმალურად შეკოწიწებულ ბლოკს, უშენიშვნო ბლოკს. ტროცკის შენიშვნები მოხსნილი და არქივში ჩაბარებულია, ისევე, როგორც მოხსნილი და არქივში ჩაბარებულია კამენევის შენიშვნები. ახლა მათ უკვე აქვთ საერთო «დეკლარაცია», რომელსაც თქვენ ყველანი კარგად იცნობთ, ამხანაგებო, როგორც ანტიპარტიულ დოკუმენტს. ასეთია ოპოზიციური ბლოკის განვითარების მეორე ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები.

ეს ბლოკი შეკოწიწებულ იქნა და ჩამოყალიბდა ამ პერიოდში არა მარტო ერთმანეთის მიმართ შესწორებათა უარყოფის ნიადაგზე, არამედ ურთიერთ «ამნისტიის» ნიადაგზეც. ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს ზინოვიევის საინტერესო განცხადება იმის შესახებ, რომ ოპოზიცია, მისი ძი-

რითადი ბირთვი 1923 წელს, ე. ი. ტროცკისტები მართალი იყვნენ პარტიის გადაგვარების საკითხში, ე. ი. იმ მთავარ საკითხში ტროცკიზმის პრაქტიკული პოზიციის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს მისი პრინციპული პოზიციიდან. გვაქვს, მეორე მხრივ, ტროცკის არა ნაკლებ საინტერესო განცხადება იმის შესახებ, რომ მისი «ოქტომბრის გაკვეთილები», მიმართული სპეციალურად კამენევისა და ზინოვიევის, როგორც პარტიის «მემარჯვენე ფრთის» წინააღმდეგ, რომელიც ახლა ოქტომბრის შეცდომებს იმეორებს, — შეცდომას წარმოადგენს, რომ პარტიაში მემარჯვენე გადახრისა და გადაგვარების დაწყება უნდა მიეწეროს არა კამენევსა და ზინოვიევს, არამედ, ვთქვათ, სტალინს.

აი რას ამბობდა ზინოვიევი ამა წლის ივლისში:

«ჩვენ ვამბობთ, რომ ამჟამად უკვე საკმაოთ უეჭველია, რომ 1923 წლის ოპოზიციის ძირითადი ბირთვი, როგორც ეს ფრაქციის (ე. ი. ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის) ხელმძღვანელი ხაზის ევოლუციამ ცხადყო, **სწორად იძლეოდა გაფრთხილებას** პროლეტარული ხაზიდან გადახვევის საფრთხისა და აპარატული რეჟიმის საშიშროების შესახებ».

სხვანაირად რომ ვთქვათ: ზინოვიევის ამასწინანდელი მტკიცებანი და XIII ყრილობის რეზოლუცია[82] იმის შესახებ, რომ ტროცკი ლენინიზმის რევიზიას ახდენს, რომ ტროცკიზმი წვრილბურჟუაზიულ გადახრას წარმოადგენს, — ყოველივე ეს შეცდომა, გაუგებრობა იყო, რომ საშიშროება ტროცკიზმში კი არ არის, არამედ ცენტრალურ კომიტეტშია.

ეს არის ტროცკიზმის ყოვლად უპრინციპო «**ამნისტია**».

მეორე მხრივ, ტროცკი ივლისში აცხადებს:

«უეჭველია, რომ «ოქტომბრის გაკვეთილებში» მე პოლიტიკის ოპორტუნისტულ გადახვევებს ზინოვიევისა და კამენევის სახელებს ვუკავშირებდი. როგორც ცენტრალურ კომიტეტში გაჩაღებული იდეუ-

ჯი ბრძოლის გამოცდილება მოწმობს, ეს უხეში შეცდომა იყო. ეს შეცდომა იმით აიხსნება, რომ მე შესაძლებლობა არ მქონდა თვალყური მედევნებინა იდეური ბრძოლისათვის შვიდეულის შიგნით და დროზე გამომერკვია, რომ ოპორტუნისტულ გადახვევებს იწვევს ის ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ამხ. სტალინი ამხ. ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ».

ეს იმას ნიშნავს, რომ ტროცკიმ აშკარად უარყო თავისი გახმაურებული «ოქტომბრის გაკვეთილები» და ამით «ამნისტია» უწყალობა ზინოვიევსა და კამენევს იმ «ამნისტიის» სანაცვლოდ, რაც მან კამენევისა და ზინოვიევისაგან მიიღო.

ეს არის პირდაპირი და აშკარა უპრინციპო მორიგება.

ამრიგად, აპრილის შენიშვნების უარყოფა და ურთიერთი «ამნისტია» პარტიის პრინციპების ხარჯზე, — აი ის ელემენტები, რომლებმაც განსაზღვრეს ბლოკის სრული ჩამოყალიბება, როგორც პარტიის წინააღმდეგ მიმართული ბლოკისა.

8. მესამე ეტაპი

მესამე ეტაპი ბლოკის განვითარებაში — ეს არის ოპოზიციის აშკარა გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ ამა წლის სექტემბრის დამლევს და ოქტომბრის დამდეგს მოსკოვსა და ლენინგრადში, ეს ის პერიოდია, როცა ბლოკის ლიდერები, რომლებმაც იქ, სამხრეთში დაისვენეს და ძალღონე მოიკრიბეს, ცენტრში დაბრუნდნენ და პირდაპირი იერიში მიიტანეს პარტიაზე. სანამ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის არალეგალური ფორმებიდან ბრძოლის აშკარა ფორმებზე გადავიდოდნენ, თურმე ისინი აქ, პოლიტბიუროში (მაშინ მე მოსკოვში არ ვიყავი) ამბობდნენ: «ჩვენ გიჩვენებთ სეირს, ჩვენ მუშათა კრებებზე წავალთ, და მუშებმა თქვან, ვინ არის მართალი, ჩვენ სეირს გიჩვენებთო». და ისინი შეუდგნენ უჯრედიდან უჯრედში მოგ-

ზაურობას. მაგრამ ამ გამოსვლის შედეგები, როგორც იცით, ოპოზიციისათვის სავალალო აღმოჩნდა. თქვენ იცით, რომ ისინი დამარცხდნენ. პრესიდან ცნობილია, რომ როგორც ლენინგრადში, ისე მოსკოვში, როგორც საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში, ისე არასამრეწველო რაიონებში პარტიულმა მასებმა გადაჭრით უკუაგდეს ოპოზიციური ბლოკი. რამდენი ხმა მიიღო ოპოზიციამ, რამდენმა დაუჭირა მხარი ცენტრალურ კომიტეტს, ამის განმეორებას არ შევუდგები, ეს ცნობილია პრესიდან. ერთი რამ ცხადია — ოპოზიციური ბლოკის ვარაუდები არ გამართლდა. ამ მომენტიდან იწყება ოპოზიციის მობრუნება პარტიაში მშვიდობისაკენ. ოპოზიციის დამარცხებას, ეტყობა, ამაოდ არ ჩაუვლია. ეს მოხდა 4 ოქტომბერს, როცა ოპოზიციამ ცენტრალურ კომიტეტში შემოიტანა განცხადება ზავის შესახებ და როცა, ლანძღვა-გინებისა და იერიშების შემდეგ, პირველად მოვისმინეთ ოპოზიციისაგან ისეთი სიტყვები, რომლებიც პარტიელთა სიტყვებს მოგაგონებდა: დროა «შინაპარტიული შუღლი» შევწყვიტოთ და «ერთობლივი მუშაობა» მოვაგვაროთო.

ამრიგად, ოპოზიცია, რაკი დამარცხდა, იძულებული გახდა მისულიყო იმასთან, რისკენაც ცენტრალური კომიტეტი მას არაერთგზის მოუწოდებდა, — პარტიაში მშვიდობის საკითხთან.

ბუნებრივია, რომ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ერთგულია XIV ყრილობის დირექტივებისა ერთიანობის აუცილებლობის შესახებ, ხალისით დაეთანხმა ოპოზიციის წინადადებას, თუმცა იცოდა, რომ ოპოზიციის წინადადება მთლად გულწრფელი არ იყო.

4. მეოთხე ეტაპი

მეოთხე ეტაპია ის პერიოდი, როცა გამომუშავებულ იქნა ოპოზიციის ლიდერების ამა წლის 16 ოქტომბრის ცნობილი «განცხადება». ჩვეულებრივ მას შეფასებას აძლევენ როგორც კაპიტულაციას. მე მას მკვეთრ შეფასებას არ მივცემ, მაგრამ ცხადია, რომ ეს განცხადება ოპოზიციური ბლოკის გამარჯვებებს კი არ მოწმობს, არამედ მის დამარცხებას. ჩვენი მოლაპარაკების ისტორიას არ მოგიყვებით, ამხანაგებო. მოლაპარაკება სტენოგრაფიულად იწერებოდა, და თქვენ შესაძლებლობა გაქვთ სტენოგრამის მიხედვით გაეცნოთ ამ საქმეს. მინდა შევჩერდე მხოლოდ ერთ ინციდენტზე. ოპოზიციური ბლოკი წინადადებას იძლეოდა «განცხადების» პირველ აბზაცში ნათქვამი ყოფილიყო, რომ ისინი თავიანთ შეხედულებებს ინარჩუნებენ, და არა მარტო ინარჩუნებენ, არამედ «მთლიანად» თავიანთ ძველ პოზიციებზე რჩებიან. ჩვენ ვარწმუნებდით ოპოზიციურ ბლოკს დაჟინებით არ მოეთხოვა ეს. რატომ? ორი მიზეზით.

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ თუ მათ, უარყვეს რა ფრაქციულობა, ამასთან ერთად უარყვეს ფრაქციათა თავისუფლების თეორია და პრაქტიკა, გაემიჯნენ ოსოვსკის, «მუშათა ოპოზიციას», მასლოვ-ურბანსის ჯგუფს, — ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციამ ამით ხელი აიღო არა მარტო ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე, არამედ ზოგიერთ პოლიტიკურ პოზიციაზეც. განა შეიძლება ამის შემდეგ იმის თქმა, რომ ოპოზიციური ბლოკი «მთლიანად» ინარჩუნებს თავის მცდარ შეხედულებებს, თავის იდეურ პოზიციებს? რასაკვირველია, არ შეიძლება.

მეორეც, ჩვენ ვეუბნებოდით ოპოზიციას, რომ თვითონ მისთვის ხელსაყრელი არ არის გაჰყვიროდეს, რომ ისინი, ოპოზიციონერები, ძველ პოზიციებზე რჩებიან, თანაც «მთლიანად», ვინაიდან მუშები იტყვიან და სრული სა-

ფუძველიც ექნებათ თქვან: «მაშ ოპოზიციონერებს კვლავაც ჩხუბი სდომებიათ, მაშ ცოტა მოხვედრიათ, მაშ კვლავაც უნდა ვცემოთო». (ს ი ც ი ლ ი, შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!»). მიუხედავად ამისა, ისინი არ დაგვეთანხმნენ, მიიღეს წინადადება — ამოეღოთ მხოლოდ სიტყვა «მთლიანად» და დატოვეს ფრაზა იმის შესახებ, რომ ისინი ძველ პოზიციებზე რჩებიან. ახლა თვითონ გამოასწორონ ის საქმე, რაც მათ ამით თავისდა საუბედუროდ აწეწ-დაწეწეს. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»).

5. ლენინი და პარტიაში ბლოკის საკითხი

ზინოვიევი ამ ცოტა ხნის წინათ ამბობდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს საფუძველი არა აქვს ემდუროდეს მათს ბლოკს, ვინაიდან ილიჩი თითქოს საერთოდ იწონებდა ბლოკებს პარტიაში. მე უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ზინოვიევის განცხადებას საერთო არა აქვს რა ლენინის პოზიციასთან. ლენინს არასოდეს არ მოუწონებია ყოველნაირი ბლოკი პარტიაში. ლენინი მომხრე იყო მხოლოდ პრინციპული და რევოლუციური ბლოკებისა მენშევიკების, ლიკვიდატორების, ოტზოვისტების წინააღმდეგ. ლენინი ყოველთვის იბრძოდა პარტიაში უპრინციპო და ანტიპარტიული ბლოკების წინააღმდეგ. ვინ არ იცის, რომ ლენინი სამ წელიწადს იბრძოდა ტროცკის აგვისტოს ბლოკის წინააღმდეგ, მასზე სრულ გამარჯვებამდე, როგორც ანტიპარტიული და უპრინციპო ბლოკის წინააღმდეგ. ილიჩი არასოდეს არ ყოფილა ყოველნაირი ბლოკის მომხრე. ილიჩი მხარს უჭერდა მხოლოდ ისეთ ბლოკებს პარტიაში, რომლებიც, ჯერ-ერთი, პრინციპული არიან, და, მეორეც, რომლებიც მიზნად ისახავენ პარტიის განმტკიცებას ლიკვიდატორების წინააღმდეგ, მენშევიკების წინააღმდეგ, მერყევი ელემენტების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ისტორიაში ცნობილია ცდა ლენინელების ასეთი ბლოკისა პლე-

ხანოველებთან (ეს იყო 1910 — 1912 წლებში) ლიკვიდატორთა ბლოკის წინააღმდეგ, როცა პარტიის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა აგვისტოს ბლოკი, რომელშიც შედიოდნენ პოტრესოვი და სხვა ლიკვიდატორები, ალექსინსკი და სხვა ოტზოვისტები, და რომელსაც სათავეში ედგა ტროცკი. იყო ერთი ბლოკი, ანტიპარტიული ბლოკი, აგვისტოს უპრინციპო, ავანტიურისტული ბლოკი, და იყო მეორე ბლოკი, ლენინელთა ბლოკი პლეხანოველებთან, ე. ი. რევოლუციურ მენშევიკებთან (მაშინ პლეხანოვი რევოლუციური მენშევიკი იყო). აი ასეთ ბლოკებს ცნობდა ლენინი, და ჩვენ ყველანი ვცნობთ ასეთ ბლოკებს.

თუ ბლოკი პარტიის შიგნით აძლიერებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და წინ მიჰყავს იგი, ჩვენ მისი, ასეთი ბლოკის მომხრე ვართ. ხოლო თქვენი ბლოკი, პატივცემულო ოპოზიციონერებო, განა იგი, ეს ბლოკი, აძლიერებს ჩვენი პარტიის ბრძოლისუნარიანობას, განა იგი, ეს ბლოკი, პრინციპულია? რა პრინციპები გაერთიანებთ თქვენ, ვთქვათ, მედვედევის ჯგუფთან? რა პრინციპები გაერთიანებთ თქვენ, ვთქვათ, სუვარინის ჯგუფთან საფრანგეთში ან მასლოვის ჯგუფთან გერმანიაში? რა პრინციპები გაერთიანებთ თვითონ თქვენ, «ახალ ოპოზიციას», რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ტროცკიზმს მენშევიზმის ნაირსახეობად თვლიდა, ტროცკისტებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ «ახალი ოპოზიციის» ლიდერებს ოპორტუნისტებად თვლიდნენ?

და შემდეგ, განა თქვენი ბლოკი მიმართულია პარტიისაკენ, პარტიის სასარგებლოდ და არა პარტიის წინააღმდეგ? განა თუნდაც იოტის ოდენად გააძლიერა მან ჩვენი პარტიის ბრძოლისუნარიანობა და რევოლუციურობა? ახლა ხომ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ თქვენი ბლოკის არსებობის 8 თუ 6 თვის განმავლობაში თქვენ უკან ეწეოდით პარტიას, «რევოლუციური» ფრაზისაკენ, უპრინცი-

პობისაკენ, თქვენ ცდილობდით დაგეშალათ პარტია და დამბლამდე, გათიშვამდე მიგეყვანათ იგი.

არა, ამხანაგებო, ოპოზიციურ ბლოკს საერთო არაფერი აქვს იმ ბლოკთან, რომელიც ლენინმა 1910 წელს პლეხანოველებთან დასდო ოპორტუნისტთა აგვისტოს ბლოკის წინააღმდეგ. პირიქით, ახლანდელი ოპოზიციური ბლოკი ძირითადად მოგვაგონებს ტროცკის აგვისტოს ბლოკს როგორც თავისი უპრინციპობით, ისე თავისი ოპორტუნისტული საფუძვლით.

ამრიგად, ასეთი ბლოკის მოწყობით ოპოზიციონერები ჩამოშორდნენ იმ ძირითად ხაზს, რომლის გატარებასაც ლენინი ცდილობდა. ლენინი ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ ყველაზე სწორი პოლიტიკა პრინციპული პოლიტიკაა. ოპოზიციამ, რომელიც ერთ ჯგუფად შეკოწწდა, პირიქით, გადაწყვიტა, რომ ყველაზე სწორი პოლიტიკა უპრინციპო პოლიტიკაა.

ამიტომ ოპოზიციური ბლოკი დიდხანს ვერ იარსებებს, იგი გარდუვალად უნდა დაირღვეს და დაიშალოს.

ასეთია ოპოზიციური ბლოკის განვითარების ეტაპები.

6. ოპოზიციური ბლოკის დაშლის პროცესი

რით ხასიათდება ახლა ოპოზიციური ბლოკის მდგომარეობა? იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ისეთი მდგომარეობა, როცა ბლოკი თანდათანობით ირღვევა, როცა ბლოკს თანდათანობით სცილდებიან მისი შემადგენელი ელემენტები, როცა ბლოკი იშლება. მხოლოდ ასე შეიძლება დავახასიათოთ ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი მდგომარეობა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან უპრინციპო ბლოკი, ოპორტუნისტული ბლოკი ჩვენი პარტიის რიგებში დიდხანს ვერ იარსებებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მასლოვისა და ურბანისის ჯგუფი ოპოზიციურ ბლოკს შორდება. ჩვენ უკვე მოვისმინეთ გუშინ, რომ მედვედევმა და

შლიაპნიკოვმა უარყვეს მათ მიერ ჩადენილი ცოდვები და შორდებიან ბლოკს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ბლოკის შიგნით, ე. ი. «ახალ» ოპოზიციასა და «ძველ» ოპოზიციას შორის, აგრეთვე არის უთანხმოება, რომელმაც თავი უნდა იჩინოს ამ კონფერენციაზე.

ამრიგად, გამოდის, რომ ბლოკი კი ჩამოაყალიბეს და დიდი ამბითაც ჩამოაყალიბეს, მაგრამ შედეგი იმის საწინააღმდეგო მიიღეს, რასაც ბლოკისაგან მოელოდნენ. რა თქმა უნდა, არითმეტიკის თვალსაზრისით მათ პლუსი უნდა მიეღოთ, ვინაიდან ძალთა შეკრება პლუსს იძლევა, მაგრამ ოპოზიციონერებმა ის ვერ გაითვალისწინეს, რომ, გარდა არითმეტიკისა, არსებობს კიდევ ალგებრა, რომ ალგებრაში ძალთა ყოველი შეკრება როდი იძლევა პლუსს (ს ი ც ი ლ ი), ვინაიდან საქმე დამოკიდებულია არა მარტო ძალთა შეკრებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ნიშნებია დასმული შესაკრებთა წინ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი). გამოვიდა ის, რომ ისინი, არითმეტიკაში ძლიერნი, სუსტნი აღმოჩნდნენ ალგებრაში, ამასთან მათ ძალთა შეკრებით ვერა თუ ვერ გაადიდეს თავიანთი არმია, არამედ, პირიქით, მინიმუმამდე დაიყვანეს, დაშლამდე მიიყვანეს იგი.

რით იყო ძლიერი ზინოვიევის ჯგუფი?

იმით, რომ გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ტროცკიზმის საფუძვლების წინააღმდეგ. მაგრამ როგორც კი ზინოვიევის ჯგუფმა ხელი აიღო ტროცკიზმთან ბრძოლაზე, მან, ასე ვთქვათ, თავი დაისაჭურისა, თავი დაიუძლურა.

რით იყო ძლიერი ტროცკის ჯგუფი?

იმით, რომ გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ზინოვიევისა და კამენევის შეცდომების წინააღმდეგ 1917 წლის ოქტომბერში და ამ შეცდომების რეციდივის წინააღმდეგ ამჟამად. მაგრამ როგორც კი ამ ჯგუფმა ხელი აიღო ზინოვიევისა და კამენევის გადახრასთან ბრძოლაზე, მან თავი დაისაჭურისა, თავი დაიუძლურა.

გამოვიდა დასაჭურისებულთა ძალების შეკრება. (ს ი ც ი ლ ი, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ცხადია, რომ აქედან შერცხვენის მეტი ვერაფერი გამოვიდოდა. ცხადია, რომ ზინოვიევის ჯგუფის ყველაზე პატიოსანი ადამიანები ამის შემდეგ ზინოვიევს უნდა ჩამოშორებოდნენ, ისევე როგორც ტროცკისტთა შორის ყველაზე უკეთეს ადამიანებს უნდა მიეტოვებინათ ტროცკი.

7. რაზე ამყარებს იმედს ოპოზიციური გლოკი?

როგორია ოპოზიციის პერსპექტივები? რაზე ამყარებენ ისინი იმედს? მე ვფიქრობ, რომ ისინი იმედს ამყარებენ ჩვენს ქვეყანასა და პარტიაში მდგომარეობის გაუარესებაზე. ახლა ისინი კვეცენ თავიანთ ფრაქციულ მუშაობას, ვინაიდან ახლა მათ «ძნელი» დროება დაუდგათ. მაგრამ თუ ისინი ხელს არ იღებენ თავიანთ პრინციპულ შეხედულებებზე, თუ მათ გადაწყვიტეს თავიანთ ძველ პოზიციებზე დარჩნენ, აქედან ის გამომდინარეობს, რომ ისინი მოლოდინში იქნებიან, დაელოდებიან «უკეთეს დროებას», როცა შესაძლებელი იქნება ძალები მოიკრიბონ და კვლავ გამოვიდნენ პარტიის წინააღმდეგ. ეს სავსებით უეჭველია.

ამას წინათ პარტიის მხარეზე გადმოსულმა ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა, მუშა ანდრეევმა, ოპოზიციის გეგმების შესახებ გვაცნობა საინტერესო რამ, რაც, ჩემი აზრით, საჭიროა აღინიშნოს კონფერენციაზე. აი რას მოგვითხრობდა ამის შესახებ ამხ. იაროსლავსკი თავის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმზე:

«ანდრეევი, რომელიც საკმაოდ დიდხანს ეწეოდა მუშაობას ოპოზიციაში, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ აღარ შეუძლია იმუშაოს მათთან. ამ დასკვნამდე იგი მიიყვანა უმთავრესად იმ გარემოე-

ბამ, რომ ოპოზიციისაგან მოისმინა ორი რამ: პირველი — ის, რომ ოპოზიცია წააწყდა მუშათა კლასის «რეაქციულ» განწყობილებას, ხოლო მეორე — ის, რომ ეკონომიური მდგომარეობა ისე ცუდი არ აღმოჩნდა, როგორც ისინი ფიქრობდნენ».

მე ვფიქრობ, რომ ანდრეევმა, ყოფილმა ოპოზიციონერმა და ახლა კი პარტიელმა, გამოთქვა ის, რაც ოპოზიციას გულში აქვს, და რის აშკარად თქმასაც იგი ვერ გაბედავს. ისინი, ცხადია, გრძნობენ, რომ ეკონომიური მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე ისინი ფიქრობდნენ, ხოლო მუშების განწყობილება ისე ცუდი არ არის, როგორც მათ უნდათ. აქედან წარმოსდგება «მუშაობის» დროებით შეკვეცის პოლიტიკა. ცხადია, რომ თუ შემდეგ ეკონომიური მდგომარეობა რამდენადმე გამწვავდა, — რაშიაც ოპოზიციონერები დარწმუნებული არიან, — და ამასთან დაკავშირებით მუშების განწყობილება გაუარესდა, — რაშიაც ისინი აგრეთვე დარწმუნებული არიან, — ისინი დაუყოვნებლივ გააჩაღებენ «მუშაობას», გაშლიან თავიანთ იდეურ პოზიციებს, რომლებზეც ხელი არ აუღიათ, და დაიწყებენ აშკარა ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ.

აი როგორი პერსპექტივები აქვს, ამხანაგებო, ოპოზიციურ ბლოკს, რომელიც ირღვევა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაშლილა და, შეიძლება ითქვას, მალე როდი დაიშლება, თუ პარტიამ გადამწყვეტი და ულმობელი ბრძოლა არ გააჩაღა მის წინააღმდეგ.

მაგრამ რაკი ისინი ბრძოლისათვის ემზადებიან და «უკეთეს დროებას» ელოდებიან იმისათვის, რომ განაახლონ აშკარა ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, პარტიამაც უდარდელობა როდი უნდა გამოიჩინოს. აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანები: აწარმოოს გადამწყვეტი იდეური ბრძოლა ოპოზიციის მცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზეც ოპოზიცია რჩება, გამოააშკარაოს ამ იდეების ოპორტუნისტული არსი, რა «რე-

ცოლუციური» ფრაზებითაც არ უნდა ფარავდნენ მათ, და ისე წარმართოს საქმე, რომ ოპოზიცია იძულებული გახდეს უარყოს თავისი შეცდომები საბოლოო განადგურების შიშით.

II

ოპოზიციური ბლოკის ძირითადი შეცდომა

გადავდივარ, ამხანაგებო, მეორე საკითხზე, ოპოზიციური ბლოკის ძირითადი შეცდომის საკითხზე ძირითად საკითხში — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

ძირითადი საკითხი, რომელიც პარტიას ოპოზიციური ბლოკისაგან ყოფს, — ეს არის საკითხი, შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ან, რაც იგივეა, როგორია ჩვენი რევოლუციის ხასიათი და როგორია მისი პერსპექტივები.

ეს საკითხი ახალი არ არის, იგი მეტად თუ ნაკლებად დაწვრილებით განხილულია, სხვათა შორის, 1925 წლის აპრილის კონფერენციაზე, XIV კონფერენციაზე. ახლა, ახალ ვითარებაში, იგი კვლავ ამოტივტივდა, და ჩვენ მოგვიხდება უშუალოდ მოვკიდოთ ხელი ამ საკითხს, ამასთან, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების ამასწინანდელ გაერთიანებულ სხდომაზე ტროცკიმ და კამენევმა წამოაყენეს ბრალდება, რომ თეზისებში ოპოზიციური ბლოკის შესახებ არასწორად არის გადმოცემული მათი შეხედულებანი, მე იძულებული ვარ ჩემს მოხსენებაში მოვიყვანო მთელი რიგი დოკუმენტები და ციტატები, რომლებიც ადასტურებენ ოპოზიციური ბლოკის შესახებ თეზისების ძირითად დებულებებს. წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი, ამხანაგებო, მაგრამ იძულებული ვარ ასე მოვიქცე.

ჩვენს წინაშე დგას სამი საკითხი:

1) შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა, რომ პროლეტარულ რევოლუციას სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია, რომ მსოფლიო რევოლუციის ტემპი შენელდა.

2) თუ იგი, ეს გამარჯვება, შესაძლებელია, შეიძლება თუ არა ასეთ გამარჯვებას სრული, საბოლოო გამარჯვება ეწოდოს.

3) თუ ასეთ გამარჯვებას არ შეიძლება საბოლოო ეწოდოს, რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ იგი, ეს გამარჯვება, საბოლოო გახდეს.

ასეთია სამი საკითხი, რომლებიც ერთიანდება საერთო საკითხად — ერთ ქვეყანაში, ე. ი. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხად.

1. წინასწარი შენიშვნები

როგორ წყვეტდნენ მარქსისტები ამ საკითხს წინათ, ვთქვათ, გასული საუკუნის 40-იან წლებში, 50 — 60-იან წლებში, საერთოდ იმ პერიოდში, როცა მონოპოლისტური კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ არსებობდა, როცა კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონი ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ იყო და არც შეიძლებოდა აღმოჩენილი ყოფილიყო, როცა ამასთან დაკავშირებით ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი ჯერ კიდევ არ იყო დაყენებული იმ სახით, როგორც იგი დაყენებულ იქნა შემდეგში? ჩვენ ყველანი, მარქსისტები, მარქსით და ენგელსით დაწყებული, მაშინ იმ აზრისა ვიყავით, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გასამარჯვებლად აუცილებლად საჭიროა ერთდროული რევოლუცია მთელ რიგ

ქვეყნებში, მთელ რიგ ყველაზე განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში მაინც. და ეს სწორი იყო მაშინ. ამ შეხედულებათა დასახასიათებლად მე მინდა მოვიყვანო ერთი დამახასიათებელი ციტატა ენგელსის მონასახიდან «კომუნიზმის პრინციპები», სადაც საკითხი დაყენებულია უაღრესად მკვეთრი ფორმით. ეს მონასახი შემდეგ «კომუნისტური მანიფესტის» საფუძველი გახდა. იგი დაწერილია 1847 წელს. აი რას ამბობს ენგელსი ამ მონასახში, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა.

«შეიძლება თუ არა ეს რევოლუცია (ე. ი. პროლეტარიატის რევოლუცია. **ი. სტ.**) ერთ რომელიმე ქვეყანაში **მოხდეს?**

პასუხი: **არა.** მსხვილმა მრეწველობამ უკვე იმით, რომ მსოფლიო ბაზარი შექმნა, ისე დააკავშირა ერთმანეთთან დედამიწის ყველა ხალხი, განსაკუთრებით ცივილიზებული ხალხები, რომ თვითეული მათგანი დამოკიდებულია იმაზე, რაც მეორისას ხდება. შემდეგ მსხვილმა მრეწველობამ ისე გაათანაბრა საზოგადოებრივი განვითარება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ყველგან გადაიქცნენ საზოგადოების ორ გადამწყვეტ კლასად და მათ შორის ბრძოლა — ჩვენი დროის მთავარ ბრძოლად. **ამიტომ კომუნისტური რევოლუცია არა მარტო ნაციონალური იქნება, არამედ ერთდროულად მოხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი., ყოველ შემთხვევაში, ინგლისსა, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში.** თვითეულ ამ ქვეყანაში იგი უფრო ჩქარა ან უფრო ნელა განვითარდება, იმის მიხედვით, თუ ამ ქვეყნებიდან რომელში უფრო განვითარებულია მრეწველობა, დაგროვებულია მეტი სიმდიდრე და საწარმოო ძალთა უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობა არის. ამიტომ იგი ყველაზე ნელა და ყველაზე ძნელად განხორციელდება გერმანიაში, ყველაზე სწრაფად და იოლად ინგლისში. იგი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს აგრეთვე მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე და სრულიად შეცვლის და უაღრესად დააჩქარებს მათი განვითარების წინანდელ მსვლელობას. იგი მსოფლიო რევოლუციაა და ამიტომ მას მსოფლიო ასპარეზი ექნება» * (ფ. **ენგელსი**, «კომუნიზმის პრინციპები». იხ. «კომუნისტური მანიფესტი», სახელმწიფო გამომცემლობა, 1923 წ., გვ. 317).

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ეს დაწერილია გასული საუკუნის 40-იან წლებში, როცა მონოპოლისტური კაპიტალიზმი კიდევ არ არსებობდა. დამახასიათებელია, რომ აქ რუსეთი ნახსენებიც არ არის, რუსეთი საერთოდ არა ჩანს. და ეს სავსებით გასაგებია, რადგან რუსეთი თავისი რევოლუციური პროლეტარიატით, რუსეთი, როგორც რევოლუციური ძალა, მაშინ კიდევ არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სწორი იყო თუ არა ის, რაც ნათქვამია აქ, ამ ციტატაში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, სწორი იყო თუ არა ეს იმ პერიოდში, როცა ენგელსი ამას წერდა? დიახ, სწორი იყო.

სწორია თუ არა ეს დებულება ახლა, მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ახალ პირობებში? არა, აღარ არის სწორი.

ძველ პერიოდში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, წინაიმპერიალისტურ პერიოდში, როცა დედამიწა კიდევ არ იყო განაწილებული საფინანსო ჯგუფებს შორის, როცა უკვე განაწილებულის ძალდატანებით ხელახლა განაწილება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა კაპიტალიზმის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, როცა ეკონომიური განვითარების უთანაბრობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისე მწვავე, როგორც შემდეგ გახდა, როცა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს კიდევ არ მიეღწიათ განვითარების იმ ზომამდე, როცა ისინი აყვავებულ კაპიტალიზმს მომაკვდავ კაპიტალიზმად აქცევენ და შესაძლებელს ხდიან სოციალიზმის გამარჯვებას ცალკეულ ქვეყნებში, — ამ ძველ პერიოდში ენგელსის ფორმულა უდავოდ სწორი იყო. ახალ პერიოდში, იმპერიალიზმის განვითარების პერიოდში, როცა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა იმპერიალისტური განვითარების გადამწყვეტ ძალად იქცა, როცა იმპერიალისტებს შორის გარდუვალი კონფლიქტები და ომები ასუსტებენ

იმპერიალიზმის ფრონტს და შესაძლებელს ხდიან მის გარღვევას ცალკეულ ქვეყნებში, როცა ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონი განვითარების უთანაბრობის შესახებ გადაიქცა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების თეორიის გამოსავალ პუნქტად, — ამ პირობებში ენგელსის ძველი ფორმულა უკვე არასწორი ხდება, ამ პირობებში იგი აუცილებლად შეცვლილი უნდა იქნას სხვა ფორმულით, რომელშიც ლაპარაკია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე.

ლენინის, როგორც მარქსისა და ენგელსის განმგრძობის, სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა მარქსიზმის ასოს მონა. თავის გამოკვლევებში იგი ასრულებდა მარქსის მითითებას, რომელსაც არა ერთხელ უთქვამს, რომ მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. ლენინმა იცოდა ეს და ზუსტად განასხვავებდა ერთმანეთისაგან მარქსიზმის ასოსა და არსს, არასოდეს არ თვლიდა მარქსიზმს დოგმად, არამედ ცდილობდა გამოეყენებინა მარქსიზმი, როგორც ძირითადი მეთოდი, კაპიტალისტური განვითარების ახალ ვითარებაში. ლენინის სიდიადე სწორედ ის არის, რომ მან აშკარად და პატიოსნად, უყოყმანოდ, დააყენა საკითხი, რომ საჭიროა ახალი ფორმულა ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, არ შეუშინდა იმას, რომ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები ჩაებღაუჭებოდნენ ძველ ფორმულას, შეეცდებოდნენ მარქსისა და ენგელსის სახელით დაეფარათ თავიანთი ოპორტუნისტული საქმე.

მეორე მხრივ, უცნაური იქნებოდა მოგვეთხოვა მარქსისა და ენგელსისაგან, რა გენიალური მოაზროვნენიც უნდა იყვნენ ისინი, რომ მათ განვითარებულ მონოპოლისტურ კაპიტალიზმამდე 50 — 60 წლით ადრე ზუსტად გაეთვალისწინებინათ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძო-

ლის ყველა ის შესაძლებლობანი, რომლებიც მონოპოლისტური, იმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში გაჩნდა.

და ეს პირველი შემთხვევა როდია, რომ ლენინი, ეყრდნობა რა მარქსის მეთოდს, განაგრძობს მარქსისა და ენგელსის საქმეს, ისე რომ არ ებღაუჭება მარქსიზმის ასოს. მხედველობაში მაქვს მეორე ანალოგიური შემთხვევა, სახელდობრ — პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში. როგორც ცნობილია, ამ საკითხზე მარქსმა ის აზრი გამოთქვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახალი აპარატის, ახალი პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა, აუცილებელი ეტაპია სოციალიზმისაკენ განვითარებისა კონტინენტის ქვეყნებში, ამასთან გამონაკლისი დაუშვა ინგლისისა და ამერიკისათვის, სადაც, მარქსის განცხადებით, მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი სუსტად არიან განვითარებულნი ან სულაც არ არიან განვითარებულნი და სადაც, ამიტომ, შესაძლებელია სხვა გზა, «მშვიდობიანი» გზა სოციალიზმზე გადასვლისა. ეს სავსებით სწორი იყო 70-იან წლებში. (რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი: «მაშინაც არ იყო სწორი»). მე ვფიქრობ, რომ 70-იან წლებში, როცა მილიტარიზმი ინგლისსა და ამერიკაში ისე განვითარებული არ იყო, როგორც შემდეგში განვითარდა, — ეს დებულება სავსებით სწორი იყო. ეს დებულება რომ სწორი იყო, ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ ამხ. ლენინის ბროშურის «სასურსათო გადასახადის შესახებ»[93] ცნობილი თავის მიხედვით, სადაც ლენინი გამორიცხულად არ თვლის სოციალიზმის განვითარებას 70-იანი წლების ინგლისში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეთანხმების გზით იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი უმრავლესობას შეადგენს, სადაც ბურჟუაზია მიჩვეულია კომპრომისებზე წასვლას, სადაც მილიტარიზმი სუსტი იყო, ბიუროკრატია სუსტი იყო. მაგრამ ეს დებულება, რომე-

ლიც სწორი იყო გასული საუკუნის 70-იან წლებში, უკვე არასწორი გახდა XIX საუკუნის შემდეგ, იმპერიალიზმის პერიოდში, როცა ინგლისი არა ნაკლებ ბიუროკრატიული და არა ნაკლებ, თუ არა უმეტეს, მილიტარისტული გახდა, ვიდრე კონტინენტის ყოველი სხვა ქვეყანა. ამასთან დაკავშირებით ამხ. ლენინი თავის ბროშურაში «სახელმწიფო და რევოლუცია» ამბობს, რომ მარქსის შენიშვნა კონტინენტით შემოზღუდვის შესახებ ახლა მოხსნილია[84], იმიტომ რომ დადგა ახალი პირობები, რომლებიც ზედმეტს ხდიან ინგლისისათვის დაშვებულ გამონაკლისს.

ლენინის სიდიადე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მარქსიზმის ასოს ტყვედ როდი იხდიდა თავს, არამედ უნარი ჰქონდა ჩასწვდომოდა მარქსიზმის არსს და მასზე დაყრდნობით შემდგომ განევითარებინა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება.

აი როგორი იყო, ამხანაგებო, საქმის ვითარება წინა-იმპერიალისტურ პერიოდში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხის მხრივ.

2. ლენინიზმი თუ ტროცკიზმი?

მარქსისტებში ლენინი **პირველი** იყო, რომელმაც ნამდვილად მარქსისტული ანალიზი გაუკეთა იმპერიალიზმს, როგორც კაპიტალიზმის ახალ, უკანასკნელ ფაზას, ახლებურად დააყენა საკითხი **ცალკეულ** კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და იგი **დადებითად** გადაწყვიტა. მე მხედველობაში მაქვს ლენინის ბროშურა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». მე მხედველობაში მაქვს ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», რომელიც 1915 წელს გამოვიდა. მხედველობაში მაქვს პოლემიკა ტროცკისა და ლენინს შორის

ევროპის ან მთელი მსოფლიოს შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, როცა ლენინმა პირველად წამოაყენა თეზისი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

აი რას წერდა მაშინ ლენინი ამ სტატიაში:

«მაგრამ მსოფლიოს შეერთებული შტატების ლოზუნგი, როგორც დაზუსტებული ლოზუნგი, არა გვგონია სწორი იყოს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი ერთვის სოციალიზმს; მეორეც, იმიტომ, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს უმართებულო ლაპარაკი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და დანარჩენ ქვეყნებთან ასეთი ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ. ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» ...ვინაიდან «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

ასე წერდა ლენინი 1915 წელს.

რა კანონია კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების ეს კანონი, რომლის მოქმედებაც იმპერიალიზმის პირობებში ქმნის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას?

როცა ამ კანონზე ლაპარაკობდა, ლენინი ემყარებოდა იმას, რომ ძველი, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი უკვე გადაიზარდა იმპერიალიზმად; რომ მსოფლიო მეურნეობა ვითარდება ტერიტორიებისათვის, ბაზრებისათვის,

ნედლეულისათვის და სხვ. უმთავრესი იმპერიალისტური ჯგუფების გააფთრებული ბრძოლის პირობებში; რომ მსოფლიოს განაწილება იმპერიალისტური ჯგუფების გავლენის სფეროებად უკვე დამთავრებულია; რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარება მიმდინარეობს არა თანაბრად, არა ისე, რომ ერთი მიჰყვებოდეს მეორეს ან მიდიოდეს მეორის პარალელურად, არამედ მიმდინარეობს ნახტომისებურად, წინათ წინწასული ზოგიერთი ქვეყნის ჩამოცილებისა და პირველ რიგში ახალი ქვეყნების წამოწევის გზით; რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ასეთი წესი გარდუვალად იწვევს კონფლიქტებსა და ომებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის უკვე განაწილებული მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის; რომ ეს კონფლიქტები და ომები იწვევენ იმპერიალიზმის შესუსტებას; რომ ამასთან დაკავშირებით იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტი ადვილად დასაზიანებელი და გასარღვევი ხდება ამა თუ იმ ქვეყანაში; რომ ამის გამო შესაძლებელი ხდება სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ინგლისი ყველა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოზე წინ მიდიოდა. ცნობილია აგრეთვე, რომ შემდეგში გერმანიამ იწყო ინგლისის გასწრება და თავისთვის ადგილს მოითხოვდა «მზის ქვეშ» სხვა სახელმწიფოების და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის ხარჯზე. ცნობილია, რომ იმპერიალისტური ომი (1914 — 1918 წწ.) სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ახლა, იმპერიალისტური ომის შემდეგ, ამერიკა ძლიერ წავიდა წინ, მან უკან მოიტოვა როგორც ინგლისი, ისე ევროპის სხვა სახელმწიფოები. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს გარემოება ახალი დიდი კონფლიქტებისა და ომების საფრთხეს შეიცავს.

ის გარემოება, რომ იმპერიალისტური ფრონტი იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით გარღვეულ იქნა რუ-

სეთში, ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე პირობებში იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი აუცილებლად იმ ქვეყანაში როდი გაწყდება, სადაც მრეწველობა ყველაზე მეტად არის განვითარებული, არამედ იქ, სადაც ეს ჯაჭვი უფრო სუსტია, სადაც პროლეტარიატს იმპერიალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ჰყავს სერიოზული მოკავშირე, მაგალითად, გლეხობა, როგორც ეს რუსეთში იყო.

სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალში იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი გაირღვევა ერთ-ერთ ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის, ვთქვათ, ინდოეთი, სადაც პროლეტარიატს ჰყავს სერიოზული მოკავშირე მძლავრი რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ რომ ლაპარაკობდა, ლენინი ეკამათებოდა, როგორც ცნობილია, უწინარეს ყოვლისა, ტროცკის ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატიას.

როგორ გამოეხმაურა ტროცკი ლენინის სტატიას და ლენინის თეზისს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ?

აი რას წერდა მაშინ ტროცკი (1915 წელს) ლენინის სტატიის პასუხად:

«ერთადერთი რამდენადმე კონკრეტული ისტორიული მოსაზრება, — ამბობს ტროცკი, — შეერთებული შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ ფორმულირებული იყო შვეიცარიულ «სოციალ-დემოკრატში» (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო, სადაც დაბეჭდილი იყო ლენინის ზემოხსენებული სტატია. ი. ს ტ.) შემდეგი ფრაზით: «ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია». აქედან «სოციალ-დემოკრატს» ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაში და რომ ამიტომ საჭირო არ არის თვითეულ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინაპირობად ევროპის შეერთებული შტატების შექმნა მივიჩნიოთო. სხვადასხვა

ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება რომ უთანაბროა, ეს სავსებით უდავო მოსაზრებაა. მაგრამ თვით ეს უთანაბრობაც მეტად უთანაბროა. ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის ან საფრანგეთის კაპიტალისტური დონე არ არის ერთგვარი. მაგრამ აფრიკასა და აზიასთან შედარებით ყველა ეს ქვეყანა წარმოადგენს სოციალური რევოლუციისათვის მომწიფებულ კაპიტალისტურ «ევროპას». არც ერთი ქვეყანა რომ არ უნდა «უცდიდეს» სხვა ქვეყნებს თავის ბრძოლაში, — ეს ელემენტარული აზრია, რომლის გამეორება სასარგებლო და საჭიროა, რათა პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა არ შეცვალოს ინტერნაციონალური დაცდითი უმოქმედობის იდეამ. არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც, — რომ, მაგალითად, რევოლუციური **რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას**, ან სოციალისტური გერმანია შესძლებს განმარტოებულ არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში» * (იხ. ტროცკის თხზ., ტ. III, ნ. 1, გვ. 89 — 90).

ასე წერდა ტროცკი 1915 წელს პარიზის გაზეთ «ნაშე სლოვოში» [65], ამასთან ეს სტატია შემდეგ გადაიბეჭდა რუსეთში ტროცკის სტატიების კრებულში, რომელსაც ეწოდება «ზავის პროგრამა» და რომელიც პირველად 1917 წლის აგვისტოში გამოვიდა.

თქვენ ხედავთ, რომ ლენინისა და ტროცკის ამ ორ ციტატაში ერთმანეთს უპირდაპირდება ორი სულ სხვადასხვა თეზისი. მაშინ როდესაც ლენინს მიაჩნია, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, რომ პროლეტარიატს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ არა მარტო შეუძლია შეინარჩუნოს იგი, არამედ შეუძლია უფრო შორსაც წავიდეს, მოახდინოს კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა იმისათვის, რომ ქმედითი დახმარება გაუწიოს კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებს, — ტროცკის, პირ-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

იქით, მიაჩნია, რომ თუ ერთ ქვეყანაში გამარჯვებულმა რევოლუციამ უახლოეს ხანში არ გამოიწვია რევოლუციის გამარჯვება სხვა ქვეყნებში, გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატი ძალაუფლების შენარჩუნებასაც კი ვერ შესძლებს (იმაზე თუ აღარას ვიტყვით, რომ იგი ვერ შესძლებს მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა), ვინაიდან, ამბობს ტროცკი, უიმედოა იმის ფიქრი, რომ რევოლუციურმა ხელისუფლებამ რუსეთში შესძლოს გაუმკლავდეს კონსერვატიულ ევროპას.

ეს ორი სულ სხვადასხვა თვალსაზრისია, ორი სულ სხვადასხვა დებულებაა. ლენინის მიხედვით პროლეტარიატი, რომელსაც ძალაუფლება დაუპყრია, წარმოადგენს უაღრესად აქტიურ და ინიციატივიან ძალას, რომელიც სოციალისტურ მეურნეობას აწყობს და შემდეგ მხარს უჭერს სხვა ქვეყნების პროლეტარებს. ტროცკის მიხედვით, პირიქით, პროლეტარიატი, რომელსაც ძალაუფლება დაუპყრია, იქცევა ნახევრად-პასიურ ძალად, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ დახმარებას სხვა ქვეყნებში სოციალიზმის დაუყოვნებლივი გამარჯვების სახით და თავს ისე გრძნობს, თითქოს ბანაკად იმყოფებოდეს და ძალაუფლების დაუყოვნებლივი დაკარგვა ემუქრებოდეს. მაგრამ სხვა ქვეყნებში რევოლუციამ დაუყოვნებლივ რომ ვერ გაიმარჯვოს, — მაშინ როგორ უნდა მოიქცე? მაშინ მუშაობა უნდა შეწყვიტო. (ხმა ადგილიდან: «და ბუჩქებში მიიმალო»). დიახ, ბუჩქებში მიიმალო. ეს სავსებით სწორია. (სიცილი).

შეუძლიათ თქვან, ლენინისა და ტროცკის აზრთა ეს სხვადასხვაობა წარსულს ეკუთვნის, შემდეგ ეს სხვადასხვაობა მუშაობის მსვლელობაში შეიძლება მინიმუმამდე მისულიყო ან სულაც გამქრალიყოო. დიახ, შეიძლება მინიმუმამდე მისულიყო და კიდევაც გამქრალიყო. მაგრამ, სამ-

წუხაროდ, არც ერთი მომხდარა, არც მეორე. პირიქით, ეს სხვადასხვაობა მთლიანად დარჩა ძალაში ამხ. ლენინის თვით გარდაცვალებამდე. ეს სხვადასხვაობა, როგორც თვითონ ხედავთ, ამჟამადაც არსებობს. პირიქით, მე ვამტკიცებ, რომ ლენინისა და ტროცკის აზრთა ეს სხვადასხვაობა და ამ ნიადაგზე კამათი მუდამ გრძელდებოდა, ამასთან ლენინისა და ტროცკის სათანადო სტატიები ზედიზედ იბეჭდებოდა, და ფარული პოლემიკა გრძელდებოდა, მართალია, პირთა დაუსახელებლად.

აი ზოგიერთი ფაქტი ამის შესახებ.

1921 წელს, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოვიღეთ, ლენინი უკვე უფრო კონკრეტული ფორმით კვლავ აყენებს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის რელსებზე დაყრდნობით ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგების შესაძლებლობის საკითხს. თქვენ გახსოვთ, 1921 წელს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს, ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი, განსაკუთრებით «მუშათა ოპოზიცია», ლენინს ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით სოციალიზმის გზიდან უხვევსო. როგორც ჩანს, ამის პასუხად ლენინმა მაშინ თავის სიტყვებსა და სტატიებში რამდენჯერმე განაცხადა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე რომ გადავდივართ, მხედველობაში გვაქვს არა ჩვენი გზიდან გადახვევა, არამედ მისი განგრძობა ახალ პირობებში «ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის» ასაგებად, «გლეხობასთან ერთად», «მუშათა კლასის ხელმძღვანელობითო» (იხ. «სასურსათო გადასახადი» და ლენინის სხვა სტატიები ახალი ეკონომიური პოლიტიკის თემაზე).

თითქოს ამის პასუხად ტროცკი 1922 წლის იანვარში ბეჭდავს თავისი წიგნის «1905 წლის» «წინასიტყვაობას», სადაც აცხადებს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებ-

ლობა გლეხობასთან ერთად განუხორციელებელი საქმეა, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრება მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მტრულ შეჯახებათა ხაზით წარიმართება, სანამ დასავლეთში პროლეტარიატი გაიმარჯვებდესო.

აი რას ამბობს ტროცკი ამ «წინასიტყვაობაში»:

«პროლეტარიატს, რომელიც ძალაუფლებას აიღებს, მოუხდება **მტრული შეტაკებანი** * არა მარტო ბურჟუაზიის ყველა დაჯგუფებასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მას რევოლუციური ბრძოლის პირველ ხანებში, არამედ გლეხობის ფართო მასებთანაც, რომელთა დახმარებითაც მან დაიპყრო ძალაუფლება», რომ «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე» (ტროცკი, 1922 წელს დაწერილი «წინასიტყვაობა» წიგნისა «1905»).

აქაც, როგორც ხედავთ, ერთმანეთს უპირისპირდება ორი სხვადასხვა თეზისი. მაშინ როდესაც ლენინს შესაძლებლად მიაჩნია ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის შენება გლეხობასთან ერთად და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ტროცკის, პირიქით, გამოუდის, რომ პროლეტარიატის მიერ გლეხობის ხელმძღვანელობა და სოციალისტური საძირკვლის ერთად შენება განუხორციელებელი საქმეა, ვინაიდან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება წარიმართება მუშათა ხელისუფლებასა და გლეხობის უმრავლესობას შორის **მტრულ** შეტაკებათა ვითარებაში, ეს შეტაკებანი კი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე.

შემდეგ. ჩვენ გვაქვს ლენინის გამოსვლა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ამ დროიდან ერთი წლის შემდეგ, 1922

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

წელს, სადაც იგი კვლავ უბრუნდება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხს. ის ამბობს:

«სოციალიზმი უკვე დღეს აღარ არის შორეული მომავლის, ან რაღაც განყენებული სურათის, ან რაღაც ხატის საკითხი. ხატების შესახებ ჩვენ ისევ ძველი, მეტად ცუდი, აზრისა ვართ. ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქ უნდა გავერკვეთ. აი რა შეადგენს ჩვენს დღევანდელ ამოცანას, აი რა შეადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანას. ნება მიბოძეთ, დასასრულ, გამოვთქვა რწმენა, რომ, რარიგ ძნელიც უნდა იყოს ეს ამოცანა, რარიგ ახალიც უნდა იყოს იგი ჩვენს წინანდელ ამოცანასთან შედარებით, და რაგინდ ბევრ სიძნელესაც უნდა გვიქმნიდეს იგი, — ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ ყველანი ერთად გადავჭრით ამ ამოცანას რადაც უნდა დაგვიჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთი გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად» (იხ. ტ. XXVII, გვ. 366).

თითქოს ამის პასუხად ან, იქნებ, იმის განსამარტებლად, რაც ტროცკის მიერ ნათქვამი იყო მის ზემოხსენებულ ციტატაში, ტროცკი 1922 წელს ბეჭდავს თავისი ბროშურის «ზავის პროგრამის» «ბოლოსიტყვაობას», სადაც იგი ამბობს:

««ზავის პროგრამაში» რამდენჯერმე გამეორებული მტკიცება, რომ პროლეტარული რევოლუცია ძლევამოსილად ვერ დამთავრდება ნაციონალურ ჩარჩოებში, ზოგიერთ მკითხველს, შეიძლება, გაბათილებულად ეჩვენოს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის ხუთი წლის გამოცდილებით. მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მუშურმა სახელმწიფომ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობას გაუძლო ერთ ქვეყანაში, და ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, მოწმობს პროლეტარიატის კოლოსალურ ძლიერებას, რომელიც სხვა, უფრო მოწინავე, უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში შესძლებს ჰეშმარიტად სასწაულები მოახდინოს. მაგრამ, დავიცავით რა თავი პოლიტიკური და სამხედრო მხრით, როგორც სახელმწიფომ, ჩვენ სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე ვერ მივედით და ვერც კი მივუახლოვდით მას... სანამ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია დგას, ჩვენ იძულებული ვართ, ეკონომიურ იზოლაციასთან ბრძოლის დროს, ვეძებოთ შეთანხმება კაპიტალისტურ სამყაროსთან; ამავე დროს შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ შეთანხმებებს, საუკეთესო შემთხვევაში, შეუძლიათ დაგვეხ-

მარონ იმაში, რომ მოვიშუშოთ ესა თუ ის ეკონომიური ჭრილობა, გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯი წინ, მაგრამ სოციალისტური მეურნეობის **ნამდვილი აღმავლობა** რუსეთში შესაძლებელი გახდება **მხოლოდ მას შემდეგ,** რაც პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** * ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (იხ. ტროცკის თხზ. III ტ., ნ. 1, გვ. 92 — 93).

აქაც, როგორც ხედავთ, ერთმანეთს უპირდაპირდება ლენინისა და ტროცკის ორი საწინააღმდეგო თეზისი. მაშინ როდესაც ლენინს მიაჩნია, რომ ჩვენ უკვე შევიტანეთ სოციალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომ, მიუხედავად სიძნელეებისა, ყველა შესაძლებლობა გვაქვს ნეპური რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადავაქციოთ, ტროცკი, პირიქით, ფიქრობს, რომ ჩვენ არა თუ არ შეგვიძლია ახლანდელი რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადავაქციოთ, არამედ ისიც კი არ შეგვიძლია, რომ მივაღწიოთ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილ აღმავლობას მანამდე, სანამ სხვა ქვეყნებში პროლეტარიატი გაიმარჯვებდეს.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს ამხ. ლენინის ჩანაწერები სტატიების სახით — «კოოპერაციის შესახებ» და «ჩვენი რევოლუციის შესახებ» (სუხანოვის წინააღმდეგ), რომლებიც ლენინმა სიკვდილის წინ მოგვცა და თავისი პოლიტიკური ანდერძის სახით დაგვიტოვა. ეს ჩანაწერები იმ მხრივ არის შესანიშნავი, რომ იქ ლენინი კვლავ აყენებს საკითხს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და ისეთ ფორმულირებებს გვაძლევს, რომლებიც ადგილს არ უტოვებენ არავითარ ეჭვს. აი რას ამბობს იგი ჩანაწერებში «ჩვენი რევოლუციის შესახებ»:

«...უსაზღვროდ შაბლონურია მათი (II ინტერნაციონალის გმირების. ი. სტ.) საბუთი, რომელიც დაუზეპირებიათ დასავლეთ ევროპის

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სოციალიზმისათვის არ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები მათი წრიდან, ობიექტური ეკონომიური წინაპირობები სოციალიზმისათვის. და არავის აზრად არ მოსდის შეეკითხოს თავს: განა არ შეეძლო ხალხს, რომელიც მოექცა რევოლუციურ სიტუაციაში, ისეთში, როგორიც პირველ იმპერიალისტურ ომში შეიქმნა, განა არ შეეძლო მას, თავისი მდგომარეობის გამოუვალობის გავლენით, დაეწყო ისეთი ბრძოლა, რომელიც მას მისცემდა იმის თუნდაც რაიმე შანსებს, რომ მოიპოვებდა არა სავსებით ჩვეულებრივ პირობებს ცივილიზაციის შემდგომი ზრდისათვის»...

«თუ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა კულტურის გარკვეული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია თქვას, როგორია ეს გარკვეული «დონე კულტურისა»), რატომ არ შეგვიძლია დავიწყოთ ჯერ იმით, რომ რევოლუციური გზით მოვიპოვოთ წინაპირობები ამ გარკვეული დონისათვის, ხოლო უკვე **შემდეგ**, მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და საბჭოთა წყობილების საფუძველზე, დავიძრათ სხვა ხალხების დასაწევად»...

«თქვენ ამბობთ, სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა ცივილიზებულობაო. ძალიან კარგი. მაგრამ რატომ არ შეგვეძლო ჯერ შეგვექმნა ჩვენში ცივილიზებულობის ისეთი წინაპირობები, როგორიც არის მემამულეების გაძევება და რუსი კაპიტალისტების გაძევება, ხოლო უკვე შემდეგ დაგვეწყო სვლა სოციალიზმისაკენ? რომელ წიგნებში წაიკითხეთ, რომ ჩვეულებრივი ისტორიული წესის ასეთი სახეცვლილებანი დაუშვებელი ან შეუძლებელია?» (იხ. **ლენინი**, ტ. XXVII, გვ. 399 — 401).

აი რას ამბობს ლენინი სტატიებში «კოოპერაციის შესახებ»:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკო-

ნომიური პოლიტიკის დროსაც, **განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის?** ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის **ყველაფერი, რაც აუცილებელი** და საკმაოა ამ აშენებისათვის» * (იხ. **ლენინი**, ტ. XXVII, გვ. 392).

მაშასადამე, ჩვენ, ამრიგად, გვაქვს ორი ხაზი ძირითად საკითხში — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის, კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ვინაიდან, ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შესაძლებლობა სხვას** არაფერს ნიშნავს, თუ არ კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვების შესაძლებლობას, — გვაქვს, ჯერ-ერთი, ლენინისა და ლენინიზმის ხაზი და, მეორეც, ტროცკისა და ტროცკიზმის ხაზი. ლენინიზმი ამ საკითხს დადებითად წყვეტს. ტროცკიზმი, პირიქით, უარყოფს ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. თუ პირველი ხაზი ჩვენი პარტიის ხაზია, მეორე ხაზი სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს უახლოვდება.

სწორედ ამიტომ არის ნათქვამი ოპოზიციური ბლოკის შესახებ თეზისების პროექტში, რომ ტროცკიზმი სოციალ-დემოკრატიული გადახრაა ჩვენს პარტიაში.

აქედანვე გამომდინარეობს ის უეჭველი ფაქტი, რომ ჩვენი რევოლუცია **სოციალისტური** რევოლუციაა, რომ იგი წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის არა მარტო სიგნალს, ბიძგსა და გამოსავალ პუნქტს, არამედ ბაზასაც, ბაზას, რომელიც აუცილებელი და საკმაოა ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. **ი. სტ.**

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ და უნდა დავამარცხოთ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები, ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ და უნდა ავაშენოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ გამარჯვებას სრული, საბოლოო გამარჯვება ეწოდოს? არა, არ შეიძლება ეწოდოს. ჩვენ შეგვიძლია დავამარცხოთ ჩვენი კაპიტალისტები, ჩვენ ძალგვიძს ვაშენოთ სოციალიზმი და ავაშენოთ იგი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ძალგვიძს უზრუნველვყოთ ამით პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა გარეშე საფრთხისაგან, ინტერვენციის და მასთან დაკავშირებული რესტავრაციის, ძველი წესების აღდგენის საფრთხისაგან. ჩვენ კუნძულზე როდი ვცხოვრობთ. ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. ის გარემოება, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ და ამით კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს ვარევოლუციურებთ, — არ შეიძლება არ იწვევდეს სიძულვილსა და მტრობას მთელი კაპიტალისტური სამყაროს მხრივ. იმის ფიქრი, რომ კაპიტალისტურ სამყაროს შეუძლია გულგრილად უყუროს ჩვენს წარმატებებს სამეურნეო ფრონტზე, წარმატებებს, რომლებიც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს არევოლუციურებენ, — იმას ნიშნავს, რომ ილუზიას ვიქმნიდეთ. ამიტომ, სანამ ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვრჩებით, სანამ პროლეტარიატს არ გაუმარჯვნია რამდენიმე ქვეყანაში მაინც, არ შეგვიძლია ჩვენი გამარჯვება საბოლოოდ მივიჩნიოთ, მაშასადამე, რა წარმატებებიც უნდა გვქონდეს ჩვენს მშენებლობაში, არ შეგვიძლია პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა გარეშე საფრთხისაგან უზრუნველყოფილად მივიჩნიოთ. ამიტომ საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ახლანდელი კაპიტალისტური გარემოცვა სოციალისტური გარემოცვით შეიცვალოს, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პროლეტარიატმა გაიმარჯვოს კიდევ

რამდენიმე ქვეყანაში მაინც. მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩვენი გამარჯვება საბოლოო გამარჯვებად მივიჩნიოთ.

აი რატომ არის, რომ სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვუყურებთ არა როგორც თვითმიზანს, არა როგორც რაიმე თვითკმარს, არამედ როგორც საყრდენს, როგორც საშუალებას, როგორც გზას სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

აი რას წერდა ამის შესახებ ამხ. ლენინი:

«ჩვენ ვცხოვრობთ, — ამბობს ლენინი, — არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც,** და საბჭოთა რესპუბლიკის ხანგრძლივად არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, აუცილებელია მთელი რიგი უსაშინელესი შეტაკებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს იბატონოს და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც» (იხ. ტ. XXIV, გვ. 122).

აქედან გამომდინარეობს, რომ სამხედრო ინტერვენციის საფრთხე არსებობს და კიდევ დიდხანს იარსებებს.

სხვა საკითხია, შეუძლიათ თუ არა ახლა კაპიტალისტებს წამოიწყონ სერიოზული ინტერვენცია საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ჯერ კიდევ საკითხავია. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია კაპიტალისტური ქვეყნების მუშების ქცევაზე, პროლეტარული დიქტატურის ქვეყნისადმი მათს თანაგრძნობაზე, იმაზე, თუ რამდენად ერთგული არიან ისინი სოციალიზმის საქმისა. კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს რომ ამჟამად არ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ჩვენს რევოლუციას თავიანთი კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართული რევოლუციით, — ეს ჯერჯერობით ფაქტია. მაგრამ კაპიტალისტებს რომ არ ძალუძთ

ომისათვის აამხედრონ «თავიანთი» მუშები ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, — ესეც ფაქტია. ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანასთან უმუშებოდ ომი ახლანდელ დროში შეუძლებელია ისე, რომ კაპიტალიზმი საშინელ საფრთხეში არ ჩავარდეს. ამას მოწმობენ ურიცხვი მუშათა დელეგაციები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან იმისათვის, რომ შეამოწმონ ჩვენი მუშაობა სოციალიზმის მშენებლობის დარგში. ამას მოწმობს ის უდიდესი თანაგრძნობა, რომლითაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი გამსჭვალულია საბჭოების რესპუბლიკისადმი. სწორედ ამ თანაგრძნობას ემყარება ახლა ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. უომისოდ ჩვენ ახლა გვექნებოდა ინტერვენციის მთელი რიგი ახალი ცდები, ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის შეწყვეტა, არ გვექნებოდა «შესვენების» პერიოდი.

მაგრამ თუ ახლა კაპიტალისტურ სამყაროს არ ძალუძს წამოიწყოს სამხედრო ინტერვენცია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას არასოდეს არ შეეძლება გააკეთოს ეს. ყოველ შემთხვევაში კაპიტალისტებს არ სძინავთ, და ისინი ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ შეასუსტონ ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციები და შექმნან ინტერვენციის წინაპირობები. ამიტომ არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს როგორც ინტერვენციის ცდები, ისე მათთან დაკავშირებული შესაძლებლობა ძველი წესების რესტავრაციისა ჩვენს ქვეყანაში.

ამიტომ მართალია ლენინი, როცა ამბობს:

«სანამ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა მთელი კაპიტალისტური სამყაროს განმარტოებულ განაპირა მხარედ დარჩება, მანამდე ფიქრი... ამა თუ იმ საფრთხის გაჭრობაზე ყოვლად სასაცილო ფანტაზიორობა და უტოპიზმი იქნებოდა. რა თქმა უნდა, სანამ ასეთი ძირითადი წინააღმდეგობანი დარჩნენ, — რჩება საფრთხეც, და მას ვერსად გაექცევი» (იხ. ტ. XXVI, გვ. 29).

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით და მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშების საერთო ღონისძიებებით» (იხ. ტ. XXIII, გვ. 9).

ამრიგად, რა არის სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში?

ეს ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებას და სოციალიზმის აშენებას და, ამრიგად, ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევას ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე.

რა არის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში?

ეს ნიშნავს ინტერვენციისაგან და რესტავრაციის ცდებისაგან სრული გარანტიის შექმნას, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საფუძველზე.

თუ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ნიშნავს ერთი ქვეყნისათვის (ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ჩვენი ქვეყანა) სავსებით დასაძლევ შინაგან წინააღმდეგობათა გადაწყვეტის შესაძლებლობას, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობა ნიშნავს სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის არსებული საგარეო წინააღმდეგობების გადაწყვეტის შესაძლებლობას, წინააღმდეგობებისა, რომელთა დაძლევა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მომხდარი პროლეტარული რევოლუციის ძალებით შეიძლება.

ვინც ერთმანეთში ურევს წინააღმდეგობათა ამ ორ წყებას, იგი ან უიმედოდ თავგზააბნეულია, ან გაუსწორებელი ოპორტუნისტია.

ასეთია ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზი.

8. რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია

ჩვენი პარტიის ამ ხაზმა ოფიციალური გამოხატულება პირველად პოვა საერთაშორისო მდგომარეობის, კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე XIV კონფერენციის მიერ მიღებულ ცნობილ რეზოლუციაში. მე ვფიქრობ, რომ ეს რეზოლუცია ჩვენი პარტიის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს უდიდეს დემონსტრაციას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში ლენინური ხაზის სასარგებლოდ, არამედ იმიტომაც, რომ იგი ამასთან ერთად ტროცკიზმის პირდაპირი დაგმობაა. მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნებოდა აღგვენიშნა უმნიშვნელოვანესი პუნქტები ამ რეზოლუციისა, რომელიც, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მიღებულია ზინოვიევის მოხსენების გამო. (დარბაზში მოძრაობა).

აი რა არის ნათქვამი ამ რეზოლუციაში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ:

«საერთოდ სოციალიზმის გამარჯვება (**არა საბოლოო** გამარჯვების აზრით) **უთუოდ შესაძლებელია** * ერთ ქვეყანაში» [86].

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების საკითხზე რეზოლუციაში ნათქვამია:

«...ერთიმეორის პირდაპირ საწინააღმდეგო ორი საზოგადოებრივი სისტემის არსებობა იწვევს კაპიტალისტური ბლოკადის, ეკონომიური ზეგავლენის სხვა ფორმების, შეიარაღებული ინტერვენციის, რესტავრაციის მუდმივ საფრთხეს. მაშასადამე, **სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების** ერთადერთ გარანტიას, ე. ი. გარანტიას რესტავრაციისაგან, წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში» [87].

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ხოლო აი რა არის ნათქვამი რეზოლუციაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების საკითხზე და ტროცკიზმზე:

«აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, გარეშე «სახელმწიფოებრივი დახმარებისა» (ტროცკი) ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყნების მხრივ. პერმანენტული რევოლუციის ტროცკისტული თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მტკიცება, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება **მხოლოდ მას შემდეგ**, რაც პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (ტროცკი, 1922 წ.), — მტკიცება, რომლითაც სსრ კავშირის პროლეტარიატი ახლანდელ პერიოდში ფატალისტური პასიურობისათვის არის განწირული. ასეთი «თეორიების» წინააღმდეგ ამხ. ლენინი წერდა: «უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც დაუზეპირებიათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სოციალიზმისათვის არ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები მათი წრიდან, ობიექტური ეკონომიური წინაპირობები სოციალიზმისათვის» (შენიშვნები სუხანოვის შესახებ). (რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით» [88]).

მე ვფიქრობ, რომ XIV კონფერენციის რეზოლუციის ამ ძირითად პუნქტებს განმარტება არ ესაჭიროებათ. შეუძლებელია აზრის უფრო ნათლად და გარკვეულად გამოთქმა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რეზოლუციის ის ადგილი, სადაც ტროცკიზმსა და სუხანოველობას შორის ტოლობის ნიშანია დასმული. ხოლო რა არის სუხანოველობა? ლენინის ცნობილი სტატიებიდან, რომლებიც მიმართულია სუხანოვის წინააღმდეგ, ჩვენ ვიცით, რომ სუხანოველობა სოციალ-დემოკრატიზმის, მენშევიზმის ნაირსახეობაა. ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რათა შივხვდეთ, თუ ზინოვიევი, რომელიც XIV კონფერენციაზე ამ რეზოლუციას იცავდა, რატომ ჩამოშორდა შემდეგ მას

და მიემხრო ტროცკის თვალსაზრისს, რომელთანაც ახლა მას ბლოკი აქვს.

შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით რეზოლუცია აღნიშნავს პარტიის ძირითადი ხაზიდან ორ გადახრას, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან პარტიას.

აი რა არის ნათქვამი რეზოლუციაში ამ საფრთხეთა შესახებ:

«საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩვენს პარტიას ახლანდელ პერიოდში შეიძლება ემუქრებოდეს ორი საფრთხე: 1) პასიურობისაკენ გადახრა, რაც გამომდინარეობს კაპიტალიზმის აქა-იქ დასახული სტაბილიზაციისა და საერთაშორისო რევოლუციის შენელებული ტემპის მეტისმეტად ფართო განმარტებიდან, საკმაო იმპულსის უქონლობა ენერგიული და სისტემატური მუშაობისათვის სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, მიუხედავად საერთაშორისო რევოლუციის შენელებული ტემპისა, და 2) ნაციონალური შეზღუდულობისაკენ გადახრა, **საერთაშორისო** პროლეტარულ რევოლუციონერთა მოვალეობის დავიწყება, იმის შეუგნებელი უგულებელყოფა, რომ სსრ კავშირის ბედი უაღრესად მჭიდროდ არის დამოკიდებული საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციაზე, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება, იმის გაუგებლობა, რომ არა მარტო საერთაშორისო მოძრაობას ესაჭიროება მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობა, განმტკიცება და მისი ძლიერების ზრდა, არამედ სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურასაც ესაჭიროება დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ». (რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით»).

ამ ციტატიდან ჩანს, რომ XIV კონფერენციას, პირველი გადახრის შესახებ რომ ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ურწმენობისაკენ გადახრა, რომელიც ტროცკისტთა შორის არის გავრცელებული. ხოლო მეორე გადახრის შესახებ რომ ლაპარაკობდა, მას მხედველობაში

ჰქონდა ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალური პერსპექტივების დავიწყებისაკენ გადახრა, რომელიც ერთგვარად გავრცელებულია საერთაშორისო პოლიტიკის ხაზით მომუშავე ზოგიერთ მუშაკებს შორის, რომლებიც ზოგჯერ დამოკიდებულ ქვეყნებში «გავლენის სფეროების» დაწესების პოზიციას დაადგებიან ხოლმე.

დაგმეს რა ორივე ეს გადახრა, მთლიანად პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამით ომი გამოუცხადეს საფრთხეებს, რომლებიც ამ გადახრათა ხაზით მომდინარეობენ.

ასეთია ფაქტები.

როგორ მოხდა, რომ ზინოვიევი, რომელიც სპეციალურ მოხსენებაში XIV კონფერენციის რეზოლუციას იცავდა, შემდეგ ჩამოშორდა ამ რეზოლუციის ხაზს, რომელიც ამასთან ერთად ლენინიზმის ხაზს წარმოადგენს? როგორ მოხდა, რომ იგი, ლენინიზმს რომ შორდებოდა, ამასთან ერთად პარტიას უყენებდა სასაცილო ბრალდებას ნაციონალურ შეზღუდულობაში და ამ ბრალდებით ფარავდა თავის ჩამოშორებას ლენინიზმისაგან, — ამ ოინის შესახებ შევეცდები გიამბოთ ახლა, ამხანაგებო.

4. «ახალი ოპოზიციის» გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე

«ახალი ოპოზიციის» ახლანდელი ლიდერების, კამენევისა და ზინოვიევის, უთანხმოებამ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში აშკარა ფორმა პირველად XIV კონფერენციის წინ მიიღო. მხედველობაში მაქვს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ერთ-ერთი სხდომა კონფერენციის წინ, სადაც კამენევი და ზინოვიევი შეეცადნენ დაეცვათ ამ საკითხში თავისებური თვალსაზრისი, რომელ-

საც პარტიის საზთან საერთო არა აქვს რა და ძირითადად ემთხვევა სუხანოვის პოზიციას.

აი რას წერდა ამის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტი, ლენინგრადის ყოფილი პარტიული ზედაფენის ცნობილი განცხადების პასუხად, 1925 წლის დეკემბერში, ე. ი. 7 თვის შემდეგ:

«არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც კამენევი და ზინოვიევი პოლიტბიუროში იცავდნენ იმ თვალსაზრისს, თითქოს ჩვენ თავს ვერ გავართმევთ შინაგან სიძნელეებს ჩვენი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, თუ საერთაშორისო რევოლუციამ არ გვიხსნა. ჩვენ კი, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი, ვაშენებთ მას და ავაშენებთ კიდეც, მიუხედავად და წინააღმდეგ ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მშენებლობა იწარმოებს, რა თქმა უნდა, ვაცილებით უფრო ნელა, ვიდრე მსოფლიო გამარჯვების პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ წინ მივდივართ და ვიქლით. სწორედ ასევე ვფიქრობთ, რომ კამენევისა და ზინოვიევის თვალსაზრისი გამოხატავს ურწმენობას ჩვენი მუშათა კლასისა და მისი წინამძღოლობით მიმავალი გლეხთა მასების შინაგანი ძალებისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თვალსაზრისი ლენინური პოზიციისაგან ჩამოშორებაა» (იხ. «პასუხი»).

უნდა აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ კამენევი და ზინოვიევი არც კი ცდილან უარეყოთ მოსკოვის კომიტეტის ეს განცხადება, რომელიც დაბეჭდილი იყო «პრავდაში» XIV ყრილობის პირველი სხდომების დროს, და ამით მდუმარედ აღიარეს, რომ მოსკოვის კომიტეტის მიერ წამოყენებული ბრალდებანი სინამდვილეს შეეფერება.

თვით XIV კონფერენციაზე კამენევმა და ზინოვიევმა ფორმალურად აღიარეს სისწორე პარტიის ხაზისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში. ეს ნაბიჯი მათ, როგორც ჩანს, იმ გარემოებამ გადაადგმევინა, რომ კამენევისა და ზინოვიევის თვალსაზრისმა თანა-

გრძნობა ვერ პოვა ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის. უფრო მეტიც, როგორც უკვე ვთქვი, ზინოვიევი XIV კონფერენციაზე სპეციალურ მოხსენებაში კიდევაც იცავდა XIV კონფერენციის ცნობილ რეზოლუციას, რომელიც ჩვენი პარტიის ხაზის გამოხატულებას წარმოადგენს, როგორც შესაძლებლობა გქონდათ დარწმუნებულიყავით ამაში. მაგრამ შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს, რომ ზინოვიევი და კამენევი XIV კონფერენციაზე პარტიულ ხაზს იცავდნენ მხოლოდ ფორმალურად, გარეგნულად, ნამდვილად კი თავიანთ პოზიციებზე რჩებოდნენ. ზინოვიევის წიგნის «ლენინიზმის» გამოსვლა 1925 წლის სექტემბერში ამ მხრივ წარმოადგენს «მოვლენას», რაც მიჯნას ავლებს იმ ზინოვიევსა, რომელიც XIV კონფერენციაზე პარტიის ხაზს იცავდა, და იმ ზინოვიევს შორის, რომელიც ჩამოშორდა პარტიულ ხაზს, ლენინიზმს და ტროცკიზმის იდეურ პოზიციაზე გადავიდა.

აი რას წერს ზინოვიევი თავის წიგნში:

«სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად უნდა ვგულისხმობდეთ, ყოველ შემთხვევაში: 1) კლასების მოსპობას და, მაშასადამე, 2) ერთი კლასის დიქტატურის, ამ შემთხვევაში პროლეტარიატის დიქტატურის გაუქმებას»... «კიდევ უფრო ზუსტად რომ გავერკვეთ იმაში, — ამბობს შემდეგ ზინოვიევი, — თუ როგორ დგას საკითხი ჩვენში, სსრ კავშირში, 1925 წელს, უნდა განვასხვაოთ ორი რამ: 1) სოციალიზმის შენების უზრუნველყოფილი **შესაძლებლობა**, — სოციალიზმის შენების ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, სავსებით **შეიძლება** წარმოვიდგინოთ ერთი *ქვეყნის* ფარგლებშიც, და 2) სოციალიზმის საბოლოო აშენება და განმტკიცება, ე. ი. სოციალისტური წყობილების, სოციალისტური საზოგადოების განხორციელება» (იხ. ზინოვიევის «ლენინიზმი», გვ. 291 და 293).

თქვენ ხედავთ, რომ აქ ყველაფერი არეულია და თავდაყირაა დაყენებული. ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ გამარჯვება, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების აზრით — ნიშნავს გვქონდეს შესაძლებლობა ვაშენოთ სოციალიზმი, მაგრამ არ გვქონდეს მისი აშენე-

ბის შესაძლებლობა. აშენო, როცა დარწმუნებული ხარ, რომ ვერ ააშენებ. აი, თურმე, რას უწოდებს ზინოვიევი სოციალიზმის გამარჯვებას ერთ ქვეყანაში. (ს ი ც ი ლ ი). რაც შეეხება სოციალისტური საზოგადოების აშენებას, იგი მას ურევს საბოლოო გამარჯვების საკითხში და მით ცხადყოფს, რომ მას სრულებით არ ესმის მთელი საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. აშენო სოციალისტური მეურნეობა, როცა იცი, რომ ვერ ააშენებ, — აი სადამდე მივიდა ზინოვიევი.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთ პოზიციას საერთო არა აქვს რა ლენინიზმის ძირითად ხაზთან სოციალიზმის მშენებლობის საკითხში. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთი პოზიცია, რომელიც ასუსტებს პროლეტარიატის ნებისყოფას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისადმი და ამით აფერხებს რევოლუციის გაჩაღებას სხვა ქვეყნებში, თავდაყირა აყენებს ინტერნაციონალიზმის თვით საფუძვლებს. ეს ის პოზიციაა, რომელიც პირდაპირ მიდის ტროცკიზმის იდეურ პოზიციასთან და ხელს უწვდის მას.

იგივე უნდა ითქვას ზინოვიევის გამოსვლების შესახებ XIV ყრილობაზე 1925 წლის დეკემბერში. აი რას ამბობდა იგი XIV ყრილობაზე, როცა იაკოვლევს აკრიტიკებდა:

«დახეთ ერთი, სადამდე მივიდა, მაგალითად, ამხ. იაკოვლევი თავის სიტყვაში კურსკის უკანასკნელ საგუბერნიო პარტკონფერენციაზე. «შეგვიძლია თუ არა ერთ ქვეყანაში, — აყენებს იგი კითხვას, — როცა ყოველმხრივ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტი მტრებით, შეგვიძლია თუ არა ასეთ პირობებში ავაშენოთ სოციალიზმი ერთ ქვეყანაში?». და უპასუხებს: «ყოველივე ნათქვამის საფუძველზე უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენ არა მარტო ვაშენებთ სოციალიზმს, არამედ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მარტონი ვართ, რომ ჩვენ ჯერჯერობით მსოფლიოში ერთადერთი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა სახელმწიფო ვართ, — ჩვენ ამ სოციალიზმს ავაშენებთ» («კურსკაია პრავდა» № 279, 1925 წ. 8 დეკემბერი). **განა ეს საკითხის ლენინური დაყენებაა**, კითხულობს ზინოვიევი, **განა ამას ნაციონალური შეზღუდუ-**

ლობის სუნი არ უდის?» * (ზინოვიევი, საბოლოო სიტყვა XIV პარტყრილობაზე).

გამოდის, რომ იაკოვლევი, რომელიც ძირითადად პარტიისა და ლენინიზმის ხაზს იცავდა, ღირსია ბრალი დაედოს ნაციონალურ შეზღუდულობაში. გამოდის, რომ დაცვა პარტიის ხაზისა, რომელიც XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუციით არის განმტკიცებული, — ნიშნავს ნაციონალურ შეზღუდულობაში ჩავარდნას. სწორედ ამაზე იტყვიან ჩვენში: ჩაეფლო! არსებითად, სწორედ ამაში იფარება მთელი ოინი, რომელსაც ზინოვიევი მიმართავს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს ლენინიზმისაგან თავისი ჩამოშორება დაფაროს იმით, რომ სასაცილო ბრალდებებს უყენებს ლენინელებს ნაციონალურ შეზღუდულობაში.

ამიტომ თეზისები ოპოზიციური ბლოკის შესახებ სრულ სიმართლეს აღნიშნავენ, როცა ამტკიცებენ, რომ «ახალი ოპოზიცია» ტროცკიზმის მხარეზე გადავიდა ძირითად საკითხში — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, ან — რაც იგივეა — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხში.

ამ საკითხში **ფორმალურად** რამდენადმე განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია კამენევს, რაც აქ უნდა აღინიშნოს. ფაქტია, რომ კამენევმა, ზინოვიევის საწინააღმდეგოდ, როგორც XIV პარტკონფერენციაზე, ისე XIV პარტყრილობაზე აშკარად განაცხადა, რომ ეთანხმება პარტიის ხაზს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში. მიუხედავად ამისა, პარტიის XIV ყრილობამ სერიოზულად არ მიიჩნია კამენევის განცხადება, არ ერწმუნა მის სიტყვას და იგი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებულ თავის რეზოლუციაში მიაკუთვნა ლენინი-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ზმისაგან ჩამოშორებულ პირთა ჯგუფს. რატომ? იმიტომ, რომ კამენევმა არ მოისურვა და საჭიროდ არ ჩათვალა საქმით დაემტკიცებინა თავისი განცხადება პარტიის ხაზთან სოლიდარობის შესახებ. ხოლო რას ნიშნავს თავისი განცხადების დამტკიცება საქმით? ეს ნიშნავს კავშირის გაწყვეტას იმათთან, ვინც ბრძოლას ეწევა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. პარტიამ ცოტა მაგალითი როდი იცის, როცა ადამიანები, რომლებიც სიტყვიერად აცხადებდნენ პარტიასთან თავიანთ სოლიდარობას, ამასთან ერთად განაგრძობდნენ პოლიტიკურ მეგობრობას ელემენტებთან, რომლებიც ბრძოლას ეწეოდნენ პარტიის წინააღმდეგ. ლენინი ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ამბობდა, პარტიული ხაზის ასეთი «მომხრეები» მის მოწინააღმდეგეებზე უარესი არიანო. ცნობილია, მაგალითად, რომ იმპერიალისტური ომის ეპოქაში ტროცკის არა ერთხელ განუცხადებია ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი თავისი სოლიდარობა და ერთგულება. მაგრამ ლენინი მას მაშინ «სოციალ-შოვინისტების ხელშემწყობს» უწოდებდა. რატომ? იმიტომ, რომ, აცხადებდა რა თავისი ინტერნაციონალიზმის შესახებ, ტროცკის ამავე დროს არ სურდა კავშირი გაეწყვიტა კაუცკისთან და მარტოვთან, პოტრესოვთან და ჩხეიძესთან. და ლენინი, რა თქმა უნდა, მართალი იყო. გინდა, რომ შენი განცხადება სერიოზულად მიიჩნიონ, — მაშინ საქმით დაამტკიცე შენი განცხადება და შეწყვიტე პოლიტიკური მეგობრობა იმ ადამიანებთან, რომლებიც ბრძოლას ეწევიან პარტიის ხაზის წინააღმდეგ.

აი რატომ ვფიქრობ, რომ კამენევის განცხადება სოციალიზმის მშენებლობის საკითხში პარტიის ხაზთან მისი სოლიდარობის შესახებ არ შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ, რამდენადაც მას არ სურს სიტყვა საქმით დაამტკიცოს და კვლავ ბლოკი აქვს ტროცკისტებთან.

5. ტროცკის თავდაჯერება. სჭილბა. რადეკი

შეიძლება თქვან, ყველაფერი ეს კარგი და სწორიაო. მაგრამ ხომ არ არის რაიმე საფუძვლები და დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ოპოზიციური ბლოკის ლიდერებს საწინააღმდეგო არა აქვთ რა — პირი იბრუნონ სოციალ-დემოკრატიული გადახრიდან ლენინიზმისაკენ? აი, მაგალითად, ტროცკის წიგნი «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?». იგი, ეს წიგნი, იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ ტროცკის საწინააღმდეგო არა აქვს რა — უარი თქვას თავის პრინციპულ შეცდომებზე? ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ ტროცკიმ ამ წიგნში მართლა უარი თქვა, ან ცდილობს უარი თქვას, თავის პრინციპულ შეცდომებზე. მე, ცოდვილი, ამ შემთხვევაში შეპყრობილი ვარ ერთგვარი ურწმენობით ამ საქმეში (სიცილი) და უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთთა ასეთი ვარაუდი, სამწუხაროდ, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

აი, მაგალითად, ყველაზე მკაფიო ადგილი ტროცკის წიგნიდან «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?»:

«სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოაქვეყნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1925/26 წლის «საკონტროლო» ციფრების ნაკრები ცხრილი. ყოველივე ეს მეტად მშრალად და, ასე ვთქვათ, ბიუროკრატიულად გაისმის. მაგრამ ამ მშრალ სტატისტიკურ სვეტებში და მათს თითქმის ამდენადვე მშრალ და ძუნწ განმარტებებში ყღერს მზარდი სოციალიზმის დიდებული ისტორიული მუსიკა» (ლ. ტროცკი, «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?». გამომც. «პლანოვოე ხოზიაისტვო», 1925 წ., გვ. 1).

რა არის ეს: «მზარდი სოციალიზმის დიდებული ისტორიული მუსიკა»? რა არის ამ «დიდებული» ფრაზის აზრი, თუ საერთოდ ამ ფრაზაში არის რაიმე აზრი? არის თუ არა აქ პასუხი, თუნდაც პასუხის ნასახი, კითხვაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ? მზარდი სოციალიზმის ისტორიული მუსიკის შესახებ

ლაპარაკი შეიძლებოდა 1917 წელსაც, როცა ჩვენ დავამხეთ ბურჟუაზია, და 1920 წელსაც, როცა ჩვენი ქვეყნიდან გავრეკეთ ინტერვენციონისტები, ვინაიდან ეს იყო, მართლაც, მზარდი სოციალიზმის დიდებული ისტორიული მუსიკა, როცა ჩვენ, 1917 წელს ბურჟუაზია რომ დავამხეთ და ჩვენი ქვეყნიდან ინტერვენციონისტები გავრეკეთ, მთელ მსოფლიოს ვუჩვენეთ ჩვენს ქვეყანაში მზარდი სოციალიზმის ძალისა და ძლიერების დიდებული ფაქტები. მაგრამ აქვს თუ არა ამას და შეიძლება თუ არა ჰქონდეს რაიმე დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის საკითხთან? ჩვენ შეგვიძლია, — ამბობს ტროცკი, — ვიაროთ სოციალიზმისაკენ. მაგრამ შეგვიძლია თუ არა **მივიდეთ** სოციალიზმამდე, — აი რაშია საკითხი. იარო, როცა იცი, რომ ვერ მიხვალ სოციალიზმამდე, — განა ეს სისულელე არ არის? არა, ამხანაგებო, ტროცკის «დიდებული» ფრაზა მუსიკისა და სხვათა შესახებ წარმოადგენს არა კითხვის პასუხს, არამედ კითხვის ადვოკატურად ბანზე აგდებას და მისგან «მუსიკალურ» თავდაძვრენას. (ხ მ ე ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ: «სწორია!»).

მე ვფიქრობ, რომ ტროცკის ეს დიდებული და მუსიკალური თავდაძვრენა შეიძლებოდა დაგვეყენებინა ლენინიზმის კვალიფიკაციის საკითხში იმ თავდაძვრენის გვერდით, რაც ტროცკიმ თავის დროზე მოახდინა თავის ბროშურაში «ახალი კურსი». ხომ არ გნებავთ მოუსმინოთ:

«ლენინიზმი, როგორც რევოლუციური მოქმედების სისტემა, გულისხმობს აზროვნებითა და გამოცდილებით აღზრდილ რევოლუციურ ალღოს, რომელიც საზოგადოებრივ დარგში იგივეა, რაც კუნთების შეგრძნება ფიზიკურ შრომაში» (ლ. ტროცკი, «ახალი კურსი». გამომც. «კრასნაია ნოვ», 1924 წ., გვ. 47).

ლენინიზმი, როგორც «კუნთების შეგრძნება ფიზიკურ შრომაში». ხომ მართალია — ახალიც არის, ორიგინალურიც და ღრმააზროვანიც. მიხვდით რამეს? (ს ი ც ი ლ ი). ყველაფერი ეს ერთობ ლამაზი, მუსიკალური და, თუ გნებავთ, დიდებულიც არის. აკლია მხოლოდ «წვრილმანი»: ლენინიზმის უბრალო და ადამიანური განსაზღვრა.

ლენინს მხედველობაში ჰქონდა მუსიკალური ფრაზით ტროცკის განსაკუთრებული გატაცების სწორედ ასეთი შემთხვევები, როცა იგი ტროცკის შესახებ წერდა, მაგალითად, ასეთ მწარე, მაგრამ სამართლიან სიტყვებს:

«ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს. ტროცკის ფრაზებში ბევრი ბრწყინვა და ხმაურია, მაგრამ შინაარსი იქ არ არის» (იხ. ტ. XVII, გვ. 383).

ასეთია ტროცკის 1925 წელს გამოცემული წიგნის «სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?» საქმის ვითარება.

რაც შეეხება უფრო შემდგომ პერიოდს, მაგალითად, 1926 წელს, ჩვენ გვაქვს ტროცკის ხელმოწერილი 1926 წლის სექტემბრის დოკუმენტი, რომელიც არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ ტროცკი კვლავ რჩება თავის თვალსაზრისზე, რომელიც უარყოფილია პარტიის მიერ. მხედველობაში მაქვს ტროცკის წერილი ოპოზიციონერებისადმი.

აი რა არის ნათქვამი ამ დოკუმენტში:

«ლენინგრადის ოპოზიციამ დროულად ატეხა განაყში სოფლის დიფერენციაციის მიჩქმალვის გამო, კულაკის ზრდისა და იმის გამო, რომ იზრდება კულაკის გავლენა არა მარტო მეურნეობის სტიქიურ პროცესებზე, არამედ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაზეც; იმის გამო, რომ ჩვენი საკუთარი პარტიის რიგებში, ბუხარინის მფარველობით, შეიქმნა თეორიული სკოლა, რომელიც აშკარად ასახავს ჩვენი მეურნეობის წვრილბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენას; **ლენინგრადის ოპოზიციამ ენერგიულად გაილაშქრა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის თეორიის, როგორც ნაციონალური შეზღუდულობის თეორიული გაშარ-**

თ.ლების, წინააღმდეგ»... * (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1926 წ. 8 და 11 ოქტომბრის სხდომათა სტენოგრამის დამატებებიდან შინაპარტიული მდგომარეობის საკითხზე).

აქ, ტროცკის ხელმოწერილ ამ დოკუმენტში, ნათქვამია ყველაფერი: ისიც, რომ «ახალი ოპოზიციის» ლიდერები ლენინიზმს ჩამოშორდნენ და ტროცკიზმს მიემხრნენ, ისიც, რომ ტროცკი კვლავ მთლიანად და სავსებით რჩება თავის ძველ პოზიციებზე — ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის პოზიციებზე.

როგორღა არის ოპოზიციური ბლოკის სხვა ლიდერების, მაგალითად, სმილგას ან რადეკის, საქმე? მე ვფიქრობ, რომ ეს პირებიც ოპოზიციური ბლოკის ლიდერები არიან. სმილგა და რადეკი, — რით არ არიან ისინი ლიდერები? რა შეფასებას აძლევენ ისინი პარტიის პოზიციას, ლენინიზმის პოზიციას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შშენებლობის საკითხში?

აი რას ამბობდა, მაგალითად, სმილგა კომაკადემიაში 1926 წლის სექტემბერში:

«მე ვამტკიცებ, — ამბობს ის, — **რომ იგი** (ბუხარინი. **ი. სტ.**) მთლიანად **იმყოფება** აღდგენითი იდეოლოგიის ტყვეობაში, მას **დამტკიცებულად მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა არ შეიძლება დაბრკოლება იყოს რუსეთში სოციალისტური წყობილების აშენებისათვის...** მე მიმაჩნია, რომ, ვეწევით რა სოციალისტურ შშენებლობას, ჩვენ უთუოდ ვაშენებთ სოციალიზმს. მაგრამ საკითხავია, აღდგენითი პერიოდი გვაძლევს თუ არა საფუძვლებს მარქსიზმისა და ლენინიზმის იმ ცენტრალური პუნქტის შემოწმებისათვის, რევიზიისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ **ტექნიკურად ჩამორჩენილ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება შეუძლებელია»** * (სმილგა, გამოსვლა კომაკადემიაში 1926 წ. 26 სექტემბერს საკონტროლო ციფრების საკითხზე).

ესეც, როგორც ხედავთ, «პოზიციაა», რომელიც მთლიანად ემთხვევა ბ-ნ სუხანოვის პოზიციას ძირითად

* ბაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

საკითხში — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხში. განა სწორი არ არის, რომ სმილგას პოზიცია სავსებით შეესაბამება ტროცკის პოზიციას, რომელსაც მე ვუწოდე, და სამართლიანადაც ვუწოდე, სოციალ-დემოკრატიული გადახრის პოზიცია? (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»).

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ოპოზიციური ბლოკი პასუხისმგებელია სმილგას ასეთი გამოსვლებისათვის? შეიძლება და კიდევაც უნდა ჩაითვალოს. უცდია თუ არა როდისმე ოპოზიციურ ბლოკს გამიჯნოდა სმილგას? არა, არ უცდია. პირიქით, იგი ყოველმხრივ აქეზებდა სმილგას კომაკადემიაში მისი გამოსვლების გამო.

აი მეორე ლიდერიც, რადეკი, რომელიც კომაკადემიაში სმილგასთან ერთად გამოდიოდა და იქ «ზურგზე ბოლს გვადენდა». (ს ი ც ი ლ ი). ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ რადეკი ხითხითებდა და დასცინოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიას, უწოდებდა მას სოციალიზმის «ერთ მაზრაში», ანდა თვით «ერთ ქუჩაზე» მშენებლობის თეორიას, ამასთან ამხანაგების მიერ ადგილებიდან მიცემულ რეპლიკაზე იმის შესახებ, რომ ეს თეორია «ლენინის იდეა» არისო, რადეკმა უპასუხა:

«თქვენ ცუდად წაგიკითხავთ ლენინი; ვლადიმირ ილიას-ძე ცოცხალი რომ იყოს, იგი იტყოდა, ეს შჩედრინის იდეააო. შჩედრინს «პომპადურებში» გამოყვანილი ჰყავს ერთადერთი პომპადური, რომელიც ლიბერალიზმს ერთ მაზრაში აშენებს» (რადეკის სიტყვა კომაკადემიაში).

შეიძლება თუ არა რადეკის ამ უხამს და ლიბერალურ ხითხითს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის იდეის შესახებ სხვა რამ ეწოდოს, თუ არ კავშირის სრული გაწყვეტა ლენინიზმთან? პასუხისმგებელია თუ არა ოპოზიციური ბლოკი რადეკის ამ უხამსობისათვის?

უთუოდ პასუხისმგებელია. მაშ რატომ არ ემიჯნება იგი ამ უხამსობას? იმიტომ, რომ ოპოზიციური ბლოკი არ ფიქრობს თავისი პოზიციის — ლენინიზმისაგან ჩამოშორების პოზიციის დატოვებას.

6. ჩვენი მშენებლობის პერსპექტივების საკითხის გადამწყვეტი მნიშვნელობა

შეიძლება იკითხონ: რა საჭიროა მთელი ეს დავა ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ, რა საჭიროა დავა იმაზე, თუ რა იქნება მომავალში ან რა შეიძლება იყოს მომავალში, — განა უმჯობესი არ არის — უკუვაგდოთ მთელი ეს დავა და პრაქტიკულ მუშაობას შევუდგეთ?

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ საკითხის ასეთი დაყენება სავსებით უმართებულოა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიაროთ წინ, თუ არ ვიცით, საით უნდა ვიაროთ, თუ არ ვიცით მოძრაობის მიზანი. ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ, თუ არა გვაქვს პერსპექტივები, თუ არა გვაქვს რწმენა, რომ, დავიწყეთ რა სოციალისტური მეურნეობის შენება, შეგვიძლია ავაშენოთ იგი. პარტია მშენებლობას ვერ უხელმძღვანელებს, თუ არ ექნა ნათელი პერსპექტივები, ნათელი მიზნები. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ ბერნშტეინის რეცეპტით: «მოძრაობა ყველაფერია, მიზანი — არაფერი». ჩვენ, პირიქით, როგორც რევოლუციონერებმა, ჩვენი წინსვლა, ჩვენი პრაქტიკული მუშაობა — პროლეტარული მშენებლობის ძირითად კლასობრივ მიზანს უნდა დავუმორჩილოთ. უამისოდ ჩვენ აუცილებლად და უთუოდ ჩავვარდებით ოპორტუნიზმის ჭაობში.

შემდეგ. თუ არ ექნათ ჩვენი მშენებლობის ნათელი პერსპექტივები, თუ არ ექნათ სოციალიზმის აშენების რწმენა, მუშათა მასები **შეგნებულად** ვერ მიიღებენ მონაწილეობას ამ მშენებლობაში, ისინი **შეგნებულად** ვერ

უხელმძღვანელებენ გლეხობას. სოციალიზმის აშენების რწმენის უქონლად არ შეიძლება გქონდეს ნებისყოფა სოციალიზმის მშენებლობისადმი. ვის ექნება ხალისი აშენოს, როცა იცის, რომ ვერ ააშენებს? ამიტომ ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების უქონლობა აუცილებლად და უთუოდ იწვევს ამ მშენებლობისადმი პროლეტარიატის ნებისყოფის შესუსტებას.

შემდეგ. სოციალიზმის მშენებლობისადმი პროლეტარიატის ნებისყოფის შესუსტებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება. ვინაიდან რას ნიშნავს სოციალიზმის შენება, თუ არა იმას, რომ დავძლიოთ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები. მუშათა კლასში დაცემულობისა და დამარცხებითმა განწყობილებამ არ შეიძლება ფრთა არ შეასხას კაპიტალისტური ელემენტების იმედს, რომ ძველი წესების რესტავრაცია მოხდება. ვინც ჯეროვნად არ აფასებს ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების გადამწყვეტ მნიშვნელობას, ის ხელს უწყობს ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებს, ის ნერგავს კაპიტულანტობას.

ბოლოს, ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვებისადმი პროლეტარიატის ნებისყოფის შესუსტებამ, რაც ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას დააბრკოლებს, არ შეიძლება არ შეაფერხოს საერთაშორისო რევოლუციის გაჩაღება ყველა ქვეყანაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიო პროლეტარიატი ჩვენს სამეურნეო მშენებლობას და ამ ფრონტზე ჩვენს წარმატებებს უყურებს იმ იმედით, რომ ამ ბრძოლიდან ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ, რომ ჩვენ შევძლებთ სოციალიზმის აშენებას. ურიცხვი რაოდენობა მუშათა დელეგაციებისა, რომლებიც ჩვენში დასავლეთიდან ჩამოდიან და ჩვენი მშენებლობის თვითეულ კუნჭულს სინჯავენ, იმას მოწმობს,

რომ ჩვენს ბრძოლას მშენებლობის ფრონტზე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის თავისი გამარევოლუციურებელი მნიშვნელობის აზრით. ვინც ცდილობს შეკვეცოს ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივები, ის ცდილობს მოუსპოს საერთაშორისო პროლეტარიატს ჩვენი გამარჯვების იმედი, ხოლო ვინც ამ იმედს სპობს, ის არღვევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ელემენტარულ მოთხოვნებს. ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როცა ამბობდა:

«ამჟამად მთავარ ზეგავლენას **საერთაშორისო** რევოლუციაზე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შემოსცქერის ყველა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელი, სრულიად უკლებლივ და სრულიად გაუზვიადებლად... ამ ასპარეზზეა გადატანილი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით. გადავწყვეტთ ამ ამოცანას — და მაშინ **უეჭველად და საბოლოოდ** გავიმარჯვებთ საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფრონტზე ჩვენ გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ნელი, თანდათანობითი, — ჩქარით არ შეიძლება, — მაგრამ განუხრელი აღმავლობითა და წინსვლით» * (იხ. ტ. XXVI, გვ. 410 — 411).

აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენს დავას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ დავაში გამოიჭედება და განისაზღვრება გადაწყვეტა საკითხისა ჩვენი მუშაობის პერსპექტივების შესახებ, ამ მუშაობის კლასობრივი მიზნების შესახებ, უახლოესი პერიოდისათვის ამ მუშაობის **ძირითადი გეზის** შესახებ.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების საკითხს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

7. ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური პერსპექტივები

ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური პერსპექტივები გამომდინარეობენ მათი ძირითადი შეცდომიდან ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხში.

ვინაიდან საერთაშორისო რევოლუცია იგვიანებს, ხოლო ოპოზიციას არა აქვს ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების რწმენა, მის წინაშე დგას ორი პერსპექტივა:

ან პარტიისა და სახელმწიფო აპარატის გადაგვარება, კომუნიზმის «საუკეთესო ელემენტების» (ე. ი. ოპოზიციის) ფაქტიური ჩამოშორება ხელისუფლებისაგან და ამ ელემენტებიდან ახალი, «წმინდა პროლეტარული» პარტიის შექმნა, რომელიც ოპოზიციაში უდგას ოფიციალურ, არა «წმინდა» პროლეტარულ პარტიას (ოსოვსკის პერსპექტივა);

ან ცდები — სინამდვილედ გაასაღონ საკუთარი მოუთმენლობა, კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის უარყოფა და «ზეადამიანური», «გმირული» ნახტომები და შეჭრა როგორც საშინაო პოლიტიკის დარგში (ზეინდუსტრიალიზაცია), ისე საგარეო პოლიტიკის დარგშიც («ულტრამემარცხენე» ფრაზები და ჟესტები).

მე ვფიქრობ, რომ ყველა ოპოზიციონერთა შორის ოსოვსკი ყველაზე გაბედული და ყველაზე მამაცია. ოპოზიციურ ბლოკს საკმაო მამაცობა და თანმიმდევრობა რომ ახასიათებდეს, იგი ოსოვსკის გზას უნდა დასდგომოდა. მაგრამ ვინაიდან ოპოზიციურ ბლოკს აკლია თანმიმდევრობაც და მამაცობაც, იგი ექანება მეორე პერსპექტივის გზაზე, «ზეადამიანური» ნახტომებისა და მოვლენათა ობიექტური მსვლელობის სფეროში «გმირული» შეჭრის გზაზე.

აქედან წარმოსდგება კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის უარყოფა, დასავლეთში პროფკავშირებისაგან ჩამოშორების ან თუნდაც იქიდან გამოსვლის ლოზუნგი, მოთხოვნა ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთ-

ქებისა, მოთხოვნა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა თითქმის ნახევარ წელიწადში და სხვ.

აქედან წარმოსდგება ავანტიურიზმი ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკაში.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპოზიციური ბლოკის თეორიას (იგივე ტროცკიზმის თეორია) ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, გლეხობაზე გადახტომის შესახებ, იქ, დასავლეთში, განსაკუთრებით ინგლისში გაფიცვასთან დაკავშირებით, პროფკავშირთა რეაქციულობაზე გადახტომის შესახებ.

ოპოზიციური ბლოკი ფიქრობს, რომ თუ პარტიამ შეიმუშავა სწორი ხაზი, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ პარტია მასობრივი გახდეს მაშინვე და დაუყოვნებლივ, რომ პარტიას შეეძლოს გაუძღვეს მასებს გადამწყვეტ ბრძოლებში მაშინვე და დაუყოვნებლივ. ოპოზიციურ ბლოკს არ ესმის, რომ მასების ხელმძღვანელობის საკითხისადმი ასეთ დამოკიდებულებას საერთო არა აქვს რა ლენინიზმის პოზიციასთან.

სწორი იყო თუ არა ლენინის აპრილის თეზისები საბჭოთა რევოლუციის შესახებ, რომლებიც მან 1917 წლის გაზაფხულზე მოგვცა? [ky] დიახ, სწორი იყო. მაშ რატომ არ მოგვიწოდებდა ლენინი მაშინ კერენსკის მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობისაკენ? რატომ ებრძოდა იგი ჩვენს პარტიაში «ულტრამემარცხენე» ჯგუფებს, რომლებმაც მაშინ წამოაყენეს დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლოზუნგი? იმიტომ, რომ ლენინმა იცოდა, რომ რევოლუციის მოსახდენად საკმარისი არ არის გქონდეს სწორი პარტიული ხაზი. იმიტომ, რომ ლენინმა იცოდა, რომ რევოლუციის მოსახდენად საჭიროა კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ მასები, მუშათა ფართო მასები, **თავიანთი საკუთარი გამოცდილებით**

დარწმუნდნენ პარტიის ხაზის სისწორეში. ამისათვის კი, თავის მხრივ, საჭიროა დრო, პარტიის განუწყვეტელი მუშაობა მასებში, განუწყვეტელი მუშაობა იმისათვის, რომ დაარწმუნო მასები პარტიის ხაზის სისწორეში. სწორედ ამიტომ ლენინმა, მოგვცა რა თავისი რევოლუციური აპრილის თეზისები, ამასთან ერთად მოგვცა ლოზუნგი მასებში «მოთმინებითი» პროპაგანდისა ამ თეზისების სისწორის სასარგებლოდ. ამ მოთმინებითს მუშაობას მაშინ 8 თვე დასჭირდა. მაგრამ ეს თვეები რევოლუციური თვეები იყო, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი «კონსტიტუციური» დროის წლებს უდრიან. ოქტომბრის რევოლუცია ჩვენ იმიტომ მოვიგეთ, რომ უნარი გვქონდა განგვესხვავებინა პარტიის სწორი ხაზი და ის, რომ მასებს ეღიარებინათ ამ ხაზის სისწორე. ეს არ ესმით და არ სურთ გაიგონ «ზეადამიანური» ნახტომების ოპოზიციონერმა გმირებმა.

სწორი იყო თუ არა ინგლისის კომპარტიის პოზიცია ინგლისში გაფიცვის პერიოდში? დიახ, იგი ძირითადად სწორი იყო. მაშ რატომ ვერ შესძლო მან **ერთბაშად** გაეყოლიებინა ინგლისის მუშათა მილიონიანი მასები? იმიტომ, რომ მან ვერ მოასწრო, არც შეეძლო მოესწრო, მოკლე ხანში დაერწმუნებინა მასები თავისი ხაზის სისწორეში. იმიტომ, რომ პარტიის სწორი ხაზის შემუშავებასა და იმას შორის, რომ პარტიამ მილიონიანი მასები გაიყოლიოს, არსებობს შუალედი პერიოდი, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პარტია განუწყვეტელ მუშაობას უნდა ეწეოდეს, რათა დაარწმუნოს მასები თავისი პოლიტიკის სისწორეში. ამ შუალედს ვერ გადაახტებით. სისულელეა იმის ფიქრი, რომ შეიძლება მას გადაახტეთ. იგი შეიძლება მხოლოდ აღმოფხვრა და დასძლიო მოთმინებითი მუშაობით მასების პოლიტიკური განათლების დარგში.

მასების ლენინური ხელმძღვანელობის ეს ანბანური ჭეშმარიტებანი ოპოზიციურ ბლოკს არ ესმის, და ამაში უნდა ვეძებოთ მისი პოლიტიკური შეცდომების ერთ-ერთი წყარო.

აი ტროცკის «ზეადამიანური» ნახტომებისა და თავგამეტებული ჟესტების პოლიტიკის ერთი მრავალ ნიმუშთაგანი:

«რუსეთის პროლეტარიატი, — ამბობდა თავის დროზე ტროცკი, — თუ იგი სათავეში მოექცევა ხელისუფლებას, თუნდაც ჩვენი ბურჟუაზიული რევოლუციის მხოლოდ დროებითი კონიუნქტურის გამო, შეხვდება მსოფლიო რეაქციის მხრივ ორგანიზებულ მტრობას და მსოფლიო პროლეტარიატის მხრივ ორგანიზებული მხარდაჭერისათვის მზადყოფნას. თავისი საკუთარი ძალების ანაბარად დარჩენილ რუსეთის მუშათა კლასს აუცილებლად გასრესს კონტრრევოლუცია იმ მომენტში, როცა გლეხობა მისგან პირს იბრუნებს. მას სხვა არაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ თავისი პოლიტიკური ბატონობის ბედი ღა, მაშასადამე, რუსეთის მთელი რევოლუციის ბედი დაუკავშიროს ევროპაში სოციალისტური რევოლუციის ბედს. იმ კოლოსალურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მას რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროებითი კონიუნქტურა მისცემს, იგი დადებს მთელი კაპიტალისტური სამყაროს კლასობრივი ბრძოლის სასწორზე. **მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ ექნება სახელმწიფო ძალაუფლება, ზურგს უკან ედგება კონტრრევოლუცია, ხოლო წინ — ევროპის რეაქცია, თავის თანამოძმეებს მთელ მსოფლიოში მიმართავს ძველი მომწოდებელი ძახილით, რომელიც ამჯერად უკანასკნელი იერიშის ძახილი იქნება: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»** * (ტროცკი, «შედეგები და პერსპექტივები», გვ. 80).

როგორ მოგწონთ: პროლეტარიატმა, თურმე, ძალაუფლება უნდა აიღოს რუსეთში, მაგრამ, ძალაუფლებას რომ აიღებს, იგი აუცილებლად უნდა წაეკიდოს გლეხობას, და აი მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გლეხობას წაეკიდება, მან გააფთრებული ბრძოლა უნდა გაუმართოს მსოფლიო

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ბურჟუაზიას, როცა «ზურგს უკან ედგება კონტრრევოლუცია», ხოლო წინ — «ევროპის რეაქცია».

აქ, ტროცკის ამ «სქემაში», რომ საკმაოდ ბევრია «მუსიკალური», «ზეადამიანური» და «უზომოდ დიდებული», — ამას, კაცმა რომ თქვას, შეიძლება დავეთანხმოთ. მაგრამ აქ რომ არ არის არც მარქსიზმი, არც რევოლუციურობა, აქ რომ საქმე გვაქვს მხოლოდ რევოლუციობანას ფუჭ თამაშთან და პოლიტიკაში ავანტიურიზმთან, — ესეც უეჭველია.

ამავე დროს უეჭველია, რომ ტროცკის ეს «სქემა» პირდაპირი გამოხატულებაა ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი პოლიტიკური პერსპექტივებისა, შედეგი და ნაყოფია მოძრაობის იმ ფორმებზე «გადახტომის» ტროცკისტული თეორიისა, რომლებსაც დრო არ მოუჭამიათ.

III

ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები

ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები პირდაპირი განგრძობაა მისი მთავარი შეცდომისა ძირითად საკითხში — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

ოპოზიციის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ შეცდომებზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ისეთი საკითხები, როგორიც არის სამეურნეო მშენებლობის საქმეში პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხი, ინდუსტრიალიზაციის საკითხი, პარტიული აპარატისა და პარტიაში «რეჟიმის» საკითხი და სხვ.

პარტია ემყარება იმას, რომ საერთოდ თავის პოლიტიკაში, განსაკუთრებით ეკონომიურ პოლიტიკაში, არ შეიძლება ინდუსტრიის მოწყვეტა სოფლის მეურნეობისაგან,

რომ მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის განვითარება უნდა წავიდეს მათი შეხამების ხაზით, სოციალისტურ მეურნეობაში მათი გაერთიანების ხაზით.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი, სოციალისტური მეთოდი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა მშრომელი მასების, მათ შორის აგრეთვე გლეხობის ძირითადი მასის, როგორც ინდუსტრიალიზაციის გაშლის ძირითადი ბაზის, მატერიალური მდგომარეობის **განუხრელი გაუმჯობესების** საშუალებით. მე ვლაპარაკობ ინდუსტრიალიზაციის სოციალისტურ მეთოდზე ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდისაგან განსხვავებით, რომელიც მშრომელთა ფენების მილიონიანი მასების **გაღატაკების** საშუალებით ხორციელდება.

რა არის ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდის ძირითადი მიწუსი? ის, რომ იგი იწვევს ინდუსტრიალიზაციის ინტერესების მოწყვეტას მშრომელი მასების ინტერესებისაგან, ქვეყანაში შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებას, მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების გაღატაკებას, მოგების გამოყენებას არა ქვეყნის შიგნით უფართოესი მასების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, არამედ კაპიტალის გატანისა და ქვეყნის შიგნით და გარეთ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბაზის გაფართოებისათვის.

რა არის ინდუსტრიალიზაციის სოციალისტური მეთოდის ძირითადი პლუსი? ის, რომ იგი იწვევს ინდუსტრიალიზაციის ინტერესებისა და მოსახლეობის მშრომელი ფენების ძირითადი მასების ინტერესების ერთიანობას, ის, რომ იგი იწვევს არა მილიონიანი მასების გაღატაკებას, არამედ ამ მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არა შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებას, არამედ მათ შერბილებასა და დაძლევას, ის, რომ იგი განუხრელად აფართოებს საშინაო ბაზარს და ზრდის ამ ბაზრის ტევა-

დობას და, ამრიგად, მტკიცე შინაგან ბაზას ქმნის ინდუსტრიალიზაციის გაშლისათვის.

აქედან გამომდინარეობს გლეხობის ძირითადი მასების პირდაპირი დაინტერესება ინდუსტრიალიზაციის სოციალისტური გზებით.

აქედან გამომდინარეობს საერთოდ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, კერძოდ ჩვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში გლეხობის მიმართ პროლეტარიატის ჰეგემონიის განხორციელების შესაძლებლობა და აუცილებლობა.

აქედან გამომდინარეობს იდეა გლეხურ მეურნეობასთან სოციალისტური ინდუსტრიის დაკავშირებისა — უწინარეს ყოვლისა გლეხობის მასობრივი კოოპერირების საშუალებით, იდეა ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლისა სოფლის მეურნეობის მიმართ.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა, სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკა და სხვ., რომლებიც ითვალისწინებენ პროლეტარიატისა და გლეხობის ეკონომიური თანამშრომლობის შენარჩუნების ინტერესებს, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების ინტერესებს.

ოპოზიციური ბლოკი, პირიქით, გამოდის სოფლის მეურნეობისათვის ინდუსტრიის დაპირისპირებიდან და ადგება სოფლის მეურნეობისაგან ინდუსტრიის მოწყვეტის გზას. იგი ვერ მიხვედრილა და არ აღიარებს, რომ არ შეიძლება ინდუსტრიის წინწაწევა, თუ გვერდს ავუვლით სოფლის მეურნეობის ინტერესებს, დავარღვევთ ამ ინტერესებს. მას არ ესმის, რომ თუ ინდუსტრია წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ საწყისს, სოფლის მეურნეობა, თავის მხრივ, წარმოადგენს იმ ბაზას, რომლის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს ჩვენში ინდუსტრია-

აქედან გამომდინარეობს გლეხური მეურნეობის განხილვა როგორც «კოლონიისა», რომელსაც «ექსპლოატაცია» უნდა გაუწიოს პროლეტარულმა სახელმწიფომ (პრეობრაჟენსკი).

აქედან გამომდინარეობს შიში კარგი მოსავლისა (ტროცკი), რომელიც თითქოს წარმოადგენს ძალას, რასაც შეუძლია დეზორგანიზაცია შეიტანოს ჩვენს ეკონომიკაში.

აქედან გამომდინარეობს ოპოზიციური ბლოკის თავისებური პოლიტიკა, რომელიც ადგება ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავების გზას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდების გზას.

ხომ არ გნებავთ, მაგალითად, მოუსმინოთ პრეობრაჟენსკის, რომელიც ოპოზიციური ბლოკის ერთ-ერთი ლიდერია? აი რას ამბობს იგი თავის ერთ-ერთ სტატიაში:

«ეკონომიურად რაც უფრო ჩამორჩენილი, წვრილბურჟუაზიული, გლეხურია ესა თუ ის ქვეყანა, რომელიც წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციაზე გადადის... — სოციალისტური დაგროვება მით უფრო მეტად არის იძულებული დაეყრდნოს **მეურნეობის წინასოციალისტური ფორმების ექსპლოატაციას**... პირიქით, ეკონომიურად და ინდუსტრიულად რაც უფრო განვითარებულია ესა თუ ის ქვეყანა, რომელშიც სოციალური რევოლუცია იმარჯვებს... ამ ქვეყნის პროლეტარიატისათვის რაც უფრო აუცილებელია **კოლონიების** პროდუქტებზე თავისი პროდუქტების გაცვლის არაეკვივალენტობის შემცირება, ე. ი. **კოლონიების ექსპლოატაციის** შემცირება, — სოციალისტური დაგროვების სიმძიმის ცენტრი მით უფრო მეტად გადაინაცვლებს სოციალისტური ფორმების საწარმოო საფუძველზე, ე. ი. დაეყრდნობა საკუთარი მრეწველობისა და საკუთარი მიწათმოქმედების ზედმეტ პროდუქტს» (ე. პრეობრაჟენსკი, სტატია «სოციალისტური დაგროვების ძირითადი კანონი», «ვესტნიკ კომაკადემიი», 1924 წ., № 8).

არა მგონია საჭირო იყოს მტკიცება, რომ პრეობრაჟენსკი დგება ჩვენი ინდუსტრიის ინტერესებსა და ჩვენი ქვეყნის გლეხური მეურნეობის ინტერესებს შორის შეურიგე-

ბელ წინააღმდეგობათა გზაზე, — მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდების გზაზე.

მე ვფიქრობ, რომ როცა პრეობრაჟენსკი გლეხურ მეურნეობას უთანაბრებს «კოლონიას» და ცდილობს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობა ააგოს როგორც **ექსპლოატაციის** ურთიერთობა, — ამით ის ძირს უთხრის, ცდილობს ძირი გამოუთხაროს, თავისდა შეუგნებლად, ყოველგვარ შესაძლო სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

მე ვამტკიცებ, რომ ამ პოლიტიკას საერთო არა აქვს რა პარტიის პოლიტიკასთან, პარტიისა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის საქმეს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ეკონომიური **თანამშრომლობის** საფუძველზე აშენებს.

იგივე, ან თითქმის იგივე, უნდა ითქვას ტროცკის შესახებ, რომელსაც «კარგი მოსავლისა» ეშინია და ფიქრობს, როგორც ჩანს, რომ კარგი მოსავალი საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით. აი რას ამბობდა იგი, მაგალითად, აპრილის პლენუმზე:

«ამ პირობებში (ტროცკი ლაპარაკობს თანამედროვე დისპროპორციის პირობებზე. **ი. სტ.**) **კარგი მოსავალი,** ე. ი. სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნამეტის პოტენციურად გაზრდილი რაოდენობა, **შეიძლება გახდეს ფაქტორად, რომელიც კი არ დააჩქარებს სოციალიზმისაკენ სამეურნეო განვითარების ტემპს, არამედ, პირიქით, დეზორგანიზაციას შეიტანს ეკონომიკაში,** გაამწვავებს ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის, ხოლო თვით ქალაქის შიგნით — მომხმარებლებსა და სახელმწიფოს შორის. **პრაქტიკულად** რომ ვთქვათ, **კარგი მოსავალი** — სამრეწველო საქონლის უქონლობის დროს — შეიძლება ნიშნავდეს მარცვლეულიდან **არყის** გამოხდას გადიდებული რაოდენობით **და რიგების გაზრდას ქალაქში. პოლიტიკურად** ეს იქნება **გლეხის ბრძოლა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, ე. ი. სოციალისტური მრეწველობის წინააღმდეგ» *.** (ცენტრალური კომიტეტის

* ბაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

აპრილის პლენუმის სხდომების სტენოგრამა, ტროცკის შესწორებანი რიკოვის რეზოლუციის პროექტისათვის, გვ. 164).

საკმარისია ტროცკის ეს უცნაურზე უცნაური განცხადება შევადაროთ საქონლის უაღრესად გამწვავებული ნაკლებობის პერიოდში ამხ. ლენინის განცხადებას იმის შესახებ, რომ კარგი მოსავალი «სახელმწიფოს ხსნაა» [40], რათა მივხვდეთ ტროცკის განცხადების მთელ უმართებულობას.

ტროცკი, როგორც ჩანს, არ ცნობს იმ დებულებას, რომ ჩვენში ინდუსტრიალიზაცია შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ სოფლის მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესების საშუალებით.

ტროცკი, როგორც ჩანს, ემყარება იმას, რომ ჩვენში ინდუსტრიალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს ერთგვარი, ასე ვთქვათ, «ცუდი მოსავლის» საშუალებით.

აქედან გამომდინარეობს ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული წინადადებანი გასაცემი ფასების აწევის შესახებ, გლეხობის გადასახადებით დაბეგვრის გაძლიერების შესახებ და სხვ., წინადადებანი, რომელთაც შედეგად მოჰყვება პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ეკონომიური თანამშრომლობის არა განმტკიცება, არამედ მისი დარღვევა, სამეურნეო მშენებლობის დარგში პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის პირობების არა მომზადება, არამედ ამ პირობებისათვის ძირის გამოთხრა, გლეხურ მეურნეობასთან ინდუსტრიის არა კავშირი, არამედ მათ შორის კავშირის გაწყვეტა.

რამდენიმე სიტყვა გლეხობის დიფერენციაციის შესახებ. ყველასათვის ცნობილია ოპოზიციის ხმაური და პანიკა დიფერენციაციის ზრდის გამო. ყველასათვის ცნობილია, რომ ისე არავის აუტეხია პანიკა სოფლად კერძო წვრილი კაპიტალის ზრდის შესახებ, როგორც ოპოზიციას. მაგრამ ნამდვილად რა გამოდის? აი რა.

ჯერ-ერთი, დიფერენციაცია გლეხობაში, როგორც ამას ფაქტები გვიჩვენებენ, ჩვენში სრულიად თავისებური ფორმებით ხდება, სახელდობრ — არა საშუალო გლეხის თანდათანობითი «გაქრობის» გზით, არამედ, პირიქით, მისი გაძლიერების გზით, უკიდურესი პოლუსების მნიშვნელოვანი დავიწროების დროს, ამასთან ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის მიწის ნაციონალიზაცია, გლეხობის მასობრივი კოოპერირება, ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა და სხვ., არ შეუძლიათ არ შექმნან გარკვეული ჩარჩოები და შეზღუდვანი თვით დიფერენციაციისათვის.

მეორეც, — და ეს მთავარია, — სოფლად კერძო წვრილი კაპიტალის ზრდას მთლიანად და გადაჭარბებით ფარავს ისეთი გადამწყვეტი ფაქტი, როგორიც არის განვითარება ჩვენი ინდუსტრიისა, რომელიც განამტკიცებს პროლეტარიატისა და მეურნეობის სოციალისტური ფორმების პოზიციებს და წარმოადგენს კერძო კაპიტალის ყველა და ყოველგვარი ფორმის საწინააღმდეგო ძირითად საშუალებას.

ყველა ეს გარემოება, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა «ახალ ოპოზიციას», რომელიც ინერციით განაგრძობს ყვირილს და ქმნის პანიკას სოფლად კერძო კაპიტალის შესახებ.

იქნებ ზედმეტი არ იყოს გავახსენოთ ოპოზიციას ლენინის სიტყვები ამ საკითხზე. აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ლენინი:

«მსხვილი წარმოების მდგომარეობის ყოველგვარი გაუმჯობესება, ზოგიერთი დიდი ფაბრიკის ამუშავების შესაძლებლობა — იმდენად განამტკიცებს პროლეტარიატის მდგომარეობას, რომ წვრილი, თუნდაც მზარდი, ბურჟუაზიის სტიქიისა არ უნდა გვეშინოდეს. უნდა გვეშინოდეს არა იმისი, რომ წვრილი ბურჟუაზია და წვრილი კაპიტალი გაიზრდება. უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ მეტად დიდხანს გრძელდება უკიდურესი შიმშილობის, გაჭირვების, პროდუქტების ნაკლებობის მდგომარეობა, რომლიდანაც გამომდინარეობს პროლეტარიატის უკვე

სრული დაუძლურება, იმის შეუძლებლობა, რომ იგი გაუმკლავდეს წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და სასოწარკვეთილების სტიქიას. ეს უფრო საშიშია. პროდუქტების რაოდენობის გადიდების დროს წვრილი ბურჟუაზიის არავითარი განვითარება არ იქნება დიდი მინუსი, რამდენადაც ეს მსხვილი მრეწველობის განვითარებას იძლევა»... (იხ. ტ. XXVI, გვ. 256).

ოდესმე მიხვდებიან თუ არა ოპოზიციონერები, რომ პანიკა სოფლად დიფერენციაციისა და კერძო კაპიტალის გამო არის ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის ურწმენობის მეორე მხარე.

რამდენიმე სიტყვა ოპოზიციის ბრძოლაზე პარტიული აპარატისა და პარტიაში არსებული «რეჟიმის» წინააღმდეგ.

ნამდვილად რაში მდგომარეობს ოპოზიციის ბრძოლა პარტიული აპარატის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს? არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ დარგში ოპოზიციის ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, განისაზღვრება იმით, რომ იგი ცდილობს დეზორგანიზაცია შეიტანოს პარტიის ხელმძღვანელობაში და განაიარაღოს პარტია იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი ეწევა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის, ამ აპარატიდან ბიუროკრატიზმის განდევნისათვის, სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობისათვის.

საითკენ არის მიმართული ოპოზიციის ბრძოლა პარტიაში არსებული «რეჟიმის» წინააღმდეგ? იქითკენ, რომ დაარღვიოს პარტიაში რკინისებური დისციპლინა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პროლეტარიატის დიქტატურა, იქითკენ, რომ შეარყიოს, ბოლოს და ბოლოს, პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლები.

ამიტომ პარტია მართალია, როცა ამტკიცებს, რომ ოპოზიციის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები

ასახავენ ჩვენს პარტიაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე არაპროლეტარული ელემენტების შემოტევას.

ასეთია, ამხანაგებო, ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები.

IV

ზოგიერთი დასკვნა

ამას წინათ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე [91] ტროცკიმ განაცხადა, რომ კონფერენციის მიერ ოპოზიციური ბლოკის შესახებ თეზისების მიღებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს პარტიიდან ოპოზიციის ლიდერების გარიცხვაო. მე უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ ტროცკის ეს განცხადება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რომ იგი ყალბია. მე უნდა განვაცხადო, რომ ოპოზიციური ბლოკის შესახებ თეზისების მიღებას შეიძლება მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდეს: ოპოზიციის პრინციპულ შეცდომებთან გადამწყვეტი ბრძოლა მათი სრული დაძლევისათვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის X ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის შესახებ [92]. ხოლო რა არის ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრა? არ შეიძლება ითქვას, რომ ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრა სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე «უკეთესი» იყოს. მაგრამ ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის შესახებ რეზოლუციის მიღების ფაქტიდან დღემდე ჯერ კიდევ არავის გამოუტანია დასკვნა იმის შესახებ, რომ «მუშათა ოპოზიციის» წევრები აუცილებლად უნდა გაირიცხონ პარტიიდან.

ტროცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენი პარტიის XIII ყრილობამ ტროცკიზმი «აშკარად გამოხატულ

წვრილბურჟუაზიულ გადახრად» გამოაცხადა. მაგრამ დღემდე ჯერ კიდევ არავის უფიქრია, რომ ასეთი რეზოლუციის მიღებას შედეგად უნდა მოჰყვეს ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერების აუცილებელი გარიცხვა პარტიიდან.

აი სათანადო ადგილი XIII ყრილობის რეზოლუციიდან:

«ახლანდელი «ოპოზიციის» სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ბოლშევიზმის რევიზიის ცდასთან, არა მარტო ლენინიზმისაგან პირდაპირ ჩამოშორებასთან, არამედ **აშკარად გამოხატულ წვრილბურჟუაზიულ გადახრასთანაც** *. სრულიად უეჭველია, რომ ეს «ოპოზიცია» ობიექტურად ასახავს წვრილი ბურჟუაზიის შეტევას პროლეტარული პარტიის პოზიციებსა და მის პოლიტიკაზე». (XIII ყრილობის რეზოლუციიდან).

დაე აგვიხსნას ტროცკიმ, რით სჯობს წვრილბურჟუაზიული გადახრა სოციალ-დემოკრატიულ გადახრას. განა ძნელი გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატიული გადახრა წვრილბურჟუაზიული გადახრის ნაირსახეობას წარმოადგენს? განა ძნელი გასაგებია, რომ, როცა სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხოლოდ ვაზუსტებთ იმას, რაც ნათქვამი გვაქვს XIII ყრილობის რეზოლუციაში? ოპოზიციური ბლოკის ლიდერებს ჩვენ სრულიადაც არ ვაცხადებთ სოციალ-დემოკრატებად. ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ ოპოზიციურ ბლოკში დაისახა სოციალ-დემოკრატიული გადახრა, და გაფრთხილებას ვიძლევით, რომ ჯერ კიდევ გვიან არ არის ამ გადახრისაგან ჩამოშორება, საითკენაც მოვუწოდებთ ოპოზიციურ ბლოკს.

აი რა არის ნათქვამი ტროცკიზმის შესახებ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1925 წლის იანვრის ცნობილ რეზოლუციაში [88]:

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«არსებითად თანამედროვე ტროცკიზმი არის კომუნიზმის ფალსიფიკაცია ფსევდო-მარქსიზმის «ევროპულ» ნიმუშებთან მიახლოების აზრით, ე. ი., ბოლოს და ბოლოს, «ევროპული» სოციალ-დემოკრატიის აზრით». (ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1925 წლის 17 იანვრის პლენუმის რეზოლუციიდან).

უნდა ვთქვა, რომ ორივე ეს რეზოლუცია ძირითადად ზინოვიევის ხელით არის დაწერილი. მაგრამ არა მარტო პარტიას მთლიანად, არამედ ზინოვიევსაც კი — კერძოდ, აქედან ის დასკვნა არ გამოუტანიათ, რომ ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერები პარტიიდან უნდა გაირიცხონ.

იქნებ ზედმეტი არ იყოს მოვიყვანოთ ტროცკიზმის შესახებ კამენევის აზრი, რომელიც ტროცკიზმს მენშევიზმს უთანაბრებს? მოისმინეთ:

«ტროცკიზმი მუდამ იყო ყველაზე კეთილსახიერი, ყველაზე შენიღბული, მუშების სწორედ რევოლუციურად განწყობილი ნაწილის მოტყუებასთან ყველაზე შეგუებული **ფორმა მენშევიზმისა**». (კრებული სტატიებისა «ლენინიზმისათვის». ლ. კამენევი, «პარტია და ტროცკიზმი». გვ. 51).

ყველა ეს ფაქტი ტროცკიმ ნაკლებ არ იცის, ვიდრე ყოველმა ჩვენგანმა. მაგრამ ჯერ კიდევ არავის არ დაუყენებია საკითხი ტროცკისა და მის თანამოაზრეთა გარიცხვის შესახებ, ვთქვათ, XIII ყრილობის რეზოლუციების საფუძველზე.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ტროცკის განცხადება ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე არაგულწრფელია, ყალბია.

ძირითადად იწონებდა რა თეზისებს ოპოზიციური ბლოკის შესახებ, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმს მხედველობაში ჰქონდა არა რეპრესიები, არამედ საჭიროება იდეური ბრძოლისა ოპოზიციის პრინციპულ შეცდომებთან, რომლებზეც ოპოზიცია ჯერ კიდევ არ ამბობს უარს და რომლებისთვისაც იგი კვლავაც აპირებს ბრძო-

ლას წესდების ფარგლებში, როგორც იგი ამის შესახებ იუწყება თავის 16 ოქტომბრის «განცხადებაში». ასე რომ იქცეოდა, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი ემყარებოდა იმას, რომ ოპოზიციის პრინციპულ შეცდომებთან ბრძოლა მათი დაძლევის ერთადერთი საშუალებაა, ხოლო ამ შეცდომათა დაძლევა — ჩვენს პარტიაში ნამდვილი ერთიანობის ერთადერთი გზაა. ოპოზიციური ბლოკი რომ დაამარცხა და მას ფრაქციულობაზე ხელი ააღებინა, პარტიამ ამით მიაღწია საჭირო მინიმუმს, ურომლისოდაც შეუძლებელია ერთიანობა პარტიაში. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა როდია. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სრულ ერთიანობას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა გადავდგათ წინ კიდევ ერთი ნაბიჯი, ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ ოპოზიციურმა ბლოკმა უარი თქვას თავის პრინციპულ შეცდომებზე და ამრიგად დავიცვათ პარტია და ლენინიზმი შემოტევებისა და რევიზიის ცდებისაგან.

ეს არის პირველი დასკვნა.

უარყვეს რა ოპოზიციური ბლოკის პრინციპული პოზიცია და უკუაგდეს ოპოზიციის ცდები ახალი დისკუსიის დაწყებისა, პარტიულმა მასებმა თქვეს: ახლა ლაყბობის დრო არ არის, დროა მტკიცედ მოვკიდოთ ხელი სოციალისტური მშენებლობის საქმეს. აქედან დასკვნა: რაც შეიძლება ნაკლები ლაყბობა, რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი დადებითი მუშაობა, წინ — სოციალისტური მშენებლობისათვის!

ეს არის მეორე დასკვნა.

მესამე დასკვნა კი ის არის, რომ შინაპარტიული ბრძოლის მსვლელობაში და ოპოზიციის შემოტევათა მოგერიების მსვლელობაში პარტია გაერთიანდა მჭიდროდ, როგორც არასოდეს არ ყოფილა გაერთიანე-

ბული, ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების **საფუძველზე.**

ეს არის მესამე დასკვნა.

ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების **საფუძველზე** მჭიდროდ გაერთიანებული პარტია სწორედ ის ბერკეტია, რომელიც ესოდენ გვესაჭიროება ახლა იმისათვის, რომ წინ წავწიოთ სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

ეს ბერკეტი ოპოზიციური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვჭედეთ.

ბრძოლამ ჩვენი პარტია შეამჭიდროვა მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების საფუძველზე. კონფერენციამ უნდა გააფორმოს ეს შემჭიდროება იმით, რომ იგი, იმედი მაქვს, ერთხმად მიიღებს თეზისებს, რომლებიც მას ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა.

ეჭვი არ მეპარება, რომ კონფერენცია თავის ამ საქმეს ღირსეულად შეასრულებს. (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი; ყ ვ ე ლ ა დ ე ლ ე გ ა ტ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ა; ო ვ ა ც ი ა).

«პრავდა» №№ 256 და 257;
1926 წ. 5 და 6 ნოემბერი.

საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო— «სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში»

1926 წ. 3 ნოემბერი

I

ზოგიერთი ზოგადი საკითხის შესახებ

1. მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის, რომ ენგელსის ცნობილი ფორმულა, რომელიც მოცემული იყო გასული საუკუნის 40-იან წლებში, სწორი იყო თავის დროზე, მაგრამ ახლა იგი საკმარისი აღარ არის. მე ვთქვი, რომ ამიტომ იგი შეცვლილი უნდა იქნას ლენინის ფორმულით იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის განვითარებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

კამათის დროს მედავებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიდო თავი ზინოვიევმა. ამიტომ იძულებული ვარ ხელახლა დავაყენო ეს საკითხი და უფრო დაწვრილებით გავაშუქო იგი.

მე ვფიქრობ, რომ ზინოვიევს არ წაუკითხავს ენგელსის «კომუნიზმის პრინციპები», ხოლო თუ წაუკითხავს, — ვერ გაუგია ისინი, თორემ იგი გამოდავებას არ დაიწყებდა, თორემ იგი მხედველობაში მიიღებდა იმ ფაქტს, რომ ენგელსის ძველ ფორმულას ახლა ებღაუჭება სოციალ-დემოკრატია ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თორემ ზინოვიევი მიხვდებოდა, რომ, თუ სოციალ-დემოკრატიის კვალს გავყვებით, შეიძლება «გადაგვარების» ზოგიერთ საშიშროებას წავაწყდეთ.

აი რას ამბობს ენგელსი თავის «კომუნიზმის პრინციპებში» [94], რომლებიც წარმოადგენენ ცალკეულ დებულებათა გადმოცემას კითხვა-პასუხის სახით.

«კ ი თ ხ ვ ა: შეიძლება თუ არა კერძო საკუთრების ერთბაშად გაუქმება?

პ ა ს უ ხ ი: არა, არ შეიძლება, სწორედ ისევე, როგორც არ შეიძლება წარმოების არსებულ საშუალებათა ერთბაშად გადიდება ისეთი ოდენობით, როგორიც საჭიროა საზოგადოებრივი წარმოების შესაქმნელად. ამიტომ **პროლეტარიატის რევოლუცია** *, რომელიც უთუოდ მოხდება, შესძლებს მხოლოდ თანდათანობით გარდაქმნას ახლანდელი საზოგადოება და მხოლოდ მას შემდეგ გააუქმებს კერძო საკუთრებას, რაც უკვე შექმნილი იქნება ამისათვის საჭირო მასა წარმოების საშუალებებისა.

კ ი თ ხ ვ ა: როგორი იქნება ამ რევოლუციის მიმდინარეობა?

პ ა ს უ ხ ი: უწინარეს ყოვლისა, იგი შექმნის დემოკრატიულ წყობილებას და ამით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას».

აქ, როგორც ჩანს, საქმე ეხება ბურჟუაზიის დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებას. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ეს პუნქტი ჩვენში უკვე განხორციელებულია, განხორციელებულია ჭარბად. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!». «მართალია!»).

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

შემდეგ:

«დემოკრატია სრულიად უსარგებლო იქნებოდა პროლეტარიატისათვის, თუ მას იგი დაუყოვნებლივ არ გამოიყენებს, როგორც საშუალებას იმ ფართო ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ კერძო საკუთრებას და უზრუნველყოფენ პროლეტარიატის არსებობას. ეს უმთავრესი ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ ამჟამად არსებული პირობებიდან, შემდეგია:

1) კერძო საკუთრების შეზღუდვა: პროგრესიული გადასახადი, დიდი გადასახადი მემკვიდრეობაზე, არაპირდაპირი მემკვიდრეობის გაუქმება (ძმები, ძმისწულები და ა. შ.), იძულებითი სესხები და სხვ.».

თქვენ იცით, რომ ეს ღონისძიებანი ჩვენში ფართოდ განხორციელებულია და ხორციელდება.

შემდეგ:

«2) მიწის მესაკუთრეთა, მეფაბრიკეთა, რკინიგზებისა და საზღვაო გემების მფლობელთა თანდათანობითი ექსპროპრიაცია, ნაწილობრივ სახელმწიფო მრეწველობის მხრივ კონკურენციის საშუალებით, ნაწილობრივ უშუალოდ ასიგნატებით გამოსყიდვის გზით».

თქვენ იცით, რომ ეს ღონისძიებებიც ჩვენში განხორციელდა ჩვენი რევოლუციის პირველ წლებშივე.

შემდეგ:

«3) ყველა ემიგრანტისა და ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ აჯანყებული ყველა მეამბოხის ქონების კონფისკაცია».

თქვენ იცით, რომ ჩვენ უკვე მოვახდინეთ კონფისკაცია და მოვახდინეთ ისე, რომ საკონფისკაციო აღარა დარჩა რა. (ს ი ც ი ლ ი).

შემდეგ:

«4) შრომის ორგანიზაცია ანუ პროლეტარებისათვის სამუშაოს მიცემა ნაციონალურ მამულებში, ფაბრიკებსა და სახელოსნოებში, რის მეოხებითაც მოსპობილი იქნება მუშების კონკურენცია ურთიერთშორის, და მეფაბრიკეები, რამდენადაც ისინი კიდევ დარჩებიან, იძულებული იქნებიან აძლიონ მუშებს ისეთივე მაღალი ხელფასი, როგორსაც სახელმწიფო იძლევა».

ცნობილია, რომ ჩვენ ვადგავართ ამ გზას, ამ გზაზე ვაღწევთ მთელ რიგ გამარჯვებებს, და ეს პუნქტი ძირითადად უკვე წარმატებით ხორციელდება.

შემდეგ:

«5) თანაბარი იძულებითი შრომა საზოგადოების ყველა წევრისათვის კერძო საკუთრების სრულ გაუქმებამდე. სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის».

თქვენ იცით, რომ ჩვენ ვსინჯეთ ეს გზა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, შრომის არმიების მოწყობის სახით. მაგრამ ამ გზაზე დიდ შედეგებს ვერ მივაღწიეთ. შემდეგ ამ მიზნისაკენ შემოსავლელი გზებით წავედით, და საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ამ დარგში გადამწყვეტ წარმატებებს მოვიპოვებთ.

შემდეგ:

«6) საკრედიტო სისტემისა და ფულით ვაჭრობის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კაპიტალით აღჭურვილი ნაციონალური ბანკის საშუალებით. ყოველგვარი კერძო ბანკებისა და ბანკირთა კანტორების დახურვა».

ესეც, ამხანაგებო, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია.

შემდეგ:

«7) ნაციონალური ფაბრიკების, სახელოსნოების, რკინიგზებისა და საზღვაო გემების რაოდენობის გადიდება, დაუმუშავებლად დარჩენილი ყველა მიწის დამუშავება და უკვე დამუშავებული მიწების დამუშავების გაუმჯობესება იმის შესაბამისად, თუ რამდენად დიდდება კაპიტალები და იზრდება რიცხვი მუშებისა, რომლებიც ერის განკარგულებაშია».

თქვენ იცით, რომ ჩვენში ეს საქმეც ხორციელდება და წინ მიდის, რასაც ყოველმხრივ უწყობს ხელს მიწის ნაციონალიზაციაც და მრეწველობის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციაც.

შემდეგ:

«8) ყველა ბავშვის აღზრდა იმ მომენტიდან, როცა მათ დედის მოვლა აღარ დასჭირდებათ, სახელმწიფო დაწესებულებებში და სახელმწიფოს ხარჯზე».

ჩვენში ეს საქმე ხორციელდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, ვინაიდან ჩვენ, ომითა და ინტერვენციით გაჩანაგებულებს, ჯერ კიდევ არ ძალგვიძს სახელმწიფოს მზრუნველობას დავაკისროთ ყველა ბავშვის აღზრდა ჩვენს ქვეყანაში.

შემდეგ:

«9) აგება დიდი სასახლეებისა ნაციონალურ მფლობელობებში, როგორც საერთო ბინებისა იმ მოქალაქეთა კომუნებისათვის, რომლებიც იმუშავებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და შეაერთებენ ქალაქური და სოფლური ცხოვრების უპირატესობებს, ისე, რომ არ შეწუხდნენ მათი ცალმხრივობითა და ნაკლოვანებებით».

საქმე ეხება, როგორც ჩანს, დიდი მასშტაბის საბინაო საკითხს. თქვენ იცით, რომ ამ საქმეს ჩვენ წინ ვწევთ, და თუ იგი ძირითადად ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული და, ალბათ, ვერც მალე განხორციელდება, ეს იმიტომ, რომ მემკვიდრეობად გაჩანაგებული მრეწველობა მივიღეთ და ჯერ არ მოგვისწრია, არც შეგვეძლო მოგვესწრო საკმაო ფონდების დაგროვება ფართო საბინაო მშენებლობისათვის.

შემდეგ:

«10) ყველა არაჯანსაღი და ცუდად აშენებული ბინებისა და უბნების დანგრევა ქალაქებში».

ეს პუნქტი წინა პუნქტის შემადგენელი ნაწილია, — ამიტომ წინა პუნქტის შესახებ ნათქვამი ამ პუნქტსაც უნდა მიეკუთვნოს.

შემდეგ:

«11) მემკვიდრეობის თანაბარი უფლება დაქორწინებულ და დაუქორწინებელ მშობელთა ბავშვებისათვის».

მე ვფიქრობ, რომ ეს საქმე ჩვენში, ასე ვთქვათ, დამაკმაყოფილებლად მიდის.

ბოლოს, უკანასკნელი პუნქტი:

«12) მთელი სატრანსპორტო საქმის კონცენტრაცია ერის ხელში».

თქვენ იცით, რომ ეს საქმე ჩვენში უკვე მთლიანად განხორციელებულია.

ასეთია, ამხანაგებო, პროლეტარული რევოლუციის პროგრამა, რომელიც ენგელსს მოცემული აქვს თავის «კომუნიზმის პრინციპებში».

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ამ პროგრამის ცხრა მეათედი **უკვე** განხორციელებულია ჩვენი რევოლუციის მიერ.

შემდეგ:

«კითხვა: **შეიძლება თუ არა** ეს რევოლუცია (რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. **ი. სტ.**) **ერთ რომელიმე ქვეყანაში** მოხდეს?

პასუხი: **არა.** მსხვილმა მრეწველობამ უკვე იმით, რომ მსოფლიო ბაზარი შექმნა, ისე დააკავშირა ერთმანეთთან დედამიწის ყველა ხალხი, განსაკუთრებით ცივილიზებული ხალხები, რომ თვითეული მათგანი დამოკიდებულია იმაზე, რაც მეორისას ხდება. შემდეგ მსხვილმა მრეწველობამ ისე გაათანაბრა საზოგადოებრივი განვითარება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ყველგან გადაიქცნენ საზოგადოების ორ გადამწყვეტ კლასად და მათ შორის ბრძოლა — ჩვენი დროის მთავარ ბრძოლად. **ამიტომ კომუნისტური რევოლუცია არა მარტო ნაციონალური იქნება, არამედ ერთდროულად მოხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე. ი., ყოველ შემთხვევაში, ინგლისსა, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში»...** * (იხ. ფ. **ენგელსი**, «კომუნიზმის პრინციპები»).

აი როგორია საქმის ვითარება, ამხანაგებო.

ენგელსი ამბობდა, პროლეტარული რევოლუცია ზემომოყვანილი პროგრამით ცალკეულ ქვეყანაში **ვერ** მოხდებაო. ფაქტები კი მოწმობენ, რომ პროლეტარიატის

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. **ი. სტ.**

კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმის პირობებში ჩვენ ძირითადად **უკვე მოვახდინეთ** ასეთი რევოლუცია ცალკეულ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში, და განვახორციელეთ მისი პროგრამის ცხრა მეათედი.

ზინოვიევს შეუძლია თქვას, რომ ჩვენ შევცდით, ეს პროგრამა რომ განვახორციელეთ, ეს პუნქტები რომ განვახორციელეთ. (ს ი ც ი ლ ი). სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ დავუშვით ერთგვარი «ნაციონალური შეზღუდულობა», ეს პუნქტები რომ განვახორციელეთ. (ს ი ც ი ლ ი). სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ერთი რამ მაინც ნათელია, რომ ის, რაც ენგელსს გასული საუკუნის 40-იან წლებში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, განუხორციელებლად და შეუძლებლად მიაჩნდა ერთი ქვეყნისათვის, განსახორციელებელი და შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში, იმპერიალიზმის პირობებში.

რა თქმა უნდა, ენგელსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იგი არ ჩაებღაუჭებოდა ძველ ფორმულას, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ მიესალმებოდა ჩვენს რევოლუციას და იტყოდა: «ჯანაბას ყველა ძველი ფორმულა, გაუმარჯოს ძლევამოსილ რევოლუციას სსრ კავშირში!». (ტ ა შ ი).

მაგრამ ასე როდი ფიქრობენ სოციალ-დემოკრატთა ბანაკის ვაჟბატონები. ისინი ებღაუჭებიან ენგელსის ძველ ფორმულას იმისათვის, რომ ამოეფარონ მას და ამით გაიადვილონ ბრძოლა ჩვენი რევოლუციის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა. ოღონდ ცუდია ის, რომ ზინოვიევი ცდილობს მიბაძოს ამ ვაჟბატონებს და ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის გზას ადგება.

ენგელსის ფორმულა რომ მომყავდა და მას დაწვრილებით ვავითარებდი, მე მხედველობაში მქონდა სამი მოსაზრება:

ჯერ-ერთი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინის ფორმულის დაპირდაპირებით ენგელსის ფორმულასთან, რომელიც ძველი პერიოდის მარქსისტთა თვალსაზრისის ყველაზე უკიდურეს და მკვეთრ გამოხატულებას წარმოადგენს, — შემექმნა მაქსიმალური სიცხადე საკითხში;

მეორეც, მემხილებინა რეფორმიზმი და ანტირევოლუციონალიზმი სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ცდილობს თავისი ოპორტუნიზმი ენგელსის ძველი ფორმულის დამოწმებით დაფაროს;

მესამეც, ცხადმეყო, რომ ლენინი **პირველი** იყო, რომელმაც გადაწყვიტა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

უნდა ვაღიაროთ, ამხანაგებო, რომ სწორედ ლენინმა, და არა სხვა ვინმემ, აღმოაჩინა ჭეშმარიტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ლენინს ვერ წავართმევთ იმას, რაც მას უფლებით ეკუთვნის. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლისა, მამაცობა უნდა შეგვწევდეს ვთქვათ სიმართლე, მამაცობა უნდა შეგვწევდეს ვთქვათ აშკარად, რომ ლენინი მარქსისტებში **პირველი** იყო, რომელმაც ახლებურად დააყენა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ და იგი დადებითად გადაჭრა.

ამით სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ ლენინი, როგორც მოაზროვნე, ენგელსზე ან მარქსზე მაღლა იდგა. ამით მე მინდა ვთქვა მხოლოდ ორი რამ:

ჯერ-ერთი: არ შეიძლება მოვითხოვდეთ ენგელსისა ან მარქსისაგან, რა გენიალური მოაზროვნეებიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომ მათ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში გაეთვალისწინებინათ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის ყველა შესაძლებლობანი, რომლებიც შეიქმნა ნახევარ

საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, განვითარებული მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში;

მეორეც: გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ ლენინმა, როგორც ენგელსისა და მარქსის გენიალურმა მოწაფემ, შესძლო შეემჩნია პროლეტარული რევოლუციის ახალი შესაძლებლობანი კაპიტალიზმის განვითარების ახალ პირობებში და, ამრიგად, აღმოაჩინა ჭეშმარიტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

უნდა შეგვეძლოს განვასხვაოთ მარქსიზმის ასო და არსი, მარქსიზმის ცალკეული დებულებანი და მეთოდი. ლენინმა იმიტომ შესძლო აღმოეჩინა ჭეშმარიტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, რომ მას მარქსიზმი მიაჩნდა არა დოგმად, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოდ, იგი არ იყო დოგმის მონა და უნარი შესწევდა შეემჩნია მარქსიზმში მთავარი, ძირითადი.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი თავის ბროშურაში ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში»:

«ჩვენი თეორია დოგმა კი არ არის, არამედ **სახელმძღვანელო მოქმედებისათვის** — ამბობდნენ მარქსი და ენგელსი, და ისეთი «პატენტიანი» მარქსისტების, როგორიც არიან კარლ კაუცკი, ოტო ბაუერი და სხვ., უდიდეს შეცდომას, უდიდეს დანაშაულს წარმოადგენს ის, რომ მათ ეს ვერ გაიგეს, ვერ შესძლეს გამოეყენებინათ პროლეტარიატის რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში» (იხ. ტ. XXV, გვ. 211).

აი გზა, მარქსის, ენგელსისა და ლენინის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ და რომელსაც მომავალშიც უნდა ვადგეთ, თუ გვინდა ბოლომდე დავრჩეთ რევოლუციონერებად.

ლენინიზმმა იმიტომ დაიცვა თავი როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის

მარქსიზმმა, რომ იგი ადგა და კვლავაც ადგას ამ გზას; ამ გზიდან გადახვევა ოპორტუნიზმის ჭაობში ჩავარდნას ნიშნავს. ამ გზიდან გადაცდენა ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის კუდში ჩანჩალს, რაც კიდევაც დაემართა ამ შემთხვევაში ზინოვიევს.

ზინოვიევმა აქ თქვა, მარქსმა და ენგელსმა შემდეგში შეარბილეს ენგელსის ძველი ფორმულა და დაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ პროლეტარული რევოლუცია შეიძლება ცალკეულ ქვეყნებშიც **დაიწყოსო.** მან მოიყვანა ენგელსის ციტატა იმის შესახებ, რომ «ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაამთავრებსო»[95]. ყველაფერი ეს სწორია. ეს ახლა საბჭოთა-პარტიული სკოლის თვითეულმა მსმენელმა იცის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა ამაზე როდია ლაპარაკი. ერთი საქმეა სთქვა: დაიწყე რევოლუცია, უახლოესსავე დროში დაგეხმარება ძლევამოსილი რევოლუცია სხვა ქვეყნებში, ამასთან, თუ სხვა ქვეყნებში რევოლუცია გაიმარჯვებს, შეგიძლია გამარჯვებას იმედი გქონდეს. ეს ერთი საქმეა. სხვა საქმეა სთქვა: დაიწყე რევოლუცია და შემდგომ განავითარე იგი, როცა იცი, რომ, უახლოეს დროში კიდევაც რომ არ გაიმარჯვოს რევოლუციამ სხვა ქვეყნებში, ბრძოლის პირობები ახლა, განვითარებული იმპერიალიზმის პერიოდში, ისეთია, რომ შეგიძლია მაინც გაიმარჯვო იმისათვის, რომ შემდეგ რევოლუცია სხვა ქვეყნებში გააღვივო. ეს სხვა საქმეა.

და თუ მე მოვიყვანე ენგელსის ძველი ფორმულა, იმიტომ კი არა, რომ გვერდი ამევლო იმ ფაქტისათვის, რომ ენგელსმა და მარქსმა შემდეგში შეარბილეს ეს მკვეთრი და უკიდურესი ფორმულა, არამედ იმიტომ, რომ:

ა) შემექმნა სიცხადე საკითხში ორი საწინააღმდეგო ფორმულის დაპირდაპირების გზით;

ბ) მემხილებინა ოპორტუნიზმი სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ცდილობს ენგელსის ძველ ფორმულას ამოეფაროს;

გ) მეჩვენებინა, რომ ლენინი პირველი იყო, რომელმაც ახლებურად დააყენა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ და იგი დადებითად გადაჭრა.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მე მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ ზინოვიევს არ წაუკითხავს «კომუნიზმის პრინციპები», და თუ წაუკითხავს, — ვერ გაუგია, იგი ენგელსის ძველ ფორმულას სოციალ-დემოკრატიულად განმარტავს და, ამრიგად, ოპორტუნიზმის გზაზე დაეჭანა.

2. ლენინის ზოგიერთი შენიშვნა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

შემდეგ, ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ ჩვენ გვაქვს ცოტად თუ ბევრად ანალოგიური შემთხვევა იმ საკითხში, რომელიც ეხება პროლეტარიატის დიქტატურას განვითარებული იმპერიალიზმის ვითარებაში. მე ვთქვი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, დიქტატურისა, რომელიც გვესმის როგორც ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახალი პროლეტარული აპარატის აშენება, მარქსმა თავის დროზე (XIX საუკუნის 70-იან წლებში) გამონაკლისი გააკეთა ინგლისისათვის და, შესაძლოა, ამერიკისათვის, სადაც მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი მაშინ ნაკლებად იყო განვითარებული და სადაც მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ბატონობის სხვა გზებით, «მშვიდობიანი» გზებით მიღწევის შესაძლებლობა. მე ვთქვი, რომ ეს გამონაკლისი თუ შეზღუდვა, რომელიც მარქსმა ინგლისისა და ამერიკისათვის დაუშვა და რომელიც მაშინ სწორი იყო, ლენინის აზრით არასწორი და ზედმეტი გახდა

განვითარებული იმპერიალიზმის ახლანდელ პირობებში, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატია ინგლისსა და ამერიკაში ისევე მომძლავრდნენ, როგორც სხვა ქვეყნებში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, დავიმოწმო მარქსი. აი რას სწერდა მარქსი კუგელმანს თავის წერილში 1871 წლის აპრილში:

«...თუ ჩაიხედავ ჩემი «18 ბრიუმერის» უკანასკნელ თავში, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ცდად მე ვაცხადებ: ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანის არა ერთი ხელიდან მეორეში გადაცემა, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ მისი **დამსხვრევა...**, და სწორედ ასეთია წინასწარი პირობა ყოველი ნამდვილი სახალხო რევოლუციისა **კონტინენტზე** *. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი გმირი პარიზელი ამხანაგების ცდა». (ციტატა მომყავს **ლენინის** წიგნიდან «სახელმწიფო და რევოლუცია», ტ. XXI, გვ. 394).

ასე წერდა მარქსი 1871 წელს.

ამ ციტატას, როგორც ცნობილია, ხელი ჩასჭიდეს ყველა და ყოველგვარმა სოციალ-დემოკრატებმა, პირველ რიგში კაუცკიმ, და ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუცია არ არის სოციალიზმისაკენ წინსვლის სავალდებულო მეთოდი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლად ისე არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახალი პროლეტარული აპარატის აშენება, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მშვიდობიანი გზა სწორედ ის გზაა, რომლისთვისაც უნდა იბრძოლოს პროლეტარიატმა.

როგორ გამოეხმაურა ამ გარემოებას ამხ. ლენინი? აი რას წერდა იგი ამის შესახებ თავის წიგნში «სახელმწიფო და რევოლუცია»:

«საინტერესოა განსაკუთრებით აღინიშნოს ორი ადგილი მარქსის მოყვანილ მსჯელობაში. ჯერ-ერთი, იგი თავის დასკვნას კონტინენტით

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ფარგლავს. ეს გასაგები იყო 1871 წელს, როცა ინგლისი ჯერ კიდევ წმინდა-კაპიტალისტური ქვეყნის ნიმუში იყო, მაგრამ სადაც არ იყო მილიტარიზმი და მნიშვნელოვან წილად — არც ბიუროკრატია. ამიტომ მარქსი გამორიცხავდა ინგლისს, სადაც რევოლუცია, სახალხო რევოლუციაც კი, წარმოსადგენი და მაშინ შესაძლებელი იყო «მზამზარეული სახელმწიფო მანქანის» განადგურების წინასწარი პირობის გარეშე.

ახლა *, 1917 წელს, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ეპოქაში, **მარქსის ეს შეზღუდვა უქმდება** *. ინგლისიც და ამერიკაც, ანგლო-საქსური «თავისუფლების» ეს უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენლები — მთელ მსოფლიოში — მილიტარიზმისა და ბიუროკრატიზმის არარსებობის მხრივ, სავსებით ჩაეფლნენ ყოველივეს დამმორჩილებელ, ყოველივეს დამთრგუნველ ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულებათა საერთო-ევროპულ ბინძურ, სისხლიან ჭაობში. ახლა ინგლისშიც და ამერიკაშიც «ყოველი ნამდვილად სახალხო რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს **დამსხვრევა, განადგურება** «მზამზარეული სახელმწიფო მანქანისა» (რომელიც იქ 1914—1917 წლებში დამზადდა «ევროპულ», საერთო-იმპერიალისტურ, სრულყოფამდე)» (იხ. ტ. XXI, გვ. 395).

თქვენ ხედავთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს შემთხვევა, რომელიც ცოტად თუ ბევრად ანალოგიურია იმ შემთხვევისა, რომელზედაც მოგახსენეთ სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ენგელსის ძველ ფორმულასთან დაკავშირებით.

მარქსის მიერ ინგლისისა და ამერიკისათვის დაშვებულ შეზღუდვას თუ გამონაკლისს თავისი საფუძველი ჰქონდა, სანამ ამ ქვეყნებში არ იყო განვითარებული მილიტარიზმი და განვითარებული ბიუროკრატია. ეს შეზღუდვა, ლენინის აზრით, ზედმეტი გახდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალ პირობებში, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატია ინგლისსა და ამერიკაში თუ მეტად არა, უფრო ნაკლებ არ განვითარდნენ, ვიდრე ევროპის კონტინენტის ქვეყნებში.

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ამიტომ პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალიზმისაკენ წინსვლის გარდუვალი და აუცილებელი პირობაა უკლებლივ ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოში.

ამიტომ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები, რომლებიც ებღაუჭებიან მარქსის მიერ პირობით დაშვებულ შეზღუდვას და იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, იცავენ არა მარქსიზმს, არამედ თავიანთ საკუთარ ოპორტუნისტულ საქმეს.

ლენინი ამ დასკვნამდე იმიტომ მივიდა, რომ მას უნარი შესწევდა განესხვავებინა მარქსიზმის ასო და მარქსიზმის არსი, იგი მარქსიზმს განიხილავდა არა როგორც დოგმას, არამედ როგორც სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის.

უცნაური იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ მარქსს რამდენიმე ათეული წლით ადრე გაეთვალისწინებინა კაპიტალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის განვითარების ყველა და ყოველგვარი შესაძლებლობა მომავალში. მაგრამ კიდევ უფრო უცნაური იქნებოდა გაგვკვირვებოდა ის, რომ ლენინმა შეამჩნია და განაზოგადა ეს შესაძლებლობანი კაპიტალიზმის განვითარების ახალ პირობებში, როცა ეს შესაძლებლობანი საკმაოზე უფრო მეტად გაჩნდნენ და განვითარდნენ.

აქ იყო რეპლიკა ადგილიდან, ვგონებ, რიაზანოვისა, იმის შესახებ, რომ მარქსის მიერ ინგლისისა და ამერიკისათვის დაშვებული შეზღუდვა არასწორია არა მარტო კლასობრივი ბრძოლის ახლანდელი პირობებისათვის, არამედ იგი არასწორი იყო იმ პირობებისთვისაც, როცა მარქსი ამ შეზღუდვას უშვებდა. მე არ ვეთანხმები რიაზანოვს. მე ვფიქრობ, რომ რიაზანოვი ცდება. ყოველ შემთხვევაში, ლენინი ამის შესახებ სხვანაირად ფიქრობს და სავსებით გარკვეულად აცხადებს, რომ მარქსი მართალი

იყო, როცა ეს დასაშვებად მიაჩნდა 70-იანი წლების ინგლისისა და ამერიკისათვის.

აი რას წერს ამის შესახებ ამხ. ლენინი თავის ბროშურაში «სასურსათო გადასახადის შესახებ»:

«როცა ჩვენ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ვეკამათებოდით ბუხარინს, მან სხვათა შორის შენიშნა: სპეციალისტების დიდი ჯამაგირების საკითხში «ჩვენ» «ლენინზე მემარჯვენეები ვართ», ვინაიდან აქ პრინციპებიდან არავითარ გადახვევას არ ვხედავთ, გვახსოვს რა მარქსის სიტყვები, რომ გარკვეულ პირობებში მუშათა კლასისათვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა «თავი გამოეყიდა ამ ბანდისაგან» (სახელდობრ კაპიტალისტების ბანდისაგან, ე. ი. ბურჟუაზიისაგან **გამოეყიდა** მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და წარმოების სხვა საშუალებანი). ეს მეტისმეტად საინტერესო შენიშვნაა». «...დაუკვირდით მარქსის აზრს. საქმე ეხებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისს, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის კულმინაციურ პერიოდს, ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე ნაკლებად იყო მილიტარიზმი და ბიუროკრატია, ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე მეტი იყო სოციალიზმის «მშვიდობიანი» გამარჯვების შესაძლებლობანი მუშების მიერ ბურჟუაზიისათვის «გამოსასყიდი საფასურის» გადახდის აზრით. და მარქსი ამბობდა: გარკვეულ პირობებში მუშები სრულებითაც არ იტყვიან უარს იმაზე, რომ გამოისყიდონ ბურჟუაზია. მარქსი ხელებს არ იბოჭავდა — და სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებსაც არ უბოჭავდა ხელებს — გადატრიალების ფორმების, ხერხების, საშუალებების მხრივ, რადგან მშვენივრად ესმოდა, თუ რა მრავალი ახალი პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როგორ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში, რა **ხშირად** და **ძლიერ** შეიცვლება იგი გადატრიალების მსვლელობაში. საბჭოთა რუსეთში კი პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების **შემდეგ**, ექსპლოატატორთა სამხედრო და საბოტაჟური წინააღმდეგობის დათრგუნვის **შემდეგ** — ნუთუ ცხადი არ არის, რომ **ზოგიერთი** პირობა შეიქმნა იმ პირობათა ტიპის მიხედვით, რომლებიც შეიძლებოდა შექმნილიყო ნახევარი საუკუნის წინათ ინგლისში, მას რომ მაშინ მშვიდობიანად დაეწყო გადასვლა სოციალიზმზე? მუშებისათვის კაპიტალისტების დამორჩილება ინგლისში მაშინ შეიძლებოდა უზრუნველეყოთ შემდეგ გარემოებებს: (1) მოსახლეობაში მუშების, პროლეტარების უაღრესად სრულ სიჭარბეს, გლეხობის არარსებობის გამო (70-იანი წლების ინგლისში იყო ნიშნები, რომლებიც იძლეოდნენ სოფლის მუშებში სოციალიზმის

მეტად სწრაფი წარმატებების იმედს); (2) პროფესიულ კავშირებში პროლეტარიატის ჩინებულ ორგანიზებულობას (ამ მხრივ ინგლისი მაშინ პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში); (3) პოლიტიკური თავისუფლების საუკუნეობრივი განვითარებით გამოწრთობილი პროლეტარიატის შედარებით მაღალ კულტურულობას; (4) იმ გარემოებას, რომ ინგლისის ჩინებულად ორგანიზებულ კაპიტალისტებს — მაშინ ისინი საუკეთესოდ ორგანიზებული კაპიტალისტები იყვნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის კაპიტალისტებთან შედარებით (ახლა ეს პირველობა გერმანიას ეკუთვნის) — პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების კომპრომისით გადაწყვეტის დიდი ხნის ჩვევა ჰქონდათ. აი რა გარემოებათა გამო შეიძლებოდა მაშინ დაბადებულიყო აზრი ინგლისელი მუშებისათვის ინგლისის კაპიტალისტების **მშვიდობიანი დამორჩილების შესაძლებლობის შესახებ** *... მარქსი უაღრესად მართალი იყო, როცა მუშებს ასწავლიდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უმსხვილესი წარმოების ორგანიზაციის შენარჩუნებას სწორედ სოციალიზმზე გადასვლის გაადვილებისათვის, ასწავლიდა იმას, რომ სავსებით დასაშვებია აზრი, **რომ კარგი საზღაური გადაუხადონ კაპიტალისტებს**, გამოისყიდონ ისინი, თუ (**გამონაკლისის** სახით: ინგლისი მაშინ გამონაკლისი იყო) ისეთი ვითარება შეიქმნება, რომელიც **აიძულებს** * კაპიტალისტებს მშვიდობიანად დამორჩილდნენ და კულტურულად, ორგანიზებულად გადავიდნენ სოციალიზმზე გამოსყიდვის პირობით» (იხ. ტ. XXVI, გვ. 327 — 329).

ცხადია, რომ აქ მართალია ლენინი და არა რიაზანოვი.

8. კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის შესახებ

ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ ლენინმა აღმოაჩინა და დაასაბუთა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, რომ ამ კანონის საფუძველზე, უთანაბრობის განვითარებისა და გამწვავების ფაქტის საფუძველზე ლენინი მივიდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლო-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ბის იდეამდე. ამ დებულების წინააღმდეგ გაილაშქრეს ტროცკიმ და ზინოვიევმა. ტროცკი ამბობდა, ლენინის ეს დებულება თეორიულად არასწორიაო. ხოლო ზინოვიევმა და ტროცკიმ განაცხადეს, რომ წინათ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, განვითარების უთანაბრობა მეტი იყო, ვიდრე ახლა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, რომ არ შეიძლება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის იდეა დავუკავშიროთ კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობის კანონს.

ტროცკი რომ წინააღმდეგია ლენინის ცნობილი თეორიული დებულებისა უთანაბრო განვითარების კანონის შესახებ, ამაში გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან ცნობილია, რომ ეს კანონი აბათილებს ტროცკის თეორიას პერმანენტული რევოლუციის შესახებ.

გარდა ამისა, ტროცკი აქ აშკარად დგება ობივატელურ თვალსაზრისზე. იგი აქ ერთმანეთში ურევს ცალკეული ქვეყნების **ეკონომიურ უთანასწორობას** წარსულში — რა უთანასწორობაც ყოველთვის არ იწვევდა, და ვერც გამოიწვევდა ამ ქვეყნების ნახტომისებურ განვითარებას, — და **ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობას** იმპერიალიზმის პერიოდში, როცა ქვეყნებს შორის ეკონომიური უთანასწორობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს წარსულში იყო, მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა შეუდარებლად მეტია, ვიდრე წინათ, და იგი უფრო მწვავედ იჩენს თავს, ვიდრე წინათ, ამასთან ეს უთანაბრობა აუცილებლად და გარდუვალად იწვევს ნახტომისებურ განვითარებას, იწვევს იმას, რომ მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნები ცოტად თუ ბევრად მოკლე ხანში უსწრებენ წინწასულ ქვეყნებს, რასაც, ამრიგად, არ შეუძლია არ შექმნას წინაპირობები გრანდიოზული იმპერიალისტური ომებისათვის და

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისათვის.

არა გვგონია საჭირო იყოს მტკიცება, რომ ორი სხვადასხვაგვარი ცნების ასეთი არევა არ მოწმობს, და არც შეიძლება მოწმობდეს, ტროცკის მაღალ «თეორიულ» დონეს.

მაგრამ ვერა გამიგია რა ზინოვიევისა, რომელიც ხომ ბოლშევიკი იყო და ბოლშევიზმი ოდნავ მაინც უყნოსია. როგორ შეიძლება ამტკიცო, რომ განვითარების უთანაბრობა წინათ უფრო მეტი იყო, ვიდრე ახლა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, და იმის შიში არა გქონდეს, რომ ულტრაიმპერიალიზმისა და კაუცკელობის ჭაობში ჩაეფლობი? როგორ შეიძლება ამტკიცო, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების იდეა განვითარების უთანაბრობის კანონთან არ არის დაკავშირებული? განა ცნობილი არ არის, რომ ლენინს ეს იდეა სწორედ განვითარების უთანაბრობის კანონიდან გამოჰყავდა? რას მოწმობს, მაგალითად, ლენინის შემდეგი სიტყვები:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. **აქედან გამომდინარეობს** *, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232).

რას ემყარება განვითარების უთანაბრობის კანონი?

იგი ემყარება იმას, რომ:

1) ძველი, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი გადაიზარდა და განვითარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, იმპერიალიზმად;

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

2) მსოფლიოს განაწილება იმპერიალისტური ჯგუფებისა და სახელმწიფოების გავლენის სფეროებად უკვე დამთავრებულია;

3) მსოფლიო მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს ბაზრებისათვის, ნედლეულისათვის, გავლენის ძველი სფეროების გაფართოებისათვის იმპერიალისტური ჯგუფების გააფთრებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ვითარებაში;

4) ეს განვითარება წარმოებს არა თანაბრად, არამედ ნახტომისებურად, წინწარბენილი სახელმწიფოების ბაზრებიდან გამოძევებისა და ახალთა დაწინაურების გზით;

5) განვითარების ასეთი წესი განისაზღვრება იმით, რომ ზოგიერთ იმპერიალისტურ ჯგუფებს შესაძლებლობა აქვთ უსწრაფესად განავითარონ ტექნიკა, გააიაფონ საქონელი და ხელში ჩაიგდონ ბაზრები სხვა იმპერიალისტური ჯგუფების საზიანოდ;

6) უკვე განაწილებული მსოფლიოს პერიოდული გადანაწილება, ამრიგად, აბსოლუტურ აუცილებლობად იქცევა;

7) ეს გადანაწილება, ამრიგად, შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ ძალდატანებითი გზით, ამა თუ იმ იმპერიალისტური ჯგუფების ძლიერების ძალით შემოწმების წესით;

8) ამ გარემოებას არ შეიძლება შედეგად არ მოსდევდეს გაძლიერებული კონფლიქტები და გრანდიოზული ომები იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის;

9) ასეთი მდგომარეობა გარდუვალად იწვევს იმპერიალისტთა ურთიერთდასუსტებას და ქმნის ცალკეულ ქვეყნებში იმპერიალისტური ფრონტის გარღვევის შესაძლებლობას;

10) ცალკეულ ქვეყნებში იმპერიალისტური ფრონტის გარღვევის შესაძლებლობა არ შეიძლება ხელსაყრელ პი-

რობებს არ ქმნიდეს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

რით განისაზღვრება იმპერიალიზმის პირობებში უთანაბრობის გამწვავება და უთანაბრო განვითარების გადამწყვეტი მნიშვნელობა?

ორი მთავარი გარემოებით:

ჯერ-ერთი, იმით, რომ იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის მსოფლიოს განაწილება დამთავრებულია, «თავისუფალი» მიწები ბუნებაში აღარ არის და განაწილებულის გადანაწილება იმპერიალისტური ომების გზით აბსოლუტურად აუცილებელია ეკონომიური «წონასწორობის» მიღწევისათვის;

მეორეც, იმით, რომ წინათ არსახული კოლოსალური განვითარება ტექნიკისა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ზოგიერთ იმპერიალისტურ ჯგუფებს უადვილებს გაუსწრონ და დაასწრონ სხვა იმპერიალისტურ ჯგუფებს ბაზრების დაპყრობისათვის ბრძოლაში, ნედლეულის წყაროების დაპყრობისათვის ბრძოლაში და სხვ.

მაგრამ ეს გარემოებანი განვითარდნენ და უმაღლეს წერტილამდე მივიდნენ მხოლოდ განვითარებული იმპერიალიზმის პერიოდში. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან მხოლოდ იმპერიალიზმის პერიოდში შეიძლებოდა დამთავრებულიყო მსოფლიოს გადანაწილება, ხოლო კოლოსალური ტექნიკური შესაძლებლობანი მხოლოდ განვითარებული იმპერიალიზმის პერიოდში გაჩნდნენ.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თუ წინათ ინგლისს შეეძლო ყველა სახელმწიფოზე წინ მდგარიყო მრეწველობის მხრივ, უკან მოეტოვებინა ისინი ასეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, შემდეგ, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, გერმანიას ორიოდე ათეული წელიწადი დასჭირდა იმისათვის, რომ დაეწყო ინგლისის

გასწრება, ხოლო ამერიკას ამაზე უფრო ნაკლები დრო დასჭირდა იმისათვის, რომ ევროპის სახელმწიფოებისათვის გაესწრო.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ ამტკიცო, რომ განვითარების უთანაბრობა წინათ უფრო დიდი იყო, ვიდრე ახლა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის იდეა დაკავშირებული არ არის იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონთან?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ მათ, ვინც ობივატელია თეორიაში, შეუძლიათ სამრეწველო ქვეყნების წარსული ეკონომიური უთანასწორობა აურიონ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონში, რომელმაც განსაკუთრებული ძალა და სიმწვავე მხოლოდ განვითარებული მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში მოიპოვა?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ სრულ უმეცრებას ლენინიზმის დარგში შეეძლო ეკარნახა ზინოვიევისა და მისი მეგობრებისათვის ყოვლად უცნაური აზრები ლენინის იმ ცნობილ დებულებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც დაკავშირებული არიან კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონთან?

II

კამენევი გზას უწმენდს ტროცკის

რაში მდგომარეობს ამ კონფერენციაზე კამენევის გამოსვლის ძირითადი აზრი? თუ თავს დავანებებთ ზოგიერთ წვრილმანს და კამენევის ჩვეულებრივ დიპლომატიას, მისი გამოსვლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გაუადვილოს ტროცკის თავისი პოზიციის დაცვა, გაუადვილოს მას

ლენინიზმთან ბრძოლა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ძირითად საკითხში.

ამ მიზნით კამენევმა «შრომა» იკისრა — დაემტკიცებინა, რომ ლენინის ძირითადი სტატია (1915 წ.), რომელშიც ლაპარაკია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, თითქოს არ ეხება რუსეთს, რომ ლენინს, როცა იგი ასეთ შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა არა რუსეთი, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. კამენევმა ეს საეჭვო «შრომა» იმისათვის იკისრა, რომ, ამრიგად, გზა გაეწმინდა ტროცკისათვის, რომლის «სქემასაც» კლავს, და არც შეიძლება არ კლავდეს, ლენინის 1915 წელს დაწერილი სტატია.

პირდაპირ თუ ვიტყვით, კამენევმა იკისრა როლი, ასე ვთქვათ, ტროცკის მეეზოვისა (სიცილი), რომელიც მას გზას უწმენდს. რა თქმა უნდა, სამწუხაროა ლენინის ინსტიტუტის დირექტორს ვხედავდეთ ტროცკის მეეზოვის როლში არა იმიტომ, რომ მეეზოვის შრომა ცუდ რამეს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ კამენევს, უეჭველად კვალიფიციურ ადამიანს, მე ვფიქრობ, შეეძლო ხელი მოეკიდა სხვა, უფრო კვალიფიციური შრომისათვის. (სიცილი). მაგრამ მან ეს როლი ნებაყოფლობით იკისრა, რის სრული უფლებაც მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა, და აქ ვერაფერს გააწყობ.

ვნახოთ ახლა, შეასრულა თუ არა კამენევმა ეს უცნაურზე უცნაური როლი.

კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ლენინის ძირითადი დებულება მის 1915 წლის სტატიაში, დებულება, რომელმაც ჩვენი რევოლუციისა და ჩვენი მშენებლობის მთელი ხაზი განსაზღვრა, რომ ეს დებულება, რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე ლაპარაკობს, არ შეეხება და არც შეიძლება შეეხებოდეს რუსეთს, რომ ლენინს, როცა იგი ერთ ქვეყა-

ნაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა არა რუსეთი, არამედ მხოლოდ სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ეს დაუჯერებელი და საოცარია, ეს ძლიერ წააგავს აშკარა ცილისწამებას ამხ. ლენინის მიმართ, მაგრამ კამენევს, როგორც ჩანს, არაფერი ესაქმება, თუ რას იფიქრებს პარტია ლენინის ამ გაყალბებასთან დაკავშირებით. მისი საზრუნავია მხოლოდ ერთი რამ: რადაც უნდა დაუჯდეს გზა გაუწმინდოს ტროცკის.

როგორ ცდილობს იგი დაასაბუთოს ეს უცნაური მტკიცება?

იგი ამბობს, რომ ამხ. ლენინის აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ ლენინმა მოგვცა ცნობილი თეზისები[88] რუსეთის მომავალი რევოლუციის ხასიათის შესახებ, სადაც მან თქვა, რომ მარქსისტების ამოცანა იმით ამოიწურება, რომ მიაღწიონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში, რომ, როდესაც ეს თქვა, ლენინი თითქოს საფუძვლად იღებდა იმას, რომ რევოლუცია რუსეთში უნდა გაყინულიყო მის ბურჟუაზიულ ფაზაზე, არ გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციად. და რადგან ლენინის სტატიაში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკია არა ბურჟუაზიულ რევოლუციაზე, არამედ სოციალისტურ რევოლუციაზე, ცხადია, რომ ლენინს ამ სტატიაში არ შეეძლო მხედველობაში ჰქონოდა რუსეთი.

ამრიგად, კამენევის მიხედვით გამოდის, რომ ლენინს რუსეთის რევოლუციის გაჭანება ესმოდა, როგორც მემარცხენე ბურჟუაზიულ რევოლუციონერს ან როგორც სოციალ-დემოკრატების ტიპის რეფორმისტს, რომელთა აზრითაც ბურჟუაზიული რევოლუცია არ უნდა გადაიზარდოს სოციალისტურ რევოლუციად, რომელთა აზრი-

თაც ბურჟუაზიულ რევოლუციასა და სოციალისტურ რევოლუციას შორის უნდა არსებობდეს ხანგრძლივი ისტორიული ინტერვალი, ხანგრძლივი შეწყვეტა, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ათეულ წლიანი შუალედი, რომლის განმავლობაშიც კაპიტალიზმი განვითარდება, ხოლო პროლეტარიატი ერთ წერტილზე გაყინული დარჩება.

გამოდის, რომ ლენინი 1915 წელს, როცა იგი თავის სტატიას წერდა, არ ფიქრობდა, არ უნდოდა და არ ცდილობდა, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებიდან **დაუყოვნებლივ** გადავსულიყავით სოციალისტურ რევოლუციაზე.

თქვენ იტყვით, რომ ეს დაუჯერებელი და საოცარია. დიახ, კამენევის ეს მტკიცება, მართლაც, დაუჯერებელი და საოცარია. მაგრამ კამენევს ამით ვერ შეაშფოთებ.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც მოწმობენ, რომ კამენევი უხეშად აყალბებს ამხ. ლენინს ამ საკითხში.

აი რას წერდა ამხ. ლენინი რუსეთის რევოლუციის ხასიათის შესახებ ჯერ კიდევ 1905 წელს, როცა რუსეთის რევოლუციის გაქანება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მძლავრი, როგორიც იგი გახდა შემდეგში, იმპერიალისტური ომის შედეგად, 1917 წლის თებერვლისათვის:

«დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ **მაშინვე*** დავიწყებთ გადასვლას, და სწორედ ჩვენი ძალის მიხედვით, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძალის მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე» (იხ. ტ. VIII, გვ. 186).

ეს ციტატა ამოღებულია ლენინის სტატიიდან, რომელიც 1905 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა.

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

იცის თუ არა კამენევმა ამ სტატიის არსებობა? მე ვფიქრობ, რომ ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა უნდა იცოდეს მისი არსებობა.

ამრიგად, გამოდის, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ლენინს წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც პროლეტარიატის ბრძოლისა და საერთოდ რევოლუციის დამთავრება, არამედ როგორც პირველი ეტაპი და სოციალისტურ რევოლუციაზე გარდამავალი საფეხური.

მაგრამ იქნებ ლენინმა შემდეგ შეიცვალა თავისი შეხედულება რუსეთის რევოლუციის ხასიათსა და გაქანებაზე? ავიღოთ მეორე დოკუმენტი. მხედველობაში მაქვს ლენინის სტატია, რომელიც დაიბეჭდა 1915 წელს, ნოემბერში, სამი თვის გასვლის შემდეგ იმ დროიდან, რაც დაიბეჭდა ამხ. ლენინის ძირითადი სტატია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. აი რას ამბობს იგი ამ სტატიაში:

«პროლეტარიატი იბრძვის და თავდადებით იბრძოლებს ძალაუფლების დაპყრობისათვის, რესპუბლიკისათვის, მიწების კონფისკაციისათვის, **ესე-იგი** გლეხობის მიმხრობისათვის, მისი რევოლუციური ძალების **ამოწურვისათვის, სამხედრო-ფეოდალური** «იმპერიალიზმისაგან» (= ცარიზმისაგან) **ბურჟუაზიული** რუსეთის განთავისუფლებაში «ხალხის **არაპროლეტარული** მასების» მონაწილეობისათვის. და ცარიზმისაგან, მემამულეთა მიწათმფლობელური ბატონობისაგან ბურჟუაზიული რუსეთის ამ განთავისუფლებით პროლეტარიატი **დაუყოვნებლივ** * ისარგებლებს არა იმისათვის, რომ დაეხმაროს მდიდარ გლეხებს სოფლის მუშის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ — **სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად** * ევროპის პროლეტარებთან კავშირში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 318).

თქვენ ხედავთ, რომ როგორც აქ, ისე წინა ციტატაში, როგორც 1905 წელს, ისე 1915 წელსაც ლენინი ერთნაი-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

რად გამოდიოდა იქიდან, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში უნდა გადაიზარდოს სოციალისტურ რევოლუციად, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუსეთის რევოლუციის პირველი ეტაპია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ **დაუყოვნებლივ** გადავიდეთ მის მეორე ეტაპზე, სოციალისტურ რევოლუციაზე.

რაღა შეიძლება ითქვას ლენინის 1915 წლის თეზისებზე, რომლებზეც მიუთითებდა კამენევი თავის სიტყვაში და რომლებშიც ლაპარაკია რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებზე? ხომ არ ეწინააღმდეგებიან ეს თეზისები ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეას? რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგებიან. პირიქით, ამ თეზისების საფუძველია სწორედ იდეა ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდისა სოციალისტურ რევოლუციად, იდეა რუსეთის რევოლუციის პირველი ეტაპის გადაზრდისა მეორე ეტაპად. ჯერ-ერთი, ლენინი ამ თეზისებში სრულებითაც არ ამბობს, რომ რუსეთის რევოლუციის გაქანება და მარქსისტთა ამოცანები რუსეთში მეფისა და მემამულეების დამხობის ამოცანებით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანებით **ამოიწურება**. მეორეც, ლენინი ამ თეზისებში სჯერდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების დახასიათებას იმიტომ, რომ მას ეს რევოლუცია მიაჩნია **პირველ** ეტაპად და რუსეთის მარქსისტების **უახლოეს** ამოცანად. მესამეც, ლენინი გამოდის იქიდან, რომ თავიანთი ამოცანების განხორციელება რუსეთის მარქსისტებმა უნდა **დაიწყონ** არა მეორე ეტაპიდან (როგორც ამის წინადადებას იძლეოდა ტროცკი შემდეგი სქემის მიხედვით: «უმეფოდ, მაგრამ მთავრობა მუშური»), არამედ პირველი ეტაპიდან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპიდან.

არის თუ არა აქ რაიმე წინააღმდეგობა, თუნდაც წინააღმდეგობის ნასახი ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეასთან? ცხადია, არ არის.

გამოდის, რომ კამენევმა აშკარად გააყალბა ლენინის პოზიცია.

მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება მოწმეები კამენევის წინააღმდეგ არა მარტო ლენინის მიერ დაწერილი დოკუმენტების სახით. ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე მოწმეები ცოცხალი ადამიანების სახით, როგორიცაა, მაგალითად, ტროცკი, როგორიცაა ჩვენი პარტიის XIV კონფერენცია და, ბოლოს, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, თვით კამენევისა და ზინოვიევის სახით.

ცნობილია, რომ ლენინის სტატია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ 1915 წელს დაიბეჭდა. ცნობილია, რომ ტროცკიმ, რომელიც მაშინ ამხ. ლენინს ეკამათებოდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე, მაშინვე, ე. ი. იმავე 1915 წელს, ამ სტატიაზე სპეციალური კრიტიკული სტატიით უპასუხა. რა თქვა მაშინ ტროცკიმ, 1915 წელს, თავის კრიტიკულ სტატიაში? როგორ შეაფასა მან ამხ. ლენინის სტატია? გაიგო მან იგი ისე, რომ ლენინს, როცა იგი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაზე ლაპარაკობდა, მხედველობაში არ ჰქონია რუსეთი, თუ გაიგო როგორმე სხვანაირად, ვთქვათ, ისე, როგორც იგი ახლა ყველას გვესმის? აი ციტატა ტროცკის ამ სტატიიდან:

«ერთადერთი რამდენადმე კონკრეტული ისტორიული მოსაზრება შეერთებული შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ ფორმულირებული იყო შვეიცარიულ «სოციალ-დემოკრატში» (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო, სადაც დაბეჭდილი იყო ლენინის **ზემოხსენებული** სტატია. **ი. სტ.**) შემდეგი ფრაზით: «ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია». აქედან «სოციალ-დემოკრატს» ის დასკვნა გამოჰყავდა. რომ სოციალიზ-

მის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაში და რომ ამიტომ საჭირო არ არის თვითეულ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინაპირობად ევროპის შეერთებული შტატების შექმნა მივიჩნიოთო... არც ერთი ქვეყანა რომ არ უნდა «უცდიდეს» სხვა ქვეყნებს თავის ბრძოლაში — ეს ელემენტარული აზრია, რომლის გამეორება სასარგებლო და საჭიროა, რათა პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა არ შეცვალოს ინტერნაციონალური დაცდითი უმოქმედობის იდეამ. არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც, — რომ, მაგალითად, **რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას***, ან სოციალისტური გერმანია შესძლებს განმარტოებულ არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში» (იხ. ტროცკის თხზ., ტ. III, ნ. 1, გვ. 89 — 90).

გამოდის, რომ ლენინის სტატია ტროცკის მაშინ გაუგია არა ისე, როგორც მის «გაგებას» ახლა ცდილობს კამენევი, არამედ ისე, როგორც ესმოდა იგი ლენინს, როგორც ესმის იგი პარტიას და როგორც გვესმის იგი ყველას, წინააღმდეგ შემთხვევაში ტროცკი თავის პოზიციას ლენინთან პოლემიკაში არ გაიმაგრებდა არგუმენტით **რუსეთის შესახებ.**

გამოდის, რომ ტროცკი აქ, ამ ციტატაში, გვევლინება მოწმედ თავისი ახლანდელი მოკავშირის წინააღმდეგ, კამენევის წინააღმდეგ.

მაშ თუ ასეა, რატომ არ გამოვიდა იგი ამ კონფერენციაზე კამენევის წინააღმდეგ? რატომ პირდაპირ და პატიოსნად არ განაცხადა აქ ტროცკიმ, რომ კამენევი აშკარად ამახინჯებს ლენინს? ხომ არ ფიქრობს ტროცკი, რომ მისი დუმილი ამ შემთხვევაში შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც პატიოსანი პოლემიკის ნიმუში? ტროცკი აქ კამენევის წინააღმდეგ იმიტომ არ გამოვიდა,

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რომ მას, როგორც ჩანს, არ უნდოდა ჩარეულიყო ლენინისათვის პირდაპირი ცილის დაწამების საეჭვო «საქმე»ში», — მან ეს შავი სამუშაო კამენევს დაანება.

ხოლო როგორ უყურებს ამ საქმეს პარტია, მაგალითად, მისი XIV კონფერენციის სახით? აი რა არის ამის შესახებ ნათქვამი XIV კონფერენციის რეზოლუციაში, სადაც ლაპარაკია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ:

««ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობიდან, რა უთანაბრობაც კაპიტალიზმის უცილობელი კანონია», ამბ. ლენინს სამართლიანად გამოჰყავდა ორი რამ: ა) შესაძლებლობა «სოციალიზმის გამარჯვებისა თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» და ბ) შესაძლებლობა, რომ ეს რამდენიმე, ან თუნდაც ერთი ქვეყანა, აუცილებლად როდი იქნებიან ყველაზე განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნები (იხ., განსაკუთრებით, შენიშვნები სუხანოვის შესახებ). **რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ დაამტკიცა** *, რომ ასეთი პირველი გამარჯვება ერთ ქვეყანაში არა მარტო შესაძლებელია, არამედ მთელ რიგ ხელსაყრელ გარემოებათა ქროს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ამ პირველ ქვეყანას შეუძლია (საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ გარკვეული მხარდაჭერის დროს) შეინარჩუნოს არსებობა და განმტკიცდეს ხანგრძლივი პერიოდით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მხარდაჭერა არ იღებს სხვა ქვეყნებში პირდაპირი პროლეტარული რევოლუციების ფორმას». (XIV პარტკონფერენციის რეზოლუციიდან «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით» [97]).

გამოდის, რომ მთლიანად პარტია, მისი XIV კონფერენციის სახით, მოწმობს კამენევის წინააღმდეგ, მისი იმ მტკიცების წინააღმდეგ, რომ ლენინს თავის სტატიაში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ თითქოს მხედველობაში არ ჰქონია რუსეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენცია არ იტყოდა, რომ «რუსეთის რე-

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ვოლუციის გამოცდილებამ დაამტკიცა» სისწორე ლენინის ცნობილი სტატიისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

გამოდის, რომ XIV კონფერენციამ ამხ. ლენინის სტატია გაიგო ისევე, როგორც ესმოდა იგი ლენინს, როგორც ესმოდა იგი ტროცკის და როგორც გვესმის იგი ყველას.

ხოლო როგორ მოეკიდნენ კამენევი და ზინოვიევი XIV კონფერენციის ამ რეზოლუციას? განა ფაქტი არ არის, რომ რეზოლუციის პროექტი შემუშავებულ და **ერთხმად** მიღებულ იქნა კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ზინოვიევი და კამენევი? განა ფაქტი არ არის, რომ კამენევი იყო თავმჯდომარე XIV კონფერენციისა, რომელმაც **ერთხმად** მიიღო ზემოხსენებული რეზოლუცია, ხოლო ზინოვიევი — მომხსენებელი ამ რეზოლუციის შესახებ? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ კამენევმა და ზინოვიევმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, მის ყველა პუნქტს? განა ცხადი არ არის, რომ კამენევს მაშინ ლენინის სტატია, რომლიდანაც ამოღებული ციტატა პირდაპირ შეტანილია XIV კონფერენციის რეზოლუციაში, სხვანაირად ესმოდა, ვიდრე იგი ახლა ცდილობს «გაიგოს» ეს სტატია? რომელ კამენევს დავუჯეროთ: იმას, რომელიც XIV კონფერენციის თავმჯდომარე იყო და ხმა მისცა XIV კონფერენციის რეზოლუციას, თუ იმ კამენევს, რომელიც ახლა, XV კონფერენციაზე, ტროცკის მეეზოვის როლში გამოდის?

გამოდის, რომ XIV კონფერენციის პერიოდის კამენევი გვევლინება მოწმედ XV კონფერენციის პერიოდის კამენევის წინააღმდეგ.

ხოლო რატომ დუმს ზინოვიევი და არ ცდილობს გაუსწოროს კამენევს, რომელიც აშკარად აყალბებს ლენინის 1915 წლის სტატიასაც და XIV კონფერენციის რეზოლუციასაც? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ზინოვიევი

იცავდა XIV კონფერენციაზე რეზოლუციას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ?

გამოდის, რომ აქ ზინოვიევს მთლად სუფთად ვერა აქვს საქმე. (ხმები: «სულაც ვერა აქვს სუფთად»). სად არის აქ პატიოსანი პოლემიკა?

გამოდის, რომ კამენევსა და ზინოვიევს ახლა პატიოსანი პოლემიკისათვის არა სცხელათ.

დასკვნა? დასკვნა ისეთია, რომ კამენევმა ვერ შეასრულა ტროცკის მეეზოვის როლი. მან ვერ გაამართლა ტროცკის იმედები.

III

წარმოუდგენელი დაბნეულობა, ანუ ზინოვიევი რევოლუციურობისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ

გადავდივარ ზინოვიევზე. თუ კამენევი მთელ თავის გამოსვლაში ცდილობდა გზა გაეწმინდა ტროცკისათვის, ზინოვიევმა ამოცანად იკისრა დაემტკიცებინა, რომ ოპოზიციის ლიდერები მთელ მსოფლიოში ერთადერთი რევოლუციონერები და ერთადერთი ინტერნაციონალისტები არიან.

გავარჩიოთ მისი «საბუთები».

იგი იღებს ბუხარინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ შინაგანი ხასიათის საკითხების განხილვისას (სოციალიზმის მშენებლობა) მეთოდოლოგიურად უნდა განვერიდოთ საგარეო ხასიათის საკითხებს, შემდეგ იგი ბუხარინის ამ დებულებას ადარებს თეზისებს ოპოზიციური ბლოკის შესახებ, სადაც ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბუხარინი და ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ძირითადად დაამტკიცა თეზისები, თითქოს ამით

ივიწყებენ ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო ამოცანებს, საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს.

სწორია თუ არა ყოველივე ეს? ყველაფერი ეს სისულელეა, ამხანაგებო. საიდუმლოება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ზინოვიევი სუსტია მეთოდოლოგიის საკითხებში, გზა ებნევა უბრალო რამეებში და საკუთარ დაბნეულობას სინამდვილედ ასაღებს. ბუხარინი ამბობს, სოციალიზმის მშენებლობის საკითხებს არ უნდა ვურევდეთ ჩვენი ქვეყნის წინაალმდეგ ინტერვენციებისაგან გარანტიის შექმნის საკითხებში, შინაგან საკითხებს საგარეო საკითხებშიო. ბუხარინი სრულებითაც არ ამბობს, რომ შინაგანი საკითხები დაკავშირებული არ არის საგარეო საკითხებთან, საერთაშორისო საკითხებთან. იგი ამბობს მხოლოდ იმას, რომ პირველი ხასიათის საკითხებს არ უნდა ვურევდეთ მეორე ხასიათის საკითხებში. ეს მეთოდოლოგიის ძირითადი და ელემენტარული მოთხოვნაა. მერე ვინ არის დამნაშავე, თუ ზინოვიევს მეთოდოლოგიის ელემენტარული საკითხები არ ესმის?

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანას ორი სახის წინააღმდეგობანი აქვს: შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობანი და საგარეო ხასიათის წინააღმდეგობანი. შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობანი მდგომარეობენ, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლაში. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს წინააღმდეგობანი შეიძლება დავძლიოთ ჩვენი საკუთარი ძალებით, შეგვიძლია დავამარცხოთ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები, სოციალისტურ მშენებლობაში ჩავაბათ გლეხობის ძირითადი მასები და ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება.

საგარეო ხასიათის წინააღმდეგობანი მდგომარეობენ სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალისტურ გარემოცვას შორის ბრძოლაში. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ წინააღმდეგო-

ბებს საკუთარი ძალებით ვერ გადავწყვეტთ, რომ ამ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად საჭიროა სოციალიზმის გამარჯვება, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ქვეყანაში. ჩვენ სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება თვითმიზანი კი არ არის, არამედ საყრდენი, საშუალება და იარაღია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყანაში.

სწორია თუ არა ყოველივე ეს? დაე დაამტკიცოს ზინოვიევმა, რომ ეს სწორი არ არის.

ზინოვიევის უბედურება ის არის, რომ ის ვერ ხედავს განსხვავებას წინააღმდეგობათა ამ ორ წყებას შორის, იგი უღმერთოდ ურევს მათ და თავის საკუთარ დაბნეულობას ასაღებს «ნამდვილ» ინტერნაციონალიზმად, ფიქრობს, რომ ვინც მეთოდოლოგიურად განერიდება საგარეო ხასიათის საკითხებს შინაგანი ხასიათის საკითხების განხილვისას, ის ივიწყებს საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს.

ეს მეტად სასაცილოა, მაგრამ ხომ უნდა მიხვდეს კაცი, რომ ეს დამაჯერებელი არ არის.

რაც შეეხება თეზისებს, რომლებსაც თითქოს მხედველობიდან რჩებათ ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო მომენტი, საკმარისია წაიკითხოთ ეს თეზისები, რათა მიხვდეთ, რომ ზინოვიევს კვლავ თავგზა აებნა. აი რა არის ნათქვამი თეზისებში:

«პარტია ემყარება იმას, რომ ჩვენი რევოლუცია სოციალისტური რევოლუციაა, რომ ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს არა მარტო სიგნალს, ბიძგსა და გამოსავალ პუნქტს სოციალისტური რევოლუციისათვის დასავლეთში, არამედ იგი ამასთან ერთად არის, ჯერ-ერთი, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაჩაღების ბაზა და, მეორეც, დასაბამს აძლევს სსრ კავშირში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს (პროლეტარიატის დიქტატურა), რომლის განმავლობაშიც პროლეტარიატს, გლეხობის მიმართ სწორი პოლიტი-

კის პირობით, შეუძლია წარმატებით აშენოს და ააშენებს სრულ სოციალისტურ საზოგადოებას, **თუ, რასაკვირველია, ერთი მხრივ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ძლიერება და მეორე მხრივ სსრ კავშირის პროლეტარიატის ძლიერება საკმაოდ დიდი იქნება იმისათვის, რომ დაიფაროს სსრ კავშირი იმპერიალიზმის სამხედრო ინტერვენციისაგან»** *.

თქვენ, ხედავთ, რომ თეზისებში საერთაშორისო მოშენტი მთლიანად და სავსებით არის გათვალისწინებული.

შემდეგ. ზინოვიევს და მასთან ერთად ტროცკისაც ლენინის თხზულებებიდან მოჰყავთ ციტატები იმის შესახებ, რომ «სოციალისტური რევოლუციის **სრული** გამარჯვება წარმოუდგენელია ერთ ქვეყანაში და მოითხოვს ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მოწინავე ქვეყნის უაღრესად აქტიურ თანამშრომლობას», — და უცნაურად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება ისეთი საქმეა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ძალებს აღემატება. მაგრამ ეს ხომ დაბნეულობაა, ამხანაგებო! განა პარტიას როდისმე უთქვამს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის **სრული** გამარჯვება, **საბოლოო** გამარჯვება შესაძლებელია და იგი ძალუძს ერთი ქვეყნის პროლეტარიატს? სად იყო ეს და როდის, — დაე მიგვითითონ. განა პარტია არ ამბობს და მუდამ არ ამბობდა ლენინთან ერთად, რომ სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სოციალიზმი რამდენიმე ქვეყანაში გაიმარჯვებს? განა პარტიას ათჯერ და ასჯერ არ განუმარტავს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას არ უნდა ვურევდეთ მის სრულ, საბოლოო გამარჯვებაში?

პარტია მუდამ იქიდან გამოდიოდა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება არის ამ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა, ამასთან ეს ამოცანა

* იხ. ეს ტომი, გვ. 235 — 236. რედ.

შეიძლება გადაჭრას ერთი ქვეყნის ძალებით, სოციალიზმის სრული გამარჯვება კი გარანტიაა ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, ამასთან ეს ამოცანა შეიძლება გადაჭრილ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ რევოლუცია რამდენიმე ქვეყანაში გაიმარჯვებს. ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება ერთი ამოცანის უღმერთოდ არევა მეორე ამოცანაში? ვინ არის დამნაშავე, თუ ზინოვიევი, ხოლო მასთან ერთად ტროცკიც უღმერთოდ ურევენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას მის სრულ, საბოლოო გამარჯვებაში? XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუცია მაინც წაეკითხათ, სადაც ეს საკითხი განმარტებულია ისეთი სიზუსტით, რომელსაც საბჭოთა-პარტიული სკოლის მსმენელიც კი შეუძლია დააკმაყოფილოს.

ზინოვიევს და მასთან ერთად ტროცკისაც მოჰყავთ მთელი რიგი ციტატები ლენინის თხზულებებიდან, რომლებიც ბრესტის ზავის პერიოდს ეკუთვნიან და სადაც ლაპარაკია იმის შესაძლებლობაზე, რომ გარეშე მტერს შეუძლია გაანადგუროს ჩვენი რევოლუცია. მაგრამ განა ძნელი გასაგებია, რომ ეს ციტატები არ ეხება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხს? ამხ. ლენინი ამბობს, ჩვენ უზრუნველყოფილი არა ვართ ინტერვენციის შესაძლებლობისგანო, და ეს სავსებით სწორია. მაგრამ განა პარტიას როდისმე უთქვამს, რომ ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა ინტერვენციების საფრთხისაგან მხოლოდ ჩვენი საკუთარი ძალებით? განა პარტია არ ამტკიცებდა და კვლავაც არ ამტკიცებს, რომ ინტერვენციისაგან გარანტია შეიძლება მოგვცეს მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ რამდენიმე ქვეყანაში? როგორ შეიძლება **ამის საფუძველზე** მტკიცება, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს არ ძალუძს სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში? განა დრო არ

არის შეწყდეს საგარეო საკითხების, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის საკითხების ეს შეგნებული არევა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხებში, ჩვენს შინაგან კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვების საკითხებში.

შემდეგ. ზინოვიევს მოჰყავს ციტატა «კომუნისტური მანიფესტიდან»: «ღონისძიებების შეერთება, ყოველ შემთხვევაში ცივილიზებული ქვეყნების ღონისძიებებისა, პროლეტარიატის განთავისუფლების ერთ-ერთი პირველი პირობაა», ადარებს ამ ციტატას ამხ. ლენინის ერთი ხელნაწერიდან ამოღებულ ციტატას იმის შესახებ, რომ «სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა რამდენიმე მოწინავე ქვეყნის მუშების საერთო ღონისძიებანი», — და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჩვენი პარტია თითქოს წავიდა ამ საყოველთაოდ მიღებულ და უცილობელ დებულებათა წინააღმდეგ, დაივიწყა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ინტერნაციონალური პირობები. განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო? სად და როდის იყო, რომ ჩვენი პარტია სათანადოდ არ აფასებდა მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ღონისძიებათა და ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების ინტერნაციონალურ პირობათა გადამწყვეტ მნიშვნელობას? აბა რა არის კომინტერნი, თუ არა გამოხატულება არა მარტო მოწინავე ქვეყნების, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარების ღონისძიებათა გაერთიანებისა როგორც მსოფლიო რევოლუციისათვის, ისე ჩვენი რევოლუციის განვითარებისათვის? აბა ვინ იკისრა კომინტერნის დაარსების ინიციატივა და ვინ არის მისი მოწინავე რაზმი, თუ არა ჩვენი პარტია? აბა რა არის პროფკავშირთა ერთიანი ფრონტის პოლიტიკა, თუ არა გაერთიანება არა მარტო მოწინავე

ქვეყნების, არამედ აგრეთვე საერთოდ ყველა ქვეყნის მუშების ღონისძიებებისა? ვის შეუძლია უარყოს ჩვენი პარტიის პირველხარისხოვანი როლი მთელ მსოფლიოში პროფკავშირთა ერთიანი ფრონტის პოლიტიკის გატარების საქმეში? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენი რევოლუცია მუდამ უჭერდა მხარს და კვლავაც უჭერს მხარს რევოლუციის განვითარებას ყველა ქვეყანაში? განა ფაქტი არ არის, რომ ყველა ქვეყნის მუშები ჩვენი რევოლუციისადმი თავიანთი თანაგრძნობით და ინტერვენციის ცდების წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლით უჭერდნენ და კვლავაც უჭერენ მხარს ჩვენს რევოლუციას? რა არის ეს, თუ არა ყველა ქვეყნის მუშების ღონისძიებათა გაერთიანება ჩვენი რევოლუციის გამარჯვებისათვის? ახლა ინგლისელი მუშების ბრძოლა კერზონის წინააღმდეგ, ცნობილ ნოტასთან დაკავშირებით[88]? ახლა ინგლისელი მაღაროელებისადმი მხარდაჭერა სსრ კავშირის მუშების მხრივ? მე შემეძლო, ამხანაგებო, მომეყვანა ასეთივე ხასიათის კიდევ მთელი რიგი ცნობილი ფაქტები, ეს რომ საჭირო იყოს.

მაშ სადღაა აქ ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალური ამოცანების დავიწყება?

მაშ რაშია მდგომარეობს აქ საიდუმლოება? საიდუმლოება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ზინოვიევი ცდილობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის პროლეტარების საერთო ღონისძიებათა საკითხით შეცვალოს კარდინალური საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობისა ევროპის პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე, კარდინალური საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა პროლეტარულ ხელისუფლებას რუსეთში თანამედროვე საერთაშორისო პირობების დროს გაუმკლავდეს კონსერვატიულ ევროპას.

ტროცკი, ზინოვიევის ახლანდელი მასწავლებელი, ამბობს:

«უიმედოა იმის ფიქრი... რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას» (ტროცკი, ტ. III, ნ. 1, გვ. 90).

ტროცკი, ზინოვიევის ახლანდელი მასწავლებელი, ამბობს:

«ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებით ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ამაში დაეჭვება ერთ წუთსაც არ შეიძლება» (იხ. «ჩვენი რევოლუცია», გვ. 278).

მაშასადამე, ზინოვიევი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს, იმ პირობით, თუ ევროპაში პროლეტარიატი გაიმარჯვებს («ევროპის პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი დახმარება»), ცვლის ევროპისა და რუსეთის მუშების საერთო ღონისძიებათა საკითხით.

აი რაში მდგომარეობს საკითხი და აი რის შესახებ წარმოებს ჩვენში დავა.

ზინოვიევს ციტატები მოჰყავს ლენინის თხზულებებიდან და «კომუნისტური მანიფესტიდან» და ცდილობს ერთი საკითხი მეორე საკითხით შეცვალოს.

აი რაში მდგომარეობს საიდუმლოება ზინოვიევის ვარჯიშისა ჩვენი პარტიის მიერ ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალური ამოცანების «დავიწყების» შესახებ.

აი რაში მდგომარეობს ზინოვიევის ოინების, დაბნეულობისა და აბდაუბდის საიდუმლოება.

და ზინოვიევს «მორცხვობა» ჰყოფნის — მის საკუთარ თავში არსებული ეს უმაგალითო დაბნეულობა, ეს დომხალი და აბდაუბდა გაასაღოს ოპოზიციური ბლოკის «ნამდვილ» რევოლუციურობად და «ნამდვილ» ინტერნაციონალიზმად.

განა ყველაფერი ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო? არა, ჩვენს დროში ინტერნაციონალური რევოლუციონერი რომ იყო და ამავე დროს ჩვენი პარტიის რიგებში იმყოფებოდე, ყოველმხრივ უნდა განამტკიცებდე და მთელი ძალებით მხარს უჭერდე ჩვენს პარტიას, რომელიც ამასთანავე კომინტერნის მოწინავე რაზმია. ოპოზიციონერები კი მას ანგრევენ და სახელს უტეხენ.

ჩვენს დროში ინტერნაციონალისტი რომ იყო, უნდა ყოველმხრივ განამტკიცებდე და მთელი ძალებით მხარს უჭერდე კომუნისტურ ინტერნაციონალს. ოპოზიციონერები კი შლიან და ანგრევენ მას, მხარს უჭერენ და ინსტრუქტაჟს უწევენ რა ყველა და ყოველგვარ მასლოვებსა და სუვარინებს.

დროა შევიგნოთ, რომ არ შეიძლება რევოლუციონერი და ინტერნაციონალისტი იყო, როცა ომის მდგომარეობაში იმყოფები ჩვენს პარტიასთან, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის მოწინავე რაზმს წარმოადგენს. (ტ ა შ ი).

დროა შევიგნოთ, რომ იმ დროიდან, რაც კომინტერნის წინააღმდეგ ომი დაიწყეს, ისინი აღარ არიან რევოლუციონერები და ინტერნაციონალისტები. (ტ ა შ ი).

დროა შევიგნოთ, რომ ოპოზიციონერები არიან არა რევოლუციონერები და ინტერნაციონალისტები, არამედ მოლაყბეები რევოლუციისა და ინტერნაციონალიზმის აბრით. (ტ ა შ ი).

დროა შევიგნოთ, რომ ისინი არიან არა საქმის რევოლუციონერები, არამედ მყვირალა ფრაზებისა და კინემატოგრაფიული ლენტის რევოლუციონერები. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი).

დროა შევიგნოთ, რომ ისინი არიან არა საქმის რევოლუციონერები, არამედ კინორევოლუციონერები. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი).

IV

ტროცკი აჟალბებს ლენინიზმს

1. ტროცკის ოინები, ანუ «პერმანენტული რევოლუციის» საკითხი

გადავდივარ ტროცკის გამოსვლაზე.

ტროცკიმ განაცხადა, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორიას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხთან, რომელსაც ჩვენ ვიხილავთო.

ეს ძალიან უცნაურია, უფრო მეტი რომ არა ვთქვათ. როგორ? განა პერმანენტული რევოლუციის თეორია რევოლუციის მამოძრავებელი ძალების თეორია არ არის? განა მართალი არ არის, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორიაში ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შესახებ? აბა რა არის საკითხი ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ, თუ არ საკითხი ამ რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შესახებ? როგორ შეიძლება ლაპარაკი, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორიას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ საკითხთან? ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს ფანდია, ოინია. ეს არის კვალის დაფარვის ცდა. ეს არის დამალვის ცდა. ფუჭი შრომაა! ნუ ეცდებით დამალვას, — სულ ერთია ვერ დაიმალებით!

ტროცკი თავისი სიტყვის სხვა ადგილას ცდილობდა «გადაკვრით ეთქვა», რომ იგი უკვე დიდი ხანია სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევს პერმანენტული რევოლუციის თეორიას. ხოლო კამენევმა თავის სიტყვაში «გვაგრძნობინა», რომ ტროცკის, ალბათ, საწინააღმდეგო არა აქვს რა ზურგი შეაქციოს პერმანენტული რევოლუციის თეორიას, თუ უკვე არ შეუქცევია მისთვის ზურგი.

სასწაული თუ გინდა, ეს არის!

მოდით გავარჩიოთ საკითხი: სწორია თუ არა, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორიას დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ საკითხთან, და თუ ეს სწორი არ არის, შეიძლება თუ არა დავუჯეროთ კამენევს, რომ ტროცკი მნიშვნელობას არ აძლევს პერმანენტული რევოლუციის თეორიას და თითქმის ხელი აიღო ამ თეორიაზე?

მივმართოთ დოკუმენტებს. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ამხ. ოლმინსკისადმი ტროცკის 1921 წლის დეკემბრის წერილი, რომელიც პრესაში 1925 წელს გამოქვეყნდა, — წერილი, რომელზეც ტროცკის არასოდეს არ უცდია უარი ეთქვა და დღემდე არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ არ უთქვამს უარი, და რომელიც ამის გამო სრულ ძალაში რჩება. რა არის ნათქვამი ამ წერილში პერმანენტული რევოლუციის შესახებ?

მოისმინეთ:

«მე სრულებითაც არ მიმაჩნია, რომ ბოლშევიკებთან ჩემს უთანხმოებაში არაფერში არ ვიყავი მართალი. მართალი არ ვიყავი — და ძირითადად არ ვიყავი მართალი — მენშევიკური ფრაქციის შეფასებაში, გადაჭარბებით ვაფასებდი მის რევოლუციურ შესაძლებლობებს და იმედი მჭონდა, რომ მოხერხდებოდა მისი მარჯვენა ფრთის იზოლირება და არარად ქცევა. მაგრამ ეს ძირითადი შეცდომა იქიდან გამომდინარეობდა, რომ **ორივე ფრაქციას, ბოლშევიკურსაც და მენშევიკურსაც, მე ვუდგებოდი** პერმანენტული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეების თვალსაზრისით, მაშინ როდესაც ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც იმ პერიოდში ბურჟუაზიული რევოლუციისა და დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაზრისზე იდგნენ. მე მიმაჩნდა, რომ უთანხმოება ორივე ფრაქციას შორის პრინციპულად არც ისე ღრმა იყო, და იმედი მჭონდა (ეს იმედი არა ერთხელ გამომითქვამს წერილებსა და მოხსენებებში), რომ თვით რევოლუციის მსვლელობა ორივე ფრაქციას მიიყვანდა პერმანენტული რევოლუციისა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პოზიციამდე, რაც ნაწილობრივ კიდევაც მოხდა 1905 წელს. (ამხ. ლენინის წინასიტყვაობა კაუცკის

სტატიისათვის რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შესახებ და გაზეთ «ნაჩალოს» მთელი ხაზი).

ვფიქრობ, რომ ჩემი შეფასება რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისა უთუოდ სწორი იყო, ხოლო დასკვნები, რომლებსაც ამ შეფასებიდან ორივე ფრაქციის შესახებ ვაკეთებდი, უთუოდ არასწორი იყო. მხოლოდ ბოლშევიზმმა მოუყარა თავი თავის რიგებში, თავისი შეურიგებელი ხაზის მეოხებით, როგორც ძველი ინტელიგენციის, ისე მუშათა კლასის მოწინავე ფენის ნამდვილად რევოლუციურ ელემენტებს. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ბოლშევიზმმა შესძლო შეექმნა ეს რევოლუციურად დარაზმული ორგანიზაცია, შესაძლებელი აღმოჩნდა ესოდენ სწრაფი მობრუნება რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციიდან რევოლუციურ-სოციალისტური პოზიციისაკენ.

მე ახლაც ადვილად შემეძლო გამეყო ჩემი პოლემიკური სტატიები მენშევიკებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ორ კატეგორიად: სტატიებად, რომლებიც მიძღვნილია რევოლუციის შინაგანი ძალების ანალიზისადმი, მისი პერსპექტივებისადმი (როზა ლუქსემბურგის თეორიული პოლონური ორგანო, «**Neue Zeit**»), და სტატიებად, რომლებიც მიძღვნილია რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ფრაქციების შეფასებისადმი, მათი ბრძოლისადმი და სხვ. პირველი კატეგორიის სტატიები შემეძლო ახლაც მიმეცა შეუსწორებლად, ვინაიდან ისინი სავსებით და მთლიანად ემთხვევიან ჩვენი პარტიის პოზიციას, დაწყებული 1917 წლიდან. მეორე კატეგორიის სტატიები აშკარად მცდარია და მათი ხელახლა გამოცემა არ ეღირებოდა» (იხ. «ლენინი ტროცკის შესახებ», 1925 წ., ამხ. ოლმინსკის წინასიტყვაობით).

რა გამოდის აქედან?

გამოდის, რომ ტროცკი ცდებოდა საორგანიზაციო საკითხებში, ხოლო ჩვენი რევოლუციის შეფასების საკითხებში, პერმანენტული რევოლუციის საკითხში იგი მართალი იყო და მართალი დარჩა.

მართალია, ტროცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ლენინი სიცოცხლის დასასრულამდე იბრძოდა პერმანენტული რევოლუციის თეორიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მას არ აწუხებს.

შემდეგ, გამოდის, რომ ორივე ფრაქცია, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც, უნდა მისულიყო პერმანენტული რე-

ვოლუციის თეორიამდე, მაგრამ ნამდვილად ამ თეორიამდე მივიდნენ მხოლოდ ბოლშევიკები, ვინაიდან მათ ჰყავდათ მუშებისა და ძველი ინტელიგენციის რევოლუციურად დარაზმული ორგანიზაცია, და მივიდნენ არა ერთბაშად, არამედ «დაწყებული 1917 წლიდან».

ბოლოს, გამოდის, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორია «სავსებით და მთლიანად დაემთხვა ჩვენი პარტიის პოზიციას, დაწყებული 1917 წლიდან».

ახლა თვითონ განსაჯეთ, ჰგავს თუ არა ეს იმას, რომ ტროცკი დიდ მნიშვნელობას არ აძლევს პერმანენტული რევოლუციის თეორიას? არა, არ ჰგავს. პირიქით, მართლაც, თუ პერმანენტული რევოლუციის თეორია ნამდვილად დაემთხვა, «დაწყებული 1917 წლიდან», პარტიის პოზიციას, აქედან შეიძლება გავაკეთოთ მხოლოდ ერთი დასკვნა, — რომ ტროცკი ამ თეორიას აძლევდა და კვლავაც აძლევს გადამწყვეტ მნიშვნელობას მთელი ჩვენი პარტიისათვის.

მაგრამ რას ნიშნავს «დაემთხვა»? როგორ შეიძლებოდა ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორია დამთხვეოდა ჩვენი პარტიის პოზიციას, თუ დამტკიცებულია, რომ ჩვენი პარტია ლენინის სახით გ•ნუწყვეტლივ ეწეოდა ბრძოლას სწორედ ამ თეორიის წინააღმდეგ?

ორში ერთი: ან ჩვენს პარტიას არა ჰქონდა თავისი თეორია და იძულებული იყო შემდეგ, ვითარების გამო, მიეღო ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორია, ან მას ჰქონდა თავისი თეორია, მაგრამ იგი, ეს თეორია, შეუმჩნევლად განდევნილ იქნა ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორიით, «დაწყებული 1917 წლიდან».

ეს «გაუგებრობა» განგვიმარტა შემდეგ ტროცკიმ 1922 წელს დაწერილ თავის «წინასიტყვაობაში» წიგნისათვის «1905 წელი». ტროცკის მოჰყავს პერმანენტული რევოლუციის თეორიის არსი, იძლევა ჩვენი რევოლუციის შეფა-

სების ანალიზს პერმანენტული რევოლუციის თეორიის თვალსაზრისით და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

«თუმცა 12 წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ ეს შეფასება მთლიანად დადასტურდა» (ტროცკი, «1905», «წინასიტყვაობა»).

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: პერმანენტული რევოლუციის თეორია, რომელიც ტროცკიმ 1905 წელს «ჩამოაყალიბა», «მთლიანად დადასტურდა» 1917 წელს, 12 წლის შემდეგ.

მაგრამ როგორ შეიძლებოდა იგი დადასტურებულიყო? მერე ბოლშევიკები, — ისინი რა იქნენ? ნუთუ ისინი რევოლუციის მოსახდენად მიდიოდნენ ისე, რომ არავითარი თავიანთი თეორია არ ჰქონიათ, ნუთუ მათ მხოლოდ იმის უნარი აღმოაჩნდათ, რომ დაერაზმათ რევოლუციური ინტელიგენცია, რევოლუციური მუშები? და შემდეგ, რა ნიადაგზე დარაზმეს მათ მუშები, რა პრინციპების საფუძველზე? ბოლშევიკებს ხომ ჰქონდათ რაიმე თეორია, რევოლუციის შეფასება, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შეფასება? ნუთუ, გარდა პერმანენტული რევოლუციის თეორიისა, ჩვენს პარტიას არავითარი სხვა თეორია არ ჰქონია?

თვითონ განსაჯეთ: ვცხოვრობდით ჩვენ, ბოლშევიკები, და ვვითარდებოდით უპერსპექტივებოდ და რევოლუციური თეორიის უქონლად; ვცხოვრობდით ასე 1903 წლიდან 1917 წლამდე; ხოლო შემდეგ, «დაწყებული 1917 წლიდან», შეუმჩნევლად ვიგემეთ პერმანენტული რევოლუციის თეორია და წელში გავიმართეთ. უდავოდ, ეს მეტად საინტერესო ზღაპარია. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო შეუმჩნევლად, უბრძოლველად, პარტიის შეუნჯღრევლად? როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო ასე უბრალოდ, ასე მოულოდნელად? ხომ ცნობილია,

რომ ლენინი და მისი პარტია იბრძოდნენ პერმანენტული რევოლუციის თეორიის წინააღმდეგ მისი გაჩენის პირველივე დღეებიდან.

ესეც კია, ამ «გაუგებრობას» ტროცკი განგვიმარტავს სხვა დოკუმენტში. მე მხედველობაში მაქვს 1922 წელს დაწერილი «შენიშვნა» ტროცკის სტატიისათვის «ჩვენი უთანხმოებანი».

აი სათანადო ადგილი ტროცკის ამ სტატიიდან:

«თუ მენშევიკები, ემყარებიან რა აბსტრაქციას: **«ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია»**, მიდიან ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედებისადმი პროლეტარიატის მთელი ტაქტიკის შეგუების იდეამდე, თვით ამ ბურჟუაზიის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვებამდე, — ბოლშევიკები, ემყარებიან რა ასეთსავე შიშველ აბსტრაქციას: **«დემოკრატიული, და არა სოციალისტური დიქტატურა»**, მიდიან პროლეტარიატის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვითშეზღუდვის იდეამდე, პროლეტარიატისა, რომელსაც ხელთ აქვს სახელმწიფო ძალაუფლება. მართალია, ამ საკითხში მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავებაა: მაშინ როდესაც მენშევიზმის ანტირევოლუციური მხარეები მთელი ძალით იჩენენ თავს უკვე ახლა, ბოლშევიზმის ანტირევოლუციური ნიშნები გვიქადიან უდიდეს საფრთხეს მხოლოდ რევოლუციური გამარჯვების შემთხვევაში» (ტროცკი, «1905», გვ. 285).

გამოდის, რომ არა მარტო მენშევიზმს ჰქონდა თავისი ანტირევოლუციური მხარეები, არამედ ბოლშევიზმიც თავისუფალი არ იყო «ანტირევოლუციური ნიშნებისაგან», რომლებიც გვიქადდნენ «უდიდეს საფრთხეს მხოლოდ რევოლუციური გამარჯვების შემთხვევაში».

განთავისუფლდნენ თუ არა შემდეგ ბოლშევიკები ბოლშევიზმის «ანტირევოლუციური ნიშნებისაგან», და თუ განთავისუფლდნენ, რანაირად?

ამ «გაუგებრობას» განგვიმარტავს ტროცკი სტატიის «ჩვენი უთანხმოებანი» «შენიშვნაში».

მოისმინეთ:

«ეს, როგორც ცნობილია, არ მომხდარა, ვინაიდან ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით (არა შინაგანი ბრძოლის გარეშე) ბოლშევიზმი ხელახლა შეიარაღდა იდეურად ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში 1917 წლის გაზაფხულზე, ე. ი. ძალაუფლების მოპოვებამდე» (ტროცკი, «1905», გვ. 285).

მაშასადამე, ბოლშევიკების «ხელახლა შეიარაღება», «დაწყებული 1917 წლიდან», პერმანენტული რევოლუციის თეორიის საფუძველზე, ბოლშევიკების გადარჩენა, ამასთან დაკავშირებით, «ბოლშევიზმის ანტირევოლუციური ნიშნებისაგან», ბოლოს, ის ფაქტი, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორია, ამრიგად, «მთლიანად» «დადასტურდა», — ასეთია ტროცკის დასკვნა.

რაღა იქნენ ლენინიზმი, ბოლშევიზმის თეორია, ჩვენი რევოლუციის, მისი მამოძრავებელი ძალების ბოლშევიკური შეფასება და სხვ.? ისინი ან არ «დადასტურებულან მთლიანად», ან სულ არ «დადასტურებულან», ან ჰაერში გაიფანტნენ და ადგილი დაუთმეს პერმანენტული რევოლუციის თეორიას პარტიის «ხელახალი შეიარაღებისათვის».

მაშასადამე, იყვნენ ამ ქვეყნად ბოლშევიკები, ძლივს-ძლივობით «რაზმავდნენ» პარტიას, «დაწყებული» 1903 წლიდან, მაგრამ არ ჰქონდათ რევოლუციური თეორია, ეხეტებოდნენ — ეხეტებოდნენ, «დაწყებული» 1903 წლიდან, და ძლივსძლივობით მიაღწიეს 1917 წლამდე, შემდეგ შენიშნეს ტროცკი პერმანენტული რევოლუციის თეორიით ხელში, გადაწყვიტეს «ხელახლა შეიარაღებულიყვნენ» და, «ხელახლა რომ შეიარაღდნენ», დაკარგეს ლენინიზმის, რევოლუციის ლენინური თეორიის უკანასკნელი ნაშთები და, ამრიგად, მოახდინეს პერმანენტული რევოლუციის თეორიის «სრული დამთხვევა» ჩვენი პარტიის «პოზიციასთან».

ეს მეტად საინტერესო ზღაპარია, ამხანაგებო. ეს, თუ გნებავთ, ერთ-ერთი ის ჩინებული ფოკუსია, როგორსაც შეიძლება ცირკში შეხვდეთ. მაგრამ ჩვენ ხომ ცირკი არა გვაქვს, არამედ გვაქვს ჩვენი პარტიის კონფერენცია. და ჩვენ ტროცკი ხომ არ დაგვიჭირავებია ცირკის მსახიობად. მაშ რა საჭიროა ეს ფოკუსები?

როგორ აფასებდა ამხ. ლენინი ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორიას? აი რას წერს იგი ამ თეორიის შესახებ ერთ-ერთ თავის სტატიაში, დასცინის რა მას როგორც «ორიგინალურ» და «მშვენიერ» თეორიას:

«მომავალ რევოლუციაში კლასთა თანაფარდობის გამორკვევა რევოლუციური პარტიის მთავარი ამოცანაა... ამ ამოცანას არასწორად წყვეტს «ნაშე სლოვოში» ტროცკი, რომელიც იმეორებს თავის 1905 წლის «ორიგინალურ» თეორიას და არ სურს იფიქროს იმაზე, თუ ცხოვრება მთელი ათი წლის განმავლობაში რა მიზეზების გამო უვლიდა გვერდს ამ მშვენიერ თეორიას.

ტროცკის ორიგინალური თეორია ბოლშევიკებისაგან იღებს მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისაკენ და მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის «უარყოფას»»... ამით «ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს, რომლებსაც გლეხობის როლის «უარყოფად» ესმით **სურვილის უქონლობა** — რევოლუციისათვის აამხედრონ გლეხები!» (იხ. ტ. XVIII, გვ. 317 — 318).

გამოდის, რომ, ლენინის მიხედვით, პერმანენტული რევოლუციის თეორია არის ნახევრად-მენშევიკური თეორია, რომელიც უგულებელყოფს გლეხობის რევოლუციურ როლს რუსეთის რევოლუციაში.

ოღონდ გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა ეს ნახევრად-მენშევიკური თეორია «მთლიანად და სავსებით დამთხვეოდა» ჩვენი პარტიის პოზიციას, თუნდაც «დაწყებული 1917 წლიდან».

როგორღა აფასებს ჩვენი პარტია პერმანენტული რევოლუციის თეორიას? აი რა არის მის შესახებ ნათქვამი XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლუციაში:

«პერმანენტული რევოლუციის ტროცკისტული თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მტკიცება, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება **მხოლოდ მას შემდეგ,** რაც პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (ტროცკი, 1922 წ.), — მტკიცება, რომლითაც სსრ კავშირის პროლეტარიატი ახლანდელ პერიოდში ფატალისტური პასიურობისათვის არის განწირული. ასეთი «თეორიების» წინააღმდეგ ამხ. ლენინი წერდა: «უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც დაუზეპირებიათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სოციალიზმისათვის არ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ სხვადასხვა «სწავლული» ვაებატონები მათი წრიდან, ობიექტური **ეკონომიური** წინაპირობები სოციალიზმისათვის» (შენიშვნები სუხანოვის შესახებ). (XIV პარტკონფერენციის რეზოლუცია [99]).

გამოდის, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორია იგივე სუხანოველობაა, რომელსაც ამხ. ლენინი თავის ჩანაწერებში «ჩვენი რევოლუციის შესახებ» გმობს, როგორც სოციალ-დემოკრატიზმს.

ოღონდ გაუგებარია, როგორ შეეძლო ასეთ თეორიას «ხელახლა შეეიარაღებინა» ჩვენი ბოლშევიკური პარტია.

კამენევმა თავის სიტყვაში «გვაგრძნობინა», რომ ტროცკი ზურგს აქცევს თავის პერმანენტული რევოლუციის თეორიას, და ამის დასადასტურებლად მოიყვანა შემდეგი, უაღრესად ორაზროვანი ციტატა ტროცკის უკანასკნელი, 1926 წლის სექტემბრის წერილიდან ოპოზიციონერებისადმი:

«ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ, როგორც უცილობლად ცხადყო გამოცდილებამ, ყველა რამდენადმე პრინციპულ საკითხში, რომელშიც ვინმე ჩვენგანი არ ეთანხმებოდა ლენინს, სიმართლე უთუოდ ვლადიმირ ილიას-ძის მხარეზე იყო».

მაგრამ კამენევს ის აღარ უთქვამს, რომ ამის შემდეგ, იმავე წერილში, ტროცკიმ გააკეთა შემდეგი განცხადება, რომელიც უარყოფს მის წინა განცხადებას:

«ლენინგრადელთა ოპოზიციამ ენერგიულად გაილაშქრა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის თეორიის, **როგორც ნაციონალური შეზღუდულობის თეორიული გამართლების,** წინააღმდეგ» (იხ. ტროცკის წერილი, 1925 წლის სექტემბერი — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1926 წლის 8 და 11 ოქტომბრის სხდომების სტენოგრამის დამატება).

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ტროცკის პირველ, ორაზროვან განცხადებას, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს, როცა არის მისი მეორე განცხადება, რომელიც უარყოფს პირველს?

რა არის პერმანენტული რევოლუციის თეორია? უარყოფა ლენინური «თეორიისა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის» შესახებ.

რა არის ლენინური «თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის» შესახებ? ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორიის უარყოფა.

განა ცხადი არ არის, რომ კამენევი, რომელმაც მოიყვანა პირველი ციტატა ტროცკის წერილიდან და არაფერი თქვა მეორე ციტატის შესახებ, შეეცადა დაებნია და მოეტყუებინა ჩვენი პარტია.

მაგრამ ჩვენი პარტიის მოტყუება არც ისე ადვილია.

2. ციტატებით ჯამბაზობა, ანუ ტროცკი აყალბებს ლენინიზმს

მიაქციეთ თუ არა ყურადღება, ამხანაგებო, რომ ტროცკის მთელი სიტყვა სავსეა ლენინის თხზულებებიდან მოყვანილი სულ სხვადასხვაგვარი ციტატებით? კითხულობ ლენინის სხვადასხვა სტატიებიდან ამოგლეჯილ ამ ციტატებს და არ გესმის, რის მიღწევა უფრო მეტად უნ-

და ტროცკის: იმის, რომ ამ ციტატებით პოზიცია განიმტკიცოს, თუ იმის, რომ «წინააღმდეგობებში დაიჭიროს» ამხ. ლენინი. მან ლენინის ნაშრომებიდან მოიყვანა ერთი ჯგუფი ციტატებისა, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ ინტერვენციის საშიშროება შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუცია რამდენიმე ქვეყანაში გაიმარჯვებს, და, როგორც ჩანს, ფიქრობს ამით «ამხილოს» პარტია. მაგრამ მას ვერ გაუგია, ან არ სურს გაიგოს ის, რომ ეს ციტატები მოწმობენ არა პარტიის პოზიციის წინააღმდეგ, არამედ მის სასარგებლოდ და ტროცკის პოზიციის წინააღმდეგ, ვინაიდან გარედან საშიშროების ხვედრითს წონას პარტია აფასებს ლენინის ხაზთან სრული შესაბამისობით. მან მოიყვანა მეორე ჯგუფი ციტატებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ სოციალიზმის **სრული გამარჯვება** შეუძლებელია, თუ რევოლუცია რამდენიმე ქვეყანაში არ გაიმარჯვებს, და ყოველნაირად ცდილობს ამ ციტატებით ჯამბაზობას. მაგრამ მას ვერ გაუგია, ან არ სურს გაიგოს ის, რომ არ შეიძლება ერთ გროვად არევა სოციალიზმის სრული გამარჯვებისა (გარანტია ინტერვენციისაგან) და საერთოდ სოციალიზმის გამარჯვებისა (სოციალისტური საზოგადოების აშენება), არ ესმის, ან არ სურს გაიგოს ის, რომ ლენინის თხზულებებიდან ამოღებული ეს ციტატები მოწმობენ არა პარტიის წინააღმდეგ, არამედ პარტიის სასარგებლოდ და ტროცკის პოზიციის წინააღმდეგ.

მაგრამ, ყოველგვარი ციტატების გროვა რომ მოიყვანა, რომლებიც საქმეს არ ეხებიან, ტროცკიმ არ ისურვა შეჩერებულიყო ლენინის ძირითად სტატიაზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ (1915 წ.), ალბათ, იმ ვარაუდით, რომ თავისი გამოსვლით კამენევმა მშვიდობიანად გაათავისუფლა იგი ამ სტატიისაგან. მაგრამ ახლა შეიძლება საბოლოოდ დამტკიცებულად

ჩაითვალოს, რომ კამენევმა ვერ შესძლო თავისი როლის შესრულება, და ამხ. ლენინის სტატია მთლიანად რჩება ძალაში.

შემდეგ ტროცკიმ მოიყვანა ციტატა ამხ. ლენინის ცნობილი სტატიიდან იმის შესახებ, რომ მიმდინარე პოლიტიკის დარგში მათ შორის გლეხობის საკითხზე უთანხმოება არ არსებობს. მაგრამ მას დაავიწყდა ეთქვა, რომ ლენინის ეს სტატია არა თუ არ წყვეტს, არამედ არც კი ეხება გლეხობის საკითხში ტროცკისა და ლენინის უთანხმოების საკითხს, **ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.**

სწორედ ამით აიხსნება, რომ ტროცკის ოპერაციები ციტატებზე გადაიქცნენ ციტატებით ფუჭ ჯამბაზობად.

ტროცკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისი პოზიცია «ემთხვევა» ლენინის პოზიციას ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის საკითხში. მაგრამ როგორ შეიძლება იმის დამტკიცება, რის დამტკიცებაც შეუძლებელია?

როგორ შევათავსოთ ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ «სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში»[100], ტროცკის თეზისთან იმის შესახებ, რომ «უიმედოა იმის ფიქრი... რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას»?

როგორ შევათავსოთ, შემდეგ, ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ «ამ ქვეყნის (ერთი ქვეყნის. **ი. სტ.**) გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპი-

ტალისტურ სამყაროს»[101], ტროცკის თეზისთან იმის შესახებ, რომ «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი **სახელმწიფოებრივი*** დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებით ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად»?

ბოლოს, როგორ შეიძლება შევათავსოთ ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ «მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას შეუძლია იხსნას სოციალისტური რევოლუცია რუსეთში, სანამ რევოლუცია სხვა ქვეყნებში არ დაწყებულა»[102], ტროცკის თეზისთან იმის შესახებ, რომ «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე»?

და შემდეგ: ნამდვილად რომ ითქვას, რით განსხვავდება ტროცკის პოზიცია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხში მენშევიკ ო. ბაუერის პოზიციისაგან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ:

«რუსეთში, სადაც პროლეტარიატი ერის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს, პროლეტარიატს შეუძლია დაამკვიდროს თავისი ბატონობა მხოლოდ დროებით», რომ «მან გარდუვალად კვლავ უნდა დაკარგოს ეს ბატონობა, როგორც კი ერის გლეხური მასა კულტურულად საკმაოდ მომწიფდება იმისათვის, რომ თვითონ აიღოს თავის ხელში ძალაუფლება», რომ «მხოლოდ ინდუსტრიული დასავლეთის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიული სოციალიზმის ხანგრძლივი ბატონობა» რუსეთში?

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

განა ცხადი არ არის, რომ ტროცკი ბაუერს უფრო უახლოვდება, ვიდრე ლენინს? და განა მართალი არ არის, რომ ტროცკის პოზიცია სოციალ-დემოკრატიული გადახრის პოზიციაა, რომ ტროცკი არსებითად უარყოფს ჩვენი რევოლუციის სოციალისტურ ხასიათს?

ტროცკი ცდილობდა თავისი თეზისი იმის შესახებ, რომ კონსერვატიული ევროპის პირისპირ პროლეტარული ძალაუფლების შენარჩუნება შეუძლებელიაო, დაესაბუთებინა იმაზე მსჯელობით, რომ ახლანდელი ევროპა კონსერვატიული არ არის, რომ იგი ცოტად თუ ბევრად ლიბერალურია, და ევროპა რომ ნამდვილად კონსერვატიული ყოფილიყო, ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდა. მაგრამ განა ძნელი გასაგებია, რომ ტროცკი აქ მთლიანად და საბოლოოდ დაიბნა? რა ვუწოდოთ, მაგალითად, ახლანდელ იტალიას, ან ინგლისს, ან საფრანგეთს, — კონსერვატიული თუ ლიბერალური? რას წარმოადგენს ახლანდელი ჩრდილოეთი ამერიკა, — კონსერვატიულ თუ ლიბერალურ ქვეყანას? და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის კონსერვატიულ და «ლიბერალურ» ევროპას შორის განსხვავების ამ «ფაქიზ» და სასაცილო ხაზგასმას? განა რესპუბლიკურმა საფრანგეთმა და დემოკრატიულმა ამერიკამ ისევე არ მოაწყეს ინტერვენცია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ კოლჩაკისა და დენიკინის პერიოდში, როგორც მონარქისტულმა და კონსერვატიულმა ინგლისმა?

ტროცკიმ განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო საშუალო გლეხის საკითხს. მან მოიყვანა ციტატა ლენინის 1906 წლის პერიოდის თხზულებებიდან, სადაც ლენინი წინასწარმეტყველებს, რომ შესაძლოა საშუალო გლეხების ნაწილის გადასვლა, **ბურჟუაზიული** რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კონტრრევოლუციის მხარეზე, და,

როგორც ჩანს, ცდილობდა ამით დაემტკიცებინა, რომ ეს ციტატა «ემთხვევა» ტროცკის პოზიციას გლეხობის საკითხში **სოციალისტური** რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ძნელი გასაგები არ არის, რომ ტროცკი აქ ერთმანეთს ადარებს ისეთ საგნებს, რომელთა შედარება შეუძლებელია. ტროცკის მიდრეკილება აქვს — საშუალო გლეხობა მიიჩნიოს როგორც «ნივთი თავისთავად», როგორც რაღაც მუდმივი და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. მაგრამ ბოლშევიკები ასე არასოდეს არ უყურებდნენ საშუალო გლეხობას.

ტროცკის, ალბათ, დაავიწყდა, რომ ბოლშევიკებს აქვთ სამი გეგმა გლეხობის ძირითადი მასის მიმართ: ერთი გეგმა — **ნავარაუდევი ბურჟუაზიული რევოლუციის** პერიოდისათვის, მეორე გეგმა — ნავარაუდევი პროლეტარული რევოლუციის პერიოდისათვის, და მესამე გეგმა — ნავარაუდევი იმ პერიოდისათვის, რომელიც მოჰყვება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

პირველ პერიოდში ბოლშევიკები ამბობდნენ: მთელ გლეხობასთან ერთად, მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის **ნეიტრალიზაციის** პირობით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მხარეზე.

მეორე პერიოდში ბოლშევიკები ამბობდნენ: უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ბურჟუაზიისა და კულაკების წინააღმდეგ, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობით, სოციალისტური რევოლუციის მხარეზე. ხოლო რას ნიშნავს საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია? ეს ნიშნავს — გვყავდეს იგი პროლეტარიატის პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ, არ ვენდოთ მას და ყოველი ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ იგი ხელიდან არ გაგვისხლტეს.

მესამე პერიოდში, იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით, ბოლშევიკები ამბობენ: ღარიბ გლეხო-

ბასთან ერთად, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პირობით, ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

ვინც ერთმანეთში ურევს ამ სამ გეგმას, სამ სხვადასხვა ხაზს, რომლებიც ჩვენი რევოლუციის სამ სხვადასხვა პერიოდს ასახავენ, მას ბოლშევიზმისა არა გაეგება რა.

ლენინი სავსებით მართალი იყო, როცა ამბობდა, **ბურჟუაზიული** რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საშუალო გლეხების ნაწილი კონტრრევოლუციის მხარეზე გადავაო. ასეც მოხდა, მაგალითად, «უფის მთავრობის»[103] პერიოდში, როცა ვოლგისპირეთში საშუალო გლეხების ნაწილი კონტრრევოლუციის, კულაკების მხარეზე გადავიდა, ხოლო საშუალო გლეხობის მეტი ნაწილი რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მერყეობდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საშუალო გლეხი იმიტომაც არის საშუალო გლეხი, რომ ელოდებოდეს და მერყეობდეს: «ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, უმჯობესია დაველოდოო». შინაგან კონტრრევოლუციაზე მხოლოდ პირველ სერიოზულ გამარჯვებათა შემდეგ და, განსაკუთრებით, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, საშუალო გლეხმა გარკვეულად იწყო მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, — როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ უხელისუფლებოდ არ შეიძლება, ბოლშევიკური ხელისუფლება ძლიერია და ამ ხელისუფლებასთან მუშაობა ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს. სწორედ ამ პერიოდში თქვა ამხ. ლენინმა წინასწარმეტყველური სიტყვები იმის შესახებ, რომ «ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში, როცა საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისა-

თვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ **მტკიცე კავშირის ნიადაგზე დავდგეთ**» (სიტყვა პარტიის VIII ყრილობაზე, ტ. XXIV, გვ. 114).

აი როგორია საქმის ვითარება საშუალო გლეხების საკითხის მხრივ.

ტროცკის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალო გლეხობის საკითხს უდგება მეტაფიზიკურად, საშუალო გლეხობას უყურებს როგორც «ნივთს თავისთავად» და ამით ხლართავს საკითხს, ამახინჯებს და აყალბებს ლენინიზმს.

ბოლოს, საქმე სულაც ის არ არის, რომ პროლეტარიატს შეიძლება ჰქონდეს და კიდევ ექნება წინააღმდეგობანი და კონფლიქტები საშუალო გლეხების გარკვეულ ნაწილთან. უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის სრულიადაც არ მდგომარეობს ამაში. უთანხმოება აქ იმაში მდგომარეობს, რომ პარტიას ეს წინააღმდეგობანი და შესაძლო კონფლიქტები მიაჩნია **სავსებით დასაძლევად** ჩვენი რევოლუციის საკუთარი ძალების საფუძველზე, მაშინ როდესაც ტროცკის და ოპოზიციას მიაჩნიათ, რომ ეს წინააღმდეგობანი და კონფლიქტები შეიძლება დაძლეულ იქნან «**მხოლოდ** საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

ციტატებით რომ ჯამბაზობს, ტროცკი ცდილობს ეს უთანხმოებანი სადღაც კუთხეში მიჩქმალოს. მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენი პარტიის მოტყუება არ მოხერხდება.

დასკვნა? დასკვნა ასეთია, რომ საჭიროა დიალექტიკოსობა და არა ოინბაზობა. გესწავლათ, პატივცემულო ოპოზიციონერებო, დიალექტიკა ამხ. ლენინისაგან, წაგეკითხათ მისი ნაწარმოებნი, — გამოგადგებოდათ. (ტაში, სიცილი).

3. «წვრილმანები» და კურიოზები

ტროცკი მისაყვედურებდა, როგორც თეზისების ავტორს, იმასთან დაკავშირებით, რომ იქ ლაპარაკია რევოლუციაზე «თავისთავად», როგორც სოციალისტურ რევოლუციაზე. ტროცკის მიაჩნია, რომ ასეთი მოპყრობა რევოლუციისადმი მეტაფიზიკაა. არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო ამას.

რატომ არის ლაპარაკი თეზისებში რევოლუციაზე «თავისთავად», როგორც სოციალისტურ რევოლუციაზე? იმიტომ, რომ ამით ხაზი აქვს გასმული მთელ განსხვავებას ჩვენი რევოლუციის შეფასებაში ჩვენი პარტიის შეხედულებებსა და ოპოზიციის შეხედულებებს შორის.

რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? იმაში, რომ პარტია ჩვენს რევოლუციას განიხილავს როგორც სოციალისტურ რევოლუციას, როგორც რევოლუციას, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ დამოუკიდებელ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს შეებრძოლოს კაპიტალისტურ სამყაროს, მაშინ როდესაც ოპოზიცია ჩვენს რევოლუციას განიხილავს როგორც უფასო დამატებას დასავლეთის მომავალი პროლეტარული რევოლუციისადმი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია, როგორც «თანდართულ დამატებას» მომავალი რევოლუციისადმი დასავლეთში, როგორც ისეთ რამეს, რასაც არავითარი დამოუკიდებელი ძალა არა აქვს. საკმარისია შევადაროთ შეფასება პროლეტარული დიქტატურისა ჩვენს ქვეყანაში, რაც ლენინმა მოგვცა, ოპოზიციური ბლოკის შეფასებას, რომ გავიგოთ, თუ რა უფსკრულია მათ შორის. იმ დროს როცა ლენინი პროლეტარულ დიქტატურას აფასებს როგორც უაღრესად ინიციატივიან ძალას, რომელმაც სოციალისტური მეურნეობის მოწყობის შემდეგ პირდაპირი დახმარება უნდა გაუწიოს მსოფლიო პროლეტარიატს, ბრძოლა გაუმართოს კაპიტალისტურ სამყაროს, ოპოზიცია, პირიქით, პროლეტარულ

დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში განიხილავს როგორც პასიურ ძალას, რომელიც ცხოვრობს ძალაუფლების დაუყოვნებლივი დაკარგვის შიშით «კონსერვატიული ევროპის წინაშე».

განა ცხადი არ არის, რომ სიტყვა «მეტაფიზიკა» ნახმარია იმისათვის, რათა ამ სიტყვით დაფარონ ოპოზიციის მხრივ ჩვენი რევოლუციის სოციალ-დემოკრატიული შეფასების სიშიშვლე?

ტროცკი შემდეგ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის არაზუსტი და არასწორი ფორმულირება, რომელიც მოცემული იყო ჩემს წიგნში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» 1924 წელს, მე შევცვალე სხვა, უფრო ზუსტი და სწორი ფორმულირებით. ტროცკი, როგორც ჩანს, უკმაყოფილოა ამით. რატომ, რა საფუძვლით, — მას ეს არ უთქვამს. რა შეიძლება ცუდი იყოს იმაში, რომ მე არაზუსტი ფორმულირება გავასწორე და იგი ზუსტით შევცვალე? ჩემი თავი სრულიადაც არ მიმაჩნია უცოდველად. მე ვფიქრობ, რომ პარტიას შეუძლია მხოლოდ მოიგოს, თუ ესა თუ ის ამხანაგი მის მიერ დაშვებულ შეცდომას შემდეგ აღიარებს და გამოასწორებს. მაინც რის თქმა უნდა ტროცკის, ამ ფაქტს რომ ხაზს უსვამს? იქნებ, მას უნდა კარგ მაგალითს მიბაძოს და, ბოლოს, შეუდგეს თავისი მრავალი შეცდომის გამოსწორებას? (ტაში, სიცილი). კეთილი, მე მზადა ვარ დავეხმარო მას ამ საქმეში, თუ აქ საჭიროა ჩემი დახმარება, მზადა ვარ ვუბიძგო მას და დავეხმარო. (ტაში, სიცილი). მაგრამ ტროცკი, როგორც ჩანს, რომელიღაც სხვა მიზანს ისახავს. თუ ეს სწორია, უნდა ვთქვა, რომ მისი ცდა უვარგის საშუალებებზე დამყარებული ცდაა.

ტროცკი თავის სიტყვაში გვარწმუნებდა, არც თუ ისეთი ცუდი კომუნისტი ვარ, როგორც პარტიის უმრავ-

ლესობის წარმომადგენლები მსახავენო. მან მოიყვანა მთელი რიგი ციტატები თავისი სტატიებიდან, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ იგი, ტროცკი, აღიარებდა და კვლავაც აღიარებს ჩვენი მუშაობის «სოციალისტურ ხასიათს», რომ იგი არ უარყოფს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის «სოციალისტურ ხასიათს» და სხვ. და ა. შ. რა ახალი ამბავია! ისღა გვაკლდა, რომ ტროცკი უარყოფდეს ჩვენი მუშაობის, ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის და სხვ. სოციალისტურ ხასიათს. ამ ფაქტებს ახლა ყველა აღიარებს, თვით ნიუ-იორკის ბირჟა, თვით ჩვენი ნეპმანები, ო. ბაუერზე რომ აღარა ვთქვათ რა. ახლა ყველა ხედავს, მტრებიც და მეგობრებიც, რომ ჩვენ მრეწველობას ვაშენებთ არა ისე, როგორც მას კაპიტალისტები აშენებენ, რომ ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში ჩვენ შეგვაქვს ერთგვარი ახალი ელემენტები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა კაპიტალიზმთან.

არა, პატივცემულო ოპოზიციონერებო, ახლა საქმე ეს როდია.

საქმის ვითარება ახლა უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს შეიძლება ოპოზიციურ ბლოკს ეჩვენოს.

ახლა საქმე ეხება არა ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს, არამედ იმას, რომ ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა მთლიანად, მიუხედავად კაპიტალისტური გარემოცვისა, მიუხედავად მტრების — შინაური და გარეშე მტრების არსებობისა, რომლებიც პროლეტარული დიქტატურის დაღუპვას ელიან. საქმე ეხება იმას, რომ მივაღწიოთ ლენინიზმის სრულ გამარჯვებას ჩვენს პარტიაში.

საქმე ახლა წვრილმანები და კურიოზები როდია. წვრილმანებითა და კურიოზებით ახლა პარტიის წინაშე ფონს ვერ გახვალ. პარტია ახლა ოპოზიციისაგან მეტს მოითხოვს.

ან თქვენ გამოიჩენთ მამაცობას და შესძლებთ აშკარად და პატიოსნად აიღოთ ხელი თქვენს პრინციპულ შეცდომებზე, ან თქვენ ამას არ გააკეთებთ, და მაშინ მიიღეთ პარტიისაგან დამსახურებული კვალიფიკაცია თქვენი პოზიციისა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრის პოზიციისა.

ორში ერთი.

არჩევანი ოპოზიციონერებზეა დამოკიდებული. (ხმები: «სწორია!». ტაში).

V

ოპოზიციის პრაქტიკული კლატფორმა. პარტიის მოთხოვნები

ციტატებით ჯამბაზობიდან ოპოზიციის ლიდერებმა სცადეს პრაქტიკული ხასიათის უთანხმოებაზე გადასულიყვნენ. ტროცკი და კამენევი ისევე, როგორც ზინოვიევიც, შეეცადნენ ჩამოეყალიბებინათ ეს უთანხმოება, ამასთან ერთად ამტკიცებდნენ, რომ მნიშვნელოვანია არა თეორიული უთანხმოება, არამედ პრაქტიკული უთანხმოება. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი უთანხმოების არც ერთი ფორმულირება, რომელიც ამ კონფერენციაზე ოპოზიციამ მოგვცა, არ განირჩევა არც ობიექტურობით, არც სისრულით.

თქვენ გინდათ იცოდეთ, რაში მდგომარეობს ჩვენი პრაქტიკული უთანხმოება, თქვენ გინდათ იცოდეთ, რას მოითხოვს თქვენგან პარტია?

მოისმინეთ:

1) პარტია ველარ მოითმენს და არ მოითმენს, რომ თქვენ ყოველთვის, როცა უმცირესობაში რჩებით,

ქუჩაში გამოდიოდეთ, აცხადებდეთ კრიზისს პარტიაში და სჯიჯგნიდეთ პარტიას. პარტია ველარ მოითმენს ამას. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი).

2) პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ თქვენ, დაჰკარგეთ რა იმედი ჩვენს პარტიაში უმრავლესობის მიღებისა, გზადაგზა ჰკრებდეთ და აგროვებდეთ ყოველგვარ უკმაყოფილო ელემენტებს, როგორც მასალას ახალი პარტიისათვის. პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს ამას. (ტ ა შ ი).

3) პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ თქვენ, სახელს უტეხთ რა პარტიულ ხელმძღვანელ აპარატს და ამსხვრევთ რა რეჟიმს პარტიაში, ამსხვრევთ რა რკინისებურ დისციპლინას პარტიაში, პარტიის მიერ დაგმობილ ყველა და ყოველგვარ მიმდინარეობას აერთიანებდეთ და აყალიბებდეთ ახალ პარტიად, ფრაქციების თავისუფლების დროშით. პარტია ვერ მოითმენს ამას. (ტ ა შ ი).

4) ჩვენ ვიცით, რომ დიდი სიძნელეები გვაქვს სოციალიზმის მშენებლობის გზებზე. ჩვენ ვხედავთ ამ სიძნელეებს და გვაქვს მათი დაძლევის შესაძლებლობა. ჩვენ მივესალმებოდით ყოველგვარ დახმარებას ოპოზიციის მხრივ ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეში. მაგრამ პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ თქვენ ცდილობდეთ გამოიყენოთ ეს სიძნელენი ჩვენი მდგომარეობის გასაუარესებლად, პარტიაზე თავდასასხმელად, პარტიის წინააღმდეგ იერიშების მისატანად. (ტ ა შ ი).

5) პარტიას უფრო მეტად ესმის, ვიდრე ყველა ოპოზიციას, ერთად აღებულს, რომ ინდუსტრიალიზაციის წინწაწევა და სოციალიზმის აშენება შესაძლებელია მუშათა კლასის მხოლოდ მატერიალური და კულტურული მდგომარეობის განუხრელი აღმავლობის პირობებში. პარტია ყველა ზომას იღებს და მიიღებს იმისათვის. რომ მუშათა კლასის

მატერიალური და კულტურული მდგომარეობა განუხრელად უმჯობესდებოდეს. მაგრამ პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ ოპოზიცია ქუჩაში გამოდიოდეს დემაგოგიური განცხადებებით ხელფასის დაუყოვნებლივი გადიდების შესახებ 30—40%-ით, როცა დანამდვილებით იცის, რომ მრეწველობა ვერ აიტანს ხელფასის ასეთ გადიდებას ამჟამად, როცა დანამდვილებით იცის, რომ ასეთ დემაგოგიურ გამოსვლებს მიზნად აქვთ არა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ მშრომელთა ჩამორჩენილ ფენებში უკმაყოფილების დათესვა და უკმაყოფილების შექმნა პარტიის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ავანგარდის წინააღმდეგ. პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს ამას. (ხმები: «სწორია!». ტაში).

6) პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ ოპოზიცია კვლავაც ძირს უთხრიდეს მუშებისა და გლეხების შეკავშირებას, ძირს უთხრიდეს მუშებისა და გლეხების კავშირს, ეწეოდეს გასაცემი ფასების გადიდებისა და გლეხობის გადასახადებით დაბეგვრის გაძლიერების იდეის პროპაგანდას, ცდილობდეს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობა «ჩამოაყალიბოს» არა როგორც ეკონომიური **თანამშრომლობის** ურთიერთობა, არამედ როგორც პროლეტარული სახელმწიფოს მიერ გლეხობის **ექსპლოატაციის** ურთიერთობა. პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს ამას. (ტაში).

7) პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს იმას, რომ ოპოზიციონერები კვლავაც განაგრძობდნენ იდეური არევდარევის შეტანას პარტიაში, ჩვენი სიძნელეების გაზვიადებას, დამარცხებითი განწყობილების დანერგვას, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის იდეის ქადაგებას და ამით ლენინიზმის საფუძვლებისა-

თვის ძირის გამოთხრას. პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს ამას. (ხმები: «სწორია!». ტაში).

8) პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს, — თუმცა ეს არა მარტო მისი საქმე, არამედ კომინტერნის ყველა სექციის საქმეა, — რომ თქვენ კვლავაც არყევდეთ კომინტერნს, არღვევდეთ მის სექციებს და სახელს უტეხღეთ კომინტერნის ხელმძღვანელობას. პარტია ვერ მოითმენს და არ მოითმენს ამას. (ტაში).

აი რაში მდგომარეობს ჩვენი პრაქტიკული უთანხმოება.

აი რა არის ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და პრაქტიკული პლატფორმის არსი, და აი რის წინააღმდეგ იბრძვის ახლა ჩვენი პარტია.

ტროცკი, რომელიც თავის სიტყვაში აყალიბებდა ამ პლატფორმის ზოგიერთ პუნქტს და გულმოდგინედ მალავდა სხვა პუნქტებს, იძლეოდა კითხვას: რა არის აქ სოციალ-დემოკრატიულიო? უცნაური კითხვაა! მე კი გეკითხებით: რა არის აქ კომუნისტური, ოპოზიციური ბლოკის ამ პლატფორმაში? რა არის აქ არა სოციალ-დემოკრატიული? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა მიდის ლენინიზმისაგან ჩამოშორების ხაზით, სოციალ-დემოკრატიასთან მიახლოების ხაზით?

თქვენ გინდოდათ გცოდნოდათ, რას მოითხოვს თქვენგან პარტია, პატივცემულო ოპოზიციონერებო, — ახლა იცით, რას მოითხოვს იგი თქვენგან.

ან თქვენ შეასრულებთ ამ პირობებს, რომლებიც ამასთან ერთად ჩვენს პარტიაში სრული ერთიანობის პირობებია, ან თქვენ ამას არ გააკეთებთ, — და მაშინ პარტია, რომელმაც გუშინ დაგამარცხათ, ხვალ შეუდგება თქვენთვის ბოლოს მოღებას. (ტაში).

VI

შედეგი

როგორია ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის შედეგი?

მე მაქვს ტროცკის ხელმოწერილი 1926 წლის სექტემბრის დოკუმენტი. ეს დოკუმენტი შესანიშნავია იმ მხრივ, რომ იქ არის ერთგვარი ცდა შინაპარტიული ბრძოლის შედეგის წინასწარ გამოცნობისა, არის ერთგვარი პროგნოზი და ერთგვარი მოხაზვა ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის პერსპექტივებისა. ამ დოკუმენტში ნათქვამია:

«გაერთიანებულმა ოპოზიციამ აპრილსა და ივლისში ცხადყო, და ოქტომბერშიც ცხადყოფს, რომ მისი შეხედულებების ერთიანობა მხოლოდ მტკიცდება უხეში და არალოიალური დევნის გავლენით, და პარტია მიხვდება, რომ მხოლოდ გაერთიანებული ოპოზიციის შეხედულებათა საფუძველზეა გამოსავალი ახლანდელი სასტიკი კრიზისიდან» (იხ. ტროცკის წერილი ოპოზიციონერებისადმი, 1926 წლის სექტემბერი — პოლიტბიუროს 1926 წლის 8 და 11 ოქტომბრის სხდომათა სტენოგრამის დამატება).

თქვენ ხედავთ, რომ ეს თითქმის წინასწარმეტყველებაა. (ხმა: «სწორედ რომ — თითქმის»). ეს თითქმის წინასწარმეტყველებაა წმინდა მარქსისტული ტიპისა, განჭვრეტა მთელი ორი თვით ადრე. (სიცილი).

რა თქმა უნდა, აქ არის ერთგვარი გაზვიადება. (სიცილი). აქ ლაპარაკია, მაგალითად, ჩვენი პარტიის ახლანდელ სასტიკ კრიზისზე. მაგრამ ჩვენ, მადლობა ღმერთს, ცოცხალი და ჯანმრთელი ვართ და კრიზისი არც კი შეგვინიშნავს. არის, რა თქმა უნდა, ერთგვარი კრიზისი, მაგრამ არა პარტიის კრიზისი, არამედ კრიზისი რომელიღაც ფრაქციისა, რომელსაც ოპოზიციური ბლოკის ფრაქცია ეწოდება. მაგრამ ხომ არ შეიძლება პატარა ფრაქციის კრიზისის გასაღება მილიონიანი პარტიის კრიზისად.

ტროცკის დოკუმენტში შემდეგ ნათქვამია, რომ ოპოზიციური ბლოკი მტკიცდება და მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება. მე ვფიქრობ, რომ აქაც არის ერთგვარი გაზვიადება. (სიცილი). არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ოპოზიციური ბლოკი ირღვევა, რომ მას შორდებიან ოპოზიციის საუკეთესო ელემენტები, რომ მას სული ეხუთება შინაგან წინააღმდეგობებში. განა ფაქტი არ არის, რომ ამხ. კრუპსკაია, მაგალითად, შორდება ოპოზიციურ ბლოკს? (მქუხარე ტაში). განა ეს შემთხვევითი ამბავია?

ტროცკის დოკუმენტში, ბოლოს, ნათქვამია, რომ მხოლოდ გაერთიანებული ოპოზიციის შეხედულებათა საფუძველზეა გამოსავალი ახლანდელი კრიზისიდან. მე ვფიქრობ, რომ ტროცკის აქაც ერთგვარი გაზვიადება აქვს. (სიცილი). ოპოზიციონერებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ პარტია გაერთიანდა და მჭიდროდ დაირაზმა არა ოპოზიციური ბლოკის შეხედულებათა საფუძველზე, არამედ ამ შეხედულებებთან და ამ შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების საფუძველზე. გაზვიადება ტროცკის დოკუმენტში აშკარაა.

მაგრამ თუ თავს დავანებებთ ტროცკის მიერ მის დოკუმენტში დაშვებულ ყველა ამ გაზვიადებას, პროგნოზისაგან, კაცმა რომ თქვას, თითქოს აღარაფერი რჩება, ამხანაგებო. (საერთო სიცილი).

როგორც ხედავთ, შედეგი გამოდის იმ შედეგის საწინააღმდეგო, რომელიც ტროცკიმ თავის პროგნოზში დაგვიხატა.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

ზინოვიევი ერთ დროს იკვეხნიდა, რომ იცის მიწაზე ყურის დადება (სიცილი), და როცა მიწაზე ყურს ადებს, ისტორიის ნაბიჯები ესმის. სავსებით შესაძლებე-

ლია, რომ ეს მართლაც ასეა. მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ზინოვიევს, რომელმაც იცის მიწაზე ყურის დადება და ისტორიის ნაბიჯების გაგონება, ზოგჯერ არ ესმის ზოგიერთი «წვრილმანი». იქნებ ოპოზიციამ მართლაც იცის მიწაზე ყურის დადება და ისეთი დიდებული რამის გაგონება, როგორიც ისტორიის ნაბიჯებია. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ, იცის რა დიდებული რამეების გაგონება, მან ვერ შესძლო გაეგონა ის «წვრილმანი», რომ პარტიამ უკვე დიდი ხანია ზურგი შეაქცია ოპოზიციას, ხოლო ოპოზიცია გარიყული დარჩა. ეს მათ ვერ გაიგონეს. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»).

რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ ოპოზიციას, როგორც ჩანს, ყურები წესრიგში არა აქვს. (ს ი ც ი ლ ი).

ამიტომ ჩემი რჩევაა: პატივცემულო ოპოზიციონერებო, უმკურნალეთ თქვენს ყურებს! (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ფ ე ხ ზ ე ა დ გ ო მ ი თ მ ი ა ც ი ლ ე ბ ს ა მ ხ. ს ტ ა ლ ი ნ ს).

«პრავდა» № 262,
1926 წ. 12 ნოემბერი.

ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ

ხიტყვა კომინტერნის აღმასკომის ჩინეთის კომისიაში
1926 წ. 30 ნოემბერი

ამხანაგებო! ვიდრე საკითხზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩინეთის საკითხზე მე არა მაქვს ამომწურავი მასალა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გადაგიშალოთ ჩინეთის რევოლუციის სრული სურათი. ამიტომ იძულებული ვარ დავჯერდე პრინციპული ხასიათის ზოგიერთ ზოგად შენიშვნებს, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ჩინეთის რევოლუციის ძირითადი მიმართულების საკითხთან.

მე მაქვს პეტროვის თეზისები, მიფის თეზისები, ტან პინ-სიანის ორი მოხსენება და რაფესის შენიშვნები ჩინეთის საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ ყველა ამ დოკუმენტს, მიუხედავად მათი ღირსებებისა, ახასიათებს ის უდიდესი ნაკლი, რომ ისინი გვერდს უვლიან ჩინეთის რევოლუციის მთელ რიგ ძირითად საკითხებს. მე ვფიქრობ, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ამ ნაკლოვანებებს. ამიტომ ჩემს შენიშვნებს ამასთან ერთად კრიტიკული ხასიათი ექნება.

I

ჩინეთის რევოლუციის ხასიათი

ლენინი ამბობდა, ჩინელებს მალე თავიანთი 1905 წელი ექნებათო. ზოგიერთმა ამხანაგმა ეს ისე გაიგო, რომ ჩინეთში ზუსტად უნდა განმეორდეს იგივე, რასაც ჩვენში, რუსეთში, 1905 წელს ჰქონდა ადგილი. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ლენინს სრულებითაც არ უთქვამს, ჩინეთის რევოლუცია რუსეთის 1905 წლის რევოლუციის ასლი იქნებაო. ლენინი ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რომ ჩინელებს **თავიანთი** 1905 წელი ექნებათო. ეს ნიშნავს, რომ, გარდა 1905 წლის რევოლუციის ზოგადი ნიშნებისა, ჩინეთის რევოლუციას ექნება თავისი სპეციფიკური თავისებურებანიც, რომლებმაც თავისი განსაკუთრებული ბეჭედი უნდა დაასვან ჩინეთის რევოლუციას.

რანაირია ეს თავისებურებები?

პირველი თავისებურება ის არის, რომ ჩინეთის რევოლუცია, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაა, ამასთან ერთად არის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი რევოლუცია, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია ჩინეთში უცხოეთის იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ. ამით იგი განსხვავდება, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის 1905 წლის რევოლუციისაგან. საქმე ის არის, რომ იმპერიალიზმის ბატონობა ჩინეთში მჟღავნდება არა მარტო მისი სამხედრო ძლიერებით, არამედ უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მრეწველობის ძირითადი ძაფები ჩინეთში, რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები, ბანკები და სხვ. უცხოელ იმპერიალისტთა განკარგულებაში ან მათ კონტროლქვეშ იმყოფება. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ უცხოეთის იმპერიალიზმთან და მის ჩინელ აგენტებთან ბრძოლის საკითხები არ შეიძ-

ლება სერიოზულ როლს არ ასრულებდნენ ჩინეთის რევოლუციაში. სწორედ ამით ჩინეთის რევოლუცია უშუალოდ უკავშირდება ყველა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ჩინეთის რევოლუციის მეორე თავისებურება ის არის, რომ მსხვილი ნაციონალური ბურჟუაზია უაღრესად სუსტია ჩინეთში, რომ იგი რუსეთის 1905 წლის პერიოდის ბურჟუაზიაზე შეუდარებლად უფრო სუსტია. ეს გასაგებიც არის. თუ მრეწველობის ძირითადი ძაფები უცხოელ იმპერიალისტთა ხელშია თავმოყრილი, მსხვილი ნაციონალური ბურჟუაზია ჩინეთში არ შეიძლება სუსტი და ჩამორჩენილი არ იყოს. ამ მხრივ მიფის შენიშვნა ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზიის სისუსტის, როგორც ჩინეთის რევოლუციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტის, შესახებ სავსებით სწორია. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩინეთის რევოლუციის ინიციატორისა და ხელმძღვანელის როლი, ჩინეთის გლეხობის ბელადის როლი აუცილებლად უნდა ჩაუვარდეს ხელში ჩინეთის პროლეტარიატსა და მის პარტიას.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ჩინეთის რევოლუციის მესამე თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთის გვერდით არსებობს და ვითარდება საბჭოთა კავშირი, რომლის რევოლუციურმა გამოცდილებამ და დახმარებამ არ შეიძლება არ შეუმსუბუქოს ჩინეთის პროლეტარიატს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ჩინეთში ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი გადმონაშთების წინააღმდეგ.

ასეთია ჩინეთის რევოლუციის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც მის ხასიათსა და მიმართულებას განსაზღვრავენ.

II

იმპერიალიზმი და იმპერიალისტური ინტერვენცია ჩინეთში

წარმოდგენილი თეზისების პირველი ნაკლი ის არის, რომ ისინი გვერდს უვლიან ან ჯეროვნად არ აფასებენ ჩინეთში იმპერიალისტური ინტერვენციის საკითხს. თეზისებს თუ ჩავუკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩინეთში ამჟამად, კაცმა რომ თქვას, არც არის იმპერიალისტური ინტერვენცია, არამედ არის მხოლოდ ბრძოლა ჩრდილოელებისა სამხრეთლებთან ან გენერლების ერთი ჯგუფისა გენერლების მეორე ჯგუფის წინააღმდეგ. ამასთან ინტერვენციად ჩვეულებრივ მიაჩნიათ ისეთი მდგომარეობა, როცა არის ფაქტი უცხოეთის ჯარების შეყვანისა ჩინეთის ტერიტორიაზე, ხოლო თუ ასეთი ფაქტი არ არის, არც ინტერვენციაა.

ეს უდიდესი შეცდომაა, ამხანაგებო. ინტერვენცია სრულიადაც არ ამოიწურება ჯარების შეყვანით, და ჯარების შეყვანა სრულიადაც არ შეადგენს ინტერვენციის ძირითად თავისებურებას. კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის თანამედროვე პირობებში, როცა უცხოეთის ჯარების პირდაპირმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი პროტესტები და კონფლიქტები, ინტერვენციას უფრო მოქნილი ხასიათი და უფრო შენიღბული ფორმა აქვს. თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმი ამჯობინებს ინტერვენცია მოახდინოს დამოკიდებული ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომის მოწყობის გზით, რევოლუციის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ძალების დაფინანსების გზით, რევოლუციის წინააღმდეგ თავისი ჩინელი აგენტების მორალური და ფინანსური მხარდაჭერის გზით. იმპერიალისტები მიდრეკილებას იჩენდნენ — დენიკინისა და კოლჩაკის, იუდენიჩისა და ვრანგე-

ლის ბრძოლა რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ დაესახათ როგორც მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი ბრძოლა. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, და არა მარტო ჩვენ, არამედ მთელმა მსოფლიომაც იცოდა, რომ ამ კონტრრევოლუციური რუსი გენერლების ზურგს უკან იდგნენ ინგლისისა და ამერიკის, საფრანგეთისა და იაპონიის იმპერიალისტები, რომელთა მხარდაუჭერლადაც სერიოზული სამოქალაქო ომი რუსეთში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. იგივე უნდა ითქვას ჩინეთის შესახებაც. უ პეი-ფუს და სუნ ჩუან-ფანის, ჩჟან ძო-ლინისა და ჩჟან ძუნ-ჩანის ბრძოლა ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა, ამ კონტრრევოლუციური გენერლების სულისჩამდგმელები რომ არ იყვნენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, ისინი რომ არ ამარაგებდნენ მათ ფინანსებით, იარაღით, ინსტრუქტორებით, «მრჩევლებით» და სხვ.

რა შეადგენს კანტონის ჯარების ძალას? ის, რომ მათ აქვთ იდეა, პათოსი, რაც აღაფრთოვანებს მათ იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ის, რომ მათ განთავისუფლება მოაქვთ ჩინეთისათვის. რა შეადგენს ჩინეთის კონტრრევოლუციური გენერლების ძალას? ის, რომ მათს ზურგს უკან დგანან ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, ჩინეთის ყველა და ყოველგვარი რკინიგზების, კონცესიების, ფაბრიკა-ქარხნების, ბანკებისა და სავაჭრო კანტორების მფლობელები.

ამიტომ საქმე არა მარტო, ან თუნდაც არა იმდენად უცხოეთის ჯარების შეყვანაა, არამედ ის დახმარება, რასაც ყველა ქვეყნის იმპერიალისტები უწევენ კონტრრევოლუციას ჩინეთში. ინტერვენცია სხვისი ხელით — ეს არის ახლა იმპერიალისტური ინტერვენციის საფუძველი.

ამიტომ იმპერიალისტური ინტერვენცია ჩინეთში უეჭველი ფაქტია, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია თავისი მახვილით ჩინეთის რევოლუცია.

ამიტომ, ვინც გვერდს უვლის ან ჯეროვნად არ აფასებს ჩინეთში იმპერიალისტური ინტერვენციის ფაქტს, ის გვერდს უვლის ან ჯეროვნად არ აფასებს იმას, რაც ყველაზე მთავარი და ყველაზე ძირითადია ჩინეთში.

ამბობენ, იაპონელი იმპერიალისტები კანტონელებისადმი და საერთოდ ჩინეთის რევოლუციისადმი «კარგი განწყობილების» ერთგვარ ნიშნებს იჩენენო. ამბობენ, ამერიკელი იმპერიალისტები ამ მხრივ იაპონელ იმპერიალისტებს არ ჩამორჩებიანო. ეს თავის მოტყუებაა, ამხანაგებო. უნდა ვიცოდეთ იმპერიალისტების, მათ შორის აგრეთვე იაპონელ-ამერიკელი იმპერიალისტების, პოლიტიკის არსის გარჩევა მისი შენიღბვისაგან. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, კეტით, მუშტით რევოლუციონერების მოთვინიერება ძნელია, მაგრამ ზოგჯერ მათ ალერსით ძლიერ ადვილად მოათვინიერებენ ხოლმეო. ლენინის მიერ ნათქვამი ეს ჭეშმარიტება არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, ამხანაგებო. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ იაპონელ-ამერიკელი იმპერიალისტები საკმაოდ კარგად მიხვდნენ ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობას. ამიტომ ზუსტად უნდა ვარჩევდეთ კანტონელთა მიმართ ალერსსა და ქებას იმ ფაქტისაგან, რომ ალერსის გამოჩენაში ყველაზე გულუხვი იმპერიალისტები ყველაზე მაგრად ებღაუჭებიან «თავიანთ» კონცესიებს და რკინიგზებს ჩინეთში და არასგზით არ თანხმდებიან მათზე ხელი აიღონ.

III

რევოლუციური არმია ჩინეთში

მეორე შენიშვნა წარმოდგენილ თეზისებთან დაკავშირებით ეხება ჩინეთის რევოლუციური არმიის საკითხს. საქმე ის არის, რომ თეზისებში გვერდი აქვს ავლილი

არმიის საკითხს ან იგი ჯეროვნად არ არის შეფასებული. (ხმა ადგილიდან: «სწორია!»). ეს არის მათი მეორე ნაკლი. კანტონელთა წინსვლას ჩრდილოეთისაკენ ჩვეულებრივ განიხილავენ არა როგორც ჩინეთის რევოლუციის გაჩაღებას, არამედ როგორც კანტონელი გენერლების ბრძოლას უ პეი-ფუს და სუნ ჩუან-ფანის წინააღმდეგ, როგორც გენერლების ერთი ჯგუფის ბრძოლას პირველობისათვის სხვა გენერლების წინააღმდეგ. ეს უდიდესი შეცდომაა, ამხანაგებო. რევოლუციური არმიები ჩინეთში წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს იმ ბრძოლაში, რასაც ჩინეთის მუშები და გლეხები თავიანთი განთავისუფლებისათვის ეწევიან. განა შემთხვევითია ის, რომ მიმდინარე წლის მაისამდე თუ ივნისამდე ჩინეთში არსებულ მდგომარეობას აფასებდნენ როგორც ფინ იუი-სიანის არმიების დამარცხების შემდეგ დამდგარი რეაქციის ბატონობას, ხოლო შემდეგ, მიმდინარე წლის ზაფხულში, საკმარისი იყო კანტონელთა ძლევამოსილი ჯარები ჩრდილოეთისაკენ წაწეულიყვნენ და ხუბეი დაეკავებინათ, რომ სურათი ძირეულად შეცვლილიყო რევოლუციის სასარგებლოდ? არა, ეს შემთხვევითი როდია. ვინაიდან კანტონელთა წინსვლა ნიშნავს ლახვრის ჩაცემას იმპერიალიზმისათვის, ლახვრის ჩაცემას მისი აგენტებისათვის ჩინეთში და კრებების თავისუფლებას, გაფიცვების თავისუფლებას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, ორგანიზაციის თავისუფლებას ჩინეთის ყველა რევოლუციური ელემენტებისათვის საერთოდ, მუშებისათვის განსაკუთრებით. აი რაში მდგომარეობს ჩინეთის რევოლუციური არმიის თავისებურება და უდიდესი მნიშვნელობა.

წინათ, XVIII და XIX საუკუნეებში, რევოლუციები იწყებოდა ისე, რომ ჩვეულებრივ აჯანყდებოდა ხალხი, მეტწილად უიარაღო ან ცუდად შეიარაღებული, და იგი

შეეჯახებოდა ხოლმე ძველი რეჟიმის არმიას, რომელ არმიაშიც იგი ცდილობდა რღვევა შეეტანა, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი თავის მხარეზე გადაებირებინა. ეს არის ტიპიური ფორმა რევოლუციური აფეთქებებისა წარსულში. იგივე მოხდა ჩვენში, რუსეთში, 1905 წელს. ჩინეთში საქმე სხვანაირად დატრიალდა. ჩინეთში უიარაღო ხალხი კი არა დგას ძველი მთავრობის ჯარების წინააღმდეგ, არამედ შეიარაღებული ხალხი თავისი რევოლუციური არმიის სახით. ჩინეთში შეიარაღებული რევოლუცია იბრძვის შეიარაღებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ეს არის ჩინეთის რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება და ერთ-ერთი უპირატესობა. ამაშივე იფარება ჩინეთის რევოლუციური არმიის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამიტომ არის, რომ რევოლუციური არმიის ჯეროვნად შეუფასებლობა წარმოდგენილი თეზისების შეუწყნარებელ ნაკლს წარმოადგენს.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩინეთის კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არმიაში მუშაობას.

ჯერ-ერთი, ჩინეთის კომუნისტებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ პოლიტიკური მუშაობა არმიაში და მიაღწიონ იმას, რომ არმია ჩინეთის რევოლუციის იდეის ნამდვილი და სანიმუშო მატარებელი გახდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ კანტონელებს ახლა ეტმასნებიან ყველა და ყოველგვარი გენერლები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა გომინდანთან, ეტმასნებიან მათ როგორც ძალას, რომელიც აცამტვერებს ჩინელი ხალხის მტრებს, და, კანტონელებს რომ ეტმასნებიან, რღვევა შეაქვთ არმიაში. ასეთი «მოკავშირეების» ნეიტრალიზება ან მათი გადაქცევა ნამდვილ გომინდანელებად შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების გზით და მათდამი რე-

ვოლუციური კონტროლის მოწყობის გზით. უამისოდ არმია შეიძლება უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს.

მეორეც, ჩინეთის რევოლუციონერებმა, მათ შორის კომუნისტებმაც, მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი სამხედრო საქმის შესწავლას. ისინი სამხედრო საქმეს არ უნდა უყურებდნენ როგორც მეორეხარისხოვან საქმეს, ვინაიდან სამხედრო საქმე ჩინეთში ახლა ჩინეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩინეთის რევოლუციონერებმა, და, მაშასადამე, კომუნისტებმაც, სამხედრო საქმე უნდა შეისწავლონ იმისათვის, რომ თანდათანობით დაწინაურდნენ და ესა თუ ის ხელმძღვანელი პოსტები დაიკავონ რევოლუციურ არმიაში. ეს არის იმის გარანტია, რომ რევოლუციური არმია ჩინეთში სწორი გზით, პირდაპირ მიზნისაკენ წავა. უამისოდ ქანაობა და მერყეობა არმიაში შეიძლება გარდუვალობად იქცეს.

IV

ჩინეთის მომავალი ხელისუფლების ხასიათი

მესამე შენიშვნა ეხება იმას, რომ თეზისებში გათვალისწინებული არ არის, ან საკმაოდ არ არის გათვალისწინებული, ჩინეთის მომავალი რევოლუციური ხელისუფლების ხასიათის საკითხი. ამ საკითხს თავის თეზისებში მიუახლოვდა მიფი, და ეს არის მისი დამსახურება. მაგრამ, რომ მიუახლოვდა, მას რაღაცისა შეეშინდა და ვერ გაბედა საქმე ბოლომდე მიეყვანა. მიფი ფიქრობს, რომ მომავალი რევოლუციური ხელისუფლება ჩინეთში იქნება რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის ხელისუფლება პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. რას ნიშნავს ეს? მენშევიკები და ესერები 1917 წლის თებერვლის რევოლუ-

ციის დროს წვრილბურჟუაზიული და ერთგვარად რევოლუციური პარტიები იყვნენ. განა ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი რევოლუციური ხელისუფლება ჩინეთში ესერულ-მენშევიკური ხელისუფლება იქნება? არა, არ ნიშნავს. რატომ? იმიტომ, რომ ესერულ-მენშევიკური ხელისუფლება არსებითად იმპერიალისტური ხელისუფლება იყო, მაშინ როდესაც მომავალი რევოლუციური ხელისუფლება ჩინეთში არ შეიძლება ანტიიმპერიალისტური ხელისუფლება არ იყოს. აქ ძირეული განსხვავებაა.

მაკდონალდის მთავრობა «მუშათა» ხელისუფლებაც კი იყო, მაგრამ იგი ამასთან ერთად იყო იმპერიალისტური მთავრობა, ვინაიდან იგი ემყარებოდა ინგლისის იმპერიალისტური ბატონობის შენარჩუნებას, ვთქვათ, ინდოეთსა და ეგვიპტეში. მომავალ რევოლუციურ ხელისუფლებას ჩინეთში მაკდონალდის მთავრობის წინაშე ის უპირატესობა ექნება, რომ იგი იქნება ანტიიმპერიალისტური ხელისუფლება.

საქმეა არა მარტო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი კანტონის ხელისუფლებისა, რომელიც სრულიად ჩინეთის მომავალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენს, არამედ საქმეა, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ეს ხელისუფლება არის და არ შეიძლება არ იყოს ანტიიმპერიალისტური ხელისუფლება, რომ ამ ხელისუფლების ყოველი წინწაწევა ნიშნავს ლახვრის ჩაცემას მსოფლიო იმპერიალიზმისათვის, — მაშასადამე, ლახვრის ჩაცემას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის სასარგებლოდ.

ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ თუ წინათ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მსოფლიო რევოლუციის ეპოქის დადგომამდე, საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილი იყო, ახლა, რუსეთში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიო რევოლუციის

ეპოქის დადგომის შემდეგ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ნაწილს წარმოადგენს.

ეს თავისებურება მიფს არ გაუთვალისწინებია.

მე ვფიქრობ, რომ მომავალი რევოლუციური ხელისუფლება ჩინეთში თავისი ხასიათით საერთოდ ისეთი ხელისუფლების მსგავსი იქნება, რომელზეც ჩვენში ლაპარაკი იყო 1905 წელს, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის მსგავსი რამ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უპირატესად ანტიიმპერიალისტური ხელისუფლება იქნება.

ეს იქნება გარდამავალი ხელისუფლება ჩინეთის არაკაპიტალისტური ან, უფრო ზუსტად, სოციალისტური განვითარებისაკენ.

აი რა მიმართულებით უნდა წავიდეს რევოლუცია ჩინეთში.

რევოლუციის განვითარების ამ გზას აადვილებს სამი გარემოება:

ჯერ-ერთი, ის, რომ რევოლუცია ჩინეთში, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი რევოლუცია, თავისი მახვილით მიმართული იქნება იმპერიალიზმისა და ჩინეთში მისი აგენტების წინააღმდეგ;

მეორეც, ის, რომ მსხვილი ნაციონალური ბურჟუაზია ჩინეთში სუსტია, უფრო სუსტი, ვიდრე იყო ნაციონალური ბურჟუაზია 1905 წლის პერიოდის რუსეთში, რაც აადვილებს პროლეტარიატის ჰეგემონიის საქმეს, ჩინეთის გლეხობის მიმართ პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობის საქმეს;

მესამეც, ის, რომ რევოლუცია ჩინეთში განვითარდება ისეთ გარემოებებში, რაც შესაძლებელს გახდის საბჭოთა კავშირში გამარჯვებული რევოლუციის გამოცდილებისა და დახმარების გამოყენებას.

ეს გზა დანამდვილებით და უთუოდ გაიმარჯვებს თუ ვერა, — ეს ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. ერთი რამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, — რომ ჩინეთის რევოლუციის განვითარების სწორედ ამ გზისათვის ბრძოლა ჩინეთის კომუნისტების ძირითადი ამოცანაა.

აქედან გამომდინარეობს ჩინეთის კომუნისტების ამოცანა გომინდანისა და ჩინეთის მომავალი რევოლუციური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ამბობენ, ჩინეთის კომუნისტები გომინდანიდან უნდა გამოვიდნენო. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. გომინდანიდან ჩინეთის კომუნისტების გამოსვლა ამჟამად უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ჩინეთის რევოლუციის მთელი მსვლელობა, მისი ხასიათი, მისი პერსპექტივები უეჭველად მეტყველებენ იმას, რომ ჩინეთის კომუნისტები გომინდანში უნდა დარჩნენ და გააძლიერონ იქ თავიანთი მუშაობა.

მაგრამ შეუძლია თუ არა ჩინეთის კომპარტიას მონაწილეობა მიიღოს მომავალ რევოლუციურ ხელისუფლებაში? არა მარტო შეუძლია, არამედ კიდევაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. რევოლუციის მსვლელობა ჩინეთში, მისი ხასიათი, მისი პერსპექტივები მჭევრმეტყველურად გვეუბნებიან, რომ ჩინეთის კომპარტიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩინეთის მომავალ რევოლუციურ ხელისუფლებაში.

ეს არის იმის ერთ-ერთი აუცილებელი გარანტია, რომ ჩინეთის პროლეტარიატის ჰეგემონია ნამდვილად განხორციელდეს.

V

გლეხობის საკითხი ჩინეთში

მეოთხე შენიშვნა ეხება გლეხობის საკითხს ჩინეთში. მიფი ფიქრობს, რომ დაუყოვნებლივ მიცემულ უნდა იქნას ლოზუნგი ჩინეთის სოფელში საბჭოების, სახელდობრ —

გლეხთა საბჭოების შექმნის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ეს შეცდომაა. მიფი ჩქარობს. არ შეიძლება საბჭოების შენება სოფლად ჩინეთის სამრეწველო ცენტრების გვერდის ავლით. ჩინეთის სამრეწველო ცენტრებში საბჭოების შექმნის საკითხი კი ამჟამად დღის წესრიგში არა დგას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ არ შეიძლება საბჭოების განხილვა გარემო ვითარებასთან დაუკავშირებლად. საბჭოების, ამ შემთხვევაში გლეხთა საბჭოების, შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ჩინეთი რომ განიცდიდეს გლეხობის მოძრაობის მაქსიმალური აღმავლობის პერიოდს, ისეთი მოძრაობისა, რომელიც ამსხვრევს ძველს და ქმნის ახალ ხელისუფლებას, იმ ვარაუდით, რომ ჩინეთის სამრეწველო ცენტრებმა უკვე გაარღვიეს კაშხალი და საბჭოების ხელისუფლების შექმნის ფაზაში შევიდნენ. განა შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის გლეხობა და საერთოდ ჩინეთის რევოლუცია უკვე შევიდნენ ამ ფაზაში? არა, არ შეიძლება. ამიტომ საბჭოებზე ლაპარაკი ახლა წინწარბენას ნიშნავს. ამიტომ ახლა საკითხი უნდა დაისვას არა საბჭოების შესახებ, არამედ გლეხთა კომიტეტების შექმნის შესახებ. მე მხედველობაში მაქვს გლეხებისაგან არჩეული გლეხთა კომიტეტები, რომლებსაც შეუძლიათ ჩამოაყალიბონ გლეხობის ძირითადი მოთხოვნები და რომლებიც ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები რევოლუციური წესით განახორციელონ. გლეხთა ეს კომიტეტები ის ღერძი უნდა იყვნენ, რომლის გარშემო გაჩაღდება რევოლუცია სოფლად.

მე ვიცი, რომ გომინდანელებს შორის და ჩინელ კომუნისტებს შორისაც კი არიან ადამიანები, რომლებსაც შესაძლებლად არ მიაჩნიათ რევოლუციის გაჩაღება სოფლად, რადგან შიშობენ, რომ გლეხობის ჩაბმა რევოლუციაში ძირს გამოუთხრის ერთიან ანტიიმპერიალისტურ

ფრონტს. ეს უდიდესი შეცდომაა, ამხანაგებო. ანტიიმპერიალისტური ფრონტი ჩინეთში მით უფრო ძლიერი და მძლავრი იქნება, რაც უფრო მალე და საფუძვლიანად ჩაებმება ჩინეთის გლეხობა რევოლუციაში. თეზისების ავტორები, განსაკუთრებით კი ტან პინ-სიანი და რაფესი, სავსებით მართალი არიან, როცა ამტკიცებენ, რომ გლეხობის მთელ რიგ ყველაზე მომწიფებულ მოთხოვნათა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება ჩინეთის რევოლუციის გამარჯვების უაღრესად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მე ვფიქრობ, რომ დროა დაძლეულ იქნას ის ინერტულობა და ის «ნეიტრალიტეტი» გლეხობის მიმართ, რომლებიც გომინდანის გარკვეული ელემენტების მოქმედებაში ჩანს. მე ვფიქრობ, რომ როგორც ჩინეთის კომუნისტური პარტია, ისე გომინდანი, მაშასადამე კანტონის ხელისუფლებაც, დაუყოვნებლივ უნდა გადავიდნენ სიტყვიდან საქმეზე და დააყენონ საკითხი, რომ ახლავე დაკმაყოფილებულ იქნას გლეხობის ყველაზე საარსებო მოთხოვნები.

როგორი უნდა იყოს პერსპექტივები ამ მხრივ და რა ზომამდე შეიძლება და საჭიროა მისვლა — ეს დამოკიდებულია რევოლუციის მსვლელობაზე. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა საქმე, ბოლოს და ბოლოს, წარიმართოს მიწის ნაციონალიზაციისაკენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ ისეთ ლოზუნგზე, როგორიც არის მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგი.

როგორია ის გზები და ბილიკები, რომლებითაც უნდა იარონ ჩინეთის რევოლუციონერებმა იმისათვის, რომ აამხედრონ ჩინეთის მრავალმილიონიანი გლეხობა რევოლუციის მოსახდენად?

მე ვფიქრობ, რომ დღევანდელ პირობებში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სამი გზის შესახებ.

პირველი გზა — ეს არის გზა გლეხთა კომიტეტების შექმნისა და ამ კომიტეტებში ჩინეთის რევოლუციონერების შესვლისა გლეხობაზე ზეგავლენის მოსახდენად. (ხ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «გლეხთა კავშირები?»). მე ვფიქრობ, რომ გლეხთა კავშირები დაჯგუფდებიან გლეხთა კომიტეტების გარშემო, ან გლეხთა კავშირები გადაიქცევიან გლეხთა კომიტეტებად, რომლებიც მოსილი იქნებიან ამა თუ იმ ძალაუფლებით, რაც საჭიროა გლეხობის მოთხოვნათა განსახორციელებლად. ამ გზის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკე. მაგრამ ეს გზა საკმარისი არ არის. სასაცილო იქნებოდა ფიქრი, რომ ჩინეთს ამ საქმისათვის რევოლუციონერები ეყოფა. ჩინეთში 400 მილიონამდე მცხოვრებია. მათგან დაახლოებით 350 მილიონი ჩინელია. მათგან $^{9}/_{10}$-ზე მეტი გლეხია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რამდენიმე ათეულ ათას ჩინელ რევოლუციონერს შეუძლია აბოწუროს გლეხობის ეს ოკეანე. მაშასადამე, საჭიროა კიდევ სხვა გზები.

მეორე გზა — ეს არის გზა გლეხობაზე ზეგავლენისა ახალი სახალხო-რევოლუციური ხელისუფლების აპარატის საშუალებით. უეჭველია, ახალ განთავისუფლებულ პროვინციებში შეიქმნება ახალი ხელისუფლება კანტონის ხელისუფლების ტიპის მიხედვით. უეჭველია, ამ ხელისუფლებამ და ამ ხელისუფლების აპარატმა, თუ მას მართლა სურს წინ წასწიოს რევოლუცია, ხელი უნდა მოჰკიდოს გლეხობის ყველაზე მომწიფებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. და აი ჩინეთის კომუნისტებისა და საერთოდ რევოლუციონერების ამოცანა ის არის, რომ შევიდნენ ახალი ხელისუფლების აპარატში, დაუახლოონ ეს აპარატი გლეხობის მასებს და დაეხმარონ გლეხობის მასებს ამ აპარატის საშუალებით დაიკმაყოფილონ თავიანთი საარსებო მოთხოვნები ან მემამულეთა მიწების ჩამორთმე-

ვის გზით ანდა გადასახადებისა და საიჯარო ქირის შემცირების გზით, — ეს გარემოებაზე იქნება დამოკიდებული.

მესამე გზა არის გლეხობაზე ზემოქმედება რევოლუციური არმიის საშუალებით. მე უკვე ვილაპარაკე რევოლუციური არმიის უდიდეს მნიშვნელობაზე ჩინეთის რევოლუციაში. ჩინეთის რევოლუციური არმია ის ძალაა, როძელიც პირველი შედის ახალ პროვინციებში, რომელიც პირველი გაივლის ხოლმე გლეხობის ღრმა ფენებში და რომლის მიხედვითაც, უწინარეს ყოვლისა, სჯის გლეხი ახალი ხელისუფლების შესახებ, მისი ცუდი ან კარგი თვისებების შესახებ. რევოლუციური არმიის ქცევაზე, გლეხობისა და მემამულეებისადმი მის დამოკიდებულებაზე, გლეხებისადმი დახმარებისათვის მის მზადყოფნაზეა დამოკიდებული, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის დამოკიდებულება ახალი ხელისუფლებისადმი, გომინდანისადმი და საერთოდ რევოლუციისადმი ჩინეთში. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩინეთის რევოლუციურ არმიას საკმაო რაოდენობით მიეტმასნენ საეჭვო ელემენტები, რომ ამ ელემენტებს შეუძლიათ არმიის სახე საუარესოდ შეცვალონ, შეიძლება მივხვდეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხობის თვალში არმიის პოლიტიკურ სახეს და მის, ასე ვთქვათ, პოლიტიკას გლეხობის მიმართ. ამიტომ ჩინეთის კომუნისტებმა და საერთოდ ჩინეთის რევოლუციონერებმა ყოველი ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ მოახდინონ არმიის ანტიგლეხური ელემენტების ნეიტრალიზაცია, შეუნარჩუნონ არმიას მისი რევოლუციური სული და საქმე იქითკენ წაიყვანონ, რომ არმია ეხმარებოდეს გლეხებს და ამხედრებდეს მათ რევოლუციისათვის.

ამბობენ, რევოლუციურ არმიას ჩინეთში დიდი სიხარულით ხვდებიან, მაგრამ შემდეგ, როცა არმია ადგილზე რჩება, ერთგვარი იმედგაცრუება დგებაო. იგივე იყო ჩვენშიც, საბჭოთა კავშირში, სამოქალაქო ომის დროს. ეს

იმით აიხსნება, რომ არმია, ახალ პროვინციებს რომ ათავისუფლებს და იქ რჩება, იძულებულია ასე თუ ისე თავი გამოიკვებოს გარშემო მცხოვრები მოსახლეობის ხარჯზე. ჩვენ, საბჭოთა რევოლუციონერები, ამ მინუსების ანაზღაურებას ჩვეულებრივ იმით ვახერხებდით, რომ ვცდილობდით არმიის საშუალებით დავხმარებოდით გლეხებს მემამულეთა ელემენტების წინააღმდეგ. საჭიროა, რომ ჩინეთის რევოლუციონერებმაც ისწავლონ ამ მინუსების ანაზღაურება არმიის საშუალებით სწორი გლეხური პოლიტიკის გატარებით.

VI

პროლეტარიატი და პროლეტარიატის ჰეგემონია ჩინეთში

მეხუთე შენიშვნა ეხება ჩინეთის პროლეტარიატის საკითხს. მე ვფიქრობ, რომ თეზისებში არასაკმარისად აქვს გასმული ხაზი ჩინეთის მუშათა კლასის როლსა და მნიშვნელობას. რაფესი აყენებს კითხვას: ვისკენ უნდა აიღონ გეზი ჩინეთის კომუნისტებმა — მემარცხენეებისაკენ თუ გომინდანის ცენტრისაკენო? უცნაური კითხვაა. მე ვფიქრობ, რომ ჩინეთის კომუნისტებმა გეზი უნდა აიღონ, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატისაკენ და ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს გეზი მისცენ რევოლუციისაკენ. საკითხი სწორად მხოლოდ მაშინ იქნება დაყენებული. მე ვიცი, რომ ჩინეთის კომუნისტებს შორის არიან ამხანაგები, რომლებსაც არასასურველად მიაჩნიათ მუშების გაფიცვები თავიანთი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ურჩევენ მუშებს არ მიმართონ გაფიცვებს. (ხ.მ ა: «ეს იყო კანტონსა და შანხაიში»). ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. ეს ჩინეთის პროლეტარიატის როლისა

და ხვედრითი წონის უაღრესად სერიოზული შეუფასებლობაა. ეს თეზისებში უნდა აღინიშნოს, როგორც უთუოდ უარყოფითი მოვლენა. დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩინეთის კომუნისტები ახლანდელ ხელსაყრელ ვითარებას არ გამოიყენებდნენ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ მუშებს გაეუმჯობესებინათ თავიანთი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, თუნდაც გაფიცვების საშუალებით. მაშინ რაღა საჭიროა რევოლუცია ჩინეთში? ხელმძღვანელი ძალა ვერ იქნება პროლეტარიატი, რომლის შვილებსაც იმპერიალიზმის აგენტები სცემენ და აწამებენ გაფიცვების დროს. საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს მოისპოს ეს შუასაუკუნეობრივი ბოროტება, რათა ჩინეთის პროლეტარებს გავუძლიეროთ ძალის გრძნობა და საკუთარი ღირსების გრძნობა და გავხადოთ ისინი რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის უნარის მქონენი. უამისოდ ფიქრიც კი არ შეიძლება ჩინეთში რევოლუციის გამარჯვებაზე. ამიტომ ჩინეთის მუშათა კლასის ეკონომიურმა და უფლებრივმა მოთხოვნებმა, რომლებიც მისი მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესების ხაზით მიემართებიან, სათანადო ადგილი უნდა პოვონ თეზისებში. (მ ი ფ ი: «ამის შესახებ ნათქვამია თეზისებში»). დიახ, ამის შესახებ ნათქვამია თეზისებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები საკმაოდ მკაფიოდ არ არის წამოყენებული.

VII

ჩინეთის ახალგაზრდობის საკითხი

მეექვსე შენიშვნა ეხება ჩინეთის ახალგაზრდობის საკითხს. უცნაურია, რომ თეზისებში ეს საკითხი მხედველობაში არ არის მიღებული. ახალგაზრდობის საკითხს კი ახლა ჩინეთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტან პინ-სია-

ნის მოხსენებებში ნათქვამია ამ საკითხზე, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაოდ მკაფიოდ არა. ახალგაზრდობის საკითხს ახლა ჩინეთში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მოსწავლე ახალგაზრდობა (რევოლუციური სტუდენტები), მუშა ახალგაზრდობა, გლეხი ახალგაზრდობა, — ყოველივე ეს ისეთი ძალაა, რომელსაც შეეძლო ბუმბერაზული ნაბიჯებით წაეწია წინ რევოლუცია, თუ მას გომინდანის იდეურ და პოლიტიკურ გავლენას დავუმორჩილებთ *. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმპერიალისტურ ჩაგვრას არავინ არ განიცდის ისე ღრმად და ცოცხლად და ამ ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას არავინ არ გრძნობს ისე მწვავედ და მტკივნეულად, როგორც ახალგაზრდობა ჩინეთში. ეს გარემოება ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინონ ჩინეთის კომპარტიამ და ჩინეთის რევოლუციონერებმა ახალგაზრდობაში მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერების აზრით. ახალგაზრდობამ თავისი ადგილი უნდა პოვოს თეზისებში ჩინეთის საკითხზე.

VIII

ზოგიერთი დასკვნა

მე მინდა აღვნიშნო ზოგიერთი დასკვნა — ჩინეთში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით და გლეხობის საკითხის ხაზით.

---

* **შენიშვნა.** მაშინდელ პირობებში ასეთი პოლიტიკა სწორი იყო, ვინაიდან გომინდანი მაშინ წარმოადგენდა კომუნისტებისა და ცოტად თუ ბევრად მემარცხენე გომინდანელების ბლოკს, რომელიც ანტიიმპერიალისტურ რევოლუციურ პოლიტიკას ახორციელებდა. შემდეგ ეს პოლიტიკა უარყოფილ იქნა, როგორც ისეთი, რომელიც აღარ შეესაბამებოდა ჩინეთის რევოლუციის ინტერესებს, ვინაიდან გომინდანი ჩაიმოშორდა რევოლუციას და შემდეგში გადაიქცა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად, ხოლო კომუნისტები გამოვიდნენ გომინდანიდან და კავშირი გაწყვიტეს მასთან.

უეჭველია, რომ ჩინეთის კომპარტია ახლა ვერ დასჯერდება უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსპობის მოთხოვნას. ამ მოთხოვნას ახლა მხარს უჭერს ისეთი კონტრრევოლუციონერიც კი, როგორიც ჩან სუე-ლიანია. ცხადია, ჩინეთის კომპარტია უფრო შორს უნდა წავიდეს.

შემდეგ, პერსპექტივად დასახული უნდა იქნას რკინიგზების ნაციონალიზაციის საკითხი. ეს აუცილებელია, და საქმე აქეთკენ უნდა წარიმართოს.

შემდეგ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაბრიკებისა და ქარხნების ნაციონალიზაციის პერსპექტივა. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, დგება საკითხი იმ საწარმოების ნაციონალიზაციისა, რომელთა მფლობელებიც განსაკუთრებულ მტრობასა და განსაკუთრებულ აგრესიულობას იჩენენ ჩინელი ხალხის მიმართ. შემდეგ წინ უნდა იქნას დაძრული გლეხობის საკითხი და იგი დაუკავშირდეს რევოლუციის პერსპექტივას ჩინეთში. მე ვფიქრობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, საქმე უნდა წარიმართოს მემამულეთა მიწების კონფისკაციისაკენ გლეხების სასარგებლოდ და მიწის ნაციონალიზაციისაკენ.

დანარჩენი თავისთავად გასაგებია.

აი ყველა შენიშვნა, რომლებიც მინდოდა გამეკეთებინა, ამხანაგებო.

ჟურნალი «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალ» № 13 (71), 1926 წ. 10 დეკემბერი.

შენიშვნები

1 იგულისხმება ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გერმანიაში 1923 წლის შემოდგომაზე. გერმანიაში გაჩაღდა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა, დაიწყო მუშების მასობრივი გადასვლა სოციალ-დემოკრატიისაგან კომუნისტური პარტიის მხარეზე. საქსონიასა და ტიურინგიაში მუშათა მთავრობები შეიქმნა, დღის წესრიგში დგებოდა პროლეტარული საბჭოების დაუყოვნებლივ მოწყობისა და კომუნისტების მიერ ძალაუფლების აღების საკითხი. ჰამბურგში მუშათა შეიარაღებული აჯანყება მოხდა. გერმანიაში რევოლუციური მოძრაობა დამარცხდა, რის შემდეგ იქ გაძლიერდა ბურჟუაზიული რეაქცია. — 2.

2 ლაპარაკია ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომებზე მაროკოსა და სირიაში (1925 — 1926 წწ.) საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ომები საფრანგეთს მილიარდ ფრანკზე მეტი დაუჯდა. — 3.

3 ლაპარაკია ბოლშევიკების პარტიისადმი მტრულ ჯგუფზე — «მემარცხენე კომუნისტთა» ჯგუფზე. («მემარცხენე კომუნისტების» შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 280 — 285 და ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 297 — 303, 306 — 310, 313 — 346, 505 — 528). — 4.

4 1908 წლის სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენცია — რსდმპ V კონფერენცია — შესდგა 1909 წლის 3 — 9 იანვარს (1908 წლის 21 — 27 დეკემბერს) პარიზში. კონფერენციაზე ლენინი, ბოლშე-

ვიკები ბრძოლას ეწეოდნენ ორ ფრონტზე: მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების — «მარცხნიდან ლიკვიდატორების» წინააღმდეგ. ლენინის წინადადებით კონფერენციამ გადაჭრით დაგმო მენშევიკებისა და ოტზოვისტების ლიკვიდატორობა და დასახა ბოლშევიკების ტაქტიკური ხაზი რეაქციის პერიოდში (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1941, გვ. 125 — 132, «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 175 — 177). — **9**.

5 ეს «წინასიტყვაობა» წარმოადგენდა ნაშრომის «ლენინიზმის საკითხებისათვის» შესავალ ნაწილს, რაც ი. ბ. სტალინმა 1926 წლის იანვარში დაწერა ნაცვლად კრებულ «ლენინიზმის საკითხების» წინასიტყვაობისა. კრებული გამოიცა 1926 წლის თებერვალში. — **12**.

6 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 81 — 216. — **12**.

7 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 408 — 456. — **13**.

8 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 98 — 145. — **13**.

9 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 173 — 233. — **13**.

10 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 83. — **14**.

11 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 67 — 175. — **16**.

12 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 365 — 455. — **16**.

13 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIII, გვ. 331 — 412. — **16**.

14 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 165 — 250. — **16**.

15 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 142. — **17.**

16 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 120. — **20.**

17 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 431. — **21.**

18 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «ცენტრალური კომიტეტის პირველი მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» (თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 479 — 489 რუს. გამოც.). — **21.**

19 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 414. — **30.**

20 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 204 — 205. — **38.**

21 კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი მიმდინარეობდა 1920 წლის 19 ივლისიდან 7 აგვისტომდე. ი. ბ. სტალინს მოჰყავს ციტატა ვ. ი. ლენინის სიტყვიდან «კომუნისტური პარტიის როლის შესახებ». — **41.**

22 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 137 — 138. — **45.**

23 ცეკტრანი — რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტი. შეიქმნა 1920 წლის სექტემბერში. 1920 წელს და 1921 წლის დამდეგს ცეკტრანის ხელმძღვანელობა ტროცკისტების ხელში იყო, რომლებიც პროფკავშირულ მუშაობაში შიშველი იძულებისა და მბრძანებლობის მეთოდებს ატარებდნენ. რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა პირველმა სრულიად რუსეთის გაერთიანებულმა ყრილობამ, რომელიც 1921 წლის მარტში შესდგა, განდევნა ტროცკისტები ცეკტრანის ხელმძღვანელობიდან, აირჩია კავშირის ახალი ცენტრალური კომიტეტი და დასახა პროფკავშირული მუშაობის ახალი მეთოდები. — **58.**

24 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 61 — 81. — **59.**

25 კომინტერნის II კონგრესის თეზისები «პროლეტარულ რევოლუციაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ» მიღებულ იქნა როგორც კონგრესის რეზოლუცია (რეზოლუცია იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 560 — 566). — **63.**

26 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 123. — **67.**

27 იხ. ბროშურა: ი. ბ. სტალინი. «ლენინისა და ლენინიზმის შესახებ», 1924, გვ. 60. — **67.**

28 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 391 — 397. — **69.**

29 XIV პარტიული კონფერენციის რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით» იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 25 — 31. — **69.**

30 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 120, 131. — **70.**

31 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 121, 127 — 128. — **70.**

32 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 130. — **70.**

33 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 287 — 428. — **71.**

34 ლაპარაკია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიმდინარეობდა 1925 წლის 23 — 30 აპრილს. პლენუმმა დაამტკიცა რკპ(ბ) XIV კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები, მათ შორის რეზოლუციაც «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით», რომელშიც მოცემულია პარტიის გეზი სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური

კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 25 — 31). — **71**.

35 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 29, 28. — **78**.

36 იგულისხმება რკპ(ბ) XIV კონფერენცია, რომელიც შესდგა 1925 წლის 27 — 29 აპრილს. — **79**.

37 რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის პასუხი ლენინგრადის XXII საგუბერნიო პარტკონფერენციის იმ წერილზე, რომელიც ზინოვიევ-კამენევის ფრაქციულ გამოხდომას წარმოადგენდა, გამოქვეყნდა «პრავდაში» № 291, 1925 წლის 20 დეკემბერს. — **79**.

38 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 50. — **82**.

39 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 6, გვ. 153 — 154, 156 — 158. — **85**.

40 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 391. — **89**.

41 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 50 — 51. — **89**.

42 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 317 — 352. — **94**.

43 «ეპოქის ფილოსოფია» — ზინოვიევის მიერ 1925 წელს დაწერილი ანტიპარტიული სტატიის სათაური. ამ სტატიის კრიტიკა იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 410 — 414. — **98**.

44 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 50. — **99**.

45 იგულისხმება ი. ბ. სტალინის სიტყვა «პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხისათვის», წარმოთქმული 1925 წლის 27 იანვარს რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენციაზე სოფლად მუშაობის საკითხის განხილვისას (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 27 — 36). — **100**.

46 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 47 — 53. — **105**.

47 ჟურნალ «ბოლშევიკში» № 3 1926 წლის 15 თებერვალს დაბეჭდილია ი. ბ. სტალინის ნაშრომი «ლენინიზმის საკითხებისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 14 — 99).

«ბოლშევიკი» — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორკვირეული თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი — გამოსვლა დაიწყო 1924 წლის აპრილში. — **107**.

48 კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმი მიმდინარეობდა 1926 წლის 17 თებერვლიდან 15 მარტამდე მოსკოვში. პლენუმმა განიხილა კომინტერნის აღმასკომისა და დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ანგარიშები და მოხსენებანი: კომუნისტების უახლოესი ამოცანების შესახებ პროფესიულ მოძრაობაში, II საორგანიზაციო თათბირის შედეგების შესახებ და პლენუმზე მომუშავე თორმეტი კომისიის მოხსენებანი. პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკითხს კომუნისტების ამოცანების შესახებ საერთაშორისო პროფესიული მოძრაობის რევოლუციური ერთიანობისათვის ბრძოლაში ერთიანი ფრონტის ტაქტიკის საფუძველზე. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა პლენუმის პრეზიდიუმის წევრად, პოლიტიკური, აღმოსავლეთის, საფრანგეთის კომისიების წევრად და გერმანიის კომისიის თავმჯდომარედ. — **109**.

49 «1923 წლად» იგულისხმება ღრმა რევოლუციური კრიზისი გერმანიაში 1923 წლის შემოდგომაზე. — **110**.

50 **«ბიულეტენ კომიუნისტ» («Bulletin Communiste»)** — ორკვირეული გაზეთი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პარიზში. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1925 წლის ოქტომბერში. გაზეთი დაიხურა მას შემდეგ, რაც გამოვიდა მისი მეთხუთმეტე ნომერი (1926 წ. იანვარში), რომელშიც გამოქვეყნდა საფრანგეთის კომპარტიის მემარჯვენე ფრთის ანტიპარტიული დეკლარაცია. — **112.**

51 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შესდგა 1926 წლის 6 — 9 აპრილს. 9 აპრილს პლენუმის დილის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა სიტყვით მოხსენების გამო «სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ», ხოლო საღამოს სხდომაზე — მოხსენებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პლენუმის მუშაობის გეგმის შესახებ 1926 წლისათვის. (პლენუმის გადაწყვეტილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 91 — 102). — **127.**

52 იგულისხმება რეზოლუცია «1926/27 წლის კამპანიაში პურის დამამზადებელი აპარატის მოწყობის შესახებ», მიღებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ 1926 წლის 9 აპრილს (რეზოლუცია იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 97 — 100). — **146.**

53 ამ წერილის არასრული ტექსტი დაიბეჭდა კრებულში: ი. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი». მ., 1934, გვ. 172 — 173. — **163.**

54 საყოველთაო გაფიცვა ინგლისში მიმდინარეობდა 1926 წლის 3-დან 12 მაისამდე. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის ხუთ მილიონზე მეტი ორგანიზებული მუშა. — **170.**

55 იგულისხმება შეიარაღებული გადატრიალება, რაც პილსუდსკიმ მოახდინა 1926 წლის 12 — 13 მაისს. გადატრიალების შედეგად დამყარდა პილსუდსკისა და მისი ხროვის დიქტატურის რეჟიმი, რომლებიც თანდათანობით ახორციელებდნენ პოლონეთის ფაშიზაციას. — **170.**

56 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რჩეული წერილები», 1947, გვ. 105 რუს. გამოც. — **177.**

57 მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ცნობა ინგლისში მომხდარი საყოველთაო გაფიცვის შესახებ, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა 1926 წლის 5 მაისის სხდომაზე პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით დაადგინა სსრ კავშირის პროფკავშირების ყველა წევრისათვის მოეწყოდებინა გადაერიცხათ დღიური ხელფასის ერთი მეოთხედი ნაწილი ინგლისის გაფიცული მუშებისათვის მხარდასაჭერად და იმავე დღეს გადაუგზავნა ინგლისის ტრედ-უნიონთა გენერალურ საბჭოს 250 ათასი მანეთი. 7 მაისს საკავშირო პროფსაბჭომ გენერალურ საბჭოს კიდევ გადაუგზავნა სსრ კავშირის მუშების მიერ შეგროვებული 2 მილიონი მანეთი. 9 მაისს გენერალურმა საბჭომ აცნობა საკავშირო პროფსაბჭოს თავისი უარი ამ ფულის და სსრ კავშირის მუშების ყოველი სხვა დახმარების მიღებაზე. — **178.**

58 ლაპარაკია თეზისებზე «საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მორიგი პრობლემები», რაც 1926 წლის 15 მარტს მიიღო კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულმა პლენუმმა (იხ. «კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმი. თეზისები და რეზოლუციები». სახელმწიფო გამომცემლობა, 1926, გვ. 4 — 39). — **182.**

59 სეიმის ფრაქციები — დაჯგუფებანი პოლონეთის სეიმში, პოლონეთის ბურჟუაზიული პარლამენტის ქვედა პალატაში, პოლონეთის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში. სეიმის დეპუტატების შემადგენლობა 1926 წელს 30-ზე მეტ ფრაქციად იყოფოდა, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლონეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასებისა და შუალედი ფენების ინტერესებს. — **185.**

იგულისხმება ერნსტ ტელმანის სტატია «პოლონეთის კომპარტიის ტაქტიკის შესახებ», რაც დაიბეჭდა «პრავდაში» № 123, 1926 წლის 30 მაისს. — **188.**

ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტი შეიქმნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც ლონდონში 1925 წლის 6 — 8 აპრილს შესდგა. ინგლის-რუსეთის კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარეები და მდივნები და, გარდა ამისა, სამ-სამი წევრი თვითეული ამ ორგანიზაციისაგან. კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა 1927 წლის შემოდგომაზე ინგლისის ტრედ-უნიონების რეაქციული ლიდერების გამცემლური პოლიტიკის გამო. — **192.**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი მიმდინარეობდა 1926 წლის 14-დან 23 ივლისამდე. პლენუმმა განიხილა პოლიტბიუროს ცნობა იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც მან ინგლისის საყოველთაო გაფიცვასა და პოლონეთისა და ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით მიიღო, და მოხსენებები: საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, ლაშევიჩისა და სხვ. საქმეზე და პარტიის ერთიანობის შესახებ, საბინაო მშენებლობის შესახებ, პურის დამზადების კამპანიის შესახებ. პლენუმზე ი. ბ. სტალინი გამოვიდა სიტყვებით პოლიტბიუროს ცნობის გამო იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც მან ინგლისის, პოლონეთისა და ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით მიიღო, ლაშევიჩისა და სხვ. საქმეზე და პარტიის ერთიანობის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მოხსენების გამო და სხვა საკითხებზე. პლენუმმა მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის მოღვაწეობა საერთაშორისო საკითხში და მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი საერთო-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის, შინაპარტიული ცხოვრებისა და მუშათა მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პლენუმმა ზინოვიევი გარიცხა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუ-

როს წევრობიდან. (პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 103 — 121). — **192.**

63 იგულისხმება პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელიც 1919 წლის ივლისში შეიქმნა საერთაშორისო კონგრესზე ამსტერდამში. ინტერნაციონალში შევიდნენ დასავლეთ ევროპის მეტი წილი ქვეყნების რეფორმისტული პროფკავშირები და ამერიკის შრომის ფედერაცია. ამსტერდამის ინტერნაციონალი ატარებდა რეფორმისტულ პოლიტიკას, აშკარად თანამშრომლობდა ბურჟუაზიასთან შრომის საერთაშორისო ბიუროში და ერთა ლიგის სხვადასხვა კომისიებში, იბრძოდა მუშათა მოძრაობაში ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ და მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, რის შედეგადაც მისი გავლენა მუშათა მოძრაობაში ეცემოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ამსტერდამის ინტერნაციონალმა ფაქტიურად შეწყვიტა თავისი საქმიანობა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით ამსტერდამის ინტერნაციონალი 1945 წლის დეკემბერში ლიკვიდირებულ იქნა. — **194.**

64 ზასენბახი და უდეგესტი — რეფორმისტული პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნები, ინტერნაციონალის მემარჯვენე ფრთის ლიდერები. — **194.**

65 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 182. — **196.**

66 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 253. — **196.**

67 «მუშათა ოპოზიცია» — ანტიპარტიული ანარქისტულ-სინდიკალისტური ჯგუფი, არსებობდა რუსეთის კომპარტიაში (ბ), მას სათავეში ედგნენ შლიაპნიკოვი, მედვედევი და სხვ. ჯგუფი ჩამოყალიბდა 1920 წლის მეორე ნახევარში და ბრძოლას ეწეოდა პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ. რკპ (ბ) X ყრილობამ დაგმო «მუშათა ოპოზიცია» და ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახ-

რის იდეათა პროპაგანდა აღიარა კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად. შემდეგ დამარცხებული «მუშათა ოპოზიციის» ნაშთები კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს შეუერთდნენ. — **198.**

68 «**სოციალისტიჩესკი ვესტნიკ**» — ჟურნალი, თეთრ ემიგრანტ მენშევიკების ორგანო; დააარსა მარტოვმა 1921 წლის თებერვალში. 1933 წლის მარტამდე გამოდიოდა ბერლინში, 1933 წლის მაისიდან 1940 წლის ივნისამდე — პარიზში, ამჟამად გამოდის ამერიკაში. «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების საყვირია. — **201.**

69 ბრიტანეთის მაღაროელთა ფედერაციისა და სსრ კავშირის მაღაროელ მუშათა კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია შესდგა ბერლინში 1926 წლის 7 ივლისს. კონფერენციამ განიხილა ლოკაუტის წინააღმდეგ მებრძოლ ინგლისელ მაღაროელთათვის დახმარების კამპანიის განგრძობის საკითხი. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია «მთელი მსოფლიოს მუშებისადმი», რომლითაც მოუწოდებდა მათ ენერგიულად დაეჭირათ მხარი ინგლისელ მაღაროელთათვის, და საჭიროდ ჩათვალა ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტის რაც შეიძლება მალე მოწვევა. ურთიერთკავშირის შესანარჩუნებლად და სსრ კავშირის მაღაროელ მუშათა კავშირისა და მაღაროელთა საერთაშორისო ფედერაციის რევოლუციური მოქმედების ერთიანობის განსახორციელებლად კონფერენციამ მიზანშეწონილად მიიჩნია მაღაროელ მუშათა ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის შექმნა. — **206.**

70 პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დეკლარაცია — მიმართვა «მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისადმი» ინგლისის მუშათა პარტიისა და ტრედ-უნიონების გენერალური საბჭოს რეფორმისტი ლიდერების მიერ ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვისათვის ღალატის გამო. დეკლარაცია მიღებულია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს IV პლენუმის მიერ 1926 წლის 7 ივნისს. გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 130, 1926 წ. 8 ივნისს. — **212.**

71 «შავი პარასკევის» გმირები — ინგლისის რკინიგზელთა (ტომასი), მაღაროელ მუშათა (ჰოჯესი) და ტრანსპორტის მუშათა (ვილიამ-

სი) პროფკავშირების რეაქციული ლიდერები, რომლებმაც ჩაშალეს რკინიგზელთა და ტრანსპორტელთა გაფიცვა, რაც გაფიცულ მაღაროელთა მხარდაჭერის მიზნით 1921 წლის 15 აპრილისათვის იყო დასახული. გაფიცვის ჩაშლის დღეს — 1921 წლის 15 აპრილის პარასკევს — ინგლისელმა მუშებმა «შავი პარასკევი» უწოდეს. — **221.**

72 **«დეილი უორკერი» («The Daily Worker»)** — გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა (კომუნისტური) პარტიის ცენტრალური ორგანო. 1922 წლის იანვრიდან 1927 წლის იანვრამდე გაზეთი გამოდიოდა ჩიკაგოში, ხოლო შემდეგ — ნიუ-იორკში; ჯერ «უორკერის», ხოლო 1924 წლის იანვრიდან — «დეილი უორკერის» სახელწოდებით. — **223.**

73 **«ნიუ ლიდერ» («The New Leader»)** — ყოველკვირეული გაზეთი, ამერიკის ეგრეთწოდებული სოციალისტური პარტიის ორგანო; მისი გამოცემა დაიწყო 1924 წლის იანვარში. — **223.**

74 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 392. — **226.**

75 თეზისები «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)» ი. ბ. სტალინმა დაწერა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით 1926 წლის 21 და 25 ოქტომბერს შუა. პოლიტბიუროს მიერ მოწონებული თეზისები 26 ოქტომბერს განიხილა და მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა. 3 ნოემბერს თეზისები ერთხმად მიიღო XV სრულიად საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ, როგორც კონფერენციის გადაწყვეტილება, და იმავე დღეს დაამტკიცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 148 — 155). — **233.**

76 ვ. ი. ლენინი. «გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 310 — 316). — **287.**

77 «დემოკრატიული ცენტრალისტები» — ანტიპარტიული ჯგუფი საპრონოვისა და ოსინსკის მეთაურობით, არსებობდა რუსეთის კომპარტიაში (ბ). ჯგუფი წარმოიშვა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. დეცისტთა ჯგუფი უარყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს საბჭოებში; ილაშქრებდა მრეწველობაში დირექტორთა ერთპიროვნულობისა და პირადი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ, ორგანიზაციულ საკითხებში ლენინური ხაზის წინააღმდეგ, მოითხოვდა ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლებას პარტიაში. პარტიის IX და X ყრილობებმა დეცისტები დაგმეს, როგორც ანტიპარტიული ჯგუფი. 1927 წელს «დემოკრატიული ცენტრალისტების» ჯგუფი ტროცკისტული ოპოზიციის აქტიურ მოღვაწეებთან ერთად საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობამ პარტიიდან გარიცხა. — **240.**

78 «სუვარინის ჯგურის ლიკვიდატორები» — ტროცკისტ ბორის სუვარინის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრის მომხრეები. 1926 წელს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულმა პლენუმმა სუვარინი გარიცხა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის. — **240.**

79 საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენცია მიმდინარეობდა 1926 წლის 26 ოქტომბერს — 3 ნოემბერს. კონფერენციამ განიხილა საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ჩვენი ქვეყნის საშეურნეო მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ, პროფკავშირთა მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები, ოპოზიციისა და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა და ერთსულოვნად მიიღო თეზისები ი. ბ. სტალინის მოხსენებისა «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)», რომლებიც ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციურ ბლოკს ახასიათებენ როგორც სოციალ-დემოკრატიულ გადახრას ბოლშევიკური პარტიის რიგებში, როგორც II ინტერნაციონალის დამხმარე რაზმს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. კონფერენციამ ჩამოაყალიბა და დააგვირგვინა საქმე პარტიის აღჭურვისა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების იდეით და

მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლისაკენ პარტიის ერთიანობისათვის, ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის მხილებისათვის. — **254.**

80 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 6 — 9 აპრილს. — **255.**

81 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 14 — 23 ივლისს. — **256.**

82 იგულისხმება რეზოლუცია «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ», მიღებული რკპ (ბ) XIII კონფერენციის მიერ, დამტკიცებული რკპ (ბ) XIII ყრილობის მიერ და ჩართული ყრილობის დადგენილებებში (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 540 — 545). — **257.**

83 ვ. ი. ლენინი. «სასურსათო გადასახადის შესახებ», თავი «რუსეთის თანამედროვე ეკონომიკის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 321 — 330). — **272.**

84 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 395. — **273.**

85 «ნაშე სლოვო» — მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე. — **277.**

86 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 29. — **289.**

87 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 29. — **289.**

88 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 29 — 30. — **290.**

89 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 87 — 90. — **307.**

90 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 247. — **315.**

91 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 23 და 26 ოქტომბერს. პლენუმმა განიხილა საკითხი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შევსებისა ფ. ე. ძერჟინსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, XV სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენციის განსახილველად შესატანი საკითხები, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ცნობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შემდეგ ტროცკისტ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის ფრაქციული საქმიანობის შესახებ პოლიტბიუროს 4 ოქტომბრის დადგენილებასთან დაკავშირებით და ი. ბ. სტალინის თეზისები «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)». 26 ოქტომბერს პლენუმზე გამოვიდა ი. ბ. სტალინი თეზისების დასაცავად. — **318.**

92 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 365 — 368. — **318.**

93 იგულისხმება ტროცკის გამოსვლასთან დაკავშირებით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების რეზოლუციების შესახებ ი. ბ. სტალინის ცნობის მიხედვით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების გაერთიანებულ სხდომაზე 1925 წლის 17 იანვარს მიღებული რეზოლუცია. (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზო-

ლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 636 — 641; ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 6 — 11). — **319.**

94 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». დანართი, 1940, გვ. 71 — 93. — **324.**

95 მოყვანილია ლენინის სიტყვები საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წაკითხული მოხსენებიდან «სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 218). იხ. აგრეთვე ენგელსის 1894 წლის 2 ივნისის წერილი პოლ ლაფარგისადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, გვ. 311 რუს. გამოც.). — **332.**

96 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «რამდენიმე თეზისი» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVIII, გვ. 311 — 313). — **345.**

97 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 27 — 28). — **351.**

98 ლაპარაკია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის 1923 წლის 8 მაისის ნოტაზე, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მუქარას შეიცავდა. — **359.**

99 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 29 — 30. — **370.**

100 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVIII, გვ. 232. — **373.**

101 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVIII, გვ. 232 — 233. — **374.**

102 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 238. — **374.**

103 «უფის მთავრობა» — კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს «სრულიად რუსეთის დროებითს მთავრობას» (დირექტორიას) უწოდებდა. შეიქმნა 1918 წლის 23 სექტემბერს უფაში თეთრგვარდიული «მთავრობების», მენშევიკების, ესერებისა და უცხოელი ინტერვენტების წარმომადგენელთა თათბირზე; არსებობდა 1918 წლის 16 ნოემბრამდე. — **377.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1926 წლის იანვარი — ნოემბერი)

1 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას და გამოდის ორგანიზაციულ საკითხებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, საორგანიზაციო ბიუროს და სამდივნოს წევრად და ამტკიცებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა გაუგრძელოს ი. ბ. სტალინს რწმუნება საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგატისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინი აცნობებს ლენინგრადში ვ. მ. მოლოტოვს, ნ. მ. შვერნიკს, ს. მ. კიროვს და სხვებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 5 იანვრის დადგენილებას, რომელშიც მხილებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის ფრაქციული საქმიანობა.

8 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს სხდომას საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციისას კომინტერნის აღმასკომში.

16 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაციის წარმომადგენლებს.

19 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება წითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელებს.

22 იანვარი. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვებით საკითხზე «მემარჯვენე და «ულტრამემარცხენე» გადახრებთან ბრძოლის შესახებ».

25 იანვარი. ი. ბ. სტალინმა დაამთავრა მუშაობა ნაწარმოებზე «ლენინიზმის საკითხებისათვის», რომელიც ცალკე ბროშურად გამოვიდა 6 თებერვალს და დაიბეჭდა ჟურნალ «ბოლშევიკში» № 3, 1926 წ. 15 თებერვალს.

5 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე ჩამოსული ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წარმომადგენლებს.

6 — 8 თებერვალი. ლენინგრადის ვოლოდარსკის, მოსკოვ-ნარვისა და სხვა რაიონების საგანგებო პარტიული კონფერენციები ირჩევენ ი. ბ. სტალინს პირველ დელეგატად საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგანგებო XXIII საგუბერნიო კონფერენციაზე.

9 თებერვალი. ი. ბ. სტალინი უპასუხებს პ. ფ. ბოლტნევის, ვ. ი. ეფრემოვისა და ვ. ი. ივლევის წერილს საკითხზე «გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ».

10 თებერვალი. «ლენინგრადსკაია პრავდაში» № 33 დაიბეჭდა VI თავი ი. ბ. სტალინის ნაწარმოებიდან «ლენინიზმის საკითხებისათვის» — «ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი».

ი. ბ. სტალინი უპასუხებს უკრაინის სსრ ბობრინეცის რაიონის ხელმოკლე გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარის ტ. მ. პოკოევის წერილს საკითხზე «ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ».

12 თებერვალი. საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგანგებო XXIII საგუბერნიო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის წევრად.

17 თებერვალი — 15 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის მუშაობაში.

17 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის პირველ სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის პლენუმის პრეზიდიუმის წევრად და პლენუმის პოლიტიკური, აღმოსავლეთისა და საფრანგეთის კომისიების წევრად.

19 თებერვალი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს სწერს წერილს, სადაც ამხილებს ზინოვიევს, რომელმაც კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გახსნისას წარმოთქმულ შესავალ სიტყვაში დაამახინჯა საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე ჩამოსულ გერმანიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიების დელეგაციების წარმომადგენლებს.

20 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ პლენუმის გერმანიის კომისიის თავმჯდომარედ.

21 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ბიუროს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის ცნობით იმის შესახებ, რომ გერმანიის დელეგაცია უკმაყოფილოა ზინოვიევის გამოსვლით კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე.

23 თებერვალი. ი. ბ. სტალინის მიერ გ. ი. კოტოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად დაწერილი ნეკროლოგი გამოქვეყნდა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხარკოვის საოლქო კომიტეტის ორგანოს გაზეთ «კომუნისტის» № 43-ში.

ი. ბ. სტალინი დიდ თეატრში ესწრება წითელი არმიის მერვე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას.

27 თებერვალი. გამოვიდა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა კრებული «ლენინიზმის საკითხები».

3 მარტი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ბიუროს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის გერმანიის კომუნისტურ პარტიაში «ულტრამემარცხენეთა» წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საკითხზე.

6 მარტი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის საფრანგეთის კომისიის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ბიუროს

სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის ზინოვიევის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ კომინტერნის აღმასკომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიეწვიათ «ახალი ოპოზიციის» მომხრენი.

7 მარტი. ი. ბ. სტალინის მისალმება მთელი მსოფლიოს მუშა და მშრომელი ქალებისადმი ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის მეთექვსმეტე წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 55-ში.

8 მარტი. კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გერმანიის კომისიის სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით გერმანიის კომუნისტურ პარტიაში «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლის საკითხზე.

15 მარტი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვებით: ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის 1926 წლის მარტ-აგვისტოს გეგმისა და საბჭოების არჩევნების შესახებ.

16 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე ჩამოსული გერმანიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიების დელეგაციების წარმომადგენლებს.

17 მარტი. კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებულ პლენუმზე ჩამოსული გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წარმომადგენლებს.

23 მარტი. — ი. ბ. სტალინის მისალმება საკავშირო ალკკ VII ყრილობისადმი გამოქვეყნდა გაზეთებში — «პრავდა» და «კომსომოლსკაია პრავდა» № 66.

3 აპრილი. — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ნიშნავს პოლიტბიუროს იმ კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა რედაქტირება თეზისებისა «სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ», საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე განსახილველად შესატანად.

5 აპრილი. — ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის სხდომაზე გამოდის «სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ» თეზისების დასაცავად.

6 — 9 აპრილი. — ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

9 აპრილი. — ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დილის სხდომაზე გამოდის სიტყვით მოხსენების გამო «სამეურნეო მდგომარეობისა და სამეურნეო პოლიტიკის შესახებ».

ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საღამოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პლენუმის 1926 წლის მუშაობის გეგმის შესახებ».

12 აპრილი. — ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის პლენუმზე გამოდის მოხსენებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ.

13 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოდის მოხსენებით «საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ».

20 აპრილი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სტალინის სახელობის ფაბრიკის (მოსკოვის გუბერნიის სადგური ბოლშევო) დელეგაციას, რომელიც მას 1 მაისის დღესასწაულზე იწვევს.

21 აპრილი. ი. ბ. სტალინი უპასუხებს კლარა ცეტკინის წერილზე რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის (რემედასის) საკითხზე.

გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა «საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ».

25 აპრილი. გაზეთ «პრავდაში» № 95 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ბ. სტალინისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ვ. ვ. კუიბიშევის ხელმოწერით გამოქვეყნდა მიმართვა ყველა პარტორგანიზაციისადმი, პარტიული საკონტროლო კომისიებისადმი, სამეურნეო, კოოპერაციულ, სავაჭრო, საბანკო და სხვა დაწესებულებებში მომუშავე პარტიის წევრებისადმი — მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შესახებ.

26 აპრილი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ლ. მ. კაგანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს.

30 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს სწერს წერილს, რომელშიც ამხილებს ზინოვიევის ფრაქციულ საქმიანობას.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს და მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე.

5 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება პრესის მუშაკებს.

7 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ბიუროს სხდომაზე გამოდის დ. ზ. მანუილსკის სტატიის გამო «შებრუნებული მენშევიზმისა და სოციალ-ფაშიზმის შესახებ», რომელიც დაიბეჭდა 1926 წლის აპრილის ჟურნალ «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალში» № 4 (53).

8 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს სწერს წერილს, რომელშიც ამხილებს ზინოვიევის ფრაქციულ მუშაობას კომინტერნში.

11 მაისი. ი. ბ. სტალინი პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებს პარიზსა და ბერლინში აუწყებს, რომ ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალურმა საბჭომ უარი თქვა ინგლისის გაფიცულ მაღაროელთათვის სსრ კავშირის მუშებისაგან ფულადი დახმარების მიღებაზე.

15 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს სწერს მეორე წერილს, რომელშიც ამხილებს ზინოვიევის ფრაქციულ მუშაობას კომინტერნში.

16 მაისი. ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ესაუბრებიან პრესის მუშაკებს.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელ მუშაკებს.

1 ივნისი. ი. ბ. სტალინი თბილისში ჩადის.

2 ივნისი. ი. ბ. სტალინი ათვალიერებს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს (ზაჰესს). სადგურის დათვალიერების შემდეგ საპატიო სტუმართა წიგნში ქართულ ენაზე წერს: «გაუმარჯოს ჩვენს აღმშენებლებს, მუშებს და ტეხნიკოსებს-ინჟენრებს!». ჩანაწერი გამოქვეყნებულია გაზეთებში — «ზარია ვოსტოკა» № 1191, 1926 წ. 3 ივნისს და «პრავდა» № 133, 12 ივნისს.

3 ივნისი. ი. ბ. სტალინი ვ. მ. მოლოტოვს სწერს წერილს, რომელშიც ამხილებს ტროცკისა და ზინოვიევის გამთიშველ, კაპიტულანტურ პოლიტიკას და განსაზღვრავს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძირითად ხაზს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში.

ი. ბ. სტალინი ესწრება თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის სპექტაკლს. ანტრაქტში ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძეს მისი ოპერის «თამარ ცბიერის» და ქართული საოპერო მუსიკის შესახებ და აღნიშნავს რუსი კომპოზიტორების, კერძოდ ჩაიკოვსკის, ნაწარმოებთა გავლენას ქართველ კომპოზიტორებზე.

3 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების კრებაზე თბილისში გამოდის მოხსენებით «ინგლისის გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ» და პასუხით ამ სახელოსნოთა მუშების მისალმებაზე. მოხსენება და პასუხი გამოქვეყნებულია გაზეთებში — «ზარია ვოსტოკა» № 1197, 1926 წ. 10 ივნისს და «პრავდა» № 136, 16 ივნისს.

13 ივნისი. ი. ბ. სტალინის პასუხი ბაქოს მუშებისადმი, რომლებიც იწვევდნენ მას ბაქოში ჩასულიყო, გამოქვეყნებულია გაზეთში «ბაკინსკი რაბოჩი» № 135.

ივნისი. ი. ბ. სტალინი არჩეულია კომუნისტური აკადემიის ნამდვილ წევრად.

4 ივლისი. ი. ბ. სტალინი კავკასიიდან მოსკოვს მიემგზავრება.

8 ივლისი. ი. ბ. სტალინის მისალმება გაზეთ «რაბოჩაია პრავდასადმი» — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს და მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ორგანოსადმი — მისი მეათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია გაზეთის ამავე ნომერში.

14 — 23 ივლისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობას.

14 ივლისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გამოდის ხელფასის საკითხის შესახებ.

15 ივლისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გამოდის სიტყვით პოლიტბიუროს ცნობის გამო ინგლისის, პოლონეთისა და ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

22 ივლისი ღამის 1 საათი. ი. ბ. სტალინი საპატიო ყარაულშია ფ. ე. ძერჟინსკის კუბოსთან კავშირების სახლში.

ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი ნეკროლოგი ფ. ე. ძერჟინსკის შესახებ გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 166.

ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დილის სხდომაზე გამოდის სიტყვით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მოხსენების გამო ლაშევიჩის და სხვ. საქმეზე და პარტიის ერთიანობის შესახებ.

22 ივლისი 17 ს. 30 წ. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს ფ. ე. ძერჟინსკის ცხედრის გამოსვენებაში კავშირების სახლიდან.

24 ივლისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საკავშირო საგანგებო კომისიის — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მუშაკებს ფ. ე. ძერჟინსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

27 ივლისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება პოლონეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს.

28 ივლისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სსრ კავშირში ჩამოსულ ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელს.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება ფინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს.

6 აგვისტო. ი. ბ. სტალინი წერს პასუხს ინდოეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის წერილზე.

7 აგვისტო. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით «ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ».

13 აგვისტო. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს სწერს წერილს, რომელშიც ამხილებს ტროცკისა და ზინოვიევის ანტიპარტიულ

საქციელს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმზე.

21 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სწერს დეპეშას ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «დეილი უორკერის» რედაქციისადმი.

8 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს სლეპკოვს გაზეთ «პრავდაში» 1926 წლის 8 ოქტომბერს დაბეჭდილი მისი სტატიის გამო.

11 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის სიტყვით «შინაპარტიული ბრძოლის შენელების ღონისძიებათა შესახებ».

19 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატად.

21 და 25 ოქტომბერს შუა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ი. ბ. სტალინი წერს თეზისებს «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)».

22 ოქტომბერი. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი ი. ბ. სტალინს ნიშნავს მომხსენებლად რუსეთის საკითხის შესახებ კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე.

23 ოქტომბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ი. ბ. სტალინს ნიშნავს მომხსენებლად საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციაზე «ოპოზიციისა და შინაპარტიული მდგომარეობის» საკითხის შესახებ.

25 ოქტომბერი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ი. ბ. სტალინის თეზისები «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)» — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ოქტომბრის გაერთიანებულ პლენუმზე განსახილველად შესატანად.

26 ოქტომბერი. გაზეთებში «პრავდასა» და «იზვესტიაში» № 247 გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის თეზისები «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)».

ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით და იცავს თეზისებს «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ)». პლენუმი ამტკიცებს თეზისებს საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციაზე განსახილველად შესატანად.

26 ოქტომბერი — 3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციის მუშაობას.

1 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციის სხდომაზე გამოდის მოხსენებით «ოპოზიციისა და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ». მოხსენება გამოქვეყნებულია გაზეთებში — «პრავდა» და «იზვესტია» №№ 256, 257, 1926 წ. 5 და 6 ნოემბერი.

3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციის სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით «ოპოზიციისა და შინაპარტი-

ული მდგომარეობის შესახებ» მოხსენების გამო. საბოლოო სიტყვა გამოქვეყნებულია გაზეთებში — «პრავდა» და «იზვესტია» №№ 262, 1926 წ. 12 ნოემბერს.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი «ლენინგრადსკაია პრავდის» რედაქციას სწერს პასუხს, რომელშიც უარს ამბობს თანხმობა მისცეს იელის უნივერსიტეტის (ამერიკა) პროფესორ ჯერომ დევისთან თავისი საუბრის გამოქვეყნებაზე, რომელიც დამახინჯებული სახით გამოქვეყნდა გაზეთ «ნიუ-იორკ ამერიკენში».

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს და მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე.

15 ნოემბერი. გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა «სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში» — ი. ბ. სტალინის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციაზე და საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო.

20 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომას აცნობს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე «საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ» თავისი მოხსენების გეგმას.

22 ნოემბერი — 16 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის მუშაობაში.

22 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის პირველ სხდომაზე ირჩევენ პრეზიდიუმის წევრად და პლენუმის პოლიტიკური კომისიის წევრად.

29 — 30 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ბიუროს სხდომას.

30 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის ჩინეთის კომისიის სხდომაზე გამოდის სიტყვით «ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ».

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა VII

ემპირიოკრიტიკოსები და «ულტრამემარცხენეები» გადახრებთან ბრძოლის შესახებ. ორი სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე. 1926 წ. 22 იანვარი . . . . . 1 — 13

I 1

II 6

ქრებულ «ლენინიზმის საკითხების» პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 12

ლენინიზმის საკითხებისათვის . . . . . 14 — 99

I. ლენინიზმის განსაზღვრა 14

II. მთავარი ლენინიზმში 17

III. «პერმანენტული» რევოლუციის საკითხი . . . 20

IV. პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა 23

V. პარტია და მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში 34

VI. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი 66

VII. ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის 82

გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ. პასუხი ამხ. პ. ფ. ბოლტნევს, ე. ი. ეფრემოვს, ე. ი. ივლევს 100

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. პასუხი ამხ. პოკოევს . . . 104

ამხ. კოტოვსკის შესახებ 108

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის საფრანგეთის კომისიაში. 1926 წ. 6 მარტი 109

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღისათვის 118

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გერმანიის კომისიაში. 1926 წ. 8 მარტი 119

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ. მოხსენება ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შესახებ. 1926 წ. 13 აპრილი . . . . . 127 — 162

I. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი პერიოდი 128

II. კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ 131

III. სოციალისტური დაგროვების საკითხები . . . 133

IV. დაგროვებული სახსრების სწორად გამოყენება. მომჭირნეობის რეჟიმი 142

V. უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა კადრები 151

VI. უნდა გავაძლიეროთ მუშათა კლასის აქტივობა 153

VII. უნდა განვამტკიცოთ მუშებისა და გლეხების კავშირი 154

VIII. უნდა გავატაროთ შინაპარტიული დემოკრატია 157
IX. უნდა დავიცვათ პარტიის ერთიანობა . . . 159
X. დასკვნები 160

ამხ. კაგანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს 163

ინგლისში მომხდარი გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ. მოხსენება რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების კრებაზე თბილისში. 1926 წ. 8 ივნისი . . . . . 170 — 188

რატომ წარმოიშვა გაფიცვა ინგლისში? 170
რატომ ჩაიშალა საერთო გაფიცვა ინგლისში? . . . 175
საერთო გაფიცვის გაკვეთილები 180
ზოგიერთი დასკვნა 182
პოლონეთის უკანასკნელი ამბების შესახებ 184

პასუხი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების მისალმებებზე. 1926 წ. 8 ივნისი 189

ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტის შესახებ. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე. 1926 წ. 15 ივლისი 192

ფ. ძერჟინსკი. (ფ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო) . . 210

ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ. სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე. 1926 წ. 7 აგვისტო 212

ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს «დეილი უორკერის» რედაქციას 223

წერილი სლეპკოვს 225

შინაპარტიული ბრძოლის შენელების ღონისძიებათა შესახებ. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. 1926 წ. 31 ოქტომბერი 228

ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში (ბ). თეზისები საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის, მიღებული კონფერენციის მიერ და დამტკიცებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ . . . . . 233 — 253

I. «ახალი ოპოზიციის» გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე ძირითად საკითხში — ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ . . . 235
II. ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა 241
III. ოპოზიციური ბლოკის «რევოლუციური» სიტყვები და ოპორტუნისტული საქმეები 248
IV. დასკვნები 252

სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში. მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XV სრულიად საკავშირო კონფერენციაზე. 1926 წ. 1 ნოემბერი . . . . . 254 — 322

I. ოპოზიციური ბლოკის განვითარების ეტაპები . 254 — 267
1. პირველი ეტაპი 255
2. მეორე ეტაპი 256
3. მესამე ეტაპი 258
4. მეოთხე ეტაპი 260
5. ლენინი და პარტიაში ბლოკის საკითხი . . 261
6. ოპოზიციური ბლოკის დაშლის პროცესი . . 263
7. რაზე ამყარებს იმედს ოპოზიციური ბლოკი? 265

II. ოპოზიციური ბლოკის ძირითადი შეცდომა . . 267 — 310
1. წინასწარი შენიშვნები 268
2. ლენინიზმი თუ ტროცკიზმი? 273
3. რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია . . 289
4. «ახალი ოპოზიციის» გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე 292
5. ტროცკის თავდაძვრენა. სმილგა. რადეკი . . 298
6. ჩვენი მშენებლობის პერსპექტივების საკითხის გადამწყვეტი მნიშვნელობა 303

7. ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური პერსპექტივები 306

III. ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური და ორგანიზაციული შეცდომები 310

IV. ზოგიერთი დასკვნა 318

საბოლოო სიტყვა მოხსენებების გამო — «სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში». 1926 წ. 3 ნოემბერი . . . . 323 — 388

I. ზოგიერთი ზოგადი საკითხის შესახებ . . . . 323 — 343

1. მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის 323

2. ლენინის ზოგიერთი შენიშვნა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ 333

3. კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის შესახებ 338

II. კამენევი გზას უწმენდს ტროცკის 343

III. წარმოუდგენელი დაბნეულობა, ანუ ზინოვიევი რევოლუციურობისა და ინტერნაციონალიზმის შესახებ 353

IV. ტროცკი აყალბებს ლენინიზმს . . . . . 362 — 382

1. ტროცკის ოინები, ანუ «პერმანენტული რევოლუციის» საკითხი 362

2. ციტატებით ჯამბაზობა, ანუ ტროცკი აყალბებს ლენინიზმს 371

3. «წვრილმანები» და კურიოზები 379

V. ოპოზიციის პრაქტიკული პლატფორმა. პარტიის მოთხოვნები 382

VI. შედეგი 386

ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ. სიტყვა კომინტერნის აღმასკომის ჩინეთის კომისიაში. 1926 წ. 30 ნოემბერი . . . . . 389 — 408

I. ჩინეთის რევოლუციის ხასიათი 390
II. იმპერიალიზმი და იმპერიალისტური ინტერვენცია ჩინეთში 392
III. რევოლუციური არმია ჩინეთში 394
IV. ჩინეთის მომავალი ხელისუფლების ხასიათი . 397
V. ვლეხობის საკითხი ჩინეთში 400
VI. პროლეტარიატი და პროლეტარიატის ჰეგემონია ჩინეთში 405
VII. ჩინეთის ახალგაზრდობის საკითხი 406
VIII. ზოგიერთი დასკვნა 407

შენიშვნები 409
ბიოგრაფიული ქრონიკა (1926 წლის იანვარი — ნოემბერი) . 426

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 6/VI — 1949.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X — 1949.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 28,75.
შეკვ. 958.
ფასი 6 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმ. სამმართვ. 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.